

117

1964



მეცნიერებათა აკადემია

— 7961 —

8

# გნათობი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

წელიწადი 41-ე

№ 8

აგვისტო, 1964 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობართა კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ირაკლი აბაშიძე — ბილიკი მღერის. ლექსი	3
კოლაუ ნადირაძე — შეხვედრა. ლექსი	4
გურამ გეგეშიძე — ოცნება. მოთხრობა	5
ხუტა ბერულავა — სამი ლექსი	9
გიორგი ლაბაძე — მატარებლები გადადიან ხიდზე. მოთხრობა. ნაწილი პირველი	11
ალ. ქუთათელი — ზეკარზე. ლექსი	37
ნოდარ შამანაძე — ორი მოთხრობა	39
ხაშონ შოვარაძე — ლექთა სარძლო. რომანი. გაგრძელება	46

### ნარკვევი

კარპე მუმლაძე — დიდი ქიშის ენთუზიასტები. დასასრული	67
--	----

### ორი დიდი თარიღის წინ

ვსევოლოდ კაპანაძე — ლენინი და ბუნებათმეცნიერება	84
თენგიზ კეჭელაძე — ლენინი სპარსულ ლიტერატურაში	91

### პირობა

გურამ გვერდციული — შენიშვნები 1963 წლის ზოგიერთ პროზაულ ნაწარმოებზე	98
დმიტრი თუხარელი — ლ. მ. ლეონოვის შემოქმედება	113
ვლადიმერ ნორაკიძე — გონების ცნების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“	129

### წარსულიდან

ივ. შაიშველაშვილი — კრწანისის ომი. დასასრული	143
--	-----

(მ. მეორე გვ.)





ნინო ტაბიძე — ჩვენი ავთანდილი . . . . .

წიგნების მიმოხილვა

იორამ ქვერტელიძე — „მზე და ჩრდილი“ . . . . .	183
ალეკო სანადირაძე — ოპის ექო . . . . .	185
კ. ბობოხიძე — „მეც ჩემებური გუთნისდღეა ვარ“ . . . . .	187
ნიკოლოზ წერეთელი — სასარგებლო მეცნიერული ნაშრომი . . . . .	188
ხ. ჩიტაური — ქურთი პოეტები ქართულად . . . . .	190
ახალი წიგნები . . . . .	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი თ კ ო ლ ე გ ი ა :

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,  
 ე. მაღრაძე, ბ. ყლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,  
 ხ. შანშიაშვილი, გ. ჭობლაძე

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VIII—64 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილების ზომა 7 1/4×12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02330, ტირაჟი 6.100, შეჯვება 1839

საქ. კვ ც-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი  
 თბილისი, ლენინის ქ. № 14  
 Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии  
 Тбилиси, ул. Ленина, 14.

ირაკლი აბაშიძე  
ბილიკი მღერის

ცეკლიდან „ზიხლოება“

დარი და წვიმა,  
ვარდის სუნთქვა  
და ბედის წერა,  
შუქი და ბინდი.  
ცა დამდნარი  
რთვილად და ნამად...  
ო, ყველაფერი მას ესმოდა  
მესიკის ჯღერად,  
ო, ყველაფერი მას ესმოდა  
ერთ გაბმულ გამბად.

ან იქნებ არა.  
იქნებ არა,  
იქნებ პირიქით  
საგანი თავად იქცეოდა მის წინ  
ბგერებად

და ყველა ვარდი,  
ყველა ღამე,  
ყველა ბილიკი  
თვით იყო ჰანგი,  
იყო ჯღერა, გასიმღერება.

ის კი,  
უტყუარ ყურთასმენით, გაუგონარით,  
ამ ჯღერის ტალღებს,  
ჯღერის წვეთებს,  
ჯღერის ცვარნამებს  
იქვრდა, რაღაც  
მიმღეობის უცნობ უნარით,  
როგორც დღის პეპლებს,  
ვარდის ფურცლებს,  
ღამის ფარვანებს.

ო, ბედნიერი,  
ბედნიერი,  
ნეტავ მის ღელვას, —  
ის იყო ღვიძლი  
ღღეთა მისთა  
აზრის და ფერის;  
არის დრო ქვეყნად  
როცა მღერის საგანი ყველა,

ყვავილი მღერის,  
ღამე მღერის,  
ბილიკი მღერის

არის დრო, არის;  
დრო ეყუთენის  
სიმღერის წყურვილს,  
ბუნების ჯღერას,  
მიწის ჯღერას  
შოპენის სმენას;  
არის დრო, როცა  
თავს დამალავს  
ჰამლეტის წყლული,  
ფაუსტის ტანჯვა,  
ურწმუნობა,  
ფაუსტის რწმენა:

და იგიც, იგიც  
ხმებს უყვარდათ  
ვით მოსვლა წვიმის,  
უყვარდათ ბგერებს  
როგორც ბაღლებს  
ზმერებს და შიშვლებს;  
მშობლიურ ენას  
მან უპოვა  
თვისება სიმის,  
მშობლიურ სიტყვებს  
კვითდა როგორც  
მესიკის ნიშნებს.

ნეტავ იმ ღელვას,  
ნეტავ იმ ხმებს  
ნეტავ მის ღელვას,  
ის იყო ღვიძლი  
ღღეთა მისთა  
აზრის და ფერის...  
არის დრო ქვეყნად  
როცა მღერის საგანი ყველა,  
ყვავილი მღერის,  
ცრემლი მღერის,  
ბილიკი მღერის.

ქოდაუ ნაღირაძე


შ ე ხ ვ ე დ რ ა

მახსოვს საღამო თოვლის სუდარით  
მდუმარე არეს ასე რომ შვენის.  
შენი თვალების ნაზი მუდარა,  
შეშფოთებული სიმშვიდე შენი.

მესპოდა ჩემი, უტკბესი ოხერა,  
და ჩემი გულიც კენესდა ტიალი...  
თოვლი კი, როგორც ნარგიზთა გროვა,  
დაგვეფარფატებდა ფრთების შრიალით.

ო, ეგ საღამო თოვლით ნალესი  
მე ისევ-ისე სიხარულს მაწვდის!  
შენი ჩურჩული, შენი ალერსი  
და დაპირება უტკბესი ვანცდის.

თოვლის შრიალი, შეხვედრის წამი  
და სუნთქვა შენი, სუნთქვა საამო,  
დამათრობელი ალერსის შხამი  
წავიღე სახლში მე იმ საღამოს!..



## გუგამ გუგამიძე

# მ ც ნ ე ბ ა

### მიტხრობა

მე ჩამოვედი ტრამვაიდან. ავტარე გვერდი გაჩერებაზე შეჭგულულ ხალხს, მარჯვნივ გავუხვიე და გავყევი ქუჩას. ტაქსების გაჩერებასთან რამდენიმე მანქანა იდგა. მანქანებიდან გადმოსული ჩასუქებული შოფრები ერთად შეგროვილიყვნენ და ხმამაღლა როხროხებდნენ. ქუჩის მეორე მხარეს პურის მაღაზია იყო. მაღაზიიდან ვიდაც ლამაზი ქალი გამოვიდა. ქალი ქვემოთკენ წავიდა. ვაზაფხული იწყებოდა და არ შეიძლებოდა თვალი არ გავეყოლებინა მისთვის. მისი ქუსლების კაყუნი გამაღიზიანებლად მოქმედებდა. ქალმა ტრამვის ლიანდაგი გადასკრა, გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს და მერე ჩიხში შეუხვია. აღრიანი ვაზაფხულის მოთენთილი შუადღე იყო. მზე სუსტად ანათებდა ვაცრეცილი ღრუბლებიდან. მაინც თბილოდა. მე გავყევი ქუჩას ზემოთ და შევედი საავადმყოფოს ეზოში. სკამებზე ისხდნენ გამოჯანსაღებული ავადმყოფები და თბებოდნენ მზეზე. მათი უმრავლესობა დომინოს თამაშობდა. ზოგიერთი ვაზეთს კითხულობდა. ზოგიერთი სანახავედ მოსულ მახლობლებს ესაუბრებოდა. ყველას ლურჯი ბაიკის პიჯამოები ეცვა. გახსნილი საყელოებიდან საავადმყოფოს შტამპიანი თეთრი პერანგები მოუჩანდათ. მე მივეყვებოდი ზეივანს ქირურგიული კორპუსისაკენ და ვუყურებდი გამოჯანსაღებულ ავადმყოფებს. ისინი აუჩქარებლად დასეირნობდნენ მზეში. ზოგს ჯონი ეჭირა, ზოგს ყელი ჰქონდა შეხვეული, ან თავი, ან ხელი, ან სრულე-

ბით არაფერი, მაგრამ ყველა უძლურად და ავადმყოფურად გამოიყურებოდა. ეს იყო მათი საერთო ნიშანი. თითქმის ყველას ბედს შეგუებული, მოწყვნილი სახეები ჰქონდა, მაგრამ სიხარული მაინც ემჩნეოდათ.

ჩავიარე ქვის კიბეები და შევედი მოსაცდელ ოთახში. აქ ბნელოდა და არასასიამოვნოდ გრილოდა. ცემენტის იატაკი და თეთრი ცივი კედლები დამთრგუნველად მოქმედებდა ნერვებზე. თანაც რაღაცის მკვეთრი, უსიამოვნო სუნი იდგა. მე მივედი თეთრხალათიან დამლაგებელ ქალთან და ვუთხარი:

— მე აბაშიძესთან მინდა შესვლა...

მეექვსე პალატაში.

— აბაშიძესთან?

— დიახ.

ქალი სახეში მომაჩერდა.

— აა, აი ის, ახალგაზრდა რომ არის?

— დიახ.

ქალი წავიდა და ხალათი გამომიტანა. სანამ ის ხალათს მოიტანდა, სხვა მნახველები, რომლებსაც არ უშვებდნენ ავადმყოფებთან, შურით მიყურებდნენ. მე მოვიხსურე ხალათი და მადლობა გადავუხადე შემწვევებ ქალს. „არაფრის, არაფრის“, მიტხრა მან, და როცა მე კიბეებზე ავდიოდი, მხერა გამომაყოლა.

ღერეფანში მორიგე ექთანმა გამაჩერა. ეს არც ისე ახალგაზრდა ქალი იყო. როგორც ერთი შეხედვით ჩანდა.

— თქვენ საით, ახალგაზრდავ? —

— მე აბაშიძესთან მინდა, მეექვსე...

— ახ, აბაშიძესთან? — ქალმა სახეში შემომხედა, თითქოს შორიდან, თით-

ქოს რალაცნაირი თანაგრძნობითა და სიბრალულთ — ეპ, მიდი, მიდი, გენაცვალე, აი, აქეთ, შეექვსე პალატაში...

მე ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი ამ ქალის გულწრფელობაში, მაგრამ მაინც გავიფიქრე, რომ მისგან კარგი მსახიობი დადგებოდა, თავის დროზე ხელი რომ შეეწყობ.

— უკაცრავად, ხომ არ იცით, როგორ არი? — ვკითხე მე.

— თქვენ მისი რა ხართ?

— მეგობრები ვართ.

— ეპ, რაღა როგორ არი, ჩემო კარგო, კიბო აქვს...

და მან ტრაგიკულად გადასწია თავი უკან და სწრაფად დამტოვა, როგორც გამარჯვებული მსახიობები სტოვებენ ხოლმე სცენას ოვაციის შემდეგ.

მე მარტო დავრჩი დერეფანში. მთელმა საავადმყოფომ იცოდა ჩემი მეგობრის მდგომარეობა. უკვე ყველამ იცოდა რომ განწირული იყო და არავის არ შეეძლო მისი შევლა. მხოლოდ მან არ იცოდა ამის შესახებ არაფერი.

ის იყო ძალიან ლამაზი კაცი, თავისი სულითაც და თავისი გარეგნობითაც. მე მთელი გრძნობით მიყვარდა მისი სილამაზე და მისი კეთილშობილება. და აი ახლა, როცა მე შევედი პალატაში და დავინახე ის ლოჯინში მწოლიარე, დავინახე მისი აწეწილი გრუზა ქერა თმები, ლამაზი, ჰკვიანი, საყვარელი თვლები, ძალაუნებურად გავიფიქრე, მიუხედავად იმისა, რომ ცოტათი გამხდარიყო, ავადმყოფობას სრულებით ვერ შეეცვალა მისი კეთილშობილური იერი, ის ჯერ ისევ ლამაზად და ვაკეცურად გამოიყურებოდა და მე გული მეტყინა, საშინლად მეტყინა გული, რომ ეს სილამაზე, ეს კეთილშობილება უკვალოდ უნდა გამქრალიყო.

ჩვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი და დავკეჩი სკამზე მის საწოლთან. უხერხულად მედიმებოდა. ის მიყურებდა პირდაპირ, უბრალოდ, და თან თვლებში დაფარული ირონია უკრთოდა. სხვა ავადმყოფები ეზოში გასულიყვნენ სასეირნოდ და პალატაში მარტო ჩვენ

ორნი ვიყავით. ფანჯარაზე ვკიდა ძალიან გამჭვირვალე, თხელი ფანჯარა.

— როგორა ხარ? — ვკითხე მე, და მომავონდა, რომ ოთახში შემოსვლისას, სანამ ვაკოცებდი, უკვე ვკითხე ეს.

— ახლა არა მიშავს, — თქვა მან, — საშინელი ტკივილები — კი მქონდა.

— ნუ გეშინია...

წიგნი ტამბურზე დადო და გაიღიმა:

— ოპ, მაგის ყოფა ვატირე, საშინლად მტკივნეული ოპერაცია იყო... ვერ წარმოიდგენ.

მერე ის უბრალოდ, სავსებით ჩვეულებრივად მიყვებოდა თავისი ავადმყოფობის და ოპერაციის ამბებს. მე კი ჩუმად ვუსმენდი. გარედან შემოსული ნიავი აქანავებდა ფანჯარაზე დაკიდებულ ფარდას.

— ცოტა გამხდარხარ, მაგრამ გიხდება, — ვთქვი მერე მე.

— ბოლო დროს ძალიან მომატებული ვიყავი, პაპიროსი რომ მივატოვე იმიტომ. შენ კიდევ ეწევი?

— ვეწევი. ვერაფრით ვერ მიმიტოვებია.

— გავიკეთებია ოდესმე მორფი? — მკითხა უცებ.

— არა, — ვუთხარი მე.

— ეე, იცი, რა სასიამოვნოა.

ეტყობა, ჩემს წინაშე ერთგვარ უპირატესობას გრძნობდა და ამის გამო ირონიულად ელიმებოდა. თითქოს კმაყოფილი იყო იმით, რომ ის, რაც მან გამოცადა, ჩემთვის უცნობი იყო.

— ახლა ხომ აღარ გაწუხებს ტკივილები? — ვკითხე მე.

— არა. უკვე ყველაფერმა ჩაარა....

მე ვიცოდი, რომ ყველაფერი წინ იყო. ფანჯარაში, მოჩანდა ავაციის ტოტები.

— უბრალოდ, ეგ არი, რომ მთაში ველარ წავალ ზაფხულამდე.

— რა ვუყოთ, უნდა მოითმინო.

მე ვიცოდი, რომ ის ველარც ზაფხულში წავიდოდა მთაში, ველარც... ვერასდროს.

— ეპ, როგორ მინდა მთაში ყოფნა, როგორ მინდა მთა...

— რას იზამ? უნდა მოითმინო...

— სხვა რა გზაა... — თქვა მან, — რამდენი ხანია ვითმენ.

მე ისევ ფანჯრისკენ გავიხედე.

— იცი, რა სასიამოვნოა მორფი? — თქვა მან ისევ და ფიჭრი — გამიფანტა, რომელიც ჯერ არ მომეკრია, — თავიდან საშინელი ტყვილები გაქვს. მერე, მორფს რომ გაგვიკეთებენ, ბრუვლები, ნელ-ნელა ყველაფერი გავიწყდება, ისეთი ტყვილი, უჩვეულო შეგრძნებაა, თითქოს სიკვდილში მიდიხარ...

სიკვდილის ხსენება არ მესიამოვნა. უცბად შევხედე თვალებში. ისევ უბრალოდ, უშეშაკოდ მიყურებდა, მაგრამ მაინც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ მან ეს სრულიად შემთხვევით თქვა. საშინლად ეღერდა ახლა სიტყვა „სიკვდილი“. აუტანელი იყო ახლა ამაზე ლაპარაკი, მე არ მინდოდა მას ვაეგრძელებინა თავისი შეგრძნებების ანალიზი და ამიტომ სხვა რამეზე გადავიტანე საუბარი.

— გოგო როგორა გყავს? — ვკითხე მე.

— ჩემი გოგო? — სიხარულით გაეცინა მას, — დიდიან, უკვე დადის...

მეც გამეცინა.

— ლაპარაკობს?

— ცოტ-ცოტას... ძალიან მოუსვენარი ვინმეა.

მან ხელს აიღო და მუხლზე დამადო.

— პატარა ყველაფერი კარგია, ბავშვიც, მხეციც...

— ჰო, სასაცილოები არიან.

ჩვენ ვიცინოდით. ის მუხლზე მისვამდა ხელს. აკაციის ტოტებს ზემოთ, ფანჯარაში მოჩანდა ცა. ცაზე გაიფრთხილა ბელურამ.

— კარგია, ბიჭიც რომ გყავდეს, — წამომცდა რატომღაც მე და შემკრცხვა, მეუხერხულა.

ის ჩაფიჭრდა.

— ჰო, კარგია...

ბელურა აკაციის ტოტზე დაჯდა და ეღერტული დაიწყო.

— ერთი-ორი წლის მერე, ვნახოთ. შეიძლება ბიჭიც მეყოლოს.

მე ვიცოდი, რომ ერთი-ორი წლის შემდეგ მას აღარ ეყოლებოდა ბიჭი. მაღლე, სულ მაღლე, ის აღარ ექნებოდა მამ ქვეყნად. მე ვიცოდი ის, რაც მან არ იცოდა თავისი თავის შესახებ. სწორედ ამიტომ ისეთი მძიმე შეგრძნება მქონდა, თითქოს ქურდი ვიყავ, თითქოს რაღაც მოვარე საყვარელ მეგობარს, თითქოს დამნაშავე ვიყავი, რომ შეუბრალებელი განაჩენი გამომქონდა მისი იმედებისათვის. ახლა კი ის იწვა და მუხლზე მისვამდა ხელს. მე ვგრძნობდი მისი ხელის შეხებას. ბელურა გაფრინდა. შეწყდა მისი ქრუანტელი. ცა ძალიან ლურჯი იყო.

— ხომ არ მოგწყინდა აქ?

— ცხადია, მომწყინდა, — გაეცინა ჩემ შეკითხვაზე.

— ცოტაც მოითმინე. ეგ რა წიგნია?

— ბალზაკი. ფრანგულად ვკითხულობ, არ მინდა ენა დამავიწყდეს.

ენის სწავლა მას ნამდვილად აღარ სჭირდებოდა, და მე მეწყინა, რომ ასეთი აზრები მომდიოდა თავში. მაგრამ მაინც გულგრილად ვიკეჭი და ვლაპარაკობდი, თითქოს არაფერიც არ მომხდარა. ეტყობა, ჩემგანაც დადგებოდა კარგი მსახიობი, დროზე რომ მეფიქრა ამაზე. ცაზე ღრუბლის ნავლეჯი მოჩანდა შორს, ალბათ, იმ ადგილას, სადაც შევანბადას მოტიტვლებული მთებია.

— კარგი მწერალია ბალზაკი, — ვთქვი მე.

— მაგისგან ბევრ რამეს ისწავლი. ეგ იმაზე წერს, თუ როგორი საქმიანი ურთიერთობებია ადამიანებს შორის.

— მაგაზე ყველა წერს.

— არა, შენ ვერ გამიგე, ეგ იმაზე წერს, მატერიალურ ურთიერთობაზე რამდენად არის დამყარებული ადამიანის შინაგანი რაღაცეები... გაიგე?

— ახლა გავიგე. შენ გინდა თქვა, რომ სოციალური მწერალია.

— დაახლოებით ეგრეა. თუმცა სისულელეა, ზუსტი განსაზღვრა მოუნახო რომელიმე მწერალს.

— რა ვიცი, კი ამბობენ ეს ფსიქო-

ლოგიური მწერალია, ეს სოციალური, ესეც ისტორიული...

— ეგ ყველაფერი სისულელეა. დიდ მწერალზე მაგას ვერ იტყვი, ეგეთ ჩარჩოს ვერ მოუნახავ. პატარა მწერალზე კი შეგიძლია, რაც გინდა, თქვა.

— დიდი მწერალი სწორედ იმით არის დიდი, რომ ვერაფრითაა ჩარჩოში ვერ ეტყვა, გარდა ქეშმარიტებისა...

— იცი, რა გითხრა? — მითხრა მან და სახეში შემომხედა, — რაც არ უნდა დიდი მწერალი იყოს, სულერთია, ბოლოს მაინც ყველა კვდება. ვის რა მოუვია თავისი სიდიდით ან სიპატარავით?

ის გაჩუმდა. მუხლზე მისვამდა ხელს. მე ისევე ფანჯარაში ვიყურებოდი.

— უკვე დათბა, — თქვა მან.

— ჰო, ხალხი უპალტოოდ დადის.

— იცი, რა მენატრება ახლა ყველაზე უფრო? — თქვა მან.

— არა.

— ყველაზე უფრო, ყველაზე საშინლად მენატრება ჩემი ახალი კოსტუმის ჩაცმა.

მე გავიციანე.

— ხანდახან მთელი დღე, დილიდან საღამომდე, დაძაბულად ვოცნებობ იმ დღეზე, როცა ჩემს ახალ კოსტუმს ჩავეცვამ და ქუჩაში გავივლ-გამოვივლი. როგორც კინოში, ისე ვხედავ ჩემ თავს, ახალ კოსტუმში გამოწყობილს, დავდივარ ქუჩაში, დავსეირნობ, შევდივარ ლაიძის, ან ბორჯომის წყალს ვსვამ, ვლაპარაკობ, შეიძლება იმიტომ მენატრება ასე საშინლად ჩემი ახალი კოსტუმის ჩაცმა, რომ სულ ორჯერ მეცვა, — გაციანა მან.

— შეიძლება, — ვთქვი მე.

მე ვიცოდი, რომ ის ველარასოდეს ჩაიცვამდა თავის ახალ კოსტუმს, ალბათ, კუბოში თუ ჩააცმევდნენ.

ახლა-კი ის იწვა, მელაპარაკებოდა და მუხლზე მისვამდა ხელს. ყველაფერი თითქოს სიზმარი იყო. რამდენიმე ხანს ჩვენ ჩუმად ვიჯექით.

— მე წავალ, დაისვენე.

— კარგი, წადი. გმადლობ, რომ მწე-  
ხე.

— კიდევ გნახავ.

დავიხარე, ვაკოცე და გარეთ გამოვე-  
დი.

გამოვედი ეზოში და მაინც რატომ-  
ღაც ოთხი კედლის სივიწროვეში მეგონა მომწყვდევული ჩემი თავი. ეს სივ-  
რცე თითქოს სულ უფრო ვიწროვდე-  
ბოდა და გასრესას მიპირებდა. შერე  
ამ წამმაც გაიარა. მე ავხედე მეორე  
სართულზე იმ ოთახის ფანჯარას, სა-  
დაც ჩემი მეგობარი იწვა, მაგრამ ვერ  
მიცხვდი, რომელი იყო მისი ფანჯარა.  
ყველა ფანჯარა ერთმანეთს გავდა.  
ეზოში ისევე დასეირნობდნენ გამოჯანსა-  
ლებული ავადმყოფები. ამათ უკვე ნაღ-  
დი, რეალური ოცნებები და იმედები  
ქონდათ. ის კი იქ იწვა.

მე გამოვედი საავადმყოფოს ეზოდან  
და ვიწრო ქუჩას გავყვევი. აქ ქვის ლო-  
ბეებით შემოხორცილე კერძო სახლები  
იდგა. მე დიდხანს მივდიოდი. ცალ მხა-  
რეს სახლები გათავდა და რკინიგზის  
ლიანდაგი დაიწყო. მე მივდიოდი რკინი-  
გზის ლიანდაგსა და დაბალი ღობით  
შემოხორცილ ეზოებს შორის. ლიანდა-  
გის იქით, სასაფლაო მოჩანდა. სასაფ-  
ლაოზე უკვე აყვავილებულიყო ხეები.  
წელს ადრე დადგა გაზაფხული, ეტყო-  
ბა, ზაფხულიც მალე მოვა. მოვა ზაფ-  
ხული და მოკვდება ჩემი მეგობარი. მე  
ვიცოდი, რომ ამ ზაფხულს უკვე აღად  
მოკვდებოდა ის. მე ისიც კი ვიცოდი,  
რომ მას აქ, ამ სასაფლაოზე კი არ და-  
მარხავდნენ, არამედ ქალაქის მეორე  
ბოლოში, ვაკის სასაფლაოზე. მე ისიც  
კი ვიცოდი, თუ რას ჩააცმევდნენ კუ-  
ბოში. მე დანმაშვედ ვგრძნობდი თავს  
მის წინაშე, იმის გამო, რომ ყველაფე-  
რი ეს ვიცოდი. მე მხოლოდ არ ვიცო-  
დი, როდის მოკვდები და სად დამმარ-  
ხვენ მე, მაგრამ რა საჭირო იყო ამის  
ცოდნა?! შველის კი რამეს ამის ცოდ-  
ნა? მე მოვყვებოდი რკინიგზის ლიან-  
დაგს, ჩემს წინ-კი მოჩანდა მზით გა-  
ხურებული ვეებერთელა ქალაქი.



ხუთი ბეჭედი

სამი ლექსი

I

გაივლის დღე თუ გაივლის წელი,  
შეეკრთები უცებ და გული მითრთის,—  
თითქოს ვიღაცამ კოყრიან ხელით  
მხრებზე დამადო ახალი ტვირთი.

განა არ მყოფნის ძველი სიმძიმე,  
ვინ არის, მაინც რას მეშვართლება?  
მაშ, ამაღამაც ვერ დავიძინებ,  
აქლავ მელოდება ღამის გათევა?

მამა... ის არის! თითქოს ბრუნდება  
ოცდაჩვიდმეტში გადაკარგული,  
თითქოს ბრუნდება ულან-უდედან,  
ულვთოდ ნაწყენი და დაჩაგრული.

მკლავს გამისინჯავს ხალისიანად,  
ტვირთს მომიმატებს, მეტყვის:—იარე...  
არ გამიმეღავენებს თავის იარას  
და ჩემს სიხარულს გაიზიარებს.

II

მიდის ქუჩაზე, როგორც ყმაწვილი.  
და აღღვებით, და გახელებით,—  
ხარიჩრენივით კისერაწვდილი,—  
ესაუბრება ქალაქს ხელებით.

ჰომეროსის და რუსთველის თრთოლვით  
აგსებული აქვს თუმცა ფილტვები,  
მოიქანცება ფერებთან ბრძოლით  
და ესიზმრება მესხის ფინტები.

ცრემლებს არსენას საფლაგზეც აფრქვევს  
და სეტყვადარტყმულ პურის ყანაშიც,  
მერე ერთნაირ აღმერთებს, აქებს  
ფშაველ ბრძენსა და ფიროსმანაშვილს.



ფერების ლივლივს გულწინდობილი  
 იძებნებით და იქცებით სავსე,  
 დადის გოროზად ჩემი ძმობილი  
 და... მიხარია, რომ დადის ასე!

### III

მე მეშინია, ამ ნანატრ ლოყებს,  
 რომ შევამჩნიო კვალი წლებისა,  
 ან ველარ იგრძნო ის ძველი მოყმე  
 შენი თვალების აელვებისა.

იქნებ... ვაი თუ, — რა ვუყოთ მერე,  
 უღმობელია, ეს დრო და ჟამი, —  
 ბაგეთა შენთა მცხუნვარე ფერებს  
 გაფერმკრთალება შევნიშნო წამით.

იქნებ ვერ დამწვა იმგვარი ხანძარიო,  
 მე რომ ველოდი ოდესღაც, მაშინ.  
 ეს იქნებოდა წაქცევა ტაძრის  
 და ნანგრევების ჩაღწევა ხრამში.

დაე ცოცხლობდეს ძველი ზმანება,  
 ტანზე გვეხვიოს, ვით მწვანე სურო.  
 არა ღირს იმ ტბის ატორტმანება,  
 რომ დაიწმინდა... დამშვიდდი, სულო!



გიორგი ლავაძე

## მატარებლები გაღარიბან ხილზე

მოთხრობა

ნაწილი პირველი

1

სამსახური ორი კვირის დაწყებული მაქვს. ის ოთახი სადაც მე ვმუშაობ, მეხუთე სართულზეა. ფანჯრიდან მთელი ეზო მოჩანს, შესვენების დროს ფანჯრებს ხშირად ვაღებთ და ვუყურებთ, თუ როგორ მოედინება ხალხი კიბეებზე. ქვემოთ ხანდახან თეთრხალათიანი პარაკმახერებიც გამოჩნდებიან. ისინი ფხიზლად მიიხედ-მოიხედავენ ირგვლივ და მერე ისევ სწრაფად ბრუნდებიან უკან. ეზოში შადრევანი არის, ოღონდ ზამთრობით წყალი არ მოდის შიგ. შადრევანს იქით რიგში ჩამწყრივებული რაგინდრაფერი მანქანები მოჩანს. მეექვსე სართულზე, ჩვენი ოთახის მოპირდაპირე მხარეს, მშენებლობის სამინისტროს გოგოები მოადგებიან ხოლმე ფანჯრებს და თმებს ისწორებენ, ხანდახან თუ ჩვენც დაგვინახეს, ხელსაც გვიქნევენ და პაემანსაც გვინიშნავენ — სამუშაოს დამთავრების შემდეგ შევხვდეთო. ჩვენც ხელის ქნევით ვეთანხმებით — ეგრე იყოს-თქო, მერე კი დანიშნულ ადგილზე არცერთი არ მივიღვართ, არც ისინი და არც ჩვენ. ჩვენი სარკმლიდან აგრეთვე მზის ჩასვლაც მოჩანს. ჩამავალი სხივები ფანჯრის მინებში ირეკლებიან და შე ყოველთვის ისეთი განცდა მებადება, თითქოს რაღაც გამახსენდა, რაღაც ძალიან ნაცნობი და საჭირო დროს დავიწყებული. ოღონდ რა არის ეს, ვერ მივხვდარვარ.

შესვენება დაიწყო. განყოფილების

გამგემ მასალები მთავარ ინსპექტორს გადასცა და სასადილოში ჩავიდა. ჩვენ კი—განყოფილების დანარჩენი წევრები, ზემოთ განათლების სამინისტროს ბუფეტში ვსადილობდით.

— არ წავიდეთ? — იკითხა რამაზმა — მთავარმა ინსპექტორმა. იგი ქალური სახის ბიჭი იყო.

მე თავი დავეუქნე. ოთარიც წამოდგა.

ფანჯარა გამოვალეთ, გამოვედით და კარები ჩავკეტეთ. მე ქვემოთ დავეშვი.

— სად მიდიხარ? — მკითხა ოთარმა.

— არ მშია, გავივლი ცოტას.

— აჰა. კარგი ამინდია, ღირს.

— შენც ხომ არ წამოხვალ?

— არა, არა, სხვა დროისათვის იყოს.

— წავედი.

— ჰო.

კიბეები სწრაფად ჩამოვირბინე. ქუჩას ზემოთ ავუყევი. ნოემბრის ოქროსფერი დღე იყო. დახუთულ ოთახში ოთხი საათი ჯდომის შემდეგ ძალიან მსიამოვნებდა სუფთა ჰაერზე სიარული. მივდიოდი და ყურს ვუგდებდი ბელურების გაუთავებელ ყვილ-ხივილს. იქვე ქაღირის ტოტებზე რომ ირეოდნენ უთვალავად. თან თავს ვარიდებდი. მათა სინდის-ნამუსის იმედი მაინცდამაინც არ მქონდა.

კაფეს წინ რომ გავიარე, ყავა მომინდა, მაგრამ არ შევსულვარ. ისევ წყლების მალაზიაში შევედი და ერთი კიჭა დავლიე. წყალი ცივი იყო და ნელ-ნელა ვსვამდი, თან ვიტრინიდან ქუჩაში ვიყურებოდი. მერე გამოვედი. სიარული მინ-

დოდა. მივიღოდი და მივიღოდი. რუს-თაველის მოედნამდე ავედი და მოვბრუნდი. ახლა ჭუჩის მეორე მხარეს გადავედი. ეს მხარე მთლიანად მზით იყო განათებული. სასიამოვნო იყო სიარული. შესვენების დამთავრებას ჯერ კიდევ ნახევარი საათი უკლდა.

ოპერის წინ ამხანაგი შემხვდა, უფრო სწორად, თანაკურსელი, თორემ ჩვენი ამხანაგობა სად თქმულა, ხეირიანად არცეი ვესალმებოდით ერთმანეთს. ახლა სწორედ ამან გამაკვირვა: დამინახა თუ არა, ჩემსკენ გამოეჭანა.

— ვაჟა, გამარჯობა. — გულის მეგობარივით გადამხვია.

— გაგიმარჯოს, — მივუვგე მე, — როგორა ხარ?

— კარგად, შენ? თუმცა შენ რა კითხვა გინდა?

— ვითომ?

— რა თქმა უნდა. სეირნობ?

— ჰო, შესვენება მაქვს.

— მშვენიერი ამინდია. უმალღესი განათლების კომიტეტში მუშაობ არა?

— ინსპექტორი ვარ, — გამეცინა მე.

— ძალიან კარგია, ძალიან კარგი, — თქვა მან, — მშვენიერად გაგიმართლა. ალბათ, თვითონ მეტრეველი მოგეხმარა არა?

— ჰო, კარგად იყო ჩემთან.

— ვიცი, ვიცი. ისე, — თვალი ჩამიკრა, — საქმე საქმეზე რომ მიდგეს ამხანაგები ზომ არ დაგავიწყდება.

— რას ამბობ!

— რაიმე ადგილი რომ გამოჩნდეს სადმე.

— შენ არ მუშაობ?

— კი, მაგრამ არ მომწონს.

— თუ რაიმე შემეძლება, სიამოვნებით.

— ჰო, მე დაგირეკავ-ხოლმე და თუ რაიმე გექნა...

— კარგი. ჩაიწერე ტელეფონის ნომერი.

უბის წიგნაკი ამოიღო და ჩაიწერა.

— ნახვამდის, — ვუთხარი მე.

— ნახვამდის, ნახვამდის ვაჟა...  
ორივე ხელი ჩამომართვა. წამოვედი. რატომღაც ფუჭდა. დიდხანს აღარ მივლია. ხუთმეტრი წუთით აღრე ავედი სამსახურში. კარები დაკეტილი დამხვდა. ოთარი და რამაზი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულყვნენ. მე მოაჯირთან ვიდექი და ვუცდიდი. წყალთა მეურნეობის მინისტრის ახალგაზრდა მდივანმა ქალმა კარები გამოაღო და ღიმილით მომესალმა. ეტყობოდა, საუბრის გაბმა სურდა, მაგრამ მე სალამზე ვუპასუხე და მაშინვე შემოვბრუნდი. მან უკმაყოფილოდ მიიხურა კარები. ჭკვევით კიბეზე ვილაღ მოხუცი კაცი სვენებ-სვენებით ამოდიოდა. „სად არიან აქამდე?“ — გავიფიქრე მე, — რა მჭამელი შეუძვრათ“. ფიქრს თავი დავანებე და დერეფანში გავიარე. მერე ისინიც ჩამოვიდნენ.

— ასე მალე? — თქვა რამაზმა.

— მომწყინდა.

— მარტოობამ ასე იცის.

— აბა, თქვენ არ წამოხვედით და...

— შევიდით.

კარები გავაღეთ და შევედით. ოთარი უნივერსიტეტში წავიდა. მე ჩემს მაგიდასთან დავჯექი. თავი მტკიოდა. მესმოდა, თუ როგორ აწრიბინებდა რამაზი კალამს და ეს უფრო მაღიზიანებდა.

— დღეს ხელფასია, — თქვა მან ისე. რომ თავი არ აუღია.

— ჰოო.

— შენ პირველად ღებულობ, არა?

— კი.

— გიხარია?

— ძალიან.

— კარგია. ოთხზე ავიდეთ და ავიდეთ. მანამ კი წავიემუშაოთ.

ტელეფონმა დარეკა. მე უჯრიდან ფორმები ამოვიღე.

— ვაჟა, — თქვა გამგემ.

— ბატონო!

— ერთი ეს შემანქანებებს მიუტანე გადასაბეჭდად.

— ეხლავე.

გამოღებული შუა უჯრა შევწიე და

გამოვართვი. დერეფანს გაუყუცი. მე-მანქანეები სულ ბოლო ოთახში ისხდნენ.

— გამარჯობათ, გოგოებო, — მივესალმე. სამნი იყვნენ და სამივენი ერთ თარგზე გამოპირილები: გამხდრები და ლამაზები. ჩაცმითაც ერთნაირად იცვამდნენ.

— ოჰ, ვაჟა, მადლობა ღმერთს, გამოჩნდი!

— როგორ არის საქმეები?

— ბრწყინვალედ. თქვენი, ბატონო ახლო ინსპექტორო?

— მადლობელი ვარ. ესენი უნდა გადამიბეჭდო, იზო!

— კი გენაცვალე, სასწრაფოა?

— ჰო, რა თქმა უნდა.

— დაჯექი.

— არა, წავალ, ცოტა ხნის მერე შემოვივლი.

— გეშინია ჩვენი? — გაეცინა ეთერიის.

— ძალიან, ხომ ხედავთ.

— კარგი, გოგო, ნუ გააწითლეთ ბავშვი, — თქვა ლეილა.

— მირევთ?

სამივემ ერთად გაიღიმა. ძალიან ლამაზად იღიმებოდნენ.

— წავედი, ნახევარ საათში მოვალ, — ვთქვი მე.

— როცა გინდა, — თქვა იზომ, — შენთვის ჩვენი ოთახის კარები მუდამ ღიაა.

— დიდებულთა, — ვუთხარი მე.

ისევ გაუყუცი დერეფანს. ოთახში შევედი თუ არა, რამაზმა ყურმილი მომაწოდა:

— ფუტკარაძე გირეკავს ინსტიტუტიდან.

ოთარიც მოსულიყო.

— ალო, — ჩავძახე ყურმილში.

— გოცირიძე ხართ?

— დიახ.

— გამარჯობათ. იცით, რაშია საქმე, ჩვენ მივიღეთ თქვენს მიერ გამოგზავნილი მე-9 და მე-10 ფორმები პედაგოგიური კადრების აღრიცხვისათვის, რიცხ-

ვი არ აწერია ზედ. როდისთვის უნდა დავაბრუნოთ?

— როგორ თუ არ აწერია ინსტიტუტის ხომ თან ახლავს?

— დიახ.

— წაიკითხეთ და იქ ეწერება.

— ო, უკაცრავად, არ წაიკითხავს, ბოდიში.

— ნახვამდის.

— ნახვამდის, ბოდიში, ბატონო.

ყურმილი დავეიდე.

— აი ხალხი, — თქვა ოთარმა, — არაფერს არ კითხულობენ, სულ ტელეფონზე არიან ჩამოკიდებულები.

— ამ ფუტკარაძემ მაინც ხომ გავვიწრო სისხლი, — თქვა რამაზმა.

— მალე დაამთავრებენ ბეჭდვას? — იკითხა გამგემ.

— ნახევარ საათში, — ვუთხარი მე.

— კარგი, რამაზ, მოდი ერთი ამ სპირანტურის საქმეს მოვრჩეთ, ბარემ.

— მოვრჩეთ, მოვრჩეთ შალვა დიმიტრიძე, — წამოდგა რამაზი.

— ვაჟა, არ დაგავიწყდეთ, მიაკითხეთ მერე, — სათვალეები გაიკეთა გამგემ.

— კი ბატონო.

— აბა დავეწყით.

მე ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების ფურცლების გადათვალთვრებას შევეუდექი. გამგე და რამაზი საანგარიშოს უკაკუნებდნენ. ცოტა ხანს ვიმუშავე და მერე ისევ მბეჭდავებთან წავედი.

— მოათავეთ?

— უჰ, რამდენი ხანია.

— აბა, მომეცით.

— აბა.

ფურცლები ავიღე და კარებისაკენ გავემართე.

— შეხედე, გოგო, მადლობასაც კი არ ამბობს.

— გმადლობთ, გმადლობთ, — გამეცინა მე. ისევ ჩემს მაგიდას დავუბრუნდი. დრო ნელ-ნელა გადიოდა. ოთხ საათზე რამაზი მუშაობით იყო გართული და მარტო ავედი ბულალტერიაში ხელფასის მისაღებად. იქ ჩვენი ტაბელის

უფროსი თადარიგის პოლკოვნიკი ლატიშევი და პარტორგანიზაციის მდივანი დამხდნენ.

— პირველი ხელფასია? — გაეცინა მდივანს.

— პირველია.

მოლარე ახალგაზრდა ბიჭი იყო. იგი ჩვენი კომიტეტის თავმჯდომარის ხელფასს ითვლიდა.

— ესეც ასე, — თქვა და გვერდზე გადადო.

მე ჩემი კუთვნილი მივიღე. მერე ქვემოთ ჩავედი და თავმჯდომარის მისალეზიდან ამხანაგს დავურთვე.

— ალო, რადიოკომიტეტი?

— დიას,

— ნოდარი მინდოდა.

— ნოდარი გახლავართ.

— მე ვაჟა ვარ, როგორ არის საქმე?

— დიდებულად, სად ხარ.

— სად ვიქნები! — გაეცინა, — მთავრობის სახლში.

— ოჰ, იტრაბახე, იტრაბახე, დიდი კაცი გახდი უკვე.

— აბა რა. ვამოდი, დავლიოთ რამე.

— ნახევარ საათში მოვალ.

— ახლა რას აკეთებ?

— ერთი ავტორის სტატია მაქვს. ახალი მოპირული ნაჯახი გამიფუჭა მისმა ჩეხვამ.

— მაინც რა თვალსაზრისით ჩეხავ, ლიტერატურულად თუ მეცნიერულად.

— ჩემი თავის ამბავი არ იცი?

— როგორ არა... — დღეს ხელფასი ავიღე. — ვუთხარი მე.

— აჰ, პირველი ხელფასი?

— ჰო.

— როგორია განწყობილება?

— შესანიშნავი. „სამაიაში“ ვიქნები.

— კარგი, ნუ მაცდენ ახლა, დაკიდე მილი.

— აჰა.

ყურმილი დავდე და ჩვენს ოთახში შევედი. გამგემ ღიმილით შემომხედა.

— აიღეთ?

— დიას.

— როგორია პირველი ხელფასი?

— დიდებული.

მაგიდასთან დავჯექი და დავფიქრდი. ძალიან მინდოდა მეგრძნო ჩემს ხალხს ეს ხალხი მეუბნებოდა, მაგრამ ვერ ვიგრძენი. ჯერ ვიფიქრე, დედას ვუყვიდი რამეს საშახსოვროს-მეთქი. მერე ციცი-ნო გამახსენდა, მერე სხვაც. ზოლოს ყველაფერმა ამან თავი მომაბეზრა. იმდენჯერ წამიკითხავს ასეთი გულის ამაჩუყებელი ამბები, რომ სხვანაირად არც შემეძლო. გრძობით კი მაინც ვერაფერი ვიგრძენი. ზოლოს ფიქრს თავი დავანებე და ფანჯარაში გავიხედე. ფანჯრებში მზე ჩადიოდა და მე კვლავ გამახსენდა რაღაც. „რას მაგონებს ეს ყველაფერი? — ვფიქრობდი მე და გამგეს შეეყურებდი. მომწონდა ეს კაცი. ასე 50 წლის იქნებოდა, ბრგე, ახოვანი. სანამ აქ მოვიდოდა, რომელიღაც რაიონში მუშაობდა თურმე რაიკომის მდივანად. ძალიან სიმპათიური კაცი იყო. უყვარდა ზოლმე თავის მდივნობის დროინდელ ამბებზე ლაპარაკი. როცა მოცლილი ვიყავით დავგვიღებოდა და გველაპარაკებოდა. ლაპარაკობდა აგრეთვე ოთხი წლის შვილიშვილზე და უმცროს გოგოზე, რომელსაც მანქანა უყვიდა და ახლა მართვას ასწავლიდა. ისეთი სუსტია, ისეთი კაფანდარა — მანქანას კა ალქაჯივით დაატარებსო. ბედნიერი მამა იყო და კიდევ უფრო ბედნიერი ბაბუა. ჩვენც გვეღებოდა ზოლმე რაღაც მისი სიხარულის, როცა ლაპარაკობდა. ტელეფონმა დარეკა. გამგემ მე გადმომცა მილი.

— გულ იივინგა: — მომესმა ქალის ხმა.

— მზია.

— როგორ ხარ?

— დიდებულად.

— ახლავე ჩამოდი.

— რა იყო?

— ჩამოდი.

— რა დაგემართა, არ იტყვი?

— ო, ნუ მკითხავ, ჩამოდი ვაჟა.

— მოვდივარ.

— გელოდები ქვემოთ, ტროლეიბუსის გაჩერებასთან.

ყურმილი დავკიდე.



- რა ამბავია? — იკითხა გამგემ.
- უნდა წავიდე.
- როგორც გინდათ.
- გმადლობთ.

მავიდის უჯრები ჩავეტე და გამოვედი. ხუთის ნახევარი იყო. ნახევარ საათში ნოდარიც მოვიდოდა „სამიასთან“.

II

მზია მარტო არ იყო — გივისთან ერთად მიცდილა.

— საძაგელი გოგო ვარ, — თქვა მან, — სულ ტყუილად მოგიყვანე.

— რა იყო? — გივის ჩამოვართვი ხელი.

— არაფერი, ძალიან მომენატრე და აქ რომ გამოვიარე, თავი ველარ შევაკავე.

— რას მამბითურებ.

— დამიჯერე, ვაჟა, საძაგელი გოგო ვარ.

— მე კი თავი მისკდება.

— საწყალი ბიჭი, — თქვა მზიამ, — სად დაიკარგე ეს ორი დღეა?

— მართლა ძან მოგვიძულე, — თქვა გივიმ.

მე უცებ გავბრაზდი.

— უკვე ერთად ცხოვრობთ?

— იპ, — გაეცინა მზიას, — ჯერ სად ხარ. ხომ არ მიჯაფრდები? სახინკლეში ვიყავით, იცი რა კარგი იყო? — ხელი გამომდო მზიამ, — ხალხი სულ ჩვენ მოგეჩერებოდა: ასეთი კარგი გოგო სად გამოიჭირაო, — ფიქრობდნენ. მე კი ნაზად ვიდექე; სასმელსაც ნაზად ვწრუპავდი და ხინკლასაც ნაზად მივირთმევდი. გულზე სკდებოდნენ, ხომ სკდებოდნენ გივი?

გვერდით მოწყვებოდა და რაღაც სისულეებს მელაპარაკებოდა. წარმოშობით ხევსური იყო, მაგრამ სრულებითაც არ ჰგავდა ხევსურს. გამზდარი იყო და თმა ვაჟურად ჰქონდა შეკრეჭილი. მხოლოდ თვალები ჰქონდა ცისფერი — ხევსურული.

— გეწყინა, ტყუილად რომ ჩამოგიყვანე?

— არა.

— გეწყინა. მე კი, ჩემს წარგულსა და ლიან მომენატრე.

— ვიცი.

— ჩვენი მესამე ძმა — ვაჟაც ძალიან მომენატრა, გურული ვაჟა.

— მეც.

— გივი შენ ხომ იცნობ ვაჟას?

— როგორ არა.

— მე, ეს ვაჟა და ის ვაჟა შარშან გავიფიცეთ ძმებად. ამითი ხათრით მეც ვაჟა დავირქვი.

— ხარ კიდევ ვაჟა, — უთხრა გივიმ. სრულებითაც არ მომწონდა ეს ბიჭი. რაღაცნაირი თვითდაჯერებული იყო. მერე კიდევ ეს ავტორიტეტული ტონით ლაპარაკი მზიაზე და იმერული კულაბზიკობა! გული აგერეოდა კაცს.

— არ უნდა წასულიყო სოფელში სამუშაოდ, — თქვა მზიამ, — ინგლისურად უნდა განანათლოს ქვეყანა. საშინელება!

— შენ თვითონ რას აპირებ?

— გაუთხოვდები და ის იქნება.

— მე გთხოვლობ თუ არა, არ კითხულობ? — გაეცინა გივის.

— არ წამიყვან და ვილაცას გაგაჩერებ ქუჩაში და გავყვები, — გაიცინა მზიამ.

— ნუ სულელობ, „სამაიაში“ წავიდეთ.

— „სამაიაში“ რა გვინდა?

— იქ ერთი ჩემი ამხანაგი მელოდება.

— მე სულ დავხარჯე, — თქვა გივიმ, — კაბიკი ფული არ მაქვს.

— ო, ეს ეკონომისტები, — თქვა მზიამ.

— ნუ გეშინიათ, — დავამშვიდე მე, — მე მაქვს. ხელფასი ავიღე დღეს.

— პირველი? გვიქვიფნია აბა, — გაეცინა მზიას და შემდეგ: — ის შენი ამხანაგი ვინ არის?

— კარგი ბიჭია.

— რა პროფესიისია-მეთქი.

— ეურნალისტი.

— იდეალურია, — თქვა მან, — შენ ინჟინერი, გივი — ეკონომისტი, მე — ინგლისური ენის სპეციალისტი, ის კუ-



რნალისტი. რამდენი ისტია... ჰელო, ტაქსი!

— არ გინდა, — ვუთხარი მე, — მოვედით უკვე.

ნოდარი სულხან-საბას ძეგლთან მიცდიდა. არც კი ვაპკვირვებია, სხვებთან ერთად რომ დამინახა, შემოგვევება და შინაურულად გავვიბა ლაპარაკი.

— მშვენიერი ამინდია. თქვენ რას იტყვი, ქალიშვილო? — მიუბრუნდა მზიას, — როგორ ბრძანდებით.

— დიდებულად, თქვენ მე მიცნობთ?

— ო, ნუთუ დაგავიწყდით უკვე? ოქსფორდის უნივერსიტეტი ერთად არ დავამთავრეთ?

— აჰ, — გაეცინა მზიას, — გამაზსენდა. თქვენ იყავით პირველ კურსიდან რომ გამოგრიცხეს? წარმოიდგინეთ — ქლასეს და ლასეს ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან.

— ეს ქლასეს და ლასეს რაღაა, — ვკითხე მე.

— ქლასეს — კლასელია, ლასეს გოგოები. — ამიხსნა მზიამ, — პროფესორმა გამოიძახა ეს და უთხრა კლასები დამიწერეო, ამან კი ლასეს დაწერა.

— მე ლასეს მირჩევნია, საერთოდ, — თავდაბლად განაცხადა ნოდარმა.

— გეყოფა ახლა, შევიდეთ, ყელი მიშრება.

— ამით არ გამაცნობ?

— ჰო. მართლა, — გამეცინა მე, — შენ რას არ დაავიწყებ კაცს. მზია გოგოპური, გივი გუბელაძე.

ნოდარმა ღიმილით ჩამოართვა ხელი ორთავეს. გივი აფხორილი იყო. მე შევხედე და მესიამოვნა რაღაც. ყველანი რესტორანში შევედით.

— რა დავლიოთ? — ვკითხე მე, როცა მაგიდას შემოვუსხედით.

— სულ ერთია.

— სულ ერთი როგორაა.

რესტორანი საზაფხულო იყო და ციოდა ცოტა.

— ჩქარა მოვატანინოთ რამე, თორემ გავიყინე, — თქვა მზიამ.

— აჰ, შაპატიეთ. რას ინებებთ, ქალიშვილო? უკეი, მეგობარო, გასძახა ოფიციანტს, — მოგვხედე, — ოფიციანტი მოვიდა. ბრვე ჩაფსკენილი ბიჭი იყო და სულ არ უხდებოდა თეთრი ხალათი. ნოდარმა დაუკვეთა და მერე ისევ მზიას გაუბა ლაპარაკი. მე გივის ვესაუბრებოდი.

— ძაან დატვირთული ვარ, — თქვა მან, — ძნელი ყოფილა მეცნიერ მუშაობა.

— გეტყობა. ასპირანტურაში არ აპირებ?

— რად გინდა. მგელაძემ თქვა: ერთ წელიწადში მინიმუმს ჩაგაბარებინებ და ეგრევე მოგცემ კანდიდატის ხარისხსო.

— ეგრევეო?

— კარგად არის ჩემთან.

— აშენებულხარ.

გივიმ ფრჩხილებზე გადაიღვა ხელი.

— ეს მირევს ცოტას.

— რას გირევს?

— ხომ ხედავ როგორია, — მარტვილის სახე მიიღო. მე გამეცინა.

— ვხედავ. არც თუ ისე ბედნიერი ქმარი იქნები.

— შეც მაგას ვჩივი. ახლა კიდევ უმუშევარია. მარტო ჩემი ხელფასი რას იქმარებს? იქნებ შენ მომიხმარო ცოტა.

— მე რა შემიძლია?

— სადმე ინსტიტუტში ლაბორანტად იქნებ მომიწყო.

— შენ მოგიწყო?!

ბევრი იწილო-ბიწილოს თავი არ მქონდა.

მზიამ ხმამაღლა გადაიკისკისა.

— რა გიხარია, — ვკითხე მე.

— მშვენიერი ამხანაგი გყოლია, — გაბრწყინებული თვალებით შემომხედდა, — რატომ აქამდე არ გამაცანი?

— არც ახლაა გვიან.

— ეგ რატომ მითხარი?

— ისე, აბა რა უნდა მეთქვა?

მზიამ უცებ მოიწყინა. მე გვერდით მივეუკეპი და ხელი ხელზე დავადე.

— გეხუმრე.

— ყველაფერს არ ამბობ, ვაჟა.  
 — ყველაფერს ვერც ვიტყვი.  
 — დავლიოთ, რას ვუყურებთ, —  
 თქვა გივიმ.  
 — ბედნიერი სითხეა, — გაეცინა  
 ნოდარს, — ძარღვებში მზესავით გე-  
 ფინება.  
 — ლუდი? — გამახსენდა მე.  
 — ჯერ ეს, ლუდი — მერე, —  
 ჰეი, ლუდი, — დაუძახა ოფიციატს.  
 — თამადა მე ვიქნები, — თქვა მზიამ.  
 — აბა შენ იცი.  
 — ხევეურულად თქვი, — უთხრა  
 გივიმ.  
 ოფიციატმა ლუდი მოიტანა. მზიამ  
 თქვა:  
 — იცოცხლეთ ვაჟებო, გაგიმარჯვასთ,  
 გიცოცხლოსთ თავისიანებ, მტერ დაგი-  
 მარცხასთ.  
 გივი შეფრთხინვით შეკუყრებდა.  
 ნოდარმა თქვა:  
 — ხევესური ხართ? მეც ვყოფილ-  
 ვარ ხევესურებში. კარგი წინდები ვი-  
 ყიდე იქ.  
 — მე გამეცინა.  
 — რას იცინი. დიდებული წინდებია.  
 ხალიჩასავეითაა. მთელ მსოფლიოს უნ-  
 და აჩვენო ეს წინდები. — და მერე  
 აღაღადა: — ჰოი, ხევესურულო წინ-  
 დებო, სალამი თქვენდა. ტყე-ველს ვუ-  
 გალობ თქვენს დიდებას სულით და  
 ზორციით. რა იქნებოდა მთა უჯიხვოდ,  
 ბარი — უმთვაროდ, ტაშტი უწყალოდ  
 ან ხევესური წინდებგახდელი?  
 — აბა, აბა, — თქვა მზიამ სიცი-  
 ლით.  
 — გეყოფა, ახლა ჩვენ ვილაპარა-  
 კებთ შენს მაგივრად, — ვუთხარი მე.  
 — ქალბატონო თამადავ, დავლიოთ?  
 კიდევ ერთი ბოთლი გავხსენით და  
 დავლიოთ. მეზობელ მაგიდიდან სიმ-  
 ლერა ისმოდა, თეთრხალათიანი ოფიცია-  
 ტები მალ-მალ დაჰქროდნენ აქეთ-  
 იქით.  
 — ვაჟას ხსოვნა იყოს, — თქვა  
 მზიამ.  
 — ამისი? — ქათმის ფეხი მომაშვი-

რა ნოდარმა, — სასუფეველი დაუმე-  
 ვიდროს ზეცაში ღმერთმურყენულში  
 — არა, მეორესი, გურჯლანში მისი  
 — არც იმას აწყენს სასუფეველი.  
 — სასუფეველს სიმღერა ჯობია,  
 თქვა გივიმ.  
 — მოდი, მართლა ვიმღეროთ რამე?  
 — გურული ვაჟას ხსოვნა იყოს, —  
 თქვა მზიამ, — მე ვიმღერებ მის ნაცი-  
 ონალურ სიმღერას ინგლისურად —  
 „მე ვარ სიმონა დოლიძე“ და შემდეგ:  
 „ფა ფრომ ოლ მია ფრენზ აი როუმ  
 აი, სიმონა დოლიძე.  
 სიქს ჰოულ იზ აი ნოუ ნოუ ბედ,  
 აი, სიმონა დოლიძე.  
 ახლა ნოდარიც რაღაცნაირად მისჩე-  
 რებოდა.  
 ოფიციატი ვისმე და დანახარჯი  
 გადაეხადე. ნოდარმა დამინახა და რა-  
 ლაც გაახსენდა. ერთი ჭიჭა ღვინო  
 ძლივს გამოწურა ბოთლებიდან.  
 — ამხანაგებო, — ფეხზე წამოდგა.  
 — გაუმარჯოს ჩვენი აქ თავშეყრის  
 მიზეზს — ვაჟა გოციარიძის პირველ  
 უმანკო ხელფასს.  
 — კაი დროს გაგახსენდა, — გამე-  
 ცინა მე.  
 — როგორი წალმართიანიც ხარ,  
 ისე წალმა მიდის შენი ცხოვრება.  
 — წავედიო. — ვთქვი მე. — სამად-  
 ლობლად ესეც მეყოფა.  
 — ვაჟა გამაცილე, — თქვა მზიამ,  
 კარგად იყავით ბიჭებო.  
 — ნახვამდის, — თქვა ნოდარმა, გი-  
 ვიც მასთან დარჩა. მე მზიას ხელი ვა-  
 ვუყარე მკლავში და წავეყვანე. ისი-  
 ნი ისევე ერთად იდგნენ და გვიყურებდ-  
 ნენ.  
 — ერთი ეს მითხარი, რა კაცია ეს  
 გივი, — ვკითხე მზიას.  
 — რა კაცი უნდა იყოს.  
 — მართლა მიჰყვები ცოლად?  
 — ჰო.  
 — გიყვარს?  
 — არა, — გაეცინა მას.  
 — აბა ვინ გატანს ძალას.  
 — არავინ. მე თვითონ მინდა ასე.

9407

საწყალი ბიჭი. პირველი კურსიდან ვყვარებივარ. ადრე ვერ მიმხელდა, ახლა გამომიტყდა.

— კარგი საქმეა.

კიბეებს აყუევით და ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე გავედით. ტროტუარი გადათხრილი იყო და მზია სულ ჩამოკონწიალებული მიმყავდა. მოვიქანცე. ძლივს მივაღწიეთ სახლს.

— ნახვამდის, ძვირფასო, — მითხრა მან და მაკოცა.

— არ შემოგყვე?

— არა.

— ნახვამდის.

წამოვედი და ტაქსი დავიჭირე. არც მაინცდამაინც ცუდ გუნებაზე ვიყავი. შინ ჩემი დიასახლისის ნათესავმა გოგომ მითხრა — შენთან ვილაც ციცი-ნო იყო. მე არაფერი არ მითქვამს. უხმოდ შევედი ოთახში. ისიც შემომყვა.

— კარგი გოგო იყო, — თქვა მან.

— მართლა? რაო?

— ხვალ მოვალ, საღამოსო.

— შენი გამოცდების საქმე როგორ მიდის?

გაწითლდა.

— კარგად.

— რამდენი ჩააბარე?

— სამი, მათემატიკალა დამრჩა.

— სუ გეშინია, წავიმეტადინებთ და ჩააბარებ.

— გმადლობთ, პერანგები გაგიბრეცბეთ, კარადაში ჰყიდია.

— ძალიან კარგი გოგო ხარ.

— უიმე, რას ამბობთ.

მე გამეცინა.

— ჩაი არ გინდათ?

— არა. საკმარისად ნასვამი ვარ.

— კარგად იყავით. — მაინც იდგა.

— დაჯექი.

— არა, უნდა წავიდე. ნათესავია?

— მკითხა გაუბედავად.

— ვინ?

— ციციწო.

— არა, — გამეცინა, — შეგობარია.

მართლა მოგეწონა?

— ძალიან კარგი გოგოა. ნახვამდის.

— ნახვამდის.

გავიდა. მე მაგიდაზე დავჯექი და თავი ხელებში ჩაერგე. მთელი ღამე ყავი და ყველაფერი ტრიალებდა ირგვლივ. ავდექი და ფანჯრები გამოვალე. ვერც ამან მიშველა. აივანზე გავედი დიდებულად ჩანდა უთვალავი ნათურებითა და რეკლამებით განათებული ქალაქი. ჩემი აივნის პირდაპირ სპორტის სასახლის თეთრი შენობა აღმართულიყო. როცა ამ სასახლეს ვუყურებ ყოველთვის ვშვიდდები ხოლმე. რაც უნდა აწეწილი შქონდეს ნერვები. მაშინვე დავმშვიდდები. სანამ ინსტიტუტს დავამთავრებდი, სულ ასეთი რაღაცეების აგებაზე ვოცნებობდი. დავხუჭავდი თვალს და ოცნება ცხადად იქცეოდა. ხშირად მინატრია, როდის დავამთავრებ უშალღესს-მეთქი. მერე კი, როცა მართლა დავამთავრე, მივხვდი, რომ ოცნება ბავშვების საქმეა.

ოთახში შემოვბრუნდი, მაგიდის ლამაზი ჩაერთე და რომელიღაც წიგნის კითხვა დავიწყე. რატომღაც არ მეძინებოდა. ქვევიდან მანქანების ღმუილი ისმოდა. რაღაც განსაკუთრებული ძრავის მანქანამაც გაიარა ტრაბტრაბით. მერე ცოტა ხნით მიწყნარდა ხმაური. მე ისევ დავიწყე ფიქრი. ჩვენი კომიტეტის თავმჯდომარეზე ვფიქრობდი. დიდებული ადამიანია-მეთქი. ყველა სუფრაზე, ყველა კარგი კაცის საღვთაღვთოს მისი თამაღობით ვსვამდი ყოველთვის. იმიტომ კი არა, რომ სამსახურში მომაწყო! ადრეც ვსვამდი, სანამ სამსახურს დავიწყებდი. მის ლექციებს ყოველთვის სიხარულით ვესწრებოდი. ეგ კი არა, ისეთებიც მოდიოდნენ, აზრზე რომ არ იყვნენ, თუ რა იყო მათემატიკა.

ძილი კიდევ უფრო გამიერთა. ფრანგული წიგნი ავიღე და იმის კითხვა დავიწყე. იქნებ დავილალო და ჩამეძინოს მეთქი. საძაგლობაა პირდაპირ. ვერცერთი უცხო ენა ვერ ვისწავლე. მთელი გულმოდგინებით ვცდილობ, მაგრამ არაფერი გამომიდის. ინგლისურ-

შიც ვცადე ბედი მზიას ხათრით, მაგრამ არც ამან მიშველა. შეიძლება ლინგვისტის ნიჭი არ მაქვს და იმის ბრალია, რა ვიცი.

ქერი დატრიალდა, კედლებმაც იწყეს დაფერდება. მე ლამაზა ჩავაქრე და დავწეკი. ხელად ამუშავდა ტვინი. მზიაზე ვიყავი გაბრაზებული — სულელი ვინმეა-მეთქი. მაინც რა ჯანდაბისათვის მიჰყვება იმ გივის? რა მოსწონს მისი.

მერე ვეაყ გამახსენდა. რა კარგი მეგობრები ვიყავით. დაამთავრა და სოფლისკენ მოლსუა. „ინგლისურად ანათლებს ქვეყანას“. ქვეიანი ბიჭია. მზიაც სწორედ მან გამაცნო. ისინი ერთად სწავლობდნენ. ცალცალკე ორივესი კარგი მეგობარი იყო და სანამ გავიცნობდით, მანამდეც ბევრი რამ ვიცოდით ერთმანეთის. მერე, ის იყო — ძმის ქორწინში დაგვაბრტყა ორივე. იქ მოხდა ჩვენი ისტორიული შეხვედრა. სულ სამი დღე ვიყავით ერთად და ხელად გავეუგეთ ერთმანეთს. მერე შემოქმედის ტაძარზე ავედით და იქ ხევსურული წესით ძმებად გავიფიცეთ. მზიასაც სწორედ მაშინ დავარქვით ვეა. საღამოს უკან დავბრუნდით. ფეხით მოვდიოდით. ჩამავალი მზის შუქზე განუმეორებელი გურული პეინსაჟი იხატებოდა გზის გადღამა, ნოყოში, ბაყაყები ვალობდნენ:

— ყუა, ყუა!

ზემოდან ვილაც გლები მოდიოდა ურმით. მე რამდენიმე წუთით გზიდან გადაეუხვიე და როცა კვლავ გამოვედი, ის გლები უკვე ახლოს იყო ჩემთან. ვეაისთვის და მზიასთვის გვერდი აველო. ისინი წინ მიდიოდნენ ერთად.

— ძამა-მითხრა მან, როცა გამიპირისპირდა, — ვინ ხარ შენ?

— ტურისტი, — გამეცინა მე და აპარატი მხარზე გადავიკიდე.

ურემი გზას განაგრძობდა. გლებს აცქვეტილი ულვაშები ჰქონდა და წინდებში ჩატანებული გალიფე ეცვა. სახრე ხელებსა და ხელებს შორის მო-

ექცია და ზურგზე შემოედო. ეშაყურად მიყურებდა, შუახნისა ცაცხე ნიჭი. — აბა, ეგ მე არ ვიცი, ტურისტო ხარ თუ რაცხა. იმ ახალგაზრდებს კი ხელს ნუ შეუშლი ბიძია, მიხვდი? გამეცინა.

— მაგაზე როგორ გაწყენინებთ, — ვუთხარი, — ახლავე მანქანაზე დავჯდები და წავალ. ისინი ფეხით მიდიან.

— ფეხით მიდიან და ფეხით უნდათ წასვლა. შენ კი რას მისდევ. გაუშვი.

— დავჯდები და წავალ.

— გენაცვალე სიტყვა-პირში, მიდი აბა.

წინ წასულ ურემს ვაპყვა. — ბოდიში, ბიძია, — დამიძახა.

მე გზა განვაგრძე და, როცა მზიას და ვეას წამოვეწიე, ბევრი ვაცინე ისინიც. თანდათან მელულებოდა თვალები. ვგრძნობდი, რომ მეძინებოდა, მერე ჩამეძინა კიდევ. შუალამისას გამომეღვიძა და გავიგონე, როგორ ქროდა ქარი. სასიამოვნო იყო თბილ საწოლში წოლა.

### III

დილით ადრე ავდექი, პირი დავიბანე და სამხარეულოში გავედი. ჩემი ღიასახლისის მამა, პაპა ილო, მაგიდასთან იჯდა და ჩაის თეფშით სვამდა. თან შიგ პურიც ჩაეფშვანა.

— დილა მშვიდობისა, პაპა, — მივესალმე მე.

— აი, გაგიპარჯოს!

— როგორ ხართ?

— ინგრე, როგორც მოყვარეს გეხარდება.

— ხომ არ მოგწყინდათ თბილისში?

— მაშა.

— კიდევ ერთი გამოცდა დარჩა რუსიკოს და შორჩა.

— პოდე, მერე წავალთ კიდევ სოფელშია.

— შენი იმედი გეაქვს, — გამოვიდა ჩემი ღიასახლისი, — მათემატიკა უჭირს.

— ნუ გეშინიათ, დეიდა მარო, მოვახერხებთ რალაცას, — დავამშვიდე მე, — წავამეცადინებ.

რუსიკომ ჩაი გამოიტანა.

— გამარჯობათ, — მორცხვად დადგა ფინჯანი.

— გავიმარჯოს.

ჭიქა გამოვართვი და შაქარი ჩავეყარე. ჩაი მაგარი იყო და ცხელი, ვსვამდი და გარეთ ვიყურებოდი. გარეთ მზიანი დარი იყო. თბილოდა.

— რამდენი წლის ხართ, პაპა? — ვკითხე პაპა ილოს.

— ოთხმოცდა რვისა.

— აჰჰ.

— ბევრია?

— ბევრი.

— მაშა, — თქვა მან, — სამ მთავრობას მოვესწარი ჩემს სიცოცხლეშია.

— საამს?

— მაშა; ნიკოლაის, მენშევიკების და აგერ ბოლშევიკებისაც.

ჩაი ამოხვრია პაპამ და ახლა ჩაფშვნილ-ჩამბალ პურს კოვზით დაუწყო ჭამა.

რუსიკო ჩემს გვერდით იჯდა და ჩაის სვამდა. ხელის განძრევას არცკი მაცდიდა. თუკი რაიმე დამპირდებოდა, ზეღად მომაგებებდა. ძალიან კეთილი გოგო იყო. საშუალო წელს დაუმთავრებია და აი, პაპა და შვილიშვილი ახლა ერთად ჩამოვიდნენ უმალესში გამოცდების ჩასაბარებლად. ყველა საგანი კარგად ჰქონდა მომზადებული და კარგადაც ჩააბარა, მაგრამ მათემატიკაში მოიკოჭლებდა ცოტას. ძალიან კი უნდოდა უმალესში მოწყობა. ნეტა თუ მოვესწრები სტუდენტობასო, ისეთნაირად ამბობდა, გული მოგეწურებოდა. ერთი სოფლელი გოგო იყო, ობოლი. დედ-მამა სამამულო ომში დაღუპვია და პაპას გაუზრდია. ახლა მის მეტი არც არავინ ჰყავდა.

— დღეს საღამოს ისევ ვიმეცადინოთ ხომ? — ვკითხე მე.

— დიახ.

— ისინი, რაც ამოგინიშნე წიგნში, ხომ ისწავლე?

— კი.

— კარგია, დღეს სხვა წიგნებსაც შევისწავლით.

დეიდა მარომ პური დაჭრა.

— შენ იცი, შვილო, ვაჟა. შენს იმედზე ვართ.

მე ჩაის სმა დავამთავრე და წამოვდექი.

— ამ საღამოს ციციწო რომ უნდა მოვიდეს? — თავნალუნული მკითხა რუსიკომ.

გამეცინა.

— არა უშავს, იმის მერეც მოვასწრებთ.

— ციციწო ვინაა? — იკითხა დეიდა მარომ.

— გუშინ რომ გოგო იყო.

— ჰო, მართლა, — თქვა მან, — ვინ არის ვაჟა ის გოგო?

— ჩემი ამხანაგია.

— ამხანაგი? — ჩაიცინა დეიდა მარომ, — თუ სხვა ვინმე, ხშირად დადის რალაც.

— მოგწონთ?

— ძალიან კარგი გოგოა.

რუსიკომ თავი ასწია.

— ხშირად როდის დადის მამიდა, გუშინ იყო მარტო.

— შენ რა იცი?

— რა ვიცი.

— წავედი, — ვთქვი მე, — მაგვიანდება. კარგად იყავით პაპა.

— კარგად, კარგად.

პორტფელი ავიღე და ქუჩაში გამოვედი. სპორტის სასახლე მზის ოქროსფერ შუქში გახვეულიყო და დიდებულად ჩანდა; მე ავტობუსში ჩავჯექი.

სამსახურში მაგვიანდებოდა.

რამაზი და ოთარი გაზეთს კითხულობდნენ. მე მივესალმე და პორტფელი მაგიდაზე დავდე. ოთარმა „ლელო“ მომაწოდა. გამგე ჭერ კიდევ არ მოსულიყო.

დავჯექი და გაზეთის თვლიერება დაეიწყე. წაეკითხე ფეხბურთის ინფორმაციები და ქრონიკები. დამაინტე-



რესა ქაღრაქმაც. გაფრინდაშვილი პას-ტინგის ვაჟთა ტურნირში აპირებდა მონაწილეობის მიღებას. მერე სხვა წვრილ-წვრილი ამბები გადავიკითხე. ლანჩხუთის „გურიას“ დიდი ანგარიშით დაუმარცხებია ტყიბულის „მე-შახტე“, ხოლო ბრუმელი იმ სიმაღლეზე გადასტარა, რომ ყველას აშკარად დაუნახავს მისი სპორტული უპირატე-სობა და მსოფლიოს № 1 სპორტსმე-ნადაც დაუსახელებიათ. ამასობაში გამგეც მოვიდა. მოგვესალმა და მანაც გაზეთის თვალეირება დაიწყო. ცოტა ხანს ასე კოლექტიურად ვკითხულობ-დით. მერე გამგემ გაზეთი გადასდო და ჩვენც სამუშაოს მივუბრუნდით ხე-ლად. მე ფურცლები მქონდა დასახაზი და ისე კარგად დავხაზე, გამგე ნასია-მოვნები დარჩა. მერე შიგ ციფრების გადატანა დავიწყე. კარგად არცვი ვი-ცოდი, რას ვაკეთებდრ.

შესვენების დროს ნოდარმა დარეკა.

— მთავრობის სახლია? — იკითხა მან, — გოცირიძეს თხოვეთ.

— გოცირიძე გახლავართ.

— აჰ, პატივცემულო ვაჟა, როგორ ბრძანდებით!

— მშვენიერად. ძაან ვსვით გუშინ.

— მიცანი? ჩამოდი ვისადილოთ.

— უხერხულია. აქ ბიჭებს სხვანაირად ეგონებათ.

— მართალი ხარ, ვაკევე თითს.

— სად იყავი აქამდე?

— ერთ ტიპთან, მასალების ასაღე-ბად.

— ვინ ტიპია?

— არის ერთი, დაბაზამოშვებუ-ლი ტიპი. ქარხნის დირექტორია. გაფუყული იჯდა რომ შევედი. „ეურნა-ლისტები ინტერვიუს მისაღებად მოვიდ-ნენ“ — გალობდა დაბაზის სამივე ნა-კეცი. მოწყალედ შელაპარაკებოდა. მე კი ჩემთვის დავცინოდი გულში. კარგია ცხოვრება.

— კარგია, კარგი, — გამეცინა მე.

— როგორ ხარ, როგორ განწყობი-ლებაზე? — მკითხა მან.

— დიდებულად ვარ.

— მართლა, ის გოგო ვინ იყო?

— მზია?

— ჰო.

— ჩემი შეგობარია.

— ღმერთივით გოგოა, თვალი დამრ-ჩა ზედ.

— არ არის საჭირო.

— რატომ? მე ასეთი რამეებიც შე-ხერხება. გამიჩარხე საქმე.

— არაფერი შეგეშალოს.

— ვაჟა, — დამეღრიჯა, — ხომ იცი მე შენ როგორ მიყვარხარ?

— ვიცი, ვიცი რა სიყვარულობანაც აგიტყდა. მაგრამ რა ვქნა, ძმაო, და-კავებულაა უკვე.

— როგორ თუ დაკავებული, კეუი-დან არ შეშვალა.

— არ მოგიყვია გივი წუხელის? მას მიპყვება.

— გივის?

— ჰო.

— ვაი, ჩემს თავს. ეს არის საქმე? რომელი ქალიც კი მომეწონება ყველა გათხოვილია, ან, ის-ის არის, თხოვდე-ბა.

— გულს ნუ გაიტებს.

— ეჰ, ლასსეს, ლასსეს, წავალ ახლა ლუდს შინც დავლევ, თორემ არაა საშ-ველი.

— მიდი, მიდი, გული გავიგრილე.

— კარგად იყავი. — ხელად გაუ-ფუჭდა გუნება.

— კარგად იყავი.

ყურმილი დავკიდე და ზევით ავედი ბუფეტში. ოთარი და რამაზი უკვე წა-სულუბი იყვნენ. ეს ერთიც წამოეგო კიდევ ჩანგალზე. თუმცა ნოდარის ამბავი რომ ვიცი, მინცდამაინც არ მოიკლავს თავს დარდით. გულის ყვე-ლა კარი ღია აქვს. აქედან თუ რამე შევა, იქედან გავა. შიგ არაფერი არ გა-ჩერდება დიდხანს.

რამაზი და ოთარი მაგიდასთან ისხდ-ნენ.

— სადა ხარ აქამდე, გაცივდა ყვე-ლაფერი, — თქვა რამაზმა.

— ამხანაგი რეკავდა.

— რადიოდან?



— ჰო.  
 ერთხანს უხმოდ ვკამდით.  
 — რამდენს მუშაობს შალვა დი-  
 მიტრიძე, — თქვა რამაზმა.  
 — აბა!  
 — შენ გახსოვს ოთარ, ამდენი,  
 ოდესმე ემუშაოს?  
 ოთარს გაეცინა.  
 — ეს ვაჟას ხათრით. კომიტეტის თავ-  
 მჯდომარის ნათესავიაო და... ხომ იცი...  
 — მე რა ნათესავი ვარ?  
 — აბა რა ხარ?  
 — არაფერი.  
 — როგორ თუ არაფერი? — გაუკვი-  
 რდა რამაზს.  
 — როგორ და ისე.  
 — აბა აქ რომ მოვაწყო?  
 — მერე რა. აბა მარტო ნათესავები  
 უნდა მიიღო სამსახურში?  
 — არა, მაგრამ რაღაც ნათესავი მა-  
 ინც იქნები.  
 — კარგი ერთი, — გამეცინა მე, —  
 ჩემი და იმის ბებია დობილევი ყოფი-  
 ლან.  
 ოთარმა გადაიხარხარა. რამაზს ცოტა  
 ეწყინა. მერე საუბარი სხვა რამეზე გა-  
 დავიტანეთ და წყენამაც ვაუარა. საერ-  
 თოდ არ იყო ურიგო ბიჭი, მაგრამ ეს  
 ქალური სიფათი არ მომწონდა. ოთა-  
 რი კი მართლა კარგი ბიჭი იყო. რაც  
 მუშაობდა დავიწყე, სულ იმას მპირდება  
 — ერთი დუღუკებზე უნდა გაქეიფო.  
 დიდებულია. დუღუკზე არ მიქეიფნია  
 ჯერ.  
 ძირს რომ ჩამოვედით ჩვენი კანცე-  
 ლარიის გამგე დავგვხვდა ოთახში. ახა-  
 ლი ფოსტა მოეტანა. ჩვენი გამგეც იქ  
 იყო, რა თქმა უნდა.  
 — რა ამბავია, დეიდა ნინო, — ვუთ-  
 ხარი მე, — აღარ შეგვიძლია.  
 — რა ვქნა შვილო გზავნიან და —  
 შუახნის გამხდარი ქალი იყო და ქარ-  
 თულს ისეთი ტყბილი მეგრული აქ-  
 ცენტრით ლაპარაკობდა, სმენა არ მოგწ-  
 ყინდებოდათ.  
 — შალვა ასანთი მომაწოდებ ერთი,  
 მიმართა მერე გამგეს, თან პაპიროსი  
 ამოიღო.  
 — ასანთი თუ ცეცხლი?

— შენგან ცეცხლი ისედაც მოვიდოა.  
 პაპიროსს ცეცხლი მოუტყდნენ ვარე-  
 ბისაყენ გაემართა. ჩემს — შანტლასთან  
 რომ ჩაიარა, გამიღიმა. ძალიან კარგი  
 ქალი იყო: სულ ასე ეხუმრებოდა გამ-  
 გეს. რამაზი და ოთარი იციონდნენ.  
 დეიდა ნინო რომ გავიდა, მე ისევ ჩემს  
 ციფრებს მივეუბრუნდი. როგორც იქნა  
 მოვათავე და მერე ახალი ფოსტაც გავ-  
 ხსენი. მომართეები იყო მოსკოვიდან —  
 უმაღლესი განათლების სამინისტროდან.  
 ოთხ საათზე გამგე წასასვლელად მოემ-  
 ზადა.  
 — შვილიშვილთან, ბალში? — ჰკითხა  
 რამაზმა.  
 — მაშ, მიცდის.  
 ქული დაიხურა და კარებთან მოტრი-  
 ალდა.  
 — გუშინ საყვედური მითხრა: რა-  
 ტომ დიღვიანეო.  
 — მართლა?  
 — ჰო, ყველა წაუყვანიით და მარტო  
 დარჩენილიყო, მოწყენოდა.  
 — რამდენი წლისაა?  
 — ოთხის. კარგად იყავით.  
 — ნახვამდის, ნახვამდის.  
 გავიდა.  
 — ერთი ავდგე, ეს ფანჯრები გამოვა-  
 ლო ისევ, თორემ ბოლია, — თქვა ოთა-  
 რმა.  
 — ხეალ ვმუშაობთ? — ვიკითხე მე.  
 — ვმუშაობთ. ექვსში დავისვენებთ  
 სამაგიეროდ.  
 — მთელი სამი დღე?  
 — ჰო, 6-ში, 7-ში და 8-ში.  
 — კარგი რამეა, — გაეცინა ოთარს,  
 — გაუმარჯოს შვიდ ნომებერს.  
 — გაუმარჯოს.  
 IV  
 სამსახურიდან ახალი დაბრუნებული  
 ვიყავი. ის იყო, ვისადილე და ჩემს ოთა-  
 ხში გავედი თუ არა, ციციოც მოვიდა,  
 აწითლებული იყო.  
 — ირბინე? — პლაში გავხადე.  
 — ჰო.  
 — რა დავემართა, სულს ძლივს ით-  
 ჟვამ, ნელა ვერ წამოდი?



— შეშეშინდა, — გამიღიმა.

— ახალი ამბავი. — დივანზე დავეყექი, ციცილო კარადის სარკესთან მივიღა და თემები გაისწორა. მშვენიერი გოგო იყო.

— იცი, რა დამეშართა, ვაჟა? — სარკიდან შელაპარაკებოდა, — ვიღაც ბიჭები „ვოლგით“ მოდიოდნენ და ხელი დამიქნიეს. მეც დაუქნიე და წამოვედი. უცებ მოატრიალეს მანქანა და ჩემს წინ გააჩერეს. „დაჟექი, გოგონა“, შეუბნებთან. მე კი გამოვექექი. გული ამომივარდა შიშისაგან.

— ძალიან მასამოვნე, — ეუთხარი მე.

— კიდეც ვის დაუქნიე ხელი?

— კარგი რა, რანაირი ხარ?

მოვიდა და გვერდით მომიჯდა. მკერდზე მომეხუტა. მე დავიხარე და ვაკოცე. მერე ავდექი და ფანჯარასთან მივედი.

ძალიან მიყვარდა ეს გოგო. კოჯორში ვისვენებდით ერთად და იქ გავიცანი. მშვენიერი გოგო იყო, პატარა და მოხდენილი. ბიჭებს ყველას ძალიან მოსწონდათ, მაგრამ ბოლოს მიინც მე გამიღიმა ბედმა. პირველად მაშინ ვიგრძენი, რომ მიყვარდა, როცა სუფთა ფურცელზე ჩამოწერილი ბიჭების სახელები მომიტანა.

— რა არის ეს? — ვკითხე მე.

— ბიჭების სია, რომელთაც ვუყვარდი და ვუყვარვარ.

როგორი საქმეა! დიდ და გამოცდილ ქალად მაჩვენებდა თავს. სინამდვილეში კი არავისთანაც არ ყოფილა გავლილი. ხეირიანად კოცნაც კი არ იცოდა. პირველად შაშვივით აღებდა პირს. სულ დედას დაყვებოდა. ისეთი პატარა და კარგი იყო, მიუწვდომლად მეჩვენებოდა. ერთ დღეს ეუთხარი კიდეც — მიყვარხარ-მეთქი. ისე გაფითრდა, ისე გაიციცა — მეგონა საცაა კივილს დაიწყებდა. მერე უცებ გაიქცა.

— დედა, დედა, — მივარდა დედამისთან, — დედა.

— რა იყო, შვილო?

— აღარ შემიძლია, დედა. გული მტკივა, გული მიდნება.

— ნუ სულელობ, ციცი.

— მტკივა დედა, მიდნება.. .ოი, დამა-

დე ხელი, დამადე, აქ დამადე, — ხელი გამოსტაცა და გულზე მიიკრა. მერე დავკონა და აკოცა. საოცარი სურათი იყო. მოჯადობული ვუყურებდი „რომ აკოცო, მოკვდება“, — გავიფიქრე. წავედი და ბალში დავექეი მარტო. არ გამიგია, როგორ მოვიდა. თითის წვერებზე მოდიოდა. მერე გვერდით მომიჯდა. ფერმიხდილი იყო. იჭდა და მიყურებდა; როცა მივიხედე, წამოხტა და ისევ გაიქცა.

ახლა, როცა ასეთ რამეებს ვიკონებ, ვგოყდები ხოლმე. ყოველ წუთში იცვლება. ვერც გაამტყუნებ. ჯერ თექვსმეტი წლისაც არ არის.

ციცინომ ამოიოხრა.

— ოჰ, სულ კოცნა, კოცნა, ამ ბიჭმა კოცნის მეტი არაფერი არ იცის.

— რა თქვი? — მისკენ მივბრუნდი მე. სარკეში იყურებოდა.

— არაფერი, — გამიცინა.

მივედი და მოვეხვიე. გაგიყვებით მიყვარდა.

— იცი, ვაჟა, — მითხრა მან, — მომწყინდა ყველაფერი, მომწყინდა, რა უბედურებაა.

— რა იყო, რა მოგწყინდა? — მარცხენა ხელი წელზე მქონდა მოხვეული, დივანზე ვიჯექით და სარკეში ვიყურებოდით, მარჯვენაში კი მისი პატარა ხელი მეჭირა.

— აღარ შემიძლია: დილით აღექი და გაკვეთილები იზუთხე, მერე, სკოლაში წადი, ექვსი საათი იჯექი... საშინელებაა, საშინელება..

— აბა რა ვქნათ?

— წამიყვანე, ბარემ, წამიყვანე. რატომ არ მიგყავარ? აღარ გიყვარვარ?

— როგორ არა, მაგრამ ჯერ პატარა ხარ, საშუალო უნდა დაამთავრო.

— ოჰ, ოჰ, რა უბედური ვარ, — თვალელებით დაიფარა, — რაში მაინტერესებს ნეპალის დედაქალაქი რა არის, ან ივანე მრისხანემ რითვის მოკლა თავისი შვილი? მე შენთან მიდნა. არ შეიძლება ჩქარა წამიყვანო?

— ნუ სულელობ, ციცი, არ შეიძლება.

— უგულო, — სახეზე ისევ ჰქონდა აფარებული ხელები და თითებს შორის მიჰკრეტდა. მერე ჩამოიღო და გამიცინა. უცებ გამოდარბობასავით იყო.

— რა უნდა გელაპარაკო, შენ, — ვუთხარი და ხელი მოვხვეი, მაგრამ მომივიდა.

— მეტიცა, გაბუტულად მითხრა. თმებზე გადაევსვი ხელი.

— ერთი წელიწადი კიდევ ხომ? — თითი მოლუნა მან, — ერთი წლის მერე ხომ წამიყვან?

— თუ ხუთებზე დაამთავრებ საშუალოს, კი.

— ასე ხომ?... არა, არა დაევამთავრებ... ყველაფერი ზეპირად ვიცი: მსოფლიოს ყველა ქვეყნის დედაქალაქიც და ყველა გამოყვეყნებული მეფის ბიოგრაფიაც, კოსინუსიც და კოტანგენსიც. ყველაფერი, ყველაფერი...

— ჰოდა, ეგრე.

— რა კარგია რომ გიყვარვარ, — მითხრა მან, — რომ არ გიყვარდე, გავგიყვებოდი.

— რას ამბობს — გამეცინა მე.

— ჰო, ჰო, რას იცინი, გავგიყვებოდი. არაფერს არ ვუყვარვარ შენს მეტს. საშინელებაა. დედა სულ მეჩხუბება: „გოგო, ეგ ფეხსაცმელები საგარეოა. ეს პალტო აბანოში რატომ ჩაიცივი? შენთვის აბანო და ოპერა ერთია?“ იქით ბეზიამ გამიჭირა საქმე: „ფეხები დაიბანე, ბეზია, ეს ნამცხვრები შეჭამე; უიმე, დამიდგეს თვალები, რძე არ დაუტოვე ბია?“ საშინელებაა, საშინელება.

— უყურე შენი ყველა უნდა ჩამოახრჩო კაცმა.

— დამცინი ხო? მე შენზე ლექსებიც დაწერე.

— მართლა? აბა მიჩვენე.

— არ წამომიღია, სხვა დროს წავიკითხავ. მართლა გიყვარვარ, ვაჟა?

— ნუ სულელობ, აბა რა.

— მამაჩემი სულ ფრინავს და ფრინავს. ხანდახან სამი თვე ისე ვავა, ერთხელაც არ შემოიხედავს სახლში. მერე ბეზია ოხერას იწყებს — „ვაი თუ გაცივდა“, დედაჩემი მეჩხუბება: „სულ მამაშენს დაემსგავსე, გარე-გარე გიყ-

ვარს წაწალი“, მე კი წერილების წერას ვიწყებ... ყველას ესე ვეგონებოდა, ისე, ისე ძალიან და უღებო-ყოფილება კარზე. რა კარგია, ვაჟა, ეს უცებ მოსვლა. მთელი სახლი სინარულით იესება შენ რატომ არ მიდიხარ სადმე? ხომ დაამთავრე უმაღლესი? წადი და მე დაგელოდები. ხან შენ მოხვალ უცებ და ხან მამა — რა ბედნიერება!

ის ისევ ტყტიკებდა. მე ავღვქი და ფანჯარასთან მივედი. დამდებოდა, ის დრი. იყო. კუჩის გადაღმა, ოღნავ გამოჩეულ ბინდში კი თეთრად აღმართულიყო სპორტის სასახლე.

## V

მას მერე, რაც სამსახური დავიწყე, ჩვენი კომიტეტის თავმჯდომარე არც მინახავს. საქნიეს არ მოუთხოვია და ტყუილებრალოდ შეწუხება კი აბა რა საჭირო იყო. მესაბრებოდა კიდევ. ყოველთვის ასე შემართება: ვინც მიყვარს და ვისაც ძალიან პატივს ვცემ, იმას გავუბრბივარ ხოლმე. რატომ, არ ვიცი, ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ორ თვეს უმუშევრად დავყიადობდი, სადაც გამანაწილეს, იქ არ წავედი, თბილისში კი, აბა ადგილი სად იყო. ვიყავი ასე. მაშინ ბატონი დავითი კომიტეტში არ მუშაობდა, მხოლოდ ლექციებს კითხულობდა ინსტიტუტში. მე მასთან დავდიოდი ხოლმე ოჯახში. იცოდა — განაწილებაზე რომ არ წავედი, მაგრამ არ მსაყვედურობდა. უბრალოდ გამომკითხა, რის გამო ვთქვი უარი და ეს იყო. არ ვიცი, რა დამემართებოდა, მასაც სხვებსავით საყვედურები და ლექციების კითხვა რომ დაეწყო. ისეთნაირად მიყვარდა და ისე ძალიან ვცემდი პატივს, რომ ასეთ რამეს ვერც ვაპატიებდი. ვიჩქვით ხოლმე და სულ სხვა რაღაცეებზე ვსაუბრობდით. მერე კი, როცა გავიგე — კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს, აღარ მივსულვარ. მეშინოდა, სხვანაირად არ გავგო. მაგრამ ერთ დღეს თვითონ დამიძახა და ეს ადგილი შემომთავაზა. ძალიან გამიძარტლა სწორედ. ბედი ამას ჰქვია.

ვიჩქეი ჩემთვის მაგიდასთან და ვფიქრობდი. მდივანი შემოვიდა და თავმჯდომარის კაბინეტში მიგვიწვია ყველანი — თქვენ-თქვენი სკამებით წამოვლითო. სამუშაოს დამთავრებას ნახევარი საათი აკლდა. დღეს სამზე ვამთავრებდით. მერე კი საშვიდნოემბრო „არდადეგებიც“ გვეწყებოდა, როგორც ამას ოთარი ამბობდა. მე სოფელში მივდიოდი. ჩვენებს უკვე გავუგზავნე დებეშა. ბილეთიც აღებული მქონდა და ბარგიც გამზადებული — ერთი პატარა ჩემოდანი, აბანოში რომ ატარებენ ხოლმე, ისეთი. საღამოს მატარებელზე უნდა წავსულიყავი.

მოვიდნენ ჩვენ-ჩვენ სკამებს ხელი და ოთახიდან გავედით.

— ნეტა რა თათბირია? — თქვა რამაშმა.

— სათათბიროს რა გამოლევს? — გაეცინა ოთარს.

— ხშირად არის ხოლმე? — ვკითხე მე.

— ძველი ყოველ სამ დღეში ატარებდა.

— რა საჭირო იყო?

— რა ვიცი, ვლანარაკობდით და...

— კაი გასართობი გიშოვნიათ, — გამეცინა მე.

კაბინეტში შევედით. ჩვენი გამგე კომიტეტის თავმჯდომარესთან ახლოს დავჯდა, ჩვენ კი ერთად მოვთავსდით კარებთან. ჩემს პირდაპირ მემანქანე გოგონები იხდნენ და ილიმებოდნენ. სამივეს ერთნაირი კაბები ეცვათ და ძალიან უხდებოდათ ღიმილი. თმებიც ერთნაირად დაეყენებინათ, ბურბუშელასავით. მე თავი მოვამბრუნე და თავმჯდომარეს გადავხედე. რაღაცას სწერდა. ლურჯი კოსტუმში ეცვა და მწვანე ჰალსტუხი ეკეთა. ძალიან უხდებოდა. პროფესორები აჩაჩულ-დაჩაჩული დადიან ზოგჯერ, მას კი ყოველთვის ფაქიზად და მოხდენილად ეცვა. ვბაძავდით კიდეც. მე და ჩემს ზოგიერთ ამხანაგს სწორედ მისი ხათრით გვეკეთა ჰალსტუხი.

— რატომ არ იწყება? — ვკითხე მე ჩურჩულთ ოთარს:

— ხალხი აკლია. უცდიან, ალბათ.

— აბა.

კაბინეტი მოვათვალიერე. სული სამოცი თანამშრომელი ვიყავით კომიტეტში. ორმოცდაათამდე კი ვიქნებოდით უკვე. თავმჯდომარემ თავი ასწია და იკითხა:

- ყველა?
- არა ბატონო, ათი აკლია.
- მერე რას უყურებთ, დაუძახეთ.
- ეხლავე.

მდივანი კვლავ გავიდა. შუახნის ქალი იყო. მალაქუსლიანი ფესსაცმელები ეცვა და რომ ხმა არ გაეღო, ცერებზე აწეული, უხერხულად მიდიოდა.

მალე მოვიდნენ დანარჩენებიც. ნაწილ-ნაწილ შემოლაგდნენ. მთელი ხუთმეტე წუთი მოუნდა, სანამ ყველა შევეკრავდებოდით. ბოლოს თავმჯდომარე წამოვდა.

— ამხანაგებო, — თქვა მან ღიმილით. მოგილოცავთ შვიდი ნოემბრის დღესასწაულს, გისურვებთ ბედნიერებას და კარგად გატარებას. 9-ში, ალბათ, ისევ კარ შევხვდებით სამსახურში. კარგად იყავით, ამხანაგებო, ნახვამდის!

მე უცებ კარგად ვერცხვი გავიგე რას ამბობდა. როცა დამათავრა და სკამები ახრივინდა, მხოლოდ მაშინ მივხვდი და გული ვადამიქანდა.

„რა იყო ეს? ამისთვის ვიჩქეით მთელი ხუთმეტე წუთი?“

— წამოდი, რას უყურებ? — მითხრა ოთარმა.

— მოვდივარ.

სკამი ავიღე და ხალხს უკან გავყვივი. ყველაფერი რაღაცნაირად უცებ აღმოჩენასავით იყო, გული მოგვეწურებოდა კაცს.

— ხელმძღვანელიც ასეთი უნდა, — თქვა ვილაცამ ჩემს გვერდით.

— აბა რა, ყურადღებინია, არა?

— ყველაფერს კულტურა უნდა.

— უკაცრავი პასუხია, და, იმან ვინების და ლანძღვის მეტი არაფერი იცოდა.

— შენ ეგ თქვი.

ახლა სხვა ჯგუფიდან შემომესმა:

— აი, კაცი, ჩემო კარგო, აი, ხელმძღვანელი.

— ამბობდნენ და ყოფილა კიდევ.

— მაშ!

ვისმენდი ახლა ამას ყველაფერს და ყელში რალაც მაწვეებოდა. თვალწინ მედგა თხუთმეტი წუთი სკამების რახუნნი, მერე მისი ორწუთიანი სიტყვა, ღიმილი, მწვანე პალსტუხი. ბოლოს ისევ სკამების რახუნნი..

„ნუთუ ყველა ასეა?“

ქუჩაში გამოვედი და შინისაკენ წავეიარდი.

შინ არავინ დამხვედრია. ჩემს წამოსვლამდეც არავინ მოსულა, ალბათ, სადმე ნათესავთან თუ წავიდნენ. დრო იყო უკვე სადგურზე გავსულიყავი. ავიღე და წერილი დავწერე — სოფელში მივდივარ-მეთქი. სამხარეულოში დავდე, მაგიდაზე. მერე ჩემოდანს ხელი დავავლე და სადგურისაკენ გავემართე. დღესასწაულის მოლოდინში ხალხი ნახევრად მთვრალი იყო. ტროლეიბუსშიც ისმოდა შეზარახებულთა სიმღერა.

სადგურთან ჩამოვედი და ბაქანზე გავედი. მატარებელი ის-ის იყო ჩამომდგარიყო. ბილეთზე ვაგონის ნომერი კარგად არ აჩნდა და გამყოს ვაჩვენე. მეშვიდე ვაგონი არისო. იქითკენ გავემართე. ავედი. ჰედვა იყო, როგორც იქნა გავიკვლიე გზა და ჩემი ადგილი მოვძებნე. ჩემოდანი საწოლ ქვეშ ჩავდე. ვაგონში ცხელი, დახუთული პაერი იყო. ჩემს კუბეში სულ მამაკაცები იყვნენ. კარგია თვისუფლად დავიძინებ-მეთქი გავიფიქრე. ზევით ორს ეძინა უკვე, ნეტა როდის მოასწრეს? ქვევით კი სათვალეებიანი მამაკაცი გაზეთს კითხულობდა. მე ქვევით ჩავედი და წყალი დავღიე, ღიმილითაც წამოვიძღვანიე. მატარებლის გასვლას ბევრი არ აკლდა. რაკი წყურვილი მოვიკალი, სათვალეებიანს ერთი გაზეთი გამოვართვი და კითხვა დავიწყე. მერე მატარებელიც დაიძრა. გამყოლმა ქვეშაგები მოგვიტანა. გავიხადეთ და ტრუსების

ამბარა დავწეკით, თან ერთმანეთს გავუღიმეთ.

— კარგია, ქალები რომ არ არიან, თქვა სათვალეებიანმა.

— აბა, — ვუთხარი მე.

მატარებელი მონოტონურად გუგუნებდა. სათვალეებიანს მალე ჩაეძინა. შუახნის მსუქანი კაცი იყო და ხერინავდა, „ნეტა სათვალეები თუ მოიხსნა დაწოლისას?“ გავიფიქრე მე. კედლისკენ იყო შებრუნებული და ვერ ვხედავდი. არ მახსოვდა, მოიხსნა თუ არა. „აბა რა ჯანდაბას იზამდა“, — გავიფიქრე მერე და მივხვდი, რომ საკუთარ თავს ვატყუებდი. სულ სხვა ფიქრები მიტრიალებდნენ თავში და არა ეს. ვერაფრით ვერ მოვხუტე თვალი, ძილი არ მეკარებოდა. საოცრად გულდაწყვეტილი და იმედგაცრუებული ვიყავი. ავდექი და თვლა დავიწყე. ერთი, ორი, სამი-უხ, ერთი ორი სამი — მატარებელი ხილზე გადადიოდა და მე უცებ მომეჩვენა, რომ იქ კი არ მივდიოდი, სადაც უნდა წავსულიყავი, სულ სხვაგან, სხვა ადგილას. შეცდომით სხვა მატარებელში ჩავჯექი და ჩემი მატარებლის ის ფანჯარა, რომელშიც მე უნდა მოეთავსებულიყავი ჩაბნელებული დარჩა.

ერთი, ორი სამი, ოთხი... სამი ოთხი... ცხრა... ათი... ოთხმოცდათვრამეტი და... ჩამეძინა.

ღილით გამყოლმა გამაღვიძა.

— ადექით, რიონში შევდივართ უკვე.

თვალი გავახილე და წამოვდექი. სათვალეებიანს ისევ ეძინა. პირით ჩემსკენ იყო გადმობრუნებული და ხერინავდა. სათვალეები არ ეკეთა. „მოუხსნია“ — გამეცინა. რამდენი სულელური აზრი არ მოგივა თავში ღამით. პირი დავიბანე. მშვენიერ გუნებაზე ვიყავი. მიხაროდა, შინ რომ მივდიოდი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, სექტემბერს აქეთ არ ვყოფილვარ.

მატარებელი რიონში გაჩერდა. ჩამოვედი. ციოდა ცოტა. პლაშჩი ქამრით შევიკარი და საყულო ავიწიე. მერე სადგურში შევედი და მატარებლისთვის კამფეტი ვიყიდე. სულ აქ ვყიდულობ

ხოლმე, თქმით კი ვეუბნები—თბილისი-დან მომაქვს-მეთქი. როგორი საქმეა. სა-ოცრად მისაროდა შინ რომ მივდიოდი.

ავტობუსი მოვიდა და დავეჭქი. ახალი გათენებული იყო.

— თბილისიდან მოდიხარ? — მკით-ხა ვილაც მგზავრმა.

— დიახ.

— როგორი ამინდებია?

— კარგი.

— წვიმა იყო?

— იყო ცოტა.

— აქეთ აბა სულ დააქცია ყველა-ფერი. მოსავლის აღებაც არ გვაცალა. ყურძენი ნახევარი მოუკრეფავია.

— რას ამბობთ!

— აბა!

იმერეთში ვიყავი, ჩემს მშობლიურ იმერეთში. ეს პირველი დიალოგები-დანვე ვიგრძენი, გული ამიღელდა. ვუსმენდი მგზავრების საუბარს, ვათვა-ლიერებდი ფანჯრიდან მიდამოს და ვფიქრობდი, რომ ეს არის მთავარი, რომ სხვა ყველაფერი სისულელეა, ყვე-ლაფერი, რაც უნდა მოხდეს. რომ მხო-ლოდ ეს გადაგარჩენს კაცს და...

მე უცებ გამახსენდა, რომ თითქმის არ ვიცოდი, რა ამბავი იყო სახლში. მისამართიც კი არ გამოგზავნია, წერი-ლი რომ გამოგზავნათ. საძაგლობაა პირდაპირ. დედაჩემი, ალბათ, გაგიჟე-ბული იქნება. როცა შინიდან მოვდი-ვარ, ყოველთვის ამას მიბარებს ხოლმე: აბა შენ იცი, მომწერე, როგორ იმგზავ-როო, ჩახვიდე თუ არა, მაშინვე გამო-ავგზავნე წერილიო. მე კი—გაგონილა? სულაც არ ვავგზავნი. ზოგჯერ თვეობით დამაქვს ჯობით დაწერილი წერილი და კონვერტში ჩადება ვერ მომიხერხებია. ახლაც ავერ მიღვეს ორი წერილი—ერ-თი ჩემი დის და ერთი დედაჩემის სა-ხელზე, რომ ჩავალ, თუ საყვედურები დამიწყებს, მივცემ. აბა მართლა ისე კი არ არის საქმე. გამოგზავნას ჩამოტანა არ ჯობია?

ავტობუსი ჩვენი სოფლის გადასახ-ვევთან გაჩერდა. ჩამოვედი და ბი-ლიკს დავადექი. ეს ბილიკი აქედან ჩემს

სახლამდე ყოველთვის ერთსა და იმავე გრძნობას იწვევს ხოლმე ჩემში: მახ-სენდება ბავშვობა და გულს მიხდება-მერე კი ჩემს სახლს რომ დავინახავ ეს გულისწყვეტაც მაიწყდება.—ყველა-ფერი დიდ სისარულში გადადის.

შინ მისულს პირველად დედაჩემი გა-მომეგებება ყოველთვის. რალაცნაირი ალლოთი გრძნობს. შეიძლება გული-თაც. დედის გულის ამბავი ხომ არაკა-დაა ქტეული. ახლაც პირველი ის მო-მეგება და მომეხვია. გამხდარი ჩანდა და ეს გავიფიქრე, ავად ხომ არ ყო-ფილა-მეთქი. კითხვის დასწრებით კი მან დამასწრო:

— ავად ხომ არ ყოფილხარ, შვილო.

— არა, დედა.

— რალაც გალახული მეჩვენები.

მე გამეცინა. ეჰ, დედები, დედები!

— ნუ გეშინია, მშვენიერად ვარ.

ეზოში ვიდექით და მამაჩემს ველო-დებოდით. იგი ჩვენსკენ მოდიოდა. კოცნით არასოდეს არ მკოცნიდა, რაც უნდა დიდი ხნის უნახავები ვყოფილი-ყავით. უბრალოდ ხელს ჩამომართმევდა და მორჩა. ხან მაგრად, ხან სუსტად. გა-აჩნია, რამდენი ხნის უნახავი ვყავდი. ამ საქმეში ჩემი ძმაც მამას ჰკავდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი მეგობარი გურული ვეჯაც. ხომ ისე ძალიან გვიყ-ვარდა ერთმანეთი, მაგრამ გარეგნულად არასოდეს არ ვამქლავებდით.

მამაჩემი ახლაც ხელის ჩამორთმევას დაჭერდა. ჩემმა ძმამ კი, რატომღაც უღალატა ჩვეულებას და გადამკოცნა. მერე ჩემი რძალიც მოვიდა. როცა მას ვხედავ, ყოველთვის მახსენდება, თუ რა ვინატრე პირველად რომ ვნახე. მა-შინ მერვე კლასის მოსწავლე იყო და დასთან სტუმრად ჩამოვიდა. ისეთი კარ-გი და საყვარელი გოგო იყო, ვინატრე — ნეტა ვახტანგი ცოლად შეირთავდეს-მეთქი. ჩემს ძმას ვალმერთებდი და ყველაფერი კარგი მისთვის მინდოდა. მაშინ მეც პატარა ხვლიკი ვახლდით. ჩემს მომავალ სარძლოსაც ვუყვარდი. რომ დავეპირე და მომფერებოდა, ხან რითი მიმიტყუებდა ახლოს და ხან რი-

თი. ნატერა კი ამიხდა. ჩემს სიცოცხლე-  
ში, რაც თავი მახსოვს, ეს პირველი ნატ-  
ერა იყო, რომელიც სასურველი შე-  
დეგით დაგვირგვინდა.

ჩემს რძალს ჩემი და—ნანული და  
ჩემი პატარა ძმისშვილები მოყვენენ.  
პირდაპირ ყელზე ჩამომეკიდნენ.

— ძამიკო, — იძახდა ნანული და ბე-  
ჯითად ცდილობდა მთელი სახე დაეკო-  
ცნა. პატარებიდან ორი წელზე მეტვეო-  
და ერთი კი მუხლზე მეტლაუჭებოდა.

— ვაჟა ბიძია, ვაჟა ბიძია.

როგორც იქნა თავი დაეაღწიე პირ-  
ველ იერიშს. ყველანი სახლისკენ გავე-  
მართეთ. სულ წინ დედაჩემი გაიქცა,  
მერე, ნანული და ჩემი რძალი, მერე მე  
და ჩემი ძმისშვილები, ბოლოს კი მამა-  
ჩემი და ჩემი ძმა—ვახტანგი.

ჩემს ძმას სახლის შშენებლობა და-  
ეწყო. აგურის სახლს აშენებდა იქვე  
ჩვენი სახლის გვერდით. ჯერ მარტო  
კედლები იყო აყვანილი და მთელი სახ-  
ლი გარინდებულავით გამოიყურებოდა.

შინ შევედი. მე ჩემოდნიდან კამფე-  
ტები ამოვიღე და ბავშვებს მივეცი: მე-  
რე ისევ მაგიდასთან დავეჯექი.

— აბა მოგვიყვიე, როგორ ხარ, — თქვა  
დედაჩემმა და გვერდით მომიჯდა, —  
სამსახური დაიწყე?

— კი.

— თბილისში დაგტოვეს?

— აბა რა, — ავტორიტეტულად ვთქვი  
მე, — მთავრობის სახლში ვმუშაობ—  
უმალესი განათლების კომიტეტში.

— რას ამბობს, — გაუკვირდა მამა-  
ჩემს.

შინ რომ მოვალე, ყოველთვის ასე მე-  
მართება ხოლმე: მაშინვე ბავშვად  
ვიქცევი. ვუყურებ დედაჩემს, ჩემს  
ძმას, ჩემს რძალს, დას... ყველას ხე-  
ლისგულივით ახსოვთ ჩემი ბავშვობა,  
ახსოვთ კი არა, ისევ იმაღ მთვლიან. ვი-  
ცი ყოვლის შემქმნელი ღმერთიც  
რომ გავხდე, მათთვის მაინც ის დავრ-  
ჩებო—პატარა ვაჟიკო. მეც უცებ გარ-  
დავიქმნები ხოლმე. აი, ახლაც ის პა-  
ტარა სოფლელი ბიჭი ვარ, დღე და ღა-  
მე სხვის მსხლებზე რომ ვიყავი ვადებუ-

ლი და მეზობლის ქალები წყველა  
კრულვით რომ მომდევდნენ. ამას  
მაშინვე მივხვდი, ჯიბიდან პირადობის  
მოწმობა რომ ამოვიღე და ავტარაბანდი.

— აი, — ვაჩვენე მამაჩემს. მამაჩემმა  
გამომართვა და დაათვალიერა. მოწმო-  
ბაზე გარედან მთავრობის სახლი ეწერა  
რუსულ-ქართულად. მერე ჩემს ძმას  
მისცა, იმან ჩემს რძალს, რძალმა დედა-  
ჩემს და ასე ყველამ ნახა საითათოდ,  
სულ პატარა ზურგიკმაც კი.

— დიდი კაცი გამხდარხარ, — მითხრა  
ვახტანგმა, — ჯამაგირი რამდენი გაქვს?  
— ასორმოცდაათი (სინამდვილეში ამ-  
დენი არ მქონია).

ჩემს რძალს გაეცინა.

— აწი აბა აღარ მოითხოვ ფულს, —  
და შემდეგ: — დედა ფული, დედა! — გა-  
მომაჯერა.

— აწი არა, — გამეცინა მეც.

მამაჩემი ძალიან გახარებული იყო,  
ოღონდ ძუნწობდა სიხარულის გამო-  
ქვანებაში.

— იქ რას აშენებთ? — მკითხა ვახ-  
ტანგმა.

— რა უნდა ავაშენო?

— აბა რაზე მუშაობ?

— აჰ, ინსპექტორი ვარ კომიტეტის.  
უმალესი სასწავლებლებს და ტექნიკუ-  
მებს ვხელმძღვანელობთ.

— პოო.

— მაინც როგორ მოეწყვე. — გაუკ-  
ვირდა მამაჩემს, — ვინ მოგეხმარა. თბი-  
ლისში მარტო დარჩენაზეც კი თავ-  
პირს იმტერევენ. აგერ ჩვენი ვასი-  
კოს ბუქს ზომ იცი რა დეშართა. სადღაც  
ტყვარჩელში გაგზავნეს. შენ კი ამხელა  
იდგილიც...

— რას ამბობ, შე კაცო, — გააწყვეტი-  
ნა დედაჩემმა, — ყველას კი არ ტოვე-  
ბენ. — და სიამაყით გადმოხხედა მე.

— კომიტეტის თავმჯდომარე ჩემი  
კარგი მეგობარია, — ვთქვი მე და ცოტა  
ხნის შემდეგ: იცი დედა რა კაცია? რა  
უბრალო, რა კარგი...

და მეტი ვეღარაფერი ვთქვი. გუშინ-  
დელი დღე გამახსენდა. უცებ გავიზარ-  
დე. ესლა უკვე კაცი გავხდი. სადღაც



გაქრა ჩემი ბავშვობა, უცებ გაქრა, თვალცი ვერ მივაწვდინე.

დედაჩემმა ჩემი პირადობის მოწმობა მეზობლებში წაიღო, ვახტანგი ჭურის მოსახდელად გავიდა, ჩემმა რძალმა საზეიმო სადილის მომზადება ითავა, ნაწული და ბავშვებიც მას გაჰყვნენ. მე და მამაჩემი დავრჩით მარტო.

— ჭკვიანად უნდა იყო, — მითხრა მან, ის კაცი არ უნდა შეარცხვინო.

— რა თქმა უნდა.

— სოფელში აქამდეც კარგი სახელი გქონდა, აწი მეტი გექნება.

— ვიცი.

— სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობია. არაფერში ვადაცდე. რაც უფრო საპასუხისმგებლო საქმეს ჩავაბარებენ, მით უფრო ჭკვიანად უნდა იყო.

მე გაშეცინა. საუბარი სხვა საგანზე გადავიტანე.

— როგორი მოსავალი იყო?

მამაჩემს გაეღიმა.

— თაკილობ უკვე ჭკუის დარიგებას? კარგია, დამოუკიდებელი ცხოვრება. გამოგაწართობს. — და შემდეგ: — მშვენიერი მოსავალი იყო.

— ურძენი სულ მოკრიფეთ?

— სულ.

— ფელამუში?

— რა ფელამუში? აჰ — გაეცინა, — მთავრობის ინსპექტორს ფელამუში როგორ გკადრება... დედაშენმა იცის. ვიგრძენი, როგორ ვუყვარდი, სიცილში და შემოხედვანში ვიგრძენი. ყოველთვის ასე ვგრძნობდი ხოლმე. მოფერება მისგან არც მახსოვს.

— დაისვენე ახლა, — წამოდგა.

მეც ავდექი. სიმაღლით თითქმის ტოლები ვიყავით. ისევ შემხედა და გატყდა:

— ვამაყობ შენით, — მკლავში მომიკიდა ხელი.

მე შემრცხვა.

ვენახში გავიარე. ძმისშვილებიც გამოწყვენენ. მარჯვნივ ბიჭი შედგა, მარცხნივ — გოგოები. გოგოები ტყულები იყვნენ — ერთს ლეილა ერქვა, მეორეს — ლი-

ანა. ბიჭი უმცროსი იყო და ზურიკო ერქვა. მარჯვენა ხელი მჭიდროდ მან დაისაკუთრა. როგორც კარგად მთავანი მის მხარეზე გადავიდოდა ხელად იყვირებდა:

— ჩემია, გოგო, ჩემია!

— ამ ჭყიტას უყურე ერთი, — თქვა ლეილამ.

— ჭყიტა, — გამოაჯაერა ლიანამაც.

— აბა, აბა ბიჭს ნუ მიჩაგრავთ, — ჩავერიე მეც.

ყურძენი სულ მოკრეფილი იყო, ოღონდ რამდენიმე ძირი შეენახათ ჩემთვის. დავჯექი და შევექეცი. აქეთ-იქით გოგოები ამომისხდნენ, ბიჭი კი პირდაპირ კალთაში ჩამიჭდა და ხელები კისერზე მომხვია.

— აბა ნიშნები როგორი გაქვთ, მომიყვეით, — ეუთხარაი მე მათ და ვახს ერთი მოზრდილი მტევანი შევაგლიჯე.

— მოიცა, ჩვენ გაქმვეთ, ვაჟა ბიძია, — მითხრეს გოგოებმა. მტევანს კუმპლებს აცლიდნენ და მორიგეობით მიყრიდნენ პირში. თან კისკისებდნენ და კისკისებდნენ. ეშხიანი გოგოები იყვნენ. სულ ათათი წლის, მაგრამ კობწიები.

— ჰო, რა ნიშნები გაქვთ-მეთქი, — გაგუშეორე მე.

— მე ხუთები, ხუთები, — თქვა ბიჭმა.

— მეც, — თქვა ლიანამ.

— მე კი ოთხები მაქვს, — გამიცინა ლეილამ.

— რატო მერე?

— რა ვიცი.

— შტერი არის და იმიტომ, — ამისხნა ბიჭმა.

— ენა დაიმოკლე, ჭყიტა.

ჩხუბი შეექნათ. ძლივს გავაშველე. ბოლოს ვენახიდან ამოვედი და ისევ სახლისკენ ვავემართეთ. ურძენის აკიდოც მომქონდა.

— როგორ მოგწონს ჩემი სახლი? — მკითხა ვახტანგმა. ჭურის მოხდა დაემთავრებინა.

— კარგია, ვინ გიშენებს?

— დათიკო, მართლა მოგწონს?

— ჰო.



— თუმცა შენ რა... უკვე დაიწყებულ  
ლი გექნება ინჟინრობა, რაკი ინსპექ-  
ტორად დაიწყე მუშაობა,—ჭილიკით  
მითხრა.

— წადი ერთი. არ ჯობია მშენებლო-  
ბის მტვერს?

— რა თქმა უნდა, დიდკაცობა არა-  
სოდეს არ არის ცუდი.

— ჰოდა, მოლუნე აბა თითი.

ნაწული კარებში იდგა და შემოდო, მანიშნებდა. მე იქეთვე გავემართე. ვი-  
ცოდი, ერთი სული ჰქონდა, როდის და-  
მიმართობებოდა და ქვეყნის ჭორებს  
მომიყვებოდა. დიდი შეგობრები ვიყა-  
ვით.

— როგორ ხარ,—ვუთხარი მე და სა-  
წოლზე ჩამოვჯექი.

— ასე უნდა, ბიჭო,—გვერდით მო-  
მიჯდა ის,—ერთი წერილი არ უნდა მოი-  
წერო ოჯახში? სირცხვილი შენი.

მე გაშეცინა. ზედამოჭრილი დედას  
გოგო იყო. სულ დედის ენით მელაპა-  
რაქებოდა.

— კარგი ერთი, როგორ თუ არ ვწერ.

— სადაა მერე?

— აგერ, ჩამოგიტანეთ, —ჯიბიდან  
წერილები ამოვიღე.

— უიმე—გაეცინა ნაწულის.

— ერთი შენია, ერთი დედასია.

— ასე ხომ?

— აბა რა. გამოგზავნას ჩამოტანა არ  
ჯობია? მიდი, მიდი, მოყვევი ბარემ ვინ  
მოკვდა, ვინ გათხოვდა, ვის რა დაემარ-  
თა, თორემ ძალღივით მშობა.

— თუ დამცინე, არაფერსაც არ მო-  
გიყვები.

— აბა როდის დაგცინი, — ვუთხარი  
მე — „ჩენი ძმა“ როგორაა.

— რას დავეძებ. როგორც უნდა ისე  
იყოს.

— ასეა საქმე?

— სამ თვეში ჩამოვა ჯარიდან.

— ეს სულ სხვა საქმეა. ქორწილში  
ხომ დამპატოებთ.

— უიმე, რას ამბობ.

— თუ ცუდი ბიჭია, ერთს მშვენიერ-  
რად გაგობრტყელებ, იცოდე.

— გააბრტყელე რა, მე რა მენალე-  
ბა.

ჩემი რძალი შემოვიდა.

— ნაწული მომეხმარე, სუფრა გავაწ-  
ყოთ ბარემ.

— ჩქარა, თორემ მოკვდი შიმში-  
ლით.

— ეხლავე.

გამილიმეს და გავიდნენ. მეც გავყე-  
ვი, სასადილო ოთახში პირდაპირ მაგი-  
დას მივუჯექი. ზურიკოც მოვიდა და  
ჩემს გვერდით მოთავსდა.

— შენ ვაჟა ბიძია, ბურთი არ იცი  
რა არის?—მკითხა მან.

— როგორ არ ვიცი.

— მერე რატომ არ ჩამომიტანე, ა?  
რატომ არ ჩამომიტანე?—შემომცინა.

— თუ მეორე შეოთხედში ხუთები  
გამოგყვება, ჩამოგიტან.

— რატომაც არ გამოყვება.

— მაშინ ჩამოგიტან.

ჩემი რძალი და ნაწული მაგიდას აწ-  
ყობდნენ. ლეილაც ეხმარებოდა. თავზე  
პატარა თავსაფარი წაეკრა და მარდად  
დატრიალებდა აქეთ-იქით.

—ძაან მეოჯახე გოგო გეზრდება, —  
ვუთხარი ჩემს რძალს.

— აბა,—გაეცინა, — ოჯახის საქმეში  
ვარგა, სწავლაში არ უქნია ღმერთს თუ  
არა. სწავლაში ის მეორეა კარგი.

— ახლა სად არის, რატომ არ გეხმა-  
რება?

— არაქელაა, ასეთი რამე არ უყვარს.

— არაქელაა,—დაემოწმა ბიჭიც.

— შენ კი ჭყიტა ხარ,—ვუთხარი მე  
მას, მაგრამ არ სწყენია, პირიქით სკამ-  
ზე შედგა და ყელზე მომეხვია.

— გაჩერდი შეილო, — უთხრა ჩემმა  
რძალმა.

მაღე დედაჩემიც მოვიდა. ძალიან გა-  
ხარებული იყო. ყველანი სუფრას შემო-  
ვუსხედით. თამალობა მამაჩემმა ითავა.

— გაგიმარჯოს, კარგად ვიყოთ,—და-  
ილოცა მან,—სულ ასე: უკლებლივ და  
ბედნიერად.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, —  
ვთქვით ჩვენც.



დიდი ჳიქებით ესვამდიოთ. ნამგზავ-  
რზე უცებ მომეყიდა ღვინო.

— ვაჟა შეყვარებული არ გყავს? —  
მკითხა ჩემმა რძალმა ღმილიოთ.

— არა.

— ოჰ, არ ყავს, — გამომაჯავრა ნანუ-  
ლიმ.

— აწი შვილო ცოლზეც უნდა იფიქ-  
რო, — მითხრა დედამ.

— შეყვარებული, შეყვარებული, —  
ტაში დაუკრა ჳურიკომ.

— შენ რალა გიხარია ბიჳო?

— უიმე, რალა ვქნა, — გაეცინა ჩემს  
რძალს, — მგონი, ეს ახლავე მთხოვს  
ცოლს.

— ცოლი გინდა, ბებია, — უთხრა დე-  
დამ.

— აბა, აბა, — ჩაერია მამაჩემი, — ბიჳს  
ნუ მიფუჳებთ. მოდი ბაბუა ჩემთან.

ჳურიკო ჩემი მუხლებიდან იმის მუხ-  
ლებზე გადაცოცდა. ნანულიმ სიმღერა  
წამოიწყო, ლეილამ გიტარა მოურბე-  
ნია, ლიანამ მოძახილი უთხრა, ვახტანგ-  
მა მესამე. მშვენივრად მღეროდნენ.

„ვინ მკითხულობს, ვის ეუუყვარვარ, ვინ  
ღამეჳებს მე...“

ცოცხალი ვარ, არ მომკვდარვარ, მოდი  
სმა ვამე“.

ვერ წარმოიდგენთ რა ღამემართა.  
რალაც ღიდებულად ვაბრწყინდა ჩემს  
სულში. გამახსენდა ციციწო, გამახსენ-  
და და მომენატრა; ო, როგორ მომენატ-  
რა. გული ვადამიქანდა, როცა წარმო-  
ვიდგინე სავარძელში მორთხმული გე-  
ოგრაფიის სახელმძღვანელოთი ხელში.  
„ყველაფერი კარგია, ყველაფერი ღიდე-  
ბულია და ნათელი. — გავიფიქრე მერე  
— ნათელი და ღიდებული. სხვა დანარ-  
ჩენი ჩმახვა და მეტი არაფერი. ბედნიე-  
რი ვარ და არც მწამს სხვა რამე“.

სიმღერა რომ ღამთავრდა, მამაჩემმა  
მორიგი სასამისით ჩემი საღღეგრძელო  
შესვა.

— გაგედნენ მასწავლებლები, —  
თქვა დედამ, — ეს რა შვილი გამოგივი-  
დათ, მთელი რაიონისათვის არის საამა-  
ყოო.

— მასწავლებლები საღ ნახე?

— ნუცასთან იყენენ.

— ჩემი მოწმობა რა უყავი?

— აგერ მაქვს, — უკან დასრულდა  
ვახტანგმა ეშმაკურად ჩამიკრა თვა-

ლი:

— ერთი ეს მითხარი, მთავრობის სახ-  
ლში დამლაგებლები არ არიან?

— როგორ არა, რატომ მკითხებნი?

— ისე, იმათ თუ აძლევენ მასეთ  
წიგნაკებს-მეთქი.

— აძლევენ, — დავიბენი მე, — ვინც  
იქ მუშაობს ყველას აქვს ასეთი წიგნა-  
კები.

— იმათ წიგნაკებსაც მთავრობის სახ-  
ლი აწერია?

— ჰო, — როგორც იქნა მივხვდი სა-  
ით უკაცუნებდა, — მომეშვი ერთი.

მთვრალი ვიყავი და ბევრი იწილო-  
ბიწილოს თავი არ მქონდა. „როგორ შე-  
იძლება ასეთი რამეები ილაპარაკო ახ-  
ლა, — მიკვირდა, — როცა ირგვლივ ყვე-  
ლაფერი ნათელია და ღიდებული?“ ამ  
ჭილიკას კი რა უნდა უთხრა. რომ არ  
გაკვილოს არ შეიძლება. არა და ამდენი  
ნათელი მაინც არ იყოს ირგვლივ...

რალაცაზე გაებრაზდი. მეტის დაღევა  
ალარც შემეძლო. ავდექი და მეორე  
ოთახში გავედი. ბინდდებოდა, ის დრო  
იყო. ყველაფერი თავდაყირა ტრიალებ-  
და. „რა უბედურებაა“ გავიფიქრე მე და  
საწოლზე დავეწკი. ახლა თვალწინ კო-  
მიტეტის თავმჯდომარე მედგა, — „ოჰ,  
ოჰ, აღარაფერი აღარ მიხარია“. ტირი-  
ლი მომინდა. ვიტირებდი კიდევ, ვიღაც  
რომ არ შემოსულყო. ვახტანგი ვახლ-  
დათ. მოვიდა და საწოლზე ჩამომიჯდა.  
თმები ამიწეწა.

— გეწყინა?

— რას ამბობ!

— გეხუმრე.

— კარგი ერთი.

— ესაა შენი ღვინის სმა?

— გავიღეშე.

— მეც მაგას გეუბნები — ისე ამიწე-

წა თმები.

უცებ მე ვიგრძენი, რომ ის იყო ჩემი  
უფროსი ძმა და ძალიან, ძალიან მიყ-  
ვარდა იგი. როცა სულ პატარა ვიყავი,

მე მისთვის ვინატრე ყველაზე ლამაზი ნატვრა და ეს ნატვრა ამისრულდა. ისევ გაბრწყინდა სულში რაღაც. ისევ გახდა ირგვლივ ყველაფერი დიადი და ნათელი და მერე... ყველაფერი გაქრა.

მის მუხლზე თავდადებულს ჩამეძინა.

დილით გვიან გამომღვიძა. დრო იყო უკვე წასვლაზე მებრუნა. სამსახურს ხომ ვერ გავაცდენდი. არადა კარგად მიხედ-მოხედვას ვერ მოასწრებ, რომ უკვე ჩემოდანი უნდა გეჭიროს ხელში.

წამოვდექი. მშვენიერ ხასიათზე გამომღვიძა. ვერც კი ვგრძნობდი თუ ღვიწრო მქონდა დალეული წუხელის. ტანსაცმელს დავეუწყე ძებნა და რას ვხედავ: ფეხსაცმელები ბალიშ ქვეშ აწყვია, წინდები ფანჯარაზე ჰკიდია, ეს ოხერი შარვალი მაინც ვინ მიიტანა ტელევიზორთან?

ვახტანგი მითვალთვალებდა, ალბათ, რადგან, ავდექი თუ არა, მაშინვე გაისმა მისი ხმა და სიცილი.

— განათლებული კაციც ასეთი უნდა. ნამდვილი ინსპექტორია: ფეხსაცმელები ბალიშ ქვეშ ამოუწყვია, შარვალს ხედავთ სად არის? წინდები?—ჰა, ჰა, ჰა—სიცილით კვდებოდა.

— შენ ჭენი ხო, გაჩვენებ სეირს,— დავემუქრე მე.

— აბრძანდით თქვენო ინსპექტორობით უდიდებულესობავ?

— ეს რა არის? გაჩვენებ სეირს.

— ზედმეტმა განათლებამ იცის მასე. მშვენიერი ძმა მყავდა. ისეთი კი არა, უფროსი ვარო და ცხვირს რომ ჩამოუშვებს. ეს ოხერი სამსახური კი გასაქანს არ გაძლევს კაცს. დედაჩემმა ერთი დიდი ჩემოდანი იშოვა სადღაც და რაღაცეებით ტენიან უყვე.

— ჭერ ნუ წახვალ, ვაჟა, ბიძია, — მთხოვა ზურიკომ, — რა გინდა იმ თბილისში.

— სამსახური აქვს ბებია, სამსახური, მოეფერა დედა, — შენ რომ გაიზრდები, მერე შენც გაგიშვებთ.

ვიცილი დედაჩემსაც როგორ უჭირდა ჩემი ასე აღრე გაშვება, მაგრამ თავს

ზევით ძალა არ იყო, ხელს ხომ არ შემიშლიდა „სწორ გზაზე“ რადმდგარ შეიღს.

ვისადილეთ და თითო ბოთლი ღვინოც დაველიეთ მე და ვახტანგმა. მერე მამაჩემიც მოვიდა კანტორიდან.

— აბა, შენ იცი, — მოთხრა დედამ, როცა წასასვლელად წამოვდექი. — როგორც ჩახვიდე წერალი, გამოგზავნე.

ნანული ეშმაკურად იღიმებოდა.

— შენ რა გაციენებს გოგო, იმას მაინც გაგიბრტყელებ.

ჩემი რძალი ბავშვებთან დარჩა. დანარჩენებმა კი სამანქანო გზამდე გამომაძიციეს.

— ბურთი არ დაგავიწყდეს, ვაჟა ბიძია, — დამიბარა ბიქმა.

— ჩვენ კიდევ ყელსახვევები — ხელი დამიქნიეს გოგოებმა.

მამაჩემი და ვახტანგი წინ იყვნენ წასულები — ჩემოდნები მოქონდათ. მე, დედა და ნანული კი ერთად მივდიოდით.

— აბა, რა ჭკუით იქნები, შეილო, — მარიგებდა დედა, — არაფერში გადაცდე, უფროსებს დაუჯერე...

— კრების საკაბე წამომილე, რომ ჩამოხვალ, — მიზარებდა ნანული, — შავი კრები არ იშოვება, 2 მეტრი და 20 სანტიმეტრი მინდა.

გზაზე მეზობლები მხედებოდნენ და მილოცავდნენ. ჩემმა მოწმობამ ეტყობა გააკეთა თავის საქმე. მართლა კარგია დიდკაცობა და ხალხი რომ გაფასებს. ოღონდ სიფრთხილე კი ნამდვილად საჭიროა.

სამანქანო გზაზე ყველას გამოვეთხოვე.

— სახლი აშენებული დამაზვედრე. ვუთხარი ვახტანგს, — სამუშაოთა მწარმოებლად გნიშნავ.

— არის, ბატონო მთავარო ინსპ... ინჟინერო.

— აქეთ ნურაფრის დარდი გექნება. — ხელი ჩამომართვა მამაჩემმა, იქით ივარგე და გვასახელე.

ამასობაში მანქანაც მოვიდა. დედაჩემმა რაღაც ჩამიღო ჭიბეში.

— წერილები. მოიწერე, — მითხრა მერე, — როგორც ჩახვალ, მაშინვე გამოგზავნე.

— კრები 2 მეტრი და 20 სანტიმეტრი მინდა, არ დაგავიწყდეს, — დამიძახა ნანულიმ.

მე მანქანაში ჩავჯექი.

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

მანქანა დაიძრა. მე ჯიბეში ჩავიყავი ხელი — ფული იყო. ეკ, დედები, დედები!.. გულზე თბილი ტალღა შემომავწვა. ვიხსენებდი ყველაფერს და უჩვეულო რწმენით ვივსებოდი, ვიცოდი, სადაც, მშობლიური მიწის რომელიღაც კუნძულში, ღრმად მჭონდა ფესვები გადმული და უკვდავი ვიყავი.

მანქანა კი აჯამეთის ტყეში მიჰქროდა.

## VI

ჩემი დიასახლისი დერეფანში შემხვდა.

— ჩამოხვედით?

— დიახ. გამარჯობათ, დეიდა მარო.

ჩემოდნები ოთახში შევიტანე. არც გამიხსნია, ისე შევედე საწოლის ქვეშ. დაღლილი ვიყავი. ოთახი დაელაგებინათ, იატაკი მოერეცხათ და ფანჯრები გაეწმინდათ. სასიამოვნო იყო სისუფთავე. დივანზე ვიჯექი და ვისვენებდი. რუსიკო შემოვიდა.

— გამარჯობათ, — თქვა.

— გაგიმარჯოს, — წამოვდექი მე, — დაჯექი, — სკამი დაფუღვი.

— არა, არა ნუ წუხდებით.

— დაჯექი.

დაჯდა.

— აბა მიაშბე, როგორ მიდის შენი მათემატიკის საქმე?

— კარგად.

— როდის აბარებ?

— ერთ კვირაში.

— ნუ გეშინია, — დავამშვიდე, — ყველაფერი კარგად იქნება.

— რა ვიცი.

3. „მნათობი“, № 8.

— ესლა ცოტა დაღლილი ვარ; საღამოს გამეცადინებ, კარგი? *არქონული გიზლირთქა*

— კარგი.

როდის წავა-მეთქი, ვფიქრობდი. მართლა ძალიან დაღლილი ვიყავი. შეძინებოდა კიდევ. წუხელ წვეთი არ მიინებია, ვაგონში ჰედვა იყო და ფეხზე ვიდექი.

— თქვენთან ვილაც ბიჭი იყო დღეს, — თქვა რუსიკომ, — ნოდარი ერქვა. ჩამოვიდეს თუ არა სახლში დამირეკოსო.

— აბა, — გამეცინა მე, — მეტი არავინ ყოფილა?

— იყო გუშინ — ციციწო.

— ჩემი პატარა მაიმუნი?

— რატომ არის პატარა მაიმუნი?

— არის, — გამეცინა, — არ გავს თუ?

სამზარეულოდან დიასახლისის ხმა მომესმა:

— რუსიკო, სად წახვედი, გოგო?

— ესლავე მოვალ, — წამოდგა რუსიკო, — ნახვამდის!

— საღამოს გამეცადინებ, — ვუთხარი მე.

— კარგი.

გავიდა. მე დივანზე გავიშორე და ფეხები მაღლა შემოვაწყვე. არაფრით არ დამეძინა. დერეფნიდან ჩემი დიასახლისის ხმა ისმოდა. რაღაცას აქედებდნენ. მშვენიერი ქალი იყო, სანდომიანი, ქმარი დარდიმანდი ჰყოლია და ამ ერთი წლის წინ მომკვდარა. სულ დუღუკებზე ქეიფი უყვარდაო. ეს დუღუკებზე ქეიფი რაღა-მეთქი, ვფიქრობდი. ოთარიც ჰკუთას კარგავს ასეთ რამეზე. დუღუკს ვერაფერი შეედრებაო, ამბობს. მე კი დუღუკები გასვენების ორკესტრი მგონია. თუ ვინმე საღმე კვდება — სულ დუღუკების ბრალია-მეთქი. ერთი სიტყვით, რაზე არ ვიფიქრე, მაგრამ ძილით მაინც ვერ დავიძინე. ავღვები და ნოდარის მაინც დავურეკავ-მეთქი, გადავწვიტე ბოლოს. ქუჩაში რომ გამოვედი, სწორედ მაშინ მომერია ძილი. ტელეფონის ჯიხურში შევედი.

— ალო, — ნოდარის პატარა ძმა იყო, — ვაჟა ვარ, ნოდარის დაუძახე.

— საზღვი არ არის, — მითხრა მან.

— აბა სად არის?

— არ ვიცი. დაიცა — და შემდეგ, — ძმავ, ვაჟა, რუსთაველზე კაფეში ვიქნებით 5 საათზე მე და გივი ეცადე, მოაშვეო შენი სხეული.

მე უცებ ვერ მივხვდი.

— ეგ რა არის? დამაცა, მოვიდე მანდ და გაგისილაქო ყბები, — დაუწყვირე.

— ჩემთან რა გინდა, ნოდარის წერილია.

— აჰა, კარგი, ნახვამდის, დაკიდე მილი.

ტელეფონის ჯიხურიდან გამოვედი და საათს დავხედე. ჯერ ძალიან ადრე იყო. ისევ ზევით ავედი და დავიძინე. როცა გამომღვიძლა ხუთის შესრულებას ბევრი აღარაფერი აკლდა. ხელად ჩავიჭი და ქუჩაში გამოვედი. მანქანი ვწავედი. გარეთ მივდიხენ.

— გამარჯობათ, — მანქანიდან გადმოვედი და მივესალმე.

— ოჰ, მთავრობის კაცო მოვიდა, — შემომეგება ნოდარი, — მოგილოცავ შეიღ ნოემბერს.

— გამალობთ, — თავაზიანად ვუთხარი მე — დიდი მაღლობელი ვარ.

— ხელ მოგიმართოს, ვაჟა! — მომესალმა მზია. ძალიან კოხტად ეცვა. ხელში თეთრი ჩანთა ეჭირა. გივიმ ღიმილით ჩამომართვა ხელი.

— შევსულვართ აბა, — თქვა მერე.

— შევიდეთ.

კაფესაკენ გავემართეთ.

— როგორ ხარ, — მკითხა მზიამ.

— მშვენიერად.

— ახლაც მაშინდელივით ხომ არ ხარ მოშხამული?

— არა.

პლაშჩები გავიხადეთ და შევედით. მთლად ცარიელი მაგიდა ვერ ვიშოვეთ და ისევ სხვას შევეხიარეთ. მერე ის სხვა წავიდა და ჩვენ დავგრჩა ბურთი და მოედანი.

— რა დავლიოთ? — იკითხა ნოდარმა.

— რას კითხულობ. აქ შამპანურის მეტი არაფერიც არ აქვთ.

— ო, მაღლობა შენდა, — კაფეების დიდო მკონდევ და მოამაგევე.

— ილაპარაკე, ილაპარაკე, — გამეცინა მე, — ჟურნალისტებმა ლაპარაკის მეტი რა იცი.

ოფიციალტი მოვიდა და შამპანური დავუკვეთეთ ნამცხვრით. არცერთს არ გვშიოდა. მშრალი ნამცხვარი იყოს, ჩასაყოლებლად რომ გამოდგეს-თქო, ვუთხარი.

— ლაპარაკო, — თქვა ნოდარმა ოფიციალტი რომ წავიდა, — ლაპარაკი, ძმავ ჩემო, დიდებული რამეა. ლაპარაკით მაიძუნები, ძმავ, ერთმანეთს დაუკავშირდნენ, გაერთიანდნენ და ადამიანებად იქცნენ. ლაპარაკით ადამიანებად დაამსხვრიეს მონობის უღელი. აი, რა შეუძლია ლაპარაკს, ძმავ ჩემო, გიყვარდეთ ლაპარაკი, რადგან ლაპარაკი...

მზია იცნოდა, მშვენიერად დამეგობრებულყვენ ჩემს აქ არ ყოფნაში.

— დაგეწყო თავზე თმები, — ვუთხარი მე, — მოკეტე ახლა.

ოფიციალტმა ღვინო მოგვიტანა და მაღალყელიანი ჭიქები. ნოდარმა დიდის ამბით გახსნა ბოთლი და ჭიქებში ჩამოსახა. მე გარეთ ვიყურებოდი. კარგი დარი იყო და ზღვა ხალხი გამოსულიყო ქუჩაში.

— სოფელში იყავი? — მკითხა მზიამ.

— ჰო.

— როგორი დრო გაატარე?

— შესანიშნავი.

— თქვენები კარგად არიან?

— კარგად.

— ნეტა მეც წამოვსულიყავი, — თქვა მან.

— მართლა? როგორ არ გითხარი.

— რომ გეტქვა, უსათუოდ წამოვიდოდი.

— წამოვიდოდა, — თქვა გივიმ.

— შენ ასე ფიქრობ? — მკვახედ გამომივიდა. ვერ ვიტანდი მზიაზე ავტორიტეტული ტონით რომ დაიწყებდა

ლაპარაკს. თუმცა უკვე დრო იყო შეეჩვეოდი ამას.

— სალუტ, ამხანაგებო, — თქვა ნოდარმა, — დავლიოთ.

— გაგიმარჯოს, — ვთქვი მე.

— სალუტ, — თქვა მზიამ.

ერთდროულად დავლიეთ. საშინელე-ბაა ეს ტყბილი ღვინოები, გულს აგი-რევს კაცს.

— ცუდად გავატარე ეს ნოემბერი — თქვა მზიამ, — ნეტა წამოვსულიყავი.

— სხვა დროს წაგიყვან.

— კარგი, სხვა დროს იყოს, თავი მოგაბეზრე, არა?

— ნუ სულელობ.

შეეთვერი. ეს მესამე კვირიდანვე ვი-გრძენი. უცებ მომეკიდა სიმთვრალე. სოფელშიაც ასე დამემართა. ნამდვი-ლად მგზავრობის ბრალი იყო.

— იცი, რაზე მოგიყვანეთ? — მკი-თხა ნოდარმა და კადეც ერთი ბოთლი გახსნა. — იდეა გვაქვს.

— რა იდეა?

— შიომღვიმეში მივდივართ შაბათს. ღამეს იქ გავათევთ და დილით წამო-ვალთ. კარგ დროს გავატარებთ.

— მშვენიერი იდეაა, — ვთქვი მე, — მომეწონა.

— ასეც ვიცოდით. ჩემოდანი რო-გორ გაქვს?

— აჰა. გასაგებია.

— არის რამე.

— ალბათ. წელი მომწყვიტა მისმა თრევამ.

— საწყალი ბიჭი. ჩვენ სულ გვეშინო-და, ხელი არ მოუთავოს-თქო. მაგის იმედი გვაქვს. დილაადრიან იმიტომ დავეცი თავზე შენს დიასახლისს. შაბა-თამდე ხომ გაძლებს!

— კაი გაიძვერა ხარ, — ვუთხარი მე. — გაძლებს.

— აბა, პირველ რკინიგზას გაუმა-რჯოს ამხანაგებო, — თქვა ნოდარმა.

— შენ რატომ არ სვამ? — ჭიქა შე-ევუსე გივის. მთვრალი ვიყავი და გა-ლიზიანებული.

— არ მინდა მეტი.

— ზომას იცავ?.. დალიე, მეცნიერ-მუშაკო.

— კარგი ვაჟა, მომეშვი ერთი.

— რატომ ჩვენსავეთ არ სვამ? რა-ტომ არასდროს არ თვრები? დაუსხი ნოდარი!

— რამ წამოგიარა?

— დავთვერი, — უცებ გამეცინა მე, — არ გეწყინოს.

— დაწყნარდი ვაჟა, — მხარზე ხელი დამადო მზიამ.

— მომეკიდა, — ვთქვი მე. — მა-პატიე, გივი.

— მეტს ნუ დავლევთ, — წამოდგა მზია. ძალიან საყვარელი გოგო იყო და ვუთხარი კადეც — მიყვარხარ-მეთქი. გამიცინა და მკლავში ხელი გამომდო. მე ოფიციალტს დანახარჯი გავუსტუმრე. ნოდარი არ მანებებდა, ახლა ჩემი რი-გიაო, მაგრამ საბოლოოდ მაინც მე გადავიხადე. უცებ გამიარა სიმთვრა-ლემ.

ჩავიცვით და გარეთ გამოვედით.

— ნახვამდის ბიჭებო, — თქვა მზი-ამ, — წავედით.

— ნახვამდის, — ხელი ჩამოგვართვა გივიმ.

— მაპატიე, — ვუთხარი მე.

— კარგი ერთი, ბევრები ხომ არ ვართ? — გამიღიმა.

ავტობუსში ჩასხდნენ და წავიდნენ. ჩვენ ისევ კაფეს წინ ვიდგეთ.

— რას გადაეკიდე? — მითხრა ნო-დარმა.

— რა ვიცი, მაბრაზებს თავის იმე-რული ჯუღაბზიკობით.

— მეც. ისე კი არ უნდა იყოს ცული ბიჭი.

— გულს მირევს, ჯანდაბამდის გზა ჰქონია. სულელია მზია, მაგას რომ მიპ-ყვება.

— შენ ეგ თქვი. ჩემისთანა ბიჭი აგერ იყოს და იმას გაჰყვეს?

— შენც კარგი ის ხარ...

— აბა, აბა, შეურაცხყოფას არ მო-გითმენ, იცოდე.

— წამოდი, ამ საღამოს ჩემთან დაწე-ქი.

— წამოვალ. ოღონდ დილით ადრე უნდა გამალვიძო. მე თვითონ ვერ ვიღვიძებ, ღედაჩემი მალვიძებს ხოლმე.

— დედიკოს ბიჭი, — თავზე ხელი გადავუსვი მე.

— ჰო, ჰო, სერიოზულად გეუბნები.

— ნუ გეშინია. ჩემი დიასახლისი გაგალვიძებს. მეც ხომ უნდა წავიდე ხეალ სამსახურში?

— კარგი. მოვდივარ.

მანქანაში ჩავჯექით და წავედით. გზაში უცებ გამახსენდა, რომ ოფიცია-

ნტს ღედაჩემის მიერ გამოტანებული ფული მივეცი და გული დამწყდა. „შენი რწმენა“. ვიცოდი, სისულელე იყო ამაზე ფიქრი, მაგრამ მაინც ვფიქრობდი. შერე რუსიკო გამახსენდა. „ამალამ უნდა ვამეცადინო“, — გადავწყვიტე გულში და თითქოს დანაკარგიც ხელად ამინაზლაურდა. „წონასწორობაა-მეთქი მთავარი“, — ვუთხარი ნოდარს, „კიო“, — დამეთანხმა, — „ოღონდ აქ კი არა, მანქანიდან რომ გადმოვალთო“. მთვრალი იყო, რას გაამტყუნებდი.

(გაგრძელება იქნება)



ად. ქათათაი

ზ ე კ ა რ ზ ე

დრო და ჟამი რალაც უცბად,  
შეუმჩნევლად გავიდა,  
მას უკან რაც არ მენახა  
საირმე და ზეკარი.  
მთის ბილიკი დაფითოკე,  
გავიარე თავიდან.  
თუ სადმეა სილამაზე, —  
ქეშმარიტად ეგ არი.  
ზეკარისკენ ვავეშურე,  
არსად შემისვენია.  
ტყეში შეველ, გაფირინდე  
ხეთა შორის მწერალი.  
მე ასეთი ქარშოშმანი  
ბავშვობაში მსმენია,  
როცა მკედრის მზით განაშუქი  
კრთოდა ხეთა მწვერვალი.  
უფსკრულიდან არ ისმოდა  
ხანისწყალის გრიალი  
და ვაგნებდი დაგორებულ  
ლოდით სანაპიროთა.  
ირგელივ იდგა მდუმარება,  
მთის სიჩუმე ტიალი.  
მხოლოდ სადღაც გულსაკლაეად  
ხარირეში ყვიროდა.  
ეს არ იყო მწერირობა  
ჩხეზიანი ირემის:  
დაღუბულ ძმას გავსძახოდი,  
ქუხდა ჩემი ნალარა.  
ხმას არ მცემდნენ თურქის მიერ  
განგმირული გმირები  
და შევიქენ უკულმართი  
ჯამისაგან ქალარა.

დრო და ჟამი რალაც უცბად,  
შეუმჩნევლად გავიდა,  
მას უკან რაც არ მენახა  
საირმე და ზეკარი.  
მთის ბილიკი დაფითოკე,  
გავიარე თავიდან.  
თუ სადმეა სილამაზე,



ქეშმარიტად ვგ არი.  
 მთაში გზაზე შემეფეთა  
 ირემივით მზექალი,  
 ჯერედ ნორჩი, მთამ რომ მანკი  
 ახლოს არ გააკარა,  
 ვით ასკილმა ახლად გაშლილ  
 თავის ყვავილს ეკალი.  
 წყაროს ჩაველ, მომაწოდა  
 ქალმა წყალი ანკარა,  
 გიშრის თვალთა ელვარებით  
 უმაღლ მომაჯადოვა.  
 მივაშტერდი ტანაშოლტილს,  
 გული ამიკანკალა,  
 მინდვრის ნაზი ყვავილების  
 სურნელება დატოვა,  
 თვისი ეშხი და სიტურფე  
 თავზე გადამაყარა.  
 ქალის ეშხით თავდათრობა  
 გულში ახლაც მშთენია.  
 მივესალმე მზეთუნახავს  
 ჯადოქრული მწერალი  
 და უმაღლე წამეკიდა  
 ტრფობის ცეცხლი, გენია,  
 თითქოს ვიყავ ახალგაზრდა,  
 მიჯნურობის მღერალი.  
 მიჯნურობა ბრძენისთვისაც  
 ძნელად ასახსნელია,  
 განა იგრძნობს იმის ძალას  
 რეგვენი და ვერანი!  
 მე კი კაცად მან განხადა,  
 მანვე მომასმენია  
 სერაბიშთა სიმღერების  
 ჰანგი, კილო, ეღერანი.  
 ვთქვი და უიდან ჩამომესმა  
 თვითმფრინავის გუგუნო.  
 გაახუნა მთის არწივი,  
 არწივი ცის გაკრული.  
 გაარღვია მთის სიჩუმე,  
 მღვიმეების უკუნო  
 და ჩაახშო შავ კლდეებში  
 ხანისწყალის მაყრული.

ნონა შაბანაძე

## ორი მოთხრობა

სოფლოზანას თაგაზი

ბინა, სადაც მე ვცხოვრობ, უკანა მხრიდან ერთსართულიან პატარა სახლს გადაჰყურებს. მისი სახურავი ჩემი ფანჯრის ბოლომდე ამოდის. სახლის წინ ორი ნაბდის გაშლა მოასფალტებული ეზოა, რომელიც რკინა-ბეტონის სქელ კედლებშია მომწყვდეული. მთელი ეს ეზო-კარი ერთ ვილაც შინაყუდას ეკუთვნოდა. ვერ გაიგებდით, როდის გადიოდა შინიდან და როდის ბრუნდებოდა. გავალებდი ფანჯარას და მზესთან ერთად თითქოს სიჩუმითაც მივსებოდა ოთახი. შინაყუდას სახლკარი მერცხლის მიტოვებულ ბუდეს ჰგავდა, ჩამიჩუმი არ ისმოდა.

...და აი, ერთ დღეს ბავშვთა ყიყინამ გამაყრუა. ფანჯარა ყურთამდე გამოვალე. ეზოში ცეროდენა ბიჭუნები დარბოდნენ და ვალიაში გამომწყვდეული ბოკერებივით ბლაძუნობდნენ. ცხრილზე რომ დაგესვათ, მაღლა ერთიც არ შერჩებოდა. ხელის თითებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ყველაზე უფროსი ისე გამოირჩეოდა, როგორც შუათითი, მომდევნო კი მასზე არათითივით ოდნავ დაბალი იყო, ხოლო სულ უმცროსი ნეკივით ნაბოლარა ჩანდა.

ბტუნვით გული რომ იჭრეს, უფროსი შეჩერდა და ხმამაღლა წაილილინა: რა მოვიგონეო... რა მოვიგონეო...

— რა, რა?! — ერთხმად შესძახეს ბიჭებმა.

— აბა, გამოიცანით?!

— თქვი, რა, კობა?! — დაედირჯა უმცროსი.

— შაველა გეტყვის, — უბასუხა კობამ.

— მე რა ვიცი, შენ რა მოიგონე... მე ის ვიცი, რასაც თვითონ მოვიგონებ, — უთხრა შაველამ გულგრილად, თითქოს არც აინტერესებდა.

— რა მოვიგონე და... ვთქვა?! ვთქვა?! —

— თუ ამბობ, თქვი და გაათავე! — შეუღრინა შაველამ.

— რა და... სოფლოზანა ვითამაშოთ...

— ვითამაშოთ!.. — შესძახა უმცროსმა და რძით გულმოსულებელ ხბოსავით შეიკენტრუშა.

— ვითამაშოთ! — გაეხარდა შაველასაც.

— ჯერ რა ვქნათ, ბიჭებო, იცით?! — ლელე გამოვიყვანოთ, ვითომ ჩვენი საირხულაა, — მიმართა კობამ.

ყურები ვცქვიტე. ეს ლელე ჩემს რაიონშია, სოფელ საირხეს შუაზე ჰყოფს. მაშე ეს ბავშვები საირხელები არიან?!

— ავთო შეირბინე და ჩაქუჩი გამომიტანე. შენ კი, შაველა, აგურები მომაწოდე, — კაცური კილოთი უთხრა კობამ და ხელები დაიკაპიწა.

ბეტონის კედლის გასწვრივ აგურები გაამწყრივეს. მერე ონკანი მოუშვეს და წყალმა თქრიალით იწყო დენა. კობამ ფეხთ გაიხადა, დაიკარწახა შარვალი და „ლეღეში“ შეტყაპუნდა.

— ეს რა საირხულაა, ნაპირზე ერთი ხე და ბუჩქი არ არის?! — წამოიძახა წყენით შაველამ.

— არც ხილია! — აიმრიზა ავთო.

— თქვე კაი კაცებო, მაგის გაკეთებას რა ღიღი საქმე უნდა, — გაიციანა კობამ და შინ შეირბინა. გამოიტანა გავითი და მაკრატელი. გამოჭრა ქაღალდის

„ბუნჩები“ და ჯოხებზე ჩამოაცვა. ჯოხები კი აგურებზე დაამაგრა. მერე ვითომ ხიდიო, „ლეღზე“ ცოცხი გარდი-გარდმო გასდო.

— ახლაც იტყვიან არ ვარგაო?!— ჩაიხითხითა კობამ და შველას მიუბრუნდა:

— ვედრო გამოიტანე, ვითევზაოთ!

აი უკვე სამივე „ლეღში“ არიან. დაიბრება კობა, ასფალტზე ხელს აფათურებს და ყვირის: — ბიჭოს, რა მურწია, როგორ სხმარტალებს! ვეღარსად წამისხვალ, ვერა...— მიდის მძიმე-მძიმედ და მომუშტულ ხელს ვედროში ჰყოფს...

— კალმახი, კალმახი! აგერ შეძვრა დარანში!...— გაიძახის შველა და სველ აგურებს უსვამს ხელს... ავთო კი დახტის, დატყაპუნებს წელამდე ჩასველებული.

— შენ, პეი, თევზებს ნუ გვიფრთხობ! მოდი, ვედროსთან იდარაჯე, მურწია არ გაგვეპაროს, — ეუბნება კობა ავთოს დიდკაცურად. ონკანი კვლავ დიაა, მოდის, მოთქიშინობს წყალი...

უცებ ქალის უჩვეულო ყვირილი გაისმა. სულ მალე ვიწრო კიბეზე მეეზოვე გამოჩნდა. მოდიოდა და მოქაქანობდა, ხელში უშველებელი ცოცხი ეჭირა.

— ნამუსი არ არის, ონკანი ვერ დაკეტოს, ნიაღვარი წაგიღოს?!— გაიძახოდა იგი და გრძელ კაბას მოაფართუბნებდა.

ბავშვებმა როგორც კი დალანდეს, უკან მოუხედავად მოცოცხეს... ვინ წინ და ვინ უკან...

მეეზოვემ ჯერ ონკანი დაკეტა, მერე კარებს მივარდა, სადაც ის-ის იყო ბიჭები შეიმაღენ. ჩაკეტვა მოესწროთ. მეეზოვემ კარებს ბრახა-ბრუხი აუყენა, თანაც იგინებოდა: როდის, როდის, კარგად ჩასუქებულმა ახალგაზრდა დედაკაცმა გამოიხედა. თმა ისე აწეწოდა, იფიქრებდით: სავარცხელი არასდროს გაკარებიაო. დაწითლებულ თვალებზე ხელს ისვამდა და თანაც გადამდებდა ამოქნარებდა.

— ეს არის საქმე, შენ ძინამს და მე ნიაღვარმა წაგიღოს?! — შეჰყვირა მე-

ეზოვემ. ის კი ძილის ბურჯიდან მთლიანად ვერ გამოსულეყუფუფე ვაჭყვრებულ მეეზოვეს გაკვირვებულად უხუხუხებდა.

— წამოდი, ნახოს, ცხალში დაიხრჩო! — სტაცა ხელი ბოლოს. იგი გაყიდული ცხვარივით გაჰყვა. ქვემოდან ერთხანს კიდევ ისმოდა მეეზოვის ხმა-მალალი ლაპარაკი. როცა ხმაური მიწყდა, ოდნავ გაღებული კარების ღრიჭოდან ჯერ კობამ გამოიჩყიტა, მერე შველას ჰრელმა თვალებმა გაიფლვა, ბოლოს ავთოს ცხვირიც გამოჩნდა.

— დაგვშრობია ლეღეო, დაგვშრობია ლეღეო!.. — შეთანხმებულივით ერთხმად დასძახეს და გამოცვიდნენ გარეთ.

— აი, თქვენ დაგიშრათ სისხლი, რაც თქვენმა დედამ თქვენგან ვერ მოისვენოს! — მძიმე-მძიმედ ამოათავა კიბე გაბრაზებულმა დედაკაცმა და კობას გამოუდგა. როგორც იქნა, მოიგდო ხელში. მაგრამ ორი წათაქებალა მოასწრო, ჩიტვივით დაუძვრა...

— რა გაგიკეთებიათ, ბიჭო, რა არის ეს?! — მიუბრუნდა ახლა შველას.

— სოფლობანას ვთამაშობდით, — უპასუხა შველამ, თან უკან-უკან დაიხია, კობას ხევილი მეც არ გაევიზიარო.

— რა სოფლობანა, რის სოფლობანა!... დიდიხანია დატოვეთ სოფელი?! ასე როგორ დაემსგავსეთ ბუსურა მამათქვენს: ძლივს ვაქნევიან აქეთ პირი... რა ღირსი ხართ აქ ცხოვრების, სოფელში უნდა ამოგძრომოდათ სული! ჰი, სოფლობანას ვთამაშობდითო! არ გვანან ნიკალას ბიჭებს: ორი წელია ქალაქში ჩამოვიდნენ და სოფლისკენ აღარც იხედებიან!... შემოდით შინ, თქვე ჯიშამოსაძირკვავებო, თქვენა!...

კობა „ლეღის“ სათავესთან ისე იდგა, თითქოს ფეხის მოცვლას არ აპირებდეს. შველა ხან დედას შეხედავდა, ხან კობას; ეტყობოდა, ძმაზე უმალ არ უნდრდა შინ შესვლა. ავთო კი ასკინკილას დახტოდა, თითქოს აქ არაფერიო.

— კობა, ვის ველაპარაკები მე?! — გაუმეორა დედამ.

კობამ ზანტი ნაბიჯით მიაშურა სახლს, შეველაც იმ წამსვე მიჰყვა. ავთომ კი ერთი კიდეც წაიხტუნა და ძმებს მოწურწურე შარველის ფართხუნით გამოედევნა.

თითქოს მათ წასვლას ელოდაო, დაუბერა ნიაგმა და „ლეღის“ გასწვრივ ჩამწკრივებული „ხეები“ მიყარ- მოყარა. „ლეღ“ კი ისე ამოშრა, ვერც იფიქრებდით, იქ წყალს ჩაუვლიაო.

• • •

მეორე დღეს სამსახურიდან დაბრუნებისთანავე ფანჯარაში გადავიხედე, მაგრამ პატარები არ ჩანდნენ. საღამოს კი უკვე სადგურზე ვიყავი და მატარებელს ველოდებოდი. საჩქარო საქმეზე მოულოდნელად მომიხდა ჩემს სოფელში გამგზავრება.

...აჰა, ინათლა და უკვე რაიონის ცენტრში ვარ. აქედან არც ისე შორსაა ჩემი სოფელი. ავტომანქანას ზურგს ვაქცევ, ნელი ნაბიჯით მივყვები საცალფებო ბილიკს, რომელიც გზას ერთიორად ამოკლებს. დილაა, მაგრამ რა დილა, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი! ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობ, თითქოს მთელი ქალაქის სიმძიმე მაწვა და აგერ ახლა ჩამომცილდაო. ჰაუ, რახანია ამ გზით არ მივლია! წვიმიანში ატალახება იცის და ვერიდებოდი. ალაგ-ალაგ გვარიანი შეღმართებიცაა და ესეც მაფრთხობდა. აქ რომ ვცხოვრობდი, გავიხარია, ამ გზით სიარული მიყვარდა. დავიკარწახებდი და ტალახში ისე მივაბიჯებდი, ცა ქუდად არ მიმაჩნდა, დედამიწა ქალამნად. ქალაქმა გამაზარმაცა...

ფიქრში გართულს ერთი ხანშიშესული დედაკაცი წამომეწია და ტკბილი საუბარი გამიბა. თითქოსდა ნაცნობი სახე ჰქონდა; ცნობისმოყვარე თვალთ მიყურებდა...

ხოდაბუნებს გამოვცდით. გზა უკვე საირხულას მიჰყვება. ფერდობებზე

ტყრულელი ღობით ლამაზად შემორჩა- გული ეზოები ჩანს. ოფს-ქიტლებიდან აქა-იქ კვამლი ამოდის და მთავარ ქუჩაზე ღრუბლის მსუბუქი ქულებივით იყარგება. აი უკვე სოფლის ორშარაში შევედით. საირხულას თანდათან უკან ვიტოვებთ და მისი საამო ჩხრიალი დედის ნანასავით შორეულად ჩაგვესვის. თვალი კონინდარით დაფარულ ეზოებში მრჩება. ბავშვებს უკვე მოუსწრიათ გაღვიძება და პერანგისამარა დანავარდობენ.

— აგერ ამ ეზოზე გადავტრათ, უფრო მოკლეა, — მეუბნება თანამგზავრი და წინ მისწრებს. მე უხმოდ მივყვები. ჩვენს წინ გაფოლორცებული ეზოა. სახლს ვეება ურდული ადევს. სახურავი საფლავივით ჩაწეულა, საცაა ჩაინგრევა. დერეფნის მისავალი ანწლსა და გვიშრას დაუფარავს. ალაგ-ალაგ ღორის ამონათხარებია...

— რა საცოდაობაა ასე გაპარტახება... ნეტავ ვინ ცხოვრობდა აქ? — ვკითხვებ დედაკაცს.

— მალაქია ცხოვრობდა, შვილო, ენუქიძე. სამი წელია ქალაქში გადასახლდა.

— მერე და იქ რას აკეთებს?

— გარაქში მუშაობსო ასე თქვეს და რა ვიცი...

ერთხანს უხმოდ მივდიოდით. შემდეგ მომიბრუნდა და ნალვლიანად მიითხრა: — აფსუს, რა მეზობელი გამოგვაკლდა ახლახან?! ჩვენს კოლმეურნეობაში მონაგარიშედ მუშაობდა. დიდება შენდა, ღმერთო, რამ წამოუარა! გამოიჯარა ამასწინებზე კარები, აიყარა კოლმეულით და ქალაქს გადაბარგდა. უკვე უყიდი სახლი და სადღაც ეწყობა თურმე ბუღალტრად...

არაფერი მითქვამს. თვალწინ „სოფლობანას თამაში“ მეხატებოდა. ჩემდაუნებურად თხმელისა და ვერხვის ხეებით დაბურულ საირხულასკენ გავიხედე.

## ბაბრია

მზე კაცის სიმაღლეზე იყო ასული, როცა ივლიტა ძაღლის უჩვეულო წმუ-

ტუნმა გამოაღვიძა. ქმარი ნაშუალამეცსწისქვილში გაისტუმრა, მერე კი ერ-

თხანს ფეხზე იტრიალა, სახლი მიალავ-  
მოალავა, თავის შესაყოლიებლად, ვინ  
იცის, სკამებს რამდენჯერ უცვალა ად-  
ვილი. ვათენებისას ძილი მოერია, თვა-  
ლის მოსატყუებლად წამოწვა.

— ვაი, სირცხვილო, ეს რამდენხანს  
მძინებია, — ჩაილაპარაკა და საჩქაროდ  
წამოდგა. ბუხარში ცეცხლი მიქრალი-  
ყო, ნაკვერჩხლები ფერფლის ჭადარას  
დაეფარა. საკეცე აიღო და ის-ის იყო,  
უნდა გამოეჩხრიკა, ძაღლის წკმუტუნის  
გამეორდა.

— ბაბრია! ბაბრია! მოდი აქ, შე ეშ-  
მაკო. შეგცივდა განა?! აგერ ცეცხლს  
გაეჩაღებ და ვათბები, — თავისთვის  
ლაპარაკობდა და ცდილობდა, ბუხარი  
მალე აეგვიზიზებინა. მაგრამ შეშა ჯი-  
უტობდა, არ იქნა და ცეცხლი არ მიიკა-  
რა. ნაკვერჩხლები კვლავ მისწი-მოს-  
წია, — საოცარია, ყველაფერი გულით  
ხარობს, ცეცხლი კი უგულობით. ადა-  
მიანიც ასე რომ იყოს, რა მიჭირს. შენ  
გული თქვი, თორემ სხვა რა მომერე-  
ოდა. გულმა გაატეხა, ამ ოხერმა გულ-  
მა!...

თავსაფარი შეისწორა, დაიჩოქა და  
ცეცხლს შეუბერა. დამკვანარი სახე წა-  
მოუწითლდა და ხველა აუვარდა. მაგრამ  
არ ეშვებოდა, უბერავდა და უბერავდა.  
ბოლოს მოდუნდა და სუნთქვა შეეკრა.  
იქვე სოხანეზე ჩაჯდა, უნდოდა სული  
მოეთქვა, მაგრამ ეს რა დაემართა:  
ჯერ ბუხარი გადმოტრიალდა და ქანა-  
ფხა დაიწყო, მერე მთელი სახლი ამო-  
ძრავდა, თითქოს ზღვეშია და იძირებო.

— ი კაცი მაინც იყოს შინ... რა მეშვე-  
ლება ახლა მე?! ბაბრია! ბაბრია! მწ, მწ, მწ!

„პასუხად ისევ წკმუტუნის მოისმა.  
„ძაღლს მაინც რა დაემართა. სახლიდან  
ვერ ვიშორებდი, სულ კარებთან იყო  
ატუხული. ახლა კი ბუნავიდან აღარ  
გამოდის. ცეცხლთან ყოფნასაა მიჩვე-  
ული და შეცივდებოდა... წუხელ ქარი  
იყო, სუსხი იგრძნობოდა...“

თვალები დახუტა და ერთხანს გა-

ირინდა. მოეჩვენა, თითქოს ძაღლი ისევ  
წკმუტუნებდა.

„არა, მაგას რაღაც ფარსავი სჭირს.  
ამ დღეებში უხასიათობა ემჩნეოდა. გუ-  
შინ სალაფავს უღიმღამოდ ულაშუნებ-  
და პირს“, — გაიფიქრა და ნელა-ნელა  
წამოდგა. კარები რომ გააღო, ეგონა ბა-  
ბრია შეეგებებოდა, ჩვეულებრივ მიელა-  
ქუცებოდა. მაგრამ ძაღლი არ ჩანდა,  
ალარც წკმუტუნის ისმოდა. ივლიტას ეს  
ამბავი ეპცხეთა და მოუთმენლად მიაშუ-  
რა დერეფნის იმ კუთხეს, სადაც ბაბრი-  
ასთვის საგანგებოდ ჰქონდათ ბინა მო-  
წყობილი. შეიხედა და ელდა ეცა:  
ძაღლს თავი წინა ფეხებზე დაედო, უკა-  
ნა ფეხები კი ისე გაეჭიმა, გაწყვეტაზე  
ჰქონდა. თვალები ორი მსხვილი წვეთი-  
ვით მიეინვოდა. ივლიტა დაიხარა და  
ძაღლს ხელი სათუთად გადაუსვა. თითე-  
ბში ქრუანტელის მომგვრელი სიცივე  
იგრძნო.

— რა დაგემართა, შე საცოდაო! —  
შეიცხადა მან და იქვე მოწყვეტით და-  
ეშვა. კარგახანს უხმოდ იჯდა და ბაბ-  
რიას გაფითრებული უსვამდა ხელს.

— ვაიჰე, შვილო სანდალა, შენი მო-  
ყვანილგ ბაბრია აღარ არის, ბიჭო! —  
ისევ უცებ შეჰკივლა ივლიტამ, თითქოს  
იმ წუთში შვილთან დამაკავშირებელი  
უკანასკნელი ძაფის გაწყვეტა იგრძნო.  
მოთქვამდა, გულამომჯდარი ტიროდა,  
თანაც ღრმა ფიქრებსა და მოგონებებ-  
ში იძირებოდა. თვალწინ ის ბედნიერი  
სადამო ეხატებოდა, გახარებულმა სან-  
დალამ შინ ახლადთვალახელილი ლეკვი  
რომ მოარბენინა.

...იმ დღეს სანდალა უთენია მიდიოდა  
სათოხარში. გასამარგლი ყანა სოფლის  
განაპირას იყო. სანამ მიადრეკდა, კარ-  
გა მანძილი უნდა გაეგლო. მხარზე თოხ-  
გადებული სტვენითა და ღიღინით მი-  
აბიჯებდა. თოხის ყუასთან ხელსახოცში  
გახვეული მთელი დღის საგზალი ეკიდა.

სოფლის შუაგულიდან შარავზა თან-  
დათან ფართოვდებოდა, ორივე მხარეზე  
ვერხვისა და შქერის ცოცხალი ღობე  
გასდევდა. ხეებსა და ბუჩქებს უამრავი  
ფრინველი შესეოდა და მზის ამოსვლას



ერთი ამბით ეგებებოდა. სანდალას ფრთოსანთა ქდურტულში რაღაც უცხო ხმა ჩაესმა. ყურები ცქციტა და სმენად იქცა. გზის პირიდან გარკვევით გაიგონა ლეკვის გულამომჭადარი ღნავილი. ჰაბუკმა ბუჩქები თოხის ტარით გადასწია და ისე გულმოდგინედ დაუწყო კირკიტი, თითქოს მწყურის ბუდეს ეძებდა. ლეკვი ერთხანს მიჩუმდა, ბიჭმა დიდხანს ათვალიერა, მაგრამ ვერხვთა შავ-შავი ფესვების მეტი ვერაფერი შეამჩნია. ის-ის იყო თავი უნდა მიენებებინა, ერთი „ფესვი“ მუხლუხივით ნელანელა შეიძრა და მიკნავებული ხმით აწყვტუნდა. სანდალა აცოცდა ვერხვზე და ღობეს მერცხალივით გადაეფლო. როგორც იქნა, მიწვდა „მოძრავ ფესვს“ და ფრთხილად გამოაცოცა. ლეკვი თითებზე ეცა და ლოკვა დაუწყო. ეტყობოდა, კარგა ხნის მშვიერი უნდა ყოფილიყო. დადლილი და მისუსტებული ლეკვი ხმას ძლივსღა იღებდა. სანდალამ ვახსნა ხელსახოცი, მოტეხა მჭადი, ხელის გულზე დაიფშვინა და გაუწოდა. ლეკვმა ჭერ უნდობლად დასუნა, მერე პირი მოულაშუნა და უცებ ისე გამოცოცხლდა, მთლიანად შეჭამა და თითებს დაუწყო ლოდნა. ჰაბუკი გახარებული უყურებდა და ეალერსებოდა: — არ გეყო, შე ეშმაკო, ვანა?! ჭერ სადა ხარ, მჭადს კიდევ მოგიტეხავ. არ დაბადებულხარ და ომიანობა უკვე უგრძნობინებიათ. შენი საქმელი სადა გვაქვსო და მოგიშორეს, არა?! შენთვის ომი დამთავრებულია. ნულარ გეშინია, მე არ მოგაკლებ საქმელს...

— გამოადგი ფეხი, ნუ გაშტერებულხარ, შე ფეხებგასაქვავებულო! — მოესმა სანდალას გაბრაზებული ქალის ხმა. შეძახილი ისე მოულოდნელი იყო, უნებლიედ შეკრთა და მიიხედ-მოიხედა. მის უკან ათიოდე წლის ბიჭუნა იდგა, ხელში მწვანე ხახვის კონებით სავსე ბაღურა ეჭირა. სანდალამ შეამჩნია, რომ ბიჭუნა ხარბი თვალით უყურებდა ხელსახოცს, საიდანაც თავწატეხილი წითელი მჭადი მოჩანდა.

— ხომ კარგი ლეკვია?! — ჰკითხა სანდალამ.

— მჭადს აქმევ და კარგად ჰქნებოდა რა?! —

— შენც ხომ არ გინდა მჭადი?

— მე... ხახვი მიგვაქვს ბაზარში და დედა იყიდის პურს... სანდალამ ახალა შენიშნა ახალგაზრდა, სანდომიანი ქალი. კალათა ყორეზე ჩამოედო და ოფლიან შუბლს თავსაფრის ყურით იშშენდდა.

— ნუ დავაბერე გზაში, წამოდი, თუ მოდიხარ, ბიჭო! — ახლა მუდარა უფრო მოისმოდა ქალის ხმაში, ვიდრე ბრძანება.

ბიჭუნა წელმოწყვეტილივით მიჰყვა დედას. მიდიოდა და თვალები უკან რჩებოდა.

სანდალამ მჭადს წაატეხა და უნდოდა ბიჭუნასთვის დაეძახა, მაგრამ არ დაუძახია. შეკრა ხელსახოცი და ისევ თოხის ყუასთან ჩამოკიდა. ლეკვი გულზე მიიხუტა, თოხი მხარზე გაიღო და გზა ისე სახემღიმიარემ განაგრძო, თითქოს ხელში ყოვლისშემძლე ზღაპრული ნატვრისთვალი ეჭირა.

თითქმის მთელი ბრიგადა ყანაში დახვდა. „ამ ბერიკაცებს ერთხელ ვერ დავასწარი. რას დაასწრებ რა, ჭოტებივით არიან, ღამითაც არ სძინავთ. თუმცა ხანდახან თოხის ტარზეც ყვინთავენ...“

— ქარმა ფარანი ხომ არ ჩავიქრო, სანდალა?! — გადმოსძახა ფერღობიდან ბრიგადირმა. მას სხვებიც აყენენ.

— ე, ლეკვი რაღად გინდა, ნადირობას აპირებ?! — ჰკითხა ერთმა.

— ფრიცებზე სანადიროდ მიჰყავთ და გამოადგება! — ჩაურთო სიცილით მეორემ.

— როგორ, მართლა გამოვიძახეს, ბიჭო?! — გაიკვირვა შავთავსაფრიანმა შუახნის ქალმა.

— ჰო, ბილეთი მომცეს, მზად იყავიო, — უბასუხა სანდალამ.

— ვაი შენს დედას, შვილო! შევნატროდით და...

— შენ რომ მიდიხარ, გაიგეს და მიტომ დაიხიეს კაციჭამიებმა, — ჩაიჭირ-



ქილა თეთრწვერა მიხამ და განაგრძო: — თურმე ყველა ჩვენგანის შექმა უნდათ ი შეჩვენებულებს. კაცს რომ ფეხებიდან შეჰყვებოდნენ, სანამ თავად არ გამოხრავენ, არ მოეშვებიანო.

— პირველ რიგში ბებერს ჭამენ, ახალგაზრდა სად წაგვივაო, — გაიცინა ბრიგადირმა.

— ტყუილია, სანდალა, შენ ტყვიის სროლა არ მოგიწევს. — დაიძმედეს აქეთიქიდან.

...სანდალა იმ შემოდგომასვე გაიწვიეს და სამიოდე თვის შემდეგ ფრონტის წინა ხაზზე დაულოცეს გზა. მშობლებს ერთხანს ნუშის ყვავილებივით აყრიდა სამკუთხა ბარათებს. ოჯახის ავკარგს რომ მოიციტხავდა, არც ბურჭებში ნაპოვნ ლეკვს დაივიწყებდა. ზოგჯერ მტრის ტანკებთან შებრძოლების ამბავს პირდაპირ მოაყოლებდა: — სხვა, ჩემი ბაბრია რავაა? ზომ არ მოიწყინა უჩემოდ? მაგის შიშით ბაგრატიას ღორები თუ შემოდიან ეზოში? ვიცი, ჭირნახულის რა ძვირობაცაა ახლა: მაგრამ რა გაეწყობა! ბაბრიას მინც ნუ მომიშვებთ...

უჩვეულო პატივში ჰყავდათ ბაბრია...

— სამსონ, ძალღს აქამე? — ჰკითხავდა ივლიტა.

— შე ქალო! ვაჭამე, აბა! — უბასუხებდა სამსონი. ხანდახან შეეკვდებოდა: მგონი არ მიტყვევიაო და... ძალღს მეორედ დაუძახებდა.

— ბოშო, ბაბრია რას შერება, სალაფავს მოუღონინა? — ეტყოდა ყანიდან გვიან დაბრუნებული სამსონი.

— იმე! სხვიმის არ უჭამია ამდენი, — დაბეჯითებით არწმუნებდა ივლიტა.

...ერთი წლის შემდეგ სანდალას წერილები შეწყდა.

— რაო, ბაბრუნა, აღარ გავიხსენა სანდალა ბიჭმა?! ნუ გეშინია, ქალაღდა გზაში დაიკარგებოდა. არ გჯერა? შენ კინაღამ ბურჭებში დაიკარგე, მაგრამ ჩემმა ბიჭმა ვიპოვა. ქალაღდიც ასე დაიკარგებოდა... კიდევ დაწერს და გამოგ-

ზავნის. რას იქნევ თავს, შე ეუღლიანო; არ გჯერა?! მოვა ქალაღდი, დაუტყვევებულად მოვა! — ესაუბრებოდა სამსონი მის წინ დაუცქეულ ბაბრიას და თან მახორკას აბოლებდა.

ზამთრობით, როცა ჭვისმტეხელა ყინვას დაიჭერდა, ბაბრიას ადგილიც ბუხართან იყო. ისხდნენ მარტოხელა ცოლქმარი და ერთიდაიგივეს ათასჯერ იმეორებდნენ.

— ჰა, ახლა რომ კარი გაიღოს და ი ბიჭი შემოვიდეს, იცნობს ბაბრია ვითომ?! — წამოიწყებდა სამსონი და თვითონვე განაგრძობდა: — იცნობს, აბა არ იცნობს?! ძალღზე გონიერ ოთხფეხს დედაპირის ზურგზე ვერ ნახავ... მერე დაწვრილებით ყვებოდა, რაც კარგი რამ ძალღთა მოდგმაზე გაეგონა.

— ბაბრიასი არ ვიცი და ჩემი სანდალა გზაში რომ უეცრად შემხვდეს, შეიძლება ველარც ვიცნო, — ჩაურთავდა ფიქრში წასული ივლიტა.

— რას ამბობ, დედაკაცო! — ერთ კილომეტრზე ვიცნობ. უფრო შორსაც. ჰი, სანდალას ვერ ვიცნობ, ჩვენს სანდალას?! —

— ენაცვალოს დედა. შენ გგონია, იგივე სანდალა იქნება ახლა? უღვაშები დავიყენეო. რომ მნახოთ, ველარ მიცნობთო. მას შემდეგ ქალაღდი აღარც მოგვესვლია. ერთხელ რომ შეწყდა, შეწყდა და შეწყდა...

— ისიც იმ ქალაღდში არ ეწერა: ბაბრია მესიზმრა, ორი ფეხით კოჭლობდაო?! — ამოიხრებდა სამსონი.

— აგერ ვნახოთ და გავიგოთ, — კიდევ ერთხელ იპოვიდა ივლიტა წერილების გადათვალიერების საბაბს. სკივრიდან სათუთად შეკრულ გაყვითლულ ფურცლებს ამოიღებდა. კითხულობდნენ და ერთმანეთის მალულად ყლაპავდნენ ცრემლებს. ბაბრია ხან ერთს შეხვდავდა, ხან მეორეს. დროდადრო გაიწყუტუენებდა.

— შენს თავს ვფიცავარ, ბაბრიაც გრძნობს სანდალას წერილებს რომ კვითხულობთ, — ეტყოდა ივლიტა.

— იგრძნობს, აბა, არა. არ გახსოვს,

როგორ უყვარდა ჩვენი ძალღატაკ ბიჭი? სულ უკან დასდევდა!

— სადღენიშვილების მოსახვევეში იბოვა, ხომ?! — ისე იკითხავდა ივლიტა, თითქოს ამაზე სხვა დროს კრინტი არ დაეძრას.

— ჰო, ვზის პირას რომ ყველაზე მაღალი ვერხვია, მის ძირში უპოვია. ბუნებრივად ძლივს გამოუძვრენია, — ვინ იცის, მერამდენედ უმეორებდა სიტყვა-სიტყვით საშსონი.

— მე სასიკვდილემ, იმ დღეს ერთი სიტყვიდანაა მჭადი გავატანე და ისიც სულ ლეკვისთვის შეეჭმია. შიმშილით გადაფიტრებული მოვიდა. სიცილით მითხრა: აი რა მოვიყვანეო. გულზე ჰყავდა მიხუტებული...

— მოიყვანა და კარგადაც დავახვედრებთ. ასეთი მოვლილი ძალღი ამ კუთხეში არ დადის, სხეებიც ასე ამობუნე. აგერ საცა არის ჩამოვა ი ბიჭი და ისიც ამას იტყვის. აჰა, კიე! — დინჯად წარმოსთქვამდა საშსონი.

...ასე მიდიოდა დღეები, მიდიოდა თვეები, წამთარს გაზაფხული სცვლიდა, გაზაფხულს ზაფხული, მერე ოქროსთმიანი ქალწულოვით შემოდგომა შემოვიდოდა, მას სულ მალე ისევე წამთარი ჩამოათეთრებდა, ჩამოაბერებდა... ბრუნავდა, ტრიალებდა დროის ვეება ბორბალი და ნაომარ, ნასისხლარ მიწაზე ფქვავდა დიდ იმედს, დიდ სიხარულს და ხანდახან მწუხარებასაც გამოურევედა. იმატა ქორწილმა და ხადილმა, იმრავლა ძეობამ, იკლო ტირილმა... იცვლებოდა ყველა, იცვლებოდა ყველაფერი... მხოლოდ ცვლილება არ ხდებოდა ერთ იმერულ ოჯახში. იქ ისევ იყო საშსონი, იყო ივლიტა, იყო ბაბრია, იყო ქვეყნისოდენა დარდი და სულ პატარა იმედი...

ახლა კი ბაბრია აღარ არის. იგი მოკვდა. ივლიტას უყვირს, რამ მოკლა. ამ ბოლო დროს ბაბრია ძვლებს უკბილო ყბებით ლოღნიდა. ივლიტას მაინც უყვირს, რამ მოკლაო. ზის და ცრემლები დაბალეუბით გადმოსდის. წინ გაიცივებუ-

ლი ბაბრია უდევს და ტირის. ძალღს ტირისო, იფიქრებს კაცი, <sup>მეტივე მშალს</sup> <sup>მეტივე მშალს</sup> არ ტირის ივლიტა...

— საცაა მოვა და რალა ვუთხრა ი კაცს მე უბედურმა. მოიკლავს თავს, — ამოიკვნესა და ცრემლები შეიწმინდა. „სულ ჩემი ბრალია. შეუბნებოდა: ბაბრია ამდენ ლეკვებს ზრდის და ერთი მაინც დავიტოვოთ ჩვეთვისო. მე არ მიწოდოდა, სულ სხვებს ვაძლევდი... რა მეგონა, თუ მოკვდებოდა...“

უცებ ღიმილმა გადაურბინა სახეზე. „აგერ წინეებზე ბესო ბაძგარაძემ ჩამოიარა. სიცილით მითხრა: თქვენ რომ ლეკვი მომეცით, კარგი მაშენებელი გამოდგაო... ლეკვებით აშავსო... წავალ და სანამ კაცი წისქვილიდან მოვიდოდეს, სახლში ბაბრიას ნაშიერს ავუწყავ-წყავებ...“

მოიხურა თავშალი, ხელჯოხი დაიბიჯა, გამოიჯარა კარები და შარავნაზე გავიდა. ბავშვები სკოლაში მიიჩქაროდნენ და ევილ-ხივილით ეღებოდნენ ღობე-ყორებს. ორმა ცეროდენამ პირდაპირ ცხვირწინ გადაურბინა. „ერთი ტოპი-ელა კვიყისია. კრების პალოს რა კარგი ბაღლი ჰყავს. ჩემს სანდალას ახლა ამაზე ბევრად დიდი ეყოლებოდა...“

— გამარჯობა, დიდუდა!

— გაიზარდე, შვილო! — ისე უპასუხა ივლიტამ გვერდით ჩავლილ ბიჭუნას, არც შეუხედავს. „ჰა, წისქვილში წასვლის წინ როგორ მითხრა? რომ არ მიჯერებ, იყავი მარტო და მიაჩერდი ოთხ კედელსო... ბაღლი ავიყვანოთ და გავზარდოთო... სანდალას ლეკვი უხაროდა და ბავშვი არ გაეხარდებო?! სწორია ჩემი კაცი, ხომ იცი შენი ჯერ ლეკვი მოვიყვანო და... ბაბრია უნდა დავარქვა...“

მიცუხტუხტებს ივლიტა. ჩქარობს „ი კაცმა“ არ მოასწროს შინ მისვლა. მიდის, სანეზე ღიმი გადაპკრავს. ბუხარში კი ერთმანეთზე თავმიდებული შეშის ნაპობები ხრჩოლავენ, თანდათან ხურდებიან და ერთი შეხებრვალა უნდა, რომ ცეცხლი წააოვიზვიუნდეს.

## სიმონ მთავარიძე ღეგობა სარძლო

რომანი

ურემში მსხდომთ უკვე იცოდნენ ვისთანაც ჰქონდათ საქმე და ერთიანად სახევაბადრულნი თვალს ვეღარ წყვეტდნენ თეთრ მერანზე მჭდომს და მის უკან მომავალ მხედრობას. ურემი ახლა უკვე ხალისიანად მიგორავდა მინდერის რბილ და ოდნავ თავქვე გზაზე. საქონელს თავქვეზე ტვირთი ემჩატა, ხოლო ადამიანებს საშინელ ხიფათიდან თავის დაღწევა უხაროდლთ და ეს უქმნიდა ყველას საზეიმო განწყობილებას. ერთ ხანს შორიდან მაცურებელს ეგონებოდა, ჯარი და ურემი ერთმანეთს შეასკდებო, მაგრამ წინდახედულმა მეურმემ — თეთრწითლად მოლაულაქე დედაკაცმა, დროზე მოიფიქრა რაც უნდა გაეკეთებინა და ამით თავისიანების მადლობა დაიმსახურა. როგორც კი დაინახა, რომ მეფე და ჯარი სულ ახლოს მოვიდნენო, უმაღლვე ურემი გვერდზე მიაყენა, თხრილის ნაპირთან შეაჩერა, თვითონ კამეჩზე და ქაპანზე ხელის დაყრდნობით ძირს გადმოხტა და ხარებს წინ დაუდგა. იმ წუთში, ამაზე მეტ პატივისცემას მეფისადმი ის ვერაფრით გამოიჩენდა, მაგრამ ეს პატივისცემა გამოწვეული იყო არა შიშით, არამედ გულწრფელი სიყვარულით და მოკრძალებით.

ცოტა არ იყოს უცნაურიც კია: კახელი დედაკაცი ეთაყვანება ქართლის მეფეს მაშინ, როდესაც კახეთს ჰყავდა საკუთარი მეფე, თუ მშართველი და შეიძლება, ასეთსავე პირობებში ზედაც არ მიეხება. რა იყო ამის მიზეზი?

ხალსს ჰირივით სძულდა ერეკლე I-ლი ნაზარ-ალი-ხანიც და მისი შვილიც დავით-იმამყული-ხანი! ხალსს თავის ნამდვილ მეფედ ვახტანგ მეფე მიაჩნდა, რომელმაც ქართული ყველაფერი ააყვავა და ააღორძინა. ქართული სკოლები დახსნა, ქართული სტამბა დააარსა, ქართული სამართალი და სჯული წესრიგში მოიყვანა. ქართული ეკლესია გადაახალისა, ქართულ მეცნიერებას და მწერლობას ფრთები შეასხა. შექმნა უმინდა ქართული შემადგენლობის ჯარის ნაწილები, რომელთაც ჯერ-ჯერობით პირად დაცვაში იმსახურებდა... ყველა ამის გამო, კვლავ უნდა ითქვას, რომ უცხო დამპყრობთა ხელში გაწამებულ ქართველ ხალსს ვახტანგი მიაჩნდა თავის სადიდებელ მეფედ.

თავის მხრივ ვახტანგიც ძალიან აფასებდა ხალსის ამ საერთო სიყვარულს და პატივისცემას. იგი ყოველთვის ცდილობდა ამ გრძნობების გაღვივებას და არა შენელებას, რადგან მას მომავალში საქართველოს გაერთიანების ერთერთ აუცილებელ პირობად ხალსის ნდობა მიაჩნდა. ამ გრძნობებს აღვივებდა არა მარტო თავისი მეფური სამსახური და მეცნიერული ღვაწლით, არამედ თავისი უებრო ხასიათითაც. იგი უპარესად თავმდაბალი და ზედმიწევნით ტკბილი ადამიანი იყო. ყველას ერთნაირად ეპყრობოდა: თავადსაც და გლეხსაც, აზნაურსაც და ყმასაც, ერსაც და ბერსაც. მხოლოდ ერთი რამ სძულდა: მლიქვნელობა, ფარისევლობა და აღმოსავლურ თავყანისმცემლობის ყოველგვარი გამოხატულება.

\* გაგრძელება. აბ. „მნათობი“ № 7.

ზედმეტად მლიქვნელებს ახლოს არ იკარებდა, ჭარბ თავყვანისმცემლებს ზურგს უჩვენებდა, ხოლო ცრუსა და ორპირის სიცოცხლეს უშწარბებდა, თავის საბრძანებელში არ ამოგინებდა...

როდესაც ჭარი ურემს მიუახლოვდა, მეფემ ისეთი თავმდაბლობა გამოიჩინა, რომ ყველაზე მახლობელნიც კი განაცვიფრა. იგი ცხენიდან გადმოხტა და რაზმსაც ანიშნა ასევე მოქცეულიყო.

— დედაწულთა პატივისცემა ვაჟკაცთა მცნება უნდა იყვეს, რადგან იგინი არიან დედანი და აღშრდენი ჩვენი! — თქვა მან მიწაზე ფეხის დაღმისთანავე.

მეფეს ყველაზე წინ პირქუშმა მხედარმა მიბაძა, შემდეგ კი მდივნებიც ჩამოხტნენ ცხენებიდან, სპასპეტებიც და ჭარისკაცებიც. ერთ წუთს ყველანი თვალგახევებულნი შეკუთრებდნენ ერთმანეთს: ქალები — ურმიდან, ჭარისკაცები კი — მიწიდან, რადგან ვერ გაეგოთ რა ხდებოდა.

მართლაც რომ უჩვეულო სურათი იყო. მეფე კოჭებამდე მტვერში იდგა და ალბათ მარტო მან იცოდა, რაც ხდებოდა, რადგან ხელქვეითნი მთლად გაოგნებულნი შეკუთრებდნენ, იმის მოლოდინში კიდევ რა უცნაურობას დაგვმართებსო. მეფის ასეთი თავმდაბლობა და პატივისცემა უბრალო „გლეხების“ მიმართ იმ დროში საზღაპრო ამბვად ჩაითვლებოდა და სწორედ ეს ამუნჯებდათ. მეფე კი თანდათან უფრო მეტ პატივისცემას იჩენდა. მან აღვირც პირქუშ მხედარს მიუგლო, ხმალ-ხანჯალი შეისწორა და თამამი მოძრაობით ქალებისკენ გასწია, რომელნიც ნამდვილ ქანდაკებებად ქცეულიყვნენ — მირონცხებულის გაუგებარი პატივისცემით. თეთრ-წითლად მოლაქდავე დედაკაცს შოლტი მხარზე გადაეგდო და სახრით ხელში წინ დასდგომოდა ურემს. სწულ დედაბერს თავი წამოეყო, თეთრი აბურძგნისი თმები მხარებზე დაეფინა და ცრემლების დაბლუპით შეკუთრებდა მათკენ მიმავალ დიდებულ ვაჟკაცს, ძვირფას ტანსაცმელსა და

სამკაულებში ერთიანად რომ ბრწყინავდა. ელვარა მის სარეცვლზე დანთქილიყო, წინ გამოწვდილი ღრრეკით ზეწარს დაბლაუქებოდა, ქალებს შუა თავი გადმოეყო და გაკანკულიყო, კაცს ეგონებოდა ცოცხალ არსებას კი არა, მომზიბლავ მოჩვენებას შევეყურებო. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს მეურმე დედაკაცი, როდესაც მეფე რამდენიმე ნაბიჯით-ღა იყო დაშორებული. იგი მიხვდა, რომ რაღაც დიდი და უცნაური რამ ხდებოდა: საკუთარ თავს განადიდებდა, მირონცხებულ მეფის ღირსებას კი ლახავდა. ასეთი საქციელი უბრალო ქვეშევრდომს არ ეპატიებაო და... მან უცებ მოისროლა შოლტი, სახრეც, მეფისკენ გაქანდა, მის წინ მუხლბუზე დაეცა და გულწრფელი მონანიებით შეპლალადა:

— მეფეო! შეგვინდე და გვაბატე! არ ღირს ვართ, თქვენს წინაშე ვიდგეთ, მაგრამ გადარჩენის ანაზღეულმა ბედნიერებამ გონება დაგვიფანტა. დღეგრძელი გამყოფოთ და სვებედნიერი, საქართველოს იმედო და სასოებავ!

— ღირსეულო დედავ! ჭერ ადამიანები ვართ და შემდეგ შეფენი! არ ეგების მუხლზე ცოცვა ადამიანს ადამიანის წინაშე! მან ხელი მოავლო მთლად გონდაფანტულ დედას და ფეხზე წამოაყენა. იგი ისე თრთოდა და ცახცახებდა, თითქოს ზორციელად იქცა ლანდი ღვთისა და ახლა შენდობას მისგან მოელისო. ვახტანგ მეფე მიხვდა, რაც ხდებოდა და რომ ერთხელ და სამუდამოდ გაეტეხა ეს მონური რწმენა მეფისა და მისი ამაღის ღვთაებრიობაზე, მკაფიო ხმით განაცხადა:

— ჭერ არს უწყოდეს ყველამ, რომ მეფეთა ტახტის სამარადისო სიმტკიცეს ჰქმნის სიყვარული და არა შიში, რადგან ვისაც ვაშინებთ, ის გვიძულებს, ხოლო სიძულვილს კი შესწევს ძალა იმისა, რომ იქცეს მეხთატეხად და მოსპოს საძულველი!

მწკრივში მდგომ მხედრების უმკაფეღისობას არც გაუგონია, თუ რა თქვა

მეფემ, ხოლო ახლო მყოფმა მდივნებმა, თუ ჭარის მეთურებმა, ისე მიიღეს მეფის განცხადება, როგორც სრულიად ჩვეულებრივი ამბავი, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ სხვა დროსაც ხშირად სმენოდით მეფისაგან ასეთი სიბრძნე. მარტო გლეხები უსმენდნენ მთლად გაოგნებულნი და განცვიფრებულნი, ხოლო მათ შორის ყველაზე უფრო განცვიფრებული და სახტად დარჩენილი მზეთუნახავი გოგონა იყო...

### გლეხის გოგო და მეფე

იმ ხნის განმავლობაში, რაც ელვარამ თბილისში დაჰყო თავისი ნათლის, ცნობილი ოქრომჭედლის სახლში, მეფე ვახტანგის გულსათუთობაზე ისეთი რამ არასოდეს გაუგონია, რასაც ახლა თავისი თვალთ ზედავდა და თავისი ყურით ისმენდა. იქ ვახტანგ მეფეს თუ ასხენებდნენ, ყოველთვის ასხენებდნენ, როგორც ცბიერს, ფარულად მოქმედ გაიძვერას, სპარსელ დამპყრობთა უერთგულეს მსახურს, რომელიც იმისათვის იღვწოდა, რომ სრულიად საქართველოს ტახტს დაუფლებოდა და ყოფილიყო ერთადერთი მბრძანებელი ქვეყნისა. ამისათვის, ვითომ ჯერ ისევ ჯანიშინად ყოფნის დროს ეწვია სპარსეთს, სამი წელიწადი დაჰყო შაჰის კარზე, მაჰმადიანობა მიიღო და თავისას მიადწია. აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის — ქართლის მეფე გახდაო! ნამდვილად კი ასე მოხდა: ჯანიშინი თვითონ შაჰმა დაიბარა სპარსეთში, დააბატონრა, რადგან მაჰმადიანობაზე უარს ამბობდა, სამი წელიწადი შაჰის კარზე კი არა, ბატონობაში დაჰყო და შემდეგ მოსაჩვენრად მიიღო მაჰმადიანობა, რომ ქართლის ტახტი ვინმე ქვეყნის დამღუპველს და გაჰყიდ-

ველს არ ჩავარდნოდა ხელში. გასარებულმა შაჰმა მთლიანად აღმოსავლეთ საქართველო ვერ გაიმეტა, მაგრამ ქართლის ტახტი მართლაც დაუმტკიცია, არა როგორც კვლავ ჯანიშინს, არამედ როგორც ქვეყნის სრულუფლებიან მპყრობელ მეფეს! მტრები არც იმაზე ძრავდნენ კრინტს, რომ ქართლში დაბრუნებისთანავე მეფე ვახტანგმა საჯაროდ დასწვა ყურანი, უარჰყო მაჰმადიანობა და ამით ყველას გზა უჩვენა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, თავიანთი ენის, რგულისა და რწმენის გადასარჩენად. მეფეს თუ შერჩა ასეთი „ორგულობა“ შაჰისადმი და უარყოფა მაჰმადისა, შერჩა იმიტომ, რომ ავღანთაგან შევიწროებულ შაჰს საამისოდ აღარ ეცალა.

ეს სიმართლე არ იცოდა ელვარამ, მეფეზე ყალბი წარმოდგენა ჰქონდა. უწყინარ გოგონას, არასოდეს ეპვიც არ შეჰპარვია, რომ იმისი ნათლის ოჯახში ვინმე გაბედავდა უსამართლო ცილისწამებას, ახლა კი გაგონილისა და ნახულის შედარებამ ეპვებით აღავსო. ერთბაშად თვალწინ დაუდგა ნათლის ოჯახში გატარებული რამდენიმე წელიწადი...

სახელგანთქმული ხელოსანი იყო მისი ნათლია, შეძლებული ოჯახი ჰქონდა და მასთან კეთილი ურთიერთობა დავმყარებინათ არა მარტო მღაბიოებს, არამედ უკეთილშობილესი გვარის წარმომადგენელთაც... ელვარას მესხიერებაში უცებ გაცოცხლდა სახეები ქსნისა და არაგვის ზეობის ერისთავებისა. ისინი ყველაზე უფრო ხშირი სტუმრები და, რა თქმა უნდა, მუშტრები იყვნენ სახელგანთქმული ოქრომჭედლისა.

არც თუ ისე იშვიათად, როგორც ერთს, ისე მეორეს, ნამგზავრთ და დად-

ლილთ, უბრალო ხელოსნის ოჯახში პუ-  
რადღულიათ, უსმიათ და ხან კი მრავალ-  
უამიერიც შემოუქაზნიათ. სწორედ ასე-  
თი შექცევის დროს ხდებოდა ის, რაც  
ამ უწყინარ და დოვლათით სავსე ოჯახ-  
ში არასოდეს არავის ფიქარდაც არ  
მოსვლია, სახელდობრ: აუგად მოეხსე-  
ნებინათ ვახტანგ მეფის სახელი. მხო-  
ლოდ ამ ერისთავებს სჩვევოდათ ვახ-  
ტანგის ლანძღვა და გინება, მისთვის  
სპარსელობის, სამშობლოს გაყიდვის  
და ღალატის დაბრალება. რატომ? რის-  
თვის? ახლა რომ უფიქრდებოდა უბ-  
რალო გლეხის გოგო, ვერ აეხსნა, ვერ  
გარკვეულიყო ქვეყნის დამღუპველ ვი-  
თარებაში, ვერ მიხვდარილიყო, რომ  
ჯანიშინობის დროიდანვე ეს გაუშამღა-  
რი მგლები ვახტანგს იმიტომ ებრძოდ-  
ნენ, რომ ნამდვილი მეფე გიორგი, აქ  
არ იყო, ავღანეთში იბრძოდა, ხოლო  
დაბრუნებულს ბრძოლას იმ შემთხვე-  
ვაში მოუგებდნენ, თუ კი მოასწრებ-  
დნენ სახელმწიფოს დაქუცმაცებას! ვერ  
მიხვდარიყო იმისათვის, რომ ქსინისა  
და არაგვის ერისთავები ყოველთვის  
ლაპარაკობდნენ შენიღბულად, თავი  
მოქპონდათ საქართველოსათვის ტან-  
ჯულ გმირებად, თავი მოქპონდათ ისეთ  
ადამიანებად, რომელნიც, მეფე რომ  
არა, საქართველოს ააყვავებდნენ და გა-  
აზღვნიერებდნენ.

როდესაც მათ უსმენდა სულით და  
გულით სჯეროდა, რასაც ამბობდნენ,  
რადგან ცბიერება და ვერაგობა სოფ-  
ლელ გოგონასათვის მიუწვდომელ-მი-  
უხვდომელი იყო. ახლა კი მეფის სი-  
ტყვამ, მისმა სათნო გამოხედვამ, მისმა  
კაცთმოყვარულმა ქცევამ, ერობაშიად  
აუხილა თვალი. ის ორიოდ ქვირი  
სიტყვა, რომელიც წედან თავისიანებ-  
თან წამოსცდა იმ წყეულების ზეგავლე-  
ნით, ახლა სინანული გაუხდა! ახლა  
მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, რო-  
დესაც ვახტანგ მეფე მასთან ლაპარაკს  
მოიხურებდა..

ეს წუთიც ნატვრაზე უფრო მალე  
დადგა. დედა მეტისმეტად მორცხვობ-  
და. მეფემ კი მოჰხვია ხელი მხრებზე და

ურმისაკენ წაიყვანა, რომ სხვა დედა-  
წულთაც მისალმებოდა. მეფის ყურა-  
დღება ჯერ დახუთული დედამკრის ჩეფ-  
ჩიფმა მიიპყრო. იგი სარეცელზე წამო-  
ჩოქილიყო, საბანი შემოეხვია — და  
რაკი ლოგინში კაბა ეცვა, ხელები მო-  
ურიდებლად აღებყრო ზევით და ცას  
შეჰალადებდა:

— ღმერთო მაღალო! მოეც კურთხე-  
ვა ჩვენს კაცთმოყვარე მეფეს, რომ და-  
თრგუნოს ბოროტება და ააყვავოს სი-  
კეთე. პოი, უფალო! შენ იხსენ, იგი  
ყოველგვარ განსაცდელისაგან, დაუთ-  
რგუნე მტერი, უმრავლე მოყვარე!

— გმაღლობ, დედაო! — თავის დაკ-  
ვრით მიუგო მეფემ, — ხოლო უმჯო-  
ბეს არს საქართველოს ნამდვილი დი-  
დებისათვის, ყველას ესმოდეს ნათქვამი  
ეგე!

— მარტოდენ ცოდვილთ არ ეს-  
მით. მეფეო, ხალხი კი თქვენთვის ლო-  
ცულობს—მიუგო დედაბერმა და გულ-  
ხელდაკრფილმა თავი დაჰხარა.

— მართალია, ასეთ ცოდვილთ მეც  
შეგვედრივარ! — წამოიძახა წკრილა,  
მკაფიო ხმით დედაბრის სარეცელზე  
დაიჩოქილმა გლეხის მშვენიერმა გო-  
გომ. ტუბილმა სმამ ისე მოხიზლა მეფე,  
რომ სწრაფად მიბრუნდა მისკენ და შე-  
ათვალღერა. შეათვალღერა და ერთ  
ადგილზე გაქვავდა; მის წინ, ურმის ჰა-  
ლეს შუა, თავი გადმოეყო ქალს, რო-  
მელსაც შუბლზე ნათელი გადასდიოდა  
და გაბადრულ სახეზე ღიმილი გადაფე-  
ნოდა. მეფე განცვიფრებული შეაყუ-  
რებდა და თვალს ველარ აშორებდა  
ერთ წუთს დემილი ჩამოწვა. და ამ  
სიწყინარეში მხოლოდ სასაბლოს მსა-  
ხურთ არ დაიფიწყეს წეს-ჩვევანი მეფის  
წინაშე დგომისა. პირქუში მხედარიც  
და მდივნებიც ადგილს მოსწყდნენ და  
ურემს მისცივიდნენ.

— როგორა ბედავ მეფესთან ასე  
ურცხვად ყბედობას? ადექი ფეხზე!—  
დაიგრგვინა პირქუშმა.

— ადექი! დაიხოქე. მეფის წინაშე!  
— შესძახეს მდივნებმაც და ყველამ



ხელი გაიწოდა ქალისაგან, რომ ძირს გადმოეგდოთ ურმიდან.

დედაბერი, დედა, თანშლები გლეხები და თვით ჯარისკაცებიც კი, გაოგნებულნი შეჰყურებდნენ ქალის უმწეო ღიმილს. ის-ის იყო უხეშად უნდა ეტაცნათ ხელი, რომ უცებ გაისმა მეფის მკაცრი ხმა:

— სადაც მეფეა, იქ ვინ ბედავს უტიფრად ხელთა ქნევას! — იგი წინ გადაუდგა თავის „კეთილისმყოფლებს“. პირქუშმა მხედარმაც და მდივნებმაც უკან დაიწიეს. იმავე წუთს ელვარა. საოცარი სისწრაფით ფეხზე წამოიჭრა, ურმიდან ძირს გადმოხტა, ცალ მუხლზე დაიჩოქა და ხელებგაწვდილმა მეფეს მიმართა:

— მაპატიე, მეფეო!

მეფე ერთხანს კიდევ შეჰყურებდა გაბრუებულღვით, შემდეგ ხელი მოაფლო, ფეხზე წამოაყენა და უთხრა:

— მშვენიერო ასულო! მართო მეფენი კი არა, მშვენიერების წინაშე ღმერთებიც ქედს იხრიან, ვინაიდან მშვენიერება არის სიცხადე ღვთაებრივისა!

ქალს ლოყებზე აღმურმა აპკრა და ძლივსლა წაიხურჩულა:

— მეფეო! — კარგა ხნის შემდეგ მიუგო მთრთოლვარე ხმით.—მე, ახლა, ვდგევარ ცოდვილთა შემწყნარებლის წინაშე.

— უწყებულ არს ყველასათვის, რამეთუ აღამიანები ცოდვის ჭურჭი ვართ! — მიუგო მეფემ.

— არა, მეფეო! — ცხარედ წამოიძახა ქალმა. მეფეებს არა აქვთ უფლება ცოდვილნი იყვნენ.

მეფემ განცვიფრებით გადაჰხედა მომხიბვლელ გოგონას, ის კი განავრძობდა:

— ყველაზე დიდი ცოდვილია ის, ვინც თავის ქვეყანას ანგრევს, ვინც თავის ხალხს სპობს. ხოლო ყველაზე დიდ ცოდვილად ის უნდა იქნეს აღიარებული, ვინც ქვეყნის გამნადგურებლებს იწყნარებს!

— ესე იგი, მე? — თავისდღუნებულად აღმოხდა მეფეს.

— დიახ, მეფეო! — თქვენი ირგვლივ მტრები დაძრწიან, რომ თქვენი ხალხი დამპყრობელს მოასპობინონ, თქვენს ირგვლივ დაწანწალებენ აღამიანები, რომელნიც ქართლის სამეფოს ძირს უთხრიან და ლეკებზე მეტად ვნებენ ქვეყანას, თქვენ კი, თქვენ ყველაფერს ამას ითმენთ!

— ვაჩუმი! რა შენი საქმეა, შეილო, ასეთ საქმეებში ჩარევა? შენ უბრალო გოგო ხარ, მეფის ანრდილისაც კი უნდა გერიდებოდეს. თავყვანი ეცი მირონცებულს და აქეთ წამოდი! — ერთიანად აცახცახებული დედა ურმისაგან ეწეოდა თავის მზეთუნახავ შეილს.

— მოიცა, დედაო! — ტკბილად მიმართა მეფემ. — სმენად ვარ ქცეული, ვინაიდან ჩემი ტახტის ირგვლივ დაძრწიან თურმე ნადირნი ტყისანი! მშვენიერო ასულო, — მიმართა ახლა ქალს და თან დაჟინებით თვალეში ჩააშტერდა.—ვის გულისხმობ? ვინ არიან ბოროტნი ესე ვითარნი?

— ვინ და... ქსნისა და არაგვის ერისთავები!

ამ სახელების ხსენებაზე, ყველაზე წინ პირქუშმა მხედარმა, შემდეგ მდივნებმა, ბოლოს კი ახლო მდგომმა ჯარისკაცებმაც ხმლების ვადაზე გაიკრეს ხელი, ხოლო თვალეში მრისხანებით აინთნენ.

— ბილწნი! ვერაგნი! — კბილების კრაჭუნით წამოიძახეს, რადგან იმათზე უკეთ არავინ იცოდა, რომ ვახტანგ მეფის მტრობაში ამოსდიოდათ სული ქსნისა და არაგვის ერისთავებს. მათი წყალობით, ვერ იქნა და ვერ შესძლო მეფემ თანხმობის და მშვიდობის ჩამოგდება ქართლში. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ, სახელმწიფოში შფოთი და არევიდარევა ყოფილიყო, რომ მღვრიე წყალში თევზი ადვილად დაეკორათ. ამ მიზნით ხშირად უკავშირდებოდნენ სამშობლოს ამოხრებელ თურქ და სპარს დამპყრობთაც და ხალხის ამწიოკებელ ლეკებსაც. ურცხვად, გამო-



წვევად ეპირათ თავი და მეფის მომხრეთა აღშფოთებაც სწორედ ამით იყო გამოწვეული.

მეფემ თავისიანების რისხვას სულაც არ მიაქცია ყურადღება. იგი დაჯინებით, თვალგაზრებულად შეჰყურებდა ქალს და ბოლოს კვლავ ჰკითხა:

— თავად გინახავს, თუ სხვისგან გსმენია ესე ყოველი?

ელვარა მიხვდა, რომ მეფის ყურადღება მეტისმეტად დაიძაბა, რადგან უდიდეს სახელმწიფოებრივ საკითხად თვლიდა იმის გაგებას, რაც უბრალო გლეხის გოგომ იცოდა. მიხვდა იმასაც, რომ ვიდრე ყველაფერს არ იტყოდა, თავს არ დაანებებდნენ და ამიტომ აღარ დაუყოვნებია, მოჰყვა, რაც კი იცოდა. ჯერ ნათლია და მისი ოჯახი აღუწერა მეფეს, შემდეგ ზვიადი ერისთავების სტუმრობა და მათი მოურიღებელი ყბედობა—მეფეზე, თავიანთ მიზნებსა და მისწრაფებებზე, მათ გაუმაძღრობასა და სიხარბეზე, ყმების დამონებასა და აკლებასზე. ყველაფერი მოახსენა მეფეს, ხოლო ყველაზე მეტად ყურადღება გაამახვილა ერისთავების ყოვლად ბილწ და ვერაგ ცდაზე, რომ მეფე ვახტანგის მოღვაწეობა დაეხატათ სპარსთა საამებელ საქციელად და არა ხალხის და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მიმართულ ღონისძიებად. არ დაუმალავს ისიც, რომ ერისთავები, ვითომდა სამშობლოს სიყვარულით, მსმენელთ აჯერებდნენ, არწმუნებდნენ ვახტანგის ვერაგობაში.

— შენ? შენც გჯეროდა? — უცებ შეაწყვეტინა მეფემ.

— მჯეროდა, როდესაც ვუსმენდი! — მიუგო მთლად აწითლებულმა ელვარამ.

— ეგების მართლაც ჰეშმარიტებას ღალატებდნენ? რატომ აწ აღარ გჯერა? — მრავალმნიშვნელოვნად შეეკითხა მეფე.

ქალი წელში გასწორდა, გაბედულად შეხედა მეფეს და მტკიცედ მიუგო:

— ახლა, აღარ! ვინც ყველაზე მალა ადამიანობას აყენებს, ის შეუძლე-

ბელია, ბოროტი იყო. წელან თქვენ ბრძანეთ მეფეც... — „ჯერ აღამბანები უნდა ვიყვნეთ და მტრე—მტყუნებო. უცებ გაბრწყინდა და გაშუქდა ჩემთვის, დიდებულ მეფეც!

— განა ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ „ადამიანობას“?

— უდიდესი მეფეო!—შესძახა ქალმა თავდავიწყებით. — თქვენს სასწავლებელში მისწავლია: როდესაც ადამიანი დასძლევს ყოველგვარ მხეცურს და იცხოვრებს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანობით, მაშინ დამყარდება ნამდვილი და ჰეშმარიტი ბედნიერება დედამიწაზე. ადამიანის მოწოდება სიკეთე და სიყვარულია. ადამიანები ამას რომ ვიციწყებთ, იმიტომ ვართ უბედურნი. მეფეო!

მეფის სახეზე თანდათან უფრო დიდი სიამოვნება ისახებოდა. იგი დაძაბული ყურადღებით უსმენდა გოგონას, რომლის ნათქვამი, ერთსა და იმავე ღროს, უდიდეს სიბრძნეთაც და ზეამტაც სიხარულადაც ეჩვენებოდა. რადგან თვითონაც სწორედ ასე ფქრობდა. თვითონაც სწამდა, საუკუნეთა მანძილზე, სახელმწიფოთა ნგრევის და ხალხთა უბედურების მიზეზი ის იყო, რომ ადამიანები ბედნიერების მოპოვებას ცდილობდნენ არა სიკეთით და ერთმანეთის სიყვარულით, არამედ ცეცხლითა და მახვილით, სისხლისა და ცრემლის ნიაღვრებით. მგელი არასოდეს მგელზე არ ნადირობს, ადამიანი კი სწორედ ადამიანზე ნადირობით ხდება დიდებულ გმირიც და სახელოვანი მოღვაწეც! ადამიანთა ყოფაში ყველაზე მეტად ეს მხარე სძაგდა და ეზიზღებოდა მეფეს. ასეთი მისწრაფება, ასეთი რწმენა ჰქონდა მეფეს, მაგრამ უბრალო გლეხის ვოვოც თუ ასევე იფიქრებდა და ასევე იაზროვნებდა, ამას ვერასოდეს ვერ წარმოედგინა, ამიტომ იყო უზომოდ განცვიფრებულად და გახარებულად.

— გონივრულად უბნობ, — წარმოსთქვა მეფემ, — მაგრამ ვინ გულისხმავყოთ ამა სიბრძნით? — ჰკითხა გო-

გონას. მან დაიმორცხვა, მაგრამ მაინც თამამად უპასუხა:

— ჩვენი სოფელი მაგ მხრივად ბედნიერია, მეფეო! იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის დიკვანი — „დიანოზ ბრძენი“ — არც ერთ გოგოს და ბიჭს ისე არ გაუშვებს, თუ წერა-კითხვა არ ასწავლა. მეც ჯერ იმას ვუმაღლო, მერე კი თქვენს სკოლას! ექვსი წლისამ დავიწყე სახარება — სამოციქულოს კითხვა და მას შემდეგ წიგნი ხელიდან არ გამიგდია, აი, ახლაც თანა მაქვს „სიბრძნე კაცობრივი“. თქვენი „ქილოლა და დამანადან“ რომელ იგავსაც დამისახელებთ, მოგიყვებით, „ამირან დარეჯანიანი“ ვიდრე ჩემთვის არ ვადავიწერე, ვერ მოვისვენე. „ვეფხისტყაოსანი“ კი, თქვენი გამოცემული, ვერცხლის ყდაში ჩავასმევიწე. ამ მხრივ შემძლია ყველაზე ბედნიერად ჩავთვალო თავი, მეფეო! რა წიგნიც მომენტარება, ხელთა მაქვს, სახელგანთქმული ბერის, ონოფრე მაჭუტაძის წყალობით...

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა გოგონას, მაგრამ უცებ, შედგა. იგი მიხვდა, რომ მეტისმეტად შესტოვა. უბრალოდ უნდა ეპასუხნა და თავისი თავის ქება კი გაშოუვიდა, როგორც ხანდახან უყვარდა ტოლწორებში, რომ მათშიც გაეღვიძებინა ცოდნის წყურვილი. „როგორ? ნუთუ, მეფესაც ვუბედავ ჰკუთის სწავლებას?“ აი, რამ შეაწყვეტინა სათქმელი. ასეთი კაცთოყვარე მეფის შიში მას სრულიადაც აღარა ჰქონდა. თავხედად და უზრდელად არ გამოგზნდეთ, ეს აწუხებდა. თავისიანებს „შეშფოთებით ვადაჰხედა. დედის თვალებში უზომო სიხარული ამოიკითხა, ხოლო გლეხი მხედრები ხელებისა და წარბების მოძრაობით ანიშნებდნენ: „ეპარა, მეტისმეტად ნუ შეაწუხებო!“

თვითონ მეფემ კი, ბერი მაჭუტაძის ხსენებაზე, მდივნებს გადაჰხედა მომაგონეთ, ვინ არისო... ერთერთმა მდივანმა თავი ლამის მიწამდე დაჰხარა და სწრაფად მოახსენა:

— დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი ვახლავთ, მეფეო!

— მონასტრის წინამძღვარი ვახლავთ. ელბსაც არ აკლებს მხრუნველ ხელს? აფერუმ, ნამდვილად წმინდა ბერო! — აღფრთოვანებით წამოიძახა მეფემ. ელვარა მიხვდა, რომ მისი ნათქვამი მეფეს სასიამოვნოდ. დარჩა და უფრო თამამად განაგრძო:

— როდესაც ონოფრე მაჭუტაძე, ჩვენს სოფელში პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიას აშენებდა, იგი ყოველთვის ჩვენს საბლში ათევედა და აღაშენებდა, რადგან ძალზე უყვარს მამაჩემი, ერთი-ორჯერ ბერმა მაჭუტაძემ, ჩვენს ოჯახს დიდი სიხარული განაცდევინა, ჩვენ გავხდით ღირსი თავად მთხველის, მთარგმნელის, ენის საუნჯის შემგროვებლის სტუმრობისა, რომელმაც მე უნიჭიერეს ბავშვად მცნო, ახლაც ხშირად მომდის მისი უსტარი, რჩევა და დარიგებანი.

— ორბელიანი? — სულმოუთქმელად იკითხა მეფემ.

— დიახ, ორბელიანი, მეფე! მან გამიკვლია გზა, მან დააცხრო ჩემი ცოდნის წყურვილი, მასწავლა საიდან დამეწყო და სად გავსულიყავ, გამაცნო სიბრძნის კაცობრივს, თუმცა სულ სამჯერ იყო ჩვენსა და, ბევრი-ბევრი. ათიოდე დამე ათია ჩვენს ჰერქვეშ!

მეფის სახეს ნეტარების ღიმილი მოეფინა, სწორედ ისეთი მოწიწების, მორიდების და უზომო პატივისცემის ღიმილი, როდესაც საქებური მოწაფე დგას სათაყვანო მასწავლებლის წინაშე! იგი კვლავ დაჟინებით ჩაჰყურებდა ქალს თვალბში. რაღაც შეუცნობელი მღელვარებით და ძლივს წარმოსთქვა:

— მაშ მე, ქართლის მეფეს და შენ, გლეხის გოგოს, ერთი და იგივე წყაროს წყალი გვისვაჰს, ერთი და იგივე საოხი სულისა გვაკმის? — მაშ შენ, გლეხის გოგოს და, მე, მეფეს, ერთი და იგივე აღმზრდელი გყოლია?

— თქვენი აღმზრდელი? იმას ეგ არასოდეს არ წამოსცდენია, მეფეო! — გაიკვირვა ელვარამ.

უცებ რაღაც დიდი რამ მოაგონდა გლეხის გოგოს, ცალ მუხლზე დაიჩოქა, და სასოწარკვეთილი ხმით მეფეს შესძახა:

— შემინდეთ და მაპატიეთ, მეფეო! ახლა მრწამს, ახლა მჯერა დიდებული მწერლის, საბას ნათქვამი: ქართლის მეფე ვახტანგი მთლიან საქართველოს უკვდავების ნერგს რგავს და ახარებსო! ბოროტთა ენით ამღვრეული გონება სამუდამოდ დაიწმინდება: თქვენს მიერ ბეჭდული წიგნები, თქვენს მიერ განახლებული არხები და აღდგენილი გზები ემსახურებიან ქართველი ხალხის სიკეთეს და ბედნიერებას! ნება მიბოძეთ თაყვანი ვცე თქვენს მეფურ დიდებულებას! — ვიდრე მეფე და მისი თანმხლებნი გონს მოვიდოდნენ, ელვარა მისწვდა, მეფის ჩოხის კალთა ხელთ იპყრა და მოწიწებით ემთხვია.

— მე უბედნიერეს ადამიანად და მეფედ ვთვლი ჩემს თავს, — ხემოდან ჩასძახა მეფემ დაჩოქილ ქალს. — ოდეს ვხედავ თესლს ჩვენგან თესილს, აღმოცენებულს და გაფურჩქვნილს! მე უზომოდ მახარებს დღევანდელი დღე, რადგან უბრალო გლეხის გოგო ვპოვე უდიდესი მოყვარული წიგნისა და სიბრძნისა!...—იგი მისწვდა ელვარას, წამოაყენა და მამა-შვილურად ემთხვია შუბლზე. შემდეგ წელში გაიმართა, გადახედა თავისიანებს, ირგვლივ შემოხევეულ გლეხებსაც, და საზეიმო კილოთი განაცხადა:

— მომართეთ ყურნი სასმენად, თვალნი — ხედვად! უწყოდეს ყველამ ის, რაც იხსნის ჩვენს უბედურ, დაქუცმაცებულ და ერთმანეთისაგან განთიშულ ქვეყანას. ნეტარ არს კაცი, რომელმან ჰპოვა სიბრძნე და გადასცა იგი მოყვასთა თავისთა ქვეყნის სახსნელად! ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი სასოება მხოლოდ ცოდნა, განათლებაა, — ჰოი, გულთამხილავო და სულდგმულთა ბედის დამდგენო, ისმინე აჟა, ჩემი, რომ იხსნა ჩემი ტანჯული ქვეყანა!

— ამინ! გისმინოს უფალმა, მეფეო! — ერთხმად შესძახეს ხელებმალაპყ-

რობილმა თანმხლებმა აბჯროსნებმაც, გლეხებმაც, ქალებმაც და წყევლებმაც. ხოლო მშვენიერმა გოგონამ: *ქსენოქარა* იკმარა. იგი ორივე მუხლზე დაეცა, ხელები მალა ალაპყრო და ცას შეპლადლა:

— წმინდაო ღვთისმშობელო მარიამ, უსმინე აჟა შენს წილმხვედრ ქვეყნის ნამდვილ პატრონს! ყველას ერთხმად აღმოხდა:

— ბედნიერად ამყოფოს, მეფე ვახტანგი!

მეფემ თხელი ბაგენი ღიმილით დაიმშვენა. მხოლოდ შავ, მეტყველ თვალებში უზომო სევდა ჩაიგუბა და კვენესანარევ მღვლეარებით წარმოსთქვა:

— თუ ეამთა სიმუხთლემ არ გაგვიწირა, თუ მეყვესეულად არ შთაგნთქა სიავემ წუთისოფლისამ, თქვენ ნახავთ ქართველი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას თავისი ქვეყნის გადასარჩენად.

— დიდება მეფეს! დღევანდელია მეფე ვახტანგს! — აგუგუნდნენ ერთხმად ჯარისკაცებიც და გლეხებიც.

მეფემ ხელით ანაშნა ჰეჯინიბეს და იმავე წუთს თეთრი რაში წინ დაუყენეს. მეფე მსუბუქად მოახტა ცხენს. როდესაც უზანგებში ფეხი გაისწორა, იგი მთელი ტანით აღიმართა უნაგირზე და ხელის მალა აწევით ყველა გააჩუშა:

— სმენა! უწყოდეთ ყველამ, — მიმართა მან თავის მხლებლებსა და ჯლეხებსაც. — თქვენი მეფე უაღრესად ბედნიერია დღევანდელი დღით, რადგან თქვენთან შეხვედრამ უდიდესი სასოების, მხნეობის და იმედების სული შთაგებერა. ახლა კი დავემშვიდობოთ ერთმანეთს.

ორსა, თუ სამასი კაცი, თვალის დახამხამებაში უნაგირებს მოახტა. ჯარი მზად იყო გზის გასაგრძელებლად და მეფემაც აღარ დაყოვნა. ურემში მყოფნი და მის ირგვლივ შემორტყმულნი ერთხელ კიდევ გაამხნევა:

— თავისუფლად იარეთ, ნურაფრისა ნუ გეშინიათ. მთელი კახეთი გამოვი-

რეთ და ჩვენი რაზმის შიშით ლეკის ჭა-  
ჭანება არსად არ ისმის. ჯარისა და ძლი-  
ერი რაზმის შიში ნუ გეჭნებათ, თითო-  
ოროლა წუნკალს კი თქვენისთანა  
ვაყვაცები ადვილად გაუსწორდებიან.  
საკუთარ ჭერსაფარში უვნებელ დაბ-  
რუნებას გისურვებთ, მშვიდობით! —  
მეფემ თეთრ მერანს ქუსლი ჰკრა და  
ადგილს მოსწყვიტა. რაზმი მას მიჰყვა  
და კვლავ მტრის კორიანტელში გაეხ-  
ვია. აღტაცებული გლეხები კი ქუდე-  
ბის ხელში ტრიალით, სულ ერთსა და  
იმავეს მისძაზოდნენ:

— დღეგრძელი იყოს მეფე ვახტან-  
გი!

მანამდე მიჰყვიროდნენ, ვიდრე რაზმი  
ავარდნილმა მტვერმა არ შთანთქა...

ასე გაიცნეს ერთმანეთი უბრალო  
გლეხის გოგომ და ქართლის დიდებულ-  
მა მეფემ — ვახტანგ სჯულმდებელმა...

#### ახალი სოფალი

ქურანა, ფიცბი მერანი შლეგივით  
შეიჭრა ბაღ-ვენახებით დაშვენებულ  
სოფელში. ცხენის ფეხის ხმაურზე ხალ-  
ხი სახლებიდან ეზოში გამობრბოდა.  
უბედურება რომ ყოფილიყო, ლეკების  
თავდასხმა, ან სხვა რამ ამის მსგავსი,  
მხედრის კივილი, „არიქა, მღევარი!“  
მთელ სოფელს შესძრავდა, ახლა კი  
მხედარი არ კიოდა და ხალხიც გულ-  
დამშვიდებით ადევნებდა თვალს ჭენ-  
ებით მიმქროლავ ცხენს და მის პატარა  
მხედარს. ზოგმა იცნო, ვინც იყო და  
გულმა ველარ მოუთმინა, ხმამალა  
მიჰკივლა და მიადახა:

— რა ამბავია, ზვიად!

— მშვიდობა! მშვიდობა! — ყველას  
გასაგონად იყვირა ჭაბუკმა და მერანი  
უფრო გააჰყენა. მალე დიდ შარა-გზიდან  
მარჯვნივ გადაუხვია და ვიწრო ორღო-  
ბეში შეაგდო ცხენი. როდესაც ეს ორ-  
ღობეც გასჭრა და დალია, ახლა უზარ-  
მზარ კაკლის ხეებიღ შემოსილი ფერ-  
დობი აირბინა და სოფლის იმ უბანში  
შევიარდა, რომელიც ზედ ცივ-გომბო-  
რის მთის კალთებზე იყო შეფენილი.

ეს უბანი მხოლოდ ერთით განირჩეოდა  
სოფლის დანარჩენ უბნებზეგან — უმთ-  
ოდან წამოსული, ღრმა უფსკრულში  
ხეობა ცალი მხრიდან ისე ერტყმოდა,  
როგორც კარგი ღობე და საფარი, მის  
სანაპიროდან ორიოდ ნაბიჯის დაშო-  
რებით ბაყაყივით გაბარჯულიყო ორ-  
სართულიანი ციხე-კოშკი, რომლის კედ-  
ლებშიც აქაიქ დატოვებული სათო-  
ფურები ჩამრეტილ-ჩაშავებული თვა-  
ლებივით იყურებოდნენ. ამ ციხე-  
კოშკს ჯერ ქვიტკირის სქელი გალავა-  
ნი ჰქონდა სალტესავით შემორტყმული,  
ხოლო შემდეგ კი სოფლის ვეებერთე-  
ლა უბანი — ქვიტკირის ერთ და ორ-  
სართულიანი სახლებით, ერთი თვალის  
გადავლებით ამ უბანში აივნივით და  
კიბეებით დაშვენებული ორსართუ-  
ლიანი სახლები სჭარბობდა, ხოლო ში-  
გა და შიგ ერთსართულიანი სახლებიც  
იყო. სახლები თუ განსხვავდებოდნენ,  
სამაგიეროდ, ეზო-ყურებები ძალიან  
ჰგავდნენ ერთმანეთს. ყველა სახლს და  
ფართო ეზო-ყურეს ძეძვის ღობე  
ერთყვა: ღობის შიგნით კი ბახჩა-ბოს-  
ტანიც მოჩანდა. ამთჟან კარგა დაშო-  
რებით ცალ მხარეს საქონლის სადგომს  
ან ბოსელს რომ დანიხავდით, მეორე  
მხარეს კალო-საბძელი ავსებდა სიცა-  
რიელს...

ვინც ამ უბანს და მთლიანად სო-  
ფელს თვალს გადაავლებდა, უთუოდ  
ჩათვლიდა უაღრესად კეთილმოწყო-  
ბილ, შეძლებულ და ყველაფრით შემ-  
კობილ სოფლად, რაც მაშინ ძალზე იშ-  
ვიათი იყო. ხოცვა-ჟლეტის, თავდას-  
მების, ომების და ნგრევის დრო გახლ-  
დათ, ხალხი გაურბოდა მტკიცე, ქვიტ-  
კირის შენობების აშენებას, რა თავში  
ვიხლი, ხვალ ან სპარსი დაგვესხმის,  
ან თურქი და არ იცი, როდის წაგიკი-  
დებს ცეცხლსო და მთელი ქართლი,  
არც თუ იშვიათად — კახეთიც, მიწუ-  
რებში ჩასახლებულიყო, მიწურებში  
ალამებდნენ თავიანთ წუთისოფელს.  
მზეც აკლდათ, სინათლეს, ჰაერიც,  
მაგრამ მაინც ამას რჩებოდნენ, რად-  
გან მიწური გინდაც მოეპოო მტერს, მი-

სი კვლავ გათხრა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. დიდი თავდასხმების დროს კი, ძლიერ ხშირად, მტერი დროის დაკარგვად თვლიდა მიწურებსა და ქონებაზე გალაშქრებას. ასეთ სოფლებში სილატაკის მეტს ვერაფერს ჰხედავდნენ, ხოლო თავდამსხმელი იმას ეტანებოდა, სადაც სიმდიდრე ეგულებოდა.

ჭურანა გრივალღით შეიქრა უბანში და ყველა ფეხზე დააყენა, ყველას ყურადღება მიიპყრო. ეზოები და აივნები გარეთ გამოცვენილი ქალებით, ბავშვებით და შინ დარჩენილი მამაკაცებით აჭრელდა და აფერადდა. მერანი ორსართულიანი სახლს დაუპირისპირდა, ღობეს მიუახლოვდა, ძირს დაყრილ ძეძვის კონებს ზედ გადაახტა, ჯერ ცხენი არც კი დანდობოდა მიწას, რომ მხედარმა პაერშივე შეჰკვილა:

— გამოიხედე, მამი, მოვედით!

მალა მუხის მძიმე კარები აჭრიალდა. აივანზე ხელნაკრავით გამოვარდა მაღალი კაცი, რომელსაც წინდებში ჩატანებული ლეკური შალის შარვალი ეცვა. ცალი ხელი ახალუხში ჰქონდა გაყოფილი, ხოლო ქმარი მარცხენა ხელზე გადაადებული.

— შეილო, ზვიად! — ერთი შესძახა სახელაღწილმა და ახალუხის ფრიალით ისე ცქვიტად ჩაიბინა კიბე, თითქოს თქვესმეტი წლის ჰაბუკიაო. იგი ცხენთან მიიჭრა და განგებ გაჯავრებული კაცის ხმით დასუყვლა: — ძირს ვადმოხტი, შე მამაძაღლო, უფროსიც ვარ და მამაც, პატივი მეცი!

ჯერ ზვიადს მიწაზე ფეხი არც დაეკარებინა, რომ იგი პაერშივე მისწვდა, ლინიერ მკლავებით მკერდზე მიიკრა და გაშმაგებით დაჰკოცა.

შვილის ზვიადით რომ გული იჯერა, მხოლოდ მაშინ იკითხა: — შეილო, ხომ კარგად იარეთ, ხომ არაფერი შეგემთხვა?

— არაფერი, მამი!

მრავალ ჭირ-ვარამში გამოვლილ გლეხს ასე არხეინი მგზავრობა ეუცხო-

ვა. უცებ იფეთქა, ბიჭი რაღაცას მატყუებო.

— შე, მამაძაღლო! შენსოფლებში ლომდე ვერ ჩავსულვარ უხიფათოდ და თქვენ, დავიჯერო, ქალაქიდან აქამდე არაფერი შეგემთხვა?

— არაფერი-მეთქი, კარგის მეტი რატომ არ გჯერა, მამი?

— ელვარა როგორ არის? — პირველად ის იკითხა რადგან ოთხი ბიჭის პატრონს ეს ერთი გოგო ჰყავდა და საკუთარ თავზე ძვირად უღირდა.

— ისეა, როგორც ვაფრენილი ჩიტი!

— მიუგო ბიჭმა.

— დედაშენი?

— ისეა, როგორც კაცი და ხორასნის ხმალი!

— ავადმყოფი? — არც თავისი მოხუცი დედა დაივიწყა.

— რაკი ქალაქს გადაეურჩი, ჩემიანებთან დამმარხავენო, ცათაფრენა აქეს შემდგარი!

— ბიჭები? ჩვენი გულისთვის ხომ არაფერი დაჰკარგეს, ავი ხომ არაფერი წაეკიდათ?

— ეი! — ახლა კი მართლა გაწყრა ქებულ მზვერავად მონათლული ბიჭი. ანდე, ცხენი! უკვე სოფელში იქნებიან შემოსული, წადი და შენ თვითონ ნახე!

— ფუი! ეს რა ღმერთი გამიწყრა? აქამდისაც უნდა წავსულიყავი! — დანანებით წამოიძახა ხანშიშესულმა გლეხმა და სწრაფად შეუდგა ახალუხის ღილებს შეკვრას. როდესაც სანახევროდ მორჩა ამ საქმეს, იგი ცხენს მისწვდა, უზანგში ფეხი გაჰყო და ბიჭს მიუბრუნდა. — სახლს თავი არ დაანებო, შეილო! ავერ მეზობლებს გაუგიათ რომ მოხველ; ამბის შესატყობად მორბიანი!

ცხენს მოახტა, ჭუსლი ჰკრა და მარცხენა ხელზე გადაკიდებული ქმარი მარჯვენაში მოიქცია, რომ გზაში შემოეტყუა. ჭურანამ ქვებზე ნალებს ნაპერწყლები გააყრევინა...

მალე მთელს უბანში ყიფინა და ყაყანი ასტყდა.

— ზვიადა მოსულა!

— ზვიადა გამოჩნდა! მახარობელი, გამოიხედეთ!

ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ მათი ეზო-ყურე მეზობლებით აივსო. პატარა ბიჭს ისე მიეხვივნენ, ლამის გასრისეს. ზოგი ქმრის ამზავს კითხულობდა, ზოგი ძმისას, ზოგი შვილისას და, როგორც კი გაიგებდნენ, კარგად არის, საცაა მოვაო, ლამის ჩაეყლაპათ. ზოგი ეხვეოდა და ჰკოცნიდა, ზოგი თავისკენ ეწეოდა, ზოგი ვაშლს ჩრიდა პირში და ზოგი კიდევ ჩირს — შენს პირს შეჰქარო!

— ვისაც კითხულობთ აგერ შარაზე მოდიან, თუ ასე გიყვართ, წაღით და წინ დახვდით! — შესძახა ზვიადმა და გზისკენ ხელი გაიშვირა.

— მართალს ამბობს! ჩვენიანებს ჩვენ თვითონ შევხვდეთ!

— შევხვდეთ! შევხვდეთ! — ერთმანეთს შესძახეს ყველამ და პირი იბრუნეს. ეზო-ყურე ისევ უცებ დაიცილა, როგორც აივსო. სამაგიეროდ, ვიწრო ორღობე გაიჭედა ხალხით. ვინ წინ გაბოდა და ვინ უკან, აღარაფერი გაიგებოდა. შორიდან მაყურებელს უთუოდ ეგონებოდა: ან ზეავს გაურბიან, ან მიწისძვრასო.

იმ ღამეს ძალზე გახარებულმა ელვარას მამამ, უახლოესი მეზობლები აღარსად გაუშვა. ორიოდ ქათამს წასკერ თავი, გუდის ყველით, ახალი კიტრის მწნალით, მწვანელით და ბოლოკით დაიმშვენეს სუფრა და შუალამემდე ყიფინებდნენ. როდესაც შეძლებულ და გულმხიარულ გლეხს ღვინომ ენა აუტიკვიკა, მან საესე ყანწი მალა ასწია და განაცხადა:

— ეს ბედნიერი მგზავრობა — ჩემი სათაყვანო ღვიძლების მშვიდობით დაბრუნება, დიდი საქვეყნო ღვინით რომ არ აღვნიშნო, ადამიანები დამწყველიან, ღმერთი კი ცოდვად ჩამითვლის. მორჩა, გადაწყვეტილია! დღეისაწორს უდიდესი დღესასწაული — პეტრე-პავლობაა ჩვენს სოფელში. ახალი ეკლესიის კარზე დღეობას გამართავს ხალხი და ამ დღისათვის გაბატოვებთ

ყველას — ნათესაეებსაც და მეზობლებსაც, ორი ცხვარი და ერთი დედაძეულა უნდა წამოვაქციო! ~~შეხვედნენ~~ ბედნიერება ყველგან თან მდევდეს და მე ხელი ვკრა? ივანე კოტორაშვილი და ჩემი შვილი, ვეფხვოც მომიძებნეთ, უიშითოდ დიდ ღვინში კი არა ახლაც არ ჩადის ლუქმა ყელში! ზვიად, შვილო, ზვადიდან მოსძებნი შენს ძმას და ივანეს!

ამრიგად, ბედნიერმა გლეხმა, მშვიდობიანი მგზავრობის აღსანიშნავად სწორზე დიდი ღვინი დანიშნა...

#### დღეობა და ღვინო ბავშვებს

1691 წელს, როდესაც ონოფრე მაქუტაძეს ის-ის იყო წელიწადზე ცოტა მეტი შეუსრულდა დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრად კურთხევისა. სამწინელი უბედურობა დატრიალდა თვითონ ბერი მაქუტაძე, მონასტრის მიტაცებული მამულების, ყმების და ქონების უკან დასაბრუნებლად, ერთთავად მეფის კარზე ტრიალებდა, ენერგიულად და თავგამოდებით იბრძოდა სამონასტრო უფლებების აღსადგენად. ამის გამო იგი ძალიან ზშირად არ იყო ხოლმე თავის საგამგებლოში და აი, ერთხელ, მის არყოფნის დროს, სრულიად მოულოდნელად მონასტრის თავს დაესხნენ ლეკები. თვით ონოფრე მაქუტაძის თქმით: „ლეკნი დაგვესხენ თავსა და მონასტრის კრებულნიცა დახოცეს და მონასტრის სახმარნი ქურქელნი და საეკლესიო იარაღი ყველა წარყვეს, ივარ-ჰყვეს და მოაოხრეს“... დაზოცილებში იყო დიდგვაროვანი მამა შიო და ქრისტეს მიერ ძმანი, სულ ხუთი კაცი. არაფერი არ გაუშვიათ გაუძარცვავი და გაუტაცებელი: არც ბარძიმ-ფხვშუშუშები, არც ხატები, ხოლო უძვირფასესი წიგნები და ხელთნაწერები ზოგი დაწვეს, ზოგი ქებში ჩაჰყარეს, ზოგი კი დაფხრიწყეს და ქარს გაატანეს...

უდაბნოში დავით გარეჯელის მიერ დამკვიდრებული სამონასტრო ცხოვ-



რების წესი VI საუკუნიდან მომდინარეობდა. აქ ყოველთვის სიცოცხლე დღედა და გადმოდიდა. იგი ძველი საქართველოს განათლების ერთერთი უდიდესი კერა იყო. აქ იწერებოდა და იქმნებოდა საეკლესიო-საღვთისმეტყველო ლიტერატურაც და, რაც ყველაზე მთავარია, აქ ღებულბოდა უმაღლეს განათლებას სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობა. არცერთ მონასტერს საქართველოში იმდენი და ისეთი აობრება არ განუცდია, რამდენიც განიცადა დავით გარეჯის მონასტერმა. მართო მძვინვარე შაჰ-აბასის თავდასხმა რად ღირდა, მისმა მახვილმა ერთ ღამეში ეჭვის ათასი ბერი გაეღიტა, ხოლო თვითონ მონასტრის ნაგებობანი თითქმის ძირ-ფესვიანად მოთხარა, ქონება კი გაიტაცა, ან მოსპო, მათ შორის, უძვირფასესი წიგნებიც და ხელთნაწერებიც.

შაჰ-აბასის შემდეგ უდაბნოში დავით გარეჯელის მიერ დაწესებული სამონასტრო ცხოვრება არააოდეს აღარ აღორძინებულა. ამ საშინელი უბედურების შემდეგ თითქმის ოცი წელიწადი ისე გავიდა, მონასტრის ნანგრევებს აღარავინ ვაჰკარებია. თეიმურაზ პირველის და არჩილ მეფის ცდიტ თითო-ოროლა ბერმა და მოძღვარმა გაბედეს და კვლავ განაახლეს სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. მათ სხვებიც მიჰყვენენ და კვლავ გაისმა ზარის გუგუნი.

მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს ამ მონასტერს ახალი მშენებელი გამოუჩნდა, ეს გახლდათ ბერი, ონოფრე მაჰუტაძე, რომლის მონღოლებამ, ნიჰმა და საქმის სიყვარულმა შეუძლებელი შეაძლო.

მაგრამ ლეკებმა კვლავ საფუძვლიანად შეარყიეს მონასტრის მშვიდი ცხოვრება. მაჰუტაძემ საქმეს უფრო მედგარად მოჰკიდა ხელი. იგი არც იმდენად უნებნისყოფო აღმოჩნდა, რომ განზრახულზე უარი ეთქვა და არც იმდენად ლაჩარი, რომ უდაბნოდან გაქცეულიყო. მონასტერთა აღდგენას და ახლის

მშენებლობას თავგამოდებით შეუდგა, და რაღაც ათი-თორმეტი წლის განმავლობაში იმდენად აყვავდა, რომ იქ ჩქნა სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში, რომ ერთი წინამძღვარი ვეღარ აღდიოდა საქმეს და სამ საწინამძღვრო საგამგებლოდ გაიყო და ჩამოყალიბდა. ონავარი ლეკების თავდასხმები ერთხელ და სამუდამოდ რომ აღეკვეთა, ონოფრე მაჰუტაძემ, უბირველეს ყოვლისა, ააშენა საგულშაგო კოშკები, კლდეები შეკრა ხელოვნური კედლებით, გააყვანა ურთიერთ დამაკავშირებელი გვირაბები, შექმნა თავდაცვის საიმედო ქსელი. მაგრამ მაჰუტაძეს სხვა რამ უფრო აწუხებდა, ვიდრე ადამიანთა სიცოცხლის უზარუნველყოფა. ადამიანის ხელთქმნილი, როგორც არ უნდა მტკიცე და შეუვალი ყოფილიყო, მტერს ყოველთვის შეეძლო დაერღვია, დაეძლია და ისევე აეობრებინა, ისევე შეეძლო მოესპო და გაენადვურებინა ძვირფასი ხელთნაწერები, როგორც მაშინ. თუ ამ ხელთნაწერების შესანახავად რაიმე საგანგებო ღონისძიებას არ დასახავდა, ისე მონასტრის გამაგრება ნიშნავდა წუთიერ თავდაცვას და არა საშარადემოდ გადარჩენას...

ბერი ფიქრის შემდეგ მაჰუტაძეს ბრწყინვალე აზრი დაებადა. მან გადაწყვიტა მონასტრის საყმო სოფელში აეშენებინა სრულიად ახალი ეკლესია, რომელიც გარდა ღვთისმსახურებისა, გამოყენებული იქნებოდა, როგორც დავით გარეჯის მონასტრის ძვირფასი ხელთნაწერების შესანახავი. ონოფრე მაჰუტაძემ მონასტრის საყმო სოფელში მშენიერი ადგილი შეარჩია მაღალი მთის კალთაზე. ეს ეკლესია დღესაც მშენიერად მოჩანს ივრის ხეობის ყველა კუთხიდან. ტაძარი აშენდა იმ ძმათა სულის საოხად რომელიც ლეკებმა ამოწყვეტეს 1691 წელს.

ეს ეკლესია პეტრე-პავლეს სახელობაზე აშენდა, ბერმა მაჰუტაძემ იგი დაახლოებით 1712 წელს დაამთავრა.

ეკლესიის აშენების ათი წლის თავზე დიდებული დღეობა გაიმართა. აუარე



ბელი სტუმარი ეწვია სამონასტრო სოფელს. ჩარდახიან ურემს სად არ დანახავდით, ცხენოსნებს და ქვეითებს თვლავ არა ჰქონდა.

ხალხის საზეიმო განწყობილება, საჭიდაო სიმღერა და გამუდმებული მხიარული ყიყინა უცხოს აფიჭრებინებდა, ამაზე ბედნიერი ქვეყანა მეორე არსად იქნებაო. ერთადერთი, რითაც შეიძლება დაეჭვებულიყო უცხოელი ის გახლდათ, რომ მედღეობე ყმა გლეხებს იარაღი ჰქონდა ასბმული; გარეგნულად მაინც ხალხი მხნედ და მზიარულად გამოიყურებოდა.

სწორედ იმიტომ გადადო ეფრემ ნათელაშვილმა ამ დღისათვის ქეიფი და ლზინი, რომ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო. იცოდა, რომ ამ დღეს შორეულ სოფლებიდანაც ეწვეოდნენ სტუმრები და არც საბატოო ხალხი დაივიწყებდა მის ოჯახს. ამიტომ გათენდა თუ არა, მაშინვე შეუდგა სამზადისს: ორი ჰედილა დაჰკლა, ერთი დეკეულა წამოაქცია. დიდი ყურბანი ქვაბები ცეცხლზე შემოდგა. ხუმრობა ხომ არ იყო სახალხო გმირებიც უნდა სწევოდნენ და წინამძღვარი მაჰუტაძეც ამალით. გმირებად ეფრემს მიაჩნდა ივანე კოტორაშვილი და თავისი პირშო — ვეფხვო; ალტაცებით ელოდა ყველას, მაგრამ შუადღის ხანს გამოირკვა გულსახეთქი ამბავი; ვისაც ელოდებოდა არც ერთი არ მოვიდოდა. ზეიადმა გაქაფებული ცხენი მოაგდო სახლში და განაცხადა, რომ ივანეს კვალსაც ვერ მიაგნო ვერსად, ლეკების ბრბოს მიჰყოლოდა თავისი რაზმით და გამჭრალიყვენ, აღარც ლეკები ჩანდნენ, აღარც ივანე. ამაზე უარესი სხვაც მოხდა: მაჰუტაძემაც უარი შემოუთვალა: „თავად მყავს უწმინდესნი მამანი წვევად ჩემდა და ჩემგან არ ეგების თავის მინებება“.

ეფრემ ნათელაშვილს მოუტრავამაც დაუდსატურა: ლეკთაგან ამოწყვეტილ ქრისტესმეორ ძმების სულის მოსახსენებელი აღაბის გაწყობა მიბრძანაო!

იმ დროში შორს მყოფი ნათესაგები

ადვილად ვერ გაბედავდნენ აყრას და წამოსვლას ვერ გაბედავდნენ. ეფრემ ზეიმს აპირებდა, უტვირთავს მისი ნები მშვიდობით დამიბრუნდნენო და პატარა ზეიმიც აღარ გამოდიოდა. ხელთ შერჩა მარტო კარის მეზობლები და განაყოფები. ეფრემ ნათელაშვილი უდიდეს ლზინს აწყობდა და მწუნარებაში კი ჩავარდა, მაგრამ მთლად სასოწარკვეთილებას არ მისცემია, მაინც რალაცის იმედი ჰქონდა. ვიდრე სულრა გაიშლებოდა, სიცხისაგან თავრეტდასხმულ ახალგაზრდობას ეღვარაანთ კალოზე მოეყარათ თავი, დაიარს ცეცხლს უფიცებდნენ, რომ ლზინი გაეჩაღებინათ.

კალოს ცალი მხარე ჩამონგრეულ-ჩამოჭრილ ფლატეს წარმოადგენდა, რომლის თავზეც თუთის ხეები ჩამჭრისებულ-გაბარჯულნიყვენ, მათ უკან კი პაწაწინა შეღმართი ველი იშლებოდა, რომლის შუაგულში ასწლოვანი კაკლის ხე იდგა, — მიწამდე დაშვებული ტოტებით. ირგვლივ, მის ქვეშ, ერთიანი მწვანე მოლი ბიბინებდა. სუფრის გასაშლელ, საქეიფო ადგილს უკეთეს ვერც ინატრებდა ვერავინ. ცხელ, თაკარა ზაფხულში, ეღვარაანთ კარმიდამოს მშვენებად სწორედ ეს ადგილი და ეს კაკალი ითვლებოდა. დღესაც გრძელი ლურჯი სუფრა სწორედ აქ დაეფინათ და ჯერ-ჯერობით შოთყებით, ნაზუქებით, მარლით და მწვანულიულობით დაემშვენებინათ.

მზე ჩასასვლელზე იყო, მეტის მოთმენა აღარ შეეძლოთ და უმთავრესად იმ გლეხებმა, რომელნიც მგზავრებს გზაში ახლდნენ, გამოცილებლებმა, ხმა ამოიღეს:

— შენიანების დასახსნელად სიკვდილს იმიტომ ვეთამაშებოდით, რომ ჩვენ აქ ამოგვხოცო შიმშილით?

— ჰაი, დედასა! სიკვდილი რა სახსენებელია? ჩემი ვალი დაე, ორსაპალნიანმა ქვევრმა ზლოს! — გულგახსნილად მიუგო სახევაბადრულმა მასპინძელმა. — კაკლის ქვეშ ჩირაღდნები და მისი ჭანი! ამაღამ უნდა გავათენოთ

ბიჭებო! ეპეი, რალას უყურებთ, სუფრა კაკლის ქვეშ. სწრაფად! მარდად! — შეუძახა თავის მეუღლეს და მის დამხმარეებს ეფრემამ და ამ შეძახილზე ყველა მხრიდან მზიარული ყიფინით უბასუხეს.

— კაკლის ქვეშ! კაკლის ქვეშ!

ვიდრე ახალგაზრდობა კალოზე ხმაურობდა, ხოლო უფროსები სუფრის გაშლას შეხაროდნენ, უფრო საყურადღებო ამბავი ხდებოდა...

ერთბაშად სოფლის თავში, სწორედ იქ, სადაც ველი ტყეს ერწყმოდა, ხოლო საურმე-სამარბილე გზა კი მარჯვნივ უხვევდა, ჩაშავბნელებულ ხეთა ჩრდილებიდან ორი მხედარი ანაზღად გამოხტა. მხედრები აშკარად სოფლისაკენ მოაგელვებდნენ ცხენებს, რადგან თავქვე მოდიოდნენ და ცხენები ნელი იორლით მოჰყავდათ. ერთი შავს ცხენზე იჯდა, მეორე კი ოქროსფერ მერანზე. შევტაიჭოსანს ტანსაცმელიც შავი უჩანდა, ხოლო თავზე მუზარადი უბრწყინავდა. მეორეს — უფრო ღია წყლის ფერი ჩოხა უნდა სცმოდა, რადგან საღამოს ჩრდილში ის უფრო მკაფიოდ მოჩანდა, მასაც მუზარადი ეხურა. ელვარას ფერმა გადაჰკრა, ჰერ ლეკები ეგონა და კინაღამ კვილი ასტეხა: „ლეკები, ცხენში ყველა!“ რადგან ლეკები სწორედ აქედან — ტყიდან წამოეპარებოდნენ ხოლმე სოფელს. უცებ მიხვდა, რომ შესცდა. ლეკები ვერასოდეს ვერ ბედავდნენ სოფელზე ასე გულდაგულ მისვლას. ისინი ცხენებს ყოველთვის ტყეში მალავდნენ, თვითონ კი სოფელს კატებივით ქურდულად მიეპარებოდნენ ხოლმე. „უთუოდ ჩვენები არიან! — გაიფიქრა ელვარამ. — მაგრამ ვინ?“ იგი გაფართოებული თვალებით დააკვირდა ორივე მხედარს. ისინი სწრაფად უახლოვდებოდნენ სოფელს და თანდათან უფრო მკაფიო ხდებოდა მათი ტანსაცმელიც და აღკაშმულობაც. უცებ ელვარამ სიხარულით ისე შეჰკივლა დაირის ხმაც დააყრუა და მოქეიფეთა ყიფინაც:

— ძმებო და დებო! ლეკების რი-

სხვა — ივანე კოტორაშვილი! მერე სახლისკენ ჰქმნა პირი დღე შეტყვეობა: — დედი! მამი! ივანე კოტორაშვილი მოდის! ჩვენი ვეფხვოც, დედა, ჩვენი ვეფხვოც! ყველანი აწრიალდნენ და აქოთქოთდნენ. ვინც სახლში იყო, გარეთ გამოვარდა, ვინც გარეთ იყო გზისკენ გადირინდა. ყველა იმ მხარეს გარბოდა, საითაც ელვარა იშვერდა ხელს. მთელი უბანი ფეხზე დადგა. ივანე კოტორაშვილის უბრალო ხსენებამაც კი ააღელვა ხალხი. ყოველმხრიდან ერთი და იგივე შეძახილები ისმოდა:

— ლეკების რისხვა — ივანე კოტორაშვილი!

— ვეფხვოც თან მოჰყავს, ბიჭებო, ჩვენი ვეფხვოც! — აღფრთოვანებით გაჰკიოდნენ მახლობელი მეზობლები და ნათესავეები.

— ივანე კოტორაშვილს გაუმარჯოს! ივანეს სიციცხლე და ბედნიერება!

— იციცხლოს და იდღეგრძელოს ჩვენმა ვეფხვომ!

ივანე და ვეფხვო ღიმილით და ხელების ქნევით უბასუხებდნენ საღამზე და თან ცხენებს ნელი იორლით მიავგომანებდნენ. ნამდვილად გულწრფელი სიხარულით აღფრთოვანებითა და აღტაცებით ხედებოდნენ.

ქართლისა და, განსაკუთრებით, კახეთის სოფლებში, სადაც არ უნდა გამოჩენილიყო ივანე კოტორაშვილი, თუნდ ცალკე, თუნდ მთელი თავისი რაზმით, ყველგან ასეთ შეხვედრას უწყობდნენ, ყველგან პურმარლით ხედებოდნენ. მხოლოდ იმ სოფლის მცხოვრებნი სთვლიდნენ თავიანთ თავს ბედნიერად, სადაც ივანე ან წყალს დალევდა, ან პურადილებდა. ასეთი სიყვარული და თაყვანისცემა, გულწრფელად უნდა ითქვას, დამსახურებული ჰქონდა ივანე კოტორაშვილსაც და მის რაზმსაც.

მაშინ თექვსმეტი წლის იყო ივანე, როდესაც რაზმი შეადგინა და ლეკებს დაუწყო დევნა, ამას საშინელზე საშინელი ამბავი უძღოდა წინ: ივანე მინდორში იყო, ანეულს ხნავდა. ერთბაშად სოფელში წვილდა ივილი და სრო-

ლის ხმა ატყდა. გვიან საღამოს სოფლიდან ივანეს ამბავი ჩამოუტანეს, რომ ლეკებმა, სხვებთან ერთად, მისი ტყუბი ძმები, ოთხ-ოთხი წლის დავითი და კონსტანტინეც გაიტაცესო. ვაცეცხლებულმა ივანემ გუთანნი ისე მოისროლა, კინაღამ ჯამბარა ვააწყვეტინა, დაიხოქა და ცას შეჰფიცა:

— ღმერთო, შენ იყავ ჩემი ერთადერთი მოწმე და მფარველი, ვიდრე დაკარგულ ძმებს არ ვიპოვნი ხმაღს არ ჩავაგებ ქარქაშში! — და იარალი აისხა, მის გვერდზე გამწარებულ და მამაც ვაეკაცებს თავი მოუყარა და ლეკებს კრიქაში ჩაუდგა. აი, უკვე ცხრა წელიწადი გადიოდა, რაც გლეხებს გუთნის მაგიერ, ხელში ხმალი ეჭირათ და რაშებს დააქროლებდნენ. ამ ცხრა წლის მანძილზე ივანეს რაზმმა, ვინ იცის, რამდენი ყმა გლეხი გადაარჩინა ყმობაზე უარეს მონობას, რამდენი საქონელი, რამდენი ცხვარი და ძროხა დატოვა შობილიურ იალაღებზე, რამდენი ქონება დაუბრუნა ხალხს! არც ქართლში და არც კახეთში, სოფელი არ დარჩენილა, რომ ყმა-გლეხების მრავალი ოჯახი არ ყოფილიყო მლოცველი ივანე კოტორაშვილისა და მისი რაზმისა. ამ უთანასწორო ბრძოლაში, საკვირველი კი არა, ნამდვილად სასწაულებრივი იყო ივანე კოტორაშვილის გამარჯვებები ბრძოლის ველზე. იგი ოციოცდახუთი კაცით ხშირად ამარცხებდა ლეკთა ას და ორას კაცისაგან შემდგარ ძლიერ რაზმებს. ხანდახან თუ მდევარსაც აიყოლიებდა, იგი მტერს სდევნიდა საკუთარ ბუნაგამდე და არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ გატაცებული საქონელი, თუ აღამიანი, უკანვე დაუბრუნებია ჭარბელაქანში შექრილს. ამ შესანიშნავმა გამარჯვებებმა და ისიც ცხრა წლის მანძილზე, ლეკებს თავზარი დასცა. რაც არ უნდა გულადი ბელადი მყოლოდათ, კოტორაშვილის სახელის უბრალო ხსენებაზეც კი — ხმალი ხელიდან უვარდებოდათ. სადაც ივანე იყო, იქ ყოველთვის უბრძოლველად გაიქცას არჩევდნენ.

ივანე კოტორაშვილს სწამდა ხელონური დღისა, სწამდა, რთქმდებურობნი ღარიბი ლეკების წმქმდებურობისპობოდნენ და ლეკებსა და ქართველებს შორის მეგობრული მეზობლობა კვლავაც დამყარდებოდა.

აი, რატომ უყვარდა ხალხს თავისი გმირი ივანე კოტორაშვილი! აი, რატომ ხვდებოდნენ ყველგან, სადაც კი მივიდოდა, უზომო აღფრთოვანებით და სიყვარულით! რაც არ უნდა გაწყალებული ოჯახი ყოფილიყო, ოღონდ ივანე და მისი განუყრელი მეგობარი, ვეფხეო ნათელაშვილი სწევოდა და, თავს უბედნიერეს ოჯახად ჩათვლიდა. ახლაც, ახალგაზრდობა და გოგო-ბიჭობა რომ ვამას“ და „გაუმარჯოს“ გაჰკიოდა, უფროსები წინ ეღობებოდნენ და მხოლოდ იმას ცდილობდნენ ცხენის აღვირში ხელი ეტაცნათ და თავისკენ წაეყვანათ, მაგრამ ვეფხეო ნათელაშვილი ყველას იმედს უცრუებდა და უკან სწევდა:

— შეგეწიოთ პეტრე-პავლეს მადლი! ჯერ დამაყათ. მეზობლებო! ეშმაკი ხომ არა ვარ, ცარიელი ტიკი ვბერო, ვბერო და შიგ არაფერი ჩავასხა? ექვსი თვეა სახლში არ ვყოფილვარ, ჩემიანები მანვენეთ და მერე სუფრა გნებაეთ, სამზოდ გაეშალოთ!...

ველარადერს ეუბნებოდნენ, ყველა უკან იწევდა.

ეფრემ ნათელაშვილის ეზოს კარი ყურთამდე გაიღო, უზომოდ ბედნიერი მასპინძელი წინ შეეგებათ.

— როგორც გინდათ, თქვით, ბედი მქონია. გელოდებით და მოხვედით კიდევ!

— მშვილობა თქვენს მოსვლას, შვილებო!

ღეღამ ქვითინით მკერდში ჩაიკრა მტრების ღვენაში სახილვანთქმელი. მთა-ბარად ხეტიალში გაწამებული შვილი...

#### აწაო ღვინა

ჯერ ისევ მზის ჩასვლამდე გამოიკვეთა ცაზე ბადრი მთვარე, მაგრამ დამეგზის გასაკვლევად და საგანთა გასარ-

ჩველ თუ საკმარისი იყო მისი კაშკაში, სუფრისათვის, და ისიც ვეებერთელა კაკლის ზის ქვეშ, ძალიან მცირე და მკრთალი იქნებოდა. ამიტომ ადამიანებს ღონე ეღონათ და თავქვე ჩაფენილი გრძელი სუფრა, ას კაცზე მეტს რომ დაიტევდა, მაშხალუბითაც გაენათებინათ. მაღალ ჭიგოებზე ფალას-ფულასები დაეხვიათ, კუბრში ამოევლოთ, ცეცხლი წაეკიდებინათ და სუფრის გარშემო ჯარისკაცებივით შემომეწყრივებინათ. ასეთი მაშხალუბი ძალიან კაშკაშა და დახვეწილ სინათლეს ვერ იძლეოდნენ, მაგრამ იმდენად კი ანათებდნენ, რომ ადამიანებს ერთმანეთის დანახვაც შეეძლოთ და სასმელ-საჭმელის გარჩევაც...

საერთოდ კუბრს ცეცხლი ადვილად ეკიდება, მაგრამ კარგად ვერ იწვის, წვის დროს გამოჰყოფს მზრხოლავ გაზს, რაც ცისკენ მიემართება ძალიან შავი კვამლის სახით; შორიდან მაყურებელს ეგონება აბოლილ ვულკანს ვუყურებო. დახურულ ადგილას ასეთი მაშხალუბის გამოყენება შეუძლებელია, ცის ქვეშ კი იმ დროში უკეთესს ვერც ინატრებდნენ, რადგან კუბრი უზვად მოიძევებოდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. იგი უმთავრესად შირაქიდან მოჰქონდათ, სადაც ხევხუეებში, ფლატეების ძირში, თუ გადააწვიარ-გადასრუჯულ ველთა ნოჰებში ისე ყოხავდა, როგორც ბაწაწინა შავი ნაკადულები. ხშირად ეს ნაკადულები დრმულებსა თუ ნაგუბრებში, ან საგანგებოდ ამოთხრილ ორმოებში ტბებად გუბდებოდა და იოლი მოსაპოვებელი იყო. იმ დროს კუბრს, მარტო საწვავად კი არა, ათას რამეში იყენებდნენ: კუბრადნენ ტიკებს, მკურნალობდნენ საქონლის ქეცს, სიმაგრისათვის ელენთავდნენ სააღმშენებლო მშალას, ხმარობდნენ აგრეთვე ცოცხალ საქონელზე სერის<sup>1</sup> დასადებად და კიდევ ვინ მოსთვლის. ყველა ამის გამო, სადაც კი დასახლებული ადგილი იყო, ყველგან შეიძლებოდა კუბრის შოვნა.

მართლაც რომ თვალწარმტაცია სუფრა გაეშალათ კაკლის ქვეშ, რაც უღელისგულოდ მომზადებულ ნაძანს ქვეყნებებოდა, არაფერი აკლდათ. ცხერის ზორცი სუფრაზე თეთრად ქათათებდა, დეკეულის ხაშლამა ჩალისფრად მოეფინათ, ხოლო დაბროწილი ვარიები თურაშაულ ვაშლებივით გაეფანტათ სუფრაზე. სანოვანის ასეთ ხროვანში შესამჩნევად გამოირჩეოდა ცივად მოხარშული ჩაყვარცხილ-ჩაყვითლებული დედლები; სუფრას არ აკლდა არც შოთი, არც ნახუქი, არც ახალი კიტრის და ნიერის მწნილი, არც მწვანელი და არც ბოლოკი. ღვინით სავსე ზელალებს ხომ ისე მოეკირწყლა სუფრა, კაცს ეგონებოდა მებურჰლეს ჰურჰლელის ბაზრობაზე გასასყიდად გამოუფენიაო! დიან, ყველაფერი იყო უზვად, ბარაქიანად თვალის მისატაცებლად.

ყველაზე შესანიშნავი ის იყო, რომ სადღეგრძელოები ისმებოდა სწრაფად, ხოლო სიმღერები ითქმებოდა მოკლედ. კაცს ეგონებოდა, ყანისმკვლებს სვე გაუტანიათ, დასაყვენებლად გამოსულან და ჩქარობენ ახალი სვეს გამოტანა არ დაგვიგვიანდესო. ცხადია, ეს სიჩქარე და თანაც სიჩუმე მარტო მონადიშეთა მადას არ უნდა დაბრაოდეს. ამ სიჩქარის მიზეზი კოტორაშვილი და მისი რაზმი გახლდათ. ივანე ელვარას ცრემლით სავსე თვლებს ველარ გაუძლო, თორემ მოსვლისთანავე წასვლას აპირებდა, რადგან მთელი ცხრა წლის მანძილზე არსად შეხვედრია ლეკთა ისეთ ცხიერ რაზმს, როგორსაც ახლა გადაეყარა. ვიდრე სუფრაზე დასხდებოდნენ, იგი ყველას მოუყვა თუ როგორ გაჩნდნენ ასე ანახლად ვეფხვო და თვითონ დღეს აქ, ამ ნადიშზე. საქმის არსი აი რაში გახლდათ: ივანე კოტორაშვილს ლეკებში არა მარტო მტრები, არამედ „ყონალებიც“, ე. ი. შეგობრებიც ყავდა. რა თქმა უნდა, წარმოშობით ან მასავით ვლხები, ან ზელოსანი და საერთოდ ისეთი, რომელიც თავის ოფლით ცხოვრობდა

<sup>1</sup> სერი-ნაშანი.

და, აი, ორი დღის წინ, ალაზნის ვალეებში ჩასაფრებულ ივანე კოტორაშვილს, ყონაღმა აცნობა, რომ დაღესტნიდან გადმოვიდა, ლეკების ძლიერი რაზმი და ნამდვილად ან გრემს უპირებენ აკლებას, ან ყვარელსო. ივანე გრემისკენ გაქანდა, მაგრამ ტყუილად არავითარი ლეკი იქ არ მისულა. რაზმი ყვარელისაკენ მიაბრუნა, რომ ლეკები შანამდე მოესპო და გაეფანტა, ვიდრე თავდასხმას გაბედავდნენ, მაგრამ ნეკრესის ღვთისმშობლის ძველისძველი ეკლესიის ვალას რომ შეერია, შეშისმჭრელ მოხუც გლეხებს წააწყდა, რომელნიც სრულიად დამშვიდებულნი მუშაობდნენ. ამ გლეხებმა აცნობეს, რომ დილას შორიდან დავინახეთ ლეკების რაზმი ალაზნისაკენ საურმე გზაზე მიმავალი. ნამდვილად ლეკები იყვნენ, რადგან მსუბუქად შეიარაღებული ჩანდნენ, ტყავის ქუდები ეხურათ და წინამძღოლი თეთრ მერანს მიაგვლევებდაო.

ივანე კოტორაშვილმა თავისი რაზმი უმაღლეს ალაზნისკენ მიაბრუნა. საურმე გზაზე ლეკის კვალს, მართლაც წააწყდა და აღარც ცხენები დაზოგა და აღარც ხალხი, ჭენებით მიჰყვა. სოფელ შაქრიანთან საუკეთესო ფონი იყო და ლეკებს თუ გაღმა უნდოდათ გასვლა, სწორედ აქ უნდა გასულიყვნენ, მაგრამ ისეთი გამოცდილი მღვერიც კი, როგორც კოტორაშვილი იყო, მოსვლისთანავე იაიბნა. აქედან კვალი მისდევდა ალაზნის მარცხენა ნაპირს, კვლავ კავკასიონის დაბურული ვალთებისაკენ, ამ მიმართულებით კი აღარ იყო ისეთი დასახლებული ადგილი, რომ ლეკების ხარბი თვალი და გული მიეზიდა. რაკი აქამდე მოვიდნენ, მაშასადამე, გაღმაც უნდა გასულიყვნენ, რადგან გაღმა იყო მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული სოფლებიც, ქალაქებიცა და დაბებიც. რატომ წავიდნენ ისევ კავკასიონისაკენ და არა გაღმა, ცივ-გომბორისაკენ ივანე ამ საკითხმა დიდ საგონებელში ჩააგდო, მაგ-

რამ ვერც თვითონ და ვერც სხვებმისი ახსნა ვერ შესძლო. <sup>ერეკლესი</sup> და, აი, ლეკებთან ბრძოლაში <sup>ქვემო</sup> რთობილი გმირი უცებ მიჰხვდა, რაც უნდა მომხდარიყო. ლეკები შესაძლებელია გრმობდნენ, რომ კოტორაშვილი აედევნებოდა და რაღაც სამხედრო ხერხით მისი გაცურება უნდოდათ. ეს ხერხი კი სულ უბრალო იყო: რაზმი ორად გაიყო, ერთმა ალაზანი გასჭრა, გავიდა, მეორე კვალის ასახნევად, მარცხნივ აჰყვა ალაზნის ნაპირს, რომ ივანესათვის, ან ადევნებულ სხვა რაზმებისათვის, გზა-კვალი აებნია. როგორც კი ასეთი ეჭვი დაეზადა ივანეს, ვეფხვოს უბრძანა ალაზანს გაღმა გასულიყო რამდენიმე კაცი და ლეკების კვალი იქაც ეტებნა. ვეფხვომ გასვლისთანავე აცნობა ივანეს, რომ ლეკების კვალი გაღმაც იყო, უფრო მრავალრიცხოვანი რაზმისა, ვიდრე ალაზნის მარცხენა ნაპირზე ნახეს; ივანეს ბევრი აღარ უფიქრია. მთელი რაზმი გაღმა გაიყვანა და იმ მრავალრიცხოვანი რაზმის კვალში ჩააყენა. ჩააყენა, მაგრამ ასე ბრმა მიყოლა არ შეიძლებოდა, საჭირო იყო დაახლოებით მაინც მიხვედრილიყო, რა და როგორი გეგმა ჰქონდათ დასახული ლეკებს, რად მიიწვედნენ ბევრად უფრო საზიფათო ქვეყნის შუაგულისკენ, მაშინ, როდესაც შეეძლოთ მოსულიყვნენ პირდაპირ ჭიზიყზე, უფრო მჭიდროდ დასახლებულ და მდიდარ ქვემო მხარეზე ამის ახსნა ძნელი არ იყო და არც ივანეს გასჭირებია ამ უცნაურობაში გარკვევა. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე იმ ეჰმად, ვახტანგ მეფის ენერგიული ცდით, ქართველი ჯარის დიდი მოძრაობა იყო. ვახტანგს სურდა ალაზნის გადმოსასვლელები შეეკრა და აქ მშენებელი თუ მებრძოლი ჯარი ბლომად ირეოდა; ვერც ყარაღაჯის სანახების ახლოს გაბედავდნენ გამოჩენას, რადგან კახეთის მმართველის სარბაზებში, თავად მტაცებელნი და სპარსთა მამებელნი, სხვის მტაცებლობას ვერ მოითმინდნენ!...

ეს ყველაფერი სწორი იყო, მაგრამ მამ საით მიისწრაფოდნენ ლეკები, რა ჰქონდათ მიზნად დასახული? აი, რა იყო თავსატეხი, მაგრამ აქაც ივანეს გამჭრიახმა გონებამ შესძლო. ასე თუ ისე, გზის გაკვლევა:

ახალგაზრდა, ლამაზი მონოზნებით სახელგანთქმული გაზღდათ იმ დროს კახეთში შუამთის მონასტერი. ლეკების ამოცანა, როგორც ჩანს, ამ ჟამად ის იყო, რომ ლამაზი ქალები წაესხათ და შუამთის მონასტერზე უხვად სად ნახავდნენ! ყველა ნიშანი აქით მიუთითებდა. ცხადია, აბრაგები უფრო სარფიან მიზნისაკენ მიისწრაფოდნენ, ვიდრე გზებში ჩასაფრება, სოფლებზე თავდასხმა და ძარცვაგლეჯა იყო. როგორც კი ეს დაასკვნა ივანემ, იმდენად კვალს აღარ მისდევდა, რამდენადაც მოკლე გზებს დაეძებდა შუამთაში მისასვლელად.

ლეკებმა რომ ცრუ მოძრაობა გააკეთეს კვალის ასაბნევად, ამაში ივანე კვლავ დარწმუნდა მაშინ, როდესაც აღავერდის ქვემოთ, ჭალიან-ჩირგვიანებში სხვადასხვა მზრიდან მომავალი ორი კვალი ისევ შეერთდა, ხოლო ეს შეერთებული კვალი გრძელდებოდა თელავის მიმართულებით, რა თქმა უნდა, შუამთისკენ და საბოლოოდ დარწმუნებულმა ივანემაც იქითკენ გააქროლა თავისი რაზმი...

შუალამე გადასული იყო, როდესაც შუამთის მაღალ კედლებს მიაღწენ. ირგვლივ სრული სიწყნარე სუფევდა. არავითარი კვალი და ნიშანი ლეკების თავდასხმისა... ღამის დარაჯებმა ივანესაც არ გაუღეს კარი, ეგონათ ლეკები რალაცას ეშმაკობენ, მონასტერში შემოპარვა უნდათო. მაგრამ ივანეს რაც უნდოდა, ის მაინც შეიტყო. მზის ჩასვლის ხანს ლეკების ძლიერი რაზმი მართლაც მოსდგომოდა მონასტერს, მაგრამ დამხდურთ დროზე შეეტყვოთ და კარები მაგრად ჩაეკეტათ. მონასტერი დაცული იყო მაღალი ქვითიკირის გალავანით, მცველი რაზმიც ჰყავდა და ვერაფერს გამხდარიყვნენ. თოფე-

ბის სროლა აეტეხათ. მაგრამ რაც დამხედურთაც სროლით ეპასუხებოდა, ლეკები ტყეს შეფარებოდნენ და იმდენად გათენების ხანს გაიმეორებენ თავდასხმასო...

უკუნეთი ღამე იყო. მეტი გზა არ იყო, გათენებამდე უნდა მოეცადა კოტორაშვილის რაზმს, ცოტა სული მოეთქვა, ცხენებიც დაესვენებინათ, რომ დილით გაბედულად დასტაკებოდნენ მტერს.

გათენდა. ლეკების ჭაჭანებაც არ ისმოდა, ნამდვილად მონასტრის შეუვალ კედლებს მოერიდნენ, სხვა გადაწყვეტილება მიიღესო, გაიფიქრა ივანემ. აჩქარდა, რაზმი ფეხზე წამოჰყარა. აშკარა იყო, რომ მონასტერთან ტყუილ ბრძოლას, ტყეებში ხეტიალი არჩიეს ლეკებმა, მონასტრის წინამძღვარმა ბევრი ეხვეწა ივანეს, დარჩით, სული მოითქვით, დაისვენეთ და მერე ეძებეთ ლეკებიო, მაგრამ ივანეს რა გააჩერებდა, როდესაც ყაჩაღები, თუ დაუნდობელი ავაზაკები ახლო ეგულვებოდა...

ტყის ნიადაგზე კვალის პოვნა არასოდეს არ არის ძნელი. ლეკებს გეზი ამკარად ცივ-გომბორის მთის დასავლეთ კალთებისკენ აეღოთ და ივანემაც იქით წაიყვანა თავისი რაზმი.

ტყე დასრულდა, იალალებზე გავიდნენ, თითქოს ჯადოქრებს მისდევდნენ, კვალი იალალებზეც ამკარად ჩანდა. ხოლო თვითონ მათ, ვერ იქნა და ვერსად წამოეწივნენ... კოტორაშვილი მიხვდა, რომ საქმე ჰქონდა ჭკვიან და მოხერხებულ ბელადთან. ალბათ, ბელადის ბრალი იყო, რომ მძარცველთა ბრბო მეტისმეტად წინდახედულად იქცეოდა. სხვა რალაც დიდი მიზანი ჰქონდათ და ჩვეულებრივ სულსწრაფობას და სიხარბეს არ იჩენდნენ. არაფერს არ იტაცებდნენ, არ ძარცვავდნენ, არ აწიოკებდნენ. ალბათ იმიტომ, რომ ვიდრე მთავარ მიზანს არ მიაღწევდნენ, ნაიღრევად არ გამომეკლავებულებიყვნენ. ამ ამო დევნამ კოტორაშვილს იმაშიც დაარწმუნა, რომ რაზმის ბელადი მთე-



ლი კახეთის ადგილ-მდებარეობას კარგად იცნობდა, კარგად იყენებდა გზასაც, ტყესაც, ველსაც და მინდორსაც. ივანე კოტორაშვილმა თავისი ეჭვი ვეფხვოს გაანდო. მან ივანეს ეჭვი საფუძვლიანად ჩათვალა და ბოლოს თავისებური უღარდელი კილოთი უთხრა:

— გიყი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა!

— გიყთან კი არა, ძალზე ცბიერ ბელადთან გვაქვს საქმე, ბიჭო! — გაწყრა ივანე.

— ცბიერი დიდხანს ვერ შეივრდომებს ხარბს! გამოჩნდება, დავკრავთ! — კვლავ არზენიანდ მიუგო ვეფხვომ.

— თქვი, რის თქმა გინდა! — მკაცრად უბრძანა ივანემ.

— თუ აქაურობას კარგად იცნობს, მაშასადამე, ისიც იცის, სად რა დვირე გდია და სად კიდევ ბეწვი. რაკი ასეა, საქმე არჩევანზე აქვს. იქითკენ ისწრაფვიან, სადაც ძვირფასი საუნჯე ეგულდებათ! — მოკლედ მოუჭრა ვეფხვომ.

— მერედა, სად ეგულდებათ? მე შუამთა მეგონა, მაგრამ ეს იმედიც გაცრუვდა! — კვლავ არ დაცხრა ივანე, რადგან შუამთის შემდეგ თვითონაც სწორედ ასე ფიქრობდა, რომ სადღაც სხვაგან ისწრაფვიან, რაღაც დიდი საუნჯე ეგულდებათ.

— ჩვენ გვითხრეს ძლიერი რაზმი-აო, მაგრამ მეფეებზე და თავადიშვილებზე თავდასასხმელად ძალზე მციო-რეა, იმათ ვერაფერს გაუბედავენ, მაგ ამოსაწყვეტთ თვალი გლეხებზე უჭირავთ!

— მაინც ვისზე, შენ როგორ გგონია? — მოუთმენლად იკითხა ივანემ, რადგან ღრმად სწამდა, რომ, რასაც ახლა იტყვის, ამით ჩემს ნაფიქრს მთლიანად დაადანატურებსო.

— სადაც ოდნავი შეღავათი და თავისუფლებაა, იქ უამრავი დოვლათით არის სავსე თვითნული ოჯახი. ხალხიც უფრო თავშენახულია, მწყაზარი და მშვენიერი! თუ ლეკების კვალს დავაკვირდებით, მათი გეზი სამონასტრო სოფლისაკენ მიდის. იქ ეგულდებათ სა-

უნჯე დიდი, როგორც ცოცხალ ადამიანების, ისე დოვლათისაც. ისინი შიშვე-რიან ამ საუნჯეთა ხელში ჩაიხველებად; ჩვენ კი მივდევთ და ვერ ვეწვევით. ჩემი აზრით, ვერც მივეწვევით, ვიდრე სეა-ვეები ლეშს არ დაასხდებიან; ჩვენ აზრებში ვსხედვართ, ისინი კი მსუბუქად ჩაცმულ-შეიარაღებულნი მიჰქროლებენ ცხენებს და ქარივით დაუნახავნი არიან. ამიტომ ვთქვი, გიყი მიუშვი ნებასა-მეოქი, როდესაც ალაფით და გატაცებული ტყვეებით დამძიმდებიან, მაშინ მივეწვევით, დავკრავთ, ბლღვირს ავადნთ, დამოშობა არ გიყვარს, ახლა კი უნდა დამითმო! — დაამთავრა სათქმელი ვეფხვომ და ივანეს თვალი თვალში გაუყარა.

— იყოს, დამითმია, რადგან მეც ყველაფერი სწორედ ისე ვიფიქრე, როგორც შენა თქვი, — მტკიცე ხმით მიუგო ივანემ, — მაგრამ მაინც მიკვირს: ამოდენა მანძილზე არც სასმელს ეტანებიან, არც საჭმელს, დავიჯერო, სიმშალი და წყურვილი ისევე არ იციან, როგორც ეშმაკმა და ქაჯმა? მთელი კახეთი გამოვიარეთ და არავინ გაუძარცვავთ, არავის ეზო-ყურეზე არ დაუშვარიათ თუნდაც ერთი ქათამი, თორემ გვეტყოდნენ, გავიგებდით!

— მაგაზე ნურაფერს იტყვი, ივანე! როდესაც ჯიხვსა და ირემზე მივდივარ სანადიროდ, მე გნოლს ალარც ვკითხულობ. ერთი აბგა ცივი ხინკალი ან ცხვრის ხორცი, ლეკს მთელ წელიწადს ეყოფა. როცა დიდი განზრახვა გვაქვს, პატარა მზრუნველობას ყოველთვის გამოიჩენ, საჭმელს სახლებიდან წამოიღებდნენ... შენ ისა თქვი, რომ უცებ გამზიარულდა ვეფხვო, — იმათ დევნაში მეც სიკეთეს ვეწვევი!

— რა სიკეთეს, ბიჭო? — კინაღამ თვალეზი ბუღიდან გადმოსცვივდა ივანეს.

— ლეკებს ჩემს სოფელში მივყავარ. მერედა, არ იტყვი რა დროს? პეტრე-პავლობა დღეს. მამაჩემს ისეთი სუფრა ექნება გაშლილი... უკ, შენი ჭირიმე,

დღეს თუ ამოვიგვერდე, მერე, ვაი ლეკებს!

— თუ საპეტრეპავლობოდ მოვიცალეთ, ხო, მაგრამ თუ ვერ... — უცებ ივანე კვლავ ლეკების კვალს დააკვდა თვალებით. პაწაწინა ხეობას მისდგომოდნენ, რომლის ფსკერზედაც წვრილი ქვა და ღორღი მოშანშლულიყო და ერთი რუს ოდენა წყლით ქვა ძლივს ინამებოდა. ამ ადგილას, ჩავაკებულში, ნაბარალებიდან მომდინარე წყალი სულს ითქვამდა, ნელიად მიტბორავდა, აღარც ქაფი ეყარა და აღარც შხეფს ისროდა. ეს წყალი და ეს ხეობა ვახლდათ საზაფხულო იალაღების, მთა ცივის შუა გამშობი კისის ხევი. ლეკების კვალი, ჯერ კისის ხევის ფსკერზე რომ იყო აღბეჭდილი, ახლა კიდევ ვაღმა, ლაფიან-მწვანეანიანზეც გრძელდებოდა.

— კვალს დაჰხედე და მერე გამამტყუნე, თუ სწორეს არ ვამბობდი! — უცებ მიუბრუნდა ვეფხვო ივანეს. — მარჯვნივ რომ ევლოთ, ვიტყვოდი — გეზი გომბორისკენ აუღიათ-მეთქი, მაგრამ რაკი მარცხნივ, თავქვეზე ჩაუხვევიათ, უდავოა ჩვენი სოფლის თავში გავლენ, ან ახლომახლო ტყეებში ჩასაფრდებიან, რომ იქიდან ილაშქრონ და იტაცონ ხალხიც და ქონებაც!

— ვიართო! — რაზმს შესძახა ივანემ. იგი მეტისმეტად ვააცეცხლა ლეკების თავხედობამ, ისინი თავდასხმას უპირებდნენ იმ მხარეს თუ იმ კუთხეს, საიდანაც თვითონ იყო, ლეკების რისხვა, ივანე კოტორაშვილი. ყველაფერს ურიგდებოდა ივანე კოტორაშვილი, მხოლოდ ერთს ვერა... მას არ შეეძლო უშედევგოდ ერბინა მტრის უკან, ამიტომ როგორც კი გადაჰხედა ცივ-გომბორის მთაგრეხილის დასავლეთ კალთებს, იმ კლდის თავიდან, საიდანაც სოფლისაკენ და ამით ივრისხეობისაკენაც ჩასასვლელი ბილიკი იწყებოდა, თავისი რაზმი ოთხ ნაწილად გაჰყო და ყველას ასეთი დარიგება მისცა.

— რაკი დავარწმუნდით, რომ აქეთ გადმოვიდნენ ავაზაკები, დაუყოვნებლივ ოთხსაკუთხივ უნდა ვეძებოთ, რომ,

რაც შეიძლება, მალე აღმოვჩინოთ. ფხიზლად, ძმებო! ათი ფეხლი იდგეთური გამოიხით. ვინც საით მიდისხართ, არც ტყე გაუშვით გაუსინჯავი და არც ღრანტ-ხეობა გაუქეკავი. სოფლებშიც შედით, იქაც იკითხეთ მათი გზა-კვალი. ხალხი უპატივემლოდ არ გაგიშვებთ, მაგრამ ქეიფი და დასვენება, ვიღერე მტერი გასანადგურებელია, ნუ გაგიტაცებთ! სადაც მიხვიდეთ, დაწვრილებითი ცნობები შეაგროვეთ და თუ წააწყდით არამზადების სამყოფელს, ჩვეულებრივი წესით ნიშანს მიეცემთ ერთმანეთს: დამე ყველაზე მაღალ ადგილას და მთის მწვერვალებზე, ხმელ ფიჩხს და თივას წაუკიდებთ ცეცხლს, რომ ბდღვრიალა შუქი ჰქონდეს, ან მაშხალებს აანთებთ დათქმული ნიშნების მიხედვით. დღე კი ნოტიო თივას და კაჭაქს წაუკიდებთ ცეცხლს, რომ კვამლი ზეცამდე აღიოდეს და ამით ყველა მხრიდან შესამჩნევი იყოს. მე და ვეფხვო კი თვალთხევს ჩავუყვებით. სამონასტრო სოფელს ჩამოვუვლით და სადაც დათქმულ ნიშანს დავინახავთ, ყველა დაუყოვნებლივ იქ მოვიყრით თავს. ამ ხერხით, ოთხსაკუთხივ ძებნით, არა მგონია გავვისხლტნენ. აბა გასწით, ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი!

ოთხად გაყოფილი რაზმი ეჭვს-ეჭვსი კაცის შემადგენლობით, სხვადასხვა მიმართულებით გაეშურა, ხოლო ივანე კოტორაშვილი მედღეობე სოფლის სტუმრად იქცა. ამიტომ ჩქარობდა, ამიტომ არ უნდოდა დარჩენა, მაგრამ წასვლაც ვეღარ შესძლო. ორი დღის განმავლობაში მთებში ნახეტიალებ ცხენებს, ისიც მშვიერ-მწყურვალთ, დასვენება უნდოდათ. ფეხზე ძლივსლა იდგნენ და ეს სხვებზე წინ მასპინძელმა შენიშნა:

— ცხენები მაინც შეიცოდეთ, ფერდი-ფერდში აქვთ გაყრილი. ესენი თუ დაეცნენ, თქვენ, ლეკებს კი ღრა, კუსაც ვეღარ მიეწევით! — დაუფარავად გაიციბა ივანე გულმხიარულმა ეფრემამ და თვითონვე მოაძრო უნაგირი შავ

ცხენს, რომელსაც ლაქები მთლიანად გასთეთრებოდა ოფლით. არასოდეს თავის შავრა ასე დაღლილი და გაოფლილი არ ენახა ივანეს. არ ენახა და შიშთან ერთად გაუკვირდა კიდევ, რადგან მისმა შავრამ არასოდეს ოფლი არ იცოდა.

ერთ-ერთ დიდ რაზმთან შეტაკებაში, ოცი წლის ჰაბუკმა ივანე კოტორაშვილმა, ხმლის ერთი მოქნევიით თავი წააცალა მთლად ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარ ლეკამარავთა ბელადს და მის წმინდა სისხლის არაბულ მერანს თვითონ დაეპატრონა. საბედნიეროდ არაბული გამოდგა ულაყი, მეტრამეტად შავი იყო, წყალს რომ გადაავლებდი, მზეზე ისე ლაპლაპებდა, როგორც ფისისაგან ჩამოსხმული. საქართველოში შავი ცხენი არც თუ ისე ხშირად ზედებოდა კაცს და ივანეს ძალზე მოეწონა. ვიდრე მძარცველთა დევნაში ამ ნადავლმა ცხენმა გაუძლო, ივანე სხვა ცხენზე არც შემჯდარა, მაგრამ ისიც იღონა, რომ ამ ჯიშის ცხენი ყოველთვის ჰყოლოდა. არაბულს კენებში ცხენი არ სჯობდა, მაგრამ გამძლეობა აკლდა, უფრო ნაკლებ ამტანი იყო, ვიდრე კახური ჯიშის ცხენი, და, აი, უბრალო გლეხმა აქაც ნახა გამოსავალი. მან მშვენივრად იცოდა, რომ საქონელი ჯიშით და ჯილაგით იყო და გადაწყვიტა კახური და არაბული ერთმანეთისათვის შეეჯვარებინა ხოლო მანამდე, ვიდრე სასურველ შედეგს არ მიიღებდა. მას იმედი ჰქონდა, რომ არაბულის სიფიცხე-სისწრაფეს, კახურის ამტანობა და გამძლეობა თუ მიემატებოდა, ნამდვილად უჩვეულო ცხენი ეყოლებოდა. როცა, მართლაც, დაიბადა ულაყი კვიცი, ისიც შავი და არაბულის მსგავსი, ივანემ აღარავის დაანება. დაბადებიდანვე თვითონ ზრდიდა, სხვას ხელი არ დააკარებინა, ზრდიდა და თვითონვე ამყობდა თავისი წარმატებით. თუ წმინდა არაბული ჯიშის ცხენი მხოლოდ

ერთი დღე-ღამის კვიცი, შავი, დაიბადა, კენებას იტანდა, შეეჯვარებულს შეედლო სამი დღე-ღამე ეტარებინა. რაკი კვიცი შავი დაიბადა, ივანემ „შავრა“ დაარქვა და ერთადერთ ქერსა და ქატოზე ჰყავდა, მწვანე ბალახს ზაფხულობით თუ მოაძოვიებდა, განსაკუთრებულ პირობებში ჩავარდნილი, თორემ ისე არც ამას აკადრებდა, რომ მუცელი არ გაზრდოდა და მუხლი არ დაძაბუნებოდა. რაც შავრა გახედნა, ივანეს წარმატება მძარცველებთან ბრძოლაში გაათქვამდა, რადგან თავდამსხმელებს საჭირო შემთხვევაში, გაქცევაც ისევე უყვარდათ, როგორც თავდასხმა და ძარცვა, ხოლო გაქცეული მტრის მოკრეფასა და დაწვევაში, შავრას ვერც ერთი ცხენი ვერ შეედრებოდა.

ივანეს დაქანცული ცხენი უფრო შეეცოდა, ვიდრე თავისი თავი და, რაკი მზვერავად მთელი რაზმი გაუშვა ოთხსაეკუთხე, დარჩა, შავრას ლაგამი წაჰყარა და მასპინძელს სთხოვა:

— მხოლოდ ქერი და ისიც ჯერზე ერთი ლიტრა, თუკი სადმე მოგეძევაბათ!

— ჰაი, დედასა! ქერი რა არის, რომ მომეძევებოდეს, გოდრით დავუდგამ, გოდრით! — ეფრემას ცეცხლი ჰქონდა წაყიდებული, რომ ნატერა აუხდა და სხვა თუ ვერა გმირი სტუმრები მაინც ეწვივნენ. ცხენი ჩამოართვა და ჩარდახისკენ გაატანა პატარა ბიჭს.

— ვეფხვოს ზერდაგი უფრო ყოჩაღად გამოიყურება! — შენიშნა იქვე მყოფმა მხარბეჭვანიერმა გლეხმა, რომელიც გზაში დამცველთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა, ხოლო ახლა ორივე ცხენს თვალთ ჰამდა.

— ეგ ვერც უნდა იყოს, მირონ! — მხიარულად უპასუხა ვეფხვომ. — ჩემს ზერდაგს ადამიანი დაჰყავს, შავრას კი კლდის ნაგლეგი, ნამდვილად დეკაკი!



## კაკა მხლადე

### ღიღი ქიმიის მეთუზიასტები

#### იხლართ საპართავლოში

იანვარი დაიწყო, თოვლი კი იალღუჯზეც არა ჩანს. შემოდგომა გეგონება. მშრალი ყინვები უჭერს. არგვეთშიც თუ არ მოუთოვია, რა ცუდია! ალბათ, უნალექო ზამთარი იქნება. გამოცდები რომ არ მქონდეს, ბაკურიანს მოვივლიდი, ახლა კი...

ავტობუსი გამოჩნდა, მაგრამ რად გინდა! ეტყობა, გაჭედვილია, ალბათ, ვერც ახლა ავა. ერთი უკვე გაუშვა. დილაობით, ცვლის დაწყების წინ, მუდამ ასეა. ბოლო ხანებში, მართალია, ცოტა გამოსწორდა, მაგრამ ტრანსპორტი მაინც ვერ მუშაობს ისე ჩვენს ქალაქს რომ შეეფერება. ხანდახან ისეთი ჭგლეთაა...

როგორც იქნა, ავიდა. უფრო სწორად, აიტანეს. ერთი შეიშმუშნა, ფერდები გაშალა და მიმოიხედა. გუგული არ ჩანდა. ალბათ, წინ წავიდა. შეიძლება უკანაცაა. რომ მოისაზრებდეს და შესასვლელში მაინც დახედებოდეს კონსპექტებს შეატანინებდა...

ინსტიტუტში სწავლობს დაუსწრებლად. ახლა გამოცდები იწყება. შვებულება ეკუთვნოდა, მაგრამ არ მისცეს. კატეგორიულად არ მოუთხოვია, თორემ რა უფლება ჰქონდათ! ან როგორ მოეთხოვა! ვანა არ იციის კოლექტივის გაჭირვება: მართო თვითონ კი არა სწავლობს! ამხანაგის ავადმყოფობაც დაერთო. ლაბორატორიას ხომ ვერ დახურავდნენ!..

სამაგიეროდ, ხანდახან შეიძლება სამუშაოზე კითხვა. ხომ კითხულობენ ინ-

სტრუქციებს, ტექნიკურ ლიტერატურას! მის კონსპექტებშიც სხვა კი არააფერი: სწორედ სამუშაოს პროფილით სწავლობს. მაგრამ როგორ გინდა ყარაულს გააგებინო!...

ისე ავიხლათ ყველაფერი კარგი, როგორც მას აუხდა ეჭვი: ჯიხურში მდგომმა ისე უცებ გააჩერა ტურნიკეტი, რომ ქალი შუაში გაიჩხირა.

— რა გაქვს გაზეთში გახვეული?

— არაფერი, რვეულებია.

— გახსენი... სად მიგაქვს, რად გინდა რვეულები?

— რად მინდა და საკოცნელად! — მოუვიდა გული.

— აბა, ჯერ ყარაულის უფროსს ავოცე.

მწარედ გაელიმა: ეს რა უკბილო ხუმრობა გამოუვიდა!

ირაკლი კობახიძემ ლაპარაკიც არ ისურვა: აკრძალულია და გათავდაო.

— უნდა ვაარკვიოთ, რა არის აკრძალული და რა—არა. მაშინ მოვითხოვ, რომ შვებულებაში გამიშვან.

— ეგ არაა ჩემი საქმე.

— კონსპექტშიც ის წერია, რასაც სამუშაოზე ვაკეთებ. დახედეთ, თუ არ წერია „პერმანგანატი“.

— თქვენ რომ გაგიშვათ, სხვები რომანებს შეიტანენ. არჩიე მერე, სად პერმანგანატი წერია და სად—სიყვარული!

— თუ ასე მოიქცევით, მართლა ვერ ვაარჩევთ!... კი არა, ცოლსაც უერასოდეს ითხოვთ!... (უფროსი რომ ვიყო, უცოლშვილო კაცს თანამდებობას არ მივცემდი).

კობახიძე მიხვდა, რომ მტკივნაზე და-  
ბიჯეს, მაინც არ დათმო.

— კარგი, კარგი... გამოივლით და  
წაიღებთ, — თქვა მან და კონსპექტები  
მაგილის კუთხეში დააწყო.

ქარხანაში დანამული თვალებით შე-  
ვიდა. გუგული მაინც სადღაა! ყოველ-  
თვის მიცდიდა, ახლა რა ჯანდაბა მო-  
უვიდა!... ოციოდე ნაბიჯიც არ გაუვ-  
ლია, რომ ვაეი საიდანღაც გაჩნდა. ხე-  
ლის ჩამორთმევა როდი სჩვეოდათ,  
არც ხმაშაღლა ესალმებოდნენ ერთმა-  
ნეთს, შეხედვით გამოხატავდნენ ყვე-  
ლაფერს. მაგრამ ახლა ქალის დარდიანი  
თვალები ესამუშა და ხელი უნებუ-  
რად გაუწოდა.

— რა იყო?!

— რვეულები ჩამომართვეს.

— ეგ არაფერია. აქ მომიცადე! —  
და გუგული საყარაულოსაყენ გაიქცა.

მარინე ლურსმანაშვილი...

მაგრამ თქვენ, ალბათ, უკვე გვარი  
გეცნაურათ.

ახლა ჩემი იკითხეთ!

კავკასიის ფრონტზე ერთ დივიზია-  
ში ვმსახურობდით. ორივე პოლიტბელი  
ვიყავით. მე ტანკსაწინააღმდეგო თო-  
ფების ასეული მეზარა, ის კი მშვერავი  
იყო. ყაბარდოს ველებზე, ბალყარეთის  
მთებსა და ბაქსანის ხეობაში მეთრე-  
ბისათვის არაერთხელ მიამბნია ვლადი-  
მერ ლურსმანაშვილის მშვერავთა შა-  
მაკობის ამბავი. ახალგაზრდას თავს  
მომქონდა იმით, რომ ლურსმანაშვილი  
ჩემი კოლეგა იყო, რითაც ჩემს სიტყვა-  
საც შინო ემატებოდა.

მარინე სწორედ ამ გმირის ასულია.  
როცა პირველად უამბო დედამ მამის  
ვაეკაცობაზე, იგი მხოლოდ ოთხი წლის  
იყო. მერე ლექსიც ისწავლა:

„იმღერეთ საქართველოში

ლურსმანაშვილის გმირობა:

ღვიძლი მოუკლეს ხუთი ძმა,

მამულს შექლიცა პირობა:

— ან მეც მოვეკვდები, ან ძმათა

მწუტრია სისხლის აღება,

ვანათო ვადამთიელებს

მზეცომა გაუაზღვდა.

მტერს დახვდა კავკასიონთან  
მტკივნაზე დაბიჯდა.

ბარბე მემლაკა

ვლადიმერი თბილისში დასახლდა, ქა-  
ლიშვილი კი სოფელ არგვეთში დარჩა.  
იქ დაამთავრა საშუალოც. მერე კი გა-  
მოსწია მშობლებისკენ, მაგრამ თბილს-  
ში როდი დადგა, რუსთავში ჩამოაკი-  
თხა ძმას. ჩამოაკითხა და აღარც წა-  
ვიდა აქედან. კალიუმის პერმანგანატის  
საამქროს ლაბორატორიაში დაიწყო  
მუშაობა.

საამქროშივე გაიცნო გუგული გვე-  
ლესიანი, მოწინავე მდნობელი, ახლა  
ცვლის უფროსს.

რომ იტყვიან, ფეხი რომ წამოკრაო...  
ისეა ჩვენი საქმე:

ქარხანაში თითქოს საგანგებოდ შერ-  
ჩეული ბიჭები და გოგოები მუშაობენ.

— დამისახელეთ მოწინავენი, — ვე-  
უბნები საამქროს უფროსს.

— რამდენი?

— რამდენიცაა.

— საამქროს სიას მოგცემთ.

მერე მაინც გვიხდება რაიმე ნიშნით  
შერჩევა, თქმა არ უნდა, ეს ნიშნები  
პირობითია, სხვანიარად მართლა მთე-  
ლი საამქროს სია დაგვეკირდებოდა.

ეს ხუმრობა არაა! წავიდა ის დრო,  
როცა განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ  
ცალკეული მუშები. ახლა კოლექტივის  
თვითეული წევრი ცდილობს იყოს  
ღირსეული, სახელოვანი.

აგერ გველესიანი.

მამამისი ყირიმში იბრძოდა. იქ გა-  
დარჩა, მაგრამ ვოლგაზე დაეცა. დედამ  
ტანჯვით გამოზარდა სამი თბოლი —  
ერთი ვაეი და ორი ქალი. გუგულიმ  
ძირულაში დაამთავრა სკოლა. მერე  
სამხედრო ვალიც მოიხადა. მის შემდეგ  
რუსთავშია. წარმოებისგან მოუწყვეტ-  
ლად სწავლობს ქიმიურ მეტალურგიულ  
ტექნიკუმში და კარგი მიღწევებიც აქვს,  
— უკვე მეხუთე კურსზეა.

კალიუმის პერმანგანატის საამქრო  
კომუნისტური კოლექტივის სახელს  
ატარებს, მაგრამ ასე ხომ არ იყო თავი-  
დან. როცა ქვეყანაში ეს მოძრაობა

გახალდა, სწორედ აქ აფრინდნენ პირველი მერცხლებიც — კომუნისტური შრომის დამკრეპლები — მეაპარატეები: ლილი იბრაგიმოვა და ფირუზ ნაწულაშვილი. მერე მთელი ცვლა მოინათლა — სწორედ გუგული გველესიანის ცვლა. ორი წლის წინათ კი საამქროს მინიჭეს კომუნისტური სახელი.

გასაგებია, რომ კოლექტივში კარგი ბიჭები და გოგოები არიან, მაგრამ ისინი ხომ საგანგებოდ არავის შეურჩევია: თითოეული საკუთარი გზით მოვიდა, დაიკავა თავისი ადგილი, მერე ერთმანეთს შეუწყვეს ფეხი და... თუმცა ჯერ წარმოების შესახებ.

რამდენი ღამე უთევიათ საამქროს უფროს ელგუჯა ბახტაძეს, მის მოადგილე გიორგი მაისურაძეს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, რომ კალიუმის პერმანგანატის წარმოება აეთვისებინათ და გარკვეულ კალაპოტში ჩაესვათ. ეს „გარკვეული კალაპოტი“ ძალზე პირობითი ცნებაა და სრულიადაც არ გულისხმობს დამწვიდებას, ერთი ადგილის ტკეპნას ან იოლი გზით სიარულს. ასეთი რამ ფიქრადაც არავის მოუვა.

თვითონ განსაკეთ.

კალიუმის პერმანგანატი — მანგანუმის ქიმიური ნაერთი-მოშავიფერო, თითქმის შავი წვრილი კრისტალებია. მას ახასიათებს ძლიერ გამოხატული დამყანგველობითი თვისება. ჯერ კიდევ იყნვე მიწურინმა შეამჩნია, რომ ამ პროდუქტს ანტისეპტიკისა და ზრდის სტიმულატორის თვისებები აქვს. ამიტომ იგი ფრიად საჭიროა. ფართოდ იყენებენ ქიმიურ და კვების მრეწველობაში, ოქროს მოპოვებაში, მედიცინაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ეს „აგრეთვე“ ზოგჯერ მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვეულებრივ ვგულისხმობთ ხოლმე. და იქნებ მთავარი არც კი დაგვისახელებია!...

ჰოდა, ამ ძვირფასი პროდუქციის წარმოება საბჭოთა კავშირში ფაქტიურად ახალია. თუ ასეა, სიახლეც სწო-

რედ აქ, რუსთაველ ქიმიკოსებთან იწყება.

ელგუჯა მიჩვენებს კედელზე მარჯულ დიაგრამას, რომელიც ტუშითაა შესრულებული და ნათლად ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას.

აი, ზოგიერთი მონაცემი (არა მგონია, საჭირო იყოს აზსოლუტური ციფრები).

ქვეყანას ესაჭიროება ამდენი და ამდენი ათასი ტონა პერმანგანატი, არსებული რესურსები კი ნახევარსაც ვერ იძლევა. მცირე ნაწილი შემოგვაქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. მეტი წილი მაინც დეფიციტის მაჩვენებელს უკავია. შეიძლეოდის ბოლო ითვალისწინებს გაორკეცებას, მაგრამ დეფიციტიც ორკეცდება.

კალიუმის პერმანგანატს ჩვენში მხოლოდ ორ ადგილას უშვებენ: საკში (ევპატორიის ახლოს) და აქ. საკის ქიმიური ქარხანა ასაკით რუსთავის თანატოლია, ისე კი ჯერჯერობით წამყვან როლს ასრულებს: რუსთავში მხოლოდ ერთი საამქროა, ისიც — საცდელი. ტექნოლოგიაც სხვადასხვაა. საკში გერმანულია, აქ კი — ჩვენური, საბჭოური, ქართული, რომელიც აკადემიკოსმა რაფიელ აგლაძემ შეიმუშავა.

რა შეიძლება ითქვას ამ ქართული ტექნოლოგიის შესახებ?

საამქროს მუშაკები ამტკიცებენ (მათი პატრიოტული ვალია), რომ რუსთავის პერმანგანატი ყველაზე იაფი, ეკონომიურია. ასახელებენ რამდენიმე საჩვენებელს. ერთერთი ასეთია: კალიუმის პერმანგანატის მისაღებად საკის ქარხანაში იყენებენ მაღალი ხარისხის ფეროშენადნობს, რუსთავში კი ფეროს ხარისხი მხედველობაში არ მიიღება. ეს ნიშნავს: ზესტაფონის ქარხანა რომ წუნს გამოუშვებს, ქართული პერმანგანატისათვის იგი საუცხოოა. ყველა დანარჩენი მაჩვენებელია რომ თანაბარი იყოს, ამ მეთოდინ უპირატესობა ნათელია პროფანისთვისაც კი.

მაგრამ, საერთოდ, ხომ მოგეხსენებ-



ბათ ახლის ბედი. იგი მუდამ ბრძოლით იკვლევს გზას. ასე ემართება ქართულ პერმანგანატსაც.

როგორც არ უნდა იყოს, მალე, სულ მალე პერმანგანატის საამქროს გვერდით აშენდება მთელი წარმოება, რომელიც თუთხმეტაქერ გადააქარბებს არსებულს.

მაშინ იკითხეთ, რა ფართოდ გაშლის ფრთებს ქართული პერმანგანატი, რა ლაღად გაინავარდებს მისი სახელი ქვეყნის თვალუწვდენ სივრცეებში!

მისი საშობლო კი, ნამდვილი საბჭოთა პერმანგანატის საშობლო, რუსთავი იქნება, ჩვენი საყვარელი რუსთავი ვინ შეიტანს მეტ წვლილს ამ საშობლოში? — აგლაძე, ფურცლაძე, ბახტაძე, ბევრი სხვა თუ ყველა ერთად, — ეს სულ ახლო მომავლის საქმეა.

აქ შემთხვევით როდი ვახსენე ბახტაძე. დიას, იმაზე მოგახსენებთ, თითქოს სუსტი ტანის, მაგრამ ფერხორციანი სახის ახალგაზრდა რომაა, — ელგუჯა ბახტაძეზე.

ვიდრე პირადად გავიცნობდი, უკვე ბევრი რამ ვიცოდი მის შესახებ, ვიცოდი, რომ წარმატებით ხელმძღვანელობს კომუნისტურ კოლექტივს, რომ ასპირანტურაში სწავლობს დაუსწრებლად, რომ მისი საამქრო მუდამ გადაქარბებით ასრულებს გეგმებს, რომ იგი და ბევრი მისი თანამოსაქმე, მეცნიერი თუ პრაქტიკოსი, დაჯილდოვებულია სახალხო მურწნეობის მიღწევათა გამოფენის შედეგებით, რომ არაერთხელ მინახავს პრესაში პერმანგანატის შესახებ წერილის ბოლოს რაფიელ აგლაძისა და ელგუჯა ბახტაძის სახელები, რომ... მაგრამ, მოდით, ზოგი რამ ახალიც დავუმატოთ, თუმცა, მგონი, უკვე ყველაფერი ვთქვი.

როცა ქარხნის სამმართველოში ბახტაძე ვახსენე, ერთმა ინჟინერმა მითხრა: კარგი უფროსია, მაგრამ ცოტა ეშმაკობა აკლიაო. არ მიკითხავს, რას გულისხმობდა „ეშმაკობაში“, მაგრამ შე-

იძლება წარმოვიდგინოთ: თქვენს წინაშეა ალაღმართალი კაცი, რომელიც ჯერ სამ ათეულსაც არაა მიღწეული, მაგრამ უკვე ექვსი წლის საწარმოო სტაჟი აქვს. მოკლებულია ყოველგვარ მოჩვენებითობას, მხოლოდ ერთპირია. მართლაც, რომ აკლია ეშმაკობა! მაგრამ თუ ვინმეს ეს ზაღად მიაჩნია, დაე ასეთები, რაც შეიძლება ბლომად იყოს!

მოუხმინეთ, რა ამხანაგური სიყვარულით ჰყვება თავის ხელქვეითებზე, სულერთია, ვინ არიან ისინი: მეაპარატეები ლილი მიშუტინა, ჯუმბერ რობაქიძე, მიხეილ ბლიაძე, ცვლის უფროსები გურამ ზუბულავა, თენგიზ მუჭირიშვილი, თუ სხვა.

საამქროში (და საერთოდ ქარხანაშიც) ძირითადი პროფესია მეაპარატეა. ავიღოთ, მაგალითად ელექტროლიზის აბაზანის მეაპარატე, რომელიც მთელი აბაზანის მუშაობის რეჟიმს მართავს: აკვირდება დენის ძალასა და ძაბვას, ტემპერატურას, ფერომანგანუმის ანოდების გახსნის ეფექტს და სხვას. ყოველივე ამას აღნუსხავს სპეციალურ ჟურნალში და რეჟიმის დარღვევისას დებულობს სათანადო ზომებს.

კარი იღება დაახლოებით ელგუჯას ტანისა და ხნის ახალგაზრდა შემოიღის. ბახტაძე მაცნობს: იასონ მუჭირი — მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ასპირანტი, რაფიელ აგლაძის მოწაფე.

ზემოთაც ითქვა, რომ ქართული პერმანგანატის წარმოების ტექნოლოგია დაამუშავა აღნიშნული ინსტიტუტის განყოფილებამ, აკადემიკოს აგლაძის ხელმძღვანელობით. დაამუშავეს, დანერგეს, მაგრამ თავი კი არ მოუნებებიათ. საკვლევამებო საქმე ისევ გრძელდება. რუსთაველ ქიმიკოსთა ზნორი სტუმრები არიან თვითონ აკადემიკოსი, ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები მარგალიტა გრძელიშვილი, ვალინა დომანსკაია, ვიტალი ჩეპურინი. იასონ მუჭირიც პერმანგანატის პრობლემაზე მუშაობს.

ხელახლა ვათვლიერებ საამქროს,

ვეცნობი კომუნისტური შრომის დამკვერულებს ბიჭებსა და გოგონებს, საწარმოო პროცესებს. და თუმცა კარში მოქანტული გამოვდივარ, მაინც ენაზე მაღვას პოეტის სიტყვები:

„იმღერეთ საქართველოში...“

### ა ი რ ო ზ ზ ო ა ნ ა ზ ი

როცა ამ იარი თვის წინათ ჩემმა ჩიჩერონებმა ქარხანა დამატარეს და ბევრი რამ ზედმეტი გულმოდგინებით განმიმარტეს, თითქოს რაღაც გამოუცნობი დამაწვა ლოდვიით: მანდილოსნებმა საქმე მოათავეს და ახლა გზაში უნდა დავრჩე.

შეიძლება არც დავრჩე, ახალი მეგზური მოვითხოვო, მაგრამ როდემდე უნდა მყავდეს მეურვე?! ამიტომ, როცა გადავწყვიტე საკუთარი ალლოთი გამეგნო გზაკვალი, ერთგვარი კრთომა ვიგრძენი: ხომ არ ამერეოდა ფეხი იისფერი კორპუსების, ათასნაირი მიღგაყვანილობისა და აურაცხელი მექანიზმის ლაბირინთებში?! მით უმეტეს, ერთმა კიდევ გამაფრთხილა: მარტო სიარული არ დაიწყეთ, რამეს გადაეჩეხებითო.

მაინც რომ ჩემი გზით წავედი, შიშნულადაა თითქოს ფეხებში მებლანდებოდა. მივებიჯებ დანადგარებს შორის და აკვირებულნი აზრი არ მასვენებს: ორთქლის შიშინმა რომ პანგი შეიცვალოს, საით ვდურთო თავი? აქ ხომ ადამიანები ძირითადად სამართავ აპარატებთან დგანან, მექანიზმები კი შიგნით თუ გარეთ ნებაზე მუშაობენ. აუტომატიკა ზედმიწევნით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

ეს ელემენტული, ალბათ, სხვა რამიდანაც მოდის.

რამდენიმე წლის წინათ აქ მუშაობდა ჩემი თანასოფელეო ინჟინერი ჯიბო გელაშვილი, შესანიშნავი ახალგაზრდა და უღამაზესი ქაბუკი. ცვლის უფროსი იყო. რემონტის დროს რაღაც მექანიზმმა უმტყუნა და წყალბადის გაზმა გამოხეთქა. ჯიბო არ დაიბნა, საშიში ზონიდან მუშების გაყვანა იწყო, ისინი

გადაარჩინა, მაგრამ ამასობაში გაზის ზედმეტი დოზა გადაყლაბა და მამიტობას სიცოცხლე შესწირა.

და ყოველთვის თვალწინ მძვავს ჯიბო, როცა სინთეზის საამქროსთან გავივლი ან როცა სოფელში ჩავდივარ: რუსთველმა ქიმიკოსებმა საყვარელი ინჟინერი მანდაეთის ახალ სასაფლაოზე დაკრძალეს, თანაც ძველი დაუღვას.

და, აი, პირველ ხანებში დანადგარებთან გავლისას მუხლებს კანკალი ვაპქონდა, მეგონა, რაღაც დამეტაკებოდა.

კაი ხანია, ყოველივეს მივეჩვიე. კურტაკი და კეპა რომ მომცა, წარმოების ოსტატებში ვერავინ გამარჩევს (მხოლოდ სიარულზე მოგახსენებთ, საქმიანობა არ გეგონოთ).

ახლა კი საით წავიდეთ?

მინდა ნებისმიერ საამქროში შევიპრო.

აი, მაგალითად, იქით რომ კორპუსი ჩანს.

პირველი სართულის კარი ღიაა. ისე დიდია, ალაყაფისა გეგონებათ.

შევდივარ. რაღაც დანადგარებია, მექანიზმები, მილები, მილები. მერე, რამდენი!

აგერ ციციანთელა გოგო დატრიალებს. თვალში მხედება ნატიფად შეკრებილი წაბლისფერი თმა, მრგვალი ფთქილა სახე და გამოკვალთული შარვალი.

— საამქროს უფროსს სად ვნახავ?

— მოიცათ, მიპასუხებებს და ცქრილით გარბის სადღაც.

ვიღაც შავგვრემანი ახალგაზრდა შემოყავს.

— წამობრძანდით ზემოთ.—მეუბნება იგი სალამის შემდეგ.

ეტყობა, მიცნობს. ამიტომაც არაფერს მეკითხება.

რომელი საამქროა?

ანონის ყოფილა, კაპროლაქტამის წარმოების ანონის საამქრო.

უფროსი ალექსანდრე ლეფსაია. ოცდახუთ წელს რუსეთში უმუშავია სხვადასხვა ადგილას. ყოფილა ფრონტზეც. ორი წელი აქაა. ახლა სადღაც გასუ-

ლა. თუმცა სადღაც კი არა, სახანძრო დაცვის მეცადინეობაზეა.

ვისხენებ: გუშინ დირექტორის თაბიარზე სია წაიკითხეს, დღეს ვინ უნდა დასწრებოდა სახანძრო მეცადინეობას. გუშინწინ ვინც არ დაესწრო, საუვედღური გამოუცხადეს. ამიტომ გაცდენას დღეს ვეღარავინ გაბედავდა.

მაგონდება თვითონ ლეფსაიაც: ზორბა ტანისაა, ვადატყეცილ-ვადატყეცილილებული პირისახე აქვს. ხნოვანება სულ არ ეტყობა: თმაში ერთი თეთრი არ ურევია. ქალი რომ იყოს ვიტყვოდი, იღებავს-მეთქი...

ჩემი ახლანდელი მასპინძელი მისი მოადგილეა. აქ მინდა პირდაპირ მოვიტანო უბის წიგნაკის ჩანაწერი. ანალიზი მერე ერთად გავაკეთოთ.

„ზაურ ფადიურაშვილი“.

მამამისი ნიკოლოზი ჩარგალიდან იყო, ვაჟას ჩარგალიდან. ვაჟას მუზეუმს ზემოთ, მთის ფერდობზე. ახლაცაა ფადიურაშვილების სახლის კედლები.

შირაქში მუშაობდა, სოფელ ქვემო ქედში. კოლმეურნეობის მოანგარიშედ, თავმჯდომარედ, პარტორგად.

იქ დაიბადა ზაური ამ ოცდარვა წლის წინათ. საშუალო იქვე დაამთავრა. სკოლაშივე დაიწყო მუშაობა.

იყო კომკავშირში. ოცი წლისა უკვე პარტიაში შევიდა 1960 წელს ინსტიტუტი დაამთავრა და რუსთავეში ჩამოვიდა. კონფერსიის საამქროში დაიწყო მუშაობა მეაპარატედ, მერე — უფროს მეაპარატედ. ემზადებოდა ცვლის უფროსობისათვის (ამაზე — ქვემოთ).

უკვე შენდებოდა ანონის საამქრო. აკომპლექტებდნენ შტატს. ზაური აქ გადმოყავთ. გზავნიან ძერეინსკში, სადაც შვიდი თვე დაჰყო.

ბრუნდება რუსთავეში. კონტროლს უწევს საამქროს მშენებლობას, ამოწმებს და ლებულობს დანადგარებს.

შარშან გაუშვეს საამქროც.

მეუღლე, ლამარა ელიავა, რუსთავის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი, თბილისიდანაა. დაამთავრა კონსერვა-

ტორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედი.

რომანი სტუდენტობის დროს მუშაობდა ჰყავთ ერთი გოგო, ლელა. ცხოვრობენ მაიაკოვსკის ქუჩაზე.

დედა ხან ვაჟთანაა, ხან ქალიშვილთან, რომელიც სოფელშია გათხოვილი.

ამ ჩანაწერის კომენტარები შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ, მგონი, ერთში დამეთანხმებით: იგი თავისუფლად შეიძლება გამოდგეს საბჭოთა ინჟინერზე რომანის ფაბულად.

ალბათ, ბევრი აზრი დაგებადათ ჩარგლელი ბიჭის გამო. კანონიერია!

დედამისს არ ვიცნობ, სახელის კითხვაც დამავიწყდა, მაგრამ წარმოდგენილი მყავს: იგი უთუოდ ემგვანება სანათას. რით? უტეხი სულითა და ცხოველი პატრიოტიზმით. ისე კი, მათ შორის ძირეული სხვაობაა. ვაიხსენეთ სანათას ბედი:

„ბერი ტიროდა დიაცი, ისმის ტირილი ქალური“...

და შეადარეთ ბედნიერი შვილების ბედნიერ საბჭოთა დედას!

„ამზობენ შააქლებინა სნეულსო ფეხზე დადგომა“...

ვაჟას რომ წამოახედა, სიხარულით გაიგებდა, რომ პიროფლიანი ლუხუმის ნაშიერი ზაურ ფადიურაშვილი, მისი ფშაველი და ხევსური ძმები ახალი ცხოვრების ბაირახტარნი არიან, ცხოვრებისა, რომელზე ოცნებაშიც დალია სული დიდმა ჩარგალელმა.

სული კი დალია, მაგრამ იმედიც თან გაიყოლა, იმედი მთისა და ბარის ახალი პიროფლიანების, ახალი დევგმირების უცილობელი გამარჯვებისა, მშობლური მიწაწყლის აყვავებისა.

ზაურიც ფეხდაფეხ მიყვება დიდი მეზობლის ნააზრევ-ნაანდერძევს. განა მიტომაც არ გახადა თავისი პირველი ასული ვაჟას ლელას სენიან!

არც ისე უადგილოდ მახსენდება მარტენის მუშა, ახალგაზრდა. პოეტი იბოლიტე შავლობაშვილი. სამი შვილი ჰყავს და ვაჟას სიყვარულით სამივეს ფშაური

სახელები ჰქვია: ლუხუმი, გელა და ლელა (იმრაველოს!) როცა ოთახს აძლევდნენ, საბინაო-კომუნალურ განყოფილებაში უთხრეს: აი, ორი მისამართი, წადი, ნახე და, რომელიც მოგეწონოს, ორდერსაც იმაზე გამოგიწეროთ. იპომ მისამართები ჩაიწერა: ერთი ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე იყო, მეორე — სხვაგან. მაგრამ სანახავად როდი წავიდა, იფიქრა, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე ვიცხოვრებო, და იქვე გამოაწერინა ორდერი.

ფშაველი საამქროს კოლექტივის მაცნობს. აგერ შემდუღებელი პავლე კობუსოვი, ზენიკალი ვლადიმერ ავეტისიანი, უფროსი მეაპარატეები ეკატერინე ჭავჭავაძე (მასზე ბევრი რამ კარგი გამოგონია), ნაზი ტაბატაძე, ლია კაპანაძე... მათი რიგებიდან იზრდებიან ოსტატები და ცვლის უფროსები. მერე ისინიც აღარ ჩერდებიან ერთ ადგილზე. მაინც ყველაზე საინტერესოა ცვლის უფროსად გახდომის ცერემონიალი.

ინსტიტუტდამთავრებული ინჟინერი რომ პირველად ქარხანაში მოდის, უთუოდ მუშად ეწყობა, ვთქვათ, მეაპარატედ. ხელმძღვანელობისათვის ჯერ არ ვარგა. მერე აწინაურებენ უფროს მეაპარატედ. ასეა კაი ხანს შეიძლება წლებიც. შემდეგ ეწყობა გამოცდა. თითქმის ისეთივე, რაც დიპლომის აღებისას დასჭირდა.

ეს ხდება ტექსაბჭოს სხდომაზე, რომელსაც ესწრებიან ქარხნის მთავარი ინჟინერი, მთავარი მექანიკოსი, მთავარი ენერგეტიკოსი, საამქროს უფროსი, სხვა სპეციალისტები. ახალგაზრდა აკეთებს წარმოების საერთო მიმოხილვას. მერე აძლევენ კითხვებს. საბჭოს თვითიული წევრი სვამს ნიშანს. გამოყავთ საბოლოო შეფასება. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ცვლის უფროსად გამოსადეგობის შესახებ, რის საფუძველზეც იწერება დირექტორის ბრძანება. ცვლის უფროსად დანიშნის შემდეგ ახალგაზრდას გზა ხსნილი აქვს ყოველი თანამდებობისათვის (რასაც

ვირველია, უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით).

აგერ უფროსი მეაპარატეები, მექანიკოსები, ალბათ, მალე გაივლიან ტექსაბჭოს აღნიშნულ პროცედურას (მე არც ქალების საწინააღმდეგო მაქვს რამე, პირიქით)—ზაურ სარდანაძე და შაქრო თავართქილაძე, ინჟინრები ნუგზარ გიორგობიანი, ათანასე ჩაგანავა, ალექსანდრე გურგენიძე. ამ უკანასკნელმა რუსთავის ტექნიკუმი დაამთავრა, გაიარა ტექსაბჭო და ახლა ინჟინრის თანამდებობაზეა.

აქვე ვთქვათ: შაქრო თავართქილაძე მთელ ქარხანაში საპატიო კაცია, ალბათ შრომით აქვს მოპოვებული ეს სახელი. იყო პროფკავშირთა მეცამეტე ყრილობის დელეგატი. საამქროს პროფკავშირს ზელმძღვანელობს.

ზაურ სარდანაძე ახლა შევბუღებამაა. მაგრამ არა თუ მე, ალბათ, ბევრი სხვაც კარგად იცნობს: ყურნალისტებს პირზე აკერიათ მისი სახელი. ზოგჯერ გვარსაც არ ახსენებენ: რაკი ზაურზეა ლაპარაკი, სარდანაძე იგულისხმებაო. არცაა გასაკვირველი. ამა, გადახედეთ მის საქმეთა ნუსხას: თერთმეტი კლასი რომ დაამთავრა, მაშინვე წარმოებას მოაკითხა. ერთ ხანს ზენიკალი იყო. მერე აზოტსასუქოვანი ქარხნის ამონიუმის გვარჯილის საამქროში მოეწყობა. რას იფიქრებდა ზესტაფონელი ბიჭი, თუ მეაპარატეობა მისი სტიქია იყო! და გაუვარდა სახელი, უმწიკვლო და ღირსეული, ალბათ შრომითა და მამაციური გარჯილობით მოწუწული!

ცხრაასსამოცი წლის მისში ზაური უკვე მოსკოვშია, კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების საკავშირო თათბირზე, სადაც ღებულობს მთავრობის ჭილოს.

არის და არის მიღწევები! მაგრამ დასამშვიდებლად არავის სცალია. ზაურიც ეძებს ახალი წარმატების ახალ გზებს: ინსტიტუტის ქიმიურ განყოფილებაზე შედის (ახლა უკვე მეოთხე კურსზეა).

მერე—ახალი წარმოება, კაპროლაქ-

ტამის წარმოება. მას ენერგიული და მცოდნე ადამიანები ესაქიროება. ზაუ-რიც სწორედ მათ რიგებშია.

და ბოლოს, თუ გავახსენებთ, რომ ზა-ურ სარდნაძე პარტიის ცეკას დეკემ-ბრის პლენუმის მონაწილეა, ალბათ, ყველაფერი გასაგები იქნება: ჩვენს ქვეყანაში ასეთი პარტივი უგერგილოთა წილხვედრი როდია, მხოლოდ ჰკუთთ მოიპოვება.

ჰკუთთ, თავდადებული და საპატიო შრომით!

რუსთაველ ჭიმიკოსთა შრომა კი სა-პატიოზე საპატიოა. ამ წყებაშია ანონის საამქროც.

მაგრამ, ალბათ, თქვენ უკვე თვით ანონი გაინტერესებთ. ლექსიკონებში ძებნას ნუ დაუწყებთ: ცხოვრება, წარ-მოება ისე მიჰქრის წინ, რომ ლექსი-კოგრაფია ვერ ასწრებს ახალ ცნებათა აღწერას და მკითხველისათვის მიწო-დებას.

მაინც რომ ვიჭონიოთ წარმოდგენა, რამდენიმე ცნობას მოგაწვდით.

ეს არის ციკლოგექსანონის შემოკ-ლებული საბედი, კაპროლაქტამის წარ-მოებაში ერთ-ერთი შუალედური პრო-დუქტი. მთელი პროცესი ასეთ ხაზზეა: ფენოლი—ანოლი (ციკლოგექსანოლი)—ანონი (ციკლოგექსანონი) — ოქსიმი (ციკლოგექსანოქსიმი) —კაპროლაქტამი აქედან ფენოლი და კაპროლაქტამია ცნობილი, ისიც—ზოგადად, შუალედუ-რი რგოლები კი—არც ისე.

ქართული ლექსიკონები ფენოლის განმარტებაშიც ცოდავენ, „განმარტე-ბითი ლექსიკონში“ ნათქვამია, რომ ფენოლი არის „...შხამიანი კრისტალუ-რი ნივთიერება; მიიღება ქვანახშირის კუპრისაგან, იყენებენ საღებზინფექციო საშუალებად“.

მაგრამ ეს განმარტება რუსთაველ ჭიმიკოსებს სასაცილოდაც არ ჰყოფ-ნით, რადგან თვით ფენოლთან აქვთ საქმე და კარგად იციან მისი ავლადი-ლება.

ფენოლი (ზოგჯერ მას კარბოლის სიმყავებს ეძახიან, თუმცა—არასწო-

რად), მართლაც მიიღებოდა ქვანახში-რის კუპრისაგან, მაგრამ ეს იყო მეც-ნამეტე საუკუნის ბოლომდე ექსპერი-მენტული მხოლოდ საღებზინფექციო საშუ-ალებად, მაგრამ ესეც იყო მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე. შემდეგ, როცა ფენოლის მოხმარების სფერო ძალზე გაფართოვდა (სამკურნალო ნივთიერე-ბანი, სინთეზური საღებავები, კაპრო-ლაქტამი და ათასი სხვა). დაამუშავეს ბენზოლიდან მიღების რამდენიმე მე-თოდი. ბენზოლს კი ბევრი იცნობს— ნავთობის ერთ-ერთი პროდუქტია ეგ-რეთილოდებულ არომატულ შენაერთთა ჯგუფისა (ბენზოლი, ნაფტალინი, ანტ-რაცენი და მრავალი სხვა). თავდაპირ-ველად იგივე ქვანახშირისაგან მიიღე-ბოდა, მაგრამ შემდეგ სწორედ საბჭო-თა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ბენზოლის წარმოების ახალი ხერხი—ნავთობისა-გან.

ფენოლისაგან ღებულობენ ანოლს— ფენოლისა და წყალბადის ნაერთს. მაგ-რამ ანოლში წყალბადი საჭიროზე მე-ტია. ამიტომ ისევე აწარმოებენ წყალ-ბადის ნაწილობრივ გამოდგენას.

სწორედ მიღებულ ნივთიერებას ჰქვია ანონი (ციკლოგექსანონი). ახალ პრო-დუქტს აქცევენ ოქსიმიდ-ანონისა და ჰიდროქსილამინის (ამიაკის ნაწარმი) ნა-ერთად. შემდეგ ოქსიმის გადაჯგუფება (გახსნა) ხდება ოლეუმში (გოგირდის სიმყავე), და ვღებულობთ კაპროლაქ-ტამს.

მაგრამ პირობის თანახმად აქ უშუა-ლოდ კაპროლაქტამის საამქროს უნდა მივადგეთ.

ლ ა მ ბ ა მ ი

კალინინო. ეს სომხეთშია, საქარ-თველოს საზღვრიდან არც ისე შორს, მდინარე ტაშირზე.

იქაურიც. იქვე დაამთავრა საშუალო, მერე—ერევნის პოლიტექნიკური ინს-ტიტუტი.

ექვს წელიწადს დონბასში იყო. მუ-შაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე,

უფრო მეტად—ცვლის უფროსად, სა-  
ამქროს მეთაურის მოადგილედ.

მშობლები კალინინოში ჰყავდა. ამი-  
ტომ გული კავკასიისკენ მოუწევდა.  
დასაძრავი არაა. პირიქით!

ჰოდა, სამოცდაერთი წლიდან რუს-  
თავშია.

მეთაური! ეს არაა მარტო სამხედრო  
ტერმინი. მებრძოლი ზასიათი, ყოველ  
სიტუაციაში სწორად გარკვევის უნარი,  
ტაქტი, ღრმა ცოდნა და მაღალი კულ-  
ტურა—ყოველივე ეს მოეთხოვება სა-  
ამქროს უფროსს, მეთაურს.

იქნებ, ვინმე ჯერჯერობით არ შეესა-  
ბამება ამ მოთხოვნებს, მაგრამ ასეთი  
პრეტენზიები, ვფიქრობ, ყველა უფ-  
როსს შეიძლება წავუყენოთ.

ქიმიკოსები, ალბათ, უკვე მიხვდნენ.  
დიახ, ლაპარაკია კაპროლაქტამის საამ-  
ქროს უფროს ვასილ ივანოვზე, რომე-  
ლიც ჩვენ უკვე ვნახეთ სადისპეტჩერო-  
ში. შეიძლება, მას აქვს რაიმე ნაკლი  
(როგორც თვითვე ჩვენგანს) მაგრამ  
ქარხანაში იგი სახელითა და ავტორი-  
ტეტით სარგებლობს, რამდენადაც შე-  
მძღო ამასი დაგრწმუნებულიყავი.

ივანოვი რომ აქ მოვიდა, ზოგი კორ-  
პუსის მხოლოდ ფუნდამენტი ჩანდა,  
ზოგისაც—მარტო კედლები იყო წამო-  
წეული.

საერთოდ, მშენებლობა ნელა მიდი-  
ოდა, ვიდრე ამ საქმეს ხელი არ მო-  
კიდა ცეკას მრეწველობისა და მშენებ-  
ლობის ბიურომ. მერე ყველა დაფა-  
ცურდა. ეს შეითხველებმაც იციან: პრე-  
სა არაერთხელ იტყობინებოდა მშენებ-  
ლობის მსვლელობის შესახებ. ქიმიკო-  
სებთან ხშირად ნახავდით ვასილ მჭავა-  
ნაძეს, გიორგი გეგეშიძეს, გიორგი ჩო-  
გოვაძეს, ნიკოლოზ გომელაურს, არქი-  
ფო ლაბაძეს, შოთა ბეზარაშვილს,  
ივანე კეკელიძეს, პარტიის ქალაქკომის  
მდივნებს—თენგიზ მენთეშაშვილს, რუ-  
სუდან ჯაფარიძეს, ოთარ წვერავას.

—ყველაზე მეტი მაინც გეგეშიძის  
წილზე მოდის,—ამბობს ივანოვი.—და-  
დიოდა კორპუსებში და პირადად ამოწ-  
მებდა დავალებათა შესრულებას.

პირველი ლაქტამი მიიღეს 1963  
წლის 22 ოქტომბერს. ერთი თვის შემ-  
დეგ, გამოვიდა ხარისხთვანი პროდუქ-  
ცია, ისეთი, ყველა მარევენებელს რომ  
აკმაყოფილებდა. მაგრამ ეს იმას როდი  
ნიშნავს, თითქოს ყველაფერი ამით გა-  
თავდა. პირიქით, ბევრი რამ ახლა იწ-  
ყება.

კაპროლაქტამის წარმოება ძალზე  
რთულია, თანაც—ახალი. ჯერ კიდევ  
მშენებლობის პროცესში უზღებოდით  
ბევრი რამის გადაკეთება. წარმოებამ  
კი მეტი და მეტი სიახლე მოითხოვა.

სასწაულები არ ხდება. პირველ თვე-  
ებში საწარმოო გეგმის შესრულებაზე  
მხოლოდ ფიქრი შეიძლება. მაგრამ ყვე-  
ლამ იცის, რომ ფიქრსა და ხორცშეს-  
ხმას შორის საკმაო მანძილია, ზოგ-  
ჯერ—საკმაოზე მეტიც.

აბა, დააკვირდით: დეკემბერში სა-  
ამქრო იღვა ათ დღეს, სხვადასხვა გა-  
დაკეთების გამო. ამან არ იქმარა. იან-  
ვარში უარესი გადაკეთება მოითხოვა,  
ჩვიდმეტი დღე წაიღო.

დაახლოებით ასევე იყო მომდევნო  
თვეებშიც.

იქნებ მშენებლები ტყუიან?  
არა, ვერც იმათ გავამტყუნებთ.

ახალი ყოველთვის ტყვილებით იბა-  
დება. თავიდან გგონია, რომ ესა და ეს  
პროცესი ამრიგად წავა. მერე ირკვევა,  
რომ სხვა გეზი ყოფილა საჭირო. პრაქ-  
ტიკამ, წარმოების პროცესმა შეიძლება  
ეს გეზიც უარყოს. ასეა, ვიდრე საბო-  
ლოდ გადაწყვეტა არ გამოიხატულა.  
ამხაც საწარმოო პრაქტიკა დაადგენს.  
ამისათვის კი საჭიროა გამოცდილების  
დაგროვება. ამ უკანასკნელს დრო სჭი-  
რდება და ა. შ.

საამქროში სულ ახალგაზრდობაა. კი  
არა, უმრავლესობის აქაური სტაჟი  
მხოლოდ თვეებით გაიზომება. კოლექ-  
ტივი ძირითადად წარმოების გაშვების  
შემდეგაა დაკომპლექტებული. მანამ-  
დელ მუშაებზე მხოლოდ ათი პრო-  
ცენტი თუ მოვა. საშუალო ასაკი კი  
ოცდაორი—ოცდასამი წელია.

მერედა, გგონიათ, მარტო კაპროლაქ-



ტაშშია ასეთი მდგომარეობა? არა, თითქმის მთელ ქარზანაში.

აი, ზიხარათ კრებაზე. წამოიწიეთ და დარბაზში მიმოიხედეთ: სულ გადაშავებული თავებია. შეიძლება გამოთქმა არც ისე ესთეტიკურად ელერდეს, მაგრამ ახლა ცუდს არაფერს ნიშნავს. შავი თმა უმრავლეს შემთხვევაში სიახალგაზრდავეუწ მიუთითებს. არის, რა თქმა უნდა, ქერაც, მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავია. გაჭალრებული კაცი თითო-ორო-ლაა.

პირველ რიგში უთუოდ შეამჩნევთ დომენტი აბრამიას, ამიაკის წარმოების უფროსს: თოვლივითაა გადაპენტილი (სამაგიეროდ, მოადგილე ჰყავს ცეცხლი, ახალგაზრდა ინჟინერი მაქსიმე მინდიაშვილი). აქვე არიან: აკაკი შაფათავა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ისაკი ბერშანი, დირექტორის მოადგილე; ქსენია ქაჯია, მთავარი ინჟინრის მოადგილე; ბაქო სვანაძე, მიკროსასუქების საამქროს უფროსი; გიორგი აზინიანი, მომარაგების უფროსი; ინჟინრები სამოელ გაბრიჭიძე, ნინო ვარდიშვილი, დიმიტრი პატარიძე... შეიძლება კიდევ რამდენიმე.

ჰოდა, ივანოვი არ ემდურის ახალგაზრდობას. საერთოდ, იგი ძუნწია ქებაზე და, როცა ამბობს, სამდურავი არა მაქვსო, ბევრს ნიშნავს. და იმდენ მოწინავეს ასახელებს, რომ მათი საქმიანობის გადმოცემას ცალკე წიგნი არ ეყოფა. მითუმეტეს ვერ აუვლით გვერდს ზოგიერთს მაინც (ვინაიდან ყველა კარგის ჩამოთვლა არ მოხერხდება, იმედია არ დამემდურებიან).

ჯემალ ლორიას არ იცნობთ? უთუოდ გაიცანით. უფროსი მეაპარატეა (ზოგჯერ ოსტატადაც მუშაობს). ტექნიკუში სწავლობს. მასწავლებლები ხშირად იხსენიებენ თავიანთ ლექციებში, როგორც საუკეთესო მეაპარატეს და რაციონალიზატორს. ვფიქრობ, ეს ოსტას არ ნიშნავს.

ახლა სხვები!

მეაპარატეები ნელი ტაჩი, მურმან სხვიტორიძე, რობინზონ შოშიაშვილი,

ოსტატები დემნა ყარაულაშვილი, გიგე ხაჩიძე; ცვლის უფროსებზე ვერცხვანო კოლაიშვილი, არჩილ შვანგიანი, მურაზ ბორანტი როზა ბონაგრიანი; ზეინკლები ალექსანდრე ხუციშვილი, ანატოლ ბოგდანოვი...

და კიდევ: უფროსის მოადგილე ვლადიმერ შავშერდიანი, მექანიკოსი ჯუმბერ ლოლობერიძე, უბნის უფროსი ვართან გალუსტოვი...

და ასე დაუსრულებლივ.

მათი (და არა მარტო მათი) საქმიანობა ოქროსყდიანი წიგნის ფურცლების ღირსია, ხომ ვთქვი, კაპროლაქტამი მსოფლიო ბაზარზე ოქროდ ფასობს-მეთქი!

### კ ა კ რ ო ლ ა კ ტ ა მ ი

ატომისა და კოსმოსური ფრენის ეპოქაში ბევრი რამაა მოსალოდნელი. ვფიქრობ, კაპროლაქტამი ასეთ მოვლენათა წყებას განეკუთვნება. მისი მომძლავრება, ორივე ფეხზე მტკიცედ დაყენება რუსთაველი ქიმიკოსების საშვილიშვილო ვალია. და განა მარტო რუსთაველების?! მთელი ქვეყნის!

ამიტომაა, რომ ამ პროდუქციის შექმნაში ბევრი ვინმე და ბევრი რამე მუშაობს მონაწილეობას. მარტო შემადგენლობას (მისთვის საჭირო მასალა) გადახედეთ (ფენოლზე უკვე ითქვა): ამიაკი, ციკლოგექსანონი, ამიაკის წყალი, ჰიდროქსილამინსულფატი, ქიმიურად განწმენდილი წყალი, კაუსტიკური სოდა, ოლეუმი, გოგირდი და სხვა.

ბევრი რამ ადგილზეა. ბევრიც მოაქვთ. ფენოლს გროზნოდან ეზიდებიან. გოგირდს—რაზდოლიედან (უკრაინა), ოლეუმს—ვოსკრესენსკიდან (მოსკოვის ოლქი). სპეციალური ქაღალდის ტომრები კარელიიდან მოაქვთ...

ვინაიდან ახალი წარმოებაა, თანაც—უძვირფასესი, ამიტომ ტერმინზეც შევჩერდეთ.

კაპროლაქტამი შედგენილი სიტყვაა.

კაპრონი-ერთგვარი ხელოვნური ბო-  
კო.

ლაქტამი—ორგანული შენაერთი, ში-  
ნამოლეკულური ანჰიდრიდი (ანჰიდრი-  
დი—უწყლო ეანგბადის შენაერთი).

„ლაკ“ ლათინურია და ნიშნავს რძეს.

ლაქტაცია—რძის გამოყოფა, წოვება  
(ლაქტო—ვაწოვებ). აქედანაა ლაქტა-  
ტიცი—რძის სიმჟავის მარტილი.

შევეჯამოთ: კაპროლაქტამი ნიშნავს  
რძისებური ნივთიერებისაგან მიღებულ  
ორგანულ შენაერთს (გამღვალი კაპ-  
როლაქტამი, მართლაც, რძის ფაფას  
ჰგავს).

შეიძლება მომეტანა მრავალსარ-  
თულიანი ჯაჭვური ქიმიური ფორმუ-  
ლები, ათასწიარად ერთმანეთში გადახ-  
ლართული, მაგრამ, ვფიქრობ, ეს სუ-  
ლაც არ იქნება შედეგითი (ეხება არა-  
ქიმიკოსებს, ესეიგი მე და ბევრ სხვას).

ვისაც გინდათ, ლაქტამის მზერით  
დატყბეთ, მეზობელ ქარხანაში შეი-  
რეთ. იგი ჯერ დამთავრებული არაა,  
რუსთავის სინთეზურბოქოვანი ქარხა-  
ნა, აი, ის, სადაც დირექტორად გიორგი  
ბარამიძეა, მთავარ ინჟინრად კი ალექ-  
სანდრე შათირიშვილი (აღრე ისინი  
აზოტასაუქოვან ქარხანაში მუშაობ-  
დნენ, დღეს კი ახალ საწარმოს ხელ-  
მძღვანელობენ).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ასეთი  
კოლაბირება, როცა კაპროლაქტამის  
ვერდით მისი გადამშეშევებელი ქარ-  
ხანაა, საბჭოთა კავშირში პირველად  
ხორციელდება. ეს დიდ სარგებლობას  
მოიტანს: საჭირო აღარ იქნება ლაქ-  
ტამის ტრანსპორტირება შორ მანძილ-  
ზე, შემჭიდროვდება ტექნოლოგიური  
პროცესი და ა. შ.

სინთეზურ ბოქოვან ქარხანაში რომ  
მიხვალთ, მთავარ ტექნოლოგ ბეჟან გო-  
გუაძეს მიაკითხეთ (შეიძლება, სხვაც  
დაგეხმაროთ). იგი დაუძახებს პატარა  
გოგოს, ინჟინერ ლია ვასაძეს (შეიძლე-  
ბა სხვასაც დაუძახოს). ლიას ტანმორ-  
ჩილობა ნუ შეგაშინებთ ის მიგიყვანთ  
საცდელ წარმოებაში და ინჟინერ იური  
კაპანაძეს ჩაგაბარებთ. შეიძლება, სხვა-

საც ჩაგაბაროთ). მერე, ლია რუმევაბ-  
რუნდება, ბიჭები გეტყვიან: დიდი მსა-  
ნე კარგი გოგოა, ასპირანტურაშიც სწა-  
ვლობს და ერთი ტყბილი სიტყვა ნუ  
დაგენანებათო. ათი იყოს, ღმერთმანი,  
არ შენანება!

ქარხანა მომავალ წელს შევა ექ-  
სპლოატაციაში, მაგრამ იმისათვის, რომ  
კადრებში დროზე აითვისონ ახალი საქ-  
მე, მოწყობილი აქვთ საცდელი წარმო-  
ება, სადაც, ასე ვთქვათ, მინიატურული  
სახით მიმდინარეობს დაახლოებით იგა-  
ვე პროცესი, რაც შემდეგ ქარხანაში  
იწარმოებს

აგერ, ქიმიურ საამქროში ხდება კაპ-  
როლაქტამის გაღობა, პოლიმერიზა-  
ცია, დაქრა, გარეცხვა, გაშრობა. შემ-  
დეგ ამ პოლიმერს (ფისი) ხელახლა გა-  
აღნობენ, ჭაფად გამოიყვანენ, დაგრე-  
ხენ, გარეცხავენ, გააშრობენ, მასრებზე  
დაახვევენ და მერე ქსოვეთ და კერეთ,  
რაც გინდათ—წინდები, კაბები, კოს-  
ტუმები, პალტოები...

ეს კიდევ არაფერი!  
სწორედ წუხელ მეუბნებოდა გოგუ-  
აძე, კაპროლაქტამისაგან ახალი პრო-  
დუქცია მივიღეთა.

და იციოთ, რა?  
კორდი! კორდი!

ეს არის ზვეული ძაფი, ზონარი, თო-  
კი (დასავლური გაგებით, აღმოსავლეთ-  
ში ბაწარს ეძახიან). მიიღება ხელოვნუ-  
რი ბოქოსაგან და იყენებენ ისეთი დე-  
ფიციტური საფეიქრო ნაწარმისათვის,  
რომელიც ფართოდ მოიხმარება სარე-  
ზინო მრეწველობაში, მაგალითად, ავ-  
ტოსაბურავებისა და მრავალი სხვა ნა-  
კეთობის დასამზადებლად (უხარო-  
დეთ ავტომოყვარულებს!). თანაც აქამ-  
დე უნდა გვეთქვა: კაპროლაქტამის ნარ-  
ჩენებისაგან მიიღება მშვენიერი სასუ-  
ქი—ამონიუმის სულფატი, რომელიც  
მულამ გორებად დგას ქარხანაში.

გაეცანით ყოველივე ამას და მერე  
გაიგებთ კაპროლაქტამის ქეშმარიტ  
ღირსებას!

ზემოთქმული მხოლოდ წვეთია ზღვა-  
ში. ხელისნდელი დღე ათასჯერ მეტს

უქადის რუსთაველ ლაქტამს. თვითვე-  
ლი ჩვენგანაც ბევრ რამეს მიიღებს  
მისგან, სასიხარულოს, საამაყოს!

### ლასკარისაჲლი ვაღრაჲი

სკვ ცუ-ის დეკემბრის პლენუმმა დი-  
ადი პერსპექტივები გადაშალა ჩვენი  
ქვეყნის წინაშე. ეს პერსპექტივები ნა-  
თელი, რეალური და ყოველმხრივ აწო-  
ნილ-დაწონილია. ნიადაგიც მყარი და  
ნოყიერია...

ცნობილ ლენინურ ლოზუნგს მიემატა  
ორი სიტყვა, რომელთა შინაბუნება  
მთელი კომუნისტი ტოლია...

პლუს ქიმიზაცია!

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ყვე-  
ლაფერი თვითღინებით, თავისთავად  
მოსდება. დიდი საქმე ყოველთვის მო-  
ითხოვს დიდ შრომას. დიდ ენერჯიას  
ადამიანური გონების დიდი გაქანებას.  
და მსხვერპლსაც!

როგორც დანახეთ, ამ პატარა წიგ-  
ნაჲში არაერთხელ ვინმარე ფრაზა „პირ-  
ველად საბჭოთა კავშირში“.

არ გაგივირდეთ. სოციალიზმისა და  
კომუნისტიკის ქეშმარიტი ბუნება ისიცაა,  
რომ კომუნისტურ მშენებლობაში  
წვლილი შეაქვთ როგორც დიდ, ისე  
პატარა ერებს, როგორც ცენტრს, ისე  
შორეულ პერიფერიას (რა თქმა უნდა,  
ზედმეტ-ნაყლები პრობორცია არ უნდა  
დავივიწყოთ).

პირველად საბჭოთა კავშირში!

ნუ მოითხოვთ, რომ შევეხო ყველა  
უბანს, სადაც რუსთაველები ამ გამოთ-  
ქმას ხმარობენ. მაგრამ ზოგ რამეს მა-  
ინც კიდევ მოგაწვდით.

ქარხნის ყოველ სამქროშია ექსპრეს-  
ლაბორატორია, რომლის დანიშნულე-  
ბაა წარმოების მიმდინარე კონტროლი  
ექსპრესანალიზის საშუალებით. მაგრამ  
წარმოების ფართო კონტროლი, ნორ-  
მისაგან გადახვევის შემთხვევაში კვლე-  
ვა-ძიების ჩატარება, მიზეზის დადგენა  
მისი აღმოფხვრის მიზნით, წარმოების  
გაუმჯობესებელი ტექნოლოგიის და-  
მუშავება და დანერგვა—ყოველივე ეს

ცენტრალური ლაბორატორიაში მსმენებ.

ლაბორატორია წარმოების...  
ეს გამოთქმა ნაწილობრივ მაინც შე-  
იძლება გავავრცელოთ საწარმოს, და-  
წესებულების მეთაურზეც, ხელმძღვა-  
ნელზე. ამ ქვეყნად ყველაფერი შეფარ-  
დებითია. ამიტომ, ალბათ, ესეც არ იქ-  
ნება. ზუსტი, მაგრამ, ვფიქრობ, ძირი-  
თაღში დამეთანხმებით: ბევრი, ძალიან  
ბევრია დამოკიდებული დაწესებულე-  
ბის, საწარმოს ხელმძღვანელზე; ჩვეუ-  
ლებრივ, კარგი ხელმძღვანელის გარშე-  
მო კარგი კოლექტივი იყრის თავს. არ  
არსებობს ცუდი კოლექტივი, არიან  
ცუდი ხელმძღვანელები.

ამიტომ კადრებს, განსაკუთრებით,  
ხელმძღვანელი კადრების, სწორად შე-  
რჩევა და განაწილება მუდამ იყო, არის  
და იქნება ჩვენი პარტიის პირველრი-  
გის ამოცანა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ,  
თუმცა ოქტომბრის ორმოცდამეშვიდე  
წელია, აქა-იქ მაინც ვხვდებით კადრე-  
ბის შერჩევას თავისიანობის პრინციპით  
(იგულისხმება ნათესაობა, მამამებლო-  
ბა, და, სხვა).

ალბათ, ზოგი უკვე ფიქრობს: ალ-  
ლაპარაკი იქნება ცენტრალური ლაბო-  
რატორიის უფროსზე და ყოველივე ეს  
მას შეეხებაო. პირიქით: ნოდარ სიხა-  
რულიძის მაგალითით მხოლოდ საწინა-  
აღმდეგოს დამტკიცება შეიძლება.

აგერ ზოგიერთი ცნობაც.  
თერთმეტი წელი ინჟინრის წოდება  
აქვს. ერთ ხანს სოფელ ურავში მუშა-  
ობდა—დარიშხანის ქარხანაში. ცხრა  
განჯახული რუსთაველია. კარგად იცნო-  
ბენ მეტალურგიული ქარხნის კოქსი-  
შიკოსები. ცხრაას სამოცი წლიდან შე-  
ზობტებთანაა.

კიდევ რა?  
წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაპ-  
თავრა ოპირანტურა. ალბა დისერტაცი-  
აზე მუშაობს. თემაც ამ ქარხანას ეხე-  
ბა.

მაგრამ ეს ანეკდა... საქმე?  
ნოდარ სიხარულიძის ხელმძღვანე-  
ლობითა და უშუალო მონაწილეობით  
ცენტრალური ლაბორატორიის კოლექ-

ტივმა დაამუშავა და წარმოებაში და-  
ხერგა ბევრი ტექნიკური სიახლე, რა-  
მაც შორს გაუთქვა სახელი ქარხანას  
და მილიონობით თანხის ეკონომია მის-  
ცა.

საერთოდ, ქიმიურ ქარხანაში მწვა-  
ვედ დგას ლითონის საკითხი. ბევრ  
უბანზე ლითონი ვერ ძლებს ან მცირე  
ხანს ძლებს: ქიმიკა ჭამს.

**კოროზია**

იგი ქიმიური ქარხნის საშინელი მტე-  
რია. ყოველი მცირე, თუ დიდი ავარია  
პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავში-  
რებულია მასთან.

ამ მიმართებით მუშაობა ლაბორა-  
ტორიის ცენტრალური ამოცანაა.

ქარხანაში დიდ ხანს ლაბორატორი-  
კატალიზატორებზე, რომლებიც ამიაკის  
წარმოებაშია: ჯერ ერთი, დეფიციტუ-  
რი ნიკელ-ქრომისაგან აშხადებენ, მეო-  
რეც, ცოტა ხანს, სულ ექვს-ცხრა თვეს  
ძლებს.

ნოდარი ეძახის ციკინო თაბაგარს—  
კატალიზისა და გაწმენდის ჯგუფის  
ხელმძღვანელს. თათბირობენ, ანგარი-  
შობენ; საჭიროა საპროექტო-საკვლევე  
ინსტიტუტთან ერთად მუშაობა, ახალი  
გზის ერთად ძიება.

ეს გზაც გამოინახა. შემუშავდა რკი-  
ნის ხვეული კატალიზატორები.

შედგევი? ადვილად იშოვება (მთავა-  
რია), იაფია, დიდ ხანს ძლებს.

და ეს ხდება პირველად საბჭოთა  
კავშირში.

ზემოთ გაგაცანით კაპროლაქტამის  
წარმოების პროცესები, მათ შორის,  
პროცესი, რომელიც ანონის (ციკლგექ-  
სანონის) საამქროში მიმდინარეობს. ეს  
არის რექტიფიკაციისა და დეჰიდრირე-  
ბის პროცესები.

გაიხსენეთ? ჰო, იქ, გალელი ლეფსა,  
და ჩარგლელი ფადიურაშვილი რომ  
მუშაობენ.

მაგრამ თუ გაიგოთ, რომ დეჰიდრი-  
რების პროცესი კაპროლაქტამის წარ-  
მოებაში აღარაა, მე ნუ დამაბრალებთ.

სპეციალისტთა ჯგუფმა დაამუშავა  
ფენოლის ჰიდრირების ახალი კატალი-

ზატორი, რომელიც საშუალებას უძლე-  
ვს ჩავატაროთ ეს პროცესი უმეტესად  
ესე იგი ციკლოგექსანონამდე. ეს იმას  
ნიშნავს, რომ კაპროლაქტამის წარმოე-  
ბის ერთ-ერთი პროცესი (დეჰიდრირე-  
ბა) მთლიანად ამოვარდება ციკლიდან.  
ამ სიახლის შედეგად მარტო ხელფასის  
ეკონომია შეადგენს წლიურად 250  
ათას მანეთს.

მათ, რამეს ვერ ნახავთ ვერც საბჭო-  
თა კავშირში, ვერც საზღვარგარეთ.

ვინ შეიმუშავა ეს თამამი იდეა?

აგერ ისინიც: ლუნა გულუა, ვაქა  
მღვანეი, ვაქა მოსიძე, ნოდარ სიხარუ-  
ლიძე, რომან ჯანჭღავა, ომარ ჯაოშვი-  
ლი.

რა თქმა უნდა, ამ ნოვატორული გაბე-  
დულების განხორციელება შეუძლებე-  
ლი იქნებოდა ქარხნის ხელმძღვანელე-  
ბის უშუალო დახმარებისა და ჩარევის  
გარეშე. ავთანდილ საღარეიშვილი დი-  
ვიანე გრძელიძე საჭიროების დროს  
ყოველთვის ადგილზე იყვნენ.

დიდი ხნის განმავლობაში ქარხნიდან  
გამდინარე ტექნიკურ წყალს მიჰქონდა  
უამრავი მინერალური სასუქი — ცხრა-  
ასი ტონა წელიწადში. დოვლათი რომ  
იკარგებოდა, — ეს ერთია, ამასთან ქუ-  
ჩუიანდებოდა მტკვარი და სხვა ღია  
წყალსაცავები.

— როგორ მოვიქცეთ? — ამ კითხვას  
გაიგონებდით ქარხანაში, ქარხნის გა-  
რეთაც.

და ლაბორატორიის კოლექტივმა რეს-  
პუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გა-  
მოყენებით ქიმიისა და ელექტროქი-  
მიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებ-  
თან ერთად დიდი ძიების შედეგად მი-  
აგნო. იონგამცველი ფისების საშუ-  
ალებით გამდინარე წყლების დამუშა-  
ვების მეთოდს (წყალში შერეული სა-  
სუქების უტილიზაცია ხდება). ცხრაასი  
ტონა სასუქი ისევე ქარხანის უბრუნდე-  
ბა და საკოლმეურნეო მინდვრებში აგ-  
ზავენება. ამასთან მეტად საჭირო დემი-  
ნერალიზებული წყალიც ხელახლა ხმა-  
რდება წარმოებას.

ამ საქმეში მთავარი როლი ითამაშეს

ლაბორატორიის ინჟინერმა ცილა ხე-  
ციშვილმა და ინსტიტუტის უფროსმა  
მეცნიერ-მუშაკმა თინა იონათამაშ-  
ვილმა.

ახლა ნოდარის საღისერტაციო თემი.  
იგი პაერგამყოფ საამქროს ეხება. ძალ-  
ზე სათუთი წარმოებაა და, როგორც  
იტყვიან, აქ ვიწრო ადგილია უსაფრ-  
თხოზის ტექნიკა.

ინჟინერ ცისანა მალრაძესთან ერთად,  
სიხარულიძე ამუშავებს აცეტილენისა-  
გან პაერის გაწმენდას ახალი ტიპის  
სორბენტით, ცეოლიტებით, რაც იძლე-  
ვა საამქროს უსაფრთხო მუშაობის  
სრულ გარანტიას. ამავე საკითხზე ნო-  
დარი ამზადებს მოხსენებას საკავშირო  
კონფერენციისათვის, რომელიც ლენინ-  
გრადში ჩატარდება და რომელზეც მოწ-  
ვეული არიან უცხოეთის მეცნიერები.

ამჟამად ლაბორატორია მუშაობს კაპ-  
როლაქტამის ხარისხის გაუმჯობესება-  
ზე, მცენარეთა ზრდის ახალი სტიმულა-  
ტორების მიღებაზე, ფარმაცეპტული  
მრეწველობის საკითხებზე და სხვ.

ლაბორატორიის მუშაკთა უმრავლეს-  
ობა, როგორც ყოველთვის, ქალებია,  
და ჩვენც დიდ ხანს ვსაუბრობთ მათზე.  
ბევრის თქმა შეიძლება, ძალიან ბევრის,  
მაგრამ, ვინაიდან ეს არ ზერხდება, ისე  
მანც დავასახელოთ, თან ვიგულის-  
ხმოთ, რომ ბევრი მათ შორის, ვინც არ  
დაგვისახელებია, ნაკლები როდია.

ეთერ ენუქიძე — წარმოების კონტ-  
როლის ჯგუფის ხელმძღვანელი, მერი  
მღებრივეა — ამავე ჯგუფის უფროსი  
ინჟინერი. ინჟინრები თინა პაქსაშვილი,  
თამარ კახელი. აგერ პარტორგანიზაცი-  
ის მდივანიც ალექსანდრა უსმენცევა—  
ანალიზური ჯგუფის უფროსი ინჟინერი.  
ბევრი, ბევრი სხვა.

ახლა ლაბორანტები — ანალიზის ძი-  
რითადი საყრდენი, ავტორიტეტი: ანა  
ქურდევანიძე, ვირჟინია ჩარუხჩიანი,  
გულიზარ ხარაზიშვილი, ნადეჟდა მო-  
ისევეა...

აღბათ, უკვე მიხვდით: ნაღია განგებ  
მოვაქციე ბოლოს. მას ხომ კარგად  
იცნობთ — რესპუბლიკის უმაღლესი

საბჭოს დეპუტატია. სწორედ შარშან  
სწავლობდნენ რუსთაველებმა: ცოცხალი  
ბიკ მის ბიოგრაფიას: დაიბადა ლუგანს-  
კში. მამა ფრონტზე დაეღუპა. ომის შემ-  
დეგ დედამ თბილისში ჩამოიყვანა, მე-  
რე — რუსთავეში. აქ დაამთავრა საშუ-  
ალო. შვიდი წელი ქარხანაში მუშაობს.  
ადრე შეაპარატე იყო, ახლა ლაბორან-  
ტია.

მე ვუმატებ: სწავლობს ქიმიურ-მე-  
ტალურგიულ ტექნიკუმში. იცის ქარ-  
თულიც. ისეთი ლამაზი ქართული ხელ-  
წერა აქვს, რომ ბევრ ქართველს შეშურ-  
დება. არის ჰეკიანი, თვალტანადი.  
უყვარს სპორტი, განსაკუთრებით,  
ფრენბურთ-კალათბურთი.

სიტყვამ მოიტანა და სპორტზე ვჩერ-  
დებით.

ყველას გვახარებს ქართველ მოჭად-  
რაკეთა წარმატებები. თუ გგონიათ, ვა-  
ქებზე ვამბობ? არა!

ლაპარაკია ნონა გაფრინდაშვილზე.  
ამას წინათ რუსთაველებმა მოუწყეს  
შეხვედრა. კარგი საღამო იყო. განსა-  
კუთრებით ინჟინერ-ეკონომისტ ალექ-  
სანდრე გვასალიას გამოსვლა მოგვეწო-  
ნა. თავისი სიტყვის ბოლოს მან ლასკე-  
რისეული ჭადრაკის ფიგურები გადასცა  
ნონას.

სად ჰქონდა ლასკერის ჭადრაკი?

1914 წელს ემანუელ ლასკერი იყო  
პეტერბურგში საერთაშორისო ტურო-  
ნირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ  
ალიოხინი, კაპაბლანკა, ტარაში, მარშა-  
ლი და სხვები. ლასკერმა აქ პირველი  
ადგილი დაიკავა.

რომელიღაც კლუბში სამ დაფაზე  
ერთდროული სეანსი ითამაშა. ერთ-  
ერთი პარტნიორი იყო ინჟინერი პლა-  
ტონ ხელთუფლიშვილი, შემდეგ ცნო-  
ბილი პროფესორი. ეს უკანასკნელი, რა  
თქმა უნდა, აგებდა, მაგრამ მოხდა ისე,  
რომ ფიგურის შეწირვით მიიღწია მუდ-  
მივ ქიშს და, მამასადაძვე, ყაიშს.

ლასკერს ძალზე მოეწონა მისი გო-  
ნებაშახელობა. კლუბის დირექციას  
სთხოვა დაეთმო მისთვის ის ჭადრაკი,  
რომლითაც აღნიშნული პარტია ითამა-

შა. ლასკერმა ჭადრაკი ხელთუფლიშვილს აბუქა. ხელთუფლიშვილი გვასალოას მეგობარი იყო და სიკვდილის წინ, 1945 წელს, ამ უკანასკნელს დაუტოვა. აი, როგორი რელიქვია მიიღო ნონამ რუსთაველებსაგან!

მასხენდება მეტალურგთა ლიტერატურული წრის წევრ ელგუჯა სულთანისშვილის ლექსი, რომელიც ნონას უძღვნა:

„ის უნდა შოთას შევერ, თორემ ვინ მე და — მწერალი! განა, შოთა აკლდა ჩემს მამულს, მაგრამ ჰა კიდევ მწერავალი!“

სხვათა შორის, მსგავსი ლექსი, თუმცა შედარებით დაბალმატერული დაწერა მან ცნობილ ალბინისტ მართ ტყავაძეზე, რომელიც რუსთავეის სახელოვანი მკვიდრია: ის ხომ მონაწილეა იმ ექსპედიციისა, 1923 წელს გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით რომ ავიდა მყინვარზე. ელგუჯაც მიმართავს ტყავაძეს: შენ მყინვარზე მაღალი ხარ, ვინაიდან მას ფეხი დააბიჯეო.

ისევე ქიმიკოს ქალებს ვუბრუნდებით. ზოგის აზრით, ლამაზი ქალები უფრო მეტად აზოტასაუქოვან ქარხანაში არიან. ქიმიური წარმოება მეტალურგიასთან შედარებით სუფთა, თანაც მსუბუქი სამუშაოა. ამიტომ პროცენტულად აქ მეტია ქალი.

აქაც მეტალურგ პოეტს უნდა დავესხებო, ამჯერად — გიორგი ჭავჭავაძის:

„რუსთავეის ტაზე ტალა ციმციმებს, თითქოს ფილადი ელავს... ჩამოარბინე და გამოციწე, ჩემო ერთო და აველაჲ“.

და შედეგად:

„სხვა რა მკვლია, მთელი რუსთავეის და ამ ვერხვების პატრონი? პატარა გულის თეთრი უსტარი — შენი ლამილი მარტო“.

**შ ე მ ე ლ ე ბ ი**

— ვისზე შეიძლება კიდევ? — ვეკითხები ბორის წიქორაძეს.

ვეკითხები ისე, ყასიდად, რომ იტყვიან, თორემ განა პასუხს მოველი!

ბ. „მნათობი“, № 8.

ისიც დიპლომატურად იქცევა: — გინდათ ამოწუროთ? გაგვიჩირობათ.

კი არ გამიჭირდება, შეუძლებელია! შეუძლებელია აღნუსხო რუსთაველ ქიმიკოსთა მუშაობის ყველა დადებითი მხარე, მიუხედავად იმისა, რომ არც ნაკლი აქვთ ცოტა.

შეუძლებელია თუნდაც მოვიხსენიოთ ყველა ის გმირი, რომლებიც ვაჟაყფრად უძღვებიან თავიანთ საქმეს, მაგრამ უბრალოდ არ ყოფილა მომენტი, რომ მათი სახელი გარეთ გასულიყო.

და განა ყველა გაგაცანით, ვისი დიდებაც ქარხანას კი არა, რუსთავეს გასცდა?

არა, არა!

არც კი მიხსენებია ანზორ აბაიძე — პარტიის ოცდამეორე ყრილობის დელეგატი. იგი მუშა იყო, ჩვენი ტექნიკუმი დაამთავრა და ახლა აირმაშველ საამქროს ხელმძღვანელობს.

გურამ თავდუშაძე? საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პერგამყოფი საამქროს მოწინავე ოსტატი, რომელიც ადრე სწორედ ამ ქარხანას აშენებდა, ახლა კი ექსპლოატაციას უწევს.

გიორგი გოგოლაძე მხოლოდ ვახსენე, მასზე კი ბევრის თქმა შეიძლებოდა. ძალიან ბევრის.

გრიგოლ ბუაჩიძე? სამამულო ომის გმირი, ამონიუმის გვარჯილის ოსტატი.

იური მქავანაძე?

მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა. კარგი სპეციალისტია და ყოველთვის კარგი ადგილი ეკავა. ახლა ქიმიკოსთა რკინიგზის საამქროს უფროსია. ძველი რუსთაველია და ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, მით უფრო, რომ ადრე ვაზეთშიც წერდა. ამისდა მიუხედავად, მისი რკინიგზელები არც აქამდე ზვდებოდნენ წიგნში, ახლაც ავუარე გვერდი: არ მინდოდა, მაგრამ ასე გამოვიდა.

მწერლებს და ჟურნალისტებს ერთი ზნე გვჭირს. ამოჩემებულ პროფესიებს იქით ვერაფერს ვხედავთ. იქნებ ამას ხანდახან ჰქონდეს ერთგვარი გამარ-



თლება, მაგრამ მუდამ ასე ხომ არ შეიძლება! თუ იური შევანაძის რკინიგზელები რიტმულად არ იმუშავებენ, ქიმიკოსთა შრომას რა ფასი ექნება!

ახლა საავადმყოფო!

მარლენი და კობა.

კიდევ არ ვიცნობდე, მათი სახელი არაერთხელ გავიგონე ქარხანაში.

შემთხვევითია? ნამდვილად არა! წარმოებაში ექიმებს ცოტა საქმე როდი აქვთ.

მარლენ თაგვადე ქარხნის მედსანაწილის მთავარი ექიმა, თანაც ქირურგიულ განყოფილებას ხელმძღვანელობს. არც ისე ხნიერია, მაგრამ სულ დათოვლილია.

რუსთავეის ცნობილი ქირურგი გივი ოდიშარია მეუბნებოდა: პროფესორიც რომ იყოს, თუ სოფლის ექიმად არ უმუშავია, ქეშიარიტი ექიმი ვერ დადგებაო. შეიძლება, ამაში გადაჭარბება იყოს, მაგრამ ძირითადად უნდა დავეთანხმოთ. ექიმი ჩვეულებრივ ვიწრო სპეციალისტია, საქმე აქვს ადამიანის ორგანიზმის გარკვეულ უბანთან. სოფლის ექიმს კი მთელი ადამიანი აბარია, და თუ ამასთან ჰქვია და ნიჭიერიცაა, შეუძლია დიდი გამოცდილება დაავადების სულ სხვადასხვა ხასიათის დაავადებათა მკურნალობაში.

ექნებ იმიტომაც აქვს წარმატებანი მარლენ თაგვადეს, რომ კაი ხანს ლეჩხუმის სოფელ წიფერჩში მუშაობდა. მერე, რუსთავეის რომ გადმოიყვანეს, პროფესორ მიხეილ ჩაჩავას ქირურგიულ კლინიკაში ორწლიანი ორდინატურა გაიარა.

კობა სიმონგულაოვი ახალგაზრდა ქირურგია და ახალგაზრდული გაქანებით ატარებს რთულ ოპერაციებს.

ქიმიკოსთა წანმრთელობას ემსახურებიან კობას ცოლიც, ექიმი დოდო კახიძე, მისი უფროსი და უმცროსი მეგობრები: ორი თერაპევტი, ორივე ეთერი — დავითაშვილი და ჯაფარიძე, პროვინზორი თამარ ძიძიჯური, ექთნები ნატო ცქიფური, ირა კახისოვა და ბევრი სხვა.

ვანა საჭირო არაა მათი ახლოს გაცნობა?!

ანდა ავიდეთ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯგუფი, რომელიც ელექტრულად მოვიდა ქარხანაში, ეს ხომ მთელ რომანის მასალაა!

აბა, დააკვირდით: ინსტიტუტში სწავლა, მეგობრობა, სიყვარული. მერე კომკავშირულ კრების გადაწყვეტილება — ყველა ერთად წავიდეთო დიდი ქიმიის ობიექტზე. ახლა აქ მუშაობა, ისევ მეგობრობა, სიყვარული, შრომითი წარმატებები... ამ ჯგუფიდანაა ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ჯუმბერ მარგველაშვილი, რომელიც კარგად ახასიათებს თავის მეგობრებს, სხვადასხვა პასუხსაგებ ადგილებზე რომ მუშაობენ. ახლა კი მათ ვერც ვასახელებ: ერთი და ორი საქმეს ვერ უშველის, დანარჩენებს კი ტუქილად მოვიპუტებ.

— ამიაკის წარმოება აქ მთავარია, თქვენ კი გაკვრით ახსენებთ, — მეუბნება დომენტი აბრამია, ამიაკის წარმოების უფროსი.

— ელექტრიკოსები სულაც არ უხსენებიან! — კვერს უყრავს მიხეილ არეშიძე, ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი.

ალბათ, იქნება სხვა პრეტენზიებიც. ეს იგი, რაც არ უნდა წერო, რამხელაც არ უნდა იყოს წიგნი, რუსთაველ ქიმიკოსთა საქმეებს მაინც ვერ ჩატევ.

ალარაფერს ვამბობ სოციალისტურ შეჯიბრებაზე, რომელიც საამქროებშია გაჩაღებული პარტიის დავალებათა გასანადგებლად, სუმგაითის, ლისიჩანსკისა და კიროვაკანის გამოწვევებზე. სწორედ ახლანან იყო ქარხანაში სუმგაითისა და კიროვაკანის ქიმიკოსთა დელეგაციები, ზოლო რუსთაველებმა ლისიჩანსკი მოიარეს.

და არის გამოცდილების გაზიარება, მეგობრობის განმტკიცება, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულებანი!

ასევე არაფერს ვამბობ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების კონკრეტულ საქმიანობაზე, რომლებიც სულ უფრო და უფრო

მკიდროდ რაზმავენ კოლექტივს შვიდ-წლედის ახალი ზღუდეების ასაღებად.

არ ვამბობ იმიტომ, რომ ფაქტიურად უკვე ვთქვი: იქ, სადაც ამდენი სახელოვანი აღამიანია, ამდენი წარმატებაა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ორგანიზაციები, საერთოდ, ცუდად მუშაობდნენ.

**იკავლის შუა სიხარული**

კი ხნის წინათ ქარხანა „სერბ ი მოლოტში“ ვიყავი: მასალებს ვაგროვებდი მეტალურგებზე. დამით სასტუმრო „მოსკვას“ მეთხუთმეტე სართულზე ავედი: გაჩირაღდნებულ ქალაქი ხელისგულივით ჩანდა.

რუსთავში მაღალი სახლები არაა (იქნება!) ხოლო ციდან გადმოხედვა მინდა, ძალიან მინდა (მით უმეტეს, ახლახან იყო კოსმონავტიკის დღე).

საგრანულაციო კომსეზე ავდივარ (თქვენ მას იცნობთ). სწორედ თხუთმეტესართულიანი სახლის სიმაღლეა.

აპრილის მწველი შვე უნდა იყოს (ასეა ჩვეულებრივ), მაგრამ იგი არსად ჩანს. მავონდება თანაყურსელი მეგობრის, პოეტ ვანტანგ ძნელაძის ტაეპები:

„ირგვლავ შუა სიხარულს,  
ცა ღუმელს ვაუბოლავს...“

(როგორ მინდა, ამ ბოლს მოველოს რამე და ქალაქი გაიწმინდოს კვარტლსაგან!).

ახლა კი მარტო ღუმელთა ბოლი როდი დარიალებს: საავდრო ღრუბლები დაწოლია ცადაჭნის. მათ ტაატით უერთდება თეცის, კოქსის, მარტენების, ბრძმედების შავმუქი ფთილები, ორთქლი, ბოლი, გაზი, ღრუბელი ერთმანეთში ირევა. ბუნებრივ და ხელოვნურ საღრუბლეთს ცისარტყელასავით ეკვრის ამონიუმის გვარჯილის მჭრქალი, ზოგჯერ კი ყვითელი ზოლები.

მოშორებით — გარდაბან-თბილისის სახელმწიფო-რაიონული ტელეტრანსმისი გური, ახლოს — ცემენტის ქარხნების ციკლი კვამლი...

ხარაჩოები, ხარაჩოები!...  
ამწეები, ამწეები!...  
მილები, მილები!...  
რკინიგზები, რკინიგზები!...

ქალაქი დიდ ფართობზეა გადაჭიმული: ერთი კიდე რომ იალღუჯის კალთებზე მიუბჯენია, დანარჩენი სამგორსა და გარდაბანის ველებზე გაუშლია.

საცხოვრებელი კვარტალები! ახლა და ახალი ქუჩები!...

მწვანე მასივები!...  
საწარმოები, საწარმოები!...

უკვე ძნელია მათი ჩამოთვლა!

მეტალურგიული, აზოტსასუქოვანი, საცემენტო, სინთეზურბოქოვანი, სახლმშენებელი, მექანიკური, ერთი, მეორე, მესამე... ფოლადსაჩამოსხმო, მიწერალბამბოვანი, სათაბაშირე, ლითონკონსტრუქციული, საქსოვი, საყოფაცხოვრებო და, რა ვიცი, კიდევ რა!...

ზოგი მათგანი ახლა შენდება.

და ვხედავ ჩემი ქალაქის კიდეე უფრო უკეთეს მომავალს, მის ბედნიერ ზვალეს. ვხედავ მთელ ქვეყანას, მსოფლიოს, რომელსაც სულ მეტი და მეტი ოდენობით ეფინება რუსთავული პროდუქცია დაბლა კი...

„ნელა მოღელავს მოღედუნე მტკვარი ანკარა და მის ზვირთებში ერთის ლეყვარდი ცისა“

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებს ვისთვის რას იტყვი?  
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უბუტვი!...

და მჯერა, რომ მტკვარი ბუტბუტებს კიდეე უფრო ბედნიერ მერმისზე, ახალ ქარხნებსა და ქუჩაბანდებზე. ბუტბუტებს ახალ გმირებზე, ბუტბუტებს და გულისნადებს უერთებს რუსთაველთა კომუნისტური შრომის რიტმს — მარად უწყვეტსა და დიადს!

საქართველოს მედიცინის საზოგადოება

ლენინი და ბუნებათმეცნიერება

საბუნებისმეტყველო საკითხებს ლენინი განიხილავს ფილოსოფიასთან დაკავშირებით საერთოდ და, კერძოდ, დიალექტიკურ მატერიალიზმთან ურთიერთობაში. ლენინს უმთავრესად აინტერესებს საკითხი — საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აღმოჩენებმა და წარმატებებმა დაადასტურეს თუ არა დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებები, თუ, პირიქით ისინი ეწინააღმდეგებიან მის ძირითად პრინციპებს. ცნობილია, რომ იდეალისტები საბუნებისმეტყველო აღმოჩენებს თავის სასარგებლოდ ასაღებენ და ამტკიცებენ — „მატერია გაქრა, მატერიალიზმი საბოლოოდ დამარცხდა“. ლენინმა თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ბრწყინვალედ დაასაბუთა დიალექტიკური მატერიალიზმის მიღწევები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აღმოჩენების საფუძველზე.

ბუნებათმეცნიერება — კომპლექსური ცნებაა, რომელიც შეიცავს ბუნების შემსწავლელ მრავალ მეცნიერებას, როგორცაა: ფიზიკა, ქიმია, გეოლოგია, ასტრონომია, ბიოლოგია და სხვ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი აქვთ, რომლითაც განსხვავდებიან სხვა დისციპლინებიდან, სახელდობრ, მეთოდი და ხერხები, ე. ი. ექსპერიმენტის და დაკვირვების გამოყენება შემეცნების პროცესში.

როგორც ვიცით, მეცნიერების განვითარების ისტორიამ იცის შემეცნების სხვადასხვა მეთოდი. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სწორედ ექსპერიმენტებმა და დაკვირვებამ წარმოშვა ნამდვილი

მეცნიერება. წარმოების აღმავლობასა და მოთხოვნილებებთან დაკავშირებით მე-16-მე-17 საუკუნეებში წარმოიშვა ექსპერიმენტული მეცნიერება და აქედან მოყოლებული იგი თანდათანობით ძლიერდება და ვითარდება. არც ძველ საბერძნეთში და არც შუა საუკუნეებში ფილოსოფია და მეცნიერება იმ დონემდე არ ყოფილა განვითარებული, რა დონემდეც მან მიიღწია ექსპერიმენტისა და დაკვირვების გამოყენების შემდეგ. ჰერმეტიკობას ძველ საბერძნეთსა და შუა საუკუნეებში ადგენდნენ ცდისა და დაკვირვების გარეშე, უმთავრესად აზროვნების და გონებაშეკრეტელობის მეშვეობით.

ძველ საბერძნეთთან შედარებით შუა საუკუნეების კულტურული განვითარება დიდად ჩამორჩა ანტიკურ ფილოსოფიის და მეცნიერების განვითარებას. შუა საუკუნეების აზროვნებას რენესანსის ეპოქამდე ახასიათებდა უმთავრესად აბსტრაქცია, დოგმატიზმი და სქოლასტიკა; ბრმა რწმენა ავტორიტეტისა და ეკლესიისადმი, ყოველგვარი ძიება ჰერმეტიკობისადმი ღვთისმეტყველების სამსახურში უნდა ყოფილიყო. ამ მოთხოვნილებებს საეცებით აკმაყოფილებდა ფილოსოფიური სისტემები, რომლებიც წარმოიშვა შუა საუკუნეებში. ცნობილია შუა საუკუნეების ფილოსოფიური სისტემები ავიცენას, მოსე მაიმონიდის, იოანე სკოტ ერუგენას, პეტრე აბელიარის, თომა აკვინელის და სხვ. რა საკითხებს არჩევდნენ აღნიშნული ფილოსოფოსები და მათი მსგავსი მეცნიერები? უმთავრესად ღვთის არსებობის საკითხს, მსჯელობდნენ სულის რეალობაზე და

მის უკვდავებაზე, სამყაროს წარმოშობაზე და სხვ. ცხადია, აღნიშნული საკითხები არ შეიძლება ვარკვეული და შესწავლილი ყოფილიყო დაკვირვების და ცდის (ექსპერიმენტის) მეშვეობით. შუა საუკუნეების „კვლევა-ძიების“ მეთოდმა ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება და თეორიულად და პრაქტიკულად ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო.

ახალ საუკუნეებში წარმოიშვა ძლიერი არაქცია შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის კვლევა-ძიების მეთოდების წინააღმდეგ.

ახალი საუკუნეების საწარმოო ძალეების განვითარებამ და აღმოჩენებმა ახალი მოთხოვნილებები წაუყენა მეცნიერებას და ფილოსოფიას. მას უნდა დაექმყოფილებია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის ამოცანები და დავალებები, რაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მეცნიერული მეთოდების დამუშავებით და მათი გამოყენებით — სინამდვილის ყოველმხრივი შესწავლის დროს. და აი სწორედ, მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-17 საუკუნის დასაწყისში (1561-1626 წ. წ) ინგლისელმა ფილოსოფოს-მატერიალისტმა ფრენსის ბეკონმა წამოაყენა ახალი შეხედულება, ახალი მეთოდი სინამდვილის შესწავლისათვის, ე. წ. ინდუქციური მეთოდი. მარქსის დახასიათებით ფრენსის ბეკონი არის „უახლესი დროის ინგლისური მატერიალიზმის და საერთოდ ექსპერიმენტულ მეცნიერებათა ფუძემდებელი“, ბეკონი თავგამოდებით ილაშქრებდა შუა საუკუნეების სქოლასტიკის წინააღმდეგ და ამბობდა, რომ ის „უნაყოფოა, როგორც ღვთისათვის შეწირული მონაზონი“. ადამიანი უნდა იყოს „ბუნების ბატონი და მფლობელი“, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ცოდნის მეშვეობით და „ცოდნა კი ძალაა და ძალა — ცოდნაა“. ამიტომ, ამბობდა ის, კაცობრიობას ესაჭიროება ახალი მეცნიერება, მისი ობიექტია — ბუნება; მისი მიზანია — ბუნების გარდაქმნა ადამიანის სამეფოდ, მისი საშუალებაა ახალი მეთოდი. მარქსი ამ-

ბობს, რომ „ბუნებისმეტყველება წარმოადგენს ბეკონის შემეცნებაში წამდვილ მეცნიერებას; ფიზიკა კი, რომელიც ეყრდნობა გარეგანობების მონაცემებს, უმნიშვნელოვანესი ნაწილია ბუნებისმეტყველებისა“ (მარქსი-ენგელსი, ტ. 3, გვ. 157).

ახალი ხანა და ახალი საუკუნეები ცნობილია, როგორც ხანა აღმოჩენებისა და გამოგონებლობისა. გამოგონებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათათვის. 1590 წელს გამოიგონეს მიკროსკოპი, 1608 წ. — ტელესკოპი. მე-17 საუკუნეში გამოიგონეს დურბინდი. ამ სამეცნიერო „ინსტრუმენტებს“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ მეცნიერებისათვის, როგორიცაა ასტრონომია, ბიოლოგია. მიკროსკოპმა სრულიად ახალი სამყარო აღმოაჩინა ბიოლოგიათათვის. ამ გამოგონებათა შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ექსპერიმენტის და დაკვირვების მნიშვნელობა. ექსპერიმენტი და დაკვირვება თანდათან იპყრობდა მკვლევართა ცნობიერებას. მხოლოდ ზუსტი ცოდნა შეიძლება გამოგვეყენებია პრაქტიკული ცხოვრებისათვის. ზუსტი ცნობის მიღება კი შეიძლება ექსპერიმენტის და დაკვირვების მეშვეობით: კაპიტალისტურ სამყაროს ესაჭიროებოდა პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი ადამიანები. ამიტომ, ყოველ გამოგონებას, რომელიც მუშახელს ამცირებდა და ბურჟუაზიის გამდიდრებას ხელს უწყობდა, ექსპლუატატორები ენთუზიანებით მიესალმებოდნენ. ახალ საუკუნეებში მეცნიერება ბურჟუაზიის ხელში საექსპლოატაციო საშუალებად გახდა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე დიდ ვალებას ახდენდა ფილოსოფიური მოძღვრება. ვინაიდან საბუნებისმეტყველო კვლევა-ძიების მეთოდებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა; ამიტომ ის დასვენები ითვლებოდა ჰემმარიტ დასვენებად, რომელნიც აღნიშნულ კვლევა-ძიების საფუძველზე იყო მიღებული. ვასაგებია, რომ თვითოეული მოძღვრება ცდილობს დასაყრდენად გამოიყენოს საბუნებისმეტყველო მეც-

ნიერებანი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აღმოჩენები შეიძლება ადასტურებდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ამა თუ იმ ფილოსოფიურ მოძღვრებას. იდეალიზმი ამტკიცებდა და ამტკიცებს, ბუნებისმეტყველების მიღწევები იდეალისტური ფილოსოფიის დებულებების დადასტურებააო. ზოგიერთი ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ბიოლოგი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ხედავს იდეალიზმის გამართლებას. რამდენად სწორია ასეთი შეხედულებები?

ლენინმა თავის შესანიშნავ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ამ საკითხს მიუძღვნა მესუთე თავი: „რევოლუცია ბუნებისმეტყველებაში და იდეალიზმი“. ამ თავში ლენინმა თვალსაჩინოდ დაგვანახა, რომ აღმოჩენები ბუნებისმეტყველებაში, როგორც ძველი ისე ახალი, არამც თუ არ ეწინააღმდეგება დიალექტიკურ მატერიალიზმს, პირიქით, სავსებით ადასტურებს დიალექტიკის ყველა ძირითად პრინციპს. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისის ბუნებისმეტყველების უდიდესი წარმატებები წარმოადგენს სრულ დადასტურებას ენგელსის იმ დებულებისა, რომ „ბუნება დიალექტიკის სასინჯი ქვა“.

1842 წელს რობერტ მაიერმა აღმოაჩინა ენერჯიის მუდმივობის კანონი და ენერჯიის ყველა ფორმის გარდაქმნის შესაძლებლობა (Закон сохранения энергии и превращения всех форм энергии). ეს აღმოჩენა შესანიშნავად ადასტურებს დიალექტიკის პრინციპს — ბუნების მოვლენათა ურთიერთ მოქმედებას და მოვლენათა საყოველთაო კავშირს. ენგელსი ამბობს, რომ მექანიკური ძალა, სითბო, გამოსხივება (სინათლე და სხივური სითბო), ელექტრობა, მაგნიტიზმი, დაშლის და შეერთების ქიმიური ძალა — წარმოადგენენ განსაკუთრებულ სახეობებს, ერთი და იმავე ენერჯიისას, ე. ი. მოძრაობის არსებობის ფორმებს. ბუნებაში მოძრაობის ყველა ფორმის ერთიანობა ახლა უბრალო ფი-

ლოსოფიური მტკიცება კი არ არის. არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერული ფაქტია. მეორე დიდმა მეცნიერებანია ცნობილი აღმოჩენა ბუნების დარგში, იყო შლეიდენისა და შვანის მიერ აღმოჩენილი ორგანული უჯრედი, როგორც ბიოლოგიური ერთეული, რომლისგან აგებულია ქსოვილები და რთული ორგანიზმების ორგანოები. ამ აღმოჩენის შესახებ ენგელსი ამბობს (თხზ. მარქსი და ენგელსი, ტ. XIV, გვ. 649-650):

„საიდუმლოების საფარი, რომელშიც გახვეული იყო ორგანიზმების წარმოშობის და ზრდის პროცესი და მათი სტრუქტურა ჩაიშალა. დღემდე გაუგებარი სასწაული წარმოგვიდგა პროცესის სახით, რომელიც მიმდინარეობს თანახმად იგივეობის კანონისა ყველა მრავალუჯრედოვან ორგანიზმისათვის“.

მესამე უდიდესი აღმოჩენა — განვითარების თეორია — ეკუთვნის დარვინს (1809-1882). ამ თეორიამ კიდევ უფრო გააძლიერა მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძვლები. აღნიშნულ აღმოჩენამდე ბიოლოგიურმა მეცნიერებამ დაადგინა ორგანიზმების წარმოშობის ერთიანობა, მაგრამ ის ვერ ხსნიდა, თუ რა განსაზღვრავდა ამ ორგანიზმების უსრულო მრავალანაირობას. ენგელსი ამბობს, რომ ამ კითხვაზე პასუხი გაცა XIX საუკუნის მესამე დიდმა საბუნებისმეტყველო აღმოჩენამ. ამრიგად, ამბობს ლენინი, მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ მიიღო უფრო ღრმა და მყარი დასაბუთება, ვიდრე წინა საუკუნეში, ამასთან ერთად იგი გახდა დიალექტიკური, ვინაიდან დაადგინა ბუნების მოვლენათა საყოველთაო კავშირი, ურთიერთმოქმედება და მატერიის დაუსრულებელი განვითარება.

ბუნებისმეტყველების განვითარებამ მეოცე საუკუნეში მოგვცა ახალი დამადასტურებელი ფაქტები ბუნების დიალექტიკისა. მეტაფიზიკური აზროვნების უკანასკნელი დასაყრდენი ფიზიკის დარგში იყო მოძღვრება უბრალო ქიმიურ ნივთიერებათა უცვლელობის შესახებ;



მაგრამ ამ შეხედულებას ლახვარი ჩას-  
ცა რადიუმის აღმოჩენამ და იმის და-  
დასტურებამ, რომ არსებობს ერთიანო-  
ბა და, რომ ქიმიური ელემენტების გარ-  
დაქმნა, გარდაქცევა შესაძლებელია. ბუ-  
ნებისმეტყველების პროგრესი ყოველ  
ახალ აღმოჩენასთან დაკავშირებით იძ-  
ლევა სულ ახალ საბუთებს სამყაროს  
მატერიალური ერთიანობისა და ადას-  
ტურებს მეცნიერული კომუნიზმის ფუ-  
ძემდებელთა იმ დებულებას, რომ ბუნე-  
ბა ისე; როგორც ისტორია, ექვემდება-  
რება მოძრაობის დიალექტიკურ კანონს.  
ამის შემდეგ მატერიალისტური მოძლ-  
ვრება უნდა გამხდარიყო ბუნებისმეტყ-  
ველთათვის დასაყრდენ ფუძედ. მაგრამ  
სინამდვილეში ასე არ მომხდარა, ვინა-  
იდან ბურჟუაზიური ბუნებათმეცნიე-  
რება ასახავს ბურჟუაზიის კლასობრივ  
იდეოლოგიას და ინტერესებს. ბუნების-  
მეტყველებს, რომლებიც აღზრდილი  
არიან იდეალისტური ფილოსოფიის სა-  
ფუძველზე, არ შესწევთ უნარი სწორად  
და მატერიალისტურად განაზოგადონ  
ბუნების მეცნიერებათა მიღწევანი. ენ-  
გელსის აზრით ამას ამტკიცებს შემდეგი  
გარემოება: ის ბუნებისმეტყველები,  
რომლებიც თავის მეცნიერების ფარ-  
გლებში დაუზოგავი მატერიალისტებია.  
მეცნიერების გარეშე არამც თუ იდეა-  
ლისტები, არამედ მართლმადიდებე-  
ლი ქრისტიანებიც არიან. რეაქციის  
წარმომადგენლები ცდილობენ მეცნიე-  
რული აღმოჩენები გამოიყენონ იდეა-  
ლიზმის ინტერესებისათვის. ასე, მაგა-  
ლითად, პასტერის მიერ დუღილის მი-  
ზეზების აღმოჩენა გამოყენებული იქნა  
მეტაფიზიკური ვიტალისტური შეხედუ-  
ლებათა აღიარებისათვის. იდეალიზმი  
ცდილობს მატერიის ელექტრონული  
თეორია გამოიყენოს იმისათვის, რათა  
აღიაროს, რომ „მატერია ვაჭრა“. ახალი  
დროის ფიზიკა კიდევ უფრო მრავალ  
და დამაჯერებელ ფაქტებს იძლევა დია-  
ლექტიკური მატერიალიზმის დებულე-  
ბების განმტკიცებისათვის. ამხ. ლენინი  
თავის ნაშრომის „მატერიალიზმი და ემ-  
პირიოკრიტიციზმის“ მეხუთე თავში იძ-

ლევა ახალი ფიზიკის აღმოჩენათა  
ბრწყინვალე ანალიზს და რომელ დას-  
კვნებს, რაც მოწმობს დიალექტიკური  
მატერიალიზმის პრინციპების სისწო-  
რეს.

კლასიკურ მექანიკაში ურყევ ქეშმა-  
რიტებად ითვლებოდა პრინციპი მასის  
მუდმივობისა. მასის მუდმივობა განიხი-  
ლებოდა დამოუკიდებლად სხეულის მო-  
ძრაობის სიჩქარედან, როდესაც ახალი  
ფიზიკა გადავიდა დიდი სიჩქარეების  
განხილვაზე, როგორცაა სინათლის სიჩ-  
ქარე, ის იძულებული იყო უარეყო მასის  
მუდმივობის პრინციპი. ასე მაგალითად,  
მატერიის ელექტრონული თეორიის მი-  
ხედვით, ატომი, რომელიც ოდესღაც  
ითვლებოდა განუყოფელ, მატერიის  
უკანასკნელ ნაწილაკებად — სინამდვი-  
ლეში შედგება კიდევ უფრო წვრილი,  
პატარა ნაწილაკებისაგან, რომელიც და-  
მუხტულია დადებითი და უარყოფითი  
ელექტრობით. ცდებით დამტკიცდა,  
რომ უარყოფითი ელექტრონები ატო-  
მის ბირთვის ირგვლივ ძალიან დიდი  
სისწრაფით მოძრაობენ. ელექტრონების  
მოძრაობა ბირთვის ირგვლივ დადგენი-  
ლი იყო 1914 წელს. ზუსტი ცდებით და  
გამოანგარიშებით დამტკიცეს, რომ  
ელექტრონის მექანიკური მასა უდრის  
ნულს და ის შეიძლება დაყვანილ იქნას  
ელექტროდინამიკურ მასამდე, რომე-  
ლიც იცვლება არა მარტო სიჩქარესთან.  
არამედ მოძრაობის მიმართულებასთან  
დაკავშირებით. დადებით ატომებზედაც  
იგივე შეიძლება ითქვას და, ამრიგად,  
მასის მუდმივობის კანონი უარყოფილ  
იქნა. რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ  
აღნიშნულ ფაქტებიდან? ფიზიკოსი-  
მატერიალისტი, რომელიც შეიარაღე-  
ბულია დიალექტიკური მეთოდით, აღი-  
არებს, რომ ძველ წარმოდგენათა და  
ცნებათა გადასინჯვა მიგვიყვანს ახალ  
ცნებათა შექმნამდე, რომლებიც უფრო  
უკეთ და სრულყოფილად ასახავენ სი-  
ნამდვილეს. სულ სხვა დასკვნამდე მივი-  
და ფრანგი ფიზიკოსი პუანკარე. სინ-  
ტერესოა პუანკარეს მსჯელობა, რო-  
მელმაც ის მიიყვანა იდეალისტურ დას-



კენამდე. რაკი ჩვენ გვიხდება ძველი წარმოდგენების უკუგდება, მაშასადამე, ისინი არ არიან ბუნების ასლები, არ ასახავენ საგნებს და პროცესებს, რომლებიც ცნობიერების გარეშე მიმდინარეობენ, მაშასადამე, ისინი ამ ცნობიერების უბრალო პროდუქტებია, სიმბოლოებია. ეს წმინდა წყლის იდეალისტური მსჯელობის შედეგია. ასევე მსჯელობის მეორე ფრანგი ფიზიკოსი აბელ რეი. აბელ რეის შეხედულებით, მე-19 საუკუნის თითქმის ყველა ფიზიკოსი არსებით საკითხში ერთმანეთს ეთანხმებოდნენ. „მათ წამდათ, ამბობს ლენინი, ბუნების წმინდა მექანიკური ასსნა; ამტკიცებდნენ, რომ ფიზიკა მხოლოდ უფრო რთული მექანიკაა. სახელდობრ — მოლეკულარული მექანიკა“. ამ მექანიკური მსოფლმხედველობის უსუსურობა და უშინაარსობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ყოველი მოძრაობა დაცვალებადობა დაჰყავთ უბრალო მექანიკურ გადაადგილებამდე — გადაანაცვლებამდე. მექანიკური შეხედულებების კრიზისს უნდა გამოეწვია მექანიკური მატერიალიზმის შეცვლა დიალექტიკური მატერიალიზმით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ესმით ამ მეცნიერებათა წარმომადგენლებს „მატერია“. მეცნიერების პროგრესი, დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები მატერიის (აგებულების) აღნაგობის დარგში ლენინმა დაუკავშირა დიალექტიკის ყოველმხრივ დასაბუთების საკითხს და ბრწყინვალედ დაამტკიცა მექანიკური მატერიალიზმის შეცვლის აუცილებლობა დიალექტიკური მატერიალიზმით.

ფიზიკის ახალმა აღმოჩენებმა გვიჩვენა, რომ მატერიალური ნაწილაკების მასა დამოკიდებულია ამ ნაწილაკების მოძრაობის სიჩქარეზე და მათ ელექტრონულ დამუხტვაზე, რამაც ფიზიკოსები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს ნაწილაკები ელექტრონული ბუნებისაა და რომ შეიძლება მატერია შევცვალოთ ელექტრობის ცნებით, და დაასკვნეს:

მოსდა ატომის დემატერიალიზაცია „მატერია გაქრა“. ამ ფორმულას დიდ ელფრთოვანებით ჩაებლაუქნენ იდეალისტები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მატერიალიზმს, რომ ჩვეულებრივი მატერიის ადგილი დაიკავა ელექტრობამ, ახალი სახის „ენერგიამ“, რაც აბათილებს მატერიალიზმს და ამყარებს ევრეთწოდებულ „ენერგეტიკულ“ მსოფლმხედველობას. ამის შესახებ ლენინი ამბობდა, რომ თავისთავად მეცნიერების პროგრესი განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, წარმოშობს რეაქციულ წიდილებს (поползновения), რეაქციულ განზრახვებს. სინამდვილეში კი მათ ვერ გაიგეს ფორმულა „მატერია გაქრა“. ნამდვილად კი ეს ნიშნავს მატერიის გაღრმავებულ შემეცნებას და მატერიის მექანიკურად გაგების უარყოფას. ძველი მექანიკური გაგებით, მატერია პასიურია, მატერიის მასა მუდმივ უცვლელია. ახალმა აღმოჩენებმა ბუნებისმეტყველებაში დაადსტურა ის, რაც უწინ დადგენილი ქონდა დიალექტიკურ მატერიალიზმს, სახელდობრ, რომ მატერია აქტიურია, ყოველთვის იმყოფება მოძრაობაში და შესწევს მუშაობის უნარი. მატერიის ელექტრობამდე დაყვანა ნიშნავს, რომ მატერიის და ენერგიის დაშორება ერთმანეთისაგან არ შეიძლება, ისინი ურთიერთდაკავშირებული არიან ისე, როგორც მატერია და მოძრაობა. ახალი აღმოჩენები ფიზიკაში იმას კი არ მოწმობს, რომ „მატერია გაქრა“, არამედ იმის დამადასტურებელია, რომ ფიზიკური სამყაროს ის მხარეები, რომლებიც აღნიშნულ მეცნიერებაში ცნობილია „მატერიის“ „ელექტრობის“, „ეთერის“ სახელწოდებებით, მოცემულია განუყრელ მთლიან ერთიანობაში. ჯერ კიდევ ადრე ლენინი ლაპარაკობდა ფიზიკაში აღმოჩენათა მნიშვნელობის შესახებ: მისი გენიალური წინასწარგანჭვრეტადსტურდება ახალი აღმოჩენებით. ახლა ყველა ფიზიკოსს დამტკიცებულად:

მიანია მასის გარდაქმნა (გარდაქცევა) გამოსხივებაში, ე. ი. ჩვეულებრივი ნივთიერების, ჩვეულებრივი მდგარი ატომების, გადასვლა ნივთიერების ისეთ მდგომარეობაში, რომელთანაც დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, მისი აქტივობა და მუშაობის წარმოების უნარი. დადგენილია აგრეთვე შექცეული, შებრუნებული პროცესიც — გამოხსივების გარდაქმნა კორპუსკულუმში. როდესაც მატერია დაკავშირებულია ელექტრობაზე, ფიზიკოსებმა განაცხადეს (პუანკარე, რეი, მახისტები) — „მატერია გაქრა“. რას ნიშნავს ფორმულა „მატერია გაქრა“. ლენინი ამ ფორმულის შესანიშნავ განმარტებას იძლევა: „მატერია ჰქრება“ — ეს იმას ნიშნავს, რომ ჰქრება ის საზღვარი, სადამდისაც ჩვენ დღემდე ვიცნობდით მატერიას, ჩვენი ცოდნა უფრო ღრმად მიდის; ჰქრებიან მატერიის ისეთი თვისებანი, რომელნიც წინათ აბსოლუტური, უცვლელი, პირველადი გვეგონა (შეუღწევადობა, ინერცია, მასა და სხვ.) და რომელნიც დღეს გვევლინებიან როგორც შედარებითი, როგორც მატერიის ზოგიერთი მდგომარეობის დამახასიათებელი თვისებანი. ვინაიდან მატერიის ერთადერთი „თვისება“, რომლის აღიარებასთან დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი, არის მისი თვისება ობიექტურ რეალობად ყოფნისა, ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობისა“ (ლენინი, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, თბ. XIV ტ., მეოთხე გამოცემა, გვ. 329-330).

ამიტომ მარქსი და ენგელსი აწარმოებდნენ შეურიგებელ ბრძოლას მექანიკურ მატერიალიზმის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: უნდა შეიცვალოს მექანიკური მატერიალიზმი დიალექტიკური მატერიალიზმით და არა იდეალიზმით, დასძინს ლენინი. სწორად საკითხის დასმა გულისხმობს კითხვას: არსებობს თუ არა ელექტრონები, ეთერი და სხვა ადამიანის ცნობიერების გარეშე, როგორც ობიექტიური რეალობა? ამ კითხვაზე,

ამბობს ლენინი, ბუნებისმეტყველება უყოყმანოდ უპასუხებენ დადებითად, ისე, როგორც ისინი დადებითად უპასუხებენ ბუნებისა და ორგანიული მატერიის არსებობის საკითხს ადამიანის გაჩენამდე. ამრიგად, მატერიალისტური დიალექტიკა აღიარებს, რომ არ არსებობს ბუნებაში აბსოლუტური მიჯნები, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უცვლელი არსნი — უცვლელი სუბსტანციები; დიალექტიკა გვასწავლის, რომ განვითარება არის დაპირისპირებული ბრძოლა და აქედან გამომდინარე ადგენს ყოველგვარი მეცნიერული დებულების შეფარდებით მნიშვნელობას და ბუნებისმეტყველთა ახალ აღმოჩენებში ხედავს არა „მეცნიერების კრიზისს“, არამედ ახალ წყაროს მისი შემდგომი განვითარებისათვის, საწყაროს უფრო ღრმა შესწავლისათვის.

«Новая физика, — говорит Ленин, — свихнулась в идеализм, главным образом, именно потому, что физики не знают диалектики».

„ლენინის წინასწარ განჭვრეტები, ამბობს ვ. მ. პოზნერი (იხ. „დიალექტიკური მატერიალიზმის ნარკვევები“ 1936 წ. გვ. 113). ბრწყინვალედ გაპართლებულია უკანასკნელი დროის ბუნებისმეტყველების სხვადასხვა აღმოჩენებით.

„ამჟამად ფიზიკურმა მეცნიერებამ დაადგინა, ამბობს იოფე, რომ ატომში მოცემულია გარდა ელექტრონებისა, ე. ი. უარყოფითი ელექტრონების „ატომებისა“, კიდევ „პოზიტრონები“, ანუ დადებითი ელექტრონის „ატომები“, გარდა დადებითი დამუხტული პროტონებისა კიდევ დაუმუხტავი ნეიტრონები და კიდევ მნიშვნელოვანი უფრო წვრილი ნაწილაკები (ნეიტრიტები). აღნიშნული ფაქტები გვაძლუბენ ვაღიაროთ, რომ საერთოდ ნივთიერების აღნაგობის და გლემენტარული მექანიზმის გამორკვევის პროცესს არ შეიძლება ჰქონდეს დასრულებული საზღვარი“.

კიდევ მრავალი ფაქტი შეიძლება დაგვესახელებინა საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიის მეცნიერებებდან იმის დასამტკიცებლად, თუ რაოდენ

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მარქსისტულ ფილოსოფიის კლასიკოსები საერთოდ და კერძოდ ლენინი საბუნებისმეტყველო და დიალექტიკური მატერიალიზმის ურთიერთობას.

ლენინის დამოკიდებულება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი პრაქტიკულად გამოვლინდა მის შემდეგ, როდესაც ის სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხელისუფლებას.

ლენინი, როგორც ცნობილია, ბევრს მუშაობდა ფილოსოფიურ პრობლემებზე, მაგრამ ამავე დროს ის ეცნობოდა ფიზიკოსების შრომებსაც, როგორცაა: ბოლცმანი, ჰერცი, პუანკარე, ქიმიკოსები — რაშეი, ოსტვალდი, ფიზიოლოგი — ჰელმპოლცი. ბიოლოგი — ჰეკელი და ბევრი სხვ. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რა დიდი ეროვნული გამოიჩინა ლენინმა ფიზიკოსთა და ქიმიკოსთა თეორიების გარჩევის დროს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ლენინმა თავი მოუყარა მოწინავე მეცნიერებს და შესთავაზა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. დიდი ენთუზიზმით გამოეხსნაურენ საბჭოთა მეცნიერები ლენინის მოწოდებას. 1918 წლის 24 მარტს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. პ. კარპინსკიმ განაცხადა, მეცნიერები მზად არიან იმუშაონ საბჭოთა ხელისუფლების დავალებით. გამოჩენილი ნევროპათოლოგი, ცნობილი რევლუქსიოლოგი ვ. მ. ბეხტერევი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ლენინის „დიად თაოსნობას“, ის გულთბილად მიესალმა კომუნისტურ შაბათობას, რომელშიც ხედავდა თავისუფალი, კოლექტიური, უნაგარო შრომის დიად სვლას. ლენინის იდეის — ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის განხორციელებაში მონაწილეობას ლეზულობდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები. ყველასათვის ცნობილია, აგრეთვე, თუ როგორ დაინტერესდა ლენინი 1922 წ. მიჩურინით. ცნობილია ის დებეშა, რომელიც გაუგზავნეს ტამბოვის აღმასკომს — შეეგროვებინათ

ცნობები მიჩურინის მოღვაწეობისა და მუშაობის შესახებ და მოწინააღმდეგე რატი გაეგზავნათ ლენინისათვის, დიდ დახმარებას უწევდა ლენინი გამოჩენილ ფიზიოლოგს ივანე პეტრეს-ძე პავლოვს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას დროს შესძლო დიდმა მეცნიერმა თავისი თეორიის — „პირობითი რეფლექსების“ ყოველმხრივი დამუშავება. ლენინი აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობას და მეცნიერულ საფუძველზე მის განვითარებას. ლენინის წინადადებით დაარსდა სოფლის მეურნეობის ცენტრალური სამეცნიერო ინსტიტუტი. 1920 წელს ლენინმა სპეციალური საუბარი გამართა ამ ინსტიტუტის დირექტორ ი. ვ. სამოილოვთან.

1921 წლის სექტემბერში ლენინის ინიციატივით დაარსდა სამეცნიერო-მედიცინური ინსტიტუტი. არ დარჩენილა სოფლის მეურნეობის არც ერთი დარგი, ლენინი რომ არ გამოხმარებოდა და თავისი ენერგიული ჩარევით განსაზღვრული მეცნიერული მიმართულება არ მიეცა მისთვის. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხის განმრთელობას. 1920 წლის 1 მარტს ეჭიმთა საკავშირო ყრილობაზე თავისი სიტყვა მან ასე დაამთავრა: „მეცნიერებისა და მუშების წარმომადგენელთა თანამშრომლობა! — მხოლოდ ასეთ თანამშრომლობას შეუძლია მოსპოს მათხოვრობის მთელი უბედურება, ავადმყოფობანი და ქვეყნის გაკეთებული იქნება. მეცნიერების, პროლეტარიატის და ტექნიკის წარმომადგენელთა კავშირს ვერავითარი ბნელი ძალა წინ ვერ აღუდგება.“

ამ მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ ლენინის სიტყვა და საქმე, თეორია და პრაქტიკა განუყრელ ერთიანობაშია. მარქსის დევიზი — სამყარო უნდა შევისწავლოთ, რომ გარდაქმნათ იგი, გენიალურად შეასრულა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. მთელი მისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა ამის დამადასტურებელია.

თანმოხ კახეიძე

## ლენინი სპარსულ ლიტერატურაში

ლენინის სახელი ახლობელი და ძვირფასია ყველა ადამიანისათვის. ეს უკუდავი სახელი განასახიერებს რევოლუციურ ბრძოლებში წარმოშობილ ახალ სოციალისტურ საზოგადოებას, სადაც თვით ხალხი არის თავის ბედ-იღბლის ბატონ-პატრონი და განმგებელი.

ლენინი პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელია, შემოქმედებითი მარქსიზმის გენიალური თეორეტიკოსია. მან შექმნა ახალი ტიპის პარტია, კომუნისტური პარტია — ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება, სინდისი.

ოქტომბრის რევოლუციამ მისცა მსოფლიოს ხალხებს საუკუნებრივ ნატვრათა განხორციელების რეალური შენაძლებლობა. ვ. ი. ლენინის სახელი ყველა კონტინენტის ხალხების გულში ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო ისტორიულ მონაბოვართა სიმბოლოს წარმოადგენს და ამიტომაც იქცა ლენინის სახე ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი ოსტატის შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ, ამიტომაც ცდილობენ ისინი რელიეფურად და სიყვარულის გრძნობით წარმოგვიდგინონ ლენინის მონუმენტური ფიგურა, მისი უკვდავი მოძღვრება.

მსოფლიოს ხალხების ათასობით სიმღერებსა და პოეტურ შემოქმედებაში აღბეჭდილია ვ. ი. ლენინის მრავალფეროვანი ცხოვრება, მისი დიადი საქმეები, მისი დაუცხრომელი ბრძოლა მშრომელთა მილიონების კეთილდღეობისათვის. სხვადასხვა ხალხების მიერ შექმნილი სიმღერა ლენინზე — ეს დიდების ჰიმნია ოქტომბრის რევოლუციისადმი, რომლის ორგანიზატორი და

სულისჩამდგმელი იყო ლენინი „ფოლკლორმა, — თქვა მ. გორკიმ საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე, — აიყვანა ვლადიმერ ილიჩი ძველი დროის მითითური ვმირის სიმალღეზე და იგი პრომეთეოსის თანაბარი გახადა“.

ლენინის სახეში მსოფლიოს ხალხები ხედავენ თანადროულობის ყველაზე ღრმა და მოწინავე იდეების ცოცხალ გამოხატულებას. ლენინის სახელთან აკავშირებენ მსოფლიოს მშრომელები ყველა თავის მშენებელსა და კაპიტალიზმის მონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს ვ. ი. ლენინი აღმოსავლეთის ხალხებში, რომლებსაც იგი მიიხიბოთ ყველა ჩაგრულის დაუცხრომელ დამცველად, იმ ადამიანად, ვინც მათ კაპიტალიზმისა და კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისა და ახალი ბედნიერი ცხოვრების აშენების გზა უჩვენა. „თუ დასავლეთის პროლეტარიატისათვის ლენინი არის ბელადი, ლიდერი და მასწავლებელი, აღმოსავლეთის ხალხებისათვის იგი უფრო მეტს წარმოადგენს, მათთვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი წმიდათა წმიდაა, სათაყვანოა“ — წერდა ვიეტნამელი ხალხის ბელადი ზო ში მინი!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა ქვეყანაში — ყოველივე ეს

იმდენად გრანდიოზული მნიშვნელობის ფაქტებია, როგორც გვერდს ვერ აუვლიდა პროგრესული ლიტერატურა.

ოქტომბრის რევოლუციას ირანის პროგრესული ლიტერატურა გამოეხმაურა ოციანი წლების დასაწყისში. ეს იყო ირანელი პოეტების ცალკეული ცდები.

ოციანი წლებისათვის ირანის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა მეტად არასახარბიელო იყო. ქვეყნის მთელი რიგი რაიონები, რომლებიც იმპერიალისტურ სახელმწიფოების სამხედრო მოქმედების ასპარეზად იქცა, გაპარტახებული და განადგურებული იყო. ხალხთა ფართო მასები მოითხოვდნენ საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადებას. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ გაუწოდა მათ მეგობრული ხელი. ლენინის მითითებით ირანში გაიგზავნა საბჭოთა წარმომადგენელი, რომელმაც დაიწყო მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ედგა ვ. ი. ლენინი, თავის დაარსების პირველი დღიდანვე ატარებდა მშვიდობისა და სხვა ერების დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებებისათვის ანგარიშის გაწევის პოლიტიკას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით შობილმა საბჭოთა სახელმწიფომ გადაწყვეტი როლი შეასრულა მსოფლიოს ჩაგრული ერების დამოუკიდებლობის მოპოვების დიად საქმეში. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მეფის რუსეთსა და ირანს შორის დადებულ ყველა ხელშეკრულების, ტრაქტატების, კონვენციების გაუქმებამ ხელი შეუწყო ირანის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

მშვიდობის საქმისადმი თავის ერთგულებით, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის თავისი ბრძოლით საბჭოთა სახელმწიფომ, მისმა გენიალურმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა მსოფლიოს ხალხთა სიყვარული და სიპაათია დაიმსახურეს.

ბუნებრივია, რომ ირანის საზოგადოების მოწინავე ფენებში კრძალვანობის და მადლობის მოგრძობის გამოიწვევდა ვ. ი. ლენინის ზემოთაღნიშნული დიდებულებანი მოქმედება, რომელიც ირანის ნაციონალური ცხოვრების აღორძინებისა და დამოუკიდებლობისაკენ იყო მიმართული.

სპარსეთის წარმომადგენელი თურქისტანში ბ. სინეყი მისალოც რადიოგრამაში 1919 წელს ვ. ი. ლენინს მიმართავდა: „გსარგებლობ სატელეგრაფო კავშირის აღდგენით და მოგესალმებით თქვენ, აღმოსავლეთის განთავისუფლების ფუძემდებელს... აღმოსავლეთი იღვიძებს: მძლავრი შუქი დაეცა გადატაკებულ ქვეყნებს. მან გაათბო განთავისუფლების იდეები. ამ შუქის სხივებმა გაფურჩქნეს ისპაჰანის ვარდები და შირაზის ნარგიზები, რომელთა სურნელებაც მეტად ახლობელია სპარსეთის თვითეული მკვიდრისთვის, ამიტომაც არც ერთი ჩვენგანი არ დაუშვებს, რომ ისინი კვლავ გათელილი იქნენ უცხოელის ჩექმით. უღარიბესი მშრომელი მოსახლეობის ცენტრი აღმოსავლეთი, განსაკუთრებით კი, სპარსეთი, დარწმუნებულია რევოლუციის გამარჯვებაში, რადგანაც მას მოაქვს ჯანსაღი ცხოვრება და ხალხთა ნამდვილი მეგობრობა. მთელი მუსლიმანური სამყარო გულისყურით ადევნებს თვალს მის თვითეულ მოძრაობას.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ განთავისუფლების გზაზე მდგარი სპარსეთი, ისევე, როგორც მთელი გამოღვიძებული აღმოსავლეთი, ხელავს ახალი ცხოვრების ნათელ განთიადს და გაბედულად გამოვა მის დასაცავად. ამ დამაჯერებლობამ მისცა განვითარება იმ ძალებს, რომლებიც რევოლუციის წიაღიდან იღებენ დასაბამს და ზრდიან ვულკანის ძალას.

ახლა კი თავისუფლების გზაზე მდგარი მუსლიმანური სახელმწიფოები თქვენთან ერთად აცხადებენ: „გაუმარ-

ჯოს სოციალურ თანასწორობას და ხალხთა მშობას! ძირს ძველი წყობა!"<sup>1</sup>

ლენინის სახელი ფართოდ იყო ცნობილი ირანის პროგრესულად განწყობილ წრეებში. 1917 წელს, როცა ირანში შეიტყვეს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების ამბავი, დედაქალაქის დემოკრატიულად განწყობილი მოღვაწეები შეიკრიბნენ მიტინგზე მეჩეთში „შაჰ“, რათა მისალმებოდნენ საბჭოთა ქვეყანას და მის ბელადს ლენინს. ამ მიტინგზე ირანის დემოკრატიული პარტიის სახელით სიტყვით გამოვიდა თანამედროვე ირანის უდიდესი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მალიქ აშ მოარა ბაჰარი. იგი მიესალმა ლენინს, როგორც ირანის ხალხის განმათავისუფლებელს, და განაცხადა: „იმ კაცის სახელი, რომელმაც გაანთავისუფლა ჩვენი კისერი საბრაზობელის ყულფისაგან, არის ლენინი“.<sup>2</sup>

20-იან წლებში ირანის მოწინავე მწერლები და პოეტები უძღვნიან თავის ნაწარმოებებს ლენინს, უმღერიან მას, როგორც დიად პიროვნებას, ნათელ შოაზროვნეს, როგორც კაცობრიობის მხსნელსა და იმედს. მიუხედავად რელიგიური ელფერისა, რომელიც დაჰკრავს ირანელი პოეტების ქმნილებებს, ისინი გულწრფელი გრძნობით არიან გამსჭვალულნი. პოეტი დემოკრატი არეფ ყაზვინი, რომელიც ფართოდაა ცნობილი თავისი პატრიოტული და მამხილებელი თასნიფებით, 20-იან წლების დასაწყისში ქმნის პოემას, რომელშიც ლაპარაკია ბოლშევიკებზე, ლენინზე. ხედავდა რა თავის გარშემო უსამართლობას, სიღატაკეს, რევოლუციონერმა პოეტმა არეფ ყაზვინიმ იმედის თვალი მიაპყრო ერთადერთ ქვეყანას, სადაც არ იყო ადამიანის მიერ ადამი-

ანის ექსპლუატაცია, — საბჭოთა ქვეყანას. პოეტი ლენინს აღარებს წინასწარმეტყველ ჰიზრს, რომელსაც „გადმოცემის თანახმად, მოგზაურები უღაბნოდან ოაზისებთან გამოჰყავდა. არეფი ლენინსა და ბოლშევიკებში ხედავს, მშრომელი ხალხის ერთადერთ დამცველს. პოეტი წერს:

ო, ლენინო, სიმათლის მომტანი,  
კეთილი იყოს შენი მობრძანება!  
ჩემი თვალები — შენი ბინაა,  
ჩემი სახლი — შენი სახლია,  
ჩქარა გადაარჩინე ეს ქვეყანა,  
დიდება შენს რწმენას!

ამავე ხანებში პოეტი პაბიზ იალმარქმნის რამდენიმე ლექსს, რომელთა შთაგონების წყარო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო. ერთერთ ლექსში პოეტი გამოთქვამს იმედს, რომ მას შემდეგ, რაც ლენინის მოძღვრება ცხოვრებაში გატარდება, გაუმჯობესდება ჩავრულთა ხვედრი.

მოგვიანებით ქალაქ იეზდის მკვიდრი პოეტი შოქუჰი იეზდი, იხსენიებს რა იმ მძიმე წლებს, როცა ირანი გმინავდა ორმაგი უღლის ქვეშ და იყო იშპერი-ალისტოა მტაცებლური ზრახვების ობიექტი, თავის პოემაში ამბობს, რომ ირანელთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება სათავეს იღებს ლენინისაგან, მისი ცხოველმყოფელი იდეებისგან.

პოეტ დემოკრატს მირზადე ეშყის, რომელიც 1924 წელს რეაქციის აგენტებმა მოაკლეს, ლენინი მიაჩნდა რევოლუციის გამოსატყულებად. პოემის „იდეალის“ დასკვნით ნაწილში ირანის 1906—1911 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილის მოხუცი გლეხის პირით გადმოცემულია პოეტის სანუკვარი ოცნება მის მშობლიურ ირანში ძირეული სოციალური გარდაქმნების აუცილებლობის შესახებ. მირზადე ეშყი ამბობს:

უნდოდა ეთქვა სიტყვა მქუხარე,  
ხმას არ ზოგავდა და გულის სითბოს,  
თვალუბი იმე გაბრწყინებოდა,  
დიდმა ლენინმა შეხელა თითქოს.

<sup>1</sup> ЦПА ИМЛ, Ф. 461, оп. 1. ед. хран. 26268, л. л. 1, 2 заверенная копия.

<sup>2</sup> შ. ბაჰარი, ირანის პოლიტიკური პარტიების მოკლე ისტორია, თეირანი, 1944, გვ. 27.



სპარსულ პოეზიაში ლენინისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს შორის, რომლებშიც ასახულია ამ დიდბუნებოვანადამიანის პიროვნება, აღსანიშნავია ვაჰიდ დასთეგრდის პოეტური ქმნილებები. ცნობილმა სპარსელმა პოეტმა, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალის „არმადანის“ რედაქტორმა ვაჰიდ დასთეგრდიმ შექმნა მძაფრი სოციალური შინაარსის ლექსების ციკლი, მათ შორის გვხვდება სტრიქონები, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა რუსეთსა და ლენინს. მოგვიანებით ეს ლექსები გამოქვეყნდა ცალკე წიგნად „ვაჰიდის სამგზავრო საჩუქრის“ სახელწოდებით, რომელშიც პოეტური ფორმითაა გადმოცემული ირანის მოწინავე ინტელიგენციის ტიპური წარმომადგენლის შეხედულებანი მსოფლიოს პოლიტიკურ მოვლენებზე.

წიგნის იმ ნაწილში, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, ვაჰიდ დასთეგრდი მიესალმება კაცობრიობის ამ ახალ განთიადს და უმღერის მის ბელადს ლენინს. პოეტი ამბობს:

ბედნიერება ლენინმა მოგვცა,  
ჩაგვრის სასახლე მან დააქცია  
გააცისკროვნა კაცობრიობა,  
მთელი ქვეყანა ბაღად აქცია.

როცა ვ. ი. ლენინის გარდაცვალებას ამბავი ცნობილი გახდა, სევდამ მოიცვა მილიონთა გულები. მთელი მსოფლიოს ხალხები, მათ შორის, ირანელებიც გლოვობდნენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს. ლენტს იმ დიდი გვირგვინისას, რომელიც გამოტანილ იქნა ირანელი მშრომელების სახელით ლენინის გამოსვენების დღეს, ამკობდა წარწერა ჰაფეზის სიტყვებით:

„უკვდავო, ენი გულიც ანთებულია  
სიყვარულით,  
დაძვირებულია ჩვენი წარმავალი ქვეყნის  
მარგალიტებს შორის“.

თეირანში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოთა სახელმწიფოს

სრულუფლებიან წარმომადგენელს განუცხადა, რომ ლენინის გარდაცვალების დღე სპარსეთის მინისტრთა საბჭოს მიაჩნია ირანის ხალხის გლოვის დღედ. თეირანში საბჭოთა წარმომადგენლობაში სამძიმრის გამოსათქმელად გამოცხადდნენ სპარსეთის პროფესიული კავშირების, დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა: „თავის დამოუკიდებლობას სპარსეთი ლენინს უნდა უმადლოდეს“<sup>1</sup>. ისპაჰანის პოპულარულმა სახალხო პოეტმა მირზა მამედ ალი მოკრემ ჰაბიბ აბადიმ გაზეთ „სედაე ისპაჰანის“ საპეციალურ ნომერში, რომელიც მიეძღვნა ლენინის გარდაცვალების წლისთავს, გამოაქვეყნა ლექსი. პოეტი წერს, რომ ლენინმა მოიპოვა უკვდავების უფლება, რადგან მისი ძლევა მოსილი მოძღვრება მუდამ იცოცხლებს. პოეტი უკავშირებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას კოლონიური ჩაგვრისაგან აღმოსავლეთის ქვეყნების განთავისუფლების საკითხს. იგი უმღერის ლენინს, რომლის მოღვაწეობას ირანისათვის იმპერიალისტური უღლისაგან განთავისუფლება მოაქვს. მირზა მამედ ალი მოკრემი თავის ლექსში გადმოგვცემს ლენინის გარდაცვალებით გამოწვეულ საყოველთაო სახალხო გლოვას:

გარდაიცვალა ბრძენი ბელადი,  
ბუნება ტირის, გული ღონდება,  
ქვითინებს მუშა, ქვითინებს გლეხი,  
ყველგან გაისმის მწარე გოდება.

გაზეთ „სედაე ისპაჰანის“ ამავე ნომერში მოთავსებულია წერილი კრუპსკაიას მისამართით, რომელიც ასე იკითხება:

„მოსკოვი, ამხანავ კრუპსკაიას,  
საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის  
გადასაცემად.

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს

<sup>1</sup> Ленин и Восток, М., 1924, стр. 63.

დის ამხანაგ ლენინის მოძღვრების ძალა და ძლიერება ისეთია, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში, რომელიც გავიდა ლენინის სიკვდილიდან, მისმა მოძღვრებამ მოიცვა მსოფლიოს ყველა კუთხე და განუწყვეტლივ იზრდება, ფართოვდება და ძლიერდება ყველგან, კერძოდ, მუშათა ფართო კლასობრივ გაერთიანებებში. ლენინის აზრმა მთლიანად მოიცვა მთელი მსოფლიოს მშრომელთა წრფელი გულები, ლენინმა მოიპოვა მუდმივი ცხოვრება: მისი სული ცოცხლობს მის დიად მოძღვრებაში.

ეს თანაგრძნობაა, რომელსაც ჩვენ —ისპაპანის მუშები, ხელოსნები და სოციალისტები ვიგზავნი თქვენ, რუს მუშებს, დიდი ბელადის ახლობლებს“. შემდეგ მოდის მრავალი ხელისმორწრა. გამოჩენილმა ირანისტიმა იური მარმა ხელმისაწვდომი გახადა ნაკლებად ცნობილი პოეტის მირზა მოჰსენ დასათვარდის შემოქმედება. აღსანიშნავია მისი პოემა „კონსტიტუციის სარკე“, რომელშიც გადმოცემულია ერთი ტურისტის საუბარი ირანელ გლეხთან და მის ვაჟთან. იგი ლენინს მიაკუთვნებს იმ ისტორიულ პიროვნებათა რიცხვს, რომელთა სახელს არ დაივიწყებს კაცობრიობა. ლენინი მხსნელად მოველინა ხალხს, გაანთავისუფლა იგი დესპოტიზმისა და ჩაგვრისაგან.

ამავე თემაზეა დაწერილი მირზა მოჰსენ დასათვარდის პოემა „წიგნი შიმშილის შესახებ“, რომელშიც რამდენადმე გულუბრყვილოდ, მაგრამ თავისებურად გადმოცემულია 1917 წლის ამბები რუსეთში. პოეტი მოგვითხრობს იმ შიმშილზე, რომელმაც მოიცვა რუსეთი, მშრომელი მასების მძიმე მდგომარეობაზე, ომზე.

ამ მძიმე პირობებში ლენინი წარმოდგენილია, როგორც უბრალო ადამიანების ქომაგი. აღწერილია სხდომა, სადაც ლენინმა მოითხოვა პურის კონფისკაცია და დამშეულთათვის გადაცემა. პოეტის თქმით, ლენინი უამბობს ირანელი გმირის შახდაკის შესახებ,

თუ როგორ დააპურა მან დამშეულებს. სხდომის მონაწილე კომიტეტის წევრები მაშინვე შეუდგნენ შოკმოდებას ირანელი პოეტის ეს გულუბრყვილო ხერხი, პირობითობის მიუხედავად, მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად ახლობელი და ძვირფასი იყო ირანელებისათვის შორეული რუსეთის რევოლუცია და მისი ბელადი ლენინი.

ლენინის სახე ოციანი წლების სპარსულ პოეზიაში წარმოდგენილია, უმეტეს შემთხვევაში, რამდენადმე განყენებულად და პირობითად. ნაწარმოებებში გამოყენებული სახეები არც თუ ისე იშვიათად მოკლებულია ემოციურ ცხოველყოფილებას, მაგრამ ეს ლექსები საინტერესოა თავის იდეით, რომელიც აცნობს ირანის ფართო საზოგადოებას საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ლენინის გენიას.

ოცდაათიანი წლები ირანში არის რუხა შაჰის შავბნელი ხანა. იდეებზე ყოველივე პროგრესული და მოწინავე. რეაქციის ბატონობის ამ მძიმე წლებში საშინელი პირობები შეიქმნა პროგრესულ ლიტერატურას. მოჰკლეს მირზადე ეშყი. დააპატიმრეს პოეტი რევოლუციონერი ფაროზი იეზდი, რომელიც ციხეშივე გარდაიცვალა. საპატიმროშივე მოუსწრაფეს სიცოცხლე ცნობილ ირანელ საზოგადო მოღვაწეს დოქტორ თაყი ერანის. ნიჰიერმა მეცნიერმა და პუბლიცისტმა თაყი ერანიმ დააარსა ჟურნალი „დონია“, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ირანის ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის აღზრდის საქმეში. ეს იყო პირველი სპარსული ჟურნალი, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს ქადაგებდა, ხოლო მის რედაქტორს დოქტორ თაყი ერანის ირანში მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პროპაგანდაში წინამორბედი არ ჰყოლია.

ორმოციანი წლებიდან იწყება ირანის პროგრესული ლიტერატურის აღმავლობა, რომელიც მოჰყვა ირანში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდას.

ირანის კულტურის მოღვაწეთა მოგზაურობამ საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების სპარსულ ენაზე და, რაც მთავარია, ირანელი ხალხის მიერ დემოკრატიული უფლებების მოპოვებამ განაპირობა საბჭოთა თემატიკაზე დაწერილ სპარსულ ნაწარმოებების რიცხვის ზრდა.

ვ. ი. ლენინის შრომები ირანში პირველად 40-იან წლებში გამოქვეყნდა. სპარსულ ენაზე ითარგმნა „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“. „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, აგრეთვე, მ. გორკის წიგნი „ვ. ი. ლენინი“.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სიდიადე და მნიშვნელობა უფრო ფართოდ და ახლებურად აისახა ირანელი მწერლების ნაწარმოებებში. ირანელი ლიტერატორები წერენ იმაზე, რაც საკუთარი თვალთ ნახეს და უშუალოდ განიცადეს იმ ისტორიულ დღეებში, როცა საბჭოთა ქვეყანა მედგრად ებრძოდა კაპობრიობის დაუძინებელ მტერს, ფაშიზმს.

1944 წელს ალი ასლარ მოინიანი წერს თავის ცნობილ ლექსს „დიდი ოქტომბრის რევოლუცია“. პოეტი გატაცებით უმღერის და შარავანდებით მოსავს დიდი ლენინის დაუვიწყარ სახეს. თავისი გრძნობები ბრძენი ბელადისადმი ირანელმა პოეტმა ძალითა და შთაგონებული მხატვრული სახეებით გამოხატა.

ჩაგრულ ხალხს ჰყავდა მხნელი ტიტანი,  
ნიკით აღსავსე ბრძენი ნამღვილი,  
იყო მამაცი და უმოშირი,  
ხალხს აუსრულა გულის წადილი.  
იგი გამოშნდა, როგორც გენია,  
და რუსულ ზეცას მისცა სინათლე.  
ლენინი ერქვა იმ ადამიანს,  
ლენინი ჰქვია ყველა სიმათლეს.

ლენინის ცხოვრების თემაზე დაწერილ სპარსულ ლექსებს შორის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ყაპრამანის ლექსი „ლენინის ხსოვნას“, ეს ლექსი პოეტმა წაიკითხა 1946 წლის იანვარში ლენინის ხსოვნისადმი მიძღ-

ვნილ სამკლოვიარო სელამოსე, რომელიც მოაწყო ირანის საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ თეირანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

ვ. ი. ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე ძალმომრეობისა და ჩაგვრისაგან კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს მიუძღვნა. პოეტი ლაპარაკობს ლენინის ჰუმანიზმზე და წერს:

ლენინს არ სურდა, რომ ხალხს ეცხოვრა,  
ვით ჰქვის ხანაში მწარე სევადელით,  
ლენინს არ სურდა, რომ ადამიანს  
მუღამ ქონოდა მწუხარე ხედრი,  
ლენინს არ სურდა ჭიშხა და ომში  
დაკარგულიყო აზრი დალი,  
ლენინს არ სურდა კვლავ ხალხს ტანჯადე,  
ავადყოფობა, შიმშილი, დარდი.

ამ ლექსში გადმოცემულია მშრომელთა მილონების გლოვა ლენინის გარდაცვალების გამო. მაგრამ პოეტს ღრმად სწამს, რომ ლენინის სახელი შერჩება მარადისობას, რომ იგი უკვდავია. პოეტმა შესანიშნავად გამოხატა ლენინის კავშირი ხალხთა ფართო მასებთან, მისი მტკიცე რწმენა ხალხთა მასების შემოქმედებითი ძალებისადმი. აღნიშნავს რა ლენინის ღრმა კავშირს რუსეთის მშრომელებთან, პოეტი ყაპრამანი ამასთანავე გვიჩვენებს მის კავშირს მთელი მსოფლიოს დამონებულ ერებთან. აქ ხაზგასმულია დიდი ლენინის გენიალური იდეების ცხოველყოფილობა და მნიშვნელობა მსოფლიოს ყველა ერის ისტორიულ განვითარებაში. ყაპრამანი თავის ლექსის დასკვნით ნაწილში გადმოგვცემს, თუ რა ფართო გავრცელება მოიპოვეს ლენინის იდეებმა მსოფლიოში და რომ სწორედ ეს არის ლენინის სახელის უკვდავების მიზეზი:

უკვდავი არის, ვისაც გულწრფელად  
კაცობრიობა უწოდებს ბელადს,  
უკვდავი არის, ვისი სახელიც  
მომავლის დიდ გზებს უნათებს ყველას,  
ვისი სიტყვებიც ზეპირად იცის

და იმერებს შრომელი მარად,  
იცოცხლებს სანამ თავისუფლებს  
ნათელი გულებს ათობს და ფარავს.

აღსანიშნავია ამ ლექსის ზოგიერთი ნაკლოვანება. ყაპრამანის ლექსი „ლენინის ხსოვნას“ დაწერილია კლასიკური ყასიდის ყაიდაზე. მართალია, ლექსის ენა სადა და ვასაგებია, პოეტი ცდილობს გააცნოს მკითხველს ლენინის სოციალური მოძღვრების ელემენტარული დებულებები, მაგრამ ყველაფერი ეს არ არის საკმარისი ასეთი დიდი მასშტაბის თემის გასასხნელად. აბსტრაქტული განსაზღვრებების ფონზე ყაპრამანმა სათანადო პოეტურ სიმალეზე ვერ აიყვანა მხატვრული სახე ლენინისა, ყველაზე „ამ ქვეყნიური ადამიანისა“.

მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებებისა და სქემატიზმის, ყაპრამანის ლექსი ლენინზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა. იგი გვიჩვენებს საზღვარგარეთული ქვეყნების შრომელების ღრმა სიყვარულს მსოფლიო პროლეტარიატის ბრძენი ბელადისადმი — ლენინისადმი და ამ ქვეყნების მოწინავე პოეტების გულწრფელ სურვილს წერონ ამ თემაზე.

აღსანიშნავია აგრეთვე გამოჩენილი ირანელი მწერლის ეჰსან თაბარის ნაწარმოები „ვ. ი. ლენინი“, რომელშიც აღწერილია ვ. ი. ლენინის ცხოვრება ყრმობიდან ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე.

პოეტი თავალი საბზევარი ლენინს გარდაცვალების 21-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ლექსში ლაპარაკობს საბჭოთა ქვეყანაში ლენინის გენიალური იდეების განხორციელებაზე, საბჭოთა ხალხის ბედნიერ ცხოვრებაზე და ბოლოს

აღნიშნავს, რომ ლენინის ხსოვნისადმი პატივისცემა გამოხატულია საბჭოთა სინამდვილის არსებობით.

ცნობილმა ირანელმა პოეტმა ქალმა ეალემ საუკეთესო, გულთბილი და გულწრფელი სტრიქონები უძღვნა მსოფლიოს შრომელთა იმედს — ლენინს. ლექსში „სალამი ბელადს“ ეალე გამოხატავს აღტაცებას საბჭოთა ქვეყნის თავისუფალი ცხოვრებით და მადლობის წრფელი სიტყვებით ლაპარაკობს იმ დახმარებაზე, რაც გაუწია მის მშობლიურ ირანს საბჭოთა ქვეყანამ.

პოეტი ქალი ეალე იყო მოსკოვში, ინახულა მეზოლეუმი. ამავე სახელწოდების ლექსში პოეტი დიდი სიყვარულით გვიამბობს, თუ როგორ მოისწრაფიან სხვადასხვა ერების ათასობით წარმომადგენლები, რათა იხილონ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის — ლენინის დაუვიწყარი სახე.

აბლგაზრდა პოეტი დიდი შინაგანი მღელვარებით, სადა და მშვენიერი მხატვრული სახეებით უზიარებს თავის თანამემამულეებს იმ წარუშლელ შთაბეჭდილებებს, რომლებიც მან მოსკოვში მიიღო.

ამ უბრალო გულითად სტრიქონებში გამოხატულია ფიქრები და გრძნობები არამარტო ირანის ჩაგრული ხალხისა, არამედ კაპიტალისტური აღმოსავლეთის ყველა უუფლებო ხალხისაც, რომელთათვის ლენინი წარმოადგენს „სიღიადის მთელ სამყაროს“.

ლენინის სახელი მთელი მსოფლიოს შრომელთა დროშაა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, ხალხთა ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.



## ბაკაბ გვაჩინთაძე

### შენიშვნები 1963 წლის ზოგიერთ პროზაულ ნაწარმოებზე

1963 წლის დასაწყისშივე, მარტის ცნობილი შეხვედრებით ერთხელ კიდევ გაირკვა საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი მიზანი და მიმართულება საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

მწერლის მოვალეობა საზოგადოების წინაშე, მისი აქტიური პოზიცია, მსოფლმხედველობრივი სიწმინდე და სიტყვიერება, ლიტერატურის დანიშნულება და როლი თანამედროვე ცხოვრების მხატვრულ შემეცნებაში, მისი ხალხურობა და პარტიულობა, საბჭოთა ლიტერატურის ესთეტიკური იდეალი — აი საკითხთა ერთი ნაწილი, რომელიც გაშუქებულ იქნა უკანასკნელი წლების პარტიულ დოკუმენტებში. მარტის შეხვედრებიდან გავიდა ერთი წელი. ეს არც თუ დიდი დროა მწერლობისათვის და ამ შეხვედრების ნაყოფი თანდათან სულ უფრო თვალსაჩინო იქნება. ახლა კი, რაც მთავარია, იგრძნობა ის ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც შეიქმნა ამ შეხვედრების წყალობით და რომელიც საწინდარია საბჭოთა ლიტერატურის ახალი შემოქმედებითი წარმატებებისა.

საბჭოთა ლიტერატურას უკვე ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. მან დიდი ხანია გაიარა შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი. ამიტომ დღეს მისთვის ერთნაირად მიუტევებელია როგორც ფორმალისტური შეცოდებები,

ასევე იდეურ-თემატური აქტუალობის გამო შეღავათების გაწევა, რაც ასე დამახასიათებელი იყო მისი განვითარების ადრეულ ეტაპებისათვის. თუ ადრე ეს ერთგვარად გამართლებული იყო; ახლა, როდესაც საბჭოთა ლიტერატურას თავისი მდიდარი ტრადიციები და ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, ცალკე ნაწარმოების, თუ მთლიანად ლიტერატურის შეფასებისას მხატვრობის კრიტერიუმი ისევე მკაცრი უნდა იყოს, როგორც იდეურ-მსოფლმხედველობრივი. ეს არის ერთადერთი პოზიცია, საიდანაც შეიძლება გაირკვეს სწორედ ამა თუ იმ მწერლისა ან მთლიანად, გარკვეული პერიოდის ლიტერატურას ავტორგანიზაცია.

საბჭოთა ლიტერატურა თავისი არსებობის მანძილზე ერთ მსოფლმხედველობას ემყარება და მისი თეორიული პრინციპები და ზოგადი საფუძველი მყარია. მაგრამ ეს არ გამორიცხავს მის განვითარებას, გამომსახველობითი საშუალებების განუსაზღვრელი ძიების უფლებას, სტილურ მრავალფეროვნებას.

• თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაშიც შეინიშნება მთელი რიგი სიახლეები. ყოველ შემთხვევაში, შემოქმედებითი ძიება სიახლეებისა, ვფიქრობ, ყველასათვის აშკარა და თვალსაჩინოა ჩემი აზრით, თანამედროვე საბჭოთა მწერლობა უფრო მეტად ცდილობს

ვასცეს პასუხი კითხვას: როგორია საბჭოთა ადამიანი, რა რწმენისა და მიზნის? როგორია ის მორალურ-ეთიკური საფუძვლები, რომელთაც საბჭოთა ადამიანი ეყრდნობა? ამ ორი-საში ათეული წლის წინ კი ახალი, ანუ საბჭოთა ადამიანის მხატვრული სახის შექმნისას, მწერალი მეტ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რას საქმიანობდა ეს ახალი ადამიანი, როგორ ცხოვრობდა, რა კონკრეტული მიზანდასახულებისათვის იღწეოდა. უფრო პირდაპირ რომ ვთქვა, დღევანდელი მწერლობა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს (საკამათო რომ არ ვახდეს, შეიძლება ასე ითქვას, უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს) მისი თანამედროვე ადამიანის შეგნების, ბუნების, მორალურ-ეთიკური სახის გარკვევას და, ამდენად, უფრო მეტად უნდა იყოს აღბეჭდილი ფსიქოლოგიური წყდომით, ზოგად-ფილოსოფიური პრობლემებისა და საკითხებისადმი ინტერესით, ადამიანის შინაგანი სამყაროს ჩაძიებული რკვევით.

ინტელექტუალიზმი და ფსიქოლოგიზმი, რაღა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურის დამახასიათებელი თვისებები, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ დღევანდელ მწერლობას უფრო აქეთ აქვს გამახვილებული ინტერესი. ზოგს ასე წარმოუდგენია, რომ ლიტერატურაში ფსიქოლოგიზმის ზრდასთან ერთად, პირდაპირ პროპორციულად კლებულობს სოციალური საკითხებით დაინტერესება და ამიტომ მათ გაგონებაც არ სურთ არავითარი ფსიქოლოგიზმისა. ეს მხოლოდ უხეირო ნაწარმოებში ხდება ასე და ამიტომ ტენდენციის პრინციპის უარყოფა სწორი არ იქნება. რა სახისაც არ უნდა იყოს ეპოქური ნაწარმოები, თუ სოციალური ურთიერთობა, ცხოვრების რეალური სურათები არ ექნა ფონად, გმირის განცდის, ან, საერთოდ, ხასიათის ამხსნელ საშუალებად, მასში არ გამოიკვეთება სრულად და დამაჯერებლად არც ზოგადი და არც კონკრეტული საკითხები.

ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგობა მხოლოდ თვითმიზნური (ანაბნის) იქნება, და ჩვენი ინტერესი ნაწარმოების მიმართ უთუოდ განელდება. მაშასადამე, ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალური პრობლემების უფრო კონკრეტულ-გარჩობად ასპექტში გადაწყვეტაზე, ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრულ გახსნაზე მათდამი გმირის შინაგანი დამოკიდებულების საშუალებით.

ამას ბუნებრივად თან სდევს ნაწარმოების, მაგალითად რომანის ახლებური აგების აუცილებლობაც. როდესაც მწერლის ყურადღება ამბის მხატვრულ თხრობაზე კი არ არის გადატანილი, არამედ რაღაც კონკრეტულ მოვლენასთან გმირის შინაგანი დამოკიდებულების და განცდის მხატვრულ გახსნაზე, თავისთავად საჭირო ხდება კლასიკური რეალისტური რომანისაგან განსხვავებული ახალი კომპოზიციის ძიება. მოქმედებისა და დროის ლოკალიზება, ინტერესების ერთ საკითხთან და ერთი მიმართულებით კონცენტრირება მწერლისაგან მოითხოვს ახალი, უფრო ძნელად აღმოსაჩენი ფორმის მიგნებას. თუ კლასიკური რომანში, რაგინდ რთული კომპოზიციისაც არ იყოს იგი, მწერალს თვით ამბავის განვითარება უკარნახება ნაწარმოების აგებულებას, მის შეკრასა და შედუღებას, ერთ მთლიან ყალიბში მოქცევას, თანამედროვე რომანში მწერალმა რაღაც ახალი პრინციპი უნდა იპოვნოს აგებისა.

ერთი სიტყვით, თანამედროვე ლიტერატურა, კერძოდ, თანამედროვე მხატვრული პროზა ეძიებს ახალ გზებსა და საშუალებებს იმისათვის, რომ უკეთესად, უფრო სრულად და ღრმად გამოხატოს საბჭოთა ადამიანის მაღალი სულიერი თვისებები, დაგვანახოს და გაგვიხსნას მისი ფიქრები და განცდები გვიჩვენოს ის გარემო, რომელიც აყალიბებს ახალი, კომუნისტური შეგნებისა და მორალის ადამიანს.

1963 წელს ქართულ ლიტერატურულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ მხატვ-



რულ პროზას რომ ეცნობით, თავიდანვე თვალში გეცემათ მისი მრავალფეროვანება, აქ თითქმის ყველა სახის ნაწარმოებია წარმოდგენილი: მოთხრობა, ნოველა, მხატვრული ნარკვევი, რომანი. მკითხველი აქ ნახავს სოციალური თუ ფსიქოლოგიური, სატირული თუ იუმორისტული, სათავგადასავლო თუ მემუარული ხასიათის ნაწარმოებს. ეს თავისთავად ლაპარაკობს ქართველი პროზაიკოსების ინტერესების მრავალმხრივობაზე.

მე ამ სტატიაში შემოვიფარგლები „მნათობში“ დაბეჭდილი ზოგიერთი ნაწარმოების მიმოხილვითა და ანალიზით, მაგრამ ვიდრე ამას შევუდგებოდე, მინდა რამდენიმე სიტყვით მოვიხსენიო სხვა ქანრის განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოებები.

მხატვრული ნარკვევი სულ უფრო და უფრო მტკიცედ იმკვიდრებს ადგილს ქართულ მწერლობაში, რადგანაც დაბეჭდილებით უახლოვდება მხატვრული პროზის დონესა და ემოციური ზემოქმედების ძალას იძენს. ხშირად ძნელდება კიდევ ზღვარის დადგენა მხატვრულ ნარკვევსა და მოთხრობას შორის. ამ ათი-თხუთმეტი წლის წინ მომრავლდა საგაზეთო ნარკვევები, რომელთა ავტორები მხატვრულობის გაძლიერების მიზნით უადგილოდ მიმართავდნენ ბუნების აღწერას, იშველიებდნენ ძველ, გაცვეთილ, შტამპად ქცეულ შედარებებსა და მეტაფორებს, რომელთაც მოსდევდა მშრალი ციფრები და პათეტიკური ფრაზები. სამწუხაროდ, ეს სტილი, რამდენიმე დაშაქრული ფრაზით შეზავებული, მშრალი, სქემატური ნარკვევებისა დღემდე ვერ უკუაგდო ზოგიერთმა გაზეთმა და ჟურნალმა. ასეთი ხასიათის ნარკვევებს უპირისპირდება ის სადა, მაგრამ ჰუმანიტად მხატვრული ნარკვევები, რომლებშიც გამოკვეთილია საბჭოთა ადამიანების პორტრეტები, განმავრცადებლად მოთხრობილი მათი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, გახსნილია მათი ხასიათი. უნდა სიამოვნებით აღინიშნოს, რომ ახლა მხატვრუ-

ლი პროზის ამ თავისებური და მნიშვნელოვანი სახისადმი მეტ დაფრთხილებას იჩენენ უფროსი თუ უმცროსი მწერლები. ამის ნიმუში გახლავთ 1963 წლის ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილი ნარკვევები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გრიგოლ ჩიქოვანის „ადამიანი მიღის წინ“ (№ 1) და ნოდარ წულეისკირის „ჯაღოსნური სითხე — კაპროლაქტამი“ (№ 5).

უკანასკნელ წლებში რამდენიმე მემუარულ-ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები გამოქვეყნდა, რომლებიც მკითხველის ყურადღებას კვლავ მიაქცევენ სამამულო ომის მრისხანე, მაგრამ პეროიკით სავსე წლებისაკენ. ასეთ ნაწარმოებებს ყოველთვის თან სდევს სუბიექტურობის საშიშროება. ავტობიოგრაფიული ნაწარმოების წერის დროს მწერალს დიდი ტაქტი და ზომიერების გრძნობა სჭირდება იმისათვის, რომ მკითხველს არ შეეპაროს ეჭვი მის გულწრფელობაში. როდესაც მწერალი ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებში თავისთავს მეტისმეტად დიდ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებს, ეს უთუოდ ანელებს მკითხველის ნდობასა და ინტერესს.

ზემოხსენებული ნაკლისაგან დაზღვეულია ის ნაწყვეტი ალექსანდრე კალანდაძის წიგნიდან „მაკიზარებთან“, რომელიც „მნათობის“ მე-10 ნომერშია დაბეჭდილი. ავტორი თავითონ არის უშუალო მონაწილე ბრესტის ბრძოლებისა, რომელსაც მეტად საინტერესო წიგნი უძღვნა „დღეები ბრესტის სიმაგრეში“, იმ პარტიზანული მოძრაობისა და საფრანგეთში და პოლონეთში, რომლებშიც ფრანგ, პოლონელ, ესპანელ პარტიოტებთან ერთად, საბჭოთა მებრძოლებმაც მიიღეს მონაწილეობა. ავტორი თავის წიგნში „მაკიზარებთან“ მიზნად იმას კი არ ისახავს, რომ გვიჩვენოს თუ რა გადახდა პირადად მას ომის წლებში, არამედ იმას, რომ უშუალო მონაწილისა და მომსწრის თვლით დაგვანახოს და გავიხსნას ანტიფაშისტური პარტიზანული ბრძოლების მონაწილეთა ჰე-

როიკული სული, თავდადება, კეთილშობილება, მოგვეცეს იმ ეპოქის მართალი სურათები, მხატვრულად მოგვითხროს საინტერესო ეპიზოდები იმ დიდი ბრძოლის ეპოქიდან. ასეთი მიზანდასახულება ნაწარმოებს უკვე საყურადღებოსა ხდის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორი ყოველივე ამას ოსტატურად მოგვითხრობს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომალექსანდრე კალანდაძის წიგნს „მაკიზარებთან“ ინტერესით მიიღებს მკითხველი.

რაც შეეხება საკუთრივ მხატვრულ პროზას — მოთხრობას, ნოველას, რომანს, — ეურნალ „მნათობში“ გასულ წელს არც თუ ცოტა საინტერესო ნაწარმოებები დაიბეჭდა. „მნათობში“ გამოქვეყნებული პროზაული ნაწარმოებების ძირითადი ნაწილი ჩვენ გვარწმუნებს მათ ავტორთა ოსტატობასა თუ ნიჭიერებაში, იმაში, რომ თანდათან სულ უფრო მალდება ქართული მხატვრული პროზის დონე, აგრეთვე, მოწმობს მაღალ მომთხოვნელობასაც, ნაწარმოებთა დასაბეჭდად შერჩევის დროს. თუმცა ისიც უნდა ვთქვა გულახდილად, რომ რამდენიმე მოთხრობა და ერთიორი რომანიც კი გამოურია „მნათობში“ ისეთი, რომლებიც, ვფიქრობ, არ დგას თანამედროვე ქართული პროზის დონეზე.

მე არ გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას ასეთ ნაწარმოებებზე; რადგან 1962 წლის ქართული პროზის შესახებ „ცისკარში“ დაბეჭდილი ჩემი წერილის პათოსი ძირითადად სწორედ პრიმიტიული, მხატვრულად უსუსური ნაწარმოებების მხილება იყო. „მნათობში“ რამდენიმე ისეთი პროზაული ნაწარმოებიც დაიბეჭდა, რომელიც უფრო თავისი თემატურ-აქტუალობით იქცევს მკითხველის ყურადღებას, ვიდრე მხატვრული გადაწყვეტის სიძლიერით. როგორც ჩანს, ამ „აქტუალობისადმი“ შეღავათებით უნდა აიხსნას ზოგიერთი ნაწარმოების გამოქვეყნება. თუმცა ჩემი ღრმა რწმენით, დღეს, საბჭოთა ლიტერატურას სულაც არ ესაჭიროება ასე-

თი დათმობა. სავსებით სამართლიანია და სწორი ის მოსაზრება, რომ დღეს, ასეთი შიშველი აქტუალური თემატიკა, მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები უფრო ვნებენ ჩვენს მწერლობას, რადგან ანელევენ მკითხველის ინტერესს თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ლიტერატურისადმი. ასეთი ხასიათის ნაწარმოებები არ არის დამახასიათებელი „მნათობისათვის“.

ქართული მხატვრული პროზის ძირითადი ნაწილი უთუოდ მეტყველებს რედაქციის მომთხოვნელობასა და პრინციპულობაზედ. ამ რწმენას კიდევ უფრო გვიმტკიცებს „მნათობში“ დაბეჭდილი თარგმანებიც: სტეინბეკის „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ (მთარგმნელი ვ. ჰელიძე), სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ (მთარგმნელი რევაზ თვარაძე) ნაგიბინის „ჩვენ ოთხნი ვიყავით“ (მთარგმნელი მ. აგიაშვილი). სტეინბეკისა და სოლჟენიცინის ეს ნაწარმოებები საყოველთაოდაა ცნობილი და აღიარებული, მათი ლიტერატურული ანალიზი ამ სტატიის მიზანდასახულებას სცილდება და ამიტომ სიტყვას აღარ ვავაგრძელებ, მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნო, კერძოდ, ამ ნაწარმოებთა ქართული თარგმანების მაღალი ღირსება.

გასულ წელს გამოქვეყნებული მოთხრობები და ნოველები არც თავისი პრობლემატიკითა და მიზანდასახულებით, არც თავისი ესთეტიკური იდეალის გამოხატვის საშუალებით არ არიან ერთფეროვანი. ედიშერ ყიფიანს თავის მოთხრობაში „ვინც გაჩნდა ჭკეყნად“ (№ 1) მშობლის დიდი ვალის გარკვევა დაუსახავს მიზნად. ელიზბარ ზედგინიძე ადამიანური სითბოს, ურთიერთ სიყვარულის ერთ კონკრეტულ გამოხატულებას იძლევა მოთხრობაში „ფანჯარა მესამე სართულზე“ (№ 2), ოთარ კუპრავა „ლურჯი ზეზის ზღამრით“ (№ 12) ლირიული განწყობილებით, ზოგჯერ სენტიმენტალურობაში რომ გადადის, სულიერი სისპეტკისაკენ მოგვიწოდებს. სერგო კლდიაშვილ-

მა ხუთი მოთხრობა გამოაქვეყნა, რომელნიც ერთ ციკლში ვერ გაერთიანდებიან და სულ სხვადასხვა სათქმელს და განწყობილებას გამოხატავენ: „ცნობის-მოყვარე“ (№ 3) ბავშვის სპეტაკ ოცნებას გვიჩვენებს მშობლების უკვდავებაზე, „სტატისტი“ (№ 2) პირიქით, ზოგჯერ ამ სისპეტაკის, ადამიანის შინაგანი მთლიანობის დარღვევაზე მეტყველებს, „ჯორდანო ბრუნო“ (№ 2) ადამიანურ: სიამაყის, სიმტკიცის, სიდიადის განმასახიერებელია. „გამოთიშული დრო“ (№ 2) უფრო სევდიანი განწყობილების მატარებელია, რადგან ძნელი ხდება იმ სიცარიელის შევსება ან წაშლა, რომელიც ადამიანთა ურთიერთობაში ხანგრძლივი დაშორებით იქმნება. ჩემს მიერ დასახელებული ნაწარმოებები ქმნიან თანამედროვე ქართული მოთხრობის დონეს და ისინი თავისი ემოციური ზემოქმედების ძალით უთუოდ ააღვლევებენ და ჩააფიქრებენ მკითხველს.

ისიც აღსანიშნავია, რომ „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მოთხრობები ყოველთვის პოზიტიური მატარებლები არ არიან ესთეტიკური იდეალისა. ოთარ ჩხეიძის სატირული ხასიათის ეტიუდი „ახამბარი“ (№ 2), ედიშერ ყიფიანის „ვინც გაჩნდა ქვეყნად“, თეიმურაზ მაღლაფერიძის „უშმა“ და რამდენიმე სხვა მოთხრობა სწორედ უარყოფას, მხილებას, დაპირისპირებას ემყარება.

მე მინდა უფრო დაწვრილებით შევეჩერდე რამდენიმე მოთხრობაზე, რომელთაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, უფრო მიიქციეს ჩემი ყურადღება.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მწერლობაში საკმაოდ ხშირად არის აღრეული სხვადასხვა სახეები პროზისა. ვრცელ მოთხრობასა და რომანს შორის, მოთხრობასა და ნოველას შორის, ესკიზსა და ეტიუდს შორის, რაღა თქმა უნდა, ძნელია სადემარკაციო ხაზის გავლება, რომელიც მათ მკაცრად გამოიხანავს ერთმანეთისაგან, მით უმეტეს, რომ თანამედროვე ეპოქაში მათ ბევრად იცვალეს თავისი კლასიკური სახე. მაგრამ ამ ჩარჩოების, ენარუ-

ლი სპეციფიკის შემოფარგვლის სიძნელეს გამო საბოლოოდ „სტატისტი“ ამარიოს ყველაფერი. ლევან ზვირგვინაძის „არსებითად არაფერი შეცვლილა“ (№ 5) და სერგო კლდიაშვილის „ტურისტისტი“ (№ 3) მოთხრობებზე არის წარმოდგენილი, თუმცა, ვფიქრობ, ეს სწორედ ნოველებია და არა მოთხრობები. ამის თქმის უფლებას არა მარტო მათი კომპაქტურობა უნ სიმცირე მძალევს, ან სხვა ნიშნები ნოველისა, არამედ ის, რომ ავტორები შეეცადნენ ამ ნაწარმოებებისათვის მიეცათ წმინდა ნოველური, ეფექტური, მოულოდნელი დასასრული. თუმცა მათ ის განასხვავებთ, რომ ეს ცდა ორთავე ავტორს თანაბრად არ გამოუვიდა.

ლევან ზვირგვინაძის ნაწარმოებები „არსებითად არაფერი შეცვლილა“ იმაზეა აგებული, თუ ზანგი ქალი როგორ მოხერხებულად გააცურებს რედაქტორს და თავის ქმრის სახელით, რომელსაც აკრძალული ჰქონდა პატიმრობის გამო ბეჭდვა, გამოაქვეყნებს მოთხრობებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ამბავი ნოველის ფინალში მოულოდნელი აღმოჩნდება მხოლოდ მოხუცი რედაქტორისათვის, მკითხველმა კი ეს თავიდანვე, ნოველის პირველივე გვერდებიდან იცის და ფინალი ფაქტიურად ჩვენზე არავითარ მოულოდნელ შთაბეჭდილებას არ ახდენს. ამიტომ დაირღვა მთელი კანონზომიერება ენარისა, და ეს ნაწარმოები აღარც ნოველა გამოვიდა და აღარც მოთხრობა.

ამ მხრივ, და არა მარტო ამ მხრივ, მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სერგო კლდიაშვილის ნოველა „ტურისტისტი“. მწერალი მოგვითხრობს უცხოეთში დაბადებული ქართველის რევოლუციონარული ჩამოსვლას საქართველოში, რომელსაც განუზრახავს ნახოს და ცოლსაც, ინგილსელ ქალს აჩვენოს თავისი სამშობლო კუთხე — ზემო სვანეთი. მწერალი განზრახ დაბეჭდილებით მიგვანიშნებს, თუ რა გულგრილად შეხვდა ტურისტად ჩამოსული ცოლქმარი ამ მათთვის ახალ მხარესა და

გარემოს. რევას მამის ნაამბობით უფრო რომანტიკულად ქონდა წარმოდგენილი თავის წინაპრების სამშობლო და მთელი გზა ნანობა, ეგებ არც ღირდაო აქ ჩამოსვლა. მისი მეუღლე კი, რომელსაც მოუვლია ინდოეთი, უნახავს პერუს მთები და შვეიცარიის ალპებშიც ხანგრძლივად ყოფილა, იმდენად არის შეჩვეული მთიან ადგილებს, რომ მანქანით მგზავრობის დროს წიგნის კითხვას არჩევს სვანეთის მკაცრი პერიზაჟით ტკბობას. შემდეგ, როცა ცხენებზე გადასხდნენ, არც ეს იუცხოვეს ტურისტებმა, და ამ განწყობილებით უნდა დამთავრდეს თითქოს ნაწარმოები, რომ ბოლო აბზაცში ყველაფერი საოცარი მოულოდნელობით იცვლება.

ტყიანი მთა რომ აიარეს და წინ ერთბაშად გადაშლილი პლატოს ბოლოს, ფერდობზე, გულბანების სოფელი ქორეთი გამოჩნდა, როდესაც ინგლისელმა ქალმა პირველად იგრძნო სვანეთის სილამაზე და ბინოკლი მოიმარჯვა, მას უეცრად შემზარავი ხმა მოესმა. გულბანი, ევროპაში დაბადებული, დიდ კულტურა და ცივილიზაცია ზიარებული ადამიანი, ცნობილი მეცნიერი, „თავის თავს აღარ გავდა. უნაგირზე ამართულიყო სახეშეცვლილი მამაკაცი, თვალეზაბრიალებული მიშტერებოდა პლატოს ბოლოზე ამართულ კოშკებს და რაღაცას ლულულულებდა. შეშინებულმა ქალმა შემოაბრუნა მისკენ ცხენი, მაგრამ გულბანმა არც მოხედა, მოიფრიალა ქუდი, დასწყვიტა ზერდავს, მოუშვა ალფირი და ხშიანი შეძახილით გააქანა იქით, სადაც სოფელი ჩანდა. მიაჭროლებდა ცხენს და მისი გამყიფანი ხმა კიდევ დიდხანს ისმოდა შორიდან“.

აი, მართლაც ნოველისებური ეფექტი ფინალისა, რომელიც სრულიად მოულოდნელია ყველასათვის. მაგრამ მართო მოულოდნელობაში არ არის საქმე. ნოველს მთელი ღირსება ისაა, რომ ამ მოულოდნელი შემობრუნებით რაღაც საინტერესო გვითხრას და გავგისხნას. ეს კი ამ ნოველაში ის გახლავთ, რასაც

მიხეილ ჯავახიშვილმა „მიწის ყივილი“ უწოდა.

სარკინო მუღამი

მწერალმა განზრახ დატოვა გულბანი და მისი ცოლი სვანეთის დიდებული სანახაობისადმი, რომ უფრო მკვეთრად გამოეხატა მიწის ყივილის ძალა. ჩემი აზრით, ეს ერთი შეხედვით, უცნაური გააზრება მწერლისა, რომელიც ოდნავ კიდევ გვაღიზიანებს ფინალამდე, ბოლოს მთელი თავისი გამკრიახობითა და მიგნებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და ახალი ასპექტით გვიხსნის იმ შეუცნობელ ლტოლვას მშობელი მიწისადმი, რომელიც ასე ძლიერია ადამიანში.

მობუცი კაიშაურიც მიხეილ ჯავახიშვილს „მიწის ყივილიდან“, რომელიც სიკვდილის წინ უეცრად ამეტყველებდა ქართულად და ნათელშიბილველივით დაინახავს მშობლიურ ანანურს, თავის სახლ-კარს, ბავშვობის ცოცხალ სურათებს, და გულბანიც სერგო კლდიაშვილის ამ შესანიშნავ ნოველიდან, თავისი ქვეცნობიერი სწრაფვით ახალი კუთხით გვიხსნის პატრიოტიზმს, სამშობლოს სიყვარულის ძლიერების წყაროს. რაღა თქმა უნდა, ამას პირველ რიგში განსაზღვრავს შენი ერის, ქვეყნის შეგნებული სიყვარული და მისი კეთილდღეობისათვის აქტიური მოქმედება, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს პატრიოტული გრძნობის რაღაც ქვეცნობიერ, თუ გინდ ბიოლოგიურ საფუძველსაც.

ჩემთვის მეტად საინტერესო მოულოდნელობად იქცა გურამ გეგეშიძის მოთხრობა „შურისძიება“ (№ 11). ახალგაზრდა პროზაიკოსს, თუ არ ვცდები, რამდენიმე წელია არაფერი გამოუქვეყნებია და დიდი ხნის შემდეგ მან „შურისძიებით“ კვლავ დაამყარა კონტაქტი მკითხველთან. მოულოდნელი ეს მოთხრობა იმითაც არის, რომ ავტორის ადრინდელი ნაწარმოებები შედარებით ნაკლებად იყო აღბეჭდილი ორიგინალური ხედვითა და მანერით. არც თუ იშვიათად აშკარად შეიმჩნეოდა თანამედროვე დასავლური მწერ-

ლობის ზედამირული გავლენის კვალი. „შურისძიებაში“ კი, ჩემი აზრით, მკითხველი დაინახავს და იგრძნობს ქეშმარიტ მწერალს. ერთი მოთხრობა შეიძლება არაპროფესიონალ მწერალსაც გამოუვიდეს, მაგრამ „შურისძიება“ უბრალოდ საინტერესო ნაწარმოებები არ არის, მასში იმდენი მწერლური მიგნება, ადამიანის შინაგანი განცდების ზედვისა და შეგრძნების უნარი ჩანს, რომ არავითარ ეპეს არ გვიტოვებს გურამ გეგეშიძის მწერლურ მომეაღწეველზე.

მთავარი ღირსება ამ მოთხრობისა ის გახლავთ, რომ მწერალი მეტად რთულ ადამიანურ განცდას, განწყობილებას, მდგომარეობას მხატვრულად ძლიერად, დამაჯერებლად გვიხსნის. ობოლი ძმების, ცამეტ-თოთხმეტი წლის რეზიკოსა და ზუთი-ეჭვისი წლის „რიქას“ ურთიერთდამოკიდებულება, მათი დიდი და სეველიანი გრძნობა მარტოობისა, ძმების მწვევე მტყვიანული განცდა მათდამი ნაკლებ გულსისხიერი თუ უსამართლო მოქცევისა — აი ის საფუძველი, რასაც ეყრდნობა მწერალი თავისი გმირების ხასიათის გამოკვეთის დროს, შურისძიების ყოვლისშემძლე და ყოვლისშემძლე გრძნობის მხატვრული გამოხატვის მისაღწევად. შეგნებული შურისძიების გრძნობა მამაკაცური ხასიათის ჩამოყალიბებაზე მეტყველებს, და რეზიკოც, თავისი ცხოვრების მძიმე პირობების გამო, ამ ოდნავ ნადრეველ ჩამოყალიბებულ მამაკაცად წარმოგვიდგება. მწერალს სწორედ ეს პროცესი: აინტერესებს და, შესანიშნავად წარმოგვისახა იგი.

რეზიკო, საწადელის მიღწევის შემდეგ, როდესაც გატეხა თავისზე ძლიერი ბიჭი, მიხვდა, რომ ომარას არ დაუმსახურებია ასეთი დიდი შურისძიების რისხვა და ამდენად მისი შურისძიებაც ერთგვარად უსამართლო იყო. ამიტომ სტიკოდა რეზიკოს გული და ჩაფიქრებული მიდიოდა სიბნელეში. მოთხრობის ოდნავ ანალიტიკური დასასრული, როდესაც რეზიკოს ნაცვლად

მწერალი აზროვნებს, ვუფიქრობ, სულაც ზედმეტია, რადგან მკითხველს მეტად უნდა ვენდოთ და არ უნდა დავეუღებოთ ბოლოს ნაწარმოებში ჩადებულ აზრი. მით უმეტეს, რომ ეს დეკლარაციული ფრაზები იმის შესახებ, რომ „უნდა ეცადო, რომ არასოდეს არ გაუკეთო ცუდი იმას, ვინც ისეთივე ადამიანია, როგორც შენ თვითონ ხარ. მთავარი ეს არის და არა პატივმოყვარეობა“, უთუოდ ამდაბლებს მოთხრობაში ჩადებულ დიდ ადამიანურ განცდას და აღარიბებს ნაწარმოებს. განა პატივმოყვარეობამ გაუღვიძა ასეთი დიდი შურისძიების გრძნობა რეზიკოს? აბა, მივეყვით თვით მოთხრობას, გავისხენოთ რეზიკოს განცდები და მისი ხასიათის ჩამოყალიბების პროცესი, რომელსაც, მართლაც, ოსტატურად გვიხსნის ახალგაზრდა მწერალი და ვნახავთ, რომ გმირი უფრო რთული და საინტერესო ბუნებისაა, მისი შურისძიებას უფრო დიდი სოციალური და ქვეყნობიერი საფუძველი აქვს, ვიდრე ეს ავტორს ჰგონია, როდესაც მას პატივმოყვარეობით უპირებს ახსნას.

ძმებს, რეზიკოს და რიქას, მუდამ ერთად დაინახავთ; უმცროსი ძმა უფროსს ყოველთვის რამდენიმე ნაბიჯით უკან მოსდევს. ისინი იშვიათად ელაპარაკებიან ერთმანეთს, არაფერი აქვთ სალაპარაკო, მაგრამ თითქმის რაღაც უხილავი ძაფებით არიან გადაბმული და მუდამ ერთად არიან. ბავშვებს არც დედა ჰყავთ, არც მამა, მოხუცი, დაჯილდოვებული ბებია მათი პატრონი, და ამიტომ ბავშვებიც დიდ დროს ეზოს გარეთ ატარებენ. ბაზართან საზამთროს გამყიდველს მიაჩერდებიან. სასადილოს წინ მჭდარი გამხდარი კაცი იცნობდა რეზიკოს მამას და ერთხელ, როცა რეზიკო პატარა იყო და მამამ ქუჩაში სასეირნოდ გაიყვანა, ამ გამხდარმა კაცმა ნაყინიც კი უყიდა ბავშვს. ახლაც იფიქრა, ობლებს საზამთროს ვუყიდო, მაგრამ მაინც ვერ მიცნობს ბავშვიო და რაკილა სინდისი ამით დაიშვიდა, განზრახვაზე ხელი აიღო; სასადილოში

შევიდა, არაყი გადაჰკრა, ერთი ამოიოხრა „ეჰო“ და ამით ჩაკლა თავისი ადამიანური გულისთქმა. ბიჭები ახლა ხარბად უყურებენ ქვაფენილზე მჯდარ ბოშა ქალის შავ ძუძუს, რომელსაც იგი ბავშვს აწოვებს. თითქოს ამან ბაზრის კოლორიტი უნდა შექმნას მხოლოდ, სინამდვილეში კი ბოშა ქალის შავმა ძუძუმ, ალბათ, სულ სხვა მწარე განცდები აუფორიაქა ობოლ ბავშვებს, ამიტომ მისჩერებიან მას ხარბად. აგურის სახლის აივანზე ახალგაზრდების ჟრიაშული ღვას და ბიჭები ერთმანეთს წუწავენ, მათი დედა კი დაშაქრული სიტყვებით თხოვს რეზიკოს წყალი მოუტანოს ქუჩის მეორე მხარეს მდგარ ონკანიდან:

„— ბიჭო, თუ ღმერთი გწამს, წყალი მომიტანე.“

მაგრამ ბიჭი არ გაჩერდა და თავაზიანად უპასუხა:

— არ მწამს, დეიდა, ღმერთი...“

ქალმა რაკიდა რეზიკო ვერ მოატყუა ფარისევლობით, მას ქოქოლა დააყარა და ძმას მიუბრუნდა. უმცროსს არ ეყო იმდენი მოსაზრება, რომ ამ ქალის ვაყებს თამაშის დრო და თავი თუ აქვთ, წყლის მოტანაც უნდა შეეძლოთ. ჩამოქნძილი ობლები არ უნდა ემასხრონ აგურის სახლში გაფარფამებულ ფარისევლებს. უმცროსმა ძმამ გამოართვა ვედრო და ონკანისაკენ გაემართა. ეს რომ რეზომ დაინახა, აენტო, დაეწია, ძმას წაართვა ვედრო და თხრილში გადაისროლა. კმაყოფილება იგრძნო, მაგრამ ტკივილი მაინც დარჩა, ტკივილი იმისა, რომ მხოლოდ მათმა მდგომარეობამ გაათავებდა ქალი იმდენად, რომ ეჭვსი წლის ბავშვისთვის ვედრო შეეჩეჩებინა ხელში წყლის მოსატანად.

რეზიკო უფროსია, უფრო ძლიერი და დამოუკიდებელიც. რიფა კი პატარაა, ნახი, ცისფერთვალეა და საოცრად თეთრი კანის. ამიტომ მეტად ეტყობა ტანზე ჰუჭყიანი ლაქები. რეზიკო გრძნობს თავის მოვალეობას უმცროსი ძმის წინაშე, თუმცა თვითონაც ბავშვია, მასაც სჭირდება ალერსი, სითბო,

მოვლა, პატრონობა. მაგრამ იგი ცხოვრების პირობების გამო ეძულებულია არა მარტო დამოუკიდებელი იყოს, არამედ სხვასაც გაუწიოს მფარველობა; თუ რა მძიმე დადი დააჩნია მის ხასიათს ასეთმა ცხოვრებამ, ამის შემძარწუნებელი, მაგრამ ფსიქოლოგიურად მართალი გამოხატულებაა ის სცენა, როდესაც რეზიკო უმიზეზოდ სცემს თავის ძმას. შეზღვევ თვითონაც გრძნობს სინდისის ქენჯნას და მწვეველ განიცდის საკუთარ დანაშაულს. სწორედ ასეთ დროს გაიგებს, რომ მისი პატარა ძმა ომარას წყალში გადაუგდია. აქ კი იფეთქებს შურისძიების გრძნობა, რომლის მხოლოდ საბაბი და არა მიზეზი გახდა ომარა.

მთელი მოთხრობა და მისი დასკვნითი ნაწილიც მართლად აქვს დაწერილი მწერალს, ყოველი ფრაზა ფსიქოლოგიურად ღრმა და ზუსტია. მაინც ფინალი მოთხრობისა, რეზიკოსა და ომარას ჩხუბი მწერალმა განსაკუთრებული სიცხადითა და სისწორით დაგვიხატა. რეზიკომ იძია შური, გატეხა თავისზე ღონიერი და უფროსი ომარა, ერთხელ მაინც ბოლომდე დაიკალა მოწამლული ბავშვობით ავსებული ბოდისაკან და იგრძნო სიკარიელე, მერე ტკივილი, რადგან მიხვდა, რომ იგი უფრო კეთილშობილი უნდა იყოს, რომ მისი ობლობა აუხსნელი, უმიზეზო უსამართლობის შედეგია და ომარაც, ამ შემთხვევაში ისეთივე უმიზეზო მსხვერპლია როგორც თვით რეზიკოს ბავშვობა.

თუ რეზიკო გაერკვა ამ რთულ საკითხში, მით უფრო უნდა გაერკვეს მკითხველი, რომ ეს შურისძიების გრძნობა არ უნდა გააღვივოს ადამიანმა თავისი ისეთი უპატიოსნო საქციელით, როგორც მოიქცნენ გამხდარი კაცი დუქანთან და დედაკაცი აგურის სახლთან. მთელი მოთხრობა აშკარა ბოროტების წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, რომელიც ყველასათვის ნათელია, და რომელსაც ვერაფერს გაუბედავს დაცვას. არამედ იმ შენიღბული უსინდისობის წინააღმდეგ, რომელსაც სჩადიან გამხ-



დარი კაცი და დედაკაცი; ამას კი მწერლის თვალი სჭირდება იმისათვის, რომ გამოამხეტუროს ის დიდი ადამიანური ტყვიელები და განცდები, რომელიც ადამიანისადმი ასეთ დამოკიდებულებას მოსდევს. ამ ჰუმანურ მიზანდასახულებათა შორის მოთხრობის ემოციური ზემოქმედების ძალა.

დავით ჭავჭავაძის „ზღვა“ ერთი შეხედვით, თითქოს არ არის დიდი ვნებებისა და განცდების მატარებელი მოთხრობა, მაგრამ დაკვირვებელი მკითხველისათვის ამოუხსნელი არ დარჩება მწერლის მიერ ამ მოთხრობაში ჩადებული დიდი ადამიანური ტყვიელი. დავით ჭავჭავაძის სულ ორი წელია, რაც ქართულ მწერლობაში მოვიდა, მისი პირველივე მოთხრობა — „ზაიდა“ მანიშნებელი იყო იმისა, რომ ჩვენ ვეცნობოდით ხალასი ნიჭის მქონე ავტორს. ამ მოთხრობით კი — „ზღვა“ ეს იმედი, ვფიქრობ, საბოლოოდ განუშტკიცდა მკითხველს. დავით ჭავჭავაძისმა სულ სხვა კუთხით დაგვანახა იმ ბოროტ ადამიანთა სახე, რომლებმაც სხვისი დასვენითა და საკუთარი უსინდისობით ნებაყოფლობით იტვირთეს ოცდაათიანი წლების ტრაგედიის დატრიალება.

ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ ეწადა მას განმარტობა, სიმშვიდე, დასვენება და ამიტომაც აირჩია მყუდრო ზღვისპირა სოფელი. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ აქ ეწერა მას დიდი დრამატისმით სავსე მოვლენების განცდა. სოფელში ცხოვრობს კაცი, რომელსაც ყველა ერიდება, რადგან მან სინდისი დიდხანია გაყიდა და ახლაც, განდევნილი და ყველსაგან ზურგშექცეული, მხოლოდ მომენტს უცდის თავის იუდას ბუნების გამოსააშკარავებლად. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გაათამაშებს ამ ცოცხალ იუდას მოთხრობის გმირი, როდესაც თავს რაღაც საიდუმლო პიროვნებად გაასაღებს და მოხუცი ძველებურად ასმენს მასთან თანასოფლელებს, თითქოს ზოგიერთ მათგანს თვალი „ტურციისაკენ“ ეჭიროს. ეს იმისათვის სჭირდება ავტორს, რომ

ერთგვარი კომიში შეიტანოს ნაწარმოებში და მწარედ დასცინოს ამ ცოცხალ ლეშს, რომელსაც უფროსობის რიგის ცხოვრების საფუძველი გამოცლია.

ეს მაინც არ არის მთავარი ამ მოთხრობაში. მთავარი ის არის, თუ როგორ დაინგრა ამ ბოროტების განსახიერებამ არა მარტო სხვების, არამედ საკუთარი ქალიშვილის ცხოვრებაც. მამის გამო ქალიშვილსაც ერიდებოდა სოფლელები, და ამ უკანასკნელის ძუნწი სიტყვებითა და განწყობილებით მოწმენი ვხდებით, თუ რა ტრაგიკული გამსდარა ქალიშვილის ცხოვრება. მას არავე თანაუგრძნობს. ესაა მხოლოდ, რომ სილ. მაზის გამო დროებით თუ აეკვიტება ვინმე, ისიც ჩუმად, რომ არავე გაიგოს. თითქოს ქალიშვილი მოზიარე იყოს მამის ბოროტებისა. დანგრეული ცხოვრების მქონე ახალგაზრდა ქალიშვილი არის სწორედ ის გმირი, რომელიც ყველაზე მეტ თანაგრძნობას იწვევს მკითხველისას ერთადერთი შეგება მისთვის ზღვასთან მარტოდ დარჩენა. ყველაზე ახლობლად ზღვა მიიხნია და ამიტომაც არ ებუება მას არასოდეს.

მხოლოდ ერთხელ გაუეღვებს ქალიშვილს იმედის ნაპერწკალი, როდესაც მოთხრობის გმირში თითქოს იგრძნობს ადამიანურ სითბოს, ამოღებულსა და კეთილშობილ დამოკიდებულებას, მაგრამ მას არ სჯერა ამ ბედნიერების. იგი თითქოს მიეჩვია იმას, რომ ყველაზე დიდი მსხვერპლი მამამისის ბოროტებისა თვითონ უნდა იყოს, ამიტომაც არც არავის საყვედურობს, მაგრამ ეს იმედიც ხანმოკლე აღმოჩნდა. ვინ იცის, იქნებ ამ ქალაქელ ახალგაზრდას ეყოფოდა იმდენი კეთილშობილება, რომ ჭეშმარიტი თანაგრძნობა გაეწია ქალიშვილისათვის. იქნებ სწორედ ამ სირთულემ შეაშინა ავტორი და გამოსავალიც იმაში ნახა, რომ ქალიშვილი, როდესაც შორს ზღვაში ელოდებოდა ვაჟს პაემანზე, უეცრად აბოზოქრებულ ზღვას ამსხვერპლა. მკითხველს იმის ეჭვიც უჩნდება, რომ ეგებ თავისი ყოფით სასოწარკვეთილი

ქალი არც ეცადა თავის გადარჩენას და სიმშვიდის მოპოვების ერთადერთ გზად სწორედ საცდელი იწამა.

მოთხრობის გმირს ერთი რამ აწუხებდა მხოლოდ — „მე რომ არ ჩამოვსულიყავი, არაფერიც არ მოხდებოდაო“. მაგრამ მერე გაიხსენებს, რომ ამის წუგეშად გურამ რჩეულოშვილის „სიკვდილი მთებში“ გამოადგება. დასამშვიდებლად მოძებნის წიგნს და გადაიკითხავს იმ ადგილს მოთხრობიდან.

„ჰო — თქვა გურამმა, ჭერ რომ შეტილზე წაესულიყავით, ეგ ამბავი არ მოხდებოდა.“

— მაგ „რომ“-ზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაგ „რომ“-ების უზარმაზარი ჭაჭვი შეიძლება გაკეთდეს, ასე რომ ჩაყვებით, მივალთ იქამდე, „რომ“ საერთოდ არ დაბადებულიყო, არც მოკვდებოდა“....

„ამის წყაითხვამ უცბად დამამშვიდა და საღი აზროვნების უნარი დამიბრუნა“-ო გვამცნობს დავით ჭავჭავაძის მოთხრობის გმირი. მაგრამ არა მგონია ეს „რომების“ ფილოსოფია იყოს არც „სიკვდილი მთებში“ და არც ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი. ჩემი აზრით, ეს მოთხრობა ქალიშვილის ტრაგიკული ხედვრით (ტრაგიზმი მის სიკვდილში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ასეთი მამის შვილია და ამან დააპირისპირა საზოგადოებასთან). მოქმედებს მკითხველზე ასე ძლიერად. ეს არის მოთხრობის ემოციური ზემოქმედების ძალის ერთადერთი და საკმაოდ უხვი წყარო.

დავით ჭავჭავაძის შვილი, იქნებ, განგებაც ცდილობს ადვილად დამამშვიდოს მოთხრობის გმირი ამ ტრაგიკული ამბის შემდეგ, რომ ამით კიდევ უფრო ნათელი გახადოს მკითხველისათვის ქალიშვილის მძიმე ხედვრიცა და თავის ნაწარმოების ჰუმანური მიზანდასახულებაც. მართალია, გმირი „რომ“ არ ჩამოსულიყო ამ მიყრუებულ ზღვისპირა სოფელში, ქალიშვილის ტრაგიკულ ცხოვრებას ეს კონკრეტული დასასრული არ ექნებოდა, და ამის გამო მაინც

არ შეიძლება თბილისელი ვაჟის გამტყუნება. მაგრამ მკითხველისათვის მთავარი ეს კი არ არის, არამედ მკითხველს ქალიშვილის მიმართ ყველა სტყუის, მისი თანასოფლელებიცა და ჩამოსული ახალგაზრდაც. ადამიანი ადამიანისადმი სიყვარულითაა ძლიერი და არა სიძულვილით. ეს ხშირად ავიწყლებათ ადამიანებს. ამიტომაც არის, რომ ამ მოთხრობაში სოფლელებს თავისი სიძულვილი იუდას მიმართ მის უდანაშაულო ქალიშვილზეც გადააქვთ. მწერლის გარდა, არაფერ აღმოჩნდა, ვინც გაუგებდა ქალიშვილს და მას დიდ ადამიანურ თანაგრძნობას გაუწევდა. ეს გარემოება კიდევ უფრო მძაფრად და მღელვარედ გვაგრძნობინებს მწერლის სულისკვეთებას, მისი მოთხრობის ჰუმანური მიზანდასახულებას.

ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა მწერლის აკაკი ვასაძის პატარა მოთხრობები (№9), რომელნიც ავტორის ნიჭიერებაზე მეტყველებენ. აკაკი ვასაძე სულ ახლახან გაიცნო მკითხველმა და მისი რამდენიმე დაბეჭდილი მოთხრობა ჭერ კიდევ არ იძლევა საშუალებას ვილაპარაკოთ ავტორის შემოქმედებით თავისებურებაზე; მისი ინტერესების სფეროზე.

მთის ყოფის მხატვრულ წარმოსახვას მიუძღვნა თავისი ვრცელი მოთხრობა „უშაბა“ თეიმურაზ მაღლაფერიძემ. ეს ავტორის პირველი მოთხრობაა. ამ თვალსაზრისით იგი უთუოდ საინტერესო ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ. უპირველესად ეს მოთხრობა ყურადღებას იმით იქცევს, რომ აშკარად მიგვანახვნიებს ავტორის გულწრფელობაზე. თეიმურაზ მაღლაფერიძე გაბედულად, დიდი ტკივილითა და გულისწყრომით მოგვითხრობს იმ სვანეთზე, რომელიც მან დაინახა. ვიდრე თვით პრობლემისა და მის მაღლაფერიძისეულ ინტერპრეტაციის ანალიზს შევუდგებოდე, უნდა აღვნიშნო სხვა საინტერესო მხარეც ამ მოთხრობისა. ავტორს უთუოდ ეხერხება მხატვრული თხრობა, მისი დიალოგიზმი ხშირ შემთხვევაში საღი და ბუნებრივია. მაგრამ მოთხრობა არ არის თა-

ნაბრად დაწერილი. როგორც ჩანს, ავტორს არ ეყო ძალა და გამოცდილება ვრცელი მოთხრობა სტილისტურად თანაბრად გულმოდგინედ დამუშავებინა. ამიტომ ზოგჯერ მოთხრობაში ისეთ ფრაზებსაც წაუწყდებოდა, რომლებიც ყურს გვეჭრის თავის სიყალბით, ან იმით, რომ მეტისმეტად „ლიტერატურულნი“ პირდაპირ რომ ვთქვათ, გაცვეთილნი არიან (მაგ. „ქეთუ ვრძელი, აღუღუნებული წამწამების დახრით დაემწვილობა ლადოს“, „სხეული მომადუნებელ ჩაქროლვით აევსო“, „ბეგრები შემპარავად ეუფლებოდნენ ლადოს სულს. უცნაურად მოუნდა სახის მიხუტება ვინმე ახლობელი ადამიანის მკერდზე“ და ბევრი სხვა). რომ უფრო სარწმუნო იყოს ამ მკაცრი საყვედურის საფუძველი, ერთ ვრცელ ნიმუშს მოვიტან ამ მოთხრობიდან:

„და ლადო ივსებოდა, უსასრულოდ ივსებოდა ამ გადათბული ბალახითა და აჭრელბული ტყეებით, მათა ჩაოთოვლილი გრეხილებითა და გამკვირვალე, ლურჯი სივრცეებით... ამის შეგრძნება მკერდს სიაშით უგანიერებდა... რაღაც სიმღერა წამოიწყო, რომლის ბეგრებსაც იმ წუთში თხზავდა. ეს უცნაური ბეგრები ახლა ყველაზე უკეთ ესიტყვებოდა მის განწყობილებას...“

ტყის ნაპირას, ბუჩქნარში, ნებიერად გაიშლართა. გრილი ხორკლიანი ბალახი შიშველ ზურგს უშუშხავდა. პირქვე გადაბრუნდა, სახე ბალახებში ჩარგო და ზეიმურ, ყოვლისმომცველ მდუმარებას შეერია. ხარბად ისუნთქავდა მიწისა და ბალახების გამაბრუნებელ ობშეიარს, თვალბში მუქი სიმწვანე ჩაუღდა“.

როდესაც არჩილ სულაკაურის მოთხრობაში „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“ დაჭრილი ჯარისკაცი სიკვდილის წინ იწყებს რაღაც გაუგებარი სიმღერის თხზვას ღიად დარჩენილ საფლავეებზე, ეს, მართლაც, ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო ზემდეგზე, არამედ მკითხველზეც. აგონიაში მყოფი ადამიანის ეს შემადრწუნე-

ბელი სიმღერა, რომელიც პირველად ბოლდვად მიიჩნია ზემდეგმა, დარწმუნებს ამ უკანასკნელს, თუ რა მღერია ადამიანში საკუთარი მიწისა და სისხლის შურისძიების გრძობა, სამშობლოს წინაშე თავის მოვალეობის შეგნება, და ზემდეგი, ადამიანის ტლანქი და ეგოისტური ბუნების ეს სიმბოლური განსახიერება, მხოლოდ ამ სიმღერით მიხვდება და ირწმუნებს სიცოცხლის მარტივსა და ურთულეს ფილოსოფიას. ხოლო როდესაც ნასვამი ლადო, მთისა და ტყის შემყურე, იწყებს რაღაც სიმღერის შეთხზვას და შემდეგ „ზეიმურ, ყოვლისმომცველ მდუმარებას ერევა“, ეს მხოლოდ ყალბი ფრაზის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან მას არავითარი მოტივირება არა აქვს.

ახლა, რაც შეეხება „უშბას“ მიზანდასახულობასა და ავტორის პოზიციას. თეიმურაზ მალაფერიძე, მართალია, ახალგაზრდა მწერლებისათვის მეტად ნაცნობ, შეიძლება ითქვას, ორგანულ თემას შეეხშიანა თავისი „უშბათი“, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი მკვეთრად დაუპირისპირდა მათ და სრულიად განსხვავებული თვალით დაინახა მთის ცხოვრება. თანამედროვე ქართულ პროზაში, ძირითადად, მთის ყოფა რომანტიკული ფერებით იყო წარმოსახული. ახალგაზრდა ქართველი მწერლებისათვის მთა არის არა მარტო მომხიბლავი პეიზაჟი, არამედ ის მკაცრი გარემოც, რომელიც თვალნათლივსა ხდის ადამიანის ძლიერსა თუ სუსტ ბუნებას. მთაში, როდესაც თითქმის პირისპირ არის დარჩენილი ადამიანი ძლიერ სტიქიასთან, ყველაზე უკეთ ჩანს ვაეკუცობაც და სიმხდალაც, მეგობრობაც და ეგოისტობაც, სიყვარულიც და სიძულვილიც. აქ შენიღბვა უფრო ძნელია და ადამიანები უშუალოდ, მთელი თავისი ავკარგიანობით წარმოგვიდგებიან.

ასეთ მკაცრ გამოცდას გადიან, როგორც წესი, ახალგაზრდა მწერლების მოთხრობების გმირები, ქალაქიდან მთაში ჩაპულნი.

თეიმურაზ მალაფერიძე შეეცადა სხვა თვლით დაენახა მთის ყოფა. მისი მოთხრობის გმირი ლადო ქალაქელი ახალგაზრდაა, რომელსაც უნივერსიტეტი დაუმთავრებია და ახლა სვანეთის ერთერთ სოფელში მასწავლებლობს. კონფლიქტი აგებულია იმაზე, თუ როგორ დაუპირისპირდებიან ლადო და სვანი ქალი ქეთუ დრომოჭმულ ადათ-წესებს. ქეთუ ბავშვობაში დაუნიშნავთ და ახლა, მართალია, დანიშნულებს ერთმანეთი არამცთუ უყვართ, სძულთ კიდევაც, ადათის თანახმად ისინი უნდა შეუღლდნენ. მართალია მთის ყოფაში ძველი, უსარგებლო და მავნე ადათების წინააღმდეგ მწერალს სრული მორალური უფლება აქვს თავისი სიტუვა თქვას; მეტიც, იგი მოვალეა გვიჩვენოს და დაგვარწმუნოს, თუ როგორ უშლის ხელს ასეთი ადათი ცხოვრების განვითარებას, ადამიანის ბედნიერებას. ამ მხრივ სადავო თეიმურაზ მალაფერიძესთან შეიძლება არაფერი გვქონდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოთხრობა „უშმა“ სხვა მიზანდასახულობისაა. მოთხრობის გმირის ილუზიები სვანეთში ჩასვლის პირველსავე დღიდან იმსხვრევა და იგი სულ უფრო და უფრო რწმუნდება იმ სიბნელესა და მესწიანობაში, რომელიც დამახასიათებელი ყოფილა სვანური ყოფისა. ლადოსა და თეიმურაზს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

— მე მინდოდა ნამდვილი სვანეთი მენახა.

—ჰე, ნამდვილი: მერე, სადაა ნამდვილი? ძველიდან ის შემოგვრჩა, რაც მახინჯი იყო, ახალი ბოლომდე ვერ შევითვისეთ და დავჩრთო ასე..“

ეს არ არის უბრალოდ, ან შემთხვევით ნათქვამი ფრაზა, ეს არის ავტორის მხატვრული სათქმელი, მისი მოთხრობის ძირითადი აზრი. თეიმურაზ მალაფერიძე ამ მოთხრობაში მართო ძველი ადათების, ან ცხოვრების ცალკეული მხარეების გამო კი არ გამოთქვამს უკმაყოფილებას.

მთელი მოთხრობის მანძილზე ჩვენ მხოლოდ ისეთ გმირებს გვცნობით, ან

ისეთი სცენების მოწმენი ვხვდებით, რომლებიც ამ ერთადერთ მოსაზრებას ეფუძნებიან. აი ერთი სურათი სვანეთის ცხოვრებიდან, რომელსაც ლადოსთან ერთად ვხედავთ ჩვენ:

„სადალაქოსთან ახალგაზრდები მოგროვილიყვნენ. სვანური ფაყუს ნაცვლად, მოთეთრო ბუკლეს „სტილნი“ ქედები ეხურათ. ზოგს ჩინური, ლურჯი „მაკინტოში“ ეცვა. მათს მიხვრამოხვრამი ლაბარაყის კილოში იგარძნობოდა სურვილი თბილისელ „გამოსულ“ ბიჭებთან დამგვანებისა“.

იქნებ, ეს ერთი ჯგუფია ასეთი „მოსტილნი“ სვანებისა და მათ მწერალი უპირისპირებს სხვა ჯგუფს, რომლებიც უბრალო, ვაჟაკური ბუნების სვანებს წარმოგვიდგენენ? სამწუხაროდ, ასე არ არის. ეს „სტილნობა“ ეტყობა კოლმეურნეობის თავმჯდომარესაც, რომელსაც „ბუკლეს ქული დარდიმანდულად მოვგდო გვერდზე“, ექიმსაც, რომელსაც მთელ სვანეთში მხოლოდ იმით გაუთქვამს სახელი, რომ ორივე შვილი სამუდიციანობზე მოუწყვია. „მოსტილნი“ სვანების მთელ ამ ვალერეას განსაკუთრებული კოლორიტით ამკობენ პამლეტა და ფრანცუზა თავისი „თანამედროვე“, „რთული ფილოსოფიური“ აზროვნებით, რომ „ცხოვრება კიბეა. ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის“. ან რომ „ცხოვრება ბრძოლაა, უნდა იბრძოლო“, — ამ ბრძოლაში კი იგულისხმება მხოლოდ თავისაკენ მიტაცება და სხვა არაფერი.

ძველი და ახალი სიმახინჯის ნარევე მთელ ამ სამყაროს გამოეყოფიან ლადო თემრაზი, ქეთუ და ბატარა მაწისა. ამათგან თემრაზი ხელმაქნეული ადამიანია, რომელსაც არავითარი იმედი არა აქვს მომავლისა, ქეთუ მხოლოდ ლადოსადმი თავისი სიყვარულის გამო ცდილობს გაექცეს ამ გარემოს, მაწისა უბრალოდ ფაქიზი გრძნობის და ბუნების ბავშვია, რომელსაც ჯერ არაფერი მოეთხოვება ცხოვრებაში. ერთადერთი ლადოა, რომელიც ჩასულა სვანეთში და ცდილობს დაუპირისპირდეს მას თავისი პროგრესული იდეალებით.

ავტორს ბნელი სვანეთი ისეთი გმირის თვალთ უნდა დაენახებინა, რომელსაც დაუჭერებს მკითხველი, რომელიც თვითონ იქნება ძლიერი პიროვნება და თავისი მაღალი შეგნებითა და ხასიათის სიმტკიცით ჩვენს სრულ ნლობას დაიმსახურებს. პირიქით, თავისი მანერებითა და ქცევით იგი უფრო მოუმწიფებელ, თავაშვებულ ახალგაზრდის ჰგავს, ვიდრე დიდი იდეალებისათვის მებრძოლ, ჩამოყალიბებულ მამაკაცს. ბოლოსდაბოლოს, ლადოს პროტესტიც იქამდე დადის მოთხოვნაში, რომ მას ქეთუსთან შეუღლება სურს. ამას კი ადათი ელოდება წინ. თვით ეს რომანიც ლადოსა და ქეთუს შორის იმდენად არ გამოდგება ასეთი დიდი პროტესტის გრძნობის გამოწვევად მიზეზად.

მართალია, მეტად მკაცრი გამოვიდა მსჯელობა თეიმურაზ მალაფერიძის მოთხოვნაზე, მაგრამ ავტორის ნიქიერება, მისი გულწრფელობა (ეს ერთერთი აუცილებელი პირობაა მწერლისა) და მოქალაქეობრივი სითამამე უთუოდ არწმუნებს მკითხველს იმაში, რომ იგი შესძლებს უფრო საინტერესო მოთხოვნების დაწერას. ეს სიმკაცრეც მხოლოდ ამ რწმენით და ახალგაზრდა ავტორისათვის დახმარების სურვილით არის გამოწვეული.

მწერალს, რაღა თქმა უნდა, აქვს მხატვრული გაზვიადების, გამაფრებების უფლება, მაგრამ ამას არ უნდა ემსხვერპლოს ცხოვრების სიმართლე. ამ თვალსაზრისით ზომიერების გრძნობა ისევე აუცილებელია მწერლისათვის, როგორც სხვა თვისებები. ავტორისათვის სწორედ ამ ზომიერების გრძნობის დაღატმა განაპირობა „უშბას“ ნაქლი.

არსებითად იმავე მიზანდასახულებას, ძველი ადათების წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება ფრიდონ ხალვაშის რომანიც „საყვედური“, რომელიც გასულ წელსვე დაიბეჭდა „მნათობის“ ფურცლებზე. მწერალი არ ცდილობს რაიმე მიჩქმალოს, ანდა ადათების მავნე ზეგავლენა როგორმე უფრო შემსუბუქებულად გვიჩვენოს. ეს უთუოდ დიდი

ღირსებაა რომანისა, რადგან აქარული მოსახლეობის ყურადღებას კვლავ მიიქცევს ძველი ადათების უცვლელტყობისა და ცილებლობისაქენ. მაგრამ სწორედ ზომიერების გრძნობამ და აქარის ცხოვრების საფუძვლიანმა, ღრმა ცოდნამ აარიდა მწერალი სინამდვილის ცალმხრივად დამახინჯებულად წარმოსახვას.

ამ თვალსაზრისით ფრიდონ ხალვაშის „საყვედური“ საყურადღებო ნაწარმოებია, თუმცა აქვე უნდა შევნიშნო, რომ მწერალს არ ეყო გამოცდილება (პოეტის ეს პირველი რომანია) ღრმად და საფუძვლიანად, როგორც ეს რომანს შეეფერება, დაემუშავებია პრობლემა. ამიტომ ზოგჯერ ზერელობის, სქემატურობის იერი დაჰკრავს ამ რომანს. ეს ისეთი სენია, რომლისგანაც ნაწარმოებს, ვერავითარი აქტუალური პრობლემატიკა ვერ უშველის.

გასულ წელს „მნათობში“ დაიბეჭდა სერგო კლდიაშვილის „ფერფლის“ მეორე ნაწილი და ლადო მრელაშვილის „ყაბაზი“.

სერგო კლდიაშვილი დიდი ხნის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის საინტერესო რომანს „ფერფლს“, და მეორე ნაწილით უფრო დასრულებული სახე მისცა მას. ახლა ეს რომანი რამდენიმე თაობის მხატვრულ მატთანეს წარმოადგენს. თუ „ფერფლის“ პირველ ნაწილში პირველი იმპერიალისტური ომის წლების ქართული სოფლის ცხოვრებაა წარმოსახული, მეორე ნაწილში მოქმედება კოლექტივიზაციის პერიოდში ვითარდება. ახლა უკვე რომანის ყურადღების ცენტრში ანანია არბელაძე და გიგა ყანჩაველი არიან.

ორთავე გმირს მკითხველი რომანის პირველ ნაწილიდანვე იცნობდა. ანანიამ ომის ყველა განსაცდელი გაიარა და, უკვე გამოტირებული ყავდათ მშობლებს, როდესაც თავის სახლკარს და-

უბრუნდა. გიგა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით მოვიდა ახალ ცხოვრებაში და ამ განსხვავებულმა ცხოვრების ვხამ განაპირობა მათი ხასიათიც.

სერგო კლდიაშვილს, საერთოდ, არ ახასიათებს სიტყვამრავლობა. არც ეს რომანია ვრცელი, თუმცა მეტად რთულ და საინტერესო ეპოქას წარმოასახავს. ამ რომანის ორ ნაწილში ორი კონტრასტული სამყარო უპირისპირდება ერთმანეთს. დათია არბელაძის, მისი ოჯახისა და თაობის ბედი რევოლუციამდე ეპოქის ცხოვრების ფონზე იშლება. ანანიასა და გიგას კი შეგნებული ცხოვრება ძირითადად ახალ პირობებში უხვებით მართალია, კომპაქტურობა და ლაკონურობა თანამედროვე რომანის ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია, მაგრამ ამან არ უნდა შეუშალოს ხელი მწერალს ბოლომდე გახსნას ხასიათები. სერგო კლდიაშვილი აშკარად ცდილობს მალე მივიდეს იმ მომენტამდე, როდესაც უნდა გადაწყდეს მისი რომანის გმირების მეორე თაობის ბედი. ეს კი ერთგვარ ხარვეზს სტოვებს გმირების ხასიათის განვითარებაში და ვახსნაში.

გიგა ყანჩაველს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩევენ. ეს თითქოს კანონზომიერი ამბავია, რადგან მკითხველმა იცის გიგას რევოლუციური წარსულიც და მისი ხასიათის სიმტკიცეც. მაგრამ რომანში ჩვენ ნაკლებად ვეცნობით გიგას — თავმჯდომარეს. მისი მოღვაწეობის ეს პერიოდი, თუმცა მეტად ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი გმირის ხასიათის განვითარების და ჩამოყალიბების თვალსაზრისით, შედარებით მკრთალადაა გახსნილი. უფრო ნათელია ჩვენთვის ანანიას სახე. ანანია პატიოსანა ქართველი გლეხის განსახიერებაა, რომელიც თავისი ნებით შეუერთდა საკოლმეურნეო მოძრაობას, თუმცა გულს უკლავს ის გარემოება, რომ მისი მოვლილი ვენახი ნელნელა პარტახდება მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობას გადაეცა. ეს საკითხი თავისთავად საინტე-

რესოა, და მწერალს, რაკილა წამოჭრიანი, მთელის გულწრფელრმზინს უნდა გაეცა კიდევ პასუხი. რატომ უკან კოლმეურნეობის საქმეები, ამაზე პასუხს რომანის ფინალში ვიპოვით, როდესაც ასამართლებენ ანანიას.

ანანია შემთხვევით, დაუფიქრებლად. მოუქნევს ნაჯახს მინაგო ლეიკაშვილს, რომელიც თავისი გაიჭყურული და ბოროტი საქციელით გაახელებს მას. სასამართლოს სცენა და ბრალმდებლის საქციელი ბევრ რამეს ნათელს ხდის მკითხველისათვის. გიგაც იმიტომ მოუხსნიათ თავმჯდომარეობიდან და კოლმეურნეობის საქმეც იმიტომ ბრკოლდება, რომ არ არის ნდობა ადამიანისა. ჩვეულებრივ გამრჯე გლეხში — ანანიაში ბრალმდებელი ხედავს პოლიტიკურ დამნაშავეს, რომელიც ძირს უთხრის ახალ წესწყობილებას, იმიტომაც ასე მკაცრ განაჩენს გამოიტანს სასამართლო. გიგა, ეს თავდადებული კომუნისტი და პატიოსანი მოქალაქე იძულებულია ბოლოსდაბოლოს დაეთანხმოს ბრალმდებელს ანანიას პოლიტიკურ დანაშაულში. ასეთია მეორე თაობის ბედი ამ რომანში.

მაგრამ რომანის ფინალში, სასამართლოს სცენაში კიდევ უფრო შემაძრწუნებელი ის არის, რომ კაკო, ანანიას უფროსი დავაყვაცებული შვილი არ ეყარება მამას. ამოდ ეძებს ანანია თავის შვილს დარბაზში. იგი არ ამტყუნებს და არც ემდურის ამის გამო შვილს.

როგორი იქნება არბელაძეების ოჯახის მესამე თაობის ცხოვრება, ეს ინტერესი მკითხველს უთუოდ რჩება: უნდა ვიფიქროთ, რომ რაკილა სერგო კლდიაშვილმა რომანის ბოლოს მიაწერა — „მეორე წიგნის დასასრული“, მესამე წიგნის მოლოდინიც შეგვიძლია ვიქონიოთ.

ლადო მრეღაშვილის „ყაბახი“, როგორც ჩანს, მეტად ფართოდ გააზრებული მხატვრული ტილოა. ჯერ მარტო პირველი წიგნია გამოქვეყნებულდ, რომელიც უკვე სქელტანიანი რომანის ტილია. „ყაბახის“ პირველი წიგნი თანაბ-



რად არის დაწერილი. მკითხველს აქ გაუქირდება გარეგნულად ცუდი ფრაზის ან დიალოგის პოვნა. მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი ეპიზოდი და სცენა თავისთავადობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჯერჯერობით რომანი ერთმანეთთან სიუჟეტურად სუსტად დაკავშირებული ნაწილების შენაერთის მოგვეგონებს, როგორ შეიკვრება იგი მთლიანად და რა სახეს მიიღებს საბოლოოდ, ამის თქმა ძნელია, რადგან ჯერ მხოლოდ პირველი წიგნია გამოქვეყნებული.


ლ. მრელაშვილი სოფლის ცხოვრების თითქმის ყველა საკითხს ეხება, მას უამრავი გმირები შემოჰყავს მოქმედებაში. რომანის სიუჟეტური ხაზები მრავალმხრივ მიემართება და მწერლის ყურადღებაც დაფანტულია. ჯერ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მწერალი ამჟღავნებს ცხოვრების ემპირიული წარმოსახვის უნარს. რომანში ვნახავთ კახეთის ყოფის ბევრ კოლორიტულსურათს, მხატვრულად საინტერესო პორტრეტებს მაგრამ ყველაფერი ეს თავისი გარეგნული ფერებით იტაცებს ჩვენს თვალს, ასეთ დიდ რომანს დიდი სათქმელიც უნდა ჰქონდეს და, როდესაც გაირკვევა, მაშინ გახდება ნათელი მისი ავტორიანობაც. აქ ბევრი რამ არის მინიშნებული, საკოლმეურნეო ცხოვრების ძლიერი და ნაკლოვანი მხარეებიც, მაგრამ მარტო მინიშნება კი არ კმარა, მას გახსნა და გადაწყვეტაც სჭირდება. თუ მწერალი ისევე იოლად ეცდება გადაწყვეტოს სხვა საკითხები, როგორც ახალგაზრდობის კოლმეურნეობაში მიზიდვის საკითხი, ვეჭვობ, რაიმე გამოვიდეს. განა სერიოზულად შეიძლება ვიარწმუნოთ ის აშბავი, რომ საკმარისი ვახდა სტადიონის მშენებლობის დაწყება და ახალგაზრდობა კოლმეურნეობას მიეტანა. ახალგაზრდობა თუ მოწყვეტილია კოლმეურნეობას, ამის სერიოზული მიზეზების რკვევა საჭირო, ხოლო თუ ამ

პრობლემას ერთი სოფლის სტადიონის მშენებლობა შევლის, იგი არც ყოფილ სერიოზული პრობლემაა მწერალით და აძირებს შეეხოს სოფლის ცხოვრების მტკიცეულ საკითხებს, მან გულწრფელად უნდა გასცეს მათ პასუხი, თუ არა და საერთოდ ნუ სვამს ამ საკითხებს.

რომანი იწყება ყაბახის აღწერით, და პირველ წიგნს ისე ჩაათავებს მკითხველი, ვერ მიხვდება, თუ რატომ ეწოდება რომანს „ყაბახი“. მხოლოდ უკანასკნელი აზნაი გაარკვევს ამაში, როდესაც ისკენება კონფლიქტები და შავლევო გაიფიქრებს, რომ მისი ნამდვილი ყაბახი ახლა იწყება. ფაქტიურად, პირველი წიგნი — ეს არის შესავალი, ექსპოზიცია, რომლის შემდეგ უნდა განვითარდეს მოქმედება. ვფიქრობ, ეს ცოტა კი არა, მეტად ვრცელი ექსპოზიციაა მწერალმა უფრო გარკვევით უნდა გამოკვეთოს თავისი სათქმელიცა და მისი გამოხატვის ეფექტურ საშუალებასაც შეიგნოს.

თანამედროვე ქართული რომანი ისეთ დიდ იმედებს არ იძლევა, როგორც ამას ზოგჯერ აღნიშნავენ ხოლმე. დღევანდელ ეპოქაში რომანი გადაწყვეტი ტანრია მწერლობისა და, სამწუხაროდ, სწორედ იგი ჩამორჩება ქართულ ლიტერატურაში. უკანასკნელ წლების მანძილზე ქართველი მწერლების მხოლოდ სამიოთხი საინტერესო რომანი გამოქვეყნდა. ეს კი მეტისმეტად ცოტაა. ბევრი რამ, რაც იბეჭდება, მხატვრულად სუსტია და ინტერესსმოკლებული.

უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ის ლიტერატურული ატმოსფერო, რომელიც შეიქმნა ჩვენში უკანასკნელი წლების მანძილზე, განსაკუთრებით, მარტის ცნობილი შეხვედრებით, ხელს შეუწყობს ქართული ლიტერატურის, ქართული პროზის განვითარებას.



ლითერატურული მოვლანი

დ. მ. დონოვის შემოქმედება

გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერალი ლეონიდ მაქსიმეს-ძე ლეონოვი დგას სიტყვის ისეთი ოსტატების გვერდით, როგორც ალ. ტოლსტოი, მ. შოლოხოვი, კ. ფედინი. ლეონოვის შემოქმედებაში აისახა დიდი გარდატეხების ეპოქა თავისი კოლოზიებითა და წინააღმდეგობებით, სიძნელე და მრავალფეროვნება ახლის ბრძოლისა ძველთან, ახალი საზოგადოების მშენებლობა და ახალი ადამიანის ფორმირება.

ლ. ლეონოვი დაიბადა 1899 წ. ზარიადიეში (მოსკოვის რაიონი). მამამისი პოეტი იყო, სურვილისა და დროებითის მიმდევარი, შვილის აღზრდილი ნაწერებშიც გლეხური პოეზიის სულისკვეთებით იყო გაყენებული. ლეონოვის პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა 1915 წ. არხანგელსკში, სადაც მამამისი იყო გადასახლებული დემოკრატიული შეხედულებებისათვის. მომდევნო ნაწარმოებები მოდური დეკადენტური მიმდინარეობის სულისკვეთებით იყო აღბეჭდილი.

მწერლის „მეორე დაბადება“ მოხდა ოქტომბრის დიად დღეებში, სამოქალაქო ომის დროს. ლ. ლეონოვი შედის წითელი არმიის რიგებში, მონაწილეობს ბრძოლებში კახოვეკასთან, პერეკოპთან, შემდეგ გადადის ყურნალისტურ სამუშაოზე. გაიარა რა ფრონტული სკოლა ლ. ლეონოვმა ახლად დაბადებულ ლიტერატურაში იპოვა თავისი თემა. მიუხედავად ამისა, მისი გზა, რომელიც

სულ უფრო უახლოვდებოდა სინამდვილეს, და ეპოქის ამოცანების შეგნებით იყო აღჭურვილი, არ იყო სწორხაზოვანი და უშეცდომო.

ყურნალისტისა და მეგრძოლის ცხოვრებისეული გამოცდილება მწერალს უკარნახებდა, რომ ძველებურად წერა უკვე აღარ შეიძლებოდა. ასე მთავრდება მისი შემოქმედების ადრეული პერიოდი. 1920 წ. ლ. ლეონოვმა ამ დრომდე მის მიერ დაწერილი ყველა ნაწარმოები დასწვა. მაგრამ, პარადოქსალურია, რომ ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები, რომელიც მან თავისი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის დროს მიიღო, მის პირველ პროზაულ ნაწარმოებებში არ ასახულა. ეს ნაწარმოებები სხვადასხვა სტილური თავისებურებებით ხასიათდებიან და დაწერილია, ხან მონოლოგიური ეპოსის მიბაძვით, ხან აღმოსავლური ეგზოტიკის სულისავეთებით („ტუატამური“, „ხალილი“), ხან ბიბლიურ სიუჟეტზე („ქამის წასვლა“), პოფმანის, სიმბოლისტიკის, ანდერსენის ზღაპრების („Бунный валет“, „ვალის თოჯინა“, „ხის დედოფალი“) და სხვათა მიბაძვით ლ. ლეონოვის ეს ნაწარმოებები, რომლებშიც დამუშავებული იყო ეგზოტიკური თემები, შორს იდგა თანამედროვეობისაგან, საინტერესო იყო წმინდა ფორმალური ამოცანების გადაწყვეტით — მწერლისთვის ეს იყო „კალმის გამოცდა“.

პროფესიული მწერალი ლ. ლეონოვი 1922 წ. ხდება. მისი პირველი ნაწარმო-

ებებიდან ყურადღებას იმსახურებს რუსულ ხალხურ თემებზე შექმნილი ნაწარმოებები: „Бурья“, „ეგორუშკას დაღუპვა“ და სხვ. რომლებშიც გამოვლინდა მისი შემოქმედების ჯანსაღი ელემენტები — სახალხო სცენების გაშოსახვა, ხალხური ენის ცოდნა, რეალისტური ტენდენციები და სხვ. შეიმჩნევა აგრეთვე ცალკეული ცხოვრებისეული დაკვირვებების გამოყენების ცდები, თუმც ტრანსფორმირებული სახით. მაგალითად, „Бурья“-ში ლაპარაკია რუსულ ტყეზე, რომელიც მისი შემდგომი შემოქმედების ცენტრალური თემა გახდა. ამავე დროს ეს ნაწარმოებები ამტკიცებენ, რომ გმირულმა და ძნელმა ეპოქამ ლეონოვის სახით ვერ ჰპოვა თავისი მომღერალი, ხოლო სინამდვილე, რომელიც მან შესანიშნავად იცოდა, მის ნაწარმოებებში ჯერ კიდევ არ ასახულა.

1922 წლის დასასრულს ლეონოვმა დაწერა „Петушихинский пролом“, „Конец мелкого человека“, ხოლო 1923 წ. „კოვიაკინის ჩანაწერები“. სხვადასხვა ცხოვრებისეული მასალით მწერალი წყვეტს ერთ თემას — „შენგრევა“ — ძველ ცხოვრებაში — ახალი სინამდვილის შეტანა რევოლუციის დროს. მწერალი გვიჩვენებს ცხოვრების ცალკეულ მხარეებს: სოფლის პატრიარქალურ ჩამორჩენილობას, რომელშიც იჭრება ახალი და ანგრევეს საუკუნოებრივს, დამყაყებულს. გლეხები ფიქრობენ ახალი გზების ძებნაზე. მწერალი ხატავს მუშინურ-სავაჭრო პატარა ქალაქის, ძველი ინტელიგენციის ნაწილის ჩამორჩენილობას და რეაქციულობას და ა. შ. ეს ნაწარმოებები წინ გადადგმული ნაბიჯია მწერლის განვითარებაში, მაგრამ ბევრ რამეში მიმბაძველობითია, უცხო ესთეტიკური გავლენებითაა აღბეჭდილი. ამ ნაწარმოებებში ლ. ლეონოვი ეპოქის ძირითად პრობლემებს არ ეხება, მაგრამ ცხოვრება უკვე იჭრება მისი ნაწარმოებების ფურცლებზე, თუმცა ცხოვრებისეული დაკვირვებების განსახორციელებლად მას კიდევ არ მოუძებნია შესაფერისი რეალისტური ხერხები.

ლ. ლეონოვი როგორც მწერალი მსახურდება „რომანიდან „მაჩვენები“ (1924 წ.). რომანს საფუძვლად უდევს მწვევე კლასობრივი კონფლიქტი. სამოქალაქო ომის დროს ცალკეულ სოფლებსა და რაიონებში წარმოიშვა ძლიერი უკმაყოფილება სასურსათო გაწერის გამო. მწერალი მაშინდელი გლეხების ცხოვრებაზე წერს მკაცრ სიმართლეს, აჩვენებს სოფლური ცხოვრების იდიოტიზმს, სხვადასხვა ცრურწმენების სიცოცხლისუნარიანობას, გლეხების უნდობლობას ქალაქისადმი, ახლისადმი. შეიმჩნევა ანტისაბჭოთა ამბოხის ზრდა, რომელსაც სათავეში ედგა კულაკურ-ესერული ელემენტები.

მწერალი აანალიზებს წვრილბურჟუაზიულ სტიქიას, ნაჩვენებია სოციალური ძალების დაპირისპირება, რომლებიც მონაწილეობდნენ ამბოხში. განსაკუთრებითაა ლაპარაკი იმ მიზეზებზე, რამაც აიძულა უბრალო გლეხები მონაწილეობა მიეღოთ აჯანყებაში. რასაკვირველია, სასურსათო გაწერა იყო ძნელი გამოცდა, მაგრამ მას არ უნდა დაეჩრდილა ის მთავარი, რასაც საბჭოთა მთავრობა აკეთებდა გლეხებისათვის. რომანში ნაჩვენებია აჯანყების რიგითი მონაწილეების — რიგითი „მაჩვენის“ ტრაგიკული მდგომარეობა. ბევრი მათგანი ვერ გაერკვა საქმის არსში. მათ თვალის ეხილებათ დამარცხების შემდეგ აჯანყების შეთაურები უჯარო გენერლებად რჩებიან, ისინი გარბიან და აჯანყებულებს მიატოვებენ. გლეხები, რომლებიც უაზროდ და შეუგნებლად ჩაებნენ ამბოხში, ნელ-ნელა ძლევენ შერყეობას და მიდიან არა მათთან, ვინც უკან ექაჩებოდნენ და ერთმანეთს უპირისპირებდნენ სოფელსა და ქალაქს, არამედ ახალი ცხოვრების გზაზე გამოდიან.

20-იანი წლების საბჭოთა მწერლების ინტერესი გლეხობისადმი სულაც არ არის შემთხვევითი. ქვეყნის აღდგენით პერიოდში განვითარების თავისებურებანი დაბეჭივებით თხოულობდა სწო-

რად ეჩვენებით გლახობა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. გლახობა ახალი საზოგადოების მშენებლობაში მუშათა კლასის მოკავშირე გახდა. მაშინ გაჩნდა გამოთქმა „კავშირი“ ჭალაქსა და სოფელს შორის. გამოხატავდნენ რა სოციალურ პროცესების არსებით მხარეებს მწერლები ეხმარებოდნენ პარტიას. ზოგიერთი მწერალი (თ. გლადკოვი, ალ. ფადეევი, ა. სერაფიმოვიჩი და სხვ.) გაერკვა, თუ რა ცვლილებები ხდებოდა ცხოვრებაში, შეძლეს ქვეყნის განვითარებაში მომხდარი ფაქტების მნიშვნელობის შეფასება. ზოგიერთებმა კი, მაგ. როგორც ლ. ლეონოვი იყო, სინამდვილის ფაქტები პერსპექტივაში ვერ დინახეს: ისინი აჭარბებდნენ რევოლუციის შემდგომი ხანის სოფლის ცხოვრებაში სტიქიურობის მნიშვნელობის შეფასებაში, ზუსტად არ აჩვენეს სოფლის ფენებად დაყოფა: კულაკებად და ღარიბებად და მათ შორის ბრძოლა და ა. შ. ლ. ლეონოვმა სოფლად მომხდარი ახალი ძვრები ასახა ძალიან სუსტად, იგი დიდ ადგილს უთმობდა ძველს; უარყოფითი გმირები მხატვრულად უფრო სრულყოფილი გამოდიოდა, ვიდრე დადებითები.

მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებებისა „მაჩვენებ“ მწერლის დიდი გამარჯვება იყო. მან შესძლო დიდი პრობლემების დასმა, რომლებიც სინამდვილემ წამოსწია წინ, შიავნო საკირობოტო კოლიზიები, ნაწილობრივ შექმნა იმდროინდელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ხასიათები და ა. შ. თუმცა რომანს საფუძვლად უდევს არა დამახასიათებელი სიტუაცია (ერთი სოფელი მთლიანად მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, მეორე კი წინააღმდეგია), არც თუ ზუსტად უდგება მწერალი გლახების შეცდომებს, მაგრამ სოფლის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები მაინცაა ნაჩვენები. მართალია, ნელა, მაგრამ მაინც ახალი იჭერს ადგილს. ნათელი და მდიდარი ენა, მართალია დიალექტიზმებით დატვირთული, რომანის აღიარებული ღირსებაა.

ნაწარმოების ხარისხი განპირობებულია მწერლის გაძლიერებულ კავშირით ცხოვრებასთან, მიწროაფებით, რათა მონაწილეობა მიიღოს თავისი ხალხის შემოქმედებით შრომაში. ხოლო რომანის მრავალი ადგილის დამაჯერებლობა შედგება თვით მწერლის პირადი შთაბეჭდილებებისა. ლ. ლეონოვი გაიზარდა ზარიადიეში და მოსკოვის ახლო შემოგარენი შესანიშნავად აღწერა რომანის ზოგიერთი გმირის წინა ისტორიაში; ლეონოვების ოჯახის ბევრი თვისება გადასხვაფერებული სახით გამოჩნდა ბიხალოვების ოჯახის გამოსახვისას.

„მაჩვენებ“ შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მ. გორკი წერდა, რომ ლ. ლეონოვის სახით იგრძნობა მომავალი დიდირუსი მწერალი.

მწერლის ჩამოყალიბება სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა წინ. უკვე 1928 წ. მ. გორკი ლ. ლეონოვს წერდა: „თქვენ ნახტომებით მიდიხართ „ტუატამურიდან“ „მაჩვენებამდე“, „მაჩვენებდან“ „ქურდამდე“; ყველა ეს ნაწარმოები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან და ენობრივადაც სხვადასხვაა.“<sup>1</sup> და მართლაც, შემდგომი მისი რომანი „ქურდი“ მიუხედავად იდეური ნაკლოვანებებისა, მოწმობდა მწერლის შემდგომ დეაქცეცებას, მის ფხიზელ თვალსა და მტკიცე ხელს. რომანს საფუძვლად უდევს ნების პერიოდის ტრაგიკული კოლიზია: ადამიანები, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს ფრონტებზე ანადგურებდნენ ბურჟუებს, და რომლებიც მშვიდი და ტიტველი შეუდგნენ ახალ ცხოვრების მშენებლობას, უცებ კვლავ შეეჯახნენ მაძლარ, რესტორნებში მოქეიფე ბურჟუებს. ზოგიერთებმა ამ პერიოდის თავისებურებები ვერ შეიგნო, ზოგიერთები კი შეუშინდნენ სიძნელეებს და წინააღმდეგობებს, მათ ნები მიიღეს როგორც უკან დახევა. რომანის გმირი მიტა ვეკშინი სამოქალაქო ომის კომისარი იყო, ფრონტიდან დაბრუნე-

<sup>1</sup> М. Горький, Собр. соч. т. 30, стр. 68, М. 1955.

ბის შემდეგ იგი დაიბნა. რევოლუციურა რომანტიკის მაგივრად აღმოჩნდა გმირობას მოკლებულ ყოველდღიურობაში. ზოლო ბრძოლა უფრო მძაფრი და ეშმაკური გახდა, მაგრამ იარაღად აქ გამოყენებული იყო არა ქვემეხები, არამედ ციფრები. ყოველ კუთხეში, ყოველ თავში, ყოველ სახლში ფრონტი იყო. აღდგენდნენ მალაზიებს, გასართობ ადგილებს. დემობილიზებული ჯარისკაცები გაკვირვებით შესცქეროდნენ, როგორ მოძვრებოდნენ ზერელებიდან ბურჟუები და უფრო უკეთესად ცხოვრობდნენ, ვიდრე ისინი, ვინც რევოლუცია მოახდინა. მიტკას ეზიზღებოდა, როგორც მას ეჩვენებოდა, ექსპლოატატორთა აღორძინებული სამყარო, ბურჟუები, მეშხანები და შური რომ იძიოს ქურდი ხდება. ეს იყო პროტესტის თავისებური ფორმა.

მწერალი დიდ ყურადღებას უთმობდა მეშხანური ჭაობის მხილებას. როგორი სახეები არ დაგვიხატა ავტორმა; ყველა მათგანი სხვადასხვაგვარი ადამიანები არიან, მაგრამ ყველა მეშხანია; ჩივილვეი ამტკიცებს, რომ ცხოვრება მას და მისთანებს ეკუთვნის, გუშინდელი ბატონი მანიუკინი, რომელიც მათხოვარი გახდა, პჩხოვი, რომელიც ცხოვრების მასწავლებლობას კისრულობს და ყველაზედ ჭანსალი პიროვნება გუშინდელი გლეხი — ვაჭარი ზავარიხინი, რომელიც ჭერ კიდევ უნდობლად უყურებს ქალაქს, მაგრამ შეითვისა მგლური წამგლეჯი ნეპმანელის თვისება. ლ. ლეონოვის ამ გმირებისადმი დამოკიდებულება რამდენადმე ბუნდოვანია. რომანის პერსონაჟი — მწერალი ფირსოვი თვალყურს ადევნებს ჩიხების მცხოვრებლების ბოლომდე ამოუცნობ არეულ-დარეულობას, იმ ურთიერთობას, რომელიც მისი აზრით შეეფარდება კაცობრიობის ბედის ჩიხებს. თვითონ ლ. ლეონოვი იმ დროინდელ ერთ-ერთ თავის სტატიაში ამტკიცებდა, რომ მწერლებმა, რომლებიც ოქტომბრის დროშის ქვეშ დაიბადნენ, ამ გარდამავალი პერიოდის „მძაფრ ადამიანურ არეულ-

დარეულობაში“ ამ „დიდი იდეების დაქახებაში“ უნდა გამოავლენონ უხალის ადამიანის დაბადება. ~~დასტურდება~~ თვითონ ვერ შესძლო ამის განხორციელება, იგი თვითონ გვაგონებს მწერალ ფირსოვს, რომელმაც შექმნა მძაფრი არეულ-დარეულობა და ბევრი რამ ვერ გაიგო და ვერ ამოხსნა.

ავტორმა რამდენადმე გადააქარბა მეშხანების შეფასებაში. და ვინ დაუბირისპირა ამ ჭაობს მწერალმა? დაუბირისპირა მხოლოდ რამდენიმე უდანაშაულო მსწვერალი, რომლებიც მეშხანებთან უთანასწორო ბრძოლაში დაილუპნენ და მიტკა ვეკშინი — ანარქისტი პროტესტანტი, რომელიც ავტორის აზრით განასახიერებდა „სტიქიურ მოვლენებს რევოლუციაში“. მართალია, რომანის ბოლოში ავტორმა ვეკშინს კავშირი გააწყვეტინა ქურდების ფენასთან იგი ტყის დამზადებაზე წავიდა სამუშაოდ, მაგრამ ვეკშინის გარდაქმნა მთლად ვერაა მოტივირებული, იგი რომანის ფარგლების გარეთ დარჩა. ზოლო მწერლის მიერ სხვათაშორის ნახშირი ფრაზები, რომელიც ჩვეულებრივ ლეონოვისთვისაა დამახასიათებელი, საიდანაც ვიგებთ რომ, სადღაც გიგანტური ქარხანა შენდება, ადამიანები ცდილობენ ქვეყანა ელექტროფიციკრებული გახადონ და ა. შ., არ წარმოადგენს რომანის შინაგან ქვეტექსტს, თხრობის ატმოსფეროს არ ქმნის. ატმოსფეროს ქმნის მეშხანური ჭაობი.

ასეთია „ქურდი“, რომლის მხატვრულ სტრუქტურაში გამოვლინდა ავტორის იდეური შეცდომები: მწერალმა გადააქარბა მეშხანების როლის შეფასებაში, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ნატურალისტურ აღწერაში, ნეპის მნიშვნელობის გაუგებრობაში. აქედან გამომდინარეობს რამდენიმე გმირის არა ტიპურობა, მწერალი მიმართავს ეპოქისათვის არა დამახასიათებელ, მთავარ კოლიზიებს, ენის ნატურალიზმს. რომანმა დიდი პოლემიკა გამოიწვია. მართალია საწინააღმდეგო აზრები გამოითქვა, მაგრამ უმეტესობამ

აღნიშნა წარმატებები რომანის არქიტექტონიკაში და რომ მწერალს უნარი შესწევს გამოიყენოს რუსული ხალხური ენა და ა. შ.

იწყება საბჭოთა კავშირის სოციალისტური გარდაქმნების ხანა. მ. გორკი დაუღალავად მოუწოდებდა საბჭოთა მწერლებს გამოესახათ „მიმდინარე სინამდვილე“, „ქვეყნის ინდუსტრიალურად შეიარაღების გმირობა...“ თვითონ მ. გორკი ბრუნდება სამშობლოში, ოცნებობს იხილოს ქვეყნის წარმატებები. მას სურდა ყველგან ემოგზაურა სადაც კი ახალგაზრდობის დროს ყოფილა. ასე შეიქმნა მისი ნარკვევები: «По Сторону Советов» («საბჭოების კავშირში»).

1929 წ. გამოვიდა ლ. ლეონოვის რომანი „სოტი“, რომელიც, თითქოს პასუხი იყო მ. გორკის მოწოდებაზე.

რომანი შექმნილია ავტორის პირადი შთაბეჭდილებების საფუძველზე, რომლებიც მწერალს დაუგროვდა სიასში და ბალახონში ქალაქის კომბინატის მშენებლობებზე მოგზაურობის დროს. როგორც ყოველთვის, მწერალი შეეცადა საფუძვლიანად შეესწავლა ქალაქ-წარმოება და მშენებლების ცხოვრება. მდიდარი მასალა ავტორის წარმატების ერთ-ერთ მიზეზთაგანია. შესანიშნავად თქვა მ. გორკიმ მწერალზე: „...სინამდვილე ისე იცის, თითქოს მან შექმნა იგი. ლეონოვი ძალიან ნიჭიერია, მოწოდებულია ცხოვრებისათვის, დიდი საქმეებისათვის, და მან კარვად იცის, რომ სინამდვილე საჭიროა იცოდეს სწორედ ისე, თითქოს შენ თვითონვე შექმენი იგი“.<sup>1</sup>

მ. გორკის ნარკვევა „საბჭოების კავშირში“, ლეონოვის „სოტმა“, მ. შაგინიანის „ჰიდროცენტრალმა“, ა. ილინის „დიდმა კონვეიერმა“, ვ. კატაევის „დროვ, წინ ვასწი!“, ი. ერენბურგის „დღე მეორემ“ და სხვ. დაგვიხატეს ახალი საზოგადოების მშენებლობის, ინდუსტრიალიზაციის დაწყების გრანდიოზული სურათი. რამდენიმე ხნით

აღრე ლ. ლეონოვი გმირობას და რომანტიკას ხედავდა ოქტომბრის ეპოქაში და სამოქალაქო ომში. იგი თვლიდა რომ ალდგენითი პერიოდისათვის — საჭიროა ბრძოლის ახალი მეთოდები — „იწყებოდა დიდი მანევრირების ეპოქა, და შეიძლება ამაში მდგომარეობდა რევოლუციის ქეშმარიტი რომანტიკა“. ამიტომაც მწერალმა კომბინატის მშენებლობა გამოხატა, უპირველეს ყოვლისა, როგორც გააფთრებული ბრძოლა ახლისა ძველთან, სოციალიზმისათვის გმირულ ბრძოლად.

„სოტი“ მრავალშლანიანი რომანია. ძირითადი პრობლემაა ქალაქის კომბინატის მშენებლობა. სხვადასხვა კუთხიდან მშენებლობაზე მოსული გუშინდელი გლეხები მუშაობის პროცესში ბოლშევიკების უვადიევისა და პოტიომკინის ხელმძღვანელობით შეგნებულ მუშებად ყალიბდებიან. მეორე სამყაროა: კულაკები, ბერები და შენიღბული კლასობრივი მტრები. ამ ორ სამყაროს შორის ბრძოლა გამოსახულია ცალკეული ადამიანების ინდივიდუალურ ბედში. რომლებიც ცხოვრობენ, შრომობენ, რაღაცისკენ ისწრაფვიან. მოკლედ, ამ რომანში გააფთრებული ბრძოლის ფართო ტილო იქმნება.

მეორე მნიშვნელოვანი თემა — სტიქიის დაძლევა. როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ზოგიერთი მწერალი რევოლუციურ მოძრაობას გამოხატავდა, როგორც წყალდიდობას, ამბოხს, სტიქიურობის გასაქანს. მართალია, რევოლუციაში იყო სტიქიური საწყისიც, მაგრამ ხალხთა მასების გამარჯვება განპირობებული იყო კომუნისტური პარტიის ორგანიზებულა და შეგნებული ხელმძღვანელობით. „სოტ“-ში სტიქია და მისი დამორჩილება მრავალმხრივია ნაჩვენები: ეს არის ბუნების სტიქიური ძალების გადალახვა, წვრილბურკუაზიული გლეხური სტიქიურობის დამორჩილება მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობისადმი, ეს არის ადამიანების გონებაში შოშხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები. ბოლშევიკების

<sup>1</sup> М. Горький, О литературе, стр. 413, М., 1955.



მიერ სტიქიურობის ალაგმვა რომ გვიჩვენოს, ლ. ლეონოვი მიმართავს საინტერესო ხერხს. ლენინზე პოემის შექმნის დროს ვ. მაიაკოვსკიმ მთავარი მეტაფორა ასე გამოსახა: რევოლუცია — ქარიშხალია, საბჭოთა რუსეთი — ხომალდი. ლენინი — მესაქე. ასე იქცა პოლიტიკური აზროვნება მხატვრულ ხილვად. ასე მოიქცა ლ. ლეონოვიც. სოტის მშენებლობის ხელმძღვანელს უვადიევს, მშენებლობა და მთელი ქვეყანა ხომალდად წარმოუდგენია, რომელიც უნდა გამოატარო ქარიშხალში, მღელვარებაში და გაუქაფავი გზით წაიყვანო. უვადიევის მოღვაწეობის შედეგად სტიქია დამორჩილებულ იქნა, კომბინატის მშენებლობის პროცესში იზრდება შეგნებულობა.

რომანის სახეები არაა ტოლფასოვანი. ლ. ლეონოვის შემოქმედებაში პირველად გამოჩნდა ბოლშევიკების მხატვრულად დამაჯერებელი სახეები. ისინი არ არიან იდეალური გმირები, რომლებიც უმადლესი ხარისხის თვისებებით არიან დაჯილდოებულნი, არამედ არიან სულ სხვადასხვაგვარნი: აი, მავალითად, ფიზიკურად სუსტი პოტიომკინი, აი, მკვეთრი წინააღმდეგობრივი ხასიათი უვადიევისა და სხვ. მაგრამ მათ ყველას აერთიანებს ერთი რამ — რევოლუციის დიადი საქმისადმი ერთგულება. კარგადაა დახატული ძველი ინჟინრების სახეები, კანონზომიერია მათი ცხოვრებისეული გზა. განსაკუთრებით კარგადაა დახატული ახალი დროების მტრების სახეები, კარგია სახეების დაჯგუფებაც: მწერალი ვაერკვა კლასობრივი ძალების დიფერენციაციაში, ყოველი ადამიანის ინდივიდუალურ ბედში მწერალმა ბრძოლის კანონზომიერი პროცესის ნაწილი დაინახა.

რომანი „სოტი“ ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაზე. სტატიაში „ახალი ამოცანების სიმალღეზე“, რომელიც მიეძღვნა ცენტრალურ კომიტეტის 1932 წ. 23 აპრილის დადგენილებას, „პრავდა“ წერდა, რომ სოციალიზმის წარმატებებმა გამოიწვია ინტელი-

გენციის მობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ლიტერატურის სფეროში ეს გამოიხატა იმით, რომ მწებლურმა მხატვრებმა სოციალისტურ მშენებლობაში, რაც მათ მხატვრულ შემოქმედებაში აისახა (ლ. ლეონოვი, ნ. ტიხონოვი, მ. შაგინიაინი, მალიშკინი და სხვ.).<sup>1</sup>

1930 წ. გაზაფხულზე მწერლების ბრიგადამ (ნ. ტიხონოვი, პ. პავლენკო, და სხვ.) იმოგზაურა თურქმენეთში; მათ მიზანს შეადგენდა შეესწავლათ ქვეყანა და ის ახალი, რაც მოუტანა ჩამორჩენილ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებამ. მწერლებმა თავიანთი დაკვირვებანი გამოხატეს სხვადასხვა ტიპის ნაწარმოებებში. ლ. ლეონოვი წერს მოთბობას „კალიების შემოსევა“, რომელსაც საფუძვლად დაედო ნამდვილი ფაქტი, კალიების შემოსევა დეკანოზის მინდერებზე. ამ ფაქტის მხატვრული განზოგადების საფუძველზე ლეონოვმა შექმნა ნაწარმოები, რომელშიც ასახული იყო ადამიანების გონებაში მომხდარი ცვლილებები, მათი ბრძოლა ახალი თურქმენეთისათვის.

1932 წ. გამოქვეყნდა ლ. ლეონოვის რომანი „სკუტარეცკი“. ეს ნაწარმოები დაწერილია ტექნიკურ ინტელიგენციაზე, მათ ფენებათ დაყოფაზე, საზოგადოების იმ მნიშვნელოვან ნაწილზე, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მობრუნდა. ამ მოვლენის მიზეზებს მწერალი ხედავს სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებში. ნაწარმოების ძირითადი გმირი არის ფიზიკოსი სკუტარეცკი, რომლის გზა ტიპიურია ძველი სწავლულების გარკვეული ნაწილისათვის. რომანში ასახულია არა მხოლოდ „პირველი ფაზა“ ინტელიგენციის მიერ ოქტომბრის მიღებისა (მუშათა კლასთან თანამშრომლობა თავიანთი იდეოლოგიის შენარჩუნებით), არამედ „მეორე ფაზაც“, როდესაც სკუტარეცკი განიცდის თანდათანობით გარდაქმნის პროცესს, ჩამოდის მეცნიერების მწვერვალიდან ძირს — ხალხთა მასებთან,

<sup>1</sup> «Правда», 1931. 9 мая.

იწყებს მარქსიზმის შესწავლას: იგი გადაჭრით წყვეტს კავშირს ოჯახთან, ცოლთან და შვილთან, რომლებიც ბარიკადების მეორე მხარეზე დარჩნენ. თვითონ მეცნიერი შეგნებულად ეძებს გზას ახალ საზოგადოებაში. ლ. ლეონოვი წერდა: „მეორე ფაზა ხასიათდება სწორედ ამ ტრადიციების (ძველი ტრადიციების — დ. თ.) საფუძვლიანი გადახედვით და ოქტომბრის რევოლუციის, არა როგორც მომხდარი ფაქტის აღიარებით, არამედ, იმიტომ რომ, იგი მუშათა კლასის პოზიციებზე საბოლოოდ გადასვლის გზით იდეოლოგიურადაც და მსოფლმხედველობრივადაც იქნა მიღებული“.

რომანში დასმულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები. სკუტარევსკიმ და იმ ინსტიტუტმა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, დაიწყო მუშაობა პრაქტიკულ პრობლემებზე, რომლებიც ეხებოდნენ ქვეყნის ელექტროფიკაციას; რომანის მეორე თემაა ხელოვნებისა და რევოლუციის პრობლემა, რომელიც იმ წლებში უაქტუალესი თემა იყო. ყველაზედ კარგად ეს ნახვენებია პროფესორი სკუტარევსკის ძმის—თევდორეს ბედის ჩვენებისას. რევოლუციამდე იგი იძულებული იყო ყალბი ანტიკვარული საგნები გაეკეთებია, მაგრამ ამ აღამიანში ჯანსაღი საწყისები აღმოჩნდა, რამაც განაპირობა მისი გადაწყვეტილება, ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში. თევდორე მოხატავს მუშათა კულტურის სახლის ედლებს. შესაძლებელია ლ. ლეონოვი რამდენადმე აუბრალოებს პრობლემას, მაგრამ პრინციპში იგი სწორადაა გადაწყვეტილი.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეგობრებისა და მტრების გამოხატვას. და თუ მტრები — პეტრიგინი, არსენი, პროფესორის ცოლი, შტრუფი, მწერალს გამოუვიდა მკვეთრი და დასამახსოვრებელი, რამდენადაც მწერალმა მათში გააშვილა კაცთმოძულე ბუნება, ახალი აღამიანების სახეების — ახალგაზრდა სწავლული კომუნისტი ჩერიმოვის, ენის დახატვისას იგრძნობა ტენდენცია,

აჩვენოს მკითხველს სად უნდა მიიყვანოს გარდაქმნამ სკუტარევსკი და ბოლოს, რომანში გადმოცემული ინსტიტუტის რევსკის შეხვედრა ლენინთან, როგორც სიმბოლო იმისა, რომ პროფესორი მივიდა ახალ ცხოვრებასთან.

ლ. ლეონოვის შემდეგი რომანი „გზა ოკეანეზე“ (1935 წ.) საეტაპო ნაწარმოებია. ამ დროისათვის უკვე შედგა საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა, წარმატებით დამთავრდა პირველი ხუთწლეული და დაისახა შემდგომი მუშაობის გეგმები. უდაბნოები, შორეული მხარეები სახეს იცვლიდა. მომავალი — ხვალისდელი დღე რეალობად იქცა. მწერალი ცდილობდა პროექტების კონტურებში, პარტიული ამხანაგების გამოხატვაში დაეხსნა მომავალი, რომელიც იქმნებოდა დღეს. მ. გორკი ამტკიცებდა, რომ „საჭიროა ვიცოდეთ მესამე სინამდვილე, სინამდვილე მომავლისა“, რომელსაც იგი თვლიდა „ეპოქის რევოლუციურ ბრძანებად“, ხოლო სოციალისტური რეალიზმის მეთოდი წარმოუდგენილია მესამე სინამდვილის არსებობის გარეშე.<sup>1</sup>

ლ. ლეონოვის რომანში აღწერილია 30-იანი წლების ეპოქა, რომელიც პერსპექტიულად მიისწრაფოდა მომავლისაკენ, ავტორის ყურადღების ცენტრშია კომუნისტის კურილოვის სახე, რომელიც ჩამორჩენილი სარკინიგზო ხაზის პოლიტგანყოფილების უფროსად ინიშნება, მაგრამ იგი მალე ავად გახდება და მუშაობას თავს ანებებს. ლ. ლეონოვი ამ ჩანაფიქრის შესახებ წერდა: „მე მაინტერესებს ავიღო აღამიანი, რომელსაც დიდი შინაგანი სამყარო აქვს და გამოვგლიჯო იგი მისთვის ჩვეულ გარემოს, დავტოვო იგი მარტო-მარტო. აღამიანისთვის ძნელია გაიტანოს თავი მარტობაში, როდესაც ერთად-ერთი მისი მოსაუბრე მხოლოდ თვითონაა. მაშინ აღმოჩნდება რაოდენ ძვირფასია აღამიანი“. ნაწარმოების სიუჟეტი გან-

<sup>1</sup> М. Горький, О литературе, стр. 499, М. 1937.

საკვიფრებლად უბრალოა, მოქმედების დრო ერთი წელია. სასიკვდილოდ დაავადებული კურილოვი იძულებულია მიატოვოს სამუშაო, მაგრამ ავადმყოფობას არ ნებდება. იგი პოულობს ძალღონეს ადამიანების აღსაზრდელად და გზის საჩვენებლად; თვითონ დაუღალავად მუშაობს და სწავლობს, ადამიანები მასთან ურთიერთობით ბევრ რაიმეს იგებენ, მათ უჩნდებათ ცხოვრების მიზანი, ისინი შინაგანად იწმინდებიან.

თუკი რომანის სიუჟეტური ქარგა უბრალო და სწორხაზოვანია, ნაწარმოების კომპოზიცია განსაკუთრებით რთულია. რომანში ნაჩვენებია სამი სინამდვილე: აწმყო, სადაც ცხოვრობს და აქტიურად მოქმედებს ლოგინზე მიჯაჭვული კურილოვი (ამით ლიტერატურაში იქმნება სიტუაცია, რომელსაც შემდეგ კორჩაგინისეული უწოდეს), ერთდროულად მწერალი გადმოგვცემს თავისი გმირების წარსულს და ზოგჯერ მათ ბიოგრაფიას; ასეთია მეორე სინამდვილე — წარსული. მაგრამ მთავარია — რომანში არსებული მესამე სინამდვილე, რომელიც გამოსახულია მომავალში კურილოვის წარმოდგენითი მოგზაურობით (ორი სისტემის ბრძოლის სურათები, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა, მომავალი ადამიანის ცხოვრების სურათები და ა. შ.). ერთი შეხედვით რომანის ის ნაწილები, სადაც აღწერილია მომავლის და წარსულის სურათები, ორგანულად არაა დაკავშირებული სიუჟეტის ძირითად ხაზთან. მაგრამ ამ სხვადასხვა ელემენტს აერთიანებს ნაწარმოების იდეურ-თემატური საფუძვლები. — ლ. ლეონოვი ისწრაფვის გვაჩვენოს ბოლშევიკი კურილოვის დღევანდელი ცხოვრების სიმძიმე, რომელიც საძაგელი გუშინდელი დღისაგან ბოლომდე არ განთავისუფლებულა, მაგრამ აშენებს დიად ხვალისდელ დღეს. მწერალმა გონებამახვილურად გამოთქვა, რომ ხდება ასეც, როდესაც „სიუჟეტი მხოლოდ ერთი, ზოგჯერ არც თუ ყველაზე საინტერესო წერილმანია“. ასე მოხდა ამ ნაწარ-

მოების მიმართაც. ამგების გარეგანი ქარგა მდიდარი შინაარსის მქონეა. წილის შეიწოვდა, რომელმაც ავტორმა ვალედ „ჩაეტია“ რომანში რთული კომპოზიციის წყალობით.

ავტორის განსაკუთრებული წარმატებაა მთავარი გმირის კურილოვის სახე. კურილოვი დღენიადაც სწავლობს, იზრდება. ერთმა პერსონაჟმა იგი ხილს შეადარა, რომლითაც ადამიანები გადადიან მომავალში; თუმცა კურილოვმა ვერც ერთი თავისი წამოწყება ბოლომდის ვერ მიიყვანა, მაგრამ მის საქმეებს აგრძელებენ სხვები. ასე სწორადაა გადაწყვეტილი თაობათა მემკვიდრეობის, მამათა და შვილთა პრობლემა. კურილოვის საქმე, და შესაძლებელია თვითონაც, განაგრძობს სიცოცხლეს თავის მოწაფეებში, აღსაზრდელებში.

ლ. ლეონოვი მთავარ გმირს პრინციპულად ხატავს დიდი მასშტაბით. ყველაფერი, რასაც კურილოვი აკეთებს, ყოველთვის მნიშვნელოვანია. მისი სიკვდილიც დიდი დანაკარგის შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანებში. ამ სახით ლ. ლეონოვმა — როგორც მხატვარმა დაამტკიცა, რომ მას ეხერხება ეპოქის მთავარი გმირის — ბოლშევიკის გამოსახვა. კურილოვთან შედარებით უვალივეი („სოტი“), ჩერიმოვიც კი („სკუტარევესკი“) რამდენადმე მასზე დაბლა დგანან. კურილოვში შეერთდნენ ჩერიმოვის შეურიგებლობა (რასაკვირველია, არა სწორხაზობრივად, რაც მოგვაგონებს ნ. ნავულოვს „ვატებილი ყამირიდან“) და სკუტარევესკის ინტელექტი. როგორც ცნობილია, საბჭოთა ლიტერატურა თანდათანობით სძლევდა კომუნისტის გამოსახვის ამოცანას. ლ. ლეონოვის შემოქმედებაშიც ეს ცენტრალური პრობლემა წარმატებით გადაწყდა.

მწერლისათვის ჩვეული მანერა — განზოგადოებისაკენ მისწრაფება, სახეების სიმბოლური მნიშვნელობით დატვირთვა — ამ ნაწარმოებშიც გამოჩნდა. სიმბოლური სახე ოკეანისა — მომავლის სამყაროსი, კომუნისმისა, — აცემენტებს და კრავს მთელ ნაწარმოებს და

წარმოადგენს იმ შინაგან საფუძველს, რომელიც ასეთი სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგანაა შედგენილი და ნაწარმოების ჩამოყალიბებას განაპირობებს. ლ. ლეონოვი ამტკიცებდა, რომ ძველი სამყაროს „მდინარეები“ თანდათან წვრილდებიან, ხოლო ახლის „მდინარეები“ თანდათან წყალუხვნი, ფართონი და ვრცელი ხლებიან და ამიტომაც ისინი ოკეანემდე მიაღწევენ.

ამგვარად რომანი „სოტიდან“ მოყოლებული, ლ. ლეონოვის შემოქმედებაში ხორციელდება თანამედროვეობის ძირითადი პრობლემებისაკენ მობრუნება. ადრე მისი მხედველობის არეში ექცეოდა ისეთი ამბები, რომლებსაც ქვეყნის ცხოვრებაში არ ჰქონდათ დიდი ხვედრითი წონა. ახლა კი მწერალი აღწერს სოციალისტური სინამდვილის ფაქტებს — ქარხნების და ფაბრიკების მშენებლობას, ადამიანების ჩაბმას შემოქმედებით მუშაობაში, მუშაობაში, რომელიც ადამიანის მოთხოვნილებად იქცევა. რაც მთავარია, ლ. ლეონოვის ნაწარმოებებში „მომწიფდა“ ახალი დროის მთავარი გმირის — ბოლშევიკი ხელმძღვანელის სახე. „სოტი“, „სკუტარევისკი“, „გზა ოკეანეზე“ შეიძლება ჩაითვალოს ლეონოვის შემოქმედების ეტაპებად, რამაც იგი მიიყვანა მომავლის თემის გამოსახვამდე, ვორკის ენით რომ ვთქვათ „მესამე სინამდვილის“ გამოსახვამდე.

1936 წლიდან ლეონოვი მუშაობს დრამატურგიაში, არსებობს აზრი, რომ ამ დარგში მან ნაკლები როლი გააკეთა ვიდრე პროზაში: „პოლოვჩანის ბაღები“, „მგელი“, „შემოსევა“, „ლენუშკა“, „ჩვეულებრივი ადამიანი“, „პროვინციული კაცი“, „ოქროს კარეკა“, „ქარბუქი“ და სხვ. გასცენიურებული „მანევები“, „სკუტარევისკი“, „რუსული ტყე“ და სხვ. ლ. ლეონოვის პიესები ძალიან თავისებურია და სცენაზე ძნელად დასადგმელი. ნამდვილი პოპულარობით სარგებლობდა მხოლოდ „შემოსევა“ და „ჩვეულებრივი ადამიანი“. პიესები თეატრულად სხვადასხვაგვარია. „პოლოვჩა-

ნის ბაღები“ და „მგელი“ დაწერილია 1936-1937 წ.წ. და მოგვეტობრუნენ უცხოელი ჯაშუშების მხილებას. ჩვეულებრივი ადამიანი“ მიძღვნილია ადამიანების შეგნებაში წარსულის გადმონათების წინააღმდეგ ბრძოლისადმი, „შემოსევა“ და „ლენუშკაში“ ლაპარაკია საბჭოთა ადამიანების სიმამაცეზე ფაშისმთან ბრძოლაში და ა. შ.

ლ. ლეონოვის დრამატურგიის მწვერვალად უნდა ჩითვალოს „შემოსევა“, რომელიც დაიწერა 1941-1942 წ.წ. ზამთარში, იმ პერიოდში როცა მოსკოვთან განადგურებული იქნა გერმანელთა ჯარები. ექიმ ტალანოვის ოჯახი დარჩა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მათთან ბრუნდება შვილი თედორე, რომელიც სასჯელს იხდიდა ექვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობისათვის. ოჯახი, ისე როგორც სხვა საბჭოთა ხალხი, თედორეს არ უჯერებს. ამ დროს ბრუნდება გარეწარი ფაიუნინი, რომელიც ქალაქის თავი ხდება. პიესაში ნათლადაა დახატული ორი ბანაკი: პატროსანი საბჭოთა ადამიანებისა და ფაშისტებისა და მათი თანამზრახველებისა. ყურადღების ცენტრში დგას ტალანოვების ოჯახში მომხდარი ამბები, მაგრამ ამავე დროს პიესაში კარგად იგრძნობა საბჭოთა იატაკქვეშელების მოღვაწეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს რაიონული საბჭოს თავმჯდომარე კოლესნიკოვი. თედორე ტალანოვმა დაინახა ადამიანების ტანჯვა-წამება, შესძლო თავისი ტკივილების დაიწყება და ძალა მოიკრიბა იმისათვის, რომ იარაღით ხელში ფაშისტების წინააღმდეგ გამოსულიყო, მან სიკვდილს გადაარჩინა კოლესნიკოვი.

პიესის ძალა მდგომარეობს საბჭოთა ხალხის მიერ მტრებისადმი შეურიგებელი ატმოსფეროს შექმნაში. მოლაღატე ფაიუნინი შინაგანად ულოგიკო საქციელს ჩაიდენს. შეიარაღებული გერმანელების თანდასწრებით, მან ვერ გაბედა კოლესნიკოვის ცნობა! მიზეზი უნდა ვეძიოთ მოლაღატის შიშში ხალხის შურისძიების წინაშე. ნაკლებად როდი

ეწინა მას იმ ახალგაზრდა ჯარისკაცი-სა, რომელსაც ადრე ფაიუნინი ვეაკუი-რებული ეგონა და ლუკმა პური გაუყო, თანაც დაპირდა დაებრუნდებო:— „რუსები ყოველთვის ბრუნდებიან!“ პიესის მეოთხე მოქმედება ხდება ფართო სივრცეში, რითაც გასიმბოლოებულია საერთო სახალხო ბრძოლა ფაშისმის წინააღმდეგ.

პიესას „შემოსევა“ დიდი წარმატება ხვდა წილად და იგი შევიდა საბჭოთა დრამატურგიის ოქროს ფონდში.

სამამულო ომის დროს ლ. ლეონოვმა დაბეჭდა პიესა „ლენწუკა“, და ამავე დროს აქტიურად გამოდიოდა, როგორც პუბლიცისტი. მოთხრობა „ველიკოშუმსკის აღება“ 1943 წ. ბოლოს დნეპრის რაიონში მიღებული პირადი შთაბეჭდილებების საფუძველზე დაწერილი, როდესაც ფაშისტი დამპყრობლები საბოლოოდ იდევნებოდნენ საბჭოთა კავშირის მიწა-წყლიდან.

რომანის „გზა ოკეანეზე“ დაწერიდან, თითქმის 20 წლის შემდეგ, 1953 წ. გამოაქვეყნა ლ. ლეონოვმა ახალი რომანი „რუსული ტყე“. ამ რომანში მწერალმა შესძლო სინამდვილის საფუძველზე ნამდვილი ნაწარმოები შეექმნა, მოეთხრო ნამდვილ სიძნელეებზე და ცხოვრებისეულ კონფლიქტებზე. ლ. ლეონოვის ეს ნაწარმოები მკვეთრად განსხვავდება იმ სხვა ნაწარმოებებისაგან, რომლებშიც იშვიათი როლი იყო მოგონილი, მსუბუქი სიტუაციები და კონფლიქტები. როგორც სწორედ იყო აღნიშნული, ამგვარ ნაწარმოებებში სინამდვილის ასახვა უკონფლიქტოდ და შელამაზებულად ხდება. დასმული საკითხების სიმძაფრითა და უკუშპრომისო სიმართლით ლ. ლეონოვის ნაწარმოები შეიძლება შევადაროთ ოვეჩკინის, ტროეპოლსკის ნარკვევებს, ს. ანტონოვის მოთხრობებს. ხოლო მხატვრული ღირსებებით კ. ფედინის „არაჩვეულებრივ ზაფხულს“.

რომანის შინაარსი საოცრად მრავალფეროვანია, თუმც სიუჟეტი ძალიან უბრალოა. პროფესორ ვიხროვის ქალიშვილი, რომელიც მშობლებს შორის ჩა-

მოვარდნილი უთანხმოების გამო არ ცხოვრობდა მამასთან, მყვრუბული ტყიდან მოსკოვში ჩამოდის და დასახლებადა. პოლიას ვიხროვობდა მამა, რადგან მამას იგი იცნობდა გრაციანსკის სტატიებით, რომელსაც ეს უკანასკნელი ვიხროვის წიგნებზე ბეჭდავდა, მაგრამ როცა ვიხროვის ლექციებს მოისმენს, დაინახავს მის ოჯახურ მდგომარეობას, ახლო ვაეცნობა მამამისის მთავარ მოწინააღმდეგეს გრაციანსკის, და რაც მთავარია გამოივლის სამამულო ომს, იგი ბოლოს და ბოლოს გაერკვევა საქმის არსში და მამამისის „რეაბილიტაციას“ მოახდენს. ამგვარად, რომანის ძირითად ხაზად შეიძლება ჩაითვალოს პოლიას ხასიათის ჩამოყალიბება, მისი დამოკიდებულება მამასთან. რომანის მოქმედება იშლება 1941—1942 წ.წ. მრისხანე დღეებში, ხოლო სამხედრო ამბებს (ბრძოლები მოსკოვის მისადგომებთან. პარტიზანული ბრძოლები მტრის ზურგში და ა. შ.) განსაზღვრული ადგილი უკავია რომანში. მაგრამ, რათა ნაწარმოების სხვა მნიშვნელოვანი ხაზებიც მთლიანად გაიხსნას (ვიხროვისა და გრაციანსკის ხაზი), მწერალი მისთვის ჩვეულ მანერას მიმართავს და რომანის პერსონაჟების წარსულში გადავყავართ. ამგვარად თხრობის ჩარჩოები ფართოვდება და ლ. ლეონოვი გვიჩვენებს რუსეთის ცხოვრების სურათს მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე.

მთელი რიგი ამბები, რომლებზედაც მოთხრობილია სხვადასხვა დროს რომანის მთავარი მოქმედი პერსონაჟების ცხოვრებასა და ბრძოლასთან დაკავშირებით, წინასწარ გვაუწყებს ნაწარმოების სიუჟეტური ამბების დასაწყისზე. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ რომანის შინაარსისათვის. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი ამბები ქრონოლოგიურ ქარგაში აღდგენილი: ივანე ვიხროვის გაჭირვებული ბავშვობა, მოსკოვში ჩამოსვლა, გრაციანსკისთან და სხვებთან ვაცნობა, რევოლუციური წრე, ვადასახლება, მოგზაურობა რუსეთში, და ა. შ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გრაციანსკის

წინა ისტორიას, რომელიც შემდეგ პოლიციის აგენტი ხდება და ა. შ. მასალის ასეთი „დაქუცმაცებული“ კომპოზიციური ორგანიზაციის წყალობით, მხოლოდ ნაწარმოების ბოლოში ხდება ნათელი ყველა ამბავი — ვიხროვისა და გრაციანსკის წარსული და აწმყო, თითოეული მათგანის მიზანი და ა. შ.

რომანის კონფლიქტი ორმაგია: ერთის მხრივ, ეს არის შეჯახება მამასა და ქალიშვილს შორის — პოლიასა და ვიხროვს შორის. ისინი არ კამათობენ, უფრო სწორად, წესიერად ერთმანეთსაც კი არ იცნობენ, მაგრამ ვიდაცაა დაინტერესებული, რომ ეს კონფლიქტი გაღრმავდეს. ასე იცვლება მოქმედება. უფრო არსებითია მეორე კონფლიქტი — ვიხროვ-გრაციანსკისა. მწერალი დაწვრილებით იკვლევს მათი კამათის წყაროებს — რომანის მოქმედების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ვეცნობით მათი ურთიერთ დამოკიდებულების საკვანძო მომენტებს. განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს მათი დამოკიდებულება სამამულლო ომის წლებში, როდესაც უფრო მკვეთრად იჩინა თავი ორ სამყაროს შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა; ამ ორი სამყაროს წარმომადგენლები რომანში სწორედ ვიხროვი და გრაციანსკია. პირველი კონფლიქტი ყალბი გამოდგა, მეორე კი, პირიქით, ნამდვილია და წარსულის ადამიანს — გრაციანსკის სიკვდილამდე მიიყვანს.

მიყრუებული ტყის სოფლიდან ჩამოსულ ვიხროვს, რომელიც მეცნიერებას ეზიარა და რომელსაც „ნახევრად ინტელიგენტური სპეციალისტი ხელოსნის“ გარეგნობა აქვს, მეტყვევის პროფესია ესმის როგორც სასიცოცხლო მოწოდება. იგი ტყეზე ისევ ფიქრობს, როგორც ხალხის კეთილდღეობის კიდევ ერთ წყაროზე. ვიხროვის ბრწყინვალე შესავალი ლექცია, რომელიც მან ახლად მიღებულ სტუდენტთა ჯგუფს წაუეთხა, ლაპარაკობს, უპირველეს ყოვლისა, იმაზე, რომ ლ. ლეონოვმა კარგად იცოდა სატყეო საქმე.

ვიხროვი თავის ლექციაში გვაპლევს ტყის გამანადგურებელთა კატაქსტროფით გამოწვეულ მკვეთრ ხეტარაზის გამოება სიმწვანე, ტყის დასაცავი ზოლები, გაჩეხვა იწვევს ნიადაგის ეროზიას, ნე-შომპალას გადარეცხვას, ტენიანობისა და ნალექების სწრაფ ხარჯვას, რაც აუარესებს მიწას და კლიმატს. უდაბნო მატულობს დედამიწაზე. ასე ეცლება საფუძველი ხალხთა კეთილდღეობას. ვიხროვი არ ლაპარაკობს მხოლოდ ტყის რუს მტაცებლებზე; ნაკლები სიცარიელის სურათი როდი გვიცქერის აშშ დიდი ტბების რაიონიდან. მეორე ბოროტება, რომლის წინააღმდეგაც ვიხროვი იბრძვის არის მერქანის დიდი დანაკარგი. ნაჯახის პირველ დარტყმიდან მოყოლებული, ვიდრე ხის უკანასკნელ დამუშავებამდე ხომ მერქანის ცხრა მეათედი იკარგება. რას უზამდნენ საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, რომ ამდენი მოსავალი დაკარგოს?! მაგრამ ტყის მიმართ ამ ამბავს რატომღაც ითმენენ.

ვიხროვი ტყეების სრულუფლებიანი წარმომადგენელია. იგი გამოდის ფიზიკური პატრონის როლში, რომელიც თავისი ხალხის მომავალზე, მომდევნო თაობაზე ფიქრობს. გრაციანსკის გამოსვლა ვიხროვის წინააღმდეგ, ეპეგარეზე, ნაკარნახევია პირადი მოტივებით, უნიჭო კაცის ბნელი ზრახვებით, ნათელი ნიჭიერების წინააღმდეგ, მის გამოსვლაში ნათლად ჩანს საწინააღმდეგო თვალსაზრისი, მოსჭრან ტყე იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება, ნუ ვუყურებთ მომავალს. გრაციანსკი კლიმ სამგინის ტიპის სახეა. გრაციანსკი უნიჭოა, მაგრამ მას უნარი შესწევს საკუთარი უნიჭობა დამალოს, გარეგნულად იგი ბრწყინვალე და ეფექტური ადამიანია. ოსტატურად ნიღბავს გაბრაზებას, წყობილები-სადმი მტრულ დამოკიდებულებას. სიცოცხლეში მას ერთი წიგნიც არ დაუწერია სატყეო საქმეზე, მისი კარიერა აგებულია ვიხროვის გამოკვლევების კრიტიკაზე. ვიხროვის სურვილს, რომ



დაიცვას რუსული ტყე, იგი დემაგოგიურად უწოდებს მტრულ გამოსვლას.

ამგვარად ვიბროვისა და გრაციანსკის თვალსაზრისები რუსულ ტყეზე შეიძლება ჩაითვალოს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემის ნაწილად, ხალხთა კეთილდღეობისათვის ბრძოლად, ახლისა და ძველის ბრძოლად. სწორედ სამამულო ომის დროს იფეთქა ამ ბრძოლამ განსაკუთრებული სიმძაფრით, როცა გრაციანსკის ფაშის შიონის სახით თავისი წარსული მოველინა. ლეონოვის უკველი გამარჯვებაა ვიბროვის „აღმავალი“ ხაზი, რომელიც მკითხველის თვალში თანდათან მეტ სინათლეს იძენს და „დაღმავალი“ ხაზი გრაციანსკისა, როდესაც ნათელი ხდება, რომ იგი ეგოისტია და პოლიტიკურად შემგუბელი. გრაციანსკი ძველის გადმონაშთია და მისი სახით მწერალი გვიჩვენებს, რომ ბრძოლა გადმონაშთებთან არის ხანგრძლივი და ძნელი პროცესი.

ამ წერილის ფარგლებში შეუძლებელია დავახასიათოთ ლ. ლეონოვის რომანის მხატვრული ღირებულება, მისი აგებისა და შინაარსის სირთულე, ძველი და ახალი რუსეთის სახეები და ა. შ. მხოლოდ უბრალოდ შევნიშნავთ, რომ ყოველ სახეს, სიტუაციას, ფაქტს საფუძვლად უდევს ცხოვრების, სხვადასხვა ეპოქის ადამიანების ბრწყინვალე ცოდნა, მდიდარი პოეტური ფანტაზია, ფართო აზროვნების უნარი, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია მწერლისათვის. ასე იქმნებოდა პოლიას სახე. ცნობილია რომ პოლიას ჰყავს პროტოტიპი, რომელიც მწერლის ნაცნობი ოჯახის ქალიშვილი იყო. ერთხელ მწერალი მოსკოვში შეხვდა ამ გოგოს. „ეს სახე შემოვიდა და დარჩა ჩემს ცნობიერებაში“ — ამბობდა შემდგომ ლ. ლეონოვი. სამამულო ომის დროს ეს სახე დაბეჯითებით თხოულობდა ხორცშესხმას. ავტორის სხვა შთაბეჭდილებებით გამდიდრებული ეს სახე შესანიშნავ სახედ იქცა, რომელიც „ჩამოკავდა ტყის სტუმრის

მხიარულ დილის სიმღერას,<sup>1</sup> ცნობილია აგრეთვე, რომ ვიბროვისა და გრაციანსკის კამათს ნამდვილად საფუძვლად უდევს დიამეტრალურად საწინააღმდეგო ტყის საქმის თეორია. ისიც ცნობილია, რომ ლ. ლეონოვის წიგნმა არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეებს შორის გამოიწვია დიდი პოლემიკა, არამედ სპეციალისტ-მეტყველებს შორისაც. რაზეც არ უნდა იყოს საუბარი — ცალკეულ დეტალებზე და სახეებზე, ამბის მოტივირებაზე თუ ავტორის ფრაზაზე, ყველა ეს კომპონენტები მხატვრულია. მაგალითად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ცალკეული ფორმულირებანი: მკვდარი წყალი ჟანდარმ ჩანდვეცისა, რომელსაც შესვამს გრაციანსკი, და ტყის წყაროს ცოცხალი წყალი, რომელსაც შესვამს ვიბროვი და სხვ. ანდა პრომეთეოსის სახე, რომელიც მხარზე შესმულ ძერას დაატარებს, და რომლის სახეც შესანიშნავად ახასიათებს ვიბროვისა და გრაციანსკის არსებით ურთიერთობას. მრავალმხრივია დეტალის ფუნქცია. ზოგჯერ დეტალებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. ისინი პერსონაჟების დახასიათებისთვის უფრო მეტს იძლევიან, ვიდრე მრავალჯერდიანი აღწერები. ასეთს ეკუთვნის მაგალითად, გრაციანსკის „შთაგონებულ შუბლზე“ ხაზი. გამოირკვა, რომ იგი შუბლს იპარსავს, რათა უფრო მაღალი გამოჩნდეს. ადამიანის ხასიათი საყსებით გარკვეულია ამ დეტალით! ზოგჯერ ავტორი თვითონვე ერევა მოქმედებაში, თითქოს და გვიხსნის მომხდარ ამბავს, ანდა შეჰყავს მკითხველი ავტორისეულ ფიქრებში. ასეა დახატული ეპიზოდური სატირიკული პიროვნებები „ვერტოდოქსები“ ანდრეიჩიკი, ეიჩიკ და უბრალოდ ჩიკი. ყველაფერი ეს აფართოებს მოქმედების ჩარჩოებს, ძლიერად მოქმედებს მკითხველზე.

ასეთია საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო რომანი, რომელმაც მისი ავტორი საბჭოთა მწერლების პირ-

<sup>1</sup> Ф. Власов, Поэзия жизни. Сов. Россия, М. 1961. стр. 217.

ველ რიგში დააყენა, ხოლო პროზაულ ნაწარმოებებიდან პირველმა მიიღო ლენინური პრემია.

ლ. ლეონოვი მრავალმხრივი შემოქმედელია. იგი არის მთარგმნელი. მან თარგმნა ა. ნაკობსონის პიესა „ორი ბანაკი“. ამის გარდა 1949 წ. მან დაწერა ლიბრეტო ლექსად „შემოსევა“. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მწერალი პუბლიცისტიკას. ომის დროს და მის შემდგომაც ლეონოვი გამოდის ომის წინააღმდეგ, იბრძვის მშვიდობისათვის. ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ. მწერალი არაერთხელ იყო არჩეული მშვიდობის მომხრეთა კონფერენციების დელეგატად. იგი მოითხოვდა, რომ აღამიანები „ღმერთებად გადაქცეულიყვნენ და არა რადიკტიურ ლეშებად“. ამიტომაც, მისი „შემოქმედება ატარებს აქტიურ პროტესტს ომის წინააღმდეგ, იგი საფუძველშივე ჰუმანურია.

ლ. ლეონოვის, როგორც პუბლიცისტის მეორე მთავარი თემაა — მწერლის მოწოდება ემსახუროს ხალხს. მწერალი ამტკიცებს, რომ საჭიროა ავსახოთ ის ცვლილებები, რომლებიც ხდება ჩვენს ქვეყანაში და რაც განაპირობებს ახალი აღამიანის აღზრდას, იგი მოითხოვს კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ლიტერატურული საქმისადმი, რომელიც არის ძნელი და საპასუხისმგებლო, რადგანაც იგი არის ხალხთან ყოველდღიური ურთიერთობის საშუალება. „წიგნი თხოულობს ტევად მუშაობას. ჩვენი უდიდესი წინაპრების... აჭრელებული ხელნაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც დიდი ჯაფის გადატანა უხდებოდათ, რომ დაეხატათ ძველი ყოფის შედარებით უღრუბლო სურათები, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რამდენად ძნელია აღწერო აღამიანების მდგომარეობა დიადი „ტექნიკური მიღწევებისა“ და ნახევარსაუკუნოვანი დაუძინებელი ჭარიშხლის პირობებში“.<sup>1</sup>

1963 წ. ლ. ლეონოვი აქვეყნებს პატარა მოთხრობას „Evgenia Ivanovna“ — ნაწარმოები, რომელიც მკობხედფრისაჟუკუნე იწერებოდა (პირველი ვარიანტი დათარიღებულია 1938 წ.) უცებ მიიყურო საყოველთაო ყურადღება. მწერალმა მოგვითხრო პროვინციელი გიმნაზისტი ქალის ეენიას ისტორია, რომელსაც შეუყვარდა ახალგაზრდა ოფიცერი სტრატონოვი. თერთგვარდიელი ოფიცერი სტრატონოვი 1918 წ. შემოდგომაზე გაიქცა რუსეთიდან, ქალიშვილიც გაჰყვა მას. სტრატონოვის შეცდომა, რომელიც მას წარსულ სამყაროსთან აკავშირებდა, ქალიშვილის შეცდომის საფუძველიც გახდა. კონსტანტინეპოლში სტრატონოვი მიატოვებს ცოლს და გაუჩინარდება. ეენია გაპირვებას განიცდის. პარიზში იგი მიიღებს კიდევაც ქმრის დაღუპვის ამბავს, ეენიას არ ეყო ძალა რათა კავშირი გაეწყვიტა ცხოვრებასთან, ანდა დადგომოდა ემიგრანტის ზხას — გამხდარიყო მეძაფი. და აი, მოხდა მოულოდნელი რამ — იგი შეხვდა ინგლისელ სწავლულს და მალე გაჰყვა კიდევაც მას ცოლად. ეენია „ბოლოს და ბოლოს ეღიჩა იმას, რომ აღარ ედიქრა ხვალინდელ დღეზე და პურზე“.

უკვე 20-იან წლებში ცოლ-ქმარი პიკრინგები ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობენ. ეეგენია ივანოვნა ქმარს სთხოვს წავიდნენ საბჭოთა კავშირში. არის ასეთი ავადმყოფობა — სამშობლოს ნატერა. ეეგენია ივანოვნა დაავადებულია ამ ავადმყოფობით. ეეგენია ივანოვნას თითქმის ყოველ დამე ესიზმრებოდა მშობლიური სახლი და დედა. მწერალი მოგვითხრობს მის ოცნებებსა და სიზმრებზე, ბავშვობის ტკილ მოგონებებზე, რომელიც უფრო მიმზიდველი ეჩვენება მას შემდეგ, რაც მან გამოსცადა ემიგრანტის საშინელი ხვედარი.

ლ. ლეონოვმა თავისი გმირი აიძულა სამშობლოსაკენ გამოეწია და სრულიად შესაძლებელია, რომ ეეგენია ივანოვნას ნალველს სამშობლოზე გმირის შემდგომ ბედში რალაც გადაწყვეტი მნიშვნე-

<sup>1</sup> Лобанов, Е. Осетров, «Мир леонковского слова», Лит. газета, № 100, 1963.

ლობა ჰქონებოდა, თუკი მათ გამყოლად საქართველოში არ აღმოჩნდებოდა „გაციოცხლებული“ სტრატონოვი! როდესაც ევგენია ივანოვნამ შეიტყო სიმართლე, რომ იგი სტრატონოვმა მიატოვა და თვითონ დაბრუნდა რუსეთში, მაშინვე გადაწყვიტა ინგლისში წასვლა. ამგვარად გახდა იგი Evgenia Ivanovna!

ძირითადი მოთხრობაში — სამშობლოს თემა. ევგენია ივანოვნამ დამარხა ქმარი, არც ერთი წუთით არ დაქვევებულა, რომ მათი გაყრის ერთადერთი მიზეზი იყო სიყვდილი. სტრატონოვმა კი თურქმე მიატოვა ცოლი და დაბრუნებულა რუსეთში; მაგრამ იპოვა კი მან სამშობლო? ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ უარყოფითად. ყველაფერი რაც რუსეთში ხდება, სტრატონოვს არ აღეგებს. ევგენია ივანოვნამ ნახა უკეთური, გამოუძინებელი, და არც თუ ახალგაზრდა კაცი. გარეგნული შეხედულებით, ტანსაცმლით, და რაც მთავარია, საგრძნობი ნერვიული დაღლილობით, სტრატონოვი ჰგავს კიდევაც ისეთ ადამიანს, რომელიც ცხოვრობს მარტომარტო, უიმედოდ, საყვარელ ქალს მოკლებული და მუდმივი შიშით დაძაბუნებული.

ლ. ლეონოვს თხრობის მთელ მანძილზე იმ აზრამდე მიყავს მკითხველი, რომ სტრატონოვს ღრმად არასოდეს არ ჰყვარებია სამშობლო. დაუშვა რა შეცდომა და მოხვდა უცხოეთში, იგი დაბრუნდა რუსეთში და არა სამშობლოში. მან ვერ ჰპოვა, სიმშვიდე და ნდობა. იგი თავის მხრივ ლყაპობს ახალ ხელისუფლებასზე, დასცილის რა მასების კულტურულ დონეს, სტრატონოვი წინანდალში ტურისტებს უჩვენებს შეთხიზნილ გამოქვაბულს, სადაც ჯვარი დაიწერეს გრიზოედოვმა და ნინო ჰავკავაძემ. სტრატონოვი უსამშობლოა და შევბას ლოთობაში პოულობს.

რამდენად მალა დგას ევგენია ივანოვნა თავის ქმართან—სტრატონოვთან შედარებით. საქმე პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობაში კი არაა. ევგენია ივანოვნაც, ქარიშხლის მიერ ზიდან მოწყვეტილი ფოთოლი კარგად ვერ ერკვევა

სოციალურ ძვრებში, მაგრამ იგი ზნეობრივად ჯანსაღი ადამიანია. მისი მიწის ნაყოფი. მაგრამ ჩამოვიდა ამ მიწაზე და შეხვდა აჩრდილს — „გაციოცხლებულ“ ქმარს და იგი გარბის ისე, რომ არც ჩასულა მშობლიურ ქალაქში.

მაგრამ ევგენია ივანოვნამ დაინახა და გაიგო ბევრი რამ, რაც სამშობლოში ხდებოდა. მართალია, 20-იანი წლების რუსეთში ხვალინდელი დღე ჯერ კიდევ მომავლის დიადი საქმე იყო, მაგრამ ევგენია ივანოვნა ხედავს უფრო მეტს, ვიდრე რუსეთში მცხოვრები სტრატონოვი.

ლ. ლეონოვი მართლად მოგვეთხრობს ემიგრანტების ცხოვრებაზე. სულ რაღაც რამდენიმე შტრიხით აღსდგება იმ ადამიანების ბედის სურათი, რომლებიც სამშობლოსაგან შორს აღმოჩნდნენ „მადღრების, უცხოებისა და მოზეგმეთა ფეხებთან გართხმულნი“. მწერალმა გამოიყენა მოულოდნელი სიუჟეტური სვლა—ევგენია ივანოვნა შემთხვევით შეხვდა კარგ ადამიანს და მოაწყო თავისი ბედი. რამდენად ტიპურია ეს შემთხვევითობა? მრავალი მოგონებებით (თუნდაც ა. ვერტინსკის და სხვ.) ცნობილია, როგორ შეხვდა უცხოეთი ლტოლვილებს. ახლო აღმოსავლეთის სამეძაო სახლები საესე იყო რუსეთიდან გაქცეული თავადის ქალებით. და თუკი შემთხვევითი იყო ევგენია ივანოვნას ბედი, სრულიად კანონზომიერია ის სცენა, რომელსაც ევგენია ივანოვნა ღამით დაინახავს: რომელიღაცა ბუნავიდან გამოქცეულ ნახევრად ტიტველ ქალს, რომელშიაც თავის ახლობელ მეგობარს იცნობს. ამ დროს ევგენია ივანოვნამ სიხარულით გაიფიქრა, კიდევ კარგი, მასაც რომ ასეთი ბედი არ ეწია. ამგვარად ავტორი ამტკიცებს, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს სამშობლო, მან უნდა შესძლოს ცხოვრებაში სწორი არჩევანი გააკეთოს, პასიურად არ უნდა დამორჩილდეს ბედის კარნახს, არამედ შეგნებულად მონაწილეობდეს ახლის მშენებლობაში.

და ბოლოს, მოთხრობა საინტერესოა


მით, რომ მოქმედება ხდება 20-იანი წლების საქართველოში. როგორც ცნობილია ლ. ლეონოვი საქართველოში არის ნამყოფი და ამითაც აიხსნება ის, რომ იგი შესანიშნავად აღწერს კახეთის ბუნებასა და ყოფას. დიდებულია ალავერდობის დღესასწაულისა და ბაზრობის სურათი. აქ ყველაფერი ქართულია: აღწერილია ბავშვის მონათლა საყდარში, ისმის ღამის მთვეელთა დაირის ხმა, და რაც მთავარია ვაღმოცემულია ქართული სტუმართმოყვარეობა „რესპუბლიკური მნიშვნელობის თამადის“ ხელმძღვანელობით. აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ ნ. ტიხონოვის ლექსი მიძღვნილი ამ დღესასწაულისადმი. ყველაფერი, რაზედაც არ უნდა წერდეს ლ. ლეონოვი, მისთვის კარგადაა ცნობილი. ეს იქმნის არა მარტო ცივილიზებული უძველესი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის მიმართ, რაზედაც მწერალი გვიყვება არქეოლოგ პიკერინგის პირით, არამედ 20-იანი წლების კახეთის ყოფის მიმართაც.

ამგვარად, წარსულის მასალის საფუძველზე ლ. ლეონოვი წყვეტს პრობლემებს, რომელიც აღეგებს ხალხთა ფართო მასებს დღეს: სამშობლოზე და უცხოეთზე, ადამიანზე, რომელიც არ უნდა იქცეს მტვრად, რომელსაც ისტორიის ქარი წახვეტავს, შესაძლებლობაზე — მოსძებნო შენი ადგილი ცხოვრებაში.

რაშია ლ. ლეონოვის, როგორც მხატვრის ძალა? უპირველეს ყოვლისა ნათელ მხატვრულ ფანტაზიაში. მ. გორ-

კიმ ადრევე შენიშნა მწერლის ეს თვისება და უწოდა მას „თავის სიმტკიცის“ ადამიანი. მისი ნიჭიერების ძალა ყოველთვის შერწყმულია ასასახავი ობიექტის შესანიშნავ ცოდნასთან და არაჩვეულებრივ შრომისმოყვარეობასთან. მხატვრულ ნაწარმოებზე მუშაობის დაწყებას, როგორც ცნობილია, წინ უძღვის მოსამზადებელი მუშაობა. ეს გამოიხატება მასალის „პირველად დაგროვებაში“: ადამიანებთან, ამბის მომსწრეებთან და მონაწილე ხალხთან საუბარი, ზეპირი და წერილობითი წყაროების და სხვადასხვა წიგნების შეკრება და ა. შ. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს ავტორის პირად დაკვირვებებს და შთაბეჭდილებებს, რომელიც მიღებულია, როგორც ცხოვრების შესწავლის საფუძველზე, ასევე ხალხის ბრძოლასა და შრომაში პირადი მონაწილეობით. ლ. ლეონოვი შესანიშნავად იცის სინამდვილე, ადვილმდებარეობა, მშენებლობა, რომლებიც მან ასახა თავის ნაწარმოებებში (ზარიადი, შუა აზია, ბალახნა, კახეთი და ა. შ.) მწერალმა შესანიშნავად იცის გამოსასახავი მოვლენები.

თავისი ნაწარმოებებით მან დაამტკიცა ფიზიკის, არქეოლოგიის, სატყეო საქმის, სარკინიგზო ხაზის მუშაობის და ა. შ. ცოდნა. მითითებული გარემოება მწერლის ნაწარმოებების წარმატების ერთ-ერთი საფუძველთაგანია. ყოველი მისი ნაწარმოები არის ახალი ეტაპი, არა მხოლოდ მწერლის შემოქმედებაში, არამედ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში.



პლატონოვ ნოკაიძე

გონების ცნების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

რუსთაველი თავის „ვეფხისტყაოსანში“ სწვდება ადამიანის სულის სიღრმეს, ადამიანის გონებისა და გულის მოძრაობას გადმოსცემს სრული ფსიქოლოგიური სიმართლით; ქმნის მწვავე კოლიზიებს ადამიანის მისწრაფებების, ხასიათისა და ტემპერამენტის გამოვლინებისათვის; ბრძნული სენტენციებით გამოთქვამს დებულებებს ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე. რუსთაველი, უეჭველია, ემყარებოდა თავისი დროის ფსიქოლოგიურ ცოდნას. თავისი მაღალი პოეტური ჩანაფიქრის განხორციელებისათვის იგი სარგებლობდა ანტიკურ და ქრისტიანულ სამყაროში მიღწეული ცოდნით ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ. იმის დასადგენად, თუ როგორ ესმის რუსთაველს ადამიანის ბუნება, აუცილებელია, პირველ რიგში, ვუჩვენოთ, თუ რა ფსიქოლოგიური ცოდნაა მოცემული „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის სულისა და გონების შესახებ, რა დამოკიდებულებაა ში ადამიანის პოემის პერსონაჟების ხასიათებთან, რა ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური კონცეფცია უდევს საფუძვლად რუსთაველის მიერ მოცემულ პიროვნებისა და მისი ხასიათის გაგებას? ამ წერილში შევჩერდებით მხოლოდ „გონება“ სიტყვის მნიშვნელობის საკითხზე „ვეფხისტყაოსანში“.

რუსთაველოლოგიაში ამ საკითხზე, ფსიქოლოგიის ასპექტში, ესთეტიკის საკითხებთან დაკავშირებით, პირველად აზრი გამოთქვა გიორგი ნაძირაძემ. მისი აზრით, რუსთაველისათვის გონება „ცნობიერების ფაქტია და ცდისეული შემეცნების იარაღი“... „ბრძენი ის

არის, ვინც დაჯილდოებულია ნათელი გონებით, ე. ი. ვისაც შესწევს მოცემულ სინამდვილეზე დაკვირვების, მისი ანალიზის და განზოგადოების უნარი“. სინამდვილის ემპირიული შემეცნების გზა წარმოადგენს რუსთაველისთვის ესთეტიკური კონცეფციის საფუძველს, კერძოდ, ზოგადის, ტიპურის შემეცნების საფუძველს. რუსთაველის ესთეტიკა ემყარება სინამდვილის შემეცნების ცდისეულ, ემპირიულ გზას, ცდის მონაცემების განსჯის და შეფასების გზით ხელოვანი აღწევს ზოგადის, ე. ი. ტიპურის შემეცნებას, რუსთაველი დგას არისტოტელეს და არა პლატონის პოზიციებზე“.<sup>1</sup>

ეს მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს სინამდვილეს. ინტელექტის გაგება რუსთაველის მიერ უთუოდ გულისხმობს ცდაში მოცემული მასალის ანალიზისა და განზოგადების ნიადაგზე სინამდვილის შემეცნების უნარს, მაგრამ როგორც არისტოტელეს, ისე რუსთაველისთვისაც იგი არ ამოიწურება ცდისეული სინამდვილის განზოგადებით. რუსთაველთან ინტელექტის საკითხი უფრო რთულად და საინტერესოდაა წარმოდგენილი.

აზროვნების ფუნქციისა და შესაძლებლობის პრობლემა ფილოსოფიის, თეოლოგიისა და მეცნიერების ძველთაძველი პრობლემაა. ანტიკური ეპოქისა და შუა საუკუნეების ანთროპოლოგიაში შემეცნების გნოსეოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემა ძი-

1. გ. ნაძირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, 1958, გვ. 55.

რითადში განუყოფელი იყო. აზროვნების ფსიქოლოგიური ბუნების, მისი ფუნქციისა და მისი საშუალებით სამყაროს შემეცნების, ამ შემეცნების საზღვრების საკითხები ურთიერთისაგან მოუწყვეტლად განიხილებოდა (ამგვარად არის ეს საკითხი განიხილული ნემესიოს ემესელის წიგნშიც „ბუნებისათვის კაცისა“). ნაგულისხმევი იყო, რომ სინამდვილის შემეცნება ხდება დისკურსიული აზროვნებით, რომელიც გამოცდილებას ემყარება; დისკურსიული აზროვნება გამოცდილების ანალიზის გზით აღწევს უმაღლეს განზოგადებას და ჭეშმარიტებას წვდება. პლატონური და ნეოპლატონიკური ფილოსოფიის, აგრეთვე, პლატონიზმზე დაფუძნებული ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით შემეცნების ეს გზა მოქმედებს და ხელსაყრელია პრაქტიკული ცხოვრების სფეროში და ნაწილობრივ მეცნიერებაშიც; მაგრამ, შათი აზრით, დისკურსიული აზროვნება შეიძლება ემყარებოდეს არა მხოლოდ ცდისეულ მონაცემებს, არამედ აპრიორულად მოცემულ იდეებსაც. სულს გააჩნია უცვლელი, აპრიორულად არსებული ნორმები ღმერთის, სინარტლის, სიკეთის შესახებ. ამ ნორმების ნიადაგზე აგებს იგი მსჯელობებს; ჭეშმარიტების ძიებისას ემყარება აპრიორულ იდეებს და არა მხოლოდ ცდაში მოცემული სინამდვილის ფაქტებს. განსჯა, მსჯელობა არის არა მხოლოდ ფაქტის აღიარება, არამედ ნამდვილი მსჯელობაც; მაგალითად, მსჯელობა — სოკრატე კეთილია — გულისხმობს არა მხოლოდ გრძნობადის მონაწილეობას, არამედ აზრისეულ ელემენტებსაც, კერძოდ, სიკეთის პრინციპს. დისკურსიული აზროვნების გარდა, სინამდვილის შემეცნების ჭეშმარიტ გზად მიჩნეული იყო ინტუიტიური აზროვნებაც, რომლითაც ადამიანი უშუალოდ წვდება სინამდვილეს; უმაღლესი სიკეთის — ღვთაების, სიმშვენიერის, სისრულის და სხვა მეტაფიზიკური სინამდვილის შემეცნება შეიძ-

ლება მხოლოდ უშუალო ჭეშმარიტების მეშვეობით. არისტოტელე დისკურსიული აზროვნებას, კერძოდ, ცდაზე დამყარებულ მსჯელობებს ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას ბუნების, საზოგადოებრივი ცხოვრების ემპირიული კანონზომიერების შემეცნებაში. მაგრამ მისმა ფილოსოფიურმა დუალიზმმა აქაც იჩინა თავი. — იგი ადამიანში ადასტურებდა უშუალო ჭეშმარიტის უნარსაც, რომელიც უმთავრესად ბრძენი ადამიანის გუთვნილებას შეადგენს და რომლითაც ეს უკანასკნელი უშუალოდ წვდება უმაღლეს ეთიკურსა და ონტოლოგიურ ჭეშმარიტებას: „ღვთაების მიერ ჩვენში ჩანერგილი ჭეშმარიტების დროს ჩვენ ვემსგავსებით ღმერთს... ღმერთის მოქმედება ჭეშმარიტითი მოქმედებაა (გავიხსენოთ რუსთაველის გეგმა ღმერთის, როგორც „არსთა მხედის“). მაშასადამე, ადამიანის მოქმედებისაგან ყველაზე ღვთაებრივია ის, რომელიც ენათესავება ღვთაებრივს“<sup>1</sup>. სინამდვილის შემეცნების ორი გზის — დისკურსიული და მისგან განსხვავებული ჭეშმარიტითი აზროვნების — კონცეფცია მიიღო ქრისტიანულმა ფსიქოლოგიამ. რა თქმა უნდა, უმაღლესი თეოლოგიური ჭეშმარიტების შემეცნებისათვის უპირატესობა ენიჭებოდა აპრიორულ-დისკურსიულ აზროვნებას და აგრეთვე ჭეშმარიტის გზას, მაგრამ ამავე დროს სავსებით უარყოფილი არ ყოფილა ცდისეულ მონაცემებზე დაფუძნებული აზროვნების მნიშვნელობაც. ანტიკურისა და შუა საუკუნეების ანთროპოლოგების შეხედულება ამ საკითხზე ნათლადაა ასახული რუსთაველის დროს ქართულ ენაზე არსებულ ნემესიოსის ზემოთ დასახელებულ წიგნში და ი. პეტრიწის ფილოსოფიურ თხზულებაში „განმარტებაი პროკლესთვის დიადოხოსისა“. ამ წიგნებში მკაფიოდ არის დახასიათებული დისკურსიული აზროვნებისა და სინამდვილის უშუა-

<sup>1</sup> Аристотель. Этика (к Никомаху), 1908, стр. 201.



ლო წვდომის გზების ფსიქოლოგიური და გნოსეოლოგიური ბუნება. ი. პეტრიწი სინამდვილის შემეცნების ამ ორ ძალას ნეოპლატონიკურ ფილოსოფიაში ცნობილი ტერმინებითაც აღნიშნავს. შუალობით აზროვნებას ის „დიანეაი“, უშუალოს კი — „ნოამაი“ უწოდებს.<sup>1</sup>

ი. პეტრიწის მიხედვით, შემეცნების ორივე ძალას შეუძლია წვდეს ჰეგემარიტებას. პეტრიწი დიდ ერუდიციას ამჟღავნებს არისტოტელეს ლოგიკის ცოდნაში, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს ცნებითი აზროვნების მართებულად წარმართვის იარაღს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას „ნამდვილ მყოფ“ არსებათა (იდეათა სამყაროს) შემეცნებისათვის. ასეთი აზროვნება (დიანეაი) შემეცნებას იწყებს „ერთის“ (ღმერთის) გამოვლენის უკანასკნელი საფეხურიდან, მაგალითად, სხეულიდან და მიიწევს მალა, ბუნების, სულის, გონის, ნამდვილ მყოფის და „ერთის“ რაციონალური გზით შემეცნებისაკენ, მაგრამ არსებობს გონების მოქმედების გზაც (ნოამაი, რომელიც პლატონის, ნეოპლატონიკოსების, კერძოდ, პროკლეს მიერაა მიკვლეული, „ბუნებითი ხედვის“, „ერთის“ უშუალოდ წვდომის გზაც. პეტრიწი სწორედ ამ გზას ანიჭებს უპირატესობას.<sup>2</sup>

„ვეფხისტყაოსანში“ მხატვრულ ფორმაში უკუფენილია ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ცოდნა ადამიანის ინტელექტუალური ძალების შესახებ. ამ ცოდნის ბუნების გასაგებად საინტერესოა იმის განსაზღვრა, თუ საით არის მიმართული რუსთაველის გმირების აზროვნება, რა პრობლემების გადაჭრა ეყისრება ამ გმირების გონებას. შეიძლება ითქვას, რუსთაველის და მისი პოემის გმირების მიერ დაყენებული საკითხები — ეს ის პრობლემებია, რომლებიც აწუხებდა ანტიკურსა და შუა საუკუნეების ფი-

ლოსოფიას, ესთეტიკასა და თეოლოგიას, განსაკუთრებით, რენესანსის ეპოქაში.

რუსთაველის გმირები თავისი და სხვა ადამიანების ცხოვრების ან საქციელის შეფასებისას ხელმძღვანელებენ გარკვეული ეთიკური პრინციპებით. ადამიანის საქციელის ღირებულებას აფასებენ უმაღლესი ეთიკური ნორმების მიხედვით, იმის კვალობაზე, თუ რამდენად ეთანხმება იგი მსოფლიოს საფეხურებრივ წყობაში უმაღლეს საფეხურს — „სიკეთეს“, რამდენად გამოსახავს ეს საქციელი ადამიანის სისრულისაკენ სწრაფვას, უმაღლეს სიკეთესთან მიახლოების წყურვილს. ადამიანის ამქვეყნიური მოღვაწეობა, მიზნისაკენ შეუღრეკელი სწრაფვა, დამაცემის სასოწარკვეთილება, ხოლო გამარჯვებით გამოწვეული აღფრთოვანება განხილულია არა მხოლოდ სოციალურ, არამედ კოსმოლოგიურ ასპექტშიც. რუსთაველის ადამიანები ჩართული არიან არა მხოლოდ მღვლვარე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ როგორც საზოგადოების, ისე ცალკეული ინდივიდის ცხოვრებას განიხილავენ სამყაროსა და მის შემქმნელთან ერთიანობაში. ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ანთროპოლოგების მსგავსად, რუსთაველი ადამიანსა და მის ფსიქიკას იხილავს სამყაროსთან ერთიანობაში. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რუსთაველის გმირები იშვიათად არიან ურეფლექსოდ ჩართული საკუთარ ქცევაში, მთლიანად ჩართული ცხოვრების დინებაში: ისინი ყოველთვის, თვით უდიდესი კოლიზიით გამოწვეული ტანჯვის პირობებშიც, ახერხებენ საკუთარი მდგომარეობის, განცდების ობიექტივაციას, დაკვირვების საგნად ქცევას, და საკუთარი სულიერი ცხოვრების კოსმოსის მოვლენებთან ერთიანობაში გააზრებას. საქმარისია მოვიგონოთ პოემის შესავალი, ავთანდილის ანდერძი როსტევან მეფისადმი, ნესტანდარეჯანის წერილი, ავთანდილისა და ტარიელის პაექრობა

1 ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, შ. ნუსხების და ს. ყუხნიშვილის გამოცემა, 1937, გვ. 6, 7, 8, 9.

2 იქვე.

სიკედლილ-სიცოცხლის, სიბრძნის, მიჯნურობისა და მეგობრობის აზრსა და ღირებულებასზე, უამრავი აფორიზმი, სენტენცია და ფილოსოფიური მსჯელობა ღმერთის, სულის, მატერიის, კოსმოსის რაობაზე, სიცოცხლის აზრზე და სხვ., რომ ნათელი ვახდეს, თუ რამდენად მრავალფეროვანი და მრავალმხრივი რუსთაველისათვის მისი აზროვნების ობიექტი. აზროვნების ობიექტს შეიძლება შეადგენდეს როგორც ყოველდღიური საქმიანობა, ისე ზელოვნების, სულის, ცხოვრების აზრის, მატერიის, სიკედლის, ღმერთის, არსის პრობლემები, ე. ი. ყველაფერი, რაც მოცულია საიდუმლოებით, რაც ჩვეულებრივი ემპირიული დაკვირვებისათვის მიუწვდომელია, დაფარულია, რომელსაც შეიძლება მივწვდეთ მხოლოდ ინტელექტუალური აქტივობით. რადგანაც ასე მრავალფეროვანია „გასაგონი“, რომელიც ინტელექტმა უნდა შეიმეცნოს, ამიტომ ინტელექტის შესაძლებლობაც მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ინტელექტით ადამიანი წვდება როგორც ემპირიულ, ისე მეტაფიზიკურ, ტრანსცენდენტურ არსებობას. რუსთაველისათვის შემეცნების ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ემპირიული, გრძნობადი, ისე მეტაფიზიკური არსებობა. შემეცნების ობიექტების შესატყვისად ადამიანში მოცემულია ფსიქიკური ძალები, რომლებითაც მას შეუძლია წვდეს როგორც ემპირიულ, ისე ინტელიგიბელურ სინამდვილეს.

„ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის მოქმედების უმაღლეს საფეხურს „გონება“ და „ხედა“ წარმოადგენენ. გონების მოქმედების შედეგად მუშავდება გარკვეული „აზრი“, დებულება, მოსაზრება.

„გონება აზროვნების გამომხატველია შემდეგ სტროფებში: „ძალი მომეც და შეწევნა, შენგან მაქვს მიესცე გონება“ (6, 2); „სხვაგან ქრის მისი გონება“ (89), „ისმენდი, მოეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა“ (310); „ენა, გონება მახმარე გამოსარჩევლად ამისად“ (635, 2); „ვინ უნახავ-ქმნის გონება ყოველთა კაცთა

მნახისა“ (688,3); „რათგან შენ დაგზრია გონება, გული შენკენვე დაბრუნდებ“ (833, 2); „სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრელი“ (1184, 4); „ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან დაფარულნი“ (1453, 2); „გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან“ (1295, 4); „დაბნეულნი მივეცენით გონებასა ჩვენსა მსჯელსა“ (1225, 4); „ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს, არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს“ (215, 3-4); „ჩემნი ერთნი გონებანი მეტად შორად გამოიქიდა“ (520). „იგი ვნახე, დავებნეე, გონებანი გამოშავნა“ (569, 1); „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან“ (848, 1); „მაშინ უნდან გონებანი გონიერსა“ (1191, 4); „შენთვის ზელნი გონებანი“ (1539, 2); „ამას იგონებს ტირილით გონება შეიწრებული“ (188, 4).

ყველა ამ შემთხვევაში „გონება“ აღნიშნავს გარკვეული პრობლემის გადასაწყვეტად აზრის მუშაობას; გაურკვეველის, ჭერ კიდევ შეუშეცნებელის, ძნელად გასაგების, „ძნელი საქმის“ ამოსაცნობად აზრის მოქმედებას; „დამალულის“, დაფარულის „გასაცხადებლად“ ინტელექტუალურ აქტივობას ან კიდევ ალტერნატიული სიტუაციის ანალიზის დროს აზროვნების შეფერხებას, შეშარბიტების წვდომის შესაძლებლობაში დაურწმუნებლობის, ძლიერი ემოციური მღელვარების დროს აზრის დაბინდვის, „შეიწროების“, „გაშმაგების“ მდგომარეობას.

გონების ძირითად ფუნქციას შეადგენს „დაფარულის“, „დამალულის“, საიდუმლოებით მოცულის ამოხსნა, პრობლემის გადაჭრა. მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორია პრობლემა, შემეცნების საგანი („გასაგონი“), აზროვნების მოქმედების შინაარსი და საზღვრებიც განსხვავებულია. აზროვნების მოქმედება შეიძლება ეხებოდეს „ემპირიული“ მოვლენების გაგებას, რომელიც გრძნობადადაა მოცემული; გრძნობადაში დაფარული არსის შემეცნებას.

ეხებოდეს რომელიმე მარტივ, გრძნობადად მოცემული სიტუაციის ან კოლიზიის გონებრივ ანალიზს, ე. ი. ყველა ისეთ შემთხვევას, როდესაც პრობლემის ამოხსნაში გამოცდილებას გადამპრელი მნიშვნელობა აქვს; გონება შეიძლება ეხებოდეს ადამიანის ფსიქოლოგიური ბუნების თავისებურების, მისი საქციელის სოციალურ-მორალურ ღირებულების საკითხებს; ეხებოდეს ისეთ საკითხებს, რომელთა ამოხსნას სჭირია გონების გამჭირახობა, მიხედვრილობა, რთულ სიტუაციაში სწრაფი გონებრივი ორიენტაცია, საღი განსჯის, ლოგოკური მსჯელობის, საერთოდ დისკურსიული აზროვნების უნარი. გონება შეიძლება სჭირდეს ეთიკისა და კოსმოლოგიურ პრობლემებს, განგებისა და ადამიანის ურთიერთობას, ტრანსცენდენტურ-მეტაფიზიკური „სინამდვილის“ — ღმერთის არსებობას, მის ძალას, ადამიანის ღმერთთან ურთიერთობას, სხეულის სიკვდილის შემდეგ სულის ბედს და ა. შ. ამრიგად, ადამიანის გონების საგანი უსაზღვროა და მისი შესაძლებლობებიც მეტად ფართოა და მრავალმხრივი.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით — „ემპირიულის“ და გრძნობადის მიღმა მდებარე — ადამიანისათვის ტრანსცენდენტური მოვლენები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ღვთის მიერ შექმნილი სამყარო „აღმავალ და დაღმავალ“ უწყვეტ კიბურზეა განლაგებული; ამ კიბურზე ყველაზე დაბლა მდგომი გრძნობადიც, უმაღლესი სისრულისაგან სწრაფვის გამო, ზიარებულია სამყაროს უმაღლეს საფეხურეს — უმაღლეს სიკეთეს — ღვთაებას; ადამიანის გონებაც ემპირიული, პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის დროსაც აკეთებს საქმეს, რომელიც კავშირშია სისრულისაგან ადამიანის სწრაფვასთან; გონება ყოველთვის უსწორებს თვალს კოსმოლოგიურ პრობლემებს — ადამიანის პრაქტიკული მოქმედება უმაღლეს სიკეთესთან შერთვის თვალსაზრისითაა გააზ-

რებული. გონება ადამიანის ის ზოგადი უნარია, რომლითაც იგი, წვედებზე ადამიანსა და სამყაროს შორის არსებულ ყველა კავშირის არსს, ამ თვალსაზრისით ანლა გადავხედოთ ზემოთ მოყვანილ სტროფებს, რომლებშიც ცნება „გონება“ არის გამოყენებული.

პოემის დასაწყისში პოეტი გრძნობს უდიდეს სიძნელეს და პასუხისმგებლობას მის მიერ დასახული დიდი ამოცანის შესრულებაში, სიძნელეს ასახოს ადამიანის შეუდრეკელი სწრაფვა უმაღლესი სისრულისაგან, მიჯნურობისა და მეგობრობის მაღალი გრძნობებით გასხივოსნებული რაინდების გმირული ბრძოლა „ მზის“ მიწაზე ჩამოყვანისათვის, ადამიანთა შორის უმაღლესი სიკეთის დამკვიდრებისათვის; უჩვენოს, რომ მიწაზე სიკეთისა და სიმართლის გამარჯვებისათვის აუცილებელია ჯოჯოხეთური კოლიზიების დაძლევა. ამიტომ იგი მიმართავს ქვეყნის შემოქმედს, შთაბეროს მას შემოქმედების ძალა, მისცეს უნარი გამოაქანდაკოს მაღალ მხატვრულ ფორმაში მისი დიდი ჩანაფიქრი:

„აჲ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნება,  
ძალი მომეც და შეწყენა, შენგნით მაქვს,  
მივსცე გონება, მივსცე გონება,  
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფაღაცა  
უნდა ხსენება, მათ სამთა ვმირთა მნათობთა სჭირს  
ერთმანერთის მონება“  
(6).

მაშასადამე, შემოქმედებისათვის პოეტს სჭირია ენა, გრძნობა და პოეტური ხელოვნების ცოდნა. „მომეც მე ძალა“ და შენგან მაქვს დახმარება, რომ შენს მიერ მონიჭებული გონება ჩავაქსოვო („მივცე“) ლექსში, ამით „შევეწივნეთ ტარიელს, რომელსაც სჭირია „ტურფაღაცა“ ხსენება — მშვენიერი ლექსებით შემკობა (ტარიელის ქცევას, მის ამამალლებელ მიჯნურობას სჭირია შექება, მშვენიერი ლექსებით ზოტბა); დავეხმაროთ სამივე გმირს: ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს (ქვეყნის მნათობებს), მოწინავე ადამიანებს, რო-

მელთა თვისება განუყრელი მეგობრობაა („სკირს ერთმანერთის მონება“).

დიდ პოეტურ-ფილოსოფიურ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა პოეტს დაუსახავს, გარდა დიდი გრძნობისა და ხელოვნებისა, სჭირია დიდი, ღვთისაგან მომადლებული გონება. თუ გავითვალისწინებთ პოემაში გატარებულ აზრს, პოემის მსოფლმხედველობას, მიჯნურობისა და მეგობრობის გაგებას, გავითვალისწინებთ იმას, რომ პოემის სიუჟეტის მხატვრული გამლა ემსახურება ზოგადი იდეის კონკრეტულ მხატვრულ სახეში განხორციელებას, მაშინ, ცხადია, გონებისათვის, რომელიც პოეტმა უნდა მოახმაროს („მისცეს“) ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტას, დამახიასიათებელი უნდა იყოს არა მხოლოდ ემპირიული სინამდვილის, არამედ ტრანსცენდენტული „სინამდვილის“ წვდომის უნარიც. სწორედ ამიტომ პოეტი მიმართავს ღვთაებას, რომ მან შეაძლებინოს მის გონებას საოცარი, ცის მნათობების მსგავსი ადამიანების მოქმედებების აზრის წვდომა, შეაძლებინოს ასეთი ადამიანების პოეტური ხობა ისეთი მშვენიერი ლექსებით, რომლებშიც გამოსახული იქნება გონების მოქმედების შედეგი. ასეთ გონებას უნდა ჰქონდეს როგორც დისკურსიული გზით, ისე უშუალოდ, ინტუიტიურად ქეშმარიტების წვდომის შესაძლებლობა. მართლაც, პოემის მთელ მანძილზე მისი გმირების გონება სწყვეტს ამოცანებს როგორც ლოგიკური მსჯელობით, დისკურსიული აზროვნებით, ისე ინტუიტიური გზით. პოემის გმირების გონება ხან ჩაძირულია საკუთარი განცდების ანალიზში, ხან კიდევ ეს გონება წვდება ცხოვრების, ადამიანის კოსმოსთან ურთიერთობის, მიჯნურობის აზრს, ესაუბრება მთელ კოსმოსს, ცის მნათობებს, წვდება ადამიანებისა და მნათობების კავშირს, სწყვეტს მორალურ საკითხებს და ა. შ.

ტარიელი იწყებს თავისი თავგადასავლის თბრობას: — როგორ შეფერ-

ხდა მისი სვლა უმაღლესი სიკეთისაკენ, როგორ შეფერხდა მისი ქმრუფე უმაღლეს სიმშვენიერესთან, წესტანდარტთან — უმაღლესი სიკეთის კონკრეტულ ზორცშესხმულ სახესთან. იგი თხოვს ავთანდილს უსმინოს და გაიგოს მისი ტრავადიის აზრი: „ისმენდი, მოეც გონება, ჩემთა ამბავთა სმენასა“ (310, 1). აქ გონებას მიეწერება გაგების ძალა რთული ამბავისა, სადაც ასახულია დიდი სიყვარულის ფილოსოფია, ავთანდილმა უნდა მიაპყროს ტარიელის თბრობას არა მხოლოდ სმენა, არამედ გონება, რომლითაც უნდა გაიგოს ტარიელის თავგადასავალი და მისი ტრავადიის აზრი.

ტარიელი უამბობს ფრიდონს თავის თავგადასავალს, ეძებს გამოსავალს, ეძებს გზებს, რათა იპოვოს ნესტანი, სთხოვს შველას ფრიდონს, სთხოვს ურჩიოს, როგორ მოიქცეს, განსაჯოს მისი მდგომარეობა:

ენა, გონება მახმარე გამოსარჩევად ანისად:  
რა მოვავარო, რა მიჯობს საღუნად ჩემად  
და მისად? (625, 1-2).

აქ გონება თავს იჩენს საღ მსჯელობაში, საღი განსჯის ნიადაგზე მეტყველების გზით საღი რჩევის მიცემაში.

ტარიელთან პირველი შეხვედრის შემდეგ არაბეთს დაბრუნებული ავთანდილი უამბობს მეფე როსტევანს და დიდებულებს ტარიელის ვინაობის შესახებ:

მე თუ ვაქვა მსგავსი მისი და ანუ მისისა  
სახისა,  
ვინ უნახავ-ქმნის გონება უოველთა კაცთა  
მნახისა? (688, 2-3)

ტარიელის სიმშვენიერე იმდენად ძლიერია, ამამაღლებელი („მზე თუ ვაქვა მსგავსი მისი“), რომ გონებას, რომელსაც უნახავს ყოველგვარი კაცი, შეუძლებელია იხილოს მასზე უფრო სრულყოფილი (გონებას არ შეუძლია კაცთა შორის უფრო სრულყოფილი ადამიანის ხილვა). აქ გონების ფუნქციას შეადგენს სრულყოფილი სიმშვე-

ნიერის ქვერტა, ამ სიმშვენიერის წვდო-  
მა დისკურსიული აზროვნების გარეშე.  
ავთანდილი ტოვებს თინათინს და მი-  
ემართება ტარიელთან შესახვედრად,  
იგი განიცდის მძიმე სულიერ მდგომარე-  
ობას, მას ტანჯვას სატრფოსთან გან-  
შორება. ასეთ მდგომარეობაში იგი  
მიმართავს საკუთარ თავს:

თქვა: „ჩემო, შენი შორს-ყოფი კრულია,  
ვინცა დაღმდეს,  
როგან შენ დაგრჩა გონება, გული შენგონე  
დაბრუნდეს“ (833).

ამ სტროფს თეიმურაზ ბაგრატიონი  
შემდეგნაირად განმარტავს: „გონება  
თავისი საყვარელმან საყვარელსა თვის-  
სა სრულად დაუნარჩუნა, ე. ი. სრუ-  
ლად საყვარელს მისცა თავისი გონება  
და, რადგან გონება მიართვა, გულიცა  
თვისი მისკენ მოაქცივა და იგი სიშო-  
რესა შინა ხედვასა მისსა მისცა“.<sup>1</sup> ავ-  
თანდილი აქ გამოხატავს თავის თავ-  
დავიწყებულ საყვარულს თინათინი-  
სადმი: თინათინს მივეცი ყველაზე  
უმადლესი, რაც გამაჩნია, მივეცი გო-  
ნება, რომელიც მთლიანად მიპყრობი-  
ლია მისი სიმშვენიერის შესამეცნებ-  
ლად, მთელი ჩემი აზრი დასტრიალებს  
მას („წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის მის-  
თვის მზისავე მზობასა, უპკრეტდის,  
თვალნი ვერ მოჰხსნის, თუ მოჰხსნის,  
მიჰხთის ცნობასა“). 831, 2). „თვალნი  
ვერ მოჰხსნის“ აქ ნიშნავს გონების  
თვალის ვერ მოშორებას. როდესაც  
გზად მიმავალი ავთანდილი გონებას  
მოსწყვეტს თინათინს, იგი ცნობიერე-  
ბას კარგავს, ე. ი. მისი ცნობიერება  
სწყვეტს მუშაობას, როდესაც ცნობიერ-  
ების ცენტრს სცილდება მისი აზრის  
საგანი თინათინის სახე, ამ შემთხვევაში  
იგი გარემოში ორიენტაციის უნარსაც  
კარგავს („არ იცის, მას თუ არბე-  
დის ცხენი სად“). ავთანდილი მიმარ-  
თავს აზრით თავის სატრფოს: რადგან  
გონება, სიბრძნე შენი ტყვეა, გულიც  
შენთან იყოს, ე. ი. მთელი ჩემი არსება

შენ შეგიერთდეს, შენთან იყოს. კონტექ-  
სტის მიხედვით, გონება აქ ნიშნავს შე-  
მეცნების ზოგად უნარს, რომელიც გონ-  
დინარობა და მოქმედება განსახლებუ-  
ლია პიროვნების მდგომარეობით. ავ-  
თანდილის სულიერი მდგომარეობის  
მიხედვით, აზროვნება წარმოდგენის  
ხატზეა მიკრული. აზრი უტრიალებს  
თინათინის ცოცხალ სურათს, ავთან-  
დილს ატკობს და აღელებს ამ სურა-  
თის ქვერტა, აწვალებს განშორება.  
აზროვნება მთლიანად ერწყმის „გულს“,  
იგი მიმდინარეობს მღელვარე ემოცი-  
ური განცდების ფონზე. ამას განიცდის  
ავთანდილი და ამიტომაც გულსა და  
გონებას ურთიერთისაგან მოუწყვე-  
ტელ განცდებად თვლის, სადაც გო-  
ნებაა, იქ გულიც უნდა სუფევდეს;  
სატრფოსთან მართო გონებით ყოფნა  
არაა საკმარისი: საყვარულში სისრუ-  
ლეს ადამიანი მაშინ აღწევს, თუკი მი-  
სი გული და გონება მთლიანად ჩაძირუ-  
ლია საყვარელი არსების ტრფიალებაში.

ტარიელის საძებრად წასული ავთან-  
დილი მიაგნებს ტარიელის კვალს. იგი  
შორიდან ხედავს მას: „ოდენ ჩნდა შა-  
ვი ტაივი მისი მის მზისა მარებლად“  
(210, 4). ავთანდილი მოუწვევა ცხენო-  
სანს და იწყებს მსჯელობას. როგორ  
შეხვდეს უცხო ყმას, რა მოიმოქმედოს:

მიეწურა, იკონებდა, ახლოს შეყრა ვითა  
ავოს:  
საუბარმან უმეყარმან შმაგი უფრო  
გააშმაგოს!  
ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე  
გამოავოს,  
არ სუწყარე გონებისა მოიძღლოს, მოიძავოს!  
(215)

აქ გონების მოქმედება მიმართულაა  
რთული ფსიქოლოგიური ამოცანის გა-  
დასაჭრელად. ავთანდილი ხედავს უცხო  
მოყმეს, რომელიც განმარტობულად  
ცხოვრობს უკაცრიელ მიდამოში. მან  
იცის, რომ იგი ვერ ითმენს ადამიანს,  
არავის ინდობს, ვინც მას მიეკარება და  
ეცდება დაურღვეოს მართლობა, იცის,  
რომ მისი არსება მთლიანად შეპყრობი-  
ლია რაღაც მძიმე კავშირით. ავთანდი-

<sup>1</sup> თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა  
„ვეფხისტყაოსნისა“, 1960, გვ. 122, გ. იმედა-  
შვილის რედაქციით.

ლის წინაშე დადგა პრობლემა: როგორ დაამყაროს ურთიერთობა ასეთ „შმაკ“ ადამიანთან („მიეწურა, იგონებდა, ახლოს შეყრა ვითა აგოს“); ერთბაშად შეხედრამ და კაეშნით დაძძიებულ ადამიანთან შეუფერებელმა საუბარმა შეიძლება „შმაგი უფრო ვააშმაგოს“. იგი ფიქრობს: გონიერმა ადამიანმა რომ ძნელი საქმე მოავგაროს, საჭიროა გონების სიღინჯე, აუჩქარებლობა, ნათელი განსჯა („არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს“). „უცნობო“ ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზისა და მთელი რიგი სწორი მსჯელობების (წინამძღვრების) შედეგად („რათგან ისი არის სადმე უცნობო და ისრე რეტად, რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად კვრეტად, მივეწვი, შევიყრებით ერთმანეთის ცემა-უღეტად“). ავთანდილი შემდეგ დასკვნამდე მიდის: მასთან ერთბაშად შეხედრას სჯობს გაგება, თუ როგორია მისი სადგომი და შემდეგ სიტუაციის შესაფერისად გადასწყვეტს, როგორ მოიქცევა:

სადაც მივა, მივიდეს, რაზომც მოვლიდეს ზღუდენი, მუნთგან ეძებნენ ღონენი ჩემნი არ დასაშრ. დენი (217, 3—4).

ამ შემთხვევაში „გონება“ ნიშნავს მკაცრსა და საღ ლოგიკურ აზროვნებას, მთელი რიგი დებულებების ნიადაგზე დასკვნის გამოტანას, ახალი მსჯელობის მიღებას. დასკვნის ყველა წინამძღვარი ემყარება გონების მიერ შემუშავებულ გარკვეულ პრინციპს: „ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს, არ სიწყნარე გონებისა, მოიძულოს, მოიძაგოს“. ეს პრინციპი აიძულებს ავთანდილს მიმართოს საღ მსჯელობას, წამოაყენოს დებულებები და სათანადო სიფრთხილით მივიდეს ბრძნულ დასკვნამდე. თავისთავად პრინციპი, რომლის ნიადაგზე მიმდინარეობს ავთანდილის აზროვნება, ემყარება ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნას, გამოცდილებას. აქ მსჯელობის პრინციპი ცდისეულია.

ამავე დროს ადამიანის გონების მოქმედება (მაგალითად, ბრძენისა) შეიძლება სცილდებოდეს ყოველდღიურს, ემპირიულს; აზრები შეიძლება „ფრენდეს“ გრძნობადის მიღმა სამყაროში, ჩაბირული იყოს სამყაროს საიდუმლოების ძიებაში. მაგალითად, ბრძენს:

ვით ზაპარი, ასრე ვსის უბელობა, თუნდა ბელი, სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრეღ (1184, 34)

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის ინტელექტუალური მოქმედების აღსანიშნავად რუსთაველი ხმარობს ტერმინს „ხედვას“. ძველ ქართულ მწერლობაში „ხედვითი“ ნიშნავდა თეორიულს, მხოლოდ გონებით წარმოსადგენს<sup>1</sup> („ხოლო გაგონებისა გვარნი ორ და ამათ შორისცა უწმინდეს მხედველობითი მოქმედებითისა, რამეთუ ორ ვინაი შე არიან, ვითარ იგი — საქმითი და ხედვითი“)<sup>2</sup>. ამავე აზრით იხმარება „ხედვა“ პეტრე იბერის (დოინისე არეოპაგელის) წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“, რომელიც თარგმნილია ეფრემ მცირეს მიერ<sup>3</sup>. ასევე, პეტრიწის ორიგინალურ<sup>4</sup> და თარგმნილ შრომებში, კერძოდ, პროკლე დიადონოსის „კავშირის“ ქართულ თარგმანში<sup>5</sup>.

„ხედვა“, „ხედვითი“ (თეორიული) მოქმედება უშუალო, გრძნობადი მსაღლით ოპერირების გარეშე მიმდინარე აზროვნებაა („გაგონებაი“, ნოიაში), აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძველ ქართულ მწერლობაში, კერძოდ, რუს-

<sup>1</sup> ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა“, ლექსიკონი, გვ. 220.

<sup>2</sup> იქვე, „გაგონება“ — მარტო გონებით კვრეტა, წმინდა აზროვნება, გვ. 181.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 106 5.

<sup>4</sup> პეტრე იბერიელი, შრომები. ეფრემ მცირეს თარგმანი. ს. ენუქიძის გამოცემა. გვ. 149, 14; 205, 26; 211, 27.

<sup>5</sup> იოანე პეტრიწის შრომები. ტ. II, 4, 26; 4, 31, 141, 24 და ა. შ

<sup>6</sup> იოანე პეტრიწი, ტ. 1 — 106, 17.



თაველთანაც ღმერთი იწოდება არსთა მხედად. მაგალითად, სულხან-საბას ლექსიკონში „ხედვა“ ნიშნავს ღმერთსაც: „ღმერთი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყოელთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოელთა; ღმერთი გამოითარგმანების ხედვა და წვა“... ან კიდევ „ღმერთება ითქმის ყოელთა მხედველი წინაგანმგებლობისათვის, ვითარ ყოელსავე მოიხილაეს და შემოკრებით აღავსებს თვისით მოწყალებითა და იპყრობს“.<sup>1</sup> ღმერთს მიეწერება უშუალო ხედვა, ყოველი არსებულის უშუალო ცოდნა. რუსთაველა ღმერთს უწოდებს „არსთა მხედს“, მაგალითად სასოწარკვეთილი ავთანდილი.

იტყვის: „ღმერთო, რა შევცოდე შენ,  
უფალსა, არსთა მხედსა,  
რად გამყარე მოყვარეთა, რად  
შემასწარ ამა ბედსა?“  
(861, 1)

თ. ბაგრატიონი ამ სტროფის პირველ სტრიქონს ასე განმარტავს: „არსთა მხედი, ე. ი. ყოველთა დაბადებულთა არსთა მხედველი არის ღმერთი უფალი და გულისა და გონების მჩხრეკელი. ყოველივე არსთა ბუნებაცა და ვითარებაცა უწყის მან და საქმენი მით ყოველთა“.<sup>2</sup>

ნესტანდარეჯანი შემდეგი სიტყვებით უპასუხებს ფატმას, რომელიც დაინებით თხოვს მას მოუთხროს თავისი თავგადასავალი: „თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისა“ (1141, 4), ე. ი. თუ კიდევ მკითხავ ჩემს ამბავს, არსთა მხედის, ღმერთის მაგინებელი, მგომბარი იყო. რუსთაველი უშუალო აზროვნების უნარს მიაწერს ადამიანის სულსაც. მაგალითად, ნესტანდარეჯანი ქაჭეთის ციხიდან წერს ტარიელს:

მომცნეს ფრთენი და აღფრინდე, მივხედე  
მას ჩემსა ნდომასა,  
დღისით და ღამით ეხედვიდე მზისა  
ელვათა ერთმასა“  
(1304, 3—4).

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 379.

<sup>2</sup> თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გვ. 138.

ამ სიტყვებით ნესტანი გამოთქვამს პლატონური და ნეოპლატონიკური ფილოსოფიის გავლენით ქრისტიანულ თეოლოგიაში შემუშავებულ და შემდგომ გაბატონებულ კონცეფციას სამყაროს საფესურებრივი წყობის შესახებ. მზე ღმერთის ხატია; მზის ელვათა ერთობა სიმბოლოა „ერთის“. მარადიული სინათლის გამოსხივებისა: მარადიული სინათლე „ერთის“ სისრულის უმალლესი საფესურია, საითკენაც ისწრაფის ყოველი არსება, რომლის აზრის წვდომა შესაძლებელია არა დისკურსიული აზროვნებით, არამედ ინტუიტიური აზროვნების გზით (ნოიამაი). „მარადიული სინათლის“ წვდომა, მასთან შერთვა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ უშუალო ჰერეტიით; სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული აღწევს უმალლეს სისრულეს, მას შეეძლება „მზის ელვათა ერთობის“ მარადიული „ხედვა“. აქედან, ცხადია, რომ ნესტანის მიერ „მზის ელვათა ერთობის“ „ხედვა“ უშუალო ჰერეტიით აზროვნებაა; სწორედ ამიტომაც ნესტანი თავის სულის ამ უმალლეს ინტელექტუალურ მოქმედებას „ხედვის“ ცნებით აღნიშნავს. „მარადიული სინათლის“ წვდომა, მასთან შერთვა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ უშუალო ჰერეტიით. სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული აღწევს უმალლეს სისრულეს, მას შეეძლება „მზის ელვათა ერთობის“ „მარადიულად „ხედვა“.

სინამდვილის უშუალო შემეცნების, განჰერეტის აზრით იმბარება სიტყვა „ხედვა“ ტაეპში: „ქალი მზეებრ სჰერეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა“. სწორედ დიდბუნებოვანი მეფე ქალი სამეფო „სიკობრის“ მიღების შეფეთა სამოსელით შემოსვისთანავე ერთბაშად მისწვდა თავის მალალი ხვედრის აზრს. ჩვენი შეხედულებით, სინამდვილის ერთბაში და უშუალო შემეცნების აზრით არის ნაშობი სიტყვა „მხედი“ ტაეპში: „ანუ არის ბრძენი ვინმე, მალალი და მალლად

მხედი“ (1184). ვახტანგისეული რედაქციის მიხედვით, მაღლად მხედის ნაცვლად არის ნახშიარი მაღიად მხედი, რომელიც ტაეპის აზრის მთლიან კონტექსტში უთუოდ სწორი უნდა იყოს. ვახტანგისეულ რედაქციაში მოცემულ ამ სტროფს თ. ბაგრატიონი სწორ განმარტებას აძლევს: „მაღალი სიბრძნითა და გონებით — მაღიად მხედი — ყოვლისა საქმისა და სიბრძნისა ადვილად და სწრაფად მხედველი და გამგონებელი და მიმხვედრი“.<sup>1</sup> ვარკვეული აზრით აქაც ადამიანის უშუალო ინტუიტური აზროვნების დახასიათებასთან გვაქვს საქმე. აქ ნესტანი დახასიათებულია ისეთ ბრძენ ადამიანად, რომელსაც შესწევს ხედვის, ქეშმარიტების ერთბაშად წვდომის უნარი. ამავე აზრით უნდა იყოს გამოყენებული „ხედვა“ ტაეპში: „გული-ბრმა ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ“ გამზომელი“, ე. ი. გული, რომელიც წყაროა ვნებებისა, რომელსაც არ ძალუძს ავისა და კარგის გარჩევა, ეურჩება და „აბრმავებს“ ხედვას, სინამდვილის შექცევის ამ დიდ შესაძლებლობას.

რუსთაველი ქმნის რიგ რთულ სიტუაციებს, კოლოზიებს, სადაც გმირები იძულებული არიან მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი ინტელექტის ძალა, როგორც დასკურსიული მსჯელობით დებულებების დასაბუთების, ისე „ხედვის“ უნარით.

ავთანდილი პოულობს მოკლული ღომისა და ვეფხის გვერდით გაწოლილ „ცნობა“-დაკარგულ ტარიელს („მის აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გავბიჯა“). სიმბოლურსა და მონუმენტურ სიტუაციაში ტარიელი ისწრაფის არამიწიერ სამყაროში შეუერთდეს ნესტანდარეჯანს („მისკენ მივალ მხიარული, მერმე მანცა ჩემ კერძ იროს“). ავთანდილი ახერხებს „უცნობო“ მღვთმარეობიდან ტარიელის გამოყვანას.

მათ შორის იმართება ძნელი ფილოსოფიური პაექრობა. ორევე მხატვარმა ვინც ცხოვრების სტრუქტურულად მანის სულის საიდუმლოების, ეთიკის, თეოლოგიისა და კოსმოლოგიის დიდ ცოდნას და ღრმა აზროვნების უნარს. ავთანდილი ცდილობს ტარიელის „გულის მოგვარებას“, ცდილობს შთაბეროს ტარიელს ოპტიმისტური სულისკვეთება, იმედი, ბრძოლის წყურვილი. იქვე გადაუშლის ტარიელს ცხოვრების დინების ძირითად პრინციპებს, დიდი მიზნებისაკენ სწრაფვა ძლიერი. ბრძენი ადამიანების ხვედრია, დიდი მიზნების მიღწევა მხოლოდ დიდი დამარკოლებების გადალახვის გზით ხდება. ამ მიზნებისათვის ბრძოლაში „ჭირი“ აუცილებელია, მაგრამ „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა“. ავთანდილს მოჰყავს ცხოვრებას სიბრძნის ამსახველი არგუმენტების მთელი წყება, რომლითაც იგი ცდილობს დასაბუთოს, რომ ცხოვრების აზრი აქტიუობაა; მხოლოდ ბრძოლით, შემოქმედებით აღწევს ადამიანი დიად მიზნებს, უმაღლეს სისრულეს; მიზნებისათვის ბრძოლის პროცესში ტანჯვა ყოველი ადამიანის ხვედრია, ეს ცხოვრების კანონია. ამავე დროს გამარჯვებისათვის არ კმარა მხოლოდ ბრძოლა, დიდი ენერჯის გამომქლავება, არამედ აუცილებელია ბრძოლის პროცესში წარმოშობილი შინაგანი მღელვარების, აფექტების, შეუკავებელი სურვილების შეზღუდვა, ე. ი. თავისთავის დაუფლება. მხოლოდ წადილის დაუფლების გზით მიადწევს ადამიანი სისრულეს („ნუ მიჰყოლიხარ თავისსა თაობირსა, გაგონებასა, რაც არა გწადლეს, ავიტქმენ, ნუ ჰყევ წადილთა ნებასა“).

ავთანდილის მსჯელობა, ერთი მხრით, უაღრესად გონიერია, ე. ი. მთლიანად შესატყვისია სიტუაციისა, სწორედ ასეთი დარეგება შეუფერება მძიმე პესიმისმში ჩავარდნილ ადამიანს. ავთანდილის მიერ წამოყენებული პრინციპები, რომლებზედაც აგებულია მთელი მისი მსჯელობა, გონების პრინციპებია,

<sup>1</sup> თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გვ. 127.

რომლებიც უთუოდ შეძენილია გამოცდილებით, მაგრამ ამ უკანასკნელით არ ამოიწურება. ისინი მიღებულია გამოცდილების უადრესად მაღალი განზოგადების გზით; ეს გამოცდილება გადაქცეულია ცხოვრების პრინციპად, მის ფილოსოფიად. მაგრამ ძნელია იმის თქმა, თითქოს ავთანდილის გონება ინდექციური მსჯელობის გზით მიემართებოდეს. პირიქით, მისი გონება ყოველ ემპირიულში, კერძოში, ეძებს ზოგადს, არსებითს, გრძნობაში ეძებს „ინტელიგებულს“, ყოველ კერძო მოვლენაში, ადამიანის ყოველ მოქმედებაში პოულობს მაღალი, დიადი მიზნის „ნაწილს“, მისწრაფებას, განიხილავს მას ადამიანის ცხოვრებისა და კოსმოსის კანონებთან მთლიანობაში, ეთიკურ და კოსმოლოგიურ კანონებთან ერთიანობაში. ავთანდილის აზრთა სვლა უთუოდ ლოგიკურ-დისკურსიულია. იგი აგებს რთულს, მრავალი წანამძღვრის შემცველ სილოგიზმს. ეს სილოგიზმი შეიცავს ჭეშმარიტ დასკვნასაც. მსჯელობებში, რომელთაც ემყარება ეს დასკვნა, წარმოადგენენ ცალკეულ სიბრძნეებს (ცხოვრების ცალკეული მონაკვეთის აზრთან მთლიანობაში განხილვის შედეგად მიღებულ დებულებას). ამ დებულებების, წანამძღვრების ურთიერთმიმართება აღწევს დასკვნამდე, რომლის შინაარსი ცხოვრების ჭეშმარიტ ფილოსოფიას წარმოადგენს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა ავთანდილის, ტარიელისა და ნესტანის მსჯელობათა უადრესად დამარწმუნებელი ტონი. ეს უკანასკნელი ფსიქოლოგიურად შინაგან დარწმუნებულობას ემყარება.

აპრიორულ-დისკურსიული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს „ანდერძი ავთანდილისა“. ავთანდილს სურს გაამართლოს თავისი გაპარვა, თავისი ლაღატი მეფის კარის მიმართ. იგი თავის მსჯელობას ამყარებს აპრიორულად მოცემულ მორალურ-ფილოსოფიურ პრინციპზე: ადამიანის სიცოცხლეს, ცოდნას, ფილო-

სოფიას, სიბრძნეს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ მათი საშუალებებით შეძლებთ „ზესთ მწყობრთა მწყობრთა“ შერთვას, ამით უმაღლესი სისრულის დამკვიდრებას („ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა? მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“). ამ ქვეყნად ხორციელი ადამიანისათვის მსოფლიო წყობის უმაღლეს კიბურზე ასვლა, უმაღლესი სისრულის მიღწევა შეიძლება სიყვარულით, რომელიც შესაძლოა გამოვლინდეს მეგობრობისა და მიჯნურობის სახით; ფილოსოფია, სიბრძნე უქმია უმაღლესი მორალური სისპეტაკის გარეშე, რაც მეგობრობისა და მიჯნურობის სახით იჩენს თავს. სიბრძნემ უნდა უჩვენოს მიმართულება, გაუკვალოს გზა ამ უმაღლესი სიწმინდის „სიყეთის გამარჯვებას“, ვინც ამ პრინციპით იხელმძღვანელებს, მისი მოქმედება უადრესად ზნეობრივია და საღიდებელი.

აი, ეს აპრიორული პრინციპი, რაც მიღებული აქვს ავთანდილის გონებას, ადამიანის ცხოვრების ცალკეული ფაქტების მსოფლიო მთლიანობასთან, კოსმოლოგიურ კანონებთან ერთიანობაში განხილვის შედეგად, საფუძვლად ედება მის საოცრად რთულს, მაგრამ ლოგიკური თვალსაზრისით გამართულ მსჯელობათა მიმდინარეობას. აქ ყოველი ფრაზა წარმოადგენს აღნიშნული უმაღლესი პრინციპის გასამართლებელ საბუთს. გონება ჯერ წვდება „ერთის“ მიერ დაწესებულ კანონს, პრინციპს, რადგან ეს პრინციპი ჩაქსოვილია გრძნობადი სამყაროს ყოველ უკრედში, ადამიანის სოციალური ქცევის ყოველ მომენტში; ამიტომ ამ პრინციპის სისწორის საბუთებს იგი ეძებს და პოულობს თავის საქციელში, ადამიანისა და „მოყვასის“ დამოკიდებულებაში, ამ ქვეყნიური ცხოვრების სიმშვენიერეში, დიდი საქმეების კეთების, სახელის მოხვეჭის მნიშვნელობასა და მორალური სისპეტაკის დაცვისათვის სიცოცხლის შეწირვის აუცილებლობაში, მიზნების

დამარცხების მოლოდინით გამოწვეულ ფიქრებში სიკვდილისა და საიქიო ცხოვრების შესახებ („სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“). მაგრამ ყოველი ეს კერძო დებულება გულისხმობს ზოგად პრინციპს; ეს ზოგადი ჩაქსოვილია თითოეულ მთავანში, ამიტომ იგი მთა აქცევს სიბრძნით სავსე დებულებათა წყებად; თითოეული ეს დებულება ემყარება უმალღეს „აპრიორულ“ პრინციპს და ასაბუთებს კიდევაც ამ უკანასკნელს. აქ აზროვნების მსვლელობა ემსგავსება მსოფლიო წყობის აღმავალი საფეხურების, „მარადიული სინათლის“, „ერთის“, და უმდაბლესი საფეხურის „გრძნობადის“ ურთიერთობის პრინციპს, გრძნობადი ისწრაფვის „ერთისაკენ“ და შეუძლია მიაღწიოს სისრულეს, რადგან „ერთისაკენ“ აქვს მონიჭებული უმალღესისაკენ სწრაფვისა და სისრულის მიღწევის შესაძლებლობა, ხოლო თავის მხრივ სისრულისაკენ გრძნობადი ქვეყნის სწრაფვა დიდი საბუთია მასზე მაღლა მდგომი სისრულის არსებობისა. აზრისა და სამყაროს კანონების ერთგვარობის პრინციპი უმალღესი პოეტური გამოთქმებით გატარებულია „ვეფხისტყაოსნის“ უმშვენიერეს სტროფებში.

ცხოვრების სიბრძნით აღსავსე ავთანდილის ლოგიკურ მსჯელობას ტარიელი უპირისპირებს აზრებს, რომლებიც მასში იბადება დიდი სულიერი ტანჯვისა და ექსტაზის წუთებში. უიმედო სიყვარულის განცდაში ჩაძირული ტარიელი სამყაროს მთელ რიგ მოვლენებში ახდენს თავისი სულიერი მდგომარეობის პროექციას: იგი ლომვეფხვის ბრძოლაში ჰვრეტს შეყვარებულთა წაქივების გამოხატულებას; ბუნების ყველაზე მძლავრ და დაუოკებელ შვილთა ინსტინქტების ჰიდილი მისთვის სიყვარულის გამარჯვებისა და დამარცხების სიმბოლოდ იქცევა, იგი მთლიანად ჩართულია ამ სიმბოლოს ჰვრეტაში. თავისივე გიგანტური ძალით ამ სიმბოლოს დამსხვრევა (ლომ-ვეფხ-

ვთა დახოცა) იქცევა სატრფოსთან მისი შერთვის შეუძლებლობით გამოწვეული ტანჯვის ზენიტად. ამ ტანჯვის წუთებში იგი განიცდის ღრმა სულიერ მღელვარებას და სწრაფვას არამიწიერ, სხვა სამყაროში გადასვლისა, სადაც მას ნესტარი ეგულება. ტარიელს სწამს, რომ ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, იგი შეეყრება მას და ბედნიერებას ჰპოებს მარადიულ ტრფიალებაში. დიდი სიყვარულით დატანჯული და, ამავე დროს, სიყვარულის უკვდავების რწმენით აღჭურვილი ტარიელი ავთანდილის ფხიზელ, ლოგიკურ მსჯელობას უპირისპირებს სულიერი ექსტაზის პროცესში აღმოცენებულ აზრებს, რომელნიც უფრო „ხედვის“ ნაყოფს წარმოადგენენ, ვიდრე ლოგიკური არგუმენტაციისა. მაგრამ აზროვნების ტარიელისებურ გზასაც საბოლოოდ იმავე „ქემშარტებამდე“ მიყვავართ, რასაც გონების მიერ დადგენილ პრინციპებზე დამყარებით ასაბუთებდა ავთანდილი. აღამიანის ამ ქვეყნად არსებობის აზრი სისრულისაკენ სწრაფვაა. სისრულისაკენ სვლა შეუძლია დიდი, ამაღლებული სიყვარულით შეპყრობილ დიდი გრძნობის აღამიანს, ამაღლებული სიყვარულის მარცხი ტანჯვას იწვევს. მაგრამ სიყვარული მარადიულია; ორი არსების ერთმანეთისაკენ სწრაფვა იმდენად ძლიერია, რომ იგი ახერხებს ყოველგვარი ჭებირის გადალახვას, თვით ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფასაც და სხვა უფრო ბრწყინვალე სამყაროში (როგორც ამას ნესტარნიც აღნიშნავს), სადაც არის მარადიული „მზის ელვათა კრთომა“, ბედნიერების დამკვიდრებას. ტარიელს სჯერა, რომ როგორც კი დაიშლება მისი სხეული („დამშლიან ჩემნი კავშირნი“), მისი სული შეუერთდება „სულთა სირას“, სადაც იგი თავის მიჯნურს შეეყრება:

აჲ ვაყრილი მიჯნური მუნამცა  
შეიყარენით,  
მუნ ერთმანერთი კვლავნხნეთ, კვლავ  
ვაიხარენით  
(882, 2-3).

ტარიელის რწმენა იმ ქვეყნად ნამდვილი ბედნიერების მოპოვებისა იმდენად ძლიერია, რომ იგი თითქოს ხელავს მარადიული სინათლით გაცისკროვნებულ სამყაროს, სადაც მას მოეგებება ამაღლებული სიყვარულით ანთებული ნესტანი:

მისკენ მივალ მხიარულა, მერმე მანცა ზემ  
კერძ იროს,  
მივეგებვი, მომეგებოს, ატირდეს და  
ამტიროს\*  
(883, 2-3)

ავთანდილის მტკიცება, რომ ჯერ კიდევ არაა ამოწურული შესაძლებლობა ამ ქვეყნად სატრფოსთან შერთვისა, რომ ამ ქვეყნად შესაძლებელია სიყვარულის გამარჯვება, ტარიელზე არ მოქმედებს. ტარიელმა და მისმა მეგობარმა ფრიდონმა ხომ მსოფლიოს ყველა მხარე გადასერეს ნესტანის ძებნაში, მაგრამ ამაოდ. ტარიელი არაა წინააღმდეგი ლოგიკური არგუმენტაციისა, მსჯელობის ასეთი გზისა; იგი პატივს სცემს მას და თვითონაც შეუძლია ამგვარი არგუმენტებით მოწინააღმდეგესთან პაექრობა (გაეისხენოთ ფრიდონთან მისი პირველი შეხვედრა, ქაჩებთან ბრძოლის წინ თათბირი და სხვა), მაგრამ ის, რაც მისმა „გულმა“ დიდი მღელვარებისა და აღტაცების დროს „იზილა“, რასაც მისი არსება უშუალოდ წვდა, ყოველგვარი ლოგიკური წინამძღვრების გარეშე, შეუძლებელია დაარღვიოს ამ არგუმენტებმა („ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა რა გინდ რა ვინ გივაზიროს“). ტარიელის დებულება უთუოდ მოტივირებულია. ეს მოტივი სატრფოსთან შერთვის სწრაფვია, მაგრამ იგი არაა ლოგიკურად დასაბუთებული. აქ გონების მიერ მიღებული დასკვნა არ ემყარება ცალკეულ დებულებებს. ეს დასკვნა უფრო უშუალო წვდომის შედეგია. ტარიელი იმდენად უშუალოდ განიცდის „ახალი ცხოვრების“ დასაწყისს, სხვა სამყაროში გადასვლას, „მუნ“ სატრფოსთან შერთვას, რომ ამ განცდის დარღვევა „ბრძნული“ მსჯელობით შეუძლებელია. ავთანდილი კი-

დევაც წვდება ტარიელის სულიერ მდგომარეობას, მისი აზროვნების მიმდინარეობის თავისებურებებს. მისი მსჯელობის თავს ანებებს ლოგიკურად დასაბუთებული დებულებებით ტარიელის გადარწმუნებას და ცდილობს მის აზრთა მსვლელობისათვის მიმართულების შეცვლას, რაც მას შესაძლებლად მიანიცა, თუ ტარიელს გამოიყვანს „უცნობო“ მდგომარეობიდან. რა თქმა უნდა, ტარიელის მსჯელობა ემყარება გარკვეულ მსოფლმხედველობას, რომელიც მისი პიროვნების მრწამსადაა ქცეული. მაგრამ ამ კონკრეტულ სიტუაციაში ტარიელის აზრის მსვლელობა უთუოდ ჰგავს „უშუალო“ აზროვნებას, ე. ი. აზროვნების იმ კატეგორიას, რომელიც ძველ ანტიკურ ფილოსოფიაში, განსაკუთრებით ნეოპლატონიკოსებთან, გონების მიერ სინამდვილის „უშუალო წვდომა“ იწოდებოდა.

თანამედროვე მეცნიერული ფსიქოლოგიის ზოგი წარმომადგენელი, უაჩყოფს რა უშუალო (ინტუიტური) აზროვნების მისტაკურ ხასიათს, თითქოს ასეთი აზროვნება მიღმა სამყაროს საიდუმლოების უშუალო ჰვრეტის საშუალება იყოს, აღიარებს ამ სახის აზროვნების არსებობას დისკურსიული აზროვნების გვერდით და მასთან დამოკიდებულებაში. დიდი ცოდნისა და გამოცდილების ადამიანი „ინტუიციით“, ერთბაშად, გამაშუალებელი მსჯელობების, წინამძღვრების გარეშე, წვდება სინამდვილეს. სინამდვილის წვდომის ეს გზა გაუცნობიერებელია, დაუსაბუთებელია. ამ გზით მიღებული ცოდნის დასაბუთებას სჭირია ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნების მოხმარება. აღნიშნული ორი სახის აზროვნება მჭიდროდ უკავშირდება და ავსებს ერთმანეთს<sup>1</sup>. რუსთაველის დროს მოწინავე, პროგრესული იდეების ადამიანისთვის ეს სამყარო წარმოადგენდა გრძნობადისა და მის მიღმა არსებული მეტაფიზი-

<sup>1</sup> Брунер, Процесс обучения, 1962, стр. 162

კური სინამდვილის ერთიანობას. გრძნობადის მიღმა არსებული სინამდვილის—სიკეთის“, „ერთის“, „ღვთაების“ კანონების ცოდნა და ამ კანონების მიხედვით აღამიანთა ცხოვრების აწყობა, აღამიანთა შორის „ციურის“ დამკვიდრება, „ღმერთადღე“ აღამიანთა ამაღლება, ამ იღებების ტარება და მათთვის ბრძოლა უდიდეს პროგრესულ საქმედ ითვლებოდა. მაგრამ მიღმა სამყაროს წვდომა შეიძლებოდა არა მარტო დისკურსიულ-ლოგიკური აზროვნებით, არამედ ინტუიტური აზროვნების გზითაც. რენესანსის ეპოქის ზოგი წარმომადგენელი (დანტე, პეტრარკა და სხვები) უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებდნენ. რუსთაველის გმირები აღკურვნილი არიან სინამდვილის შემეცნების ყველა აღამიანური საშუალებით, ე. ი. როგორც დისკურსიული აზროვნების, ისე „ხედვის“ გზით მეტაფიზიკური და გრძნობადი სინამდვილის უშუალო წვდომის უნარით, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსთაველის მიხედვით აღამიანის გონება მრავალმხრივი და მრავალ შესაძლებლობათა შემცველია. ეს შესაძლებლობანი განსაკუთრებული სიმკვეთრით თავს იჩენენ დისკურსიულსა (დიანვი) და ინტუიტურ აზროვნებაში (ნოიამი).

გონების აქტივობის ამ ორი სახეობის შეთანხმებულად მოქმედების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს მულაზანზარის ველზე ავთანდილის ვედრება მნათობების მიმართ და ქაჯეთის ციხიდან ნესტანის წერილი ტარიელისადმი. ავთანდილის ვედრება-სიმღერის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეს ბრძენი მიჯნური და მეგობარი არის არა მხოლოდ თავისი დროის ფილოსოფიის, თეოლოგიისა და ასტროლოგიის დიდი მკოდნე, არამედ დიდი მოაზროვნეც. მას შეუძლია მძლავრი ლოგიკით დაუპირისპირდეს ისეთი მაღალი ბუნების აღამიანებს, როგორც არიან ტარიელი და როსტეგან მეფე; ამავე დროს იგი აღკურვნილია საიდუმლოებით მოცული სამყაროს ხედვის უნართაც. ასტრო-

ლოგიის დიდი ცოდნის ნიადაგზე იგი აგებს შეუდარებელ ვედრებას, რომლის მნათობებისადმი. იგი თითქოს უშუალოდ წვდება თითოეული მნათობის „ძალას“, აღამიანზე მათი გავლენის შესაძლებლობას, წვდება სამყაროს მთლიანობაში, „ერთთან“ ურთიერთობაში ვარსკვლავთა ადგილს, თითოეულ მათგანს განიხილავს როგორც „განგების“ მედიუმს. პოეტის გენია უშუალო კავშირს ამყარებს ცის მნათობებთან, ხდება მათი მესაიდუმლე, თანაც შესთხოვს მათ, ისინიც გახდნენ მისი სიყვარულის მესაიდუმლენი. იგი თითქოს განიცდის, თუ როგორ ემოწმებიან (ეთანხმებიან) მის მიმართვას მნათობები, გონების თვალთ იგი თითქოს ხელშესახებად ხედავს ვარსკვლავთა „მოწმობას“:

აჰ, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შეიღნივე  
 შემოწმებანი:  
 მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზულა ზემთის  
 ხნდებანი,  
 მთეარე, ასპიროზ, მარხი მოვლენ და  
 მოწმად მუვებანი,  
 მის გააგონე, რანიცა ცეცხლი უშრატნი  
 მღებანი (964)

სინამდვილის ცოდნა და ამ ცოდნის ნიადაგზე სამყაროს საიდუმლოებაში უშუალოდ შეჭრა და ჰეშმარტების უშუალოდ ხილვა ამ სტროფების მიხედვით მკიდროდ ერწყმის ურთიერთს.

ნესტანი თავის წერილში ტარიელისადმი არა მხოლოდ იძლევა გარემოების რეალურ ანალიზს, ავითარებს მკაცრ ანალიტიკურ აზროვნებას, იძლევა გრძნობადად მოცემული სამყაროს (ქაჯეთის, ინდოეთის) ცხოვრების ცოდნის ნიადაგზე აგებულ ბრძნულ მსჯელობას, გონების პრინციპებთან შეთანხმებულ ბრძნულ ეთიკურ დარიგებებს, არამედ მთელ თავის აზრთა წყობას, რომელიც ეხება მის და ტარიელის ბედს, წარსულსა და მომავალს, უთანხმებს კოსმოლოგიურ კანონებს, მეტაფიზიკურ სინამდვილეს. ამ უკანასკნელს ნესტანი შეიმეცნებს „ხედვის“ გზით. მისი მსჯელობა „ცათ ამაღლე-



ბაზე“, მზის „ელვათა კრთომის“ უშუალოდ „ხედვაზე“, ცის სამყაროში მარადიულ, უტყუარ სიყვარულზე, თეოლოგიისა და ფილოსოფიის ღრმა ცოდნაზე დამყარებით სინამდვილის უშუალოდ წვდომის გზაა. ნესტანის გონება თითქოს ხედავს „მზის ელვათა კრთომას“, შეუძლია იხილოს თავისი თავი ტარიელთან ერთად უმაღლეს სიკეთეს შერთული, სადაც იგი დამკვიდრებს სანატრელ ბედნიერებას:

მუნა განხო, მადლე ვსახო, განმინათლო  
ველი ჩრდილო,  
თუ სიუცხლე მწარე მქონდა, სიკვილიმცა  
მქონდა ტპილი  
(1305, 3-4)

შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც, სადაც რუსთაველის გმირები სიტუაციის მიხედვით ამკლავებენ როგორც ანალიტიკურ, ისე გონების პრინციპების (აპრიორულის) ნიადაგზე მსჯელობას; ისინი მიმართავენ აგრეთვე „ინტუიტურ“ აზროვნების გზადაც, „ხედვის“ გზით წვდებიან რეალურსა და მეტაფიზიკურ სინამდვილეს. რუსთაველის მიხედვით, ხშირად ხედვა და ანალიტიკური, თუ აპრიორული მსჯელობა მკიდროდ გადაჯაჭვულია ერთმანეთთან, ერთმანეთის პირობას წარმოადგენენ. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება განასხვავებს რუსთაველს მისტიკურად განწყობილ ნეოპლატონიკოსებისაგან და აყენებს მას იმ მოწინავე მოაზროვნეთა რიგებში, რომელთაც გონება მიაჩნიათ ბოზიტიური ცოდნის შექმნის, ჰემმარიტების შემეცნების ერთ მთლიან ინსტრუმენტად.

გონება თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს ბრძენ ადამიანში, რომელსაც მინიჭებული აქვს სიბრძნე. სიბრძნე არის გონების უმაღლესი სიკეთე, რომლითაც იგი ბატონობს ცხოვრებაზე, სწორად შეიმეცნებს ცხოვრების მიზანს, წვდება ჰემმარიტ კეთილობას და ახორციელებს მას პრაქტიკაში.

პოემის ცალკეული ადგილები, ცალკეული გამოთქმებიც გვისურათებენ ბრძენისა და სიბრძნის რუსთაველისე-

ბურ ვაგებას (იხ. სტროფები: 720, 347, 1050, 1184 და სხვ.). რუსთაველიც მკლავად ხმარობს „ბრძენს“ და „სიბრძენს“. ბრძენი ყოველთვის აღნიშნავს ადამიანს იდეალს, რომელსაც ახასიათებს არა მარტო გონიერი განსჯის, ჰკვიანი მოქმედების, არამედ საგანთა და მოვლენათა არსის, ადამიანის ცხოვრების აზრის წვდომის, ცხოვრების ცალკეული ფაქტების სამყაროს მთლიანობასთან კავშირში განხილვის უნარი, აქვს „პრაქტიკულ“ აზროვნებასთან ერთად გონების პრინციპებზე დამყარებით ლოგიკური აზროვნებისა და უშუალოდ, „ხედვითი“ ჰემმარიტების წვდომის უნარი.

რუსთაველმა მაღალი გონება, ღრმა გრძნობა, ძლიერი ნებისყოფა, მძიმე განსაცდელში შეუღრეკლობა, თავშეკავება, განუზომელად კეთილი საქციელი, დიდი სიყვარულის, მეგობრის აზრის ცოდნა ბრძენის ნიშნებად აღიარა, ბრძენი აღმურვილია ყველა იმ შესაძლებლობით, რომლითაც შეიძლება „ზესთ მწყობრთა მწყობრის“ საიდუმლოების წვდომა. მას გააჩნია ყველა საჭირო მორალური და ინტელექტუალური ძალა, რომლითაც შეიძლება უმაღლესი სისრულის მიღწევა. ბრძენი დიდი მორალური და ინტელექტუალური ძალების ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომაც ბრძენი არის უდიდესი ოპტიმისტი, სჯერა სიკეთის გამარჯვებისა. სჯერა, რომ „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს, ავსა წამერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს“ (1492).

რუსთაველის გმირები მძიმე განსაცდელის წუთებში იხსენებენ ბრძენი ადამიანის აზრებს, ნიშნულად იხდიან ბრძენის საქციელს. ბრძენი სრული ადამიანია, ადამიანის ცხოვრებისა და „ზესთ მწყობრთა მწყობის“ კანონების მცოდნეა; იგი უნერგავს ადამიანებს ცხოვრების მაღალი ღირებულებისა და ამქვეყნად სიკეთის გამარჯვების აუცილებლობის რწმენას.

ივ. შანიძის მიერ

კრწანისის ომი

თავი მათხუ

კრწანისის ბრძოლების აქტიური მონაწილე ვახტანგ ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ 11 სექტემბერს „განვიდა მეფე ირაკლი და იყო ბრძოლა ძლიერი ვიდრე ხუთ სათ ნახევრამდეო“. 56 არც 9 და არც 10 სექტემბრის შესახებ იგი არაფერს ამბობს.

კრწანისის ბრძოლების მეორე მონაწილე (ალა-შაჰმად-ხანის მხრიდან) ი. ბე-ბუთოვიც თბილისის ალებისათვის წარმოებულ ბრძოლებს ერთი დღის ჩარჩობებში ათავსებს, ოღონდ მას არ ახსოვს თუ სახელდობრ რომელ დღეს ჰქონდა ადგილი მის მიერ ასე დაწვრილებით აღწერილ საბრძოლო მოქმედებას.

თეიმურაზ ბატონიშვილი თავის შრომაში 57 ამტკიცებს, რომ კრწანისის ბრძოლები სწარმოებდა ორი დღის განმავლობაში—10 და 11 სექტემბერს.

საკმაოდ ვრცელი აღწერა ალა-შაჰმად-ხანის მიერ თბილისის ალებისა დაგვიტოვა ალ. ორბელიანმა, 58 რომლის მიხედვითაც კრწანისის ბრძოლები სამ

დღეს — 9-11 სექტემბერს გაგრძელდა. ამასთან, მისი მონაცემებით, პირველ დღეს, 9 სექტემბერს, ბრძოლები სოლანლულის მიდამოებში მიმდინარეობდა. კრწანისის ბრძოლების სამდღიანი ხანგრძლივობა აღნიშნულია აგრეთვე ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“-ში, რომლის მიხედვითაც ალა-შაჰმად-ხანი თბილისის ციხეს „სამი დღე და ღამ ადგა... ჯარით“.

შართალია, „ბედი ქართლისა“ კრწანისის ბრძოლების ზუსტ პერიპეტეებს არ იძლევა, მაგრამ არ გვეჩინა, რომ მასში მოცემული ძირითადი ხაზები მნიშვნელოვნად იყოს დაშორებული სინამდვილეს. ნ. ბარათაშვილის დროს (1817-1845 წ.წ.) ცოცხლები იყვნენ გრ. ორბელიანი (1800-1888 წ.წ.), თეკლე ბატონიშვილი (1775-1846 წ.წ.), თეიმურაზ ბატონიშვილი (1882-1846 წ.წ.) და სხვები, რომლებიც ნ. ბარათაშვილზე ნაკლები სიზუსტით არ იცნობდნენ ამ საქმის არსს და პოეტი თავისთავს ნებას არ მისცემდა უხეშად დაერღვია კრწანისის ბრძოლების თუნდაც ეს საერთო სქემა.

კრწანისის ბრძოლების სამდღიანი ხანგრძლივობის საკითხი მაინც დაკავშირებულია სოლანლუდთან: ჰქონდა თუ არა იქ საერთოდ ადგილი საბრძოლო მოქმედებას, რომლის შესახებ ასე დაწვრილებითი ცნობები შეუგაროვებია ალ. ორბელიანს (1800-1869 წ.წ.)? ამ კითხ-

დასასრული, იხ. „მნათობი“ № 7.

56 იხ. მისი „ისტორიები აღწერა“, გვ. 35 (1914 წ. გამოც.).

57 იხ. „ივერია“, 1891 წ. № 51.

58 ალ. ორბელიანი (1800-1869), შრომა ალა-შაჰმად-ხანის შემოსევა ქ. ტფილისში“, ეფრნ. „შოამბე“, 1895 წ. № 8 და ცალკე გამოცემა.

ვის დაყენებით ჩვენ თითქოს იმ ადამიანთა რიგს ვუერთდებით, რომლებიც ეკვის ქვეშ აყენებენ ალ. ორბელიანის ნაშრომის ამ საკითხთან დაკავშირებულ ნაწილს, ვინაიდან ჯერჯერობით არ მოგვეპოვება სხვა დამადასტურებელი ქართული „პირველ-წყაროები“. ასეთ ადამიანებს არ სურთ ანგარიში გაუწიონ, ჯერ ერთი, თვით ამ ქართულ წყაროებში არსებულ სიცარიელეს, მიუტევებელსა და ზოგჯერ ტენდენციურ სიმშრალეს; ამ წყაროებში გვერდი აუარეს გატეხილ ხიდზე ქართველთა რამდენიმე ასეულიანი არიერგარდისა და შავნაბადის ქედის გასწვრივ საკმაოდ ძლიერი ქართული პატრულების საბრძოლო მოქმედებათა აღწერას; მეორეც, ასეთი ადამიანები ვერ ურიგდებიან მხარეთა მოქმედებაში წყაროსეულ სიცარიელეთა შევსებას საერთო და კონკრეტული ვითარების ანალიზიდან გაკეთებული დასკვნებით.

ვახტანგ ორბელიანი ფართული გულისწყრომით წერდა:

„ოღონდ კი ზენთვის მზე მნათობდეს  
და ცაში ნუ ჰქუხს,

რა გვენადვლება, რაც რომ მოხდა

მაშინ სოღანლუხს! 59

„სოღანლუხი“ აქ წინა სტროფთან შერითმებისათვის როდია აღნიშნული; პირიქით, სწორედ წინა სტროფის „ნუ ჰქუხს“ ამზადებს ადგილს „სოღანლუხისათვის“. ჩანს, ვახტანგ ორბელიანიც ღრმად დარწმუნებული იყო, რომ კრწანისის კატასტროფის სათავე სოღანლულში იყო.

სოღანლულში მომხდარი ბრძოლების სინამდვილის დასამტკიცებლად ალ. ორბელიანს ისიც მიუშველებია, რომ „კრწანისი“ ძველად სოღანლულის ახლო მდებარე ვაკეს რქმევია. ჩვენ ამის დადასტურება ვახუშტის ცნობილ გეოგრაფიულ ნაშრომშიც ვპოუვით: მეოთხე სასპასექტოს სამხრეთის საზღვრის აღწერისას იგი მიუთითებს „კრწანისის გორაზე“, რომელიც ლოჭინის ზევის შესართავს ვადმოღმა, ახლანდელი რკინი-

გზის სადგ. სოღანლულის მახლობლად მდებარეობს. 60

სოღანლულის მიდამოებში მომხდარი ბრძოლების შესახებ, მართალია, არა ზუსტი (დროის მიხედვით), მაგრამ საეხებით დამაჯერებელი ცნობები აქვს ი. ბებუთოვსაც. როგორც ზემოთ აღვნიშნავთ, ალა-მაჰმად-ხანის ლაშქრის მთავარი ძალები სოღანლულის სამხრეთით სარჯანის ველზე იდგნენ. ი. ბებუთოვი ამბობს, რომ „ჩვენი ჯარი ამ ადგილიდან ერთი-ერთნახევარი საათის სიარულის შემდეგ, მიადგა იმ მიუვალ ვახს ვიწრო ხეობაში, რომელიც მტკვრის მარჯვენა მხარეს იყო... აქ ქართული ჯარი ერთ სანგარში იყო გაამარებული. მივიტანეთ იერიში, დიდძალი ლაშქარი მივავარეთ, მაგრამ ჩასაფრებულნი ადგილიდან არ დაიძრნენ, სანამ შაჰის ბრძანებით, ზარბაზნები არ დაეუშინეთ“-ო. და განა შეიძლებოდა ქართველთა მხრივ ისეთი მძლავრი ბუნებრივი მოკავშირის უგულვებლყოფა, როგორსაც მტკვარი-შავნაბადის ვიწროობა წარმოადგენდა? ალ. ორბელიანი უდაოდ სწორია როდესაც აღნიშნავს, რომ სოღანლული-თბილისის ვახზე ქართველებს საკმაოდ ძლიერი საინჟინრო და ბრკოლებებიც მოუწყვიათ, რომლებმაც ალა-მაჰმად-ხანის ჯარი „კარგა ხანი დაიჭირა“-ო. 61

ამგვარად, ჩვენ უდავოდ სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ მტკვარი-შავნაბადის ვიწროობის კართან, სოფ. სოღანლულის ჩრდილოეთით, 9 სექტემბერს საკმაოდ ფართო მასშტაბის დაზვერვითი ხასიათის შეხლა-შემოხლით დაიწყო კრწანისის ბრძოლები.

რალა საფუძველი რჩებათ ამ აზრის მოწინააღმდეგეთ? შეიძლება მათ გვითხრან: თვითონ ერეკლე მეორე ხომ სწერდა რუსეთში მყოფ მირიან ბატონიშვილს, რომ კრწანისის ბრძოლები 10 სექტემბერს დაიწყო და არა 9 სექტემ-

60 ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 51-52 (1941 წლის გამოცემა).

61 ივ. „მომხმე“, 1859 წ. № 8, გვ. 139.

ბერსო? ამ წერილის ცნობილი რუსული პირი ასე იკითხება:

«10-го сего сентября Ага-Магомед-хан подступил к Тифлису. В первый его приход встретил я с собранным малым числом войск, и имеретинский царь имел тоже около тысячи, и передовые войска Ага-Магомед-хана мы победив возвратились. На другой день он поки с нами сразился»<sup>62</sup>.

ამ წერილში, რომელიც, სხვათა შორის, ი. ცინცაძის მონოგრაფიაში რატომღაც ხუთჯერ არის განმეორებული სხვადასხვა ვარიაციით (სამჯერ რუსულად, ორჯერ ქართულად), სწორედ არის აღნიშნული, რომ ალა-შაჰმად-ხანი უ შ უ ა ლ ო დ თ ბ ი ლ ი ს ი ს მ ი ს ა დ გ ო მ ე ბ ზ ე პირველად 10 სექტემბერს მოვიდა და სრულიად არაფერია ნათქვამი 9 სექტემბრის შესახებ, როდესაც საჭურისი ჯერ კიდევ სოღანლუღის მიდამოებში ტრიალებდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ერეკლე მეორის ამ წერილის გადმოქართულებისას ი. ცინცაძეს შეცდომები აქვს დაშვებული; წერილში ნათქვამია, რომ „პირველად მის იერიშს მე შევეგებე მცირერიცხოვანი ნაკრები (არა რჩეული — ი. შ.) ჯარით“—ო. ი. ცინცაძის ნათარგმნის ერთი ვარიანტი ასეთია „პირველ მის შემოტევას მე შევეგებე მცირე ლაშქრით—ო,<sup>63</sup> მეორე ვარიანტი კი სულ გადასხვაფერებულია: „სპარსელების მეწინავე ჯარს 10 სექტემბერს მცირერიცხოვანი რაზმით შევებრძოლე“—ო.<sup>64</sup>

ი. ცინცაძის თარგმანში დაშვებულ შეცდომებს რომ არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, მათზე არც შევჩერდებოდით. მაგრამ ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ 10 სექტემბერს ქართული ლაშქრის მთავარი ძალების წინ, მართლაც არ იყო ორგანულად ერთიანი მეწინავე ნაწილი, მის როლს სწორედ მცირერიცხოვანი ნაკრები ასრულებდა. შემდეგ:

«В первый его приход»-ის თარგმანა „პირველ მის შემოტევად“ მკითხველს გაუგებრობაში აგდებს: მტრის შემოტევა ხომ ნამდვილად სოღანლუღის მიდამოებიდან დაიწყო (9 სექტემბერს იყო თუ 10 სექტემბერს, ამას ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს), რასაც, აღ. ორბელიანსაც რომ არ დაეუჯეროთ, თვითონ ირანელი ოფიცერი ი. ბებუთოვიც გვიმწამებს. ერეკლე მეორის წერილში კი ლაპარაკია უშუალოდ თბილისის კარზე 10 სექტემბერს მომდგარი მტრის პირველი იერიშზე. ამგვარად, ერეკლე მეორის ზემოთ მოყვანილი წერილი არც უარყოფითსა და არც დადებით პასუხს არ იძლევა 9 სექტემბერს სოღანლუღში წარმოებულ დახვერვითი მნიშვნელობის ბრძოლების სინამდვილეზე, რადგან იგი მხოლოდ 10 სექტემბრის ბრძოლების შედეგებს ეხება.

10 და 11 სექტემბერს სოღანლუღი-კრწანისი-სეიდაბადის მიდამოებში მომხდარი ბრძოლების ფაქტს არავინ უარყოფს, თუმცა ამ დღეების ბრძოლების სიმძაფრისა და მსვლელობის შესახებ ისტორიულ წყაროებში მოცემული ცნობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთიმეორისაგან.

ამგვარად, ზემოაღნიშნულ მოსახრებებზე დაყრდნობით ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ სოღანლუღი-თბილისის მიდამოებში წარმოებულ ბრძოლებში, რომელთაც ერთად აღებული სკრწანისის ომსაც უწოდებენ, დროის მიხედვით 9 — 10 — 11 სექტემბერს გრძელდებოდა.

თავი მხუთთ

საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვით დავასურათოთ იმდროინდელი თბილისი, რომლის ცაზეც ალა-შაჰმად-ხანის შემოსევის შავი ღრუბლები დაგროვდა, და შემდეგ კი მისი დაცვის სტრატეგიული გეგმები გავარჩიოთ.

იმდროინდელ თბილისში 30 ათასამდე მოსახლე იყო (ქართველები, სომხები, მუსულმანები და სხვ.) ქალაქი

<sup>62</sup> Цагарели А. «Грамоты...», ч. II, 83-105.

<sup>63</sup> ი. ცინცაძე, „ალა შაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, 83-107.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 137.

10. „მთაბი“, № 8.

გარშემორტყმული ყოფილა გალავნით, რომლის სიმაღლე — 8-10 მეტრს, ხოლო სისქე 1,5 მეტრს აღწევდა. ავღაბრის მეტ ნაწილსაც გალავანი ჰქონდა შემოვლებული.

თბილისის ძირითად გალავანს ექვსი კარი ჰქონდა: აბანოს კარი (აბანოების უბანში გასასვლელი), განჯის კარი (განჯის გზაზე გასასვლელი; აქვე შემოდიოდა ტაბახმელა-კრწანისის გზებიც), წავესის კარი (იგივე „კოჯრის კარი“ ან „მალა კარი“, მცხეთის ერთ-ერთ გზაზე გასასვლელი), დიდშის კარი, მუხრანის კარი (ეს ორი მცხეთისაკენ მიმავალ გზაზე გადიოდა) და ავღაბრის კარი (კახეთის გზაზე გასასვლელი, ავღაბრის გალავნის სფეროში.)

1762 წლიდან თბილისი ქართლ-კახეთის გაერთიანებული სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა.

მეფე-დედოფლის სასახლეებს გარდა, ბევრი იყო დიდგვაროვანთა, ვაჭართა და ადმინისტრაციული დანიშნულების კარგი შენობები.

ქალაქში არსებულ საწარმო-დაწესებულებების შორის აღსანიშნავი იყო ზარბაზნებისა, ტყვია-წამლისა და თოფიარალის საკეთებელი ქარხნები, ლითონის ჩამოსასხმელი, საპნის საწარმო, ზეთის სახდელი ქარხნები, ქურჭლის საკეთებელი სახელოსნოები, წისქვილები, სამღებროები, ზარაფხანა (ფულის საჭრელი დაწესებულება), სტამბა და სხვ. დადად განვითარებული იყო ხელოსნობის მრავალი დარგი, რომლის ნაწარმი საგარეო ბაზრებზეც უხვად გადიოდა.

ქალაქში არსებული დუქნებისა და სახელოსნოების საერთო რიცხვი 500 აღწევდა. თბილისელი ვაჭრები, რომელთა ტრანსპორტი ბეწვეულით, აბრეშუმი, მატყლით, ღვინით ტყავეულით, სანთლით და სხვა საქონლით იტვირთებოდა, ხშირი სტუმრები იყვნენ ნიენი-ნოვგოროდის, მოსკოვის, ასტრახანის, მოზდოკის, ერევნის, თავრიზის, არზრუმისა და ბევრი სხვა ქალაქისა, მათ შორის, ინდოეთის ქალაქებისა, სა-

დაც ხშირად ჩადიოდნენ ქართველი ვაჭრები — გრიგოლ ხურსიძე, სტეფანე ზუბიაშვილი და სხვები. ეს უმთხრანული კნელი ცოცხლები იყვნენ 1830—40 წლებამდე).

ამ საქმოსნებს შორის რვა მოქალაქეს ორმოცდაათი ათასი მანეთის კაპიტალი ჰქონდა თვითუღს, 61-ს — ათი ათასი მანეთის კაპიტალი თვითუღს და ა. შ.

XVIII საუკუნის ოციანი წლების თბილისის მოსახლეობის ერთი ნაწილის ეკონომიური მდგომარეობის დამახასიათებელ სურათს გვიხატავს ერთი იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი: „უმდიდრესი და საუკეთესო ქალაქი თბილისი... ცხოვრობენ საუცხოვო დარბაზებში, მდიდრულად მორთული ავეჯეულობით... სპილენძის ქურჭლეულის მაგიერ აქვთ ოქროსი და ვერცხლის; რაც შეეხება მათს ტანსაცმელსა და ძვირფასი ქვებით შემკულობას, წარმოიდგინე შენ თვითონ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას შენივე ფანტაზია მოგცემდეს. რა უნდა ვთქვა მე იმ დიდებულ ეკლესიათა სიმდიდრის შესახებ, რომელნიც ფლობენ ოქროსა და ვერცხლის ნივთებს“. არა ნაკლებ საინტერესოა ფრანგი მოგზაურის პეისონელის ჩანაწერები, რომელმაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისი დაახასიათა, როგორც „სპარსეთიდან კონსტანტინეპოლისა, სმირნისა, ალეპოსა და ამ ქალაქებიდან სპარსეთს მიმავალი ქარავნების საქონელთა საწყობი“... იგივე მოგზაურის დასკვნით, „თბილისის მღებარეობა ხდის მას სპარსეთის ყველა ქალაქის კლიტე-გასაღებად“....

და აი ამ უმდიდრესი და საუცხოო, მაგრამ თავდაცვისათვის უხეიროდ მომზადებული ქალაქისაკენ მოიწეოდა ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარიც.

უდავოა, რომ როგორც ერეკლე მეორეს, ისე ალა-მაჰმად-ხანს, ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, ყველა სხვა არაუმინტის გარდა, მზიდგილობაში უნდა მიეღოთ ძალთა თანაფარდო-

ბისა და მომავალი ბრძოლების ადგილ-  
მდებარეობის შეფასების მონაცემები.

ყველა თბილისელს თვალწინ უდგას  
შავნაბადის (ან თელეთის), სეიდაბადის  
(ან თაბორის) და ნარიყალას (ან კა-  
ლას) ქედები, სამხრეთის მიმართულე-  
ბიდან თბილისისაკენ მომავალ გზებზე  
გარდიაგარდმო რომ გახიდულან.

შავნაბადის ქედი ტაბახმელა-სოლან-  
ლულის შუა გიგანტური ვეშაპივით არის  
გაწოლილი. მისი ჩრდილო ციკაბო და  
დახრამული ფერდობებისა და მტკვრის  
მარჯვენა ნაპირს შუა იქმნება ვიწრო-  
ობა, რომელსაც ძველთაგანვე მოსდევ-  
და განჯისა და ერევნის გზა.

ამ ვიწროების მნახველი ალა-მამად-  
ხანის ჭარისკაცები და ოფიცრები, ი-  
ბებუთოვის თქმით, შეფიქრიანებულან:  
„თბილისის აღება შეუძლებელი არი-  
სო“.

სეიდაბადის ქედი შავნაბადის ქედზე  
ორჯერ მოკლეა, ნარიყალასაკენ მოქ-  
ცეული მისი შვეულკლდოვანი ზურგი  
მტრის ლაშქრისათვის გადაულახავ დაბ-  
რკოლებას წარმოადგენდა, სამხრეთ-  
აღმოსავლეთისაკენ დაშვებული ხე-  
ხუეებით დასერილი მისი კალთები  
თბილისის დამცველთათვის შესანიშნავ  
ბუნებრივ პოზიციებს ქმნიდნენ. ამ ქე-  
დის სამხრეთი და შავნაბადის ჩრდილო  
კალთებს შუა მდებარეობს ამჟამინდე-  
ლი კრწანთაი — ძალზე უსწორ-მას-  
წორო, ღრმა ხეევებით გადაჩეხილი საკ-  
მაოდ ვრცელი დაფერდება. სეიდაბადის  
ზურგზე იყო ციხე-სიმაგრე (ყოჩა-  
ყალა), რომელიც ვახუშტი ბაგრატიონ-  
ის „აღწერა სამეფოსა საქართველო-  
სა“-ს შედგენის პერიოდში (1742-  
1745 წლებში) უკვე გაუქმებული ყოფი-  
ლა. კრწანისის ამ დიდ ფერდობს, რომ-  
ლის ბოლოში, ყოფილ ორთაქალის  
კუნძულის მახლობლად რამდენადმე  
ვაკე მინდორიც ყოფილა, სერავენ  
კრწანისის ხევი, ოხრახევი (რომელიც  
სათავეს იღებს ბოტანიკური ბაღის ექს-  
პერიმენტალური ბაზის მიდამოებთან),  
ძაღლთა ხევი (ბოლოდროინდელი რუ-  
კების და თანამედროვე ადგილობრივ

მოსახლეობაში გაერკვლებული სანე-  
ლებით: მდ. ტაბახმელა, შინდისის ხევი,  
ბერძნის ხევი) და კიდევ რამდენიმე  
უსახელო კლდოვანი კალაპოტის მქონე  
ხრამი.

სეიდაბადის მაღლობის, როგორც  
ტაქტიკური პოზიციის, ერთადერთ სე-  
რიოზულ ნაკლს წარმოადგენდა მისი  
ზემოაღნიშნული სალკლდოვანი ზურგი,  
თანამედროვე ბოტანიკურ ბაღს რომ  
გადმოყურებს. იგი, მართლაც, გადაუ-  
ლახავი იყო მტრისთვის, მაგრამ სახი-  
ფათო იყო მოყვრისათვისაც: აქ გამაგრ-  
ებულ ქართველ ჯარს არც ორგანიზე-  
ბული უკანდახევა შეეძლო და არც რე-  
ზერვებით მხარდაჭერის იმედი უნდა  
ქპონოდა. უკან დასახევი ან რეზერვე-  
ბის მოსასვლელი გზები ძირს, მტკვრის  
ნაპირზე, ახლანდელი ბალნეოლოგიუ-  
რი კურორტის სიახლოვეს გადიოდა,  
ან და ასეთად უნდა გამოეყენებინათ  
შორს, ზემოთ შინდისის მხარეს ლელ-  
ვთახევის სათავეების შემოსასვლელი  
ბილიკები. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ  
ალა-მამად-ხანმა სწორედ ეს ადგილე-  
ბი ამოიღო თავისი მთავარი დარტყმე-  
ბის მიზანში, რათა სეიდაბადის პოზი-  
ციებზე გამაგრებული ქართველობა მო-  
ეწყვიტა ქალაქისათვის და ადგილზევე  
გაენადგურებინა. თქმა არ უნდა, რომ  
ერეკლე მეორემაც კარგად იცოდა სეი-  
დაბადის პოზიციების ეს სუსტი ადგი-  
ლები, მაგრამ მაინც ეს არჩია ყველა  
დანარჩენ პოზიციებს. მის გადაწყვე-  
ტილებაში შეფარებული იყო მომავლ-  
ლი სამკედრო-სასიცოცხლო შეჯახების  
იდეა: ქართველები ან უნდა გამკლავე-  
ბოდნენ მტრებს, ან სრულიად გაწყვე-  
ტილიყვნენ, მათ არ უნდა ქპონოდათ  
უკან დახევის არც განზრახვა და არც  
შესაძლებლობა. ამას გარდა ერეკლე  
მეორეს არა თუ უყურადღებოდ დაუ-  
ტოვებია სეიდაბადის პოზიციების სახი-  
ფათო ფრთები, მათ დასაცავად რჩეული  
მხედრობა და არტილერიის უდიდესი  
ნაწილი გამოუყვია.

მესამე ქედს ახლანდელი კომკავში-  
რის ხეივანის ერთი კილომეტრის სიგრ-



ძის მქონე საკლდოვანი მადლობი წარმოადგენდა. მის ბოლოს მეტეხის პირდაპირ შურის ციხის ციტადელი იყო, ხოლო დასაწყისზე გალავნის კუთხეში შაიტახტის ბასტიონი იდგა. მოიერიშე ცხენოსანი და ქვეითი ჯარისათვის ეს ბუნებრივი ზღუდე სამხრეთიდან სრულიად მიუვალი იყო. შურის ციხისა და მეტეხის გალავნის შორის იყო გალავანსწიგნითა თბილისის (ქალაქის ძირითადი ნაწილის) ბუნებრივი კარი. ეს ნამდვილი კლდეკარი მტკვრისა და შურის ციხის საარტილერიო გარნიზონების ცეცხლითა და საინჟინერო დაბრკოლებებით შეიძლებოდა ისე ჩავეტილიყო, რომ მეტერს ერთი ნაბიჯიც ვერ წაედგა ქალაქისაკენ. ამგვარად, მეტეხიდან შაიტახტამდე უმაგალითოდ ძლიერი ბუნებრივი ზღუდე იცავდა დედაქალაქს.

ამ რთული და ძლიერი ბუნებრივი ზღუდეების მთელი სისტემის მოკლედროში დათვალიერება საპაერო დაზვერვის ახლანდელი საშუალებებითაც არ ხერხდება. ალა-მაჰმად-ხანს კი ჯერჯერობით გარკვეული არაფერი ჰქონდა, გარდა ჯავათ-ხანის, მელიქ-მეჩლუმისა და სხვა რამდენიმე აგენტის ნაამბობისა.

საბრძოლო დაზვერვა მას უნდა ჩაეტარებინა ორ ერთი-მეორეზე გადასცენილ ძირითად საკითხზე პასუხის მიხედვით: ჯერ ერთი, შეიძლებოდა თუ არა თბილისის აღება სოღანლული-თბილისის მიმართულებაზე პირდაპირი იერიშის შიტანით და მეორე — მართალი იყო თუ არა ხმები იმის შესახებ, რომ მთელი ეს აუარებელი ხევ-ხუვები შავნაბადის ჩრდილო კალთებისა სავსე იყო ქართველი და დაჭირავებული ლეკების ჯარებით. სწორედ ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხის მიუღებლად ყოვლად შეუძლებელი იყო ირანელთა არმიის შესვლა მტკვარი-შავნაბადის ვიწროობაში.

ალა-მაჰმად-ხანს შეეძლო მთავარი ძალებით ტაბახმელა-შინდისი-ოქროყანის მიმართულებით დაერტყა. ამ მი-

მართულებას იგი პირდაპირ ვაჭყველად სეიდაბადის პოზიციების მარჯვენა ფრთაზე და თვით თბილისის ცენტრში, მაგრამ ასეთი მანევრის შედეგად ქართველი ჯარის გარს შემორტყმა არ ხერხდებოდა, რითაც ესოდენ დინტერესებული იყო შაჰი; ამით მხოლოდ განიდევნებოდა ქართველი ჯარი აღმოსავლეთის გადასასვლელებზე. გარდა ამისა, აღნიშნული მიმართულება მეტისმეტად გრძელი და დამქანცველი, ხოლო იმდროინდელი არტილერიისათვის თითქმის სრულიად მიუწვდომელი იყო.

ირანელთ შეეძლოთ იერიში მიეტანათ სოღანლული-ნავთლული-მეტეხის მიმართულებით. და ეს მიმართულება ხელსაყრელადაც მოსჩვენებიათ მათ. მაგრამ ამ გზაზე ორჯერ უნდა გადაელახათ აღიდებული მტკვარი, ხოლო თბილისის უშუალო მისადგომებზე მათ გადაეღობებოდათ ავლაბარ-ჩუღურეთის მტკვრის მარცხენა ნაპირის მალაკლოვანი ნაპირები.

ალა-მაჰმად-ხანის არმიის საბრძოლო მოქმედების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონია მთავარი ძალებით დაერტყა მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, ხოლო საკმაოდ ძლიერი შემომავალი რაზმებით ქართველთა განლაგების ფრთებზე მიეტანა იერიში. ამ გადაწყვეტილების დედაზრი იმაში მდგომარეობდა, რომ შინდისისა და განჯისკარის ხელში ჩაგდების შედეგად უკან დასახვევი გზები წაერთმია ქართველთათვის და მთავარი ძალების პირდაპირი დარტყმით გაენადგურებინა ისინი თბილისის წინ, სეიდაბადის ბაღებისა და ბრიოკების რაიონში.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ერეკლე მეორეს ჰქონდა შემუშავებული ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი ომისათვის მომზადებისა და ალა-მაჰმად-ხანის არმიის განადგურების სტრატეგიული გეგმა. და როგორც იმ დიდი გეგმა-პროგრამის, ისე უფრო გვიან მიღებული კონკრეტული ტაქტიკური გადაწყვეტილების ძირითადი იდეა მდგო-

მარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოში დაწყებულიყო უაღრესად აქტიური მოქმედება, ხალხსა და მხედრობაში თავიდანვე დამკვიდრებულიყო მებრძოლი და არა დემობილიზაციური განწყობილება. აქ ეს იმიტომ აღვნიშნეთ, რომ ერეკლე მეორეს თანამედროვეთაგან ბევრი გავლენიანი პირი პასიურობისა და მორჩილების იდეებს იყო მიცემული და სხვათა შორის სწორედ ეს იყო შინაგან ძალთა დეზორიენტირებისა და დეზორგანიზაციის ერთი სერიოზული მიზეზთაგანი.

ერეკლე მეორეს გონებაში, უეჭველია, დიდხანს ცოცხლობდა ძლიერი არმიის დაჯგუფების იმედი, შესაძლოა იმერეთიდან, ლეკეთიდან და განსაკუთრებით რუსეთიდან მიღებულიც არ ჰქონდა საბოლოო პასუხი ამის თაობაზე, მაგრამ მას საკვიროდ უნდა ჩაეთვალა, რომ დიდი გეგმა-პროგრამის გვერდით უფრო კონკრეტული მოქმედების გეგმაც ჰქონოდა იმ შემთხვევისათვის, როდესაც იგი მცორერიცხოვანი მხედრობის ანაბარა დარჩებოდა. ასეთი გეგმა, უეჭველია, შემუშავებული ჰქონდა ქართველ სარდლობას და მასში, როგორც ჩანს, სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონია დათმობილი საინჟინერო სამუშაოების ჩატარებას, კერძოდ, იმ თავდაცვითი პოზიციებისა და დაბრკოლებების შექმნას, რომლის არსებობის შესახებაც გვიამბობენ კრწანისის ბრძოლების მონაწილე, როგორც ქართველი, ისე ირანელი მხედრები და ავტორები. ეს სამუშაოები, რომელთა მოცულობა საკმაოდ დიდი ჩანს და შესრულებული იყო ადგილმდებარეობის მეტად ძნელ პირობებში, მინდობილი უნდა ჰქონოდა ფორტიფიკაციის კარგად მცოდნე პირებს და თბილისისა და ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობის ხელით კეთდებოდა.

თბილისის დაცვისა თუ განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლების ისტორია ქართველი სარდლობისათვის უცნობი არ იყო. ამიტომ გასაკვირი რო-

დია, რომ ამჟერადაც დედაქალაქის დაცვის კონკრეტული ტაქტიკური გეგმა და ისიც სახელოვანი ერეკლე მეორის მიერ შემუშავებულ-დამტკიცებული, ამომწურავ პასუხს იძლეოდა კითხვებზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ძალთა სიმცირის შემთხვევაში და უაღრესად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამოყენებით როგორ გადაექციათ დედაქალაქი მტრისათვის აუღებელ ობიექტად და როგორ დაეყოვნებინათ მისი დაცემა, თუ კი ასეთი გარდუვალი იყო. ამ უკანასკნელ მომენტს ფორმალური მნიშვნელობა როდი ჰქონდა. თუ კი ალა-შაჰად-ხანის არმიის თბილისის კართან უეცრად გამოჩენას, მართლაც, შეეძლო დაებრკოლებინა ქართული ლაშქრის მთავარი ძალების მობილიზაცია, მაშ საკვირო იყო დრო, მტკიცე და ხერხიანი დაცვა დედაქალაქისა, რათა ეს ძალები მიშველებოდნენ ერეკლე მეორეს.

1. როგორი იყო ქართველი ჯარის ტაქტიკური საბრძოლო განლაგების კონკრეტული სურათი? ამ მეტად რთული საკითხის გასაშუქებლად, ჩვეულებრივად, თეიმურაზ გიორგის ძის შრომას მიმართავენ, რომელსაც ასეთი დიდი სათაური აქვს: „დიდებულისა, სრულიად საქართველოსა ზემოისა, ქართლისა, კახეთისა, და სხვათა მეფის გიორგი მეათცამეტისა პირშოსა ძესა, მემკვიდრესა მათისა სამეფოსასა და მეფის ძეს დაეთის დავითიან ბაგრატიონასა, მამულსა შინა თვისსა, სადაც შემთხვევს ბრძოლანი პირისპირ მტერთა მიმართ მათისათა, და ძლევამოსილებანი მიუღიეს, სიჭაბუკისა ასაკსა შინა მყოფსა მოკლედ უწყებათ მათთვის“ და გამოქვეყნებულია გაზეთ „ივერიის“ 1891 წლის 51—56 №№-ში მოსე ჯანაშვილის რედაქციითა და შემდეგი შემოკლებული სათაურით: „მეფე ერეკლეს მოკლე ისტორია“.

ვიდრე ქართველი ჯარის საბრძოლო განლაგების თეიმურაზისეულ სქემას განვიხილავთ, ერთი აუცილებელი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. საქმე იმაშია,

რომ ქვემოთ მოყვანილი სქემა მხოლოდ 11 სექტემბერს ეხება. არა ერთმა ავტორმა კი ჭარბის განლაგების ეს სქემა 10 სექტემბერზეც გადაიტანა, რაც მხოლოდ გაუგებრობის შედეგია. თეიმურაზისეული სქემა ქართველი სარდლობის ადრევე დამუშავებული საბრძოლო განლაგების ამსახველია. და ამ წყობაზე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქართული ლაშქარი თანდათანობით, 9 და 10 სექტემბრის ბრძოლების მსვლელობაში გადავიდა. ამგვარად, თეიმურაზისეული სქემა მკითხველს არაფერს ეუბნება 9 და 10 სექტემბრის საბრძოლო განლაგების შესახებ. და ამ საკითხებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ 9 და 10 სექტემბრის ბრძოლების მსვლელობის ანალიზის შედეგად. ჯერჯერობით კი საჭიროა განვიხილოთ თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ აღწერილი 11 სექტემბრის საბრძოლო განლაგების სქემა, რომელიც იმავდროულად ქართველი სარდლობის წინასწარ მიღებული ტაქტიკური გადაწყვეტილების ამსახველია.

თეიმურაზ ბატონიშვილის მტკიცებით ერეკლე მეორემ „დაადგინა მხედრობანი თვისნი დასასრულსა სეიდაბადის ბაღთასა და გაჰყვნა იგინი ხუთ ნაწილად (სინამდვილეში კი ოთხ ნაწილად, რადგან თეიმურაზ ბატონიშვილს რეზერვში მყოფი ორი გუნდი ცალკეულად აუღია სათვალავში — ი. შ.).

„მეწინავედ განაწესა მხედრობანი რჩეულნი, რომელთაც ძღვანად ჰყო შვილისშვილი თვისი იოანე“...

მარჯვენა მხარესა დაადგინა შვილიშვილი თვისი დავით“, სოლოლაკი-ტახახელა-სეიდაბადის (ყორჩაყალას) ვიწრო გზების შესაყართან (ახლანდელი სოფ. შინდისიდან 1,5 კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით). მას ოთხასამდე მხედრობა და 6 სხვადასხვა ყალიბის ზარბაზანი მიეცა.

„მარცხენა კერძი მისცა იოანე მუხრანის ბატონს“.

ერეკლე მეორე ცენტრში გამაგრდა. მის განკარგულებაში იყო სამი რაზმი,

რომელთაც „სარდლობდნენ ბატონიშვილი ვახტანგი, ოთარ ავილახვანი და ზურაბ წერეთელი“ (იმერეთის მხედრობის ერთი ათასეულით), ალბათ, აქვე იყო ქიზიყელთა 600 კაციანი გუნდი ზაქარია ანდრონიკაშვილის მეთაურობით.

ინტერესს მოკლებული არ არის იმის აღნიშვნა, რომ თეიმურაზ გიორგის ძემ ზემოდ მოყვანილ სქემაში გაიმეორა პოეტი მეფის თეიმურაზ მეორის ცნობილი ლექსი.

„სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასებაში“ მოყვანილი ქართველი ჯარის განლაგების მამაპაპეული სქემა:

„დაწუნ რაზმი ოთხ რიგად, წინ მეწინავე იღვასა,  
სხვა დროსა მეორე ზურგად მეფეს  
მეშარჯნეთ უღვასა,  
მარცხით მხარს მესამე დროსა მეშარჯნედ  
გაიარავსა,  
მეფე მეოთხის დროსითა სამ დროსას უკან  
ვლიღვასა“<sup>65</sup>

თეიმურაზ გიორგის ძე თითქმის არაფერს გადმოვცემს ჭარბის ამ ჯგუფების შემადგენლობისა და კერძოდ, იმის შესახებ, თუ ქართველთა პოზიციების რომელ უბანს ექცეოდა სარდლობის მთავარი ყურადღება. მან არაფერი გვაშინო არც იმის შესახებ, თუ რა სიახლენი ჰქონდათ ქართველებს თავიანთ სამხედრო ხელოვნებაში იმ დიდი გავლენის შედეგად, რასაც ისინი განიცდიდნენ, განსაკუთრებით, კრწანისის წინა პერიოდში ევროპისა და, კერძოდ, რუსეთის შედარებით პროგრესული სამხედრო ხელოვნების მხრივ. მან გვერდი აუარა აგრეთვე ქართველთა მიერ განხორციელებულ თავდაცვითი ფორტიფიკაციული ღონისძიებების აღწერას, და ეს მაშინ, როდესაც მან ყურადღების გარეშე არ დასტოვა შეტევითი ბრძოლების სამზადისში მყოფი ირანელების ფორტიფიკაციული საქმიან-

ნობა<sup>66</sup>. მან დამატებით მხოლოდ ის გადმოგვცა, რომ ზემოაღნიშნული ქართული ნაწილების განლაგებაში არტილერიაც იყო ჩართული, თუმცა ამის შესახებაც მითითებული აქვს პოეტ-მეფეს: „რა შეიქმნას მტერი მტერზე ერთმანეთზე მიწეული, ჯერ დასცილიან ზარბაზნებსა... მერმე ესვრის ქვეითობა...“ (რადგან თეიმურაზ მეფის დროინდელ არტილერიას თავისიანებზე გადავლებით სროლა არ შეეძლო, იგი განლაგებული უნდა ყოფილიყო პირდაპირ ამ ქვეითი ჯარის პოზიციებზე ან ფრთებზე, რათა შესძლებოდა ქვეით ჯარზე ადრე გაეხსნა ცეცხლი).

მეწინავე ჯარისათვის თავდაცვითი პოზიციები, როგორც ჩანს, გამზადებული ყოფილა ცენტრის წინ, ოხრახვევის გაღმა (სამხრეთით), ხოლო მისი არტილერიისათვის (მსუბუქი ზარბაზნები)— ამ ხევის გამოღმა მტკვარის ნაპირთან (ახლანდელ ორთაქალაქსიდან დაახლოებით 500 მეტრი სამხრეთით).

ქართველთა თავდაცვითი პოზიციებიდან ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ უბანს წარმოადგენდა მტკვარი-სეიდაბადის აღმოსავლეთის კალთებშუა სივრცე, ახლანდელი ორთაქალაქის და მეორე ნადიკვარის ქუჩის აღმართების დასაწყისამდე.

სწორედ ამ უბანზე იყო 11 სექტემბერს განლაგებული ქართველთა მთავარი ძალების „მარცხენა კერძი“, რომელსაც იოანე მუხრანბატონი სარდლობდა. აქვე უერთდებოდა მტკვარს ძალთახვევი. ახლა ეს ხევი ბეტონის კოლექტორშია მოწყობილი და ჩნდება მხოლოდ პესის პირდაპირ აშენებული მრავალსართულიანი სახლის უკან. ამ ხევის ჩრდილო ნაპირის გასწვრივ სეიდაბადის კრწანისისაკენ მიქცეულ კლდოვან ფერდობებს ერთი კილომეტრის სიგრძეზე გასდევდა ქართველთა მთავარი ძალების ცენტრის თავდაცვი-

თი პოზიციაც (სანგარი), რომლის უკიდურესი მარჯვენა ფრთა კამარბუდეისაკენ, კრწანისის აგარაკებზეა მიმართული და პირით მტკვარს გადაკეტილია.

ქართველთა მთავარი ძალების განლაგების ამ პირველი პოზიციის უკან (ზემოთ) სეიდაბადის მალლობის ფერდობებზე მეორე პოზიცია (სანგარი) იყო გამზადებული.

ქართული არტილერიის ძირითადი პოზიციები, როგორც ჩანს, სეიდაბადის აღმოსავლეთი ფერდობის ტერასებზე ყოფილა განლაგებული, საიდანაც კარგად ითოფებოდა მტკვარის მარჯვენა ნაპირი, თვით იოანე მუხრან-ბატონის პოზიციების წინამდებარე ორთაქალის კუნძულის მიდამოების ჩათვლით. ამავე არტილერიის პოზიციების სიახლოვეს, ალბათ, დღევანდელ ბალნეოლოგიური კურორტის რაიონში 11 სექტემბერს დაჯგუფებული იყო იმერელთა ლაშქრის ერთი ათასეული, რომელიც ჯერ კიდევ 9 სექტემბერს, საღამოს სოღანლუდიდან გამოისტუმრა ერეკლე მეორემ.

ქართველთა საბრძოლო განლაგების მნიშვნელოვან ელემენტთაგან თეიმურაზ ბატონიშვილმა გამოსტოვა აგრეთვე ქართველთა საბრძოლო დაცვის (ყოფილი არიერგარდის) წინასწარი მოფიქრებით მომზადებული პოზიციები შავნაბად-მტკვარის ვიწროობის დასაწყისსა და შუა წელში, რომელთა მიუვალობამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, აიძულა ალა-შაჰმად-ხანი ადიდებულ მტკვარში გასულიყო და შემდეგ ხელახლა უკან გამოსულიყო.

ასე იყო თუ ისე, მხოლოდ თეიმურაზ ბატონიშვილმა დაგვიტოვა ქართველთა საბრძოლო განლაგების შესახებ ერეკლე მეორის მიერ მიღებული ტაქტიკური გადაწყვეტილების ერთადერთი სქემა, რომლის ბაზაზე ირანელთა მონაცემებისა (ი. ბებუთოვი) და თვით ბრძოლის მსვლელობის ანალოზზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება ამ გან-

<sup>66</sup> თეიმურაზ ბატონიშვილი წერს, თითქოს სოღანლუდში მდგარ ირანელებს „აქვანდათ ოხრახნი და ბურჯნი მიწისანი“.

ლაგების საყმაოდ სრული და სანდო სქემის აღდგენა.

2. უფრო რთულად გვეჩვენება ქართველთა 9 სექტემბრის განაწვეტილებისა და საბრძოლო განლაგების საერთო სქემის აღდგენა. ამ სქემის ბაზაზე თანდათანობით, უშუალოდ ბრძოლის მსვლელობაში, წარმოისახა და ჩამოყალიბდა ქართველთა 10 სექტემბრის საბრძოლო განლაგება.

9 სექტემბერს სოღანლუღის მიდამოებში ირანელთა ავანგარდისა და ქართველთა არიერგარდის შორის მომხდარ ბრძოლაში ქართველთა (ნაწილობრივ ირანელთა) საბრძოლო განლაგების შესახებ ძირითადად ალ. ორბელიანის შეგროვილ მასალებს უნდა დავეყრდნოთ (რასაკვირველია, გარკვეული სიფრთხილით, რადგან რიგ შემთხვევაში იგი აშკარად გამოდის რეალობის საზღვრებიდან).

ალ. ორბელიანი მართალი უნდა იყოს, როდესაც ამბობს, რომ სოღანლუღის შენარჩუნებისათვის ბრძოლებში 9 სექტემბერს დიდი სიმამაცით იბრძოდა ქართველთა არიერგარდი, მაგრამ აშკარად გადაჭარბებულია მისი მტკიცება, ვითომც ირანელთა ავანგარდთან ბრძოლაში მთელი ქართული ლაშქარი ჩაება თავიანთი მეფეების მეთაურობით. ქართველთა არიერგარდს სოღანლუღში დავით ბატონიშვილი სარდლობდა. მისი პოზიციები განლაგებული უნდა ყოფილიყო შავნაბადის ქედის უკიდურეს დაბოლოებაზე მარნეული-რუსთავის გზების გასაყარის მახლობლად (შესაძლოა, უფრო წინ, „ქრწანისის გორახეტ“). ავანგარდის უკან, სოღანლუღის რკინიგზის ხიდის 200-300 მეტრით დასავლეთით, ალ. ორბელიანის ცნობით, იწყებოდა ქართველთა მთავარი ძალების ათას-ათას კაციანი ეშელონების განლაგება, რომელთაგან თვითეული შედგებოდა 500 ქართული და 500 იმერელი მებრძოლისაგან.

ალ. ორბელიანის მიერ მითითებული პოზიციები მოგვიჩვენებთ ბრძოლებისათვის, მართლაც, მეტად ხელსაყრელ

პირობებს ქმნიდნენ: ქართველები ზურგით ეყრდნობოდნენ შავნაბადის დაბოლოების შვეულ კედლებს, რომლის თავზე მათივე პატრულები დადიოდნენ და, ესენიც რომ არ ყოფილიყვნენ, ქართველთა ათასეულებს ზურგიდან შემოსვლის შიში არა ჰქონდათ. ამიტომ მთელი ყურადღებით ვიწროობის შემოსასვლელზე იყვნენ მიჯაჭვულნი და დიდი ვაჟაკობითა და იშვიათი მოხერხებით დაუცავთ დედაქალაქისაგან მიმავალი ეს უმოკლესი გზები.

არტილერია ქართველებს აღრევე გამოუგზავნიათ თბილისისაგან, და ამ დღეს სოღანლუღის ბრძოლებში არა ჩანს.

ასეთად მოჩანს ქართველთა 9 სექტემბრის საბრძოლო განლაგების სქემა. ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ალამაჰ-ხანის სამსახურში მყოფი ი. ბებუთოვის ნაამბობი, რომელიც, თუმცა ადასტურებს სოღანლუღის ჩრდილოეთით მტკვარი-შავნაბადის ვიწროობის დასაწყისში მომხდარი ბრძოლის ფაქტს, მაგრამ, როგორც ვთქვით, ირანელთა მიერ თბილისის აღებისათვის წარმოებულ ბრძოლებს იგი ერთი დღის ჩარჩოებში ათავსებს. ისე გამოდის, თითქოს ამ ბრძოლას ადგილი ჰქონდა არა 9 სექტემბერს, არამედ 11 სექტემბერს და წარმოადგენდა ამ დღის გენერალური ბრძოლების დასაწყისს. მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე ყოფილა: ჩვენს მიერ დადასტურებული 9 სექტემბრის ადგილობრივი მნიშვნელობის დახვერვითი და უკეთესი პოზიციების ხელში ჩაგდებისათვის ირანელთა ავანგარდისა და ქართველთა არიერგარდის შორის წარმოებულ ბრძოლებს ი. ბებუთოვს, საერთოდ, არა აქვს მოხსენებული და აღწერილი. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ მან, გარკვეული მიზეზებისა და მოსაზრებების გამო, არც 10 სექტემბრის ბრძოლების შესახებ სთქვა რამე. მის მოგონებებში აღწერილია მხოლოდ 11 სექტემბრის გენერალური შეჯახების მთელი მსვლელობა.

ი. ბებუთოვი უდავოდ მნიშვნელოვან მასალას იძლევა ირანელთა ტაქტიკური მოქმედების რიგი კონკრეტული მომენტების შესახებ, მაგრამ უმართებულო იქნება, რომ ყველაფერი, რაც მან გადმოგვცა, წმინდა წყლის სიმართლედ მივიჩნიოთ.

ი. ბებუთოვმა კრწანისის დღეებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგ, 1942 წელს, რასაკვირველია მისთვის სანდო პიროვნებას — შარმაზანოვს მოუთხორო თავისი საბრძოლო თავგადასავალი. მაშინ იგი 70 წლის მაინც იქნებოდა. ამ დროს რომ მას არავითარი ჩანაწერები არ გააჩნდა, ეს დასტურდება იმით, რომ იგი ყოველ ნაბიჯზე ბოდიშობს: „დამაფიწყდა იმ ხიდისა და მდინარის სახელები“, „აღარ მახსოვს რა დღე იყო, ორშაბათი თუ კვირა“, „ჰო, დამაფიწყდა მეთქვა“ და სხვ. ერთი სიტყვით, იგი ეყრდნობოდა მხოლოდ თავის საკმაოდ შელახულ მეხსიერებას. ამაში უნდა ვეძიოთ მისი ნაამბობის ნაკლთა ერთი მიზეზთაგანი.

როგორც ი. ბებუთოვმა, ისე მისი მოგონებების ლიტერატურულმა ავტორმა — შარმაზანოვმა, უეჭველია, ანგარიში გაუწიეს ახალ დროებას, როცა „მოგონებები“ უნდა გამოქვეყნებულიყო (კერძოდ, რიგი საგულისხმო ცნობები ალა-მაჰმად-ხანისა და მისი ზელქვეითების საზარელი მოქმედების შესახებ). ეს შემოსევა თავისი არსით რუსეთის იმპერიის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. მოგონებების „გამომქლავების“ დროს კი რუსეთის იმპერიის საშვედრო ძლიერებამ სამუდამოდ ამოკვეთა ირანის ფეხი ამიერკავკასიაში.

ი. ბებუთოვმა არა თუ საერთოდ მოიხსენია, არც ერთი ადამიანიც კი არ დაასახელა, ვინც რუსეთის არმიის ღრმა ზურგში აგენტურულ, ანდა რუსეთის ორიენტაციასზე მდგარი ქართველების წინააღმდეგ ტაქტიკურ დაზვერვასა და პოლიტიკურ დივერსიებს აწყობდა, რადგან ამ ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიაში ტრიალებდა და მათი მხროვნებების ი. ბებუთოვს სამაგიეროს — გალანდინს შიში აფიქრებდა. ჩვენი აზრით, თვით შარმაზანოვმაც ამიტომ ასეთი დაყოვნებით, მხოლოდ 1863 წელს, გამოაქვეყნა აღნიშნული „მოგონებები“ და, შესაძლოა, მნიშვნელოვანი კორექტივებითაც.

ამ დროს ი. ბებუთოვი ცოცხალი აღარ იქნებოდა. ეტყობა, რომ ავტორისა და თანაავტორის საერთო გადაწყვეტილებით, „მოგონებებში“ ადგილი ვერ ჰპოვა 10 სექტემბრის დაზვერვითი ხასიათის ბრძოლებმაც, რადგან ირანელთა მზვერავ დაზაყოფებს ამ დღეს თბილისის არემარის კარგად მცოდნე, სულითა და ხორციტ გაყიდული ნაძირალებისა და დაქირავებული მეგზურების „სარდლობა“ მიუძღოდა, მაგრამ გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობაც, რომ დაზვერვითი ბრძოლების სამზადისი სასტიკი საიდუმლოებით იყო მოცული: ამ ბრძოლების გატარების ადგილისა და დროის შესახებ, როგორც წესი, სანდო ადამიანების ფრიალ ვიწრო წრეს უნდა სცოდნოდა და ი. ბებუთოვს მოგონებებში შესატანად სარწმუნო ცნობები ჩანს, მარტაც, არ გააჩნდა. ამაშიც უნდა ვეძიოთ ნაამბობის ნაკლთა თუ შეცდომათა ერთი მიზეზთაგანი.

ირანის 35 ათასიანი ლაშქრის კოლონას, როდესაც იგი ერთი მარშრუტით მოდიოდა, სულ მცირე 30 კმ. სიგრძე უნდა ჰქონოდა, ხოლო ზურგის ჩათვლით (აუცილებელი სურსათი, ტყვია-წამალი, არტილერია, დიდძალი საზარბაზნე ბირთვებიანად, უძვირფასესი ნაძარცვ-ნადავლი), რომელსაც უკან კიდევ არიერგარდი უნდა მოჰყოლოდა 40 კმ. ნაკლები სიგრძე არ ექნებოდა. როცა ასეთი კოლონის „თავი“ სოღანლულს უახლოვდებოდა, მისი „ბოლო“ გატეხილი ხიდის მიდამოებს. ახლად მოშორებული იქნებოდა. ამიტომ იყო აღნიშნული, რომ 1795 წლის 8 სექტემბერს ირანელთა ავანგარდი თუ



სოღანლულს მიადგა, მთავარი ძალები მხოლოდ დაღამებისას ან 9 სექტემბრის გაძთენისას ჩააღწევდნენ სარჯანის ველამდე. ი. ბებუთოვს საშუალება არა ჰქონდა სკოდნოდა რა ხდებოდა, ავანგარდში, როდესაც იგი არიერგარდში იყო, და ეს ჩანს, ასეც ყოფილა 8 სექტემბერს. ალგეთზე გადმოსვლის შემდეგ, ირანელთა ლაშქარი ერთი მარშრუტით ვეღარ იმობრავებდა, არტილერია და ზურგი თავისი დაცვით კოდა-კუმისი-თელეთის მხარეზე უნდა წამოსულიყო. ი. ბებუთოვი პატარა მდინარეებსა და ხიდებს შენიშნავს, ხოლო კუმისის ტბა მის ნაამბობში არსად არის ნახსენები. აქედანაც ჩანს, რომ იგი 7 სექტემბერს თუ ავანგარდში იყო და ვატეხილი ხიდის ბრძოლის მოწმე ან მონაწილე იყო, 8 და 9 სექტემბრის დღეებში მარჯვენა რაზმეულის (იალლუჯის მიმართულებით წამოსულის) არიერგარდში ყოფილა (მას არ დაუნახავს არც კუმისის ტბა, არც ზემოაღნიშნული სოფლები, და არაფერს ამბობს არც იალლუჯაზე მომხდარი მშვერავთა სისხლმღვრელი შეჯახებების შესახებ).

ეს გარემოებანიც შესაძლოა, რომ წარმოადგენს მის მოგონებაში არა სრული და საექვო აღვლები არსებობის ერთერთ მიზეზს.

9 სექტემბრის პირველი დაზვერვითი ხასიათის ბრძოლებმა, ქართველთა გაუტეხავმა და გაბედულმა მოქმედებამ გადაწყვეტინა აღამაჰმადხანს, მორიგი, უფრო ფართო მასშტაბის დაზვერვითი ბრძოლის მიცემა მეორედღეს, 10 სექტემბერს. ოღონდ არა აქ, არამედ თელეთი-შავანაბადის მიმართულებაზე, რათა საბოლოოდ გაერკვია, თუ რის იმედით იბრძოდნენ ქართველები ასეთი მხნეობით და ასე შორეულ მისადგომებზე; მართალი იყო თუ არა ის ცნობები (ერეკლე მეორის დიდი გეგმა-პროგრამის შორეული გამოძახილი) იმის შესახებ, ვითომც — ერეკლე ხანს ორმოცდაათი ათასი მთიული შეეკრიბა, ყველა მისადგომი ხეობა-ვიწ-

რობანი დაეკავებინა და განზრახული ჰქონდა ზურგიდან დაერტყა მტკიცე სათვის.

10 სექტემბრის დაზვერვითი ბრძოლისათვის მძლავრი რაზმის მომზადებას ირანელები, რასაკვირველია, ადრევე დაიწყებდნენ და უკვე 9 სექტემბრის დაბინდებისთანავე სარჯანის ველიდან წალასკურის ხევის გაყოლებით შემო-თელეთისაკენ გაუყენებდნენ, რათა გათენებისას შავანაბადის შუა წელზე აეყვანათ და საიერიშოდ გაემზადებინათ.

ეს საექვო ფუსფუსი ქართველ მშვერავებსა და პატრულებს არასგზით არ დაემალებოდათ. ამის საპასუხოდ ქართველთა სარდლობასაც მტრისათვის შეუმჩნევლად (ამის პირობები მათ ჰქონდათ!) დაუყოვნებლივ დაუწყია ძალთა გადაჯგუფება და ამგვარად დაწყებული კიდევ ქართული ლაშქრის 10 სექტემბრის საბრძოლო განლაგების ჩამოყალიბება. ამავე მომენტისათვის საბოლოოდ გაირკვა, რომ თბილისის დამცველთა რიგებს ახალი ძალები აღარ მოუვიდოდა, და რომ 35 ათასი ირანელის წინააღმდეგ 4700—5000 ქართველი იომებდა.

მტკვარი—შავანაბადის ვიწროობის დასაწყისში მაინც დატოვებულ იქნა ძლიერი საბრძოლო დაცვა (და არა არიერგარდი, მით უმეტეს, — ავანგარდი, რომელთაც უკან დახევისას ან შეტევისას გამოჰყოფდნენ, ახლა კი ქართველები მოგერიებაზე იყვნენ გადასული და ამიერიდან მათ „მეწინავეს“ საბრძოლო დაცვა უნდა ვუწოდოთ), როგორც ჩანს, იოანე ბატონიშვილის სარდლობით. დავით ბატონიშვილის აქამდე არიერგარდში მყოფი რაზმი სოღანლული — „კრწანისის გორის“ მიდამოებიდან მოუხსნიათ და ახალი (ძირითადი) თავდაცვითი პოზიციების შორეულ მარჯვენა ფრთაზე განუწყესებიათ (იქ, სადაც თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, 11 სექტემბერსაც იდ-

გა); მთავარი ძალებიც ამავე საღამოს თბილისისაკენ დაუწვივიათ. ამ უკანასკნელთა წესრიგში მოყვანა, ტყვია-წამლით მომარაგება და წინასწარ მომზადებულ თავდაცვით პოზიციებზე განაწილება-დამაგრება, როგორც ჩანს, გრძელდებოდა აგრეთვე 10 სექტემბრის მთელი დღის მანძილზეც. საქმე იმაში იყო, რომ ამ ძალების გადაჯგუფება მიმდინარეობდა ღამე, მტრის უეცარი თავდასხმის მოლოდინში, ხოლო ძილთ უკვე დაიწყო ირანელთა საკმაოდ მძლავრი იერიშები შავნაბადის მხრიდან, ისე, რომ ქართველ სარდლობას ვერ უნდა მოესწრო ჯარის განლაგების დამთავრება ადრევე მიღებული საბრძოლო გადაწყვეტილების მიხედვით.

არსებული წყაროები 10 სექტემბრის საბრძოლო განლაგების შესახებ პირდაპირ მითითებას არ იძლევიან და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია თვით ამ დღის ბრძოლის შესახებ არსებული მეტად ძუნწი მონაცემების ანალიზით.

როგორც აღინიშნა, 10 სექტემბერს ქართველთა შორეულ მარჯვენა ფრთაზე დავით ბატონიშვილის რაზმი განწესდა, ხოლო ასევე შორეულ და საკმაოდ წინ წაწეულ მარცხენა ფრთაზე — სოღანლულის ვიწროობის კართან საბრძოლო დაცვა განლაგდა. ამ უკანასკნელს, ჩვენი რწმენით, იოანე ბატონიშვილი სარდლობდა, რადგან 10 სექტემბრის ბრძოლაში იგი არ მონაწილეობდა, ასე ვთქვათ, უსაქმოდ დარჩა: მელიქ-მეჯღუმის რაზმი კრწანისის ველისაკენ დაეშვა; ეს საბრძოლო დაცვა კი აქედან შორს იყო. როგორც ჩანს, ამ დღეს ირანელები მტკვრის გასწვრივ არ აქტიურობდნენ, მიუხედავად ამისა, იოანე ბატონიშვილის რაზმი ერთ ხანს მახეში გაბმულებით უნდა ყოფილიყო. ეს მოჩვენებითი მახე მალე „გაიღო“, რადგან ქართველთა მთავარმა ძალებმა, როგორც იტყვიან, შავი დღე გაუთენეს კრწანისისაკენ დაშვებულ მეჯღუმის რაზმს. 11 სექტემბ-

რის გენერალურ ბრძოლაში კი იოანე ბატონიშვილი უკვე „მეწინავე შიგ“ და პირველი ხედება მტკვრის გასწვრივ შეტევაზე გადმოსულ ირანელებს.

საღლა იყვნენ 10 სექტემბერს ქართველთა დანარჩენი ძალები? ისტორიულად დამკვიდრებული საბრძოლო ტრადიციის თანახმად, ქართველთა მთავარი ძალები ამ დღესაც მეფის ახლოს კომპაქტურად უნდა ყოფილიყვნენ განლაგებული სეიდაბადის შადლოზის ბაღნარებიანი სამხრეთის კალთების გასწვრივ მომზადებულ სანგრებში და ბუნებრივ პოზიციებზე. უშუალოდ მთავარი ძალების წინ საერთო „მეწინავე“, ამ დღეს არ ჩანს, — ქართული ლაშქრის ყოველი ნაწილის წინ გამზადებული ყოფილა საგანგებოდ შერჩეული მხედრობის გუნდები, რომელთაც თვითონ ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრები. ამას გვიდასტურებენ დავით ბატონიშვილი და თვით ერეკლე მეორეც კერძოდ, დავით ბატონიშვილი გვაცნობებს, რომ 10 სექტემბრის ბრძოლაში „მეწინავეთა შორის იმყოფებოდა მეფის ძეი დავით, წერეთელი ზურაბ, ამილახვარი თთარ, მუხრანის ბატონი იოვანე და ქიზიყის მოურავი ზაქარია,“<sup>68</sup> ხოლო ერეკლე მეორის მიერ მირიან ბატონიშვილისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ 10 სექტემბერს ირანელთა პირველი იერიშები უკუ ვაგდეთ მცირერიცხოვანი ნაკრები“<sup>69</sup> ქართით, რომლის რაოდენობა, ალბათ, 1500—2000 მებრძოლს შეადგენდა.

ქართველთა საბრძოლო განლაგების ძირითადი იდეა ითვალისწინებდა ირანელთა პირველი იერიშების მდგარი კონტრიერიშით აუცილებელ უკუგდებას ისე, რომ თავიანთი მთავარი ძალები და მათი საბრძოლო განლაგება არ გამოემკლავნებიათ! ნაკრები ჯარი და რჩეული სარდლები აუცილებლად

<sup>68</sup> იხ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, 1941 წ. გვ. 23.

<sup>69</sup> Цагарели А.—«Грамоты...», ч. II, вып. I, 105 стр.

იყო საჭირო, რათა ქართველთა წინა დღის წარმატება შემთხვევით არ ახსნილიყო, თანაც სოღანლულიდან თბილისისაკენ უკანდახევას ზიანი არ მიეყენებინა ქართველთა მორალური მდგომარეობისათვის.

ასეთად მოჩანს ქართველთა 10 სექტემბრის საბრძოლო განლაგების საერთო სქემა.

ერეკლე მეორის ძირითადი ტაქტიკური გადაწყვეტილების მიხედვით, ქართული ლაშქარი მხოლოდ 10 სექტემბრის საღამოსათვის განლაგდა.

### თავი მეექვსე

#### 1. 1795 წლის 9 სექტემბრის ბრძოლა

9 სექტემბერს დილით ირანელთა ავანგარდი იერიშზე გადმოსულა. ქართველ მეწინავეთა რაზმს მტერი ახლოს მოუშვია; დავით ბატონიშვილი კარგად გარკვეულა შექმნილ მდგომარეობაში და ბრძანება გაუცია ცეცხლის გახსნის შესახებ. ერთბაში ცეცხლთა და მოულოდნელი მდგარი იერიშით ქართველებს მალე გაუბრუნებიათ ირანელი მოიერიშენი. ალ. ორბელიანის მტკიცებით, აქ თვით ალა-შაჰმად-ხანი მოსულა და მალღობზე გადმომდგარა (იგულისხმება მარნეულისა და რუსთავის გზების შესაყარი) და თავისი შემდრკალი მხედრობა მცირე რეზერვის მიშველებითა და ქართველების სიოტავეზე დაცინვით გაუმხნეებია: ეს საწყლები არიან ჩვენი მოწინააღმდეგეებიო, უკითხავს მას და დაუმატებია: „იმ საცოდავებს მტკვარში გადაყრითო“. ერეკლე მეორეს დავითის რაზმისათვის უბრძანებია პირვანდელ პოზიციებს დაბრუნებოდა და თან ერთი ასეული მხედრობით გაუძლიერებია იგი. ალა-შაჰმად-ხანსაც სასტიკი ბრძანება მიუცია ავანგარდისათვის ქართველთა მეწინავეს განადგურების შესახებ. მოძალებული მტერი ისევ ახლოს მოუშვიათ, შემდეგ ერთბაში ცეცხლთა და უეცარი კონტრიერშით კვლავ მოუგერიებიათ მოწინააღმდეგის იერიშში. ამას კვლავ მოჰყოლია ირანელთა

თა ავანგარდის გაძლიერება. ქართველთა მეწინავე ისევ პირვანდელ პოზიციებზე დაბრუნებულა; შეფის ბრძანებით, იგი ახალი დანაყოფებით საგრძნობლად გაუძლიერებიათ, რის შემდეგ კონტრიერიშზე გადასულა და ირანელები დიდი დანაკარგებით შორს გაუტყვია. ალა-შაჰმად-ხანი კი ცბიერობდა: ჩანს, რომ იგი დრო და დრო განგებ უკან სწევდა თავის ავანგარდს, რათა ქართველთა მთავარი ძალები იმ მეტად სახერხო პოზიციებიდან მოეწყვიტა, ტრიალ მინდორზე გაეტყუებინა და იქ განმარტოებული გაენადგურებინა, ან არა და, შესაძლებელი სიზუსტით დაედგინა ამ მთავარი ძალების რაოდენობა. ალ. ორბელიანის მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით, ერეკლე მეორეს თავისი „მეწინავეისთვის“ კიდევ ერთი ათასეული დაუმატებია. და როცა ალა-შაჰმად-ხანსაც თავის კვლავ გაძლიერებულ ავანგარდს ხელახალი იერიში უბრძანა, ქართველები ამ შემთხვევაშიც უდრეკის აღმოჩნდნენ. მაგრამ შეტად ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი აღმოჩნდა ეს უკანასკნელი შეჯახება. ქართველები იძულებული გაშხადარან მთელი ძალებით ბრძოლას მისცემოდნენ, მაგრამ რა მარჯვეთაც არ უნდა მოქცეულიყვნენ, მათ აზრადაც არ მოუვიდოდათ შემბროლებოდნენ სოღანლულის სამხრეთით მოზღვავებულ ირანელთა მთავარ ძალებს, რომლებიც თანდათან წინ მოიწევდნენ და არტლერით ძლიერდებოდნენ. ამასთან ერთად ერეკლეს კარგად ესმოდა მაცდური შაჰის განზრახვა, რომლის შესახებაც ზემოთ ითქვა. ამიტომ მას ამ შემთხვევაშიც თავისი მხედრობისათვის მტკვარი — შავნაბადის ვიწროობის დასაწყისისაკენ უკან დახვევა უნდა ებრძანებინა.

ჩვენ არაფერი ვიცით, თუ ქართველებმა ამ დაზვერვითი ბრძოლების შედეგად რამდენი მებრძოლი დაკარგეს დაჭრილთა და მოკლულთა სახით, მაგრამ ეს დანაკარგები რამდენიმე ასეული კაცი მაინც უხდა ყოფილიყო; ირანელებს, როგორც შეტევაზე გადმო-

სულთ, უფრო მეტი უნდა დაეკარგათ. მაგრამ ქართველთათვის უფრო სამძიმო იყო მწყობრიდან ყოველი გამოსული მეომარი...

ასე იყო თუ ისე 9 სექტემბრის დახვერვითი ბრძოლების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანისთვის მიანიც აღრე იყო ეთქვა, თუ ვინ იქნებდა ხმაღს მისი ავანგარდის წინ — ქართველთა მთელი ლაშქარი თუ მხოლოდ მისი „მეწინავე“ ნაწილი. ამიტომ მას ჯერ კიდევ არ შეეძლო გენერალური იერიშის დაწყება, თუმცა მისმა მთავარმა ძალებმა ამ დღის საღამოსათვის მთლიანად მოიყარეს თავი სარგანის ველზე და „სიხარულის სახლის“<sup>70</sup> სიახლოვეთ გაბრუებულნი, სისხლისმსმელი ალა-მაჰმად-ხანის ბრძანებას ელოდნენ.

**2. 1795 წლის 10 სექტემბრის ბრძოლები**

როგორც აღვნიშნეთ, ალა-მაჰმად-ხანმა ჯერ კიდევ 9 სექტემბრის ღამეს შავნაბადის შუა წელზე აიყვანა თავისი საკმაოდ მოზრდილი რაზმი, რომელსაც 10 სექტემბრის დილიდან ქართველთა პოზიციებზე იერიშის მიტანა ჰქონდა ნაბრძანები.

ქართული წყაროების მიხედვით, ირანელთა შემტევი ლაშქარი, რომელშიც, ზოგი ცნობის მიხედვით 3 ათასამდე კაცი ითვლებოდა, თოთხმეტ გუნდად დაუყვიათ, რათა მას გაშლილი ფრონტით ერთდროულად „ჩამოეგარცხნა“ შავნაბადის ჩრდილო ფეხრდობების აღარებელი ხრამები, საბოლოოდ დაედგინა ამ ადგილებში ქართველთა მძლავრი რეზერვების შესაზნებ გაერცელებული ხმების სინამდვილე და ფარდა აეხადა თბილისის მისადგომებზე ქართველი ჯარის განლაგებისა და რაოდენობის საიდუმლოებისათვის, რის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა ირანელთა მთავარი დარტყმისათვის ყველაზე ხელსაყრელი მიმართულების არჩევა.

<sup>70</sup> ასე უწოდებდა თბილისის მიძინა უსუღო ყარაბაღელი (იხ. თბილისის ისტორია, 1958 წ., გვ. 221).

თულები არჩევა. გარდა ამისა, ამ დღის საბრძოლო მოქმედებებში უწყვეტია, რომ ირანელები განაგრძობდნენ აგრეთვე შტკვარ-შავნაბადის ვიწროობაში ჩატოვებულ ქართველთა საბრძოლო დაცვის ზურგიდან შემოვლის საფრთხით დაშინებას, რის შედეგადაც იგი თითქოს მიატოვებდა თავის პოზიციებს და უკვე 10 სექტემბერს თბილისის ეს ბუნებრივი კარი გაღებული აღმოჩნდებოდა.

ირანელთა ზემოაღნიშნულ რაზმს, როგორც პ. გ. ბუტკოვი აღნიშნავს, მელიქ-მეჯლუმი ედგა სათავეში<sup>71</sup>; მაგრამ სწორი არ არის ბუტკოვი, თითქოს მეჯლუმი ქართველებთან ბრძოლაში მოეკლათ; უფრო სარწმუნო ცნობით, იგი მოკლული იქნა 1796 წლის აპრილში, როდესაც ერეკლე მეორემ ქართული ლაშქრით, დაქირავებული ლეკებისა და ნაწილობრივ რუსის ჯარის დახმარებით განჯა დალაშქრა<sup>72</sup>.

მელიქ-მეჯლუმის რაზმის ძირითად შემადგენლობას შეადგენდა განჯა-ყარაბაღის მხარეებთან ირანის არმიას შეერთებული ავაზაკთა ბრბოები. და ესაეც ცბიერი ალა-მაჰმად-ხანის ოინი იყო: ამით იგი ანიშნებდა ჯეჯარ-ხანსა<sup>73</sup> და მელიქ-მეჯლუმს — თუ ერთგულნი ხართ, მიღით, საქმით დამიმტკიცეთო; სხვაფრივ ალა-მაჰმად-ხანს სულაც არ აწუხებდა ის სავალალო ხვედრი, რასაც მელიქ-მეჯლუმისა და ჯეჯათ-ხანის მხედრობა შეეყრებოდა დაბლა, კრწანისის ხევ-ხუეეებში ქართველთა თავბრუდამხვევი კონტრდარტყმების შედეგად. მთავარი იყო ის, რომ პირადად

<sup>71</sup> Бутков П. Г. «Материали...» стр. 335.

<sup>72</sup> «Исторический журнал», № 10 1939, стр. 52—63.

<sup>73</sup> პ. იოსელიანის ცნობით, ჯეჯათ-ხანი თბილისში იყო გაზრდილი, ხშირად ყოფილა მეფის სასახლეში. ერეკლე მეორის სიყვდილის შემდეგ, მას ერთი ხანობა მიწერ-მოწერა ჰქონია გიორგი მეფესთან. იგი მოკლულ იქნა 1803 წელს პ. ციციშვილის მიერ ჯანის ადგილისას („ცხოვრება გიორგი მეექვსისა, გვ. 65-66).

დაენახა მელიქ-მეჯლუმზე მისეული ქართველობა.

10 სექტემბრის ბრძოლის შესახებ ქართული წყაროები მეტის-მეტად სიტყვაძვირობენ. მაგალითად, დავით ბატონიშვილი მხოლოდ იმას გვაძეგნობს, თუ ვინ მონაწილეობდა ამ ბრძოლებში. მონაწილეთა შორის თავის თავსაც ასახელებს და აღნიშნავს, რომ „დღესა მას მხნედ იყვნენ ქართველნი, რომელთა ძალით იძლიენენ სპარსნი“-ო. ამასვე იმეორებს თეიმურაზ ბატონიშვილი და უმატებს, რომ ქართველებმა „მრავალნი სპარსნი მოსრნეს მას დღესა შინა“-ო. ყველა ქართული წყაროს საწინააღმდეგო ცნობებს იძლევა ალ. ორბელიანი, თითქოს ამ დღესაც ქართველები ისევ სოღანლულში განაგრძობდნენ ბრძოლებს, რაც სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს და არ დასტურდება არც ირანის არმიის ოფიცრის ი. ბებუთოვის მონაცემებით.

მხარეთა საბრძოლო განლაგების, მათი ამ დღის ამოცანების, ბრძოლის შედეგებისა და ადგილმდებარეობის შეფასების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ, თუ როგორ მიმდინარეობდა ამ დღის ბრძოლა.

შავნაბადის ქედის ჩრდილო ფერდობებზე გაშლილი ფრონტით დაშვებულ ირანელთა თორმეტ რაზმულს, რომელთა დიდი უმრავლესობა ქვეითად მოქმედებდა, მდ. ტაბახმელას (კრწანისის ხევის) ვიწრო და ღრმა ხევი უნდა გადმოეღაბა და კრწანისის მეტად უსწორმასწორო დაფერდებაზე გამოსულიყო. მაგრამ ამ ხევიდან რამდენიმე ასეული მეტრიც არ ექნებოდათ გამოვლილი ირანელთ, როცა მათ წინ მეორე, არა ნაკლებ ძნელად გადასასვლელი შინდისის ხევი (ოხრახევი) გამოჩნდებოდა.

ამ ორ ხრამს შუა აღმოჩენილ მელიქ-მეჯლუმის ლაშქარს, რომლის წინააღმდეგ ზემოდან, შინდისის მხრიდან, ჯერ დავით ბატონიშვილის არტილერიას გაუხსნია ცეცხლი, ხოლო შემდეგ მისი

მხედრობაც ელვისებური სისწრაფით გადმოსულა კონტრიერიშზე, (ბერძენი) შინდისისაკენ უნდა შეებრტყნებინა, რათა ფრთიდან მომდგარ ქართველებს ცალცალკე არ გაენადგურებინათ დიდ მანძილზე გაფანტული ცალკე რაზმეულები. პ. ბუტკოვი აღტაცებული ჩანს დავით ბატონიშვილის ამ კონტრიერიშის წარმატებით.<sup>74</sup>

თვითონ მელიქ-მეჯლუმში იძულებული უნდა გამხდარიყო მთელი ყურადღება თავისი ფრონტის მარცხენა ფრთაზე გადაეტანა. მაგრამ ამ ღროს ჩარეულა საქმეში ის მცირერიცხოვანი ნაკრები ჯარი, რომლის შესახებაც შემდგომში ერეკლე მეორე სწერდა მირიან ბატონიშვილს. მელიქ-მეჯლუმის ლაშქრისათვის ეს ნამდვილი თავზარდაცემა იყო. იგი შეამწყვდიეს ქართველებმა კრწანისისა და ოხრახევის შუა და მცირე გამოხაკლისის გარდა, რომელშიაც მელიქ-მეჯლუმში და, ალბათ ჯავათ-ხანიც იყო, ცხარე ხელჩართულ ბრძოლაში ხმლებით აკაფეს.

ამასთან ზოგი ცნობით, ქართველები საეპოოდ შორ მანძილზე (შავნაბადის თხემამდე) მიჰყოლიან მტრის ლაშქრის არევე-დარეულ ნარჩენებს, მაგრამ ზოლოს, ცხადია, რომ თავიანთ პირკანდელ პოზიციებს დაუბრუნდებოდნენ, რათა წესრიგში მოეყვანათ დაქანცული და არა-ნაკლებ არეული რაზმები, აღედგინათ მართვა-შევესოთ ტყვია-წამლის მარაგი და ყოველმხრივ მომზადებულიყვნენ დიდი და გარდუვალი შეჯახებისათვის.

10 სექტემბრის ბრძოლაში მრავალი ასეული ირანელი გასწყდა, რაც ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არ დაეტყობოდა შაჰის დიდი ლაშქრის საერთო ძლიერებას. რამდენიმე ასეული ქართველი ჯარისკაციც გამოსალმებოდა წუთისოფელს, რაც მცირერიცხოვანი ქართველობისათვის საგრძნობი უნდა ყოფილიყო.

<sup>74</sup> Бутков П. Г. «Материалы...», стр. 338.

რაც შეეხება 10 სექტემბრის ბრძოლების სხვა შედეგებს, უნდა ითქვას შემდეგი.

ალა-მაჰმად-ხანისათვის ბოლომდე მაინც არ იყო გარკვეული ქართული ლაშქრის სრული შემადგენლობა და საბრძოლო შესაძლებლობანი, რადგან ქართველთა მთავარი ძალები ამ ბრძოლაში არ ჩაებნენ, ხოლო მტკვარი — შენაბადის ვიწრობაში ჩამდგარმა ქართველთა საბრძოლო დაცვამ ფეხი არ მოიკვალა ადგილიდან. გამორიცხული არ არის, რომ ალა-მაჰმად-ხანს, რომელმაც ამ დღეს სწორედ ამ მიზეზით ვერ გაბედა ბრძოლაში მთავარი ძალების ჩაბმა, დაებადა კითხვა — ღირდა თუ არა გენერალური ბრძოლის მიცემა და იყო თუ არა ეს შესაძლებელი 11 სექტემბერს? ჩაებმებოდნენ თუ არა ბრძოლაში მეორე დღეს ქართველთა მთავარი ძალები და თუ ჩაებმებოდნენ, რა შემადგენლობის იქნებოდნენ ისინი? წინა ორი დღის წარმატებითი ბრძოლებით გამხსენებული ქართლ-კახეთის სამეფოს „აბჯართა და ცხენთა ხმარების“ შემძლე მოსახლეობა ხომ არ დადგებოდა ფეხზე და გადაულახავ კედლად არ აიშართებოდა მის წინ, რასაც შეეძლო წაეხდინა ალა-მაჰმად-ხანის არა მარტო ამ კამპანიის საქმე, არამედ საერთოდ აერდაერია მისი შინაური საქმეებიც.

ზურგში აღუდებული შუშა იყო, საალყო წესებში ჩაყენებული აღმოსავლეთ-ამიერ-კავკასიის მთელი რიგი სტრატეგიული პუნქტები კვლავ საჭიროებდნენ ჩარით თვალთვალს (ერევანი, შაქი, შარვანი).

გამორიცხული არ არის, რომ ალა-მაჰმად-ხანმა ამ დღეებში გაიგო ზოგი რამ იმ საექვო პოლიტიკური მერყეობის და აჯანყებების შესახებ, რომლებიც საკუთრივ ირანში დბიწყო. და ბოლოს, თბილისისათვის წამოწყებული გენერალური შეჯახება ალა-მაჰმად-ხანის წარმატებითაც რომ დამთავრებულიყო, მის ხელთ მხოლოდ თბილისი

ჩავარდებოდა, საჭირო იქნებოდა დევნის მოწყობა, ქართლ-კახეთის სამეფოს სიღრმეში შეჭრა, მაგრამ <sup>11</sup> ~~12~~ ვაგაკვეთილი არ იყო, თუ ქართველთა და მათი მოკავშირეების რა ახალ ძალებს წააწყდებოდა თბილისის იქით. ახლო იყო ზამთარი, სწორედ სექტემბრის შუა რიცხვებიდან მდ. არაქსიც ძნელად გადასალახავი ხდებოდა,<sup>75</sup> შუშით უკან წასასვლელი გზებიც მალე დაითოვლებოდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა და უფრო კი პირველი ორი დღის ბრძოლებში ქართველთა საოცრად მაღალმა მორალურმა განწყობილებამ, შესაძლოა, რომ ირანელთა მოსაზრებებში ელფერი შეუცვალა დროის ელემენტის შეფასებას.

მაგრამ რაკი ალა-მაჰმად-ხანმა 11 სექტემბრისათვის ბრძოლა მაინც გადასწყვიტა, საგულისხმოა, რომ მას რაღაც ახალი, განსაკუთრებული საბაბი მიეცა. და აქ ყურადღების გარეშე არ უნდა იქნეს დატოვებული რიგ ქართულ წყაროებში აღიარებული ფაქტი იმის შესახებ, რომ ეს საბაბი მას ერეკლე მეორის მოღალატეებმა მისცეს; — მათ ბოლომდე უნდა მიეყვანათ თავისი შავბნელი საქმე. ამბობენ, რომ თბილისიდან 10 სექტემბერს ღამით ერეკლე მეორის ტყვეობაში მყოფი ირანელი ელჩი გააპარეს, რომელმაც ქართველთა სისუსტე გაამჟღავნა.<sup>76</sup>

აღ. ორბელიანის მოწმობით, ეს ელჩი თბილისელი მეგზურების თანხლებით გადაუყვანიათ „კოჯრის ქვემოდ დაბალ მთებზე“ თელეთისაკენ და შემ-

75 კავკასიის სამხედრო ოლქის 1910 წლის სამხედრო-გეოგრაფიული აღწერის მიხედვით, მდ. არაქსის ფონები შედარები ადვილი გადასალახავი იყო მხოლოდ ზაფხულში (ივლის-სექტემბრის სექტემბრის შუა რიცხვებში). შემდეგ ისინი ხშირად გაუვალი ხდებოდა.

76 საქართველოს ისტორია, 1, 1958 წ. გვ. 382.



დგომ ალა-მაჰმად-ხანის ბანაკში მიუყვანიათ.<sup>77</sup>

ღალატის ეს კონკრეტული ფაქტი ორბელიანის ნაშრომში, შესაძლოა, ვარკვეული გაზვიადებითაც არის აღწერილი, მაგალითად, იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია თითქოს ამ ელჩის მისვლის დროს ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარი უკვე აყრილი ყოფილიყოს, მაგრამ ძირითადად ხაზებში იგი სიმათელს უნდა შეეფერებოდეს. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღალატის ჩადენა „შესაძინებლად რისიმე“, კერძოდ, თბილისელი ვაჭრებისათვის, უცხო არ იყო. ალა-მაჰმად-ხანის დაპირებებით, ხელფესქერული და უფრო მეტად კი მისი მოსალოდნელი გამარჯვების შიშით შეპყრობილი ბევრი მათგანი, განურჩევლად ეროვნებისა, საკუთარი ტყავისა და სიმდიდრის გადასარჩენად, შაჰის სამებელი საქმის დროზედ გაკეთებასაც ეცდებოდა. ვიორგი ბატონიშვილი დაუფარავი გულისწყრომით იხსენიებდა ისეთ ადამიანებს, როგორც იყვნენ—ყორღანაშვილები, ბებუთაშვილები და სხვ., როგორც უპირობესა და გამცემლებს, რომლებიც „გროშზე გაყიდიდნენ მეფესაც და სამეფოსაც“.<sup>78</sup>

სწორედ ამ მქონებელ პიროვნებებთან ეკონომიურ სფეროში მჭიდროდ იყვნენ დაახლოვებული ბატონიშვილები და ზოგი მათგანი ამ უკანასკნელთა პოლიტიკური თანაგრძნობითაც სარგებლობდა. ვიორგი ბატონიშვილმა ეს თავისი ძირითადად სწორი შეხედულებანი აშკარად გამოსთქვა მაშინ, როდესაც თბილისში მეფის რუსეთის მინისტრ-რეზიდენტი და გენერალი ლაზარევი დამკვიდრდნენ, და ექვს გარე-

შეა, რომ აღნიშნული „უპირობე ადამიანები“ ახლა პირველ პლანზე წამოწეულ მეფის რუსეთის მოჭედდნის მიტანას მასწავნენ. მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ მოსაზრებათა საფუძველში მას მხედველობაში ჰქონდა ქართველი სარდლობისა და მხედრობის მიმართ კრწანისის დღეებში ჩადენილი ღალატის ფაქტები. ამავე წყაროთი ირკვევა ნ. ბარათაშვილის მტკიცებანიც იმის შესახებ, რომ კრწანისის დღეებში დამლუპველი როლი შეასრულეს მუხთალმა და ანგარების მოყვარულმა იუდეებმა.<sup>79</sup>

### 3. 1795 წლის 11 სექტემბრის ბრძოლაში

ამ დღის საბრძოლო მოქმედებათა შესახებ ვრცელი და სინამდვილესთან საკმაოდ ახლო მდგომი ცნობები მოეპოვებათ თეიმურაზ ბატონიშვილს, ნაწილობრივ, ვახტანგ ბატონიშვილსა და ალ. ორბელიანს. ამ ცნობებს ძირითადად ადასტურებს და მნიშვნელოვნად აფხვებს ი. ბებუთოვი მოგონებების შარმაზანოვისეული ჩანაწერებით.

11 სექტემბრის ბრძოლაში ჩაებნენ ალა-მაჰმად-ხანის არმიის მთავარი ძალები, რომლებიც სოღანლულის სამხრეთით მთლიანად მხოლოდ 9 სექტემბრის საღამოსათვის დაჯგუფდნენ და 11 სექტემბრის დღის 7 საათამდე გენერალური შეტევისათვის ემზადებოდნენ. ი. ბებუთოვი ამბობს, რომ მთავარი ძალების დაჯგუფების რაიონში პირადად მისი ჩამოსვლის მეორე დღეს, დილით (ალარ ახსოვს ორშაბათს — 10 სექტემბერსა, თუ სამშაბათს 11 სექტემბერს) ირანის ლაშქარი თბილისისაკენ დაძრულა. მთავარი ძალებით ალა-მაჰმად-ხანი მტკვარი-შენაზბადის ვიწროობით დაიძრა, სამი-ათასიანი რჩეული ცხენოსანი მან თელეთ-შინდის-სეიდაბადის მიმართულებით გაისტუმრა. მძლავრ ავანგარდს პირადად გამოუძღვა.

მთელი თავისი ლაშქრის ზურგში, როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი აღ-

<sup>77</sup> ეს ელჩი ალა-მაჰმად-ხანმა ვერ კიდევ ყაზახში მყოფ ერეკლე მეორეს გამოუგზავნა მისთვის ჩვეული ცხოვრებითაც ულტიმატური ხასიათის წერილით, რომელიც ერეკლეს დაუპატარებია, რათა „ჩვენი ამბავი არა გაიტანოს-რაო“.

(ალ. ორბელიანი).

<sup>78</sup> პ. იოსელიანი, „ცხოვრება ვიორგი მეცამეტისა“, გვ. 144-145.

<sup>79</sup> ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“, პირველი კარის დასასრული.

ნიშნავს, ალა-მაჰმად-ხანს ამოუყენებია ექვსი-ათასიანი თურქმანთა რაზმი, რომელსაც ირანელთა შემტვენი ნაწილები-სათვის ზურგიდან უნდა გაეხსნა ცეცხლი, თუ კი ეს უკანასკნელი იერიშის დროს შედრეკებოდნენ და სიმაღლეს გამოიჩინდნენ. თურქმანთა მიერ თავისი „წამბიძგებლის“ როლის ზუსტად შესრულებას მრავალი ირანელი, მართლაც, უმსხვერპლია.

ი. ბებუთოვის მტკიცებით, ერთი-ნახევარი საათის შემდეგ ირანელები მტკვარი-შავნაბადის ვიწროობის დასაწყისში (სომხეთის ახლანდელი რეინიგზის ხიდის მიდამოებში — ი. შ.) ქართველთა საბრძოლო დაცვის პირველ პოზიციას წააწყდნენ. მიუხედავად არა ერთგზის მძაფრი იერიშებისა, ირანელებმა ვერ გასტეხეს მათი წინააღმდეგობა. ალა-მაჰმად-ხანი იძულებული გახდარა გაეძლიერებინა ავანგარდი და არტილერიაც მოეშველებინა. ამის შემდეგ ქართველები წინასწარ მომზადებულ მეორე თავდაცვით პოზიციასზე გადასულან. ეს პოზიცია უფრო მიუღვამელი და მოხერხებული ყოფილა, — მასზე ქართველთა საბრძოლო დაცვის მეორე ეშელონი უნდა ყოფილიყო, რათა პირველი ეშელონის უკან დახვევისას მტერს პირდაპირი იერიშით არ გადაელახა იგი. ი. ბებუთოვი წერს, რომ მეორე პოზიციისაკენ (სანგრისაკენ) „მიმავალი გზა პირველთან შედარებით უფრო ვიწრო და კლდოვანი იყო. ამ სანგრის წინ ერთი პატარა მინდორი იყო, რომელზედაც ჩვენი ჯარის მსოლოდ ერთი შეათედის მოთავსება შეიძლებოდა, მაგრამ სანგარზე გასალაშქრებლად ორი ათასი ჯარისკაცი ძლივს შეძლებდა იარაღის ხმარებას“—ო. ამ ცნობისა და შემდეგ მტკვარზე ალა-მაჰმად-ხანის გადასვლა-გადმოსვლის შესახებ, ბებუთოვის მოგონებების ანალიზზე დაყრდნობით, ჩვენ შევძელით ქართველთა ამ „მეორე სანგრის“ ადგილსამყოფელის დადგენა. იგი მდებარეობდა ნავთლუღის რეინიგზის სადგურის მერიდიანზე, ნავთლუ-

ღის ხევის შესართავის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ამჟამინდელი ქარხანა „ელექტროავტომობილთა“ გვერდით და ეყრდნობოდა უაღრესად ხელსაყრელი მდებარეობის კლდოვან გორაკებს, რომლებს წინ არსებულ „პატარა მინდორზე“ ახლა სატყეო მეურნეობის ხეხილის ბაღია.

ამ პოზიციის გადასალახავად წარმოებული ერთსაათიანი იერიშების შედეგად, ირანელებს რამდენიმე ასეული მებრძოლი გაუწყდათ, ერთი მუჟა ქართველები კი კვლავ მტკიცედ იდგნენ, მათ სავსებით შეანერეს ალა-მაჰმად-ხანის მიერ ასეთი აურზაურითა და ბაქი-აობით დაწყებული შეტევა, ირანელთა მთავარი ძალების კოლონები საშიშ ვიწროობაში შემოხვავდნენ. თუ რამდენად სიკვდილად, უხერხულად, უფრო მეტად კი, ტაქტიკურ უაზრობად მოსჩვენებია ალა-მაჰმად-ხანის ასეთ ხაფანგში ხანგრძლივი ყოფნა, ეს ჩანს მისი სრულიად ახალი, განწირულ მდგომარეობაში ჩაყარდნილი კაცის შესაფერი გადაწყვეტილებიდან აღიდებულ მტკვარში დაუყონებლივ გასვლის შესახებ. ამავე დრო სწორედ ახლა გახდა საგრძნობი ერთკლე მეორის ძალთა სავალალო სიმცირე: ახლა რომ შავნაბადის მხრიდან რამდენიმე ათას ქართველ მხედარს იერიში მიეტანათ ვიწროობაში ჩაქედნილ ირანელებზე, სულ სხვანაირად წარიმართებოდა გენერალური შეჯახება..., მაგრამ ამ ჯერად ასეთი რამ ქართველთა ძალდონეს აღემატებოდა.

მტკვარში გასვლის წინ, როგორც ი. ბებუთოვი ამბობს, ალა-მაჰმად-ხანმა თურმე შესძახა: „ვისაც თავმოყვარეობა და ვაკაცობა აქვს, მოვიდეს შაჰთან, და თუ მე მტკვარმა წამილოს, ეცადენით ჩემი გვაში იპოვოთ, წაილოთ და ღუმში დაფლათო“. ამის შემდეგ მან თურმე მათრახი ჰკრა ცხენს და მტკვარში შეაგდო. ი. ბებუთოვი განაგრძობს: „ჩვენი მხრიდან მტკვრის ნაპირი ვაკე იყო; გაღმა კი დაკლდეებული, რის გამო მეორე ნაპირზე ასვლა არ შეიძლებოდა. მოწოდებისთანავე საში ათასი

ცხენოსანი გაყვა შაჰს. მეც მათში ვიყავი რამდენიმე ასი ცხენოსნით, — ამბობს ი. ბებუთოვი. შაჰი რომ იქით ნაპირს მიუახლოვდა (ახლანდელი ფეხსაცმელების პირველი ფაბრიკის პირდაპირ — ი. შ.), ვგონებ, მაშინ შენიშნა, რომ იმ კლდეზე ვერ ავიდოდა, ამიტომ ცხენი მოაბრუნა და ცოტა ქვემოთ დაეკეზულ კლდეზე, გაღმა მხარეს მშრალზე გავიდა“. ამ ოპერაციაში ირანელებს სამასამდე ცხენოსანი დაეღუპათ. ერთ პატარა გორაზე ასული შაჰი უცქეროდა წყალში გამოძვალ თავის ლაშქარს. შემდეგ იგი გაღმიდან გულდასმით ათვალიერებდა ქართველთა პოზიციებს, რომლებიც კარგად მოჩანდა. იქიდან კარგად მოჩანდა აგრეთვე თბილისის ერთი ნაწილის შენობები. ი. ბებუთოვი ამბობს:

— ქართველებმა დაინახეს გაღმა გასული შაჰი და მის ირგვლივ თავმოყრილი ცხენოსნები. ისიც შენიშნეს, რომ შაჰი მტკვრის ნაპირს ზემოთ შეჰყვა და თავის მხედართმთავარს ხელით ანიშნებდა, მარჯვედ შეუტეო. ქართველებს ზურგიდან შემოვლის საშიშროება ემუქრებოდა, აღნიშნული პოზიციები მიატოვეს და ქალაქისაკენ გასწიეს. შაჰმა რომ შენიშნა ქართველთა უკან დახევა, იმავე ფონით — მტკვარში გამოსვლა მოინდომა. ი. ბებუთოვის თქმით, ამ მომენტში შაჰს ვითომც მის ლაშქარში მყოფი გამაჰმადიანებული ქართველები ეახლნენ და ურჩიეს „ზემოდ ბალები რომ ჩანს, იქ უკეთესი ფონი არის, რადგან მტკვარი ორად იყოფა და იქ დატვირთული ჯორიც ადვილად გავა“-ო. შაჰს დაუჭერებო „სარწმუნოების მგმობელი ქართველებისათვის“ და იგი თავისი მხედრობით მართლაც, იოლად გამოსულა გამოღმა, სწორედ იქ, სადაც ოხრახვევი უერთდებოდა მტკვარს და განლაგებული უნდა ყოფილიყო ქართველთა „მეწინავეის“ მხარდამჭერი არტილერია. აქ იგი შეჩერებულა, რადგან წინ დაბურთული ბალები იყო და ჯერ მისთვის გარკვეული არ იყო, თუ რა მოულოდნელობას

წააწყდებოდა ამ ბალებში, თანაც სოღანლულის ვიწროებიდან ქართველების კოლონა ჯერ ატემა მათ წამოსვლას ქართველთა ფორტიფიკაციული დაბრკოლებები აკავებდა. ალა-მაჰმად-ხანი (და მასთან მყოფი ი. ბებუთოვიც) აქედან უკვე ზედავლენ უფრო სახერხოდ ადგილებზე გამართულ ქართველთა სანგრების ორ ახალხაზს. ეს უკვე ერთკლე მეორის მთავარი ძალების ძირითადი პოზიციები იყო; რაც შეეხება სოღანლულის ვიწროებიდან უკან დახეულ ქართველთა „მეწინავეის“, რომელსაც ამჯერად იოანე ბატონიშვილი სარდლობდა, ისიც ჯერ კიდევ ორთაქალის კუნძულის დონეზე არ იყო გამოსული; მტკვარზე გადმოსული ალა-მაჰმად-ხანი ფაქტიურად მის ზურგში აღმოჩნდა, ე. ი. ქართველთა მთავარი ძალების პოზიციებსა და ამ „მეწინავეის“ შუა. სოღანლულიდან მოწოლილი ირანელთა მთავარი ძალების წინ ბრძოლით უკან იხევდა იოანე ბატონიშვილი. „მეწინავეის“ გარშემორტყმისა და განადგურების საფრთხე აშკარა გამხდარა. როგორც ჩანს, საქმეში ვახტანგ ბატონიშვილი ჩარეულა და თვითონაც ხიფათში ჩაეარდნილა. ალბათ, ბრძოლის ამ მომენტს გულისხმობს თვითურა ბატონიშვილი, როდესაც აღნიშნავს, რომ „მხედრობამან ალა-მაჰმად-ხანისაგან შეუკრეს გზანი უკანით კერძო მეფის ძეთა ვახტანგს და იოანეს, რათამცა შეიპყრეს იგინი, მაგრამ სიმხნითა თვისითი განაპნეს მათ მხედრობანი მტერთანი და ესრეთ მოვიდეს მეფისა მიმართ დაშთომილთა მათითა მხედრობითა რომელთაც მოეწყვიდინეს მრვალნი სპარსთაგანნი და თვით მეფის ძენიცა განბასრულ იყვნენ სრულიად სისხლსა შინა“.

ირანელთა მოწინავე მოიერიშეები სეიდაბადის ბალებში შეჭრილან თოფის სროლით, რომელთა წინ მტკვრის ნაპირების გასწვრივ ქართველი მხედრობა ჯერ-ჯერობით უკან იხევდა. ირანელთა მთავარი ძალები თანდათან ახლოვდებოდნენ. ალა-მაჰმად-ხანი თავი-

სი ავანგარდით მზად იყო პირდაპირ მისწოლოდა და გადაეთელა ქართველთა ეს მარცხენა ფრთა, რომლის წინა ხაზზე იოანე მუხრან ბატონის რაზმი იდგა, და უეცრად გაჩენილიყო განჯის კართან, მაგრამ მტკვარისაკენ მიქცეული სეიდაბადის კლდოვანი კალთები „მტკიცედ ეკავა ერეკლე მეორის უშუალო მორჩილებაში მყოფ მხედრობას, რომელიც ცეცხლით თუ კონტრდარტყმის მუქარით გზას უღობავდა გათავზედებულ შაჰს. გარდა ამისა ყველაზე უფრო ამ ადგილმდებარეობას სწევდებოდა ქართველთა არტილერიის ძირითადი ნაწილის ცეცხლი.

ალა-მაჰმად-ხანი საგონებელს იყო მიცემული, თუ როგორ ჩამოეტყუებინა ქართველი მხედრობა და ერეკლე მეორეც იმ მიუდგომელი პოზიციებიდან, რომლებზეც ვერც ცხენოსანი და ვერც ქვეითი დიდი მსხვერპლის გარეშე იერიშს ვერ მოიტანდა. ამაზე უფრო საძნელოდ ეჩვენებოდა მას ზემოალანისხელი ქართული არტილერიის პოზიციების ხელში ჩაგდება, რადგან სხვანაირად მისი „ჩაჩუმება“ შეუძლებელი იყო, ირანელებს არ ჰქონდათ საამისო არტილერია.

ზემოთ ხეენ დასანანად მივიჩნევთ, რომ ქართველებს საკმაო ძალები არ ჰყავდათ, რათა მტკვარი-შავნაბადის ვიწროობაში შემწყვდეული ყიზილბაშები მძლავრი კონტრიერიშით გაენადგურებინათ. ახლა კი ასეთი რამ შესაძლებელი ჩანდა: ქართველთა მარცხენა ფრთის მხედრობა, ჩვენის აზრით, განგებ იხვედა უკან, თბილისისაკენ, მტკვრის ნაპირის გასწვრივ, რათა, რაც შეიძლება, მეტი რაოდენობა ირანელებისა შეეტყუებინათ სეიდაბადი-მტკვრის ვიწროობაში. ამ მიმართულებაზე მტრის წინ სულ მალე ერეკლე მეორის არტილერია და რეზერვში მყოფი იმერელთა ათასეული აღმოჩნდებოდა და შეაკავებდა. შემდეგ, ფრთიდან—სეიდაბადის მალლობებიდან ერეკლე მეორის მძლავრი და გადამწყვეტი კონტრიერიში დაიწყებოდა... ოღონდ სა-

ქირო იყო ერთი რამ — ქართველთა მთავარი ძალების კონტრიერიშიმდე ჯერ შუაზე უნდა გაწყვეტილიყო კრწანისი-სეიდაბადის დაკავებაში ჩამოწოლილი ირანული ურჩხული; მისი თავი —ავანგარდი, რომელსაც შაჰი მიუძღოდა, ერეკლე მეორის მეთაურობით კონტრიერიშივე გადასულ ქართველთა მთავარ ძალებს უნდა გაესრისა. აი ამ მომენტში ურჩხულის ტანი — მთავარი ძალები დროებით მაინც უნდა შეკავებულყო, რათა ხელახლა არ შეერთებულყო მოკვეთილ თავთან. ვინ იცის, რა შედეგი მოჰყვებოდა ერეკლე მეორის ამ შთანაფიქრის განხორციელებას!...

ყოველივე ამის შესახებ არაფერს ამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი, ხოლო ი. ბებუთოვს შეცდომად ჩაუთვლია ამ შთანაფიქრით დაწყებული ქართველთა კონტრიერიშიები.

და აი, ქართველთა აქა-იქ გაფანტული მებრძოლთა გუნდების დევნით ვატაკებულმა ალა-მაჰმად-ხანის ლაშქრის მრავალრიცხოვანმა მოწინავე ნაწილმა ამ ბაღნარაიან ვიწროობაში იწყეს შესვლა და მიღწეული პოზიციების გაფართოება. ირანელთა და ქართველთა ძირითად პოზიციებს შორის ერთი პატარა ხევი და ბაღნარები დარჩენილა; ერთი სიტყვით, ირანელები ქართველთა ძირითადი სანგრების წინ აღმოჩნდნენ, რომლებშიც გარკვევით ჩანდა მხედრობა და ზარბაზნებიც. ამ დროს სეიდაბადის სამხრეთი კალთების ჩამოსწვრით ვახტანგ ბატონიშვილის მეთაურობით ქართველთა ორიათასიანი რაზმი გადმოსულა იერიშზე... სწორედ ამ რაზმის ამოცანას შეადგენდა ირანული ურჩხულის შუაზე გაწყვეტა. ქართველთა კონტრიერიში ნაყოფიერი გამოდგა. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, კონტრიერიშივე გადასულ ამ რაზმს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ „მამაცი ხიზიყელნი, არაგველნი და ფშავ-ხევისურნი“, თბილისელი თავდადებულები, ჰემმარიტად პატრიოტი მოქალაქეების გუნდი შეერთებია

„კვლად მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქმნეს კაცი მამაცი და მარჯვენი, რომელთაცა აღირჩიეს წინამძღვრად თავისად კაცი ვინმე მსახიობი... ესე იყო ერთი წარჩინებულთა მესაყრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიყი, კომედიანტი. რომელსაცა სახელს სდებდნენ მაჩაბელად. ესე მიუძღვა გუნდსა მას ტფილისელთასა მტერთა მიმართ. და ეპყრა ხელთა მისთა ბარბათი, ე. ი. დაირა და უყვრიდა მას ზედა შადიანსა, ე. ი. ხმასა მას, რომელსაცა ლხინსა შინა დაუყვრნენ, ეამსა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვინაიდან ხმაი ესე განამხიარულებს მსმენელთა, ხოლო მეგრძოლნი ესე იყვნენ მკვირცხლნი და მიმართეს ქვევითთა ამით და ბრძოდეს მტერთან ფიცხელად და შეერთდა გუნდიცა, ესე გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა, ხიზიყელთასა და ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მოიწივნეს ვიდრე დროშებამდე ალა-მამამად-ხანისა და მოსტაცეს დროშანი რამდენიმე მხედრობათა ალა-მამამად-ხანისათა და მრავალნი სპარსთაგანი მოსწყიტნეს წინაშე მისსა“.

შაჰი და მისი დაწინაურებული ლაშქარი ფაქტიურად უკვე მოწყდა მთავარ ძალებს, რომელთა ერთი ნაწილი, თუმცა ახლოს იყო, ადგილის სიციწროვისა და უხერხულობის გამო, უმოქმედოდ იდგა, ხოლო მეორე ნაწილი ჭერ ისევ სოღანლუღის ვიწროობიდან კრწანისის მიდამოებში შემოდინდა. სეიდაბადის ბაღებში კი საბრძოლო მოქმედების სურათი სულ უფრო და უფრო რთული და ბუნდოვანი ხდებოდა. ირანელთა მთავარი ძალები ვახტანგ ბატონიშვილის კონტრიერიშის უკუუღებაზე დაბანდდა, მაგრამ მოიერიშე ქართველთა ძალონეც თანდათან იშრიტებოდა, ბოლოს მთლად ამოიწურა, ნელნელა მათ ბრძოლით უკან დახევაც დაიწყეს. ამ მომენტში ერეკლე მეორემ ბრძანა თითქმის იზოლირებული შაჰის ლაშქრის წინააღმდეგ კონტრიერიშზე გადასულიყვნენ. ი. ბებუთოვს ესაც შეცდომით მიუჩნევია და შაჰის ოინის

წარმატებისათვის მიუწერია. მისთვის, რასაკვირველია, გასაგებია, რომ ერთგული მეფის განზრახვებზე მარჯვენი გორც ოფიცერს, არც ის სცოდნია, რომ „წმინდა მოგერიებით“ ომი არასოდეს და არავის მოუგია, რომ მოგერიებითი ბრძოლის წარმატებაც აქტიურ კონტრიერიშებზეა დამყარებული და არა გაქვავებულ უმოქმედობაზე. ამით დაწყებული მხარეთა მთავარი ძალების გენერალური შეჯახება. ერეკლე მეორის კონტრიერიში, რომელსაც უკვე ვეღარას შევლოდა კონტრიერიშზე აღრე გადასული ვახტანგ ბატონიშვილის რაზმი, ერთხანს წარმატებით მიმდინარეობდა, ბევრი სპარსელი განადგურდა, თვით შაჰიც დაეცა მოკლულ ცხენთან ერთად. იგი მეორე ცხენზე შემჯდარა და მოშველებული ძალებით მძლავრად შეუტევია ერეკლე მეორის მხედრობისათვის. მტრის რამდენიმეჯერ ჰარბ ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში დიდად დაზარალებული ქართველობა თავის პირვანდელ პოზიციებს დაბრუნებია და იქ ხელახლა გამკლავებია მოზღვავებულ ყიზილბაშებს. ვახტანგ ბატონიშვილის რაზმი, რომელიც ცოტა ხნის წინ „მიუხდეს სპარსთა მხედრობასასა, მალალთა მათ კლდითა გორათა და მათათა ზედა და ბრძოდეს ესრეთითა სიმხნითა, რომელ კნინლა მისდრიკეს მხედრობანი სპარსთანი საელტოლვად“, ახლა ბრძოლით უკან გადიოდა, რომლის დევნა ალა-მამამად-ხანს ი. ბებუთოვისათვის ებრძანებინა. ბებუთოვი ერთხანს მისდევდა ვახტანგ ბატონიშვილის შეთხელებულ რაზმს, „მაგრამ ამბობს ი. ბებუთოვი, — დავინახე რომ იგი მთების წვერზე მარჯვენა მხარეს თბილისისაკენ შებრუნდა, შევწინდი. მეგონა განზრახ მირბის და უკან დაებრუნდი“—ო. მაგრამ ი. ბებუთოვის რაზმს ამოფარებულმა ირანელმა არტილერისტებმა ამასობაში რამდენიმე მსუბუქი ზარბაზანი უკვე აიტანეს კრწანისის ბაღების თავში, ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ექსპერიმენტალური ბაზის მახლობლად და ქართველთა

ძირითადი პოზიციების ფრთას მეტად ეფექტური ცეცხლი გაუხსნეს. ძალზე სასტიკი და უთანასწორო ბრძოლა გაჩაღებულა ამავე დროს ქართველთა შორეულ მარჯვენა ფრთაზე: თელეთის მხრიდან შეენაბადის ქედზე გადმოსულმა ირანელთა მძლავრმა შემოვლელმა რაზმმა უეცარი იერიში მოიტანა დავით ბატონიშვილის მცირერიცხოვან, მაგრამ არტილერიით გაძლიერებულ რაზმზე. დავით ბატონიშვილმა კარგად ისარგებლა თავისი არტილერიით, მტრის ეს იერიში მოიგერია, უკუავდო, კონტრშეტევაზეც გადავიდა და დიდი ზარალით შორამდე გარეკა შემდრკალი ყიზილბაშები.

ცუდი რამ ხდებოდა ამ დროს ქართველთა მთავარი ძალების ახლო მარჯვენა ფრთაზე: ი. ბებუთოვის თქმით, ირანელებმა რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი, რომელსაც მეგზურებად თბილისის მიდამოების კარგი მცოდნეები დაუყენეს, კრწანისის ბაღებზე გავლით შინდისის მიმართულე-ბით გაუშვეს, რათა ზურგიდან შემოეველო ქართველთა უკვე შეთხელებული ძალების პოზიციებისათვის და უკანდასახევი გზები გადაეჭრა მათთვის. რაზმმა ისარგებლა ქართველთაგან დაუცველ კრწანისის ბაღებზე მიმავალი გზებით (კრწანისისა და ოხრახევის შუა), და აგრეთვე ხშირი ნისლით, რომელიც ამ დღეს ზოგჯერ მთლიანად ფარავდა თბილისის მიდამოებს და ზუსტად შეასრულა ვერავი შაპის ბრძანება. მაგრამ ქართველებმა თურმე მაინც შენიშნეს, რომ მტრის რაზმი ზურგუსკან მოექცაო და არტილერიის პოზიციებთან ჩასვლას ლამობდა. ერეკლე მეორის მითითებით, სასწრაფოდ გაუგზავნიათ კაცი რეზერვში მყოფი იმერლების ათასეულის მე-თაურისა და არტილერიის უფროსი მაიორ გ. გურამიშვილის გასაფრთხილებლად. მაგრამ ქართული და არაქართული წყაროების აღიარებით, ეს შიკრიკი ირანელებს მოუკლავთ და წინ წაწეულები სეიდაბადის ჩრდილო-აღმოსავლეთის კლდეების თავზე გადმომდგარან, ალ-

ბად, ერეკლედნენ, თუ სად იყვნენ გასულნი და როგორი მოქმედება ჯობდა ამ დროს ნისლი მოსცილებივ სეიდაბადის მიდამოებს. ქართველთა რეზერვის სარდალს, რომელიც აქამდე სრულიად უმოქმედოდ იდგა, ირანელები რომ დაუნახავს, გადაუწყვეტია, რომ ქართველთა მთავარი ძალები სრულიად გასწყდნენ, თორემ აქ ირანელებს ვინ გამოუშვებდაო, მაშინვე მოხსნილა და მიუხედავად არტილერიის უფროსის ხვეწნისა — ნუ წახვალთო, სასწრაფოდ მიუტოვებია იჭაურობა და ქალაქისაკენ წასულა. და თითქოს იმერეთის მეფემაც ყველაფერი წაგებულად ჩათვალა და ამ ათასეულთან ერთად იმერეთისაკენ გასწია.

სად იყო ამ დროს დავით ბატონიშვილი, რატომ არ დაუხვდა ირანელთა ამ შედარებით მცირე შემომვლელ რაზმს? ჩვენ ეს-ეს იყო აღვნიშნეთ, რომ მან ყიზილბაშთა „სამი ათასი მებრძოლნი... სძლო... აოტნა იგინი“. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი შებოჭილი იყო იმავე დიდი შემომვლელი რაზმის თვალთვალთ, შესაძლოა მასთან ხელახალი შეტაკებებით და შესაძლებლობა აღარ გააჩნდა, რაიმე გავლენა მოეხდინა ქართველთა მთავარი ძალების მოქმედებაზე. ჩანს, რომ დავით ბატონიშვილი დარჩა იქ მანამდე, სანამ მისი შეხედულებით ქართველთა წინააღმდეგობას აზრი არა ჰქონდა დაკარგული, რის შემდეგ კი, თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, მან „ჩაყარა ხევსა საგუბარისასა ზარბაზანი იგინი, რომელიცა აქინდა მას თაბორის კერძოსათა, რათა არა დაუშთეს სპარსთა“ და წყნეთზე გადავლით ბრძოლიდან გასულ თავისიანებს მიაშურა.

ა. ორბელიანის რწმენით მას ეს ცოტა ადრე გაუკეთებია, რის შედეგად ქართველთა ზურგში სპარსელების გასვლის საქმე გადავიღებულა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ფრონტის ცენტრალურ უბანს. ი. ბებუთოვის თქმით, მესამე სანგარში (პოზიციებზე) უკუქცეულმა ქართველობამ ერთი საათის განმავლობაში კიდევ გაუწია თავგან-



წირული წინააღმდეგობა ირანელთა მოზღვავებულ მთავარ ძალებს. შემდეგ ერეკლე მეორე ამ პოზიციებიდან „არა თუ გაიქცა, არამედ ბრძოლით მეოთხე სანჯარში შევიდა“ და იქაც კიდევ ერთ საათამდე განაგრძობდა ბრძოლას მეტის მეტად უთანასწორო პირობებში. ამ დროისათვის მის ირგვლივ მხოლოდ რამდენიმე ასეული დაჭრილი და უღერესად დაჭანტული მხედარი იქნევდა ხმალს. მტრის ძალები კი სულ უფრო და უფრო მატულობდნენ. ბრძოლის ამ უკანასკნელი წუთების შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი, სხვათა შორის, გვაცნობებს, რომ „მაშინ მოახდინეს სპარსნი სადა იგი იყოფოდა მეფე და მოუხდეს აღმატებულითა ძლიერებითა და ეწინა და მოკვლიდეს მეფესა, ანუ შეიპყრობდეს, უკეთუ შეილისშვილი მეფის-ძე იოანე არა იყომცა მუნ, რომელიცა ყოვლითურთ აღმატებულითა და საყვირელითა გულოვნებითა და სიმხნითა, რაოდენითამე მახლობლითა მით, რომელნიცა იყვნეს მას ეამსა შინა მეფესა თანა რომერადა უმეტეს სამ ასთა კაცთა მებრძოლთაგან კიდევ დაშთეს და ბრძოლისაგან, არამედ უმეტესნი სრულიად მოწყვეტილ იყვნეს სახელოვნად. ეკვეთა მეფის-ძე იოანე მახლობელ პაპისა მისისა მოსრულთა სპარსთა, და უკუნ აქცივნა და განარინა ხელთაგან მათთა მეფეი“.

ამ ზეადამიანურ დამაბულობის წუთებში განსაკუთრებული ვაჟკაცობა გამოიჩინა ვახტანგ ბატონიშვილის ხელქვეით მყოფმა სამასმა არაგველმა, რომელნიც, გრიგოლ ორბელიანის თქმით, „მოვიდნენ თბილისს დუშეთიდან ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლის დროს, შეპფიცეს მეფეს და ერთიც აღარ გამოვიდა ცოცხალი ომიდან... კრწანისის ბაღებთან დაიხოცნენ“ — („საღლეგრძელო“).

ქართველთა წინააღმდეგობამ ორგანიზებული ხასიათი დაკარგა, დაიწყო მეტად სახიფათო მიმართულებით საერთო უკანდახევა.

ქართველმა არტილერიისტებმა თავიანთი სახელოვანი უფროსების გიორგი

გურამიშვილის, ვაბრიელ მაიორისა და თბილისის ციხის ერთ-ერთი უფროსის ვინმე ალაღუას ხელმძღვანელობით ღირსეულად შეასრულეს თავიანთი ამოცანა სამშობლოსა და მათთვის საყვარელი ერეკლე მეორის წინაშე; თითქმის ყველა მათგანმა ზურგიდან და ფრონტიდან მოძალებულ ირანელებთან ხელჩართულ ბრძოლაში თავიანთ ზარბაზნებთან დაასრულეს სახელოვანი სიცოცხლე.

ალა-მაჰმად-ხანმა დღის მეორე ნახევრის დასაწყისში მთელი თავისი რეზერვების დიდი უმრავლესობა სასწრაფოდ შეიყვანა ბრძოლაში, რათა ქართველთა წინააღმდეგობას ხელახლა არ მიეღო ორგანიზებული ხასიათი და ერთბაშად მიძალებს შედეგად თავდაცვით პოზიციებს მოწყვეტილ ქართველობას დევნა დაუწყოს. სულ მალე აშკარა გახდა, რომ თბილისის კარი ირანელთათვის უკვე გაიღო. მაგრამ ისინი ერთხანს მაინც შესდგნენ, მერყეობდნენ, დაეწყით თუ არა შესვლა ქალაქში.

ი. ბებუთოვი ამას იმით ახსნის, რომ ჩვენი ჯარის ნაწილი ჯერ კიდევ უკან იყო დარჩენილი. ნამდვილად კი მათ ქალაქში შესვლას აფერხებდა მეტეხისა და კალას არტილერიის ცეცხლი. ამის გამო სწერდა მირზა უსუფა ყარაბაღელი „ქართველი მეზარბაზნეები უდიდესი ყოჩაღობითა და მოხერხებით აკავებდნენ და წინ არ უშვებდნენ ყიზილბაშთა ჯარს“-ო.<sup>80</sup> ამავე გარემოებამ შეუწყო ხელი ერეკლე მეორესა და მის თანმხლებ ასორმოცდაათამდე ქართველ მხედარს, რომელთაგან უმრავლესობა დაჭრილი იყო, საბოლოოდ დაეთმოთ ბრძოლის ველი და ქალაქზე გავლით სამშვიდობოს გასულიყვნენ.

ალ. ორბელიანის ცნობით, ავღაბრის ხიდიტ ქალაქიდან გასვლისას ერეკლემ ცხენი შეაჩერა, შემოტრიალდა და დაიძახა: „ნეტავ სად მივდივარ? წაველ და მეც ჩემ შვილებთან მოვკვდები ამ ქალაქის ხალხში და იმათ ვნებას მე ვერა ვნახავო“. მაგრამ ერეკლეს მისცივდ-

<sup>80</sup> „თბილისის ისტორია“.

ნენ ბატონიშვილები ვახტანგი, იოანე, აგრეთვე იოანე მღვრანბატონი, უკან-დან მოურავმა ზაქარია ანდრონიკაშვილ-მა მათრახი დაკრა მეფის ცხენს და საჩქაროდ გააცილეს იგი საშიშ ადგი-ლებს.

მახათას მთის ძირში ერეკლესა და მისი ამაღის ყურამდე მიადწია ქალაქში ატეხილი კვიცილ-წივილის ხმამ, — ეტყობოდა ირანელმა მძარცველებმა შეადწიეს გალაყანს შიგნით. ერეკლეს ყრუ ქვითინის ხმა აღმოხდა, გოდება დაიწყო „მე თქვენთვის უნდა მომკვლარიყავ და თქვენ ჩემთვის იხოცებით. აბა რიღას მეფე ვარ, რით დაგიფარეთ“ —ო. მას თითქოს აქ აუცხადდა ასპინძის ომის შემდეგ ნახული სიზმარი:

„მე ეს მესიზმრა, რომ საქართველოს თავით ბოლომდე ცეცხლი ეკოლა, თვით ჩემს სრია სახლსა — სამეფო ტახტსაც. მტერი სთელავდა ხალხსა ფეხთა“.

(ივანე)

ბრძოლის ველზე დარჩა 13 ათასამდე ირანელი მძარცველის გვაში; ქართველ-თაგან, გარდა იმერლობისა და მეფის მცირეოდენი ამაღისა, ბევრი არავინ ვადარჩა ცოცხალი, მაგრამ ირანელებმა შური იძიეს უნუგეშოდ დარჩენილ მოქალაქეებზე — უწყალოდ ხოცავდნენ დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს. იმ დღეებში გაწყვეტილი მხედრობისა და მოსახლეობის დამარხვანზე ბევრი არავინ ზრუნავდა. შემდგომი წლების ეპიდემიები, რომლებიც თბილისში ხშირად იჩენდა ხოლმე თავს; ზოგიერთი ოფიციალური პირის აზრით, კრწანისის ტრაგედიისას გაწყვეტილთა გვაშების უწყსოდ დამარხვას უკავშირდებოდა<sup>81</sup>.

თბილისში შემოსვლისთანავე — მოგვიტარებთ თეიმურაზ ბატონიშვილი, აღა-მაჰმად-ხანი, პირველ ყოვლისა, მეფის პალატებისაკენ გაეშურა. მას თან ახლდა განჯელი ჭვავთ-ხანი, გვარად ზიად-ოღლი, რომელიც ჩამომავლობით ყაჯარი იყო. დიდი ყურადღებით დაათვალიერა მთელი შენობა. აგრეთვე, მეფის სალარო (რომლის ევაჟუციაც ვერ

მოესწრო — ი.შ.), აირჩია თავისთვის, რაც მოეწონა, ხოლო დანარჩენი ფაფის მეომრებს დაუთმო. მან ჭარხ-უჭუღლებს მისცა გაეძარცვა და დაეწვა ეკლესიები, სასახლეები და კერძო სახლები, გაეწყვიტათ ან ტყვედ წაყვანათ ორივე სქესის მცხოვრებნი, როგორც დედები, ისე ბავშვები. მცხოვრებთაგან ბევრი სახ-ლებში გამაგრდა, დადგეს ბარიკადები ქუჩებში და მათი ხელით აუარებელი სპარსელი გამოესალმა წუთისოფელს. ყველა ტყვეს სპარსელები გზავნიდნენ ქალაქ გარეთ, თავიანთ ბანაკში სოფელ სოღანლუღის მახლობლად, მტკვრის პირად...

აღა-მაჰმად-ხანმა მოინახულა მეფის აბანოც, რომელიც ძალიან მოეწონა... რამოდენიმე აბაზანა მიიღო, მაგრამ რა-კი სნეულებისაგან ვერ განიკურნა, გან-რისხდა და ბრძანა მიწასთან გაესწორე-ბინათ აბანოები. განსაკუთრებული ყუ-რადღება სპარსეთის ბრძანებელმა მიაქ-ცია მეფის იარაღის სახელოსნოებს, სა-არტილერიო საწყობებს, ზარბაზნების ჩამოსასხმელ მანქანებს და სხვ. მთელი საარტილერიო მოწყობილობა მან თავის ბანაკში გაგზავნა, ხოლო შენობები უბრძანა დაენგრიათ. დაატყვევა საარ-ტილერიო საქმის რამდენიმე ოსტატი; მაგრამ მათთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია, მხოლოდ გაგზავნა ისინი ჭერ თავის ბანაკში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, თეირანში. იქვე გაისტუმ-რეს დატყვევებული მათი ოჯახები<sup>82</sup>.

დიდძალი ცნობები არსებობს იმ სა-ზარელი ამბების შესახებ, რაც აღა-მაჰმად-ხანის ავჯაკთა ბრბოებმა ჩაი-დინეს თბილისში დარჩენილი მოსახლე-ობის მიმართ, რომელმაც თავის მხრივ ქალაქში შემოჭრილი „მრავალი სპარსნი მოსწყვიტნეს“. კერძოდ, ინტერესმოკ-ლებული არ არის არტემ არარატელის მიერ საკუთარი თვალით ნახული შემზა-რავი სურათების აღწერა.

იგი კრწანისის კატასტროფის 10-12 დღის შემდეგ სიღნაღიდან თბილისში

<sup>81</sup> საბუთები საქარელოს ისტორიისათვის, თბილისი, 1960წ., ანის სერია 11,5 ტომი1, გვ. 296.

<sup>82</sup> თეიმურაზ ბატონიშვილი, „თბილისის აღება აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს“.

დაბრუნებულა. უკვე ლილოში მას ერთი ცოცხალი ადამიანი არ უნახავს. იგი წერს: „რამდენიც თბილისს ვუახლოვდებოდით, მომეტებულად ვხედავდით ყველგან დახოცილებს. მესამე დღეს საღამოზე შევედით ავლაბარში, რომელიც სპარსელებიდან სრულიად გადაწყვარა იყო. ჩვენ ვფიქრობდით გავსულიყავით მტკვარში პირდაპირ თბილისისაკენ, მაგრამ მტკვრის ზიდი ყიზილბაშებს დაეწვით უკან დაბრუნების ღროს, რომ შდევარი უკანიდან არ მოსწეოდათ. ამისათვის იძულებული შევიქენით მოგვეძებნა ღამე სადგომი ადგილი. მთელ გარეთ უბანში ვიპოვნეთ მხოლოდ ერთი სახლი, რომელიც გადარჩენოდა ყველაფრის დამდაგვ ცეცხლსა... მეორე დღეს დილას მივედით რა მტკვრის პირზე, დავინახეთ, რომ თბილისი თითქმის ყოველი მხრით ბოლავდა... მივედი თბილისში ტაფიტადის კარებიდან, მე ძლიერ შემზარდა, როდესაც დავინახე, რომ დედაკაცები და ყმაწვილები მტრისაგან თავმოკვეთილები ეყარნენ ყოველ ადგილას. ვნახე აგრეთვე აუარებელი დახოცილი კაცის გვამები. მარტო ერთს კოშკში, ჩემი ვარაუდით, ათასზე მეტი იქნებოდა... განჯის კარამდის თითქმის არავინ შეგვხვედროდა, აქ მცხოვრებთაგან, რამდენიმე ნაწვალები, მოხუცებული და მოუძღურებელი ბერიკაცის მეტი, რომელნიც ყიზილბაშებს ეწამებინათ მისთვის, რომ ეთქმევიენებინათ, სადა ჰქონდათ შენახული ფული ან რომელიმე სხვა განძეულობა. ქალაქი თითქმის სრულებით დამწვარი იყო; მაგრამ ჯერ კიდევ ბოლავდა. ჰაერი აყროლებული იყო დახოცილი ხალხისაგან, რომელნიც სიცხეში ყარდნენ და განავრცელებდნენ მავნებელს სუნსა... განჯის კარის მახლობლად, თათრის მოედანზე, ეკლესიისთან ერთი სახლი იყო, რომელიც დაწვასა და დაქცევას გადარჩენოდა. იმ სახლში დასვენება განვიზრახე და დარჩენა მეორე დღემდის, მაგრამ როდესაც შევედი, ვნახე ტიტველი კაცი, რომელიც მიწაზე ეგდო და ძლივს სუნთქავდა. ის კაცი,

ჩემი ნაცნობი გამოდგა, ის დაჭრილი იყო და ძლივს გამაგებინა, რომ რამდენიმე დღეა, რაც მშვიერია... იმან მთავარი მხარე სელებისა და ყიზილბაშების ურჯულო და შეუბრალებელი ქცევა ქალაქში. იმის სიტყვით, ჩვილ ძუძუმწოვარ ბავშვებს და მოზრდილებსაც ხელ-ფეხში ხელს წააგლებდნენ და შუაში გასჩენდნენ თითო დაკვრით, რომ ვაეგოთ კარგად უპირიდათ ხმალი თუ არა“.

მეტად უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ისტორიამ არ შემოგვინახა კრწანისის ბრძოლებში ვაეკაცობით გამორჩეულთა და გმირულად დაღუპულთა სახელები.

ამ ბედნიერ გამონაკლისში მოხვდნენ.

**ვახტანგ ბატონიშვილი** — ერეკლე მეორის ვაჟიშვილი;

**იოანე ბატონიშვილი** — ერეკლე მეორის შვილიშვილი (გიორგის-ძე). ერეკლე მეორის ერთი გადამრჩენთავანი,<sup>83</sup>;

**დავით ბატონიშვილი** — ერეკლე მეორის შვილიშვილი (გიორგის-ძე);

**ზურაბ წერეთელი** — იმერელთა მხედართმთავარი;

**იოანე მუხრანის ბატონი** — მემარცხენე სარდალი;

**ზაქარია ანდრონიკაშვილი** — ქიზიყის მოურავი, სარდალი;

**ოთარ ამილახვარი** — მემარჯვენე სარდალი;

**გიორგი გურამიშვილი** — არტილერის უფროსი („ქუმელად წოდებული).

**გაბრიელ მაიორი** — არტილერიის ოფიცერი;

**იოანე აბაშიძე** — ერეკლე მეორის ნათესავი, „დედისა კერძოთ“;

**დავით მაჩაბელი** — ერეკლე მეორის ერთერთი გადამრჩენელთავანი;

**ჯანდიერ ჯანდიერიშვილი** — ბორჩალოს მოურავი, ერეკლე მეორის ერთი გადამრჩენელთავანი;

**სინჯია ქევზა** — საქობოელი ქიზიყელი, ერეკლე მეორის ერთი გადამრჩენელთავანი;

<sup>83</sup> დავით ბატონიშვილის და მისი ძმების მიერ შეკრებილი საქართველოს ისტორიის მასალები, 1905წ. გამოცემა, გვ. 44.

გორჯახში ნათალიშვილი — ფარეშთ-ხუცესი;

მანაბელი — „მსახიობი მეფისა“;

აღალუა — თბილისის ციხის არტილერისტი;

თარაშვილი დავით — ქართველი მხედარი (მზეგრაიე).

ალა-მაჰმად-ხანის არმიის ნაწილებმა გორი-ციხივალი-ქინვალის მიდამოებამდე ილაშქრეს, მაგრამ ყველგან სრული უკაცრიელობა ხვდებოდათ, ან ქართული ლაშქრის დაქსაქსული ნაწილებისა და თითოთროლა ადგილობრივი მოსახლეობის თავგანწირულ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. არაგვის ზეობაში ირანელთა რაზმდენიმე ათასიანმა რაზმმა სერიოზული მარცხი იგემა შამშადილელ შეიარაღებულ მომთაბარებთან და თბილისისაკენ დაგვიანებით მომავალ ხევსურთა სამას კაციან რაზმთან მოულოდნელ შეტაკებაში. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ არც ერეკლე მეორე და არც ქართველი ხალხი ირანისადმი მორჩილების ფიქრსაც არ იკარებდა; ალა-მაჰმად-ხანს არც ღონე შესწევდა და არც დრო გააჩნდა ნამდვილი გამარჯვების მისაღწევად.

20 სექტემბრისათვის მან უკვე მიატოვა აოხრებული თბილისი და ნაღავლითა და დიდძალი ტყვეებით, რომელთა რიცხვი 10 ათას კაცს აღწევდა, უკან გაეშურა. სხვათაშორის მან თან წაიღო რუსეთიდან 1783 წელს ერეკლესათვის ჩამოტანილი სამეფო სამკაული და კვერთხი.

დედოფალ ეკატერინესა და მის მახლობელთ თბილისის აოხრების მნიშვნელობა, რასაკვირველია, ისე არ შეუფასებიათ. როგორც ერეკლე მეორესა და საერთოდ ქართველ ხალხს ესმოდა, და ეს არც იყო მოსალოდნელი. თვითმპყრობელობამ კარგად იცოდა, რომ თბილისის ასეთი გაუგონარი აოხრების შემდეგ ქართველების გული ირანისაკენ აღარ მიბრუნდებოდა. ასე იყო თუ ისე, ეკატერინემ ეს მოვლენაც კასპიის ზღვის სანაპიროზე თავისი გავლენის გაძლიერების საბაბად გამოიყენა.

ამავე შემოდგომაზე დაიწყო უზარმაზარი სამხედრო ექსპედიციის მზადება კასპიის ზღვის სანაპიროზე დასაპყრობად.

თბილისის აოხრებით ალა-მაჰმად-ხანმა, მართლაც, თავხედურად გაილაშქრა რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ ამიერ-კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, რომელიც 1783 წლის ტრაქტატით რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ რუსეთის კონტროლისძიებათა საფუძვლად თბილისის დაკემა როდი დაუდგია ეკატერინეს. მან მეტად ცხადად გამოთქვა კავკასიაზე ძლიერი იერიშის მიტანის საფუძვლები 1796 წლის 2 თებერვლის რესკრიპტში გრაფის ვ.ა. ზუბოვიისადმი. იგი სწერდა: „მივიყვანეთ რა სასურველ ბოლომდე ჩვენი იმპერიის საქმეები ევროპაში და სამყაროს ამ ნაწილზე განვაშტაქციეთ სარგებლიანობა ჩვენი ქვეშევრდომი ხალხებისა მტყიცედ და საიმედოდ... მოვმართავთ ახლა ყურადღებას აგრეთვე აზიის საზღვრებისაკენ“-ო. მაგრამ მას აღარ დასცალდა თავისი განზრახვების განხორციელება — 1796 წელს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. 1798 წლის 11 იანვარს კი ერეკლე მეორე გარდაიცვალა.

გიორგი მეცამეტის ხანმოკლე და საფუძვლიანად შერყეული მეფობის შემდეგ, 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო შეუერთდა რუსეთის იმპერიას და საქართველოში ირანელების გამანადგურებელი შემოსევები შეწყდა.

#### ბოლო სიტყვა

კარწანისის ბრძოლა ქართველი ლაშქრის დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ სად იყო აქ ქართველი ლაშქარი? როგორც ვთქვით, სულ რაღაც ორნახევარი წლის შემდეგ, 1798 წლის იანვარში ერეკლე მეორის ცხედრის თელავიდან მცხეთაში გადმოსვენების დღეებში 20-ათასიანმა ქართველმა ჯარმა მოიყარა თავი, თითქმის ყველა ბატონიშვილი ჩავიდა თელავში.

ამოდენა ლაშქარი რომ მოსვლყოდა

ერეკლეს კრწანისის დღეებში, მაშინ ალა-მამამად-ხანი არამც თუ აიღებდა თბლისს, იგი აქ ჰპოებდა სიკდილს, არა მძინარე, როდესაც მას პირადმა მსახურებმა მოჰყვეთეს თავი 1797 წელს, არამედ ჩვენი საყვარელი დედაქალაქის მცველ ქართველებთან პირისპირ შეჯახებისას. ერეკლეს განუდგნენ ერთი-მეორეზე გადამტერებელი, უზომოდ პატივმოყვარე ბატონიშვილები, რომელთა უმრავლესობას პატარა, მაგრამ მდიდური მეფის პოზა ჰქონდა მიღებული, და ამ პოზის შენარჩუნებისათვის ყველაფრის დაკარგვაზე მიდიოდნენ. აი ამით მიმართ უნდა ეთქვა ერეკლეს ხევსურებისადმი ნათქვამი:

„გწადიათ გამეშარყვება,  
გინდათ შემხედება ავია“

(ვაკა)


სადღა იყო ქართველი ხალხი? იგი, როგორც ვნახეთ, სრულიად დეზორიენტირებული და დეზორგანიზებული იყო. ხოლო ამ ხალხის ის ნაწილი მცირე ლაშქრის სახით, რომელსაც მოუწოდეს და გამოუძღვნენ, მოვალეობის სრული შეგნებით უღრტიენველად შეეწირა უცხოელ დამპყრობთაგან სამშობლოს დაცვის საქმეს, მათ შორის, ლეგენდარული გმირები — სამასი არაგველი.

ამავე საქმეს შეეწირა მრავალი თბილისელი მოქალაქე, იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი, რომელთაც ქალაქის ქუჩებში ბარიკადული ბრძოლა გაუმართეს ირანელ მძარცველებს.

ქართველმა ხალხმა გულისტყვილით მიიღო თავისი დედაქალაქის დაცემის ფაქტი და დიდხანს სთვლდა მას თავის ნაციონალურ ტრაგედიად. ტყვეებისა და დახოცილთა გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს აწიოკებული მოსახლეობის ნაწილი გადაძვები სნეულებისაგან, შიმშილისაგან და სიცივისაგან დაიღუპა. ბევრი ჩრდილო-კავკასიაში გადაიხვეწა; ქვეყანა ფიზიკური განადგურების გზაზე იყო დამდგარი. ამ საბედისწერო მდგომარეობიდან მას მხოლოდ ერთი გამოსავალი ჰქონდა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“—ში ერეკლეს მიერ თავის მსაჯულ სოლომონთან საუბარში ასეა განმარტებული:

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა,  
მშვიდობა ნახოს საქართველომა,  
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის  
ამოიყაროს ჭავრი სპარსეთის,  
და მხოლოდ მაშინ უქვეოდ გვრწამდეს,  
რომ ქრისტიანთ ზმა მარად ისმოდეს  
საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა  
და განისვენონ აზრდილთა მათთა!“

ქართველი ხალხი რუსეთთან მეგობრობის საიმედო „საფარმა“ იხსნა დეგრადაციისა და განადგურების საშიშროებისაგან. ქართველმა ხალხმა დიდ რუს ხალხთან ხელი-ხელჩაიკიდებულმა სამუდამოდ დაამსხვრია ფეოდალურ-კაპიტალისტური და ნაციონალური ჩავვრის ბორკილები და დღეს მასთან ერთად, ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად, წარმატებით ილწვის კომუნისმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.



გახსოვრება. „მნათობის“ მე-7 ნომრის 171-ე გვერდზე პირველი სვეტის 26-ე სტრიქონიდან (ზემოდან) წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე: „...ყარაბაღს შესუული ალა-მამამად-ხანი სათანალო ზომებს იღებდა ქართველი ბატონიშვილების ერთი-მეორეზე წასაყიდებლად“, და შემდეგ როგორც ტექსტშია.

ნინო ზაბიძე

## ჩვენი ავთანდილი

მოკონება პაოლო იაშვილზე

არის ერთი ძველი ქართული ანდაზა: ჩიტი სადაც დაიბადება, იმის ბაღდადიც იქ არისო. ჩემი ბაღდადი თელავი იყო, მე აქ გავიზარდე, სკოლაც აქ დავამთავრე — ესწავლობდი წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში, ვცხოვრობდი ამავე სასწავლებლის პანსიონში. იმ წლებიდანვე სამუდამოდ აღიბეჭდა ზსოვნაში განუმეორებელი სილამაზე თელავისა და ალაზნის ველისა, რომელსაც ქალაქი გადასცქერის; ეს ველი მართლაც წალკოტსა ჰგავს; მდინარის მარჯვენა ნაპირი მთლიანად დაფარულია ბაღებით, მათს იქით უღრანი ტყეები იწყება, იმ ტყეში ხეთა შორის ვერცხლივით ლაპლაპებს ალაზანი, და კიდევ იქით — მარადი თოვლით მოსილი კავკასიონის მწვერვალებია. განსაცვიფრებელია ფერთა თამაში ამ ველზე — წვიმის შემდეგ კავკასიონის თეთრ მწვერვალებს ლურჯი თუ იისფერი ედებოდათ და ეს ფერისცვალება საოცრად ეხშიანებოდა ალაზნის ველის სიმწვანეს, ჰქმნიდა რაღაც სიზმარეულ სანახაობას. უფრო საოცარი იყო ალაზნის ველი. როცა მას ნისლი ეფარა — ილუზია ისეთი იყო, თითქოს რომელიღაც ფანტასტიკურ ზღვას ვასცქეროდი, მერე აიყრებოდა ნისლი და გამობრწყინდებოდა ალაზნის ველი — სავსე ყვავილებით, ფერებით, აზმატრებული ფრინველებით, ქვეყანას ქრიაშულით რომ ავსებდნენ.

მე და ჩემი ამხანაგები მაშინ ახალგაზრდები ვიყავით და ყოველივე ეს ჩვენთვის მომზიბელელი პოეზია იყო;

ალაზნის ველს ისე გავცქეროდით, თითქოს გკითხულობდით ილიას ლექსებს, სადაც ყვარლის მთები და აჭარის ლურჯი ციცი ესოდენ ჯადოსნური და მკვეთრი ფერებით არის გადახატული; გავცქეროდით ამ საოცარ ცასა თუ მიწას და ვინსენებლით ვახტანგ ორბელიანის სტრიქონებს: „ალარ მეღირსა, მშვენიერო ჩემო კახეთო, რომ გომბორის მთით შენს მშვენებას კვლავ გადმოვხედო, დავეშვა დაბლა, შენს ფერდობებს ჩამოვუარო და იმათ ჩრდილში განვიცვენო და განვიხარო“.

ყოველივე ეს იმიტომ გავიხსენე, რომ აღმენიშნა — ჩვენ მაშინვე პოეზიის სამყაროში ვცხოვრობდით, თითქოს პაერში მიმოფრქვეული იყო ეს ეშხი და მადლი პოეტური სიტყვისა და გასაგებია, რომ პირადად მე გადაციცებით ვადვენებდი თვალს რა ხდებოდა იმ დროის ქართულ პოეზიაში. მძიმე დრო იყო, პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლები, ქვეყანას უჭირდა და გეიჭირდა ჩვენც, მაგრამ ხომ მოგესხენებათ, ახალგაზრდულ ასაკს თავისი გააქვს — ძნელია მას გზა გადაუეტო სილამაზის სამყაროსაკენ; ჩვენც ეს სამყარო პოეზიის სფეროში გვეგულეებოდა.

ჩვენს პანსიონს მშვენიერი აივანი ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ ვზივარ ამ აივანზე და გაზეთ „კავკასს“ ვათვალიერებ; ახალ ამბავთა შორის ჩემი ყურადღება ერთმა ცნობამ მიიპყრო — გაზეთი იუწყებოდა, რომ ქუთაისში გამოვიდა ახალი ქურნალი „ცისფერი ყანწები“. ახლაც არ ვიცი და ვერ ამიხსნია რატომ



ამაღლევა ამ ამბავმა — გამოაცა ჯერ ეურნალის სათაურმა და საშინლად დამინტერესა; გადავწყვიტე აუცილებლად მეშვნა და წამეკითხა იგი, მაგრამ დიდხანს ვერ მოვახერხე ეს — პანსიონიდან ჩვენ გარეთ არ გვიშვებდნენ.

მაგრამ ზოგი ქირი მარგებელია, რომ ამბობენ, მეც ისე დამეშართა. იმ ხანებში ავად გავხდი და ჩვენი კლასის დამრიგებელმა („კლასნიკი დამამ“ — როგორც მაშინ ეძახდნენ) მარია ვასილიენა იპოლიტოვამ ექიმთან წამიყვანა. თელაველი ექიმი ბაბო ტყავაძე ულამაზესი ქალი იყო, გრძელ ნაწნავებს ატარებდა და მთელ კახეთში განთქმული ჰქონდა სახელი, როგორც შესანიშნავი მკურნალს. აი, მივედი მასთან, მსინჯავს ბაბო; ამ დროს უცებ მის საწერ მაგიდაზე ეურნალ „ცისფერი ყანწები“ მოვკარი თვალი. წამოვხტი და ეურნალს ვეცი; ბაბოს ეწყინა და გამიწყარა.

მე კი სიხარულისაგან აღარაფერი მახსოვს და ექიმს ვეხვეწები:

— ქალბატონო ბაბო, ოღონდ ეს ეურნალი მათხოვეთ...

ექიმი მოლბა და ეურნალი გადმომაწოდა. მარია ვასილიენამ ჩამომართვა და საგულდაგულოდ დაუწყო ფურცლა, მაგრამ როცა დაინახა, რომ ქართული ეურნალი იყო, ტყავაძეს კითხვაზე გადახედა — შეიძლება თუ არა დაგროთ ნება წაიკითხოსო, იმანაც გაუცინა და უთხრა:

— დაე იკითხოს, მარია ვასილიენამ ახალგაზრდა პოეტების ლექსებია მასში სიყვარულზე, სიცოცხლეზე...

„სიყვარულის“ ხსენებაზე „კლასნიკი დამამ“, ცოცხალი იყო, შეშფოთდა, მაგრამ მაინც ხელი ჩაიქნია, — ოღონდ გამაფრთხილა — ეურნალი დროზე დაუბრუნე პატრონს და სხვას ნუ წააკითხებო!

წამოვიღე „ცისფერი ყანწები“, მთელი დამე ვიკითხე, ძილი დამეკარგა, ვკითხულობდი და ისევ ვუბრუნდებოდი წაკითხულს; აი მაშინ, შორიდან პირველად გავეცანი დაუვიწყარ პაოლოს,

ჩემს ტიციანს; მათს ნაწერებში ბევრი რამ ჯერ კიდევ არ მესმოდა. მსჯობს უცნაური ძალით მიზიდავდა და უნატიკობადი მენახა ეს ახალგაზრდა პოეტები, რომელნიც ამდენ რამეს ჰპირდებოდნენ მკითხველს.

დავამთავრე თუ არა თელავის სასწავლებელი, თბილისისაკენ გამოვეშურე. ერთხელ მე და ჩემმა მეგობარმა ქალმა თამარ ანდრონიკაშვილმა რუსთაველის პროსპექტზე აფიშაზე წავიკითხეთ, რომ იგორ სევერიანინის საღამო ეწყობოდა. მაშინვე ვიყიდეთ ბილეთები, სევერიანინის ლექსები — ჩვეთვის ახალი ხილი იყო, მითუმეტეს, რომ პირველსავე ლექსს, რომელიც მან იმ საღამოს წაიკითხა ეწოდებოდა „ანანასი შამანიური“. ლექსები მუსიკალური იყო. პოეტიც მათ რაღაც წამღერებით კითხულობდა, მაგრამ არც ჩემზე და არც თამარზე იმ საღამოს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ლექსები მეტისმეტად მსუბუქი იყო თითქოს ზედმეტად გალაქული თუ გაპრიალებული. ზედაპირზე მოსრიალე. იმავე ხანებში ვერტინისკის კონცერტს დავესწარი — მომღერალი პიეროს კოსტუმით გამოვიდა სცენაზე, სახეზე პუდრი უხვად შეეყარა და ხშირი, შავი თმებიც შუაზე გაყოფილი ჰქონდა. აღარც ეს მოგვეწონა, ყველაფერი ეს არ ჰგავდა ნამდვილ, დიდ ხელოვნებას, იგრძნობოდა რაღაც გადაჭარბებული პრანქიობა, სურვილი იმისა, რომ რაღაც არ უნდა დასჯდომოდან, პოეტიც და მომღერალიც ცდილობდნენ დამსწრეთათვის თავი მოეწონებინათ და გრძნობდით, რომ ყოველი მათი ექსტი თუ მოძრაობა ტაშისაკენ იყო გამოჩნული. ამიტომ აღარ იგრძნობოდა ის გულწრფელობა და უშუალოება, რომელიც ესოდენ აუცილებელია ქეშმარიტი ხელოვნებისათვის.

ბოლოს, როგორც იყო, მოვხვდი ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც ცისფერყანწელებმა მოაწყვეს. ეს იყო კონსერვატორიის დარბაზში. მე და თა-

მარი მოუთმენლად მოველოდით ფარდის ახლას; დაიწყო საღამოც: სცენაზე მაგიდასთან სხედან პოეტები და ყველას წინ წითელი ღვინით სავსე ჭიქა უდგას. შუაში ზის პაოლო იაშვილი, წითელი ქულაჯა აცვია; ყველას თვალს სტაცებს მისი ვაჟკაცური შესახედაობა და ცეცხლოვანი თვალები. მის გვერდით იჭდა ვალერიან გაფრინდამშვილი, ხუჭუჭა თმით და ჭკვიანი, თითქოს გამომცდელი გამომხდელი; აქვე იყო ლელი ჯაფარიძე — მას ცისფერი ხალათი ეცვა და ბანტი ეკეთა, რაც იმდროინდელი მოდის მეტად გაბედული დარღვევა თუ უკუგდება იყო; აქვე იყო შალვა კარმელი, ფერმიხილი ქაბუკი, ნალვლიანი თვალებით. ტიციანი საღამოს არ ესწრებოდა, ის იმ ხანებში მოსკოვში იყო წასული.

საღამო გახსნა პაოლო იაშვილმა; მანვე პირველმა დაიწყო ლექსების კითხვა; კითხულობდა შესანიშნავად, დიდი ტემპერამენტით და კითხვის დროს პირდაპირ პლასტიკურად გამოიკვეთებოდა რიტმი ლექსისა. როცა ის კითხულობდა ლექსს „ფარშევანგები ქალაქში“, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს დარბაზში შემოფრინდნენ ვეება ფრინველები და ნელად არხვედნენ თავიანთ ფრთებს ჩვენს ზემოთ. ვალერიანმა წაიკითხა ლექსები ოფელიაზე, შემდეგ ლელი ჯაფარიძე წამლერებით კითხულობდა თავის ლექსს „მატარებლიდან“:

როინა,  
სეირი,  
აქამეთი,  
აუ, ყვირილს!

ნუ თუ ამ ქალმა ჩემი გული აავეირილა.

და შემდეგ რიხიანად დაამთავრა:  
ღინ, ღარი — დან  
ღინ, რეზე — დან  
ო, ჩქარა, მემანქანე, ნუ გვიანდები!  
ფიქრიან ტყვეში მაშინებენ ავი ლანდები.

დარბაზში მყოფთაგან ბევრი აღშფოთებით ხვდებოდა ამ ლექსებს, იყო წამოძახილები, მწარე რეპლიკები, მაგრამ პოეტებს ეს არ აღელვებდათ — ბევრ თანამგონობელსაც ხედავდნენ დარბაზ-

ში; ჩვენ, ახალგაზრდები, მათს მხარეს ვიყავით და ეს ამხნევებდა ყოველ მათგანს.

**გენერალთა**

მე და თამარი საამოდ აღელვებულნი და მოხიბლულნი დაებრუნდით იმ დამით შინ. უცნაური გრძობა გვექონდა: სულ გვეშინოდა, რომ ვიღაც ვაჟთაგანს ამ საოცარ განცდას, რომელმაც სულში გაიღვიძა. მშვენიერი თბილისური ღამე იყო, მთვარიანი, ვარსკვლავებით მოჭედული. ჩვენ იმ ღამეს ვეღარ დავიძინეთ.

მალე გავეცანი ცისფერყანწულებს და დავუშვებობდი მათ. პაოლომ ერთხელ მითხრა, რომ ჩემთვისა და ტიციანისათვის ის ნამდვილი ავთანდილი იქნებოდა, მისებრ მეგობრობას ვაგვიწვედა; და მართლაც, როგორც მკითხველი შემდგომში დაინახავს, ეს ასეც იყო; ამ შესანიშნავ ქართველ ვაჟკაცზე ზედგამოჭრილი იყო ავთანდილის სიტყვები:

• მე იგი ვარ, ვინ სოფელსა.  
არ ამოვარეუ კორაღ ბერად,  
ვის სიკვდილი მოყვრისათვის,  
თამაშად და მიხამს მღერად.

ვიდრე უშუალოდ პაოლოს ავთანდილობაზე გადავიდოდე, მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა მის პირველ ლექსებზე, იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც ამ ლექსებმა მოახდინეს. მინდა თავიდანვე აღვნიშნო, რომ პაოლო თითონ პოეზია იყო, მუდამ მფეთქავი, გაღვიძებული, მჩქეფარე და დაუცხრომელი. მისი ლირიკა — ხშიერი, ვაჟკაცური და მღელვარეა, პოეტის სიტყვითვე რომ ვთქვათ, მისი ლექსი იწყება ისე, თითქოს ბალში ქარიშხალი ამოვარდაო („ბალის ამბავი“); „როგორც აფრის ტყაცუნი, მოვარდნილი ზღვიდან, ისეთი ვაჟკაცური გაქროლება მინდა,“ ამბობს ის მეორე ლექსში და თქვენ მის პოეზიაში გესმით ეს ქარიშხლისებური ხმაური, დაუცხრომელი და ძლიერი მაჭისცემა.

პაოლო იაშვილი, როგორც აცნობილია, პარიზში ყოფნის წლებშივე გაიტაცა სიმბოლიზმმა და სამშობლოში დაბრუნებისთანავე სათავეში ჩაუდგა

„ცისფერ ყანწებს“, მაგრამ აქ ერთი რამ მინდა ვთქვა: სიმბოლოზში, თავისი ესთეტიკური მრწამსის მიხედვით, ლამის ფერების და მწუხრის მიზნადილი საგალობლების განწყობილებებს მოითხოვდა, პაოლოს ლექსი კი მზითა და თვალისმომკრელი სინათლით, მზიარული ფერების ბრწყინვით იყო საცხე; სიმბოლოზში სიკვდილსა და მიღმა სამყაროს შესტრფოდა, პაოლოს ლექსის ყოველი სტრიქონი კი გაღვივებულ სიციცხლესა და მის ქორფა ყლორტებს შეხაროდა; სიმბოლოზში ამოთა ამოებად თვლიდა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას და პოეტისაგან პასიურ ჰერეტას მოითხოვდა; პაოლო კი მუდამ საქვეყნო საქმით იყო გართული, მუდამ მოწინავე მოქალაქე იყო; სიმბოლოზში პესნიშმსა და სეედას მოითხოვდა, პაოლო კი სიხარულის, იმედის, სიყვარულის პოეტი იყო, ლალი ოპტიმიზმის მახარობელი იყო, მხნე, ვაქცატური სულის ადამიანი; და განა ცხადი არ არის, რომ ასეთი ვნებანი სიყვარული ბუნებისა და სიციცხლისადმი საფუძველშივე უპირისპირდება ყოველივე იმას, რასაც სიმბოლოზმის ესთეტიკა მოითხოვდა! სწორედ იმ ხანებში, როცა პაოლო იაშვილი „ცისფერი ყანწების“ მანიფესტს წერდა, დაიბეჭდა მისი ლექსი „სონეტი ელლის“, რომელშიაც კეთილბუნობა:

ყუავილებია ჩემს გარშემო! მისი მინდა,  
ჩემო ბაღებო, აყუავილით, იმხიარულეთ!  
გაზაღბულის დღე, შეხვედრის დღე ზომ  
დაკობრუნდა!  
იციოზოს ვეღამ სახალისით და  
სიყვარულით  
და ამ ბუნების მე მანამდე ვარ გადამკიდე,  
სანამ იმელი დამპირდება, რომ განახავ  
კიდევ!

სადაური სიმბოლოზშია ეს! პირიქით, ესაა ის ქანსალი და წრფელი, სიხარულისა და სიმხნევის მომნიჭებელი, მონიბღლელი ლირიზმი, რომელიც ქართულ პოეზიაში მეტყარამეტე საუკუნის კლასიკოსებმა დაამკვიდრეს. ამიტომ საესებით მართალი იყო გერონტი ქიქოძე, როცა აღნიშნავდა: „არც პაოლო

იაშვილის გარეგნობაში, არც მის სულში არაფერი იყო დეკადენტური; გვეცხნეს ბოდათ, ის სიმბოლოსტურს და დეკადენტურს პოეზიის სკოლას უფრო თავით მიეჭრო, ვიდრე გულით“.

პაოლო, როგორც პოეტი და როგორც ადამიანი, მუდამ მთლიანი იყო, მუდამ მოზეიმე სიციცხლით საცხე, სიხარულისა და აღტაცების მომგვრელი ყველასათვის.

\* \* \*

რევოლუციის წინა წლები იყო.

იმდროინდელი თბილისის ბაზართა შორის ყველაზე ატრელებული, მოხმარე და მრავალფეროვანი შაითან-ბაზარი იყო. რა ხალხს არ შეხვედებოდიოთ აქ, საიდან სად ჩამოსულებს, რა ეგზოტიკურ საქონელს თუ ხილს არ წააწყდებოდიოთ! აქ უღმერთოდ არეულიყვენ ერთი-მეორეში ევროპაც და აზიაც, დასავლეთიც და აღმოსავლეთიც... ეს ქრელი, მოზიშიმე ბაზარი მუდამ თეატრავით უცხო და საინტერესო სანახავი იყო. ჩვენი პოეტებიც ხშირად მიდიოდნენ იქ და მეც მივყავდიოთ.

იმ დღეს, როცა ტიციანმა და პაოლომ შაითან-ბაზარში წამიყვანეს, აქლემების ქარავანი ჩამოყვანათ თბილისში, არ მახსოვს, რა ტვირთით. დიდხანს დავყოვნდიოთ იჭაურობის თვალერებაში; პაოლო სულ გვაჩქარებდა — წავიდეთო, ბოლოს ტიციანს უთხრა, თუ სად იქნებოდა და დაგვიკილა. ჩვენ კიდევ კარგა ხანს ვიარეთ ბაზარში, ტიციანმა განჯიდან ჩამოტანილი ვეება ბროწეულები იყიდა და მერე მითხრა, ჩვენც დროა წავიდეთ, ამხანაგები გვიცილიანო. წამოვედიოთ და კაფე „ინტერნაციონალში“ შევედიოთ. იმავე წუთს შემოგვესმა წამოძახილები: „პიერო და კოლომბინა მოვიდნენო“. ვერ გავიგე, რაში იყო საქმე და ვერ მივხვდი, რატომ მოგვანათლეს ამ სახელებით. უცებ პაოლო წამოდგა, ესტრადაზე ავიდა და ეს სტრიქონები წაიკითხა:

მოხეტიალე პიერო  
სნეული აგვიტირდება,  
და ნუგეშს სამაგიეროს.  
ვერავინ ვერ დაჰპირდება.  
სადმე შაითან-ბაზარში,  
მოსძებნის მყუდრო ბინას,  
შეიყვანს, როგორც ტაბაში,  
ფერწასულ კოლომბინას.

წაიკითხა თუ არა, ეს ექსპრომტი პა-  
ოლომ მე გადმომცა. ლექსი პაპიროსის  
კოლოფზე იყო დაწერილი. თურმე  
ჩვენს მოსვლამდე ეთქვა იქ მყოფთათ-  
ვის — ტიცინი და ნინო ვერაფრით  
ვერ მოვაშორე შაითან-ბაზარსო და ეს  
ექსპრომტიც იმ ამბის გამოძახილი იყო.

ამ ექსპრომტის ქვეტექსტი რომ უფ-  
რო გასაგები იყოს დღევანდელი მკი-  
თხველისათვის, აქ კიდევ ერთი რამ უნ-  
და აღვნიშნო: საერთოდ, მკითხველს შე-  
მჩნეული ექნება, რომ ჩვენი პოეტების  
იმდროინდელ ლექსებში მეტად ხშირად  
ისმის ეს სახელები: არლეკინი, პიერო,  
კოლომბინა, პულჩინელო და ა. შ. ეს  
დამახასიათებელი იყო არა მარტო ქა-  
რთული, არამედ რუსული სიმბოლი-  
ზმისათვისაც. ვაიხსენეთ ალ. ბლოკის  
„ორეული“ („აჰა, შენ ჩემი სიმღერა,  
კოლომბინა“); ტიცინ ტაბაძის „ქალ-  
დეას ბალაგანშიც“, „პიეროშიც“ და  
სხვა ლექსებშიც ხშირად ისმის ეს სა-  
ხელები; ამაზეა აგებული პაოლოს ექს-  
პრომტიც, რომელიც ზემოთ მოვიყვა-  
ნე. ამიტომ ორიოდ სიტყვა მინდა  
ვთქვა იმაზე, თუ საიდან გაჩნდა ეს სა-  
ხელები ქართულ პოეზიაში. მით უმე-  
ტეს ამას აქვს ერთგვარი მნიშვნელობა  
ქართველი სიმბოლისტების ლიტერატუ-  
რული მრწამსის დასახასიათებლად, და,  
მავსადაამე, მეოცე საუკუნის ქართული  
ლიტერატურის ისტორიისათვის; კო-  
ლომბინა, არლეკინი, პიერო—ძველი  
ფრანგული და იტალიური ხალხური  
„ნიღბების კომედიის“ („კომედია დელ  
არტე“) ტრადიციული პერსონაჟები  
იყო; ეს იყო ხალხური საწყისები იტალი-  
ის გვიანი აღორძინების თეატრში, რომე-  
ლიც შეიცავდა ნიღბებს, აქტიორულ  
იმპროვიზაციას, ბუფონადას და ყოვე-  
ლივე ამას ჰქონდა ფოლკლორული ფეს-

ვები; ერთი სიტყვით, ეს იყო რაღაც  
ჩვენებური ბერიკაობისა, დღე ყვენების  
მსგავსი სანახაობა. ჩვეულებრივ სიმე-  
დიურ სიტუაციებში არლეკინი — ენა-  
მწარე დამცინავი და მოხეტიალეა, გო-  
ნებაშახვილობით აღსავსე, პიერო —  
მისი დანავსული და კვიმატიანი თანამ-  
გზავრი და განუშორებელი ამხანაგი, კო-  
ლომბინა კი — პიეროს ცოლია. ყველა  
ისინი, როგორც ხალხური პერსონაჟები,  
დაკავშირებულნი იყვნენ ხალხურ დღე-  
ობებთან, ბაზრობებთან, ზეიმებთან და  
ერთგვარად გამოხატავდნენ პროტესტს  
ყოველგვარი ოფიციალურის, კლასი-  
კურის, დამკვიდრებულისა და საერთო  
გემოვნებით დაკანონებულის წინა-  
აღმდეგ. მე მგონია, სწორედ ამიტომ  
მოხდა, რომ სიმბოლისტებმა, რომლე-  
ბიც აცხადებდნენ ძველი გემოვნების  
ნორმებს ვარღვევით, ხელი ჩასჭიდეს  
სწორედ ამ პროტესტანტებს, რომლე-  
ბიც მასხარად იგდებდნენ ზვიად და  
ამაყ ძველ საწყაროს. საერთოდ-კი, ესეც  
გატაცება იყო დასავლური სახეებით  
და ნიღბებით, რომელიც ესოდენ დამა-  
ხასიათებელი იყო ჩვენი ყანწულების  
შემოქმედებისათვის პირველ ხანებში,  
და მთელი ამბავიც, რომელიც ზემოთ  
მოვიყვანე, იმას მოწმობს, რომ პაოლოს  
და ტიცინის სურდათ ყოფაშიც გადა-  
ეტანათ თავიანთი ლიტერატურული ვა-  
ტაცებანი.

საერთოდ, პაოლო იყო განსაცვი-  
ფრებელი იმპროვიზატორი და ბრწყინ-  
ვალე ოსტატი ექსპრომტისა. ექსპრო-  
მტებს ის წარმოთქვამდა როგორც  
ქართულ, ისე რუსულ ენებზე. პირვე-  
ლი ომის ბოლო წლებში თბილისში  
გაბსნილი იყო ერთი საჩაიე, რომლის  
ნთელი შემოსავალი გადადებული  
იყო ფრონტზე დაქრილი ქართველი  
ჯარისკაცების სასარგებლოდ. აქ, ამ სა-  
ჩაიეში, თავს იყრიდა მთელი ჩვენი  
ინტელიგენცია, აქ მოდიოდა მოქანდა-  
კე იაკობ ნიკოლაძე, მხატვრები—ლა-  
დო გუდიაშვილი, ლიტო შევარდნაძე,  
დავით კაკაბაძე, რეჟისორები—სანდრო  
ახმეტელი და ალ. წუწუნავა, ახალგა-

ზრდა მსახიობები—ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე და მრავალი სხვები. და, რა თქმა უნდა, ქართველი პოეტები მუდამ აქ იყვნენ. კვირის ყოველი დღე განაწილებული იყო და ყოველ დღეს თავისი მორიგე დიასახლისი ჰყავდა. ამ მორიგე დიასახლისთა შორის იყო მომხიბვლელი ქალი ქეთუსია მესხიშვილი. სახელგანთქმული ქართველი იურისტის— შალვა მესხიშვილის ცოლი. ქეთუსიას მორიგეობის დღე ხუთშაბათი იყო, ამიტომ პაოლო მას „ხუთშაბათის დედოფალს“ ეძახდა. პაოლოს საერთოდ ქეთუსია ძლიერ მოსწონდა. და აი, ერთ დღეს მას ასეთი ექსპრომტი მიუძღვნა:

Переменчива судьба  
И изменчив этот свет.  
Вы теперь жена министра,  
Я влюбленный в Вас поэт.  
Я забыл, забыл ненастье,  
Улыбается серьга,  
Четверги дают мне счастье,  
Вы царица четверга.

მომდევნო ორ ხუთშაბათს ქეთუსია ავად იყო, და საჩაიემ უდიასახლისოდ ძლიერ მოიწყინა. როცა ქეთუსია დაბრუნდა, პაოლომ კვლავ ახალი ექსპრომტი უძღვნა:

Два четверга ходил без цели  
И одиноким приходил,  
И только где-то тихо пели  
Благоухания кадил.  
И только раз мельком с трамвая,  
Улыбку бросили Вы мне  
И даже нежность горнистая  
Ласкалась в тишине.

პაოლოს ეს ექსპრომტები არსად გამოქვეყნებული არ არის, ისინი ერთგვარად შუქს ჰგვენენ იმდროინდელ ლიტერატურულ ატმოსფეროს, თუ ყოფას და, მე მგონია, ამიტომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყვნენ.

ფუტურისზმიც იმ არეულ-დარეულ დროს, რევოლუციის წინა წლებში წარმოიშვა. რუსთაველის პროსპექტზე ფუტურისტმა ძმებმა ილია და კირილე ზდანევიჩებმა გახსნეს ე. წ. „ფანტასტიკური კაბაჩოკი“. აქ ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები, რომლებსაც,

ქართველ და რუს პოეტებსა და მხატვრებს გარდა, ხშირად ესწრებოდნენ ახალგაზრდა რევოლუციონერები— ბესო ლომინაძე და არჩილ მიქაბერიძე. ხშირად ნახავდით ფუტურისტ კრუჩიონიხს, რომელიც თავის „ორიგინალურ მსოფლმხედველობას“ იმით გამოხატავდა, რომ წაბლს მაკრატლით ფაქვენოდა და, ამას გარდა, ფერადი ქილაღებებისა და ჩითების ნაჭრების კოლექციას იღვენდა, თან ამტყიცებდა— პოეზიაში ამ გზით ახალი პორიზონტების გახსნა შეიძლებაო. აქვე ხშირად დიანახავდით ახალგაზრდა ვერიკო ანჯაფარიძეს, რომელსაც მწვანე კოფთა ეცვა და ქუდზეც კაკაღუს მწვანე ფრთა ეკეთა. აქვე იყვნენ იმდროინდელი პოეტი ქალები— ტატიანა ვერორკა და ნინა ლაზარევა; საღამოების განუწყრელი სტუმარი იყო სომეხი მწერალი ყარა-დერვიში, რომელიც თავის ლექსებს თავისივე ფულით ბეჭდავდა და გასაგრცვლებლად აძლევდა ვიღაც სათვალეებიან კაცს, რომელსაც ავლაბრის პულჩინელის ეძახდა. თვითონ ყარა-დერვიში საოცრად კარგი ადამიანი იყო, ძალზე გულუბრყვილო და ყველას მოყვარული. მას ძლიერ უნდოდა, რომ მისთვის ფუტურისტი დაეძახნათ, თუმცა ამ მიმართულებასთან მაინც და მაინც ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთხელ, როცა საღამოზე ილია ზდანევიჩი არ გამოცხადდა, სხდომა ყარა-დერვიშმა გახსნა და განაცხადა, რომ აქ წარმოგზავნილია ვირების ქარავნის მიერ. ასეთი ექსცენტრიკული გამოსვლები მაშინ, ასე ვთქვათ, მოდაში იყო და ამიტომ არავის უკვირდა.

„ფანტასტიკურ კაბაჩოკში“ ერთი საღამო ველემირ ხლენიკოვის შემოქმედებას მიეძღვნა; კითხულობდნენ მის „ზაუმურ“ ლექსებს. გამოვიდა პაოლოც, წაიკითხა ყოველად უცნაური რამ, ზაუმზე ყურმიჩვეულებსაც რომ გაუკვირდათ; პაოლომ განაცხადა, რომ ეს არის ხლენიკოვის დაუბეჭდავი ლექსი; საოცარი წარმატება ხვდა, ტაშით

აიკლეს იქაურობა; ჩვენ კი სიცილით ვკვდებოდით, ვინაიდან ვიცოდით, რომ ეს იყო პაოლოს მორიგი მისტიფიკაცია; „ხლებნიკოვის ლექსი“ მან ჩვენს თვალწინ დაწერა. მახსოვს, იმავე საღამოს, ვრცელი სიტყვით გამოვიდა ბესო ლომინაძე—დიდხანს ილაპარაკა ლიტერატურულ დეკადანსზე, აღნიშნა, რომ „ზაუმურ პოეზიას“ ჩვენში არავითარი ნიადაგი არა აქვს; იქ დამსწრეთაგან ბესოს ბევრი შეეკამათა და საღამო კინალამ ჩხუბით დამთავრდა.

დაახლოებით იმავე ხანებში ახალგაზრდა მწერალმა ქალმა ანა ანტონოვისკიამ (შემდგომში ცნობილი რომანის „გიორგი სააკაძის“ ავტორი) თბილისში დააარსა ჟურნალი „არს“ („ხელოვნება“). აქ იბეჭდებოდა სერგეი გოროდეცის, ტატიანა ვეჩორკას, ნინა ლაზარევის, ტიციანის, პაოლოს ლექსები; რედაქციაშივე ეწყობოდა საინტერესო ლიტერატურული საღამოები: კითხულობდნენ და იხილავდნენ ლექსებს; ამ ჟურნალში დაიბეჭდა პაოლოს ლექსი, ჩემდამი მომდევნო, ლექსი რუსულ ენაზე სერგეი გოროდეციმ თარგმნა:

С нами тайно сроднилась сестра  
Коломбина,  
Зажигает за нас свечи в Ванском  
соборе,  
Алый цвет ослепляет нас, как паутина  
С нами тайно сроднилась сестра  
Коломбина.  
Мы боимся увидеть сестру нашу в горе,  
Черным цветом покрылась нашей  
скорби долина,  
За нее зажигаем мы свечи в соборе.

ეს ლექსი პაოლომ კონსერვატორიაში მოწყობილ საღამოზე წაიკითხა; საღამოს შემდეგ ქუჩაზე გამოვედით ფული არავის ჰქონდა, მასწავლა, ვერსად ვერ წავიდოდით. მაშინ პაოლომ იყიდა თონის ცხელი პური და კიტრის მწვინილი; რუსთაველის პროსპექტზე სუფრის მაგიერ ვაზეთი ვაშალა, დავსხედით და ვაზშობა დავიწყეთ. პოეტები კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს და თერებოდნენ უღვინოდ. გამვლენი ჩერდებოდნენ, უსმენდნენ ლექსებს, ხან

თავიანთ შენიშვნებს გამოსთქვამდნენ, გვიანობამდე ვისხედით ასე—ესევე პაოლოს მოწადინება იყო—ლექსი მისი ჩებზე და მოედინებზე უნდა გავიტანოთ, აუდიტორიაც უფრო ფართო გვინდა, მარტო დაკეტილი დარბაზები აღარა გვეყოფნისო.

\* \* \*

როგორც მოგეხსენებათ, სამოქალაქო ომის წლებში, ცხოვრების პირობები მეტად მძიმე იყო; განსაკუთრებით გავიჭირდა ცხოვრება 1918—1919 წლებში. ყოველივე ამან ძალზე ცუდი ზეგავლენა მოახდინა ჩემს ჯანმრთელობაზე—ქლეტით გავხდი ავად, პაოლო, რომელსაც ესოდენ ნაზი და რაინდული სიყვარულით უყვარდა ტიციანი, სულ იმას ედილობდა ენუგეშებინა თავისი მეგობარი, ეუბნებოდა, რომ ეს საშიში არ არის, რომ ყველაფერი კარგად და ბედნიერად დამთავრდება; გარდა ამისა, რას არ აკეთებდა პაოლო, რომ ჩემი მდგომარეობა შეემსუბუქებინა—ყოველდღე ყვავილებით ავსებდა ჩემს ოთახს. როცა მწარე წამლის დაღვევა გამიჭირდებოდა, სვამდა წამალს ჩემთან ერთად და ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩემი ხვედრი შეემსუბუქებინა.

იმ ხანებში, როგორც იყო, მოახერხეს და აბასთუმანში სამკურნალოდ გამგზავნეს. ტიციანი და პაოლო თან წამომყვნენ. ხაშურში პაოლო მარტო რებლიდან ჩამოვიდა და გვითხრა, ხვალ დილით აბასთუმანში ვიქნებით. მართლაც, ის დანიშნულ დროს ამოვიდა და თან ვალერიან გაფრინდაშვილიც ამოიყვანა. საღამოთი ოთახში, სადაც ისინი დაბინავდნენ, თავი მოიყარეს იქ მყოფმა ავადმყოფებმა. პოეტებმა დაიწყეს ლექსების კითხვა, და ამ იმპროვიზებულმა ლიტერატურულმა საღამომ ავადმყოფებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩემი მდგომარეობა მძიმე იყო. იმ ხანებში ამას ისიც დაერთო, რომ თავი



მოიკლა ჩემმა ძმამ, რომელიც ძლიერ მიყვარდა. პაოლომ იცოდა, რომ ამ ამბის გაგება ჩემთვის მომავლდინებელი დარტყმა იქნებოდა. ამიტომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ამბავი არ შემეტყო. როცა ჩემს ძმას თბილისიდან თელავში მიასვენებდნენ, თურმე პაოლო გავიდა სადგურზე, ინახულა დედაჩემი და ანუგეშა მწუხარე ქალი თუ კი მისთვის რაიმე ნუგეშისცემა შეიძლებოდა. პაოლომ უთხრა დედაჩემს—მე შენი შვილი ვარ, შენი ნინოს ძმა ვარ და მუდამ შენიანთა შორის მიგულეო. დედა სადგურზე ატირებულებიყო, ჩაებუტებინა გულში პაოლო და ცრემლი დაეფრქვია ამ კეთილშობილი ჰაბუკის მკერდზე. დიდი და კეთილი გული ჰქონდა პაოლოს, უძირო იყო მისი სული, საესე მოძმის, ადამიანის სიყვარულით.

ადამიანებისადმი სიყვარულში მან არ იცოდა ზომა: დაივიწყებდა თავის თავს, დაივიწყებდა ყველაფერს, ოღონდ განსაცდელსა თუ გაჭირვებაში მყოფისათვის ხელი გაეწვდინა, ცრემლი შეეშრო. მახსოვს, გადმოხვეწილი სომეხი გოგონები—ატლასა და აშენა; პაოლო უკანასკნელ კაპიებს არ იშურებდა მათთვის, და ისინიც, როგორც შშობელ მამასა, თუ უფროსს ძმას, გვერდიდან აღარ შორდებოდნენ.

ამრიგად, პაოლო მთლიანი იყო, როგორც პოეტი და როგორც ადამიანი. მაღალი ჰუმანიზმი, სიყვარული უბრალო ადამიანისადმი, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მისი შემოქმედება, ამავე დროს მისი ცხოვრების ნორმა იყო. პაოლო იაშვილს აქვს ერთი მშვენიერი მოთხრობა „ფერადი ბუშტები“. მასში აღწერილი არიან ე. წ. ფსკერის ადამიანები, პარიზისა და თბილისის მათხოვრები; საოცარი ჩაწვდომით და გულისშემძრავად გადმოსცა აქ მწერალმა ტრაგედია ადამიანებისა, რომლებიც ცხოვრებას გაურიყავს და შეუბრალებლად გაუსრესია ფეხქვეშ; ამ დანაგრულთა, დამდაბლებულთა და შეურაცყოფილთა გულისტკივილი, მათი

დარდი და ნალველი აქ ძლიერი საღებავებით არის გადმოცემული და მთელ მოთხრობაში ელერს მძაფრე იტანა კული პათოსი. ეცნობით მოთხრობის გმირის ლეონტი კაჩერგას საშინელ სიღუბნირეს, მისი შვილიშვილის — პატარა ბავშვის ავადმყოფობისა და სიკვდილის ამბავს და თქვენ ხედავთ მთელ ეპოქას, დაფუძნებულს უსამართლობაზე, სადაც ადამიანი ადამიანისათვის მგელი იყო.

სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ ეს დოკუმენტური მოთხრობაა, ლეონტი კაჩერგა თბილისელი მათხოვარი იყო და, როცა მასთან შეხვედრისას ფული არ აღმოჩნდებოდა, პაოლო საშინლად იტანჯებოდა.

მახსოვს, ერთხელ მეფის ნაცვლის სასახლესთან (ახლანდელი პიონერთა სასახლე) მივიღოდი. ჩვენს წინ კაჩერგა გამოჩნდა. პაოლო აღელდა, ფული არავის არა ჰქონდა. მაგრამ პოეტმა უცებ იპოვა გამოსავალი, წუთიერი და ფიქრების შემდეგ მოიხადა ქუდი, გაუწოდა გამვლელებს და დაიწყო ძაბილი: „გაიკითხეთ საწყალი ქართველი პოეტი“. პაოლოს ყველა იცნობდა, გამვლელები იღიმებოდნენ და ფულს ქუდში უყრიდნენ. ოცი წუთის შემდეგ ქუდი საესე იყო ფულით. პაოლომ მთელი ეს თანხა მათხოვარს გადასცა. შემდეგ მან ბინაზეც ინახულა ეს მათხოვარი. ამ შთაბეჭდილებების შედეგად დაიწერა მისი „ფერადი ბუშტები“.

პაოლოს ხშირად დაეყავით ამოღლების ქუჩაზე, სადაც ოვანეს თუმანიანი ცხოვრობდა. მიუახლოვდებოდა თუ არა სახლს, პაოლო იწყებდა ლექსების ხმამალა კითხვას, და ამთავრებდა და შესძახებდა—წმინდაო ოვანეს, გვეჩვენე, დაგვენახე! გაღიმებული ოვანესი გამოჩნდებოდა და შინ შეგვიყვანდა; იწყებოდა მეგობრული ლხინი, გაუთავებელი საუბარი პოეზიაზე, ხელოვნებაზე. ოვანესის ოთახში მუდამ საოცრად სასიამოვნო სურნელი იდგა—მას მუდამ ენთო მყავალი, ნაკვე-

რჩხლებზე იწვოდა რაღაც ქაღალდი და სურნელსაც ის გამოსცემდა.

აბასთუმნიდან დაბრუნებისას გზაში ბევრი უსიამოვნება შემხვდა. უკვე ვთქვი, არეული დრო იყო და ვინ მოსთვლის, რას არ გადააწყდებოდა ადამიანი მოგზაურობის დროს. ახალქალაქში ვილატეებმა ჩემოდნები წამართვეს: მერე იქ ერთი გავლენიანი ნაცნობი ვნახე, გვარად ზორიანი; ის დამეხმარა და ჩემოდნები დამიბრუნეს, მაგრამ როგორ წამოვსულიყავი,—არ ვიცოდით ვიფარე სადგურში და ვტირი, აღარ ვიცი, რა ვქნა. უკვე თვალი მოვაკრი ვილატე ახოვან ოფიცერს, მოდის გაბდღვიალებული, თითქოს მზე თან მოჰყვებოდა. მოდის და შორიდანვე მიციანის—დაეკვირდი, ეს ხომ პაოლოა, საიდან სადაო, ან ეს მუნდირი რა ამბავია—ვეკითხები, და ის კი რაღაცას ხუმრობს. მან ჩამომაცილა თბილისში და აქედან თელავში წამიყვანა.

1919 წელს ახალგაზრდა მხატვრები ლადო გულთაშვილი და დავით კაკაბაძე პარიზში მიემგზავრებოდნენ სწავლის გასაგრძელებლად, ფული კი საკმარის არა ჰქონდათ. მაშინ გადაწყდა მოწყობილიყო საღამო მათს სასარგებლოდ. ათასამდე კაცმა მოიყარა თავი იმ კლუბის ეზოში, სადაც ახლა გრიბოედოვის სახელობის თეატრია. მაყურებელთა დარბაზში სკამები აალაგეს და იქაც მაგიდები დადგეს, ყველგან სუფრა იყო გაშლილი. ვახშამს საგანგებო და მეტად მაღალი ფასი ედო, ვინაიდან შემოსავალი ახალგაზრდა მხატვრებისათვის უნდა გადაეცათ. პაოლო თამადა იყო და ყველა სადღეგრძელოს ლექსად ამბობდა, შადრევანივით იფრქვეოდა ექსპრომტები. გარდა ამისა, ყოველ დამსწრეს პაოლო ლექსად ეუბნებოდა, თუ რამდენი უნდა გადაეხადა. იყო სიცილი, აღტაცებული შეძახილები. ნადიმს ერთი თავზე ხელაღებული ქართული ოფიცერი ესწრებოდა, ის წამოხტა და პაოლოს ექსპრომტს უბასუბას:

Паоло, какие вежности,

При нашей бедности.

აქო და, რაცა გვაქვს, მოგვიტოვა, ამდენ რითმებს ნულარ ხარჯავო. სიტყვით მთელ დარბაზს მოედო და ყველაზე გულთანად თითონ პაოლო იცინოდა.

ხუმრობა დაუძახეთ თქვენ ყოველივე ამას! შესანიშნავ ახალგაზრდებს თავისი ვაჟაკური ხელი გაუწოდა პაოლომ და შორი მომავლის გზაც დაულოცა.

აქ ჩანდა ნამდვილი პაოლო, კაცი, რომელსაც ყველას სატყვიარი სტაციოდა, ყველას საფიქრალი აწუხებდა.

\* \* \*

ახლა ჩემი ქორწილის ამბები უნდა გიამბოთ, ვინაიდან პაოლოს ავთანდილობა აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა.

აი უკვე დანიშნულია ქორწილის დღე. სამწუხაროდ, ნეფე—ტიციანი მაინცდამაინც იმ დღეებში გახდა ცუდად. მთელი სამზადისი პაოლოს დაწვა მხრებზე; მთელი დღეობით დაჰქროდა ქალაქში, ყვავილებისათვის ბათუმშიაც კი წავიდა შემდეგ თითონვე შეადგინა საქორწილო სუფრის მენიუ, სტუმრები თვითონ მოიპატოვო, „ქიშკრიონის“ მზარეულებსა და ოფიციატებს რჩევას აძლევდა, რა და როგორ გაემზადებინათ, ხარჯავდა თავის ფულს, და ეს გადაქარბება არ გეგონოთ, თითონ კი საკმარისი, დაცრეცილი შარვალი ეცვა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა და მდიდარი, გულუხვი კაცის პოზა ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ქორწილისათვის მზადება გახურებული იყო, მაგრამ აი უბედურება: არც პაოლოს, არც ტიციანს და არც მე საკუთარი ბინა არა გქქონდა. ამიტომ საქორწილო ნადიმის შემდეგ, დილით ქუჩაზე რომ გამოვედი, აღარც ვიცოდით, საით წავსულიყავით; უხერხულობას კიდევ ის იწვევდა, რომ მე ჩემი ნათესავეებისათვისაც არ მითქვამს—ტიციანს ბინა

არა აქვს-მეთქი. ჩვენს მეგობართა შორის ბინა ჰქონდა მარტო ლელი ჯაფარიძეს, რომელიც ბროსეს ქუჩაზე ცხოვრობდა. მაგრამ იმ დღით, ქორწილის შემდეგ, ლელის ვიღაც ქალიშვილი გაცილებინა სახლში, გზაში მოკვანებოდა, რომ ჩვენ არსაით წაგვესვლებოდა, მიეტოვებინა ქალიშვილი შუა გზაზე და გამოქექულიყო, რათა თავისთან წავეყვანეთ.

მიუვდით ლელი ჯაფარიძის ბინაზე. წელან უკვე ვთქვი, ტიციანი შეუძლოთ იყო-მეთქი. გავუზომეთ სიცხე, რომოცი გრადუსი ჰქონდა, ბოდავდა. ისევ პაოლო დატრიალდა, საავადმყოფოში წაიყვანა, ტიციანს ფილტვების ანთება აღმოაჩნდა.

ტიციანი კარგად რომ გახდა, პაოლომ მის გამოსაყვანად მთელ პოეტებს მოუყარა თავი. წავედით. ავადმყოფი კარგ გუნებაზე დაგვიხვდა; ვიჭირავთ ეტლი და მოვდივართ, არ ვიცით კი სად,—ბინა ისევ არა გვაქვს; პაოლოს სასტუმროში ნომერი დაუჭირავებია და იმისი იმედი აქვს; თანაც ქალაქის თავისათვის შეუტყობინებია ჩვენი გაჭირვების ამბავი, და ისიც დაჰპირებია—ეგებ რამე გიშველოთო. თითქოს ბედზე, საავადმყოფოდან წამოსულგზს ქალაქის თავი შემოგვეყარა გზაზე, მან თავისი მანქანა გააჩერა, პაოლოს თვალი ჩაუკრა, ხოლო ტიციანს მიმართა:

— ბიჭო, გავიგე, ცოლი შეგირთავს და თურმე თავშესაფარი კი არსადა გვაქვს. აჰა, გასაღები... შენს ბედზე, ვაჰართა კლუბი მიგვეტე ახლახან, დაე, ეგ იყოს შენი ბინა!

წამოვედით, გახარებულგზა გავაღეთ დაკეტილი კლუბი, მაგრამ ახლა მისი მოწყობა არ გინდა! რა თქმა უნდა, ისევ პაოლო დატრიალდა და ჩვენი ბინა, იმ დროის კვალობაზე, შესანიშნავად მოაწყო.

გავიდა ათიოდე დღე და გადავწყვიტეთ სოფელში წაესულიყავით, ტიციანის ღედასთან. გზად ქუთაისში შევეხვიეთ— ტიციანის ღები და ძმები იქ ცხოვრობდნენ-სასტუმრო „ფრანცი“

აში“ გავჩერდით. უცებ ხმაურით გაიღო კარი და პაოლო გამოჩნდა, თან უამრავი პოეტები ახლდნენ. თურმე იმჟამ ვე ვაგონით ინკოგნიტოდ გამოგვეყოლოდნენ, მაგრამ კუპედან არ გამოდიოდნენ, რომ არ დაგვენახა. პაოლომ აქაც თავისებური სიტუპრიზი მოგვიწყო. მთელ დღეს ქალაქში დავდიოდით, ვეცნობოდი იქაურობას, საღამოთი კი ყველამ ჩვენს ნომერში მოიყარა თავი. პაოლომ რატომღაც სიტყვა „სიკვდილისა“ და „კუპოს“ ეტიმოლოგიის ირგვლივ დაიწყო ლაპარაკი. ხან ხუმრობდა, ხან სერიოზულ გამომეტყველებას იღებდა, ლაპარაკობდა სიტყვებს მაგიაზე, მიღმა ქვეყანაზე... ამ დროს უცრად მთელმა შენობამ ზანზარი დაიწყო, ხალხი სკამებიდან გადაცივდნენ. პაოლომ დამტაცა ხელი და კართან მიიყვანა, კოლაუ ნადირაძეს იატაკზე დაეჩოქა, თვალეზი ჭერისაკენ აღეპყრო და ჩურჩულებდა: „ავე მარია, ავე მარია“... დილით კი გავიგეთ, რომ გორში საშინელი მიწისძვრა ყოფილიყო და მთელი ქალაქი დაექცია.

იმერეთიდან მალე ისევ თბილისში ჩამოვბრუნდით. ჩვენს ბინაზე ახლა გაუთავებელი სტუმრიანობა იყო. პაოლოს უფრო ხშირად ჩვენს სახლში ეძინა. მან მოხატა ჩვენი ბინა—ფრესკებივით ჩამომწკრივა კედლებზე ტიციანის, ვალერიან გაფრინდაშვილის, თავისი პორტრეტი, მოჰქონდა მხატვართა ნამუშევრებიც—უკვე იმდროიდან დავიწყეთ ჩვენი კოლექციის შედგენა.

პაოლომ იმ ხანებში ჩვენთან მოიყვანა ინგინერი ავღევი-მეტად საინტერესო კაცი იყო, პოეზიის დიდად მოყვარული. მას გამოცემული ჰქონდა წიგნი „მე მოვდივარ“. ამას გარდა, მისი აჩემებული ოცნება იყო გვალვის წინა აღმდეგ ბრძოლა ვოლგის მიდამოებში; ჰქონდა რაღაც ნახაზები, რომელთა მიხედვით ვოლგისათვის მიმართულების შეცვლას აპირებდა. მისი წიგნი ნახაზებითურთ, აქამდე შემომჩნა.

1921 წლის 14 იანვარს დაიბადა ჩემი გოგონა. ქალაქში საშინელი სასუ-

რსათო კრიზისი იყო, რძე არ იშოვე-  
ბოდა, და რა თქმა უნდა, ისევ პაოლო  
იყო ჩვენი მშველელი.

თებერვლის დღეებში ჩვენ გადავ-  
წყვიტეთ სოფელში წავსულთაყვიით. სა-  
დგურზე რომ გავედით, უცნაური არე-  
ულობის მოწმენი შევიქენით. თურმე  
მენშევიკური მთავრობა სტოვებდა ქა-  
ლაქს. პაოლომ რომ გაგვაცოლა, იქვე,  
სადგურზევე შეადგინა სახელდახლო  
ჯგუფი, წაიყვანა ციხისაკენ და პოლი-  
ტიკური პატიმრები გამოუშვა. შემდეგ,  
როგორც ცნობილია, იგი პირველი შეე-  
გება მეთერთმეტე არმიის პოლკებს, რო-  
მლებიც ქართველი მუშებისა და გლე-  
ხების დასახმარებლად მოდიოდნენ თბი-  
ლისისაკენ.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს  
ამბავს. ტიცინამა სოფელამდე ჩამაცილა  
და თბილისს გამობრუნდა. სწორედ იმ  
ხანებში სოფელში მივიღე პაოლოს ლე-  
ქსი, მიძღვნილი ჩემი პატარა გოგონა-  
სადმი; ლექსის სათაურად ჰქონდა: „ტი-  
ციანისა და ნინოს ჭინკას“. აი ეს ლე-  
ქსიც:

თუ მარტოობა მეტად გვაწვალებს  
და როცა დაჲ ტირის და ლელავს,  
ვიგონებთ ჭინკას პატარა თვალებს  
და ვეხარბებით თავადურ თელავს.  
ჩვენი იმედი და ჩვენი ბავშვი,  
ისე მარტოა და ნათშენია,  
თითქოს ზამზახი ავღია ნაშვი,  
და თითქოს ზამზახს რაღაც სწყუთია.  
ჩვენ შოგონების გვაწუხებს სევდა,  
კოცნა დიდხანს არ მიგვიტანია,  
ჩვენ დავატყვევეთ თბილისში დედა  
და ჭინკას სევდა ნამეტანია.  
პოეტ ნათიას ჭინკას თვალები,  
უნდა დაკოცნოს პატარა ხელიც,  
მზად მაქვს პატარა მარგალიტები  
და ჩემს ინფანტას უოველდღე ველი.

ტიციანმა სოფელში რომ მომინახუ-  
ლა, მითხრა—პაოლოს ერთი მშვენი-  
ერი ქალიშვილი შეჰყვარებია, და გი-  
ცდის, უნდა რომ შენც გაჩვენოს, რომ  
მის არჩევანს დასტური მისცეთ.

და აი, ჩამოვედი თბილისში. მაჩაბლის  
ქუჩაზე, მწერალთა სახლის აივანზე  
ვდგავარ და კომპოზიტორ მელიტონ  
ბალანჩივაძეს ვესაუბრები. უცებ ვხე-

დავ, მოდის პაოლო, ლამაზი, გა-  
ლიმებული, და მოჰყავს მშვენიერ ქა-  
ლიშვილი, სულ ცისფრად ჩანს ქულა  
და როგორღაც ცისფრად გაბრწყინებუ-  
ლი. საპატარძლო ძლიერ მომეწონა. ეს  
იყო თამარა სერებრიაკოვა, ცნობი-  
ლი პროფესორის—ოქრომქედლიშვილ-  
სერებრიაკოვის შვილიშვილი. პაოლომ  
სულ მალე დაიწერა ჯვარი თავის სატრ-  
ფოზე.

ქორწილი თბილისში გადავიხადეთ  
და აქედან არგვეთში წავედით. აქ გი-  
ვიცანით პაოლოს მამა, ახოვანი ლამა-  
ზი ვაჟაკი, კეთილი, მომიღმარე თვა-  
ლებით, დედა პოეტისა—ნაზი და ალე-  
რსიანი ადამიანი. აქვე იყვნენ პაოლოს  
ძმები, ერთი-მეორეზე ულამაზესი ვაჟ-  
აკები, და ბაშა, რძლები თათუშა და  
სახელგანთქმული ივლიტა, რომელიც  
პაოლოს გაგიყვებით უყვარდა. ივლიტა  
იმერული კერძების ჯადოქარი ოსტატი  
იყო და პაოლოც ხომ ამ სფეროშიც  
არავის ჩამოუვარდებოდა. მაგრამ უნდა  
აღინიშნოს, რომ აქ პაოლო თავის თავს  
ივლიტას მოწაფედ სთვლიდა.

\* \* \*

დაუცხრომელი ადამიანი იყო პაო-  
ლო. ის მუდამ უღარესად აქტიურ მო-  
ნაწილეობას ღებულობდა ქვეყნის სა-  
ზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის ახალი  
საზოგადოების მშენებლობაში მონაწი-  
ლეობს არა მარტო ლექსით, არამედ  
საზოგადოებრივ ღვაწლითაც. ის იყო  
საბჭოთა საქართველოს პარლამენტის  
დებუტატი—ცენტრალური აღმასრულებ-  
ელი კომიტეტის წევრი. 1928 წელს  
საქართველოს ცაკის სესია აჭარის დე-  
დაქალაქში გაიმართა და ამ ამბავს პო-  
ეტმა უძღვნა ლექსი „ერთი კვირა“,  
რომელშიც კარგად არის გამოხატული  
პოეტის როლი ახალი ცხოვრების მშე-  
ნებლობის გზაზე. ამ ლექსში პოეტი  
ამბობდა:

რაღაც სითბოა გამჟღარი ტანში  
და სახარული ამიტანს რაღაც,  
რომ ერთი კვირა აჭარისტანში

მე არ მივლია უსაქმოდ აღად-  
რომ ჩამოვედი საქმის კაცებთან  
და მათთან ძმური გავწიე ჭაფა,  
რომ ამ დღეებში მე მიტაცებდა  
მუშაობაში ხარითი ჩაბმა.


ის მართლაც ხარითით იყო ჩაბმული  
საქმეში. სამგორის მორწყვა, რიონპესის  
აგება—ყველაფერი აინტერესებდა მას,  
ცდილობდა, როგორც შეეძლო, ხელი  
შეეწყო ამ საქმეებს. საქმისათვის. ვა-  
ლოდია ჯიქიას დავალებით ის დადიოდა  
სოფლიდან სოფლად, აგროვებდა მუშა-  
ხელს, და აქაც ისეთივე ენთუზიასტი  
იყო, ისევე დაუცხრომელი, როგორც  
ლიტერატურულ შეკრებებზე.

პაოლო ლექსებში ხშირად უჩიოდა  
თავის სიზარმაცეს, მაგრამ ისიც ფაქტია,  
რომ მან გატაცებით იცოდა მუშაობა.  
იშვიათად მიუჯდებოდა საწერ მაგიდას,  
მაგრამ როცა მიუჯდებოდა, ხელებზე  
ცეცხლს წაიკიდებდა, მახსოვს როგორ  
მუშაობდა ის პუშკინის თარგმანებზე,  
ყოველდღე მოდიოდა გახარებული ჩვე-  
ნთან და გვიკითხავდა ქართულ პუ-  
შკინს. პაოლომ თავის თარგმანებში პუ-  
შკინის ლექსის მარტო აზრი და შინა-  
არსი, მისი სიტყვის არა მარტო სემა-  
ნტიკური, არამედ ფონეტიკური ელემ-  
ენტაც დაიცვა. დედნის სტრიქონიც და  
თარგმანისაც ერთ უნისონში მოექცნენ.

როცა პაოლომ მოსკოვში, რუსი მკი-  
თხველების წინაშე წაიკითხა თავისი  
თარგმანები, დამსწრენი სათაურის ქვე-  
შახელებლად, უთარგმნელად აპყვნენ  
ლექსების რიტმს, მათ მუსიკით და ელემ-  
რით იცნენ პუშკინი. რამდენადაც ვი-  
ცი, ეს იშვიათი შემთხვევაა თარგმნის  
ისტორიაში და ნიმუშია იმისა, თუ რო-  
გორ ღრმად უნდა ჩასწვდეს თარგმნე-  
ლი დედნის სულს, მის სიტყვას და მის  
მუსიკას. და ახლა თქვენ განსაჯეთ, რა-  
ოდენი შრომა უნდოდა ამას, რაოდენი  
ფიქრი, ძიება... )

კიდევ ერთი რამ არ მინდა გამომჩინეს.  
პაოლო იყო უნახესი მამა და განუზო-  
მელი სიყვარულით უყვარდა თავისი  
მშვენიერი ქალიშვილი—მედეა. უკა-  
ნასკნელი სტრიქონები—სწორედ მე-  
დეასადმი მიწერილი წერილი იყო, სა-  
ვსე სიკვდილის დარდით და ენით გა-  
მოუთქმელი სიყვარულით.

მაგრამ არა, არ მინდა ვილაპარაკო  
პაოლოს სიკვდილზე. არ შემიძლია. ის  
მუდამ ცოცხალივით დგას ჩემს თვალ-  
წინ, და ახლაც ასე მგონია, კვლავ შე-  
მოადებს კარებს და გაიღიმებს იმ სა-  
ოცარი მომხიბვლელი ღიმილით, რო-  
მელიც ასე უხდებოდა მის ვაჟკაცურ  
სახეს.



## „მზე და ჩრდილი“

სიზმარადა მავნის ნახელი.

განძრ საქართველოსი...

ეს ორი სტრიქონი კარგად გამოხატავს შოთა ნიშნიანის ლექსების ახალი წიგნის ძირითად აზრს. იგი სხვა ლექსებს, ერთდროულად, თუ შეიძლება ითქვას, ეპოგრაფიადაც უძღვის და ერთგვარ საზომსაც წარმოადგენს. ჯერ ერთი, ეს სტრიქონები წიგნში საპროგრამო ხასიათისაა, მასში წარმოდგენილი ლექსების დიდი ნაწილი ხომ ხავესთოდებულ ციხე-ტაძრებზე, ფერადსავე ფრესკებზე და ჰირგამოვლილ ქართულ ხალხზე საყვარელით ნათქვამი პოეტური ალტაცებია. მეორეც: კრიტიკის ენით რომ ვთქვათ, შესძლო თუ არა პოეტმა თავისი ამ „ნახელი“ სიზმრების გაცხადება—ნაფიჭრისა და განცდილის მკითხველის გულამდე მიტანა.

„მზე და ჩრდილი“, რომელიც „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოსცა, შოთა ნიშნიანის ლექსების შექვესე წიგნია. პოეტს არც ახლა უღალატნია საკუთარი თავისათვის, პირიქით, ამ წიგნმა უფრო დაამკვიდრა და გამოკვეთა შოთა ნიშნიანის, როგორც ქართული ტრადიციული ლექსის კვალზე მდგარი შემოქმედის, პოეტური სახე და ხასიათი. შ. ნიშნიანის არცერთი წიგნი არ უყოფილა ხელოვნური გაზენდოვნების ცდა.

ისტორიული ლექსის თემა ქართულ პოეზიაში თავისი ბუნებითა და დანიშნულებით საქმიოდ რთული და გავრცელებული თემაა. მან დიდი და რთული გზა გაწელო. ისტორიულ თემებზე შექმნილი ლექსებით ზოგიერთი ქართული რომანტიკოსი „ღებურებზელ“ წარსულ მისტიკოდა, ზენემა დიდმა მამულიწვილებმა— ილიამ, აკაკიმ და ვაჟამ ეს თემა ბრძოლისა და მხნეობის ოპტიმისტურ თემად აქციეს ისტორიული თემა ჩვენს დიდ ეპოქასაც სჭირდება იწერება, მრავალი ლექსი, პოემა, რომანი... ზემოდ ტყუილად არ ვახსენეთ პოეტური ალტაცება. ეს ალტაცება

ახლავს შოთა ნიშნიანის ამ თემაზე დაწერილ ლექსებს.

პოეტი არ ცდილობს ისტორიული მომენტის კოლორიტულობით გაცოცხლებას, როგორც ამას საერთოდ აეეთებენ ხალხე. ლექსები „ციხე-ტაძართა საგალობელი“, „ხევსური“, „ვინ-წვისის ანგელონი“ და სხვა რამდენიმე უსათაურო, ისტორიზმის ჩარჩოებში როდი აბიან მოქცეული. მათ ისტორიული შეიძლება პირობითად, თუმცის მიხედვით ეწოდოთ. სტრიქონებიდან თანამედროვე ადამიანი ლაპარაკობს, დიდებუოვანი, ამაყი, მკარამ კეთილი და აჯვარგანი ადამიანი, თავისი ქვეყნის შეილი.

ასეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს სხეუბული ლექსების წაყთხვის შემდეგ აი თუნდაც:

მე აქ ვბინადრობ,  
აქა შიინაეს ცხრა საუფენე.  
სათოფურებში ჩემი სუნთქვის ექო  
გუზუნებს.

გადაშთიელი აქ აუნებე  
მეზრემ, მეზერემა,  
აქ ჩაეეგლისე გადამსხებრეულ ციხის  
ხერხემალს.

და გლალი ჩოხა წეიმემა არა ამიტალახა—  
მე გაეიხაზე და ჩაეეცვი ცხეს ბლახაზე.

სიტყვამ შოთა ნიშნიანისა და ეტყვიოთ, რომ „ციხე-ტაძართა საგალობელი“ და „ხევსური“ თავიანთი თავისებურებებით, მოქალაქეობრიობითა და პათოსით ქართულ თანამედროვე პოეზიაში საკუთარ ადგილს დაიჭერენ ისტორიული ლირიკის ფონზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ლექსი უფრო მონუმენტურია, ვიდრე ლირიკული. ამ მხრივ მათ რიცხეს შეიძლება შეიკეთონ „ხმათა ქარამემა“. პოეტური სიტყვისა და სახეების სინაზე და სიტყვიზე აქ მეორე პლანზე დგას. უფრო სწორად, ბუნებრივად არაა აქცენტი მათზე გადატანილი. თვით ლექსების თემამ განამპირობა მათი უფრო მონუმენტურობა, ვიდრე ნახი და ფაქიზი ლირიკულობა.

მითხედავად ამისა, შოთა ნიშნიანისე პოეტური რიგში შიინე ლირიკოსია. ამხს მაგალითი საჩეეცნოო წიგნში ბეერია.

შეუნელებლად, ერთი ამოსუნთქვით აეიოთება





„ჩქარი მატარებელი“. ლექსში შთამბეჭდავდა დაქვრივი მოძრაობის რიტმი, ბორბლების ხმაური, გაუთავებელი სრბოლა და ამ ფონზე ბუნებას ცოცხალი სურათების ცეცა. ასეთ დროს ერთი ზედმეტი სტრატეგიე კი შეანელებდა ლექსის რიტმსა და დასაბუღობას, მაგრამ შ. ნიშნიანიძეს შესანიშნავად „მიიპყეს“ თავისი ჩქარი მატარებელი:

მისდევს ჰერმებს ტყეშლები,  
 მისდევს ფერმებს ტყეები,  
 ისე მჭერმტყეველებით,  
 ისე ფერმტყეველებით,  
 რომ საკმლებში მოქერება,  
 მთელი ეს საოცრება,  
 ცა და მიწის მოსწრება  
 ზეინულები,  
 ზეინები,  
 ბინულები,  
 ბინები,  
 წისკვილები,  
 ოღები,  
 წიწილების  
 ოღენი.

კიდრი იცვლება და იცვლება რიტმიც.  
 მოაქვს, მოაქვს წერილები,  
 სიხარულის ბარათები,  
 ბარათები შეპირების,  
 იმედების გამართლების...  
 ქალა-ქალა, შარა-შარა,  
 შარა-შარა, ჩალა-ჩალა,  
 ჩქარა-ჩქარა, ჩქარა-ჩქარა,  
 ჩქარა-ჩქარა, ჩქარა-ჩქარა.

სულ სხვა ფერები და საღებავებია ესათაურო ლექსში: „ყარგია სოფლად შემოდგომა“. შემოდგომისა და სოფლის ცოცხალი სურათები, წვიმებისა და ტყეების სენი, სველი, თონიანი გლეხი კაცები და მათსავეთ ვასაშრობად ბუნებრივად გაწოლილი ძაღლი. თეთუნის გახევევა, მოსავალზე საუბარი და... „ბუნხართა უცებ აბოლდა ძაღლი“.. აი, ფერები და სურათები, რომლებიც კოლორიტსა და სიმართლეს აძლევენ ლექსს.

უნდა აღინიშნოს პოეტის ერთი თავისებურება. შ. ნიშნიანიძეს, აქვს მახვილი და დაკვირვებელი თვალი, იგი კარგად ხედავს პატარა წვირღმან დეტალებსაც კი. ალბათ, ამ თვისებით არის გამოწვეული, რომ პოეტს ყურადღება ძირითადად სახეებზე გადააქვს, მათ მხატვრულს დამუშავებაზე. ბევრი ლექსი უხვად არის დასურათებული და გაცოცხლებული მახვილი შედარებებით, გამოხატული და ფრთიანი თქმებით. ეს თავისებურება პოეტისა ჩვენ თვითმინხად არ მიგვაჩნია (ამის საბაბს თვით ოსტატური პოეტური სახეები არ იძლევიან), მაგრამ ერთი ცხადია: მთელ წიგნში ერთადერთი ლექსია („ყარგია სოფლად შემოდგომა“), რომელიც ლექსიეტი მასლის—(სიტყვიერი კონტაქტებით, სახეებით და სხვ.)

აქცენტით კი არ ახდენს ზეგაღწევის მკითხველზე, არამედ განწყობალებით. **წიგნის** ამ კრებულოთ შ. ნიშნიანიძეს **წიგნის** „გამართლა თავის თავი“—მკითხველის წინაშე დგას თავისი ქვეყნის ავტარებელ ჩაფქრებულ ტრადიციული, მაგრამ თავისებური შემოქმედელი, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი პოეტური სახე და საწყარო, ადგილი... ამის საილუსტრაციოდ კრებულოდან ბევრი კარგი ლექსის მოტანა შეიძლება: „ტყვის პირად მდგარი თელა“, „მე ვარ სიეს ქალაქი“ „ბევრი მუავს, ბევრი მეგობარია“, „ობობა“, „სინემე“, „ჩანახატები“, „აღლა ატმებში შეუფუძლი“ და სხვა. უფელა ეს ლექსი წიგნის უფრო ფართოდ განხილვის საბაბს აძლევს.

შ. ნიშნიანიძე ყურადღებას იქცევს ძარღვიანი, მდიდარი ქართულით, ბუნებრივობითა და ხალხურობით.

ამისათვის რომ ხალხური იყოს, შ. ნიშნიანიძის ლექსი ჩვეულებრივ, როგორც საერთოდ ხდება ზოლზე, არ საჭიროებს ხალხური ლექსის შინაგან და გარეგან ხელოვნურ ფორმებს. სისადავე, სინათლე, ძარღვიანი სიტყვა თუ ფრაზა, ლექსის ლაღი მდინარება, — აი რა განაპირობებს მისი ლექსის ხალხურობას. პოეტი თავისთავადია მაშინაც კი, როდესაც ტრადიციულ ხალხურ ფორმას იყენებს. მკითხველს სჭერა მისი, რადგან არ იგარანობა სოცალზე, — ფორმა ამ შემთხვევაშიც პოეტის ფიქრებისა და ემოციების გახსნასა და გამოხატვას ემსახურება.

შედარებით მკრთალად გამოიყურება წიგნიდან სატრფიალო ლრიკა. „პო და არას“ პოეზია (რამდენიმე ლექსშია ხსენებული), დღეს, ცოტა არ იყოს, გულბრწყინობის შთაბეჭდილების ტოვებს. წიგნი გაცილებით მოკვებდა, რომ ამ ვარდებულბლიანის გაცვეთილი ინტონაციებისაგან ვაწყნენდილიყო, თუმცა იგი ვერ ამყარებს წიგნის ზარისს.

არც თემატიკით და არც შინაარსით წიგნთან არაფერ კავშირშია „გულშემატკივრის ბალადა“.

ბოლოს: შოთა ნიშნიანიძე ერთერთ ლექსში წერს:

ქარო, დადექი ტილო,  
 ნისლს საით შიაჰენებო,  
 ზეს უკაუნებს კოდალა,  
 გამოდით ქიანველებო.

ამ წიგნით შ. ნიშნიანიძე, ქიანველების საგანაზღვლო გამოდენებისა არ იყოს, ბევრი მკითხველის ველს ააღლევებს და განაფხელის მოსვლასავეთ გაახარებს. პოეტო, მართლაცდა, კოდალასავეთ ფუსფუსებს ჩვენი პოეზიის დიდა და ბებური ტყეში, რომელსაც თავისი მზეც აქვს და ჩრდილიც.

მ მ ი ს ე მ



ადამიანის ცხოვრებაში არის მოვლენები, რომლებიც წარუშლელ კვალს სტოვებენ მთელი სიკეთლის მანძილზე. დაგვიწყვიტოს ბერძენი კი თუ ვადაფიარება, არამედ, დროთა განმავლობაში უფრო აშკარად გამოჩნდებოდა. ასეთ მოვლენათა რიცხვს გეოგრაფიის უკანასკნელი მსოფლიო ომი, რომლის არანახლმა ბრძოლებმა მილიონობით ადამიანი შეიწირა, მილიონობით უსახლკარო და დასახიზრებელი დასტოვა. დღეს, 20—25 წლის შემდეგ ჩვენს შორის არიან ერთი შეხედვით სრულიად ჯანსაღი, მხიარული ვეჯაცები, რომლებმაც შრავალქერ ჩახედეს სიკვდილის თვალუბში. მათ სულში დღესაც ღრმადაა აღბეჭდილი ვადატანელი ომის საშინელებანი.

ქართული პროზა ბოლოდრომდე ვერ დაიკვებინდა სამამულო ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებების სიმრავლითა და მაღალი მხატვრულობით უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ზედი-ზედ გამოვიდა ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები. მხედველობაში გვაქვს კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები, გ. ჭავჭავაძის „ქარისკაცის ჩანაწერები“, რ. ჯაფარიძის „მარტის თეთრი ღამეები“, და სხვ. ახლან კი მათ რიცხვს შეემატა დავით კვიციანიძის წიგნი „კოცონი“. მართალია ამ კრებულში შეტანილი ზოგიერთი მოთხრობა უშუალოდ არ ეხება ომის თემას, მაგრამ ომის შრისხანე სუნთქვა იგრძნობა თითქმის ყველა მოთხრობაში.

როდესაც ცხრასამრმოცდართის ივნისის აგებდით დილა გათენდა დ. კვიციანიძე კადრის ოფიცერი იყო. შემდეგ იგი დიდხანს იბრძოდა ბელარუსის პარტიზანულ შენაერთში, რომელსაც ცნობილი გმირი კონსტანტინე ზასლონოვი მეთაურობდა. რამდენიმე წლის წინათ დ. კვიციანიძემ საინტერესო დოკუმენტური წიგნი („ორდიშევის ტყეში“) გამოაქვეყნა იმ პირობები დღეების შესახებ. ახალ წიგნში კი მთელი ციკლია „პარტიზანული მოთხრობების“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მოთხრობებზე ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. შესაძლებელია ცოტაოდენ ბელეტრიზირებას ჰქონდეს ადგილი, რაც საუკებით დასაშვებია. ამიტომაც თითოეულს ამ ექვსი მოთხრობიდან აქვს მკვეთრად გამოკვეთილი სიუჟეტი, ინდივიდუალური ხასიათები და დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებისათვის აუცილებელი სხვა ატრიბუტები. როცა ვაშბობთ, რომ „პარტიზანული მოთხრობები“ ავტობიოგრაფიულია და მათში ნაშეღვი აშბებია ვადამოცემული, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ამ ნაწარმოებთა პერსონაჟები — შამცი პარტიზანები და იატაკვეშელები. ეჭვსიდან ოთხ

მოთხრობაში თხრობა პირველ მიმდინარეობს და ეს ავტორისეული „მე“ — ქართული პარტიზანი ერთი და იმავე სახელით დანარჩენ მოთხრობებშიც მოქმედებს. ასევე მთელი რიგი პერსონაჟებისა ვადამიან მოთხრობიდან მოთხრობაში (მიშა ლიზნოვი, ივანე შერაფეიცი, ანია ბეკოვსკაია, ვადო კომლიოვი, შორეი და სხვ.).

იგრძნობა, რომ ავტორი შესანიშნავად იცნობს თავის გმირებს. მოთხველი თვალნათლივ ხედვს, რომ მას არა ერთი ცხარე ბრძოლა ვადატანისა და არა ერთი ხიფათით საევე ღამე ვაუთეგია მიწურ ქოხებში მათთან ერთად. დ. კვიციანიძის დიდი სივყარულით ვადახტია თვადამებული შერისმგებლების სახეები, იქნება ეს რუსი თუ უკრაინელი, ბელორუსი თუ ქართველი, ქვართშიანი ვოგონა თუ თეთრწყვრა მოხუცი, პატარა ბიჭი თუ ახლადვლავაშლილი ჰაბუეკო... ავტორის ახსიათებს თავისი გმირების ერთგვარ ჰომანტიკულ საშოსელში მოქცევა, რაც თაენსთავედ უხდება კიდევ მკაცრ რეალისტურ თვარებში ვადამწვეტილ მოთხრობებს. დასამახსოვრებელია ხალხის მოვალატეებისა და შემოპარული ქაშუშების სახეებიც. ავტორის ტაქტის გრძნობითა და სიმართლით ვამოუკვეთია ეს სულითხორცამდე ვადამგვარებული ადამიანები (ალისა შატოხია — ბეტაშენდერი, კოლია, მარდონი დასხვ.).

ავტორი „პარტიზანული მოთხრობების“ ციკლში ინარჩუნებს თავის დამახასიათებელ ლირიკულ ფონს, პოეტურ სტოლს. ამ მხრივ ვინსაკუთრებით ვამოიჩივია პატარა მოთხრობები „არყის ხე“ და „მთარა“.

ჩვენ ის ობოლ, დ. კვიციანიძის „პარტიზანული მოთხრობები“ ქართულ პროზაში შეეა, როგორც პარტიზანულ ცხოვრებაზე დაწერილი გულწრფელი ნაწარმოებები.

როგორც აღენიშნებთ, თითქმის ყველა მოთხრობაში იგრძნობა ომის სუნთქვა. სუნთქვა კი არა, კერძოდ მოთხრობა „დღეა“ მთლიანად ისევე ომს ეძღვნება, დანარჩენებში კი მეორეხარისხოვანად, მოვონებებითა და მინიშნებებითა ომის ხსენება.

კრებულის პირველივე მოთხრობა „ვახაფხული“ ვამოიჩივია ღრმა ცხოვრებისეული ვაზრებით ავტორისა, თუ გმირის თავის თაობის ბედზე ჩაფიქრებით. ეს ხომ ის თაობაა, რომლის მსრუბზედაც ვადამიარა ომის მთელმა სიმძიმემ. მას ახსენდება დაკარგული სიყვარული, სანგრებში ვატარებული წლები, ვაება და სიკვდილი. ახლა კი ჰვლარაშერეული, იგი მძიმედ მიუთქებს ჰუნაში. აქ კი სიტყვას ავტორის დავუთმობთ:

„იქნებ ვეღები და ტყუილ-უბრალოდ ვიმდურებ იმ ახლავარდებს... ღმერთმაე ჰქნას!“

დავით კვიციანიძე „კოცონი“ საბჭოთა საქართველო, 1968 წ.



რად მეწვის გული? რას ვერძი მათ? მიდიან უძულოდ, უპაღტოოდ, შიამიყებენ არხვინად, უნადლოდ... თუმცა ვახანულის პირია და გვარიანად ცივა, ა? იქნებ არც ასე ცივა, როგორც მე შეჩვევება!

და უცებ მომინდა სირბილში გავეციებო ამ ვამაწვილს, სწორედ ამას და არა სხვას.

გამასწრებს!  
შემარცხვენს!  
იქნებ ვერც გამასწრას...  
თუ გავისწარი, სირცხვილი მას.

თუ გამასწარო? მერე რა ვეყოთ. ეს არავის ვაუკვირდება, არავინ დამძრასავს, მხოლოდ მე თვითონ ჩამწყვდება გულის ძარღვი და ვერ დავიძინებ მთელი ღამეები.

ამას მეუბნება გული.  
გულია ახალგაზრდობა და არა წლები...

ღამიდასტურეთ, ჩემო ტოლებო, ჩემო მეგობრებო!

ვღვტრობთ, კომენტარების გარეშეც ნათელია ის საკირო აზრი, რომელიც სწორედ დღეს დგას დღის წესრიგში ზოგიერთი ახალგაზრდების მიმართ.

„გული“ და „ზარათი“ მცირე მოცულობის ლირიკული მოთხრობებია, რომლებშიც ისევ გაისმის მრისხანე ომის ვქო. ვინ აცის, რამდენი უმწიველო სიყვარული გაწყვიტა ფრონტმა, მომავალ ოჯახზე რამდენი ოცნება გააყამტვარა...

უნდა ვთქვათ, რომ „პარტიზანული მოთხრობების“ ციკლთან შედარებით ამ მოთხრობების პერსონაჟები ფერმკრთალი არიან. ვაშონაკლის წარმოადგენენ ბერკაცები, ნამდვილი იმერელი ბერკაცები, კოლონატული და სიტყვაშაღლიანი მოხუცი გლეხები რელიეფურად გამოედის ავტორს. ასეთებია: ბაბუა („კოლონი“), ვიორგა („სარეცელი“), კოწია („უკანასკნელი სერვილი“)... და კიდევ ერთი პერსონაჟი — თამარი („სიმღერა“), რომლის ბედი — თუ როგორ ცხოვრობდა და რითი ცოცხლობდა ეს ქალი ოცდაორი წლის მანძილზე — ავტორმა შესანიშნავად გადმოგვცა.

განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ორი მოთხრობა „სარეცელი“ და — „უკანასკნელი სერვილი“. პირველმა ნიკო ლორთქიფანიძის ბრწყინვალე მოთხრობა „ბებრები“ მოგვაგონა (გაიხსენეთ ცნობილი ფრაზა ამ მოთხრობიდან „გასბოთოვს?!“), მეორეში კი ბრმა ბერკაცს ასეთი დიალოგი აქვს შედღაჟნი: „—აქ არის ვინმე?

— არა, მამა, მანქანასთან არიან, ჩვენ მტრინი ვართ...

—შენ გეტყვი, ბიჭო, არფერფელს! არ მითხოვინა ჯერ, შენ გეტყვი მხოლოდ...

— თქვი, მამა, თავს არ დავეზოგავ!  
— იქნებ შესძლო, იქნებ შეიძლება. რომ ვროთხელ, მხოლოდ ერთხელ მინც შევხელო ქვეყანას...”

ქართულ პარტიკოსებს სამართლიანად უსაყვედურებენ, რომ თითქმის არაფერს ჰქმნიან სპორტულ თემაზე. მით უმეტეს, რომ ქართველმა სპორტსმენებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ დ. კვიციანიძეს კარგი მოთხრობა დაუწერია ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებზე. „სტადიონის ზეიანში“ ზომიერი ჰუმორით შეზაბუნული, საინტერესოდ საკითხავი ნაწარმოებია.

დ. კვიციანიძეს აქვს ბელეტრისტის თვალი, ამჩნევს და დროულად იყენებს ფსიქოლოგიურ თუ ყოფით დეტალებს: როცა ხუთი წლის უნახავ, ომგადაღბილ შვილს ღედა მინც დაეცარად მიმართავს: „ბაბიროსს მინც არ დაანებოთ თაყი, ბიჭო?“, ანდა, ოთარმა დამინებულ ტყვეა რომ არ ესროლა მტერს, რადგან იმ წმინდავით ომი დამთავრდაო („იქნებ მასაც ელოდება ღედა...“) ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება ამ მოთხრობებიდან. ავტორი ხშირად ხმარობს ლამაზ შედარებებსა და ფრთხიან გამოთქმებს: „ვენახს რომ ქორმა გადაუფრინოს, მისი ჩრდილიც კი აწყენს“, „ათღარში გაშვებული წყალი წისქვილის ქავს ვერ დააბრუნებს“ და სხვ. ძუნწად, მაგრამ გამომსახველად გვიხატავს მწერალი ბელორუსის ქაობიანი ტყვეებისა და იმერეთის თავბუქუკა გორაკების პერიპეტებს.

„ზარაქა ემატება გლეხის ოჯახს, სიმინდს აღარავინ იშურებს სასუქად დაწყვედულ ღორებისათვის, ჩინაყვები დაუსუქდათ ჭათმებს, ფერდი ამოვესო საქონელს.

ბუნარში ქოთანნი ანუხჩუხდა. აფიცებულ კაცზე გვერდი შეუწითლდა მქადს. ქვეყნში მაქარი აბორგდა. დოჭებმა ნაქურჩალის ქულები დაახურეს“.

ნეთუ საკამათო არაფერი გვაქვს ავტორთან? არ მოგვეწონა მოთხრობა „ზღვა“. ჩვენი აზრით, ეს მოთხრობა ძალიან ამოვარდნილია წიგნის საერთო განწყობილებიდან და ისიც ძნელი გასარკვევია, თუ როსთვისაა დაწერილი. შეიძლებაოდა, სხვა ნაკლიც მოგვენახა, მაგრამ საერთოდ კეთილმა, ჰუმანურმა იდეებმა და გულწრფელმა მხატვრულობამ გაიმარჯვა.

ალექსი სანაღირაძე

# „მეც ჩემებური ვუთნისდედა ვარ“



ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა გიორგი კაქაბიძის ლექსების კრებულად: „მეც ჩემებური ვუთნისდედა ვარ“. ამ წიგნში პოეტს შეუტანიარჩეული ლექსები. გიორგი კაქაბიძის ეს კრებულად გამობარია ჰემანისონის კეთილშობილური გრძობებით. აღმზანის სიყვარული, პატრიოტიზმი, გმირობა, მეგობრობა, შემოქმედებითი შრომის უკუდადება, ჩვენი ხალხის გმირული წარსული, აწმყო და მომავალი. აი, ლატმოტივები გ. კაქაბიძის ლექსების ახალი კრებულისა.

გ. კაქაბიძის გულწრფელი სიყვარულისა და სიმღერის ობიექტია ის უბანი და ის კარ-მიღამო, სადაც დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა პოეტმა. ამიტომ რჩეულ ლექსებში საპატიო აღვლილი უქორავს განყოფილებას „ის უბანი და ის კარ-მიღამო“.

წიგნის პირველი განყოფილებაში შეტანილი პატრიოტული ლექსები შედარებით უფრო ზოგადი ხასიათისაა. საქართველოს გმირული წარსული, აწმყო და მომავალი ოსტატურადაა გადმოკეცილი ლექსში — „ასე იმბობს საქართველო“:

მისეამს წვეთ-წვეთად მწველი ნაღველი,  
და მიძენია სანთლით დაძმები,  
საქართველო ვარ ბევრის მნახველი  
ლხინის ტრფილი ქირის გამძლები.

გ. კაქაბიძის თავდავიწყებამდე უკვარს არა მარტო ის უბანი და ის კარმიღამო, სადაც დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა, არამედ ის მშობლიური ქალაქიც, სადაც დაეფუძნა მისი შემოქმედება, სადაც „ბევრგან ქუჩებში ხედება ნაცნობი და თავმდაბალი მისი წიგნები“.

თავზე სხივები გადამაყვარა,  
მომიცა გზა ფართო, გული მაჩვენა;  
დამიფუძნა და შემეყვარა  
ამ ქვეყანაზე ჩემი ვაჩენა.

ამ განყოფილებაში ასევე პატრიოტული ლირიკის კარგ ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს ლექსები: „ღედა ენა“, „ოქვენ იღდგარქელეთი“, „ქუთაისს“, „ბაგრატის ტაძრის კედლებთან“, „სამშობლოს ნათელი“ და სხვა მრავალი. გ. კაქაბიძის პატრიოტიზმი არ არის ეიწრო, ეროვნულ ჩარჩოებში მოქცეული. იგი უმღერის ჩვენი დიდი სამშობლოს გულს — მოსკოვს, სადაც მას ესმის სუნთქვა მტკერისგან მონაბერო, და სადაც პოეტი ხედავს „ხალხში როგორ მღერის ტიხონოვი საქართველოს ვაზაფხულზე“. ასევე დიდი მღელვარებით იგონებს პოეტი გმირული ბრძოლით განთქმულ ბოროდინოს, სადაც სამშობლოსათვის ბრძოლაში პირველ სამამულ ომის დროს გმირულად იბრძოდა

ქართველი გენერალი პეტრე ჭავჭავაძე მოსკოვი და მისი მიდამოები პოეტს აგონებს არა მარტო მეცხრამეტე საუკუნის რაინდებს, არამედ ჩვენი დროის გმირებსაც, რომლებმაც პატრიოტულ დამპყრობლებს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მოსკოვის მისაღვამებთან:

მოსკოვთან გრგვინით ვაეკარწყლეთ  
სიკვდილის შიში,  
აღნესა-გოდებით ვადიქროლეს ქირის  
ქარებმა  
და მიხარია, რომ გამოკრთის მოსკოვის  
სხივში

ქართველი კაცის მოქმედი ხმის  
ელვარება.

საპოთა მშენებლობის თემებისადმი მიძღვნილი ლექსები: „თუ იორი ასეთია“ და „ენაზე ზღვების დაბადება“. ხოლო თანამედროვე სოფლის შესანიშნავ სურათს გვიხატავს პოეტი ლექსში „ღამით სოფელში“ —:

შეღამისას აფათქენდა მამალი ფრთხილი,  
ყვილზე შეკრთა ხელსაქმეზე დახრილი  
ქალი:  
ყმაწვილებს სძინავთ... მოვრია დედისაც  
ძილი,  
ჩაქრო შექვი და ოდამაც დახუჯა თვალი.

ქიშკართან ერთი ელნათურა რჩება და  
ბრწყინავს,  
თითქოს სახლ-კარის გუშავაბა მის შუქს  
მიანდეს,  
ძლიერმა ქარმაც რომ დაბეროს, მოვიღეს  
წვიმაც,  
თელს არ მოხუქავს და იბრწყინებს იგი  
დილაშდე.

გიორგი კაქაბიძე ბუნების პეიზაჟის ხატვის დიდი ოსტატია. ლექსში „ყვავებულა ნუში“ მას შესანიშნავად აქვს აღწერილი ვაზაფხულის მოსვლა:

ფერი ეცვალათ დობილებს, უცებ აყვავდნენ  
თეთრად,  
დალოცეს ერთიმეორის კვირტი, ყვავილად  
შლილი,  
ვაზაფხულს მობრძანებთთვის უთხრეს  
მადლობა ერთად  
და ბილიკებზე მოჰდინეს თეთრი მანდილის  
ჩრდილი.

პოეტი გრძობს სოფლის მადლს, მიწის სურნელს, მას ენატრება მშობლიური სოფელი, სადაც მშრომელ გლეხებთან ერთად ვაუტარება სურამე, სადაც მამასთან ერთად უთხონია, მიწაზე ბარი დაუქრავს...

ჩემთვის ეს გრძნობა სინდისიქით  
დასაფიცია, —  
მიწა მეძახის, სოფლის სიო, საქმე კეთილი,

გიორგი კაქაბიძე, „მეც ჩემებური ვუთნისდედა ვარ“, ნაკადული 1964.



დიდი ზანია დასამუნობად ნატურით მიცდიან ტყის მწვანე ბლები, ტყის პირებზე ამოხეთქილი.

მხენელ-მთესველები მომენტარა, მათი ზერის ლინოც, არ მოთქვამს მათთან რაბანია გულისნადები... მოვლიდარ, ჩემო ველ-მინდერებო, ღელის წისქვილო, და თქვენს წიაღში ჩემებურად დატრიალდები.

ასევე კოლორიტულადაა დასატული სოფელი მეორე ლექსში „შელამება სოფელში“. გულხმა აუშვა ფრთხილად ნაგავი, პური გატეხეს — ეახშმის ბარაქა. ღამემ გააღო ზეცის დარბაზი და ვარსკვლავები გადმოალაგა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, პოეტს ზოგიერთი ლექსის ახალი რედაქცია გაუტეხებია და უნდა ითქვას, ზოგ შემთხვევაში უშედეგოდაც. მაგალითად, არ იყო საჭირო გადაეკეთებია ლექსები „ის უბანი და ის კარ-მიღამო“, „შელამება სოფელში“ და სხვ. ამ განყოფილებაში შესანიშნავ ლექსებს შორის უნდა დაეახეყოლოთ „მამის ვახსენება“, „ხნულიდან ამოხედა“, „გაიხსენე ჩემი თიხი“, „ახელი და ჩემი ეზო“, „ჩემი სოფლის შინარე“, „მოსაგალი“, „ეზოში“, „შიწის სურნელი“ და სხვა.

მხარგამოილი სოციალისტური მშენებლობის რეალურ სურათს ასეთი მხატვრული და მჭერებლობით გადმოგვეცემს პოეტი: დრო განუწყვეტლივ მიდის და მიდის, ჯანით ივსება ქვეყანა ჩემი, სიცოცხლის სხივში ეფიჭვება სიკვდილს და გახაფხულის მოზღვრულად ერჩება. ზენა-თესვის დროა და ციერ ისრებს ვერ უძლებს ველზე დაყალიბ კირხლი, სოფელი დგება ფეხზე და ვისმენ ტრაქტორის ხმას და ცხენების ჭიხინს. ფილოსოფიური სიღრმით და პოეტური გააზრებით გამოირჩევა მარადისობის შარავანდედით მოსილა „საუბარი ლექსთან“. ამ ლექსში ღაბარაია პოეტის დანიშნულებაზე, სწრაფვაზე უკეთესი და ნათელი მომავლისაკენ.

ნუ შემომწერები მშობელს სიფიხით, ჩქარაღე სულისა, სხივო ცინცხალო,

წინ ბუც-ნალარით თუ ვერ მივიტლი, რომ შემოგხედონ, გზა დააკაცდონ ნულში

გქონდეს მოთმენა, შენი ფიჭრები, იოიქ მიწაზე, ვით მხენელ-მთესველბ, აყავ კლდე ღრეშიც განმის მიმგნები, გულის აღმგზნები, ჯანის შემესვები...

„არგი ლექსი ემოციურად უნდა იყოს და აზრანაც, პოეტური ეფექტის მოხდენისათვის არ აშარა სიტყვათა ჯამბაზური თამაში, არც ტაბილხმოვანება, საჭიროა ვარძნობაც, აზრიც და შესჯავლური ელერადობა. პოეტს კარგად ემისს შემოქმედებითი ჯნის სიძნელე, იგი ერთ-ერთ ლექსში ამბობს:

გამოვიარე ბეწვის ხიდი, წინ კვლავ ხიდი, ზემოდ და ზემოდ ბილიკებზე ქარი

მატულობს: გამარჯვება და სიუვარული ერთად მიდიან, ვულში ადგილი მაინც რჩება ეჭვს საფათუროდ.

ამ განყოფილებიდან უნდა დაეახეყოლოთ აგრეთვე ლექსები: „ღამეობა“, „აქ შევდიოდი ავადკობაში“, „ბეული ფურცლები“, „მერცხასა“, „ახენა და რთელია ჩემთვის ქვეყანა“, „მ. ინგროკეას“ და სხვა.

სიცოცხლის სიუვარულითაა შთავგონებული შეილისადმი მიძღვნილი ლექსები: „ღიღახანს გელოდი“, „საუბარი შეილთან“, „რომ დააკაცდება“ და სხვა.

ნეტავ, რა ხმაზე ეიმღერო ვანცდა, ექვანაკრავით ვარ ფიჭარაშლილი; ო, იქნებ, ჭობდა, ცხრა წიგნის ნაცელად, რომ ეუოფილიაყე მამა ცხრა შეილის.

კრებულში წარმოდგენილია გიორგი კაქახიძის საინტერესო სატრფიალო ლირიული ნიმუშები. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსები „აკაცია“, „თოვანში“, „ვინ შთავაგონა“ და „რა დრო წასულია“.

გ. კაქახიძის ლექსების წიგნს ემჩნევა განუვლობებათა და ინტონაციის ნაწილობრივ ერთფეროვნება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გ. კაქახიძე ლექსებს ზედმეტად ტერიტაფს ძნელად გასაგები მხატვრული სახე-ეზით და შედარებებით. კრებულში აგრეთვე გვხვდება ზედმეტად გაგრძელბული ლირიული ლექსები.

3. ზოგონიძე

სასარგებლო მცენიარული ნაშრომი

სამართლიანად უნდა იქნეს მიჩნეული გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ

ს. ჭორბენაძე, „სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში“ ცოდნა 1963.

პრობლემის გამოკვლევის მნიშვნელობა პირველ რიგში განისაზღვრება მისი აქტუალობით, როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, მისი ცხოვრებისეული დანიშნულებით. ამ გაგებით ს. ჭორბენაძის ახალი ნაშრომი „სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების

წარმოშობა სსრ კავშირში“ მართლაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან, საანტერესო მეცნიერულ ნაშრომთაგანს წარმოადგენს სამართალმცოდნეობის დარგში.

ავტორი სწორად შენიშნავს, რომ იმის განსაზღვრა, თუ როგორ ვითარდება მოვლენა, გულისხმობს იმის ახსნასაც, თუ როგორ წარმოიშვა იგი. განიხილავს რა სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების შთავაზ პრიბლეშებს, ავტორი საკუთრების ტიპების ისტორიული განვითარების ფონზე გვიჩვენებს საყოველთაო სახალხო კუთვნილების წარმოშობის აუცილებლობასა და გარდევადობას.

საკუთრების ფორმებს ავტორი განიხილავს მარქსისტ-ლენინისტების დებულებებთან, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობის, როგორც მკვიდრულ წარმოებით ურთიერთობის საფუძველს. ყოველ წარმოებას კ. მარქსი სთვლიდა როგორც ინდივიდის მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შეგნით და ამ ფორმის შემოქმედებით ბუნების საგნების მითვისებას. ახასიათებდა რა კაპიტალიზმის შეცვლას სოციალიზმით, ენგელსი სწერდა: „მამან მითვისების კაპიტალისტური წესი... ადგილს უთმობს მითვისების ახალ წესს, რომელიც თვით თანამედროვე საწარმოო საშუალებათა ბუნებაზეა დაფუძნებული: ერთი მხრივ, პროდუქტების პარდაპირ საზოგადოებრივ მითვისებას, როგორც წარმოების შენარჩუნებისა და გაფართოების საშუალებას, მეორე მხრივ პარდაპირ ინდივიდუალურ მითვისებას არსებობისა და სიმარცხნის საშუალებათა სახით“ (ფ. ენგელსი, „ანტი დიურიანი“, 1952, გვ. 333.).

წიგნის პირველ ნაწილში ავტორი განიხილავს რა წარმოების ფორმებსა და საკუთრების ფორმებს, სამართლიანად დაასკვნის, რომ წარმოების ფორმებში უნდა ვიპოვოთ არა მარტო საკუთრების ფორმების არსებობის საფუძველი „არამედ საკუთრების ფორმების ცვალებადობა, მათ ბუნებრივ-ისტორიული განვითარების პროცესის კანონზომიერების ახსნა“. ამავე ნაწილში იგი დამაჯერებლად აკრიტიკებს კერძო საკუთრების წარმოშობის შრომითი თეორიას, როგორც კერძო კაპიტალისტური მითვისების გამართლების მიზნის მქონეს, რომელსაც ზნობიან მიმართავდნენ რევოლუციონერი ბურჟუაზიული სოციალოგები თავიანთი აპოლოგეტიკი დასკვნებისათვის. ამავე ნაწილში ავტორი აღწერს კერძო საკუთრების წარმოშობის სამართლებრივ რეგულირებას და ზოგად დახასიათებას იმდროინდელ კერძო საკუთრების შექმნის საფუძველებისას.

უპირაგი მასალის საფუძველზე წიგნის მეორე ნაწილში ამომწურავად არის აღწერილი დიდი ტომების რევოლუციის გამარჯვების შედეგად საყოველთაო სახალხო კუთვნილების—სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების გაჩენა

და განვითარება სსრ კავშირში და სოციალისტური საკუთრების შემდგომი განვითარების მართლაც პირობები. ავტორის წინადადებად შენიშნავს, რომ სოციალისტური საკუთრების ობიექტთა შეზღუდვები წრე თავის მხრივ საწარმოო ძალების ზრდის პირობაა და წარმოების უმნიშვნელოვანესი საშუალებების ნაციონალიზაცია სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრების ზრდისა და განვითარების აუცილებელი წინამძღობია. მოსახლეობისადმი 1917 წლის 20(7) ნოემბრის მიმართვაში ვლადიმერ ილიას-მე ლენინი მოუწოდებდა მშრომელებს: „გულდახილდით, შეინახეთ, როგორც თვალს ჩინი, მიწა, პური, ფაბრიკები, იარაღები, პროდუქტები, ტრანსპორტი—ყველა ეს ანთროპოდან მთლიანად თქვენი იქნება“. სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების უფლების სუბიექტია სოციალისტური საზოგადოება, მთელი საბჭოთა ხალხი. საყოველთაო სახალხო კუთვნილების სახელმწიფო ჯონების ერთიან და ერთადერთ მესაკუთრეს ჩვენი მშრომელთა სახელმწიფო წარმოადგენს. სახელმწიფო საკუთრება, ავტორის სწორი შენიშვნით, არა მარტო საერთო ეკონომიკური ბაზაა კოპერაციული საკომუნისტური საკუთრების განვითარებისათვის, არამედ „საკუთრების ამ ორი ფორმას შორის უშუალოდ საწარმოო კავშირი არსებობს. ისინი საკუთრების ერთ ტიპს ქმნიან და სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლის საქმეს ემსახურებიან“. ავტორი მართებულად დაასკვნის, რომ ახლა სოციალისტური საკუთრება მარტო სსრ კავშირის საზოგადოებრივ წესობის საფუძველს როდი წარმოადგენს, იგი მძლავრად ვითარდება სოციალისტური ბანაქის ქვეყნებში და ამიტომ „სოციალისტური საკუთრების წარმოშობისა და განვითარების ის გზა, რაც სსრ კავშირში გაიჭრა, უაღრესად მნიშვნელოვანი წელილია საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში“.

გადა იმისა, რომ სახელმწიფო საკუთრების სამართლებრივი საფუძველების დახასიათებისას ავტორის მიერ ფართოდ არის გამოყენებული ეკონომიკური და ისტორიული მასალა, ეს ნაშრომი საინტერესოა იმითაც, რომ ზოგერთი დებულების გადმოკეცვისას ავტორი იგონებს ჩვენი სამაჟო მწერლების ილია ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველას ინტერპრეტაციებს. მავალითად ავტორს მოჰყავს ილია ჭავჭავაძის აზრი ტაბეს წარმოშობის შესახებ, რომელიც მონაკვეთი ფრჩხილი, იმის ცუდ-უბრალოდ გადაღების დაუშვებლობის ჩვეულებამაა გამოხატული, აგრეთვე თუ როგორ ახასიათებს მას ვაჟა-ფშაველა, ფშაველთა ჩვეულების მიხედვით (გვ. 57). აღნიშნავს რა იმ განსაკუთრებულ ადგილს შესახებ, რომელიც ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ტყეებს უკავიათ, ავტორი იშველიებს ილია ჭავჭავაძის მართლაც და მომავალზე ზრუნვის უან-



გარო ზრუნვით დაწერილ შთამავანებელ სიტყვებს „ყოვლად შეუწყალებლად დაუდობლად და წინდაუხედავად კაფა ტყეებისა ტფილისის გუბერნიასი დიდს უხედულებას შეგვაძახებებს. ჩვენი მინდვრები, მამულ-დედუღები უწყლობით ხროკებად გადაიქცევა.“ (გვ. 169-170).

საჭიროდ მიგვაჩნია გავაყოლოდ ერთი შენიშვნა.

ბოლო დასკვნებში ავტორი ავტორი აღნიშნავდა სთვლის ჩვენს სამოქალაქო კანონმდებლობაში სახელმწიფო საკუთრების ობიექტებს შორის პირდაპირ იქნას მითითებული, რომ სახელმწიფო საშუალებო საწარმოს პროდუქცია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, ანალოგიურად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 23 მუხლისა, რომელშიაც კომმუნურნიზმისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრების ობიექტებს შორის მითითებულია მათ მიერ წარმოებული პროდუქცია. ვფიქრობთ ეს არც ისე პრინციპული მნიშვნელობის მქონეა, როგორც ავტორს მიაჩნია. ჩვენს სამო-

ქალაქო კანონმდებლობაში სახელმწიფო საკუთრების ობიექტთა შორის მითითებულია ქარხნები, ფაბრიკები, მახტები, მანქანები და სხვა. აქედან პირდაპირ და ლოგიკურად გამოდინარეობს, რომ მასსადავებ, საშუალებო საწარმოს პროდუქცია სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. გარდა ამისა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში და სამოქალაქო სამართლის ახალმა კოდექსებმა ასეთი მითითებას შეტანა საჭიროდ არ მიიჩნიეს.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ს. ჯორბენაძის ხსენებული წიგნი საინტერესო მეცნიერული ნაშრომია და იგი დახმარებას გაუწევს არა მარტო იურიდიულ, ეკონომიური და ისტორიული ფაქულტეტების სტუდენტებს და უფრო იმას, ვინც მასში დასმული საკითხებითაა დაინტერესებული, როგორც ამას ავტორი მოკრძალებით შენიშნავს, არამედ ყველა მკვლევარს. სოციალისტური საკუთრების ფორმების ისტორიის დარგში.

ნიკოლოზ წაბათელი.

### ქურთი პოეტები ქართულად

როცა საქართველოში ქურთი პოეტების ლექსები ისტამბულოდა, ერაყელი ბაასისტები ყველაზე საძაველი ხრიკებით და ყოველგვარ ზნეობას მოკლებული საშუალებებით ცდილობდნენ ქურთისტანიის დამორჩილებას და დაპყრობას. უფრო კარგად ამის შესახებ ამბობს ქურთი პოეტი ჯალილ აქოვ:

ჰე ქურთისტანო,  
სასურველო მხარეო ჩემო,  
გადგას შავი დღე.  
მრისხანებით ცა იქუფურება.  
ჩემო ტყვილო,  
ჩემო სენთქეავ  
და სიმწრის ცრემლო,  
რა იქნა შენი სანატრელი თავისუფლება?

ქურთებმა აგრესორებს თავიანთი სიმტკიცე და ნებისყოფა დაუპირისპირეს:

ვერ იქნება ზმა გაემენდილი  
ყველა უბრალო და მართალი ადამიანი!  
შენ მხარეზეა მსოფლიოში ხალხი კეთილი  
თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობიანი.

სოციალისტურ საქართველოში ქურთები თავიანთი თავის ბატონ-პატრონები არიან, ზოლო ჩვენი დიდი სამშობლო, ჩვენი პარტია, მათ საკუთარი ბედნიერების გარანტიად მიიჩნიათ:

ჩვენი გაზახუღლი, — ქურთი პოეტები, ნაყადული, 1964.

პარტია — ეს ხომ მშვიდობას ნიშნავს.  
ბედნიერებას დიადზე დიადს,  
მისი სახელი გრავალში იშვა  
და ამიტომაც გრიგალი ჰქვია.  
ჩამოიქროლებს ჩუმი ზეფირი,  
ისიც ლენინზე ჩურჩულებს თითქო;  
ბავშვმა აქვანში იცის ზეპირად,  
რომ ლენინისგან ელისას სიბოა.

(თოვარ ბროვეცი)

როდესაც ქურთი პოეტების ლექსებს კითხულობთ, (სარეცენზოი კრებულში რვა ავტორის ნაწარმოებებია წარმოდგენილი) ვგრძნობთ, რომ ისინიც, ისევე როგორც მათი მშობელი ხალხი, თავისუფლების პატივით სუნთქავენ და ამავე საქმისათვის იბრძვიან, რისთვისაც ჩვენი ქვეყნის ყველა შემოქმედი.

ჯალილ აქოვს ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია. მისთვის, როგორც პოეტისთვის, მთავარია ზომიერება, თვითშეგერება. ამიტომაც, რომ ქურთისტანიისადმი მიძღვნილი ამაღლვებელი სტრიქონების გვერდით ვხვდებით რაციონალური აზრების განცდებს, (რა თქმა უნდა პოეტურს); აი, რას ეუბნება ჯალილ აქოვ თავის შვილს:

შენ გელოდება ლაქვარდებში მთვარის დიარი,  
სიზმრად ნახელი გელოდება სამყაროები,  
თეთრი ფერია  
თრთის ლაქვარდში ლერწმისნაირად,  
ფერია სავეს სიყვარულით და სათნოებით.  
გისმობს, მთვარისკენ გეზიდება გზები  
ლაქვარდის.



**გზები**

სამშობლოს დიდებისებრ განუზომელი  
მოთაბრებე გიკდის ის ფერია... შეილო  
აქტარდი,  
ბედნიერება მოიპოვე მანათობელი.

განა შეიძლება უფრო ღირსეული სახეებით  
მიანიშნოს კაცმა თავის პირშეშოს კოსმოსის საი-  
ღუნლოებებზე და აღაგზნოს მისი დაპყრობის  
სურვილით?

ჭაღოდე აყო სამამულო ომის მონაწილეა,  
ამიტომაცა რომ მის ლექსებში ომის გახსენებას  
სიამართლისა და გულწრფელობის ბეჭედი ახის.  
შესანიშნავე სტრიქონებით უმღერის პოეტი სა-  
მშობლოსა და პარტიას, მოსკოვს და ოქტომბერს;  
ამავე დროს, იგი სულაც არ არის პათეტიკურა,  
პირიქით, ეს თემები მისთვის ახლობელია და სა-  
უფარულო.

ჭარჭოვე ასადი ამღერებელი და მგრძნობიარე  
პოეტი. სტვა კარგ ლექსებთან ერთად მას აქვს  
მშვენიერი ლექსები სიყვარულზე. მიუხედავად  
მარტივი სიუჟეტისა, (მშვენიერი ბასე უყვარს  
ყველას, მონადირე გაიგებს, რომ ბასეს ათხოვე-  
ბენ და მოატყუებს. შორ მანძილს გაივლიან შე-  
ყვარებულნი, დაღლილები დასვენებენ და აღ-  
ერსში ჩაეძინებათ. მიჯნურებს თავზე დაადგე-  
ბა მღვდარი — ბასეს მამისა და ძმების წინა-  
მძლოლობით. ყველალი შეეტაცება მომხდურებს  
და იღუბება. კედება ბასეც. ბასეს და ყველას ერ-  
თად ასაფლავებენ), ეს ლექსები ოსტატურად  
და დიდი გრძნობით არის დაწერილი. — თარგ-  
მანი ეკუთვნის ე. ჯავახიძეს. ნათქვამის საილეს-  
ტრაციოდ მოვიყვანთ ნაწევრებს ლექსებიდან:

ბასემ სთხოვა, მომაცდევამა,  
დაგვმარხეო ერთად,—  
თვალი ირგვლივ მოატარა  
და ძილს გახედა ნეტარს...  
ბოლოს მაინც აისრულეს საწადელი იმით —  
სიყვარულით დაისრულეს  
ერთ საფლავში სძინავთ.  
ვარდი ჰყვავის სიამარესთან,

ქარი ტირის შწარელ,  
და საფლავში წვეანან ერთად  
როგორც მზე და მთვარე.

რამდენიმე ლექსის მიხედვით პოეტზე მსჯე-  
ლობა ასე თუ ისე მაინც შეიძლება, მაგრამ მნი-  
ლია და საპასუხისმგებლო. თოვარ ბროვეი ერ-  
თი შეხედვით თითქმის ცნობილ თემაზე წერს,  
მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით — იგი ჩა-  
ფიქრებული და აუჩქარებელი პოეტი და ხმა-  
რად ძალიან ემოციურია:

სიციხე მაქვს, გოზე  
ღადაროვით მიხურს ღაწვები  
თუ ნებას მომცემ, მაგ წამწამთა ჩრდილში  
დაეწვები.

აზიზე ისკოსა და ბახჩოე ისკოს ლექსებს ეტ-  
ვობათ, რომ მათმა ავტორებმა კარგახანია აიღეს  
შემოქმედებითი სტარტი და პოეტური სიძვირის  
ზღვარს უახლოვდებიან. კარგი ლექსებია აზიზე  
ისკოს „ქარისკაცის მოგონება“, „ღაწვით გურა-  
მიშვილი“, „ღედა“. ბახჩოე ისკოს — „ქუთო-  
საეც ღია აქვს ცხოვრების კარი“, „საქართვე-  
ლოს“, ეპიზოდი პოემიდან „ქარე და ეურიცე  
სულემანები“.

ფეხდაფეხ მიჰყვებიან ავანგარდს პოეტები  
მორიე მამედოვი, აღოე ჟანგო და შკოე ჰასა-  
ნი. მათ იციან, რომ იყო თანამედროვე პოეტი,  
ნიშნავს განიმსჯელო შენი ჭაღის აზრითა და  
სულისკვეთებით, გამოხატო ეპოქის რიტმი —  
შეასრულო მისი „დაკეფთები“. ხოლო პოეტს,  
რომელსაც სურს იყოს თანამედროვე, ერთ აღ-  
ვილას კი არ უნდა განერდეს, პირიქით, უნდა  
მიიწეოდეს წინ და სძლეოდეს ახალ-ახალ ამო-  
ცანებს.

ქართულ ენაზე ქუთოთი პოეტების გამოცემა  
კარგი საქმეა. უკეთესი იქნება, თუ ამის მოქვეყ-  
ნა უფრო სრული და ზოგიერთი პოეტის ნაწარ-  
მოების ცალკეული გამოცემები.

**ხ. ნიბაური**

# ახალი წიგნები



„ნაკადული“

- შიო მღვიმელი — რჩეული. ტომი 11. რედ. გ. კაჭხიძე. გვ. 22, ფასი 45 კაბ.
- გრივოლ აბაშიძე — მეც შევიარდენი ეიქნებო. რედ. ნ. არჭევანიძე. გვ. 94 ფასი 13 კაბ.
- ვერა ბუაჩიძე — მანანას ამნათი. რედ. ლ. ქადაგიშვილი. გვ. 49, ფასი 9 კაბ.
- თამარ ჩხაიძე — სახტომელა. რედ. მ. ქაჯანიძე. გვ. 110, ფასი 17 კაბ.
- ედისერ ყიფიანი — მთვარის საქანელა. რედ. ნ. ბეზარაშვილი. გვ. 52, ფასი 9 კაბ.
- ვალენტინ ზუბი — საიდუმლო წარწერა. თარგ. ნათელა ლორთქიფანიძისა. რედ. ნ. დარჩია. გვ. 143, ფასი 22 კაბ.
- თავგადასავლთა სამყაროში — თარგ. მანანა ქავთარაძისა. რედ. ნ. ჩირაძე. გვ. 98 ფასი 22 კაბ.
- გიორგი კალანდაძე — მოცეკვავე დათუნა. რედ. ლ. ჭიქინაძე. გვ. 79, ფასი 12 კაბ.
- პეტრე ზუნანგა — გზა მშვიდობისა. თარგ. ოთარ შილაძისა. რედ. ე. უბლაყა. გვ. 74, ფასი 12 კაბ.
- ლ. ბერგი — პრეველესის მოგზაურობა. თარგ. ნ. სულხანიშვილისა. რედ. შ. დარახველიძე. გვ. 83 ფასი 13 კაბ.
- ამბავი მამაც მანანის და მწვენიერის მადინას — თარგ. გიორგი კალანდაძისა. რედ. ქ. ნიქაბაძე. გვ. 36 ფასი 15 კაბ.
- ზურაბ ტინტილოზოვი — მღვიმეებსა და უფსკრულებში. რედ. შ. დარახველიძე, რ. ინანიშვილი. გვ. 160, ფასი 30 კაბ.
- ჯემის ოლდრიჯი — მონადირე. თარგ. ლამარა კუკავასი. რედ. მ. ქარჩია. გვ. 223, ფასი 69 კ.
- იან ლარი — კარიკასა და ვილიას უცნაური თავგადასავალი. თარგ. ნინო სულხანიშვილისა. რედ. ლ. ქადაგიშვილი. გვ. 252, ფასი 63 კაბ.
- კორნეი ჩუკოვსკი — ბუზი ბუნანგალი. თარგ. ვაჟა ყუბუხიძისა. რედ. მ. კაჯანიძე. გვ. 29, ფასი 6 კაბ.
- გ. ტომელიუსი — ორჯერ ორი ოთხია. თარგ. ნათელა ლორთქიფანიძისა. რედ. მ. კაჯანიძე. გვ. 29, ფასი 5 კაბ.
- კლიმენტი გოგიავა — შეხვედრა წვიშაში. რედ. ე. უბლაყა. გვ. 15, ფასი 15 კაბ.
- სოსო იორამაშვილი — კოჭლი კაკაბი. რედ. ნ. ბეზარაშვილი. გვ. 29, ფასი 4 კაბ.
- ხარიტონ ვარდოშვილი — სიეთე. რედ. რ. ორჯონიკიძე. გვ. 43, ფასი 8 კაბ.
- იური იაკოვლევი — ციგურებიანი ბიჭი. თარგ. სულხან ქეთელაურისა. რედ. ქ. ბაქრაძე. გვ. 50, ფასი 6 კაბ.
- გიორგი გუბლია — მოჭრის კოდორი. რედ. მ. შთვარაშვილი. გვ. 65, ფასი 12 კაბ.
- მაინრიმ მანი — ბევშობა. თარგმანი ნოდარ რუხაძისა. რედ. ნ. კალანდარიშვილი. გვ. 82, ფასი 11 კაბ.
- ა. როდიშვილი — მამუნა — თარგ. კონა მიქაძისა. რედ. ნ. დარჩია. გვ. 100, ფასი 11 კაბ.
- ლამარა გვაზავა — სანაძე — მე არ ვიჯივი დამნაშავე. რედ. ს. ჭილაია. გვ. 168, ფასი 18 კაბ.
- ანა ხახუტაშვილი — მშვიდობით. იავ. ლამაზოი რედ. მ. კაჯანიძე. გვ. 79, ფასი 13 კაბ.
- გაბრიელ ჯაბუშანური — სიმღერა გავა ნაროშაულზე. რედ. შ. ნიშნაძე, ქ. ნიქაბაძე. გვ. 166, ფასი 42 კაბ.
- ოთარ ჭელიძე — მოწვდომელი მწვერვალი. რედ. ელ. უბლაყა. გვ. 42 ფასი 9 კაბ.
- მენრი ლონგფელდი — სიმღერა შიავათაზე. თარგ. ოთარ ჭილაძისა. რედ. ნ. ყიფიანი. გვ. 237, ფასი 58 კაბ.
- ალ. უაზბეგი — შტრედი. რედ. მ. კაჯანიძე. გვ. 16, ფასი 9 კაბ.
- აღქსანდრე საჩინოელი — დაფიქრდი და გაშოცნობ. რედ. გ. კაჯანიძე. გვ. 49, ფასი 8 კაბ.
- ბორის შატბერაშვილი — მღერის მთებო. რედ. ლ. ცაგარეიშვილი. გვ. 97, ფ. 17 კაბ.
- სერჯი ლევაი — ხსენით ჩვენი სულეები. თარგ. ლ. ფოფხაძისა. რედ. ნ. დარჩია. გვ. 203, ფასი 46 კაბ.
- ზარბი და ალაღმართალი — დამუშავა გ. შთეკაურმა. რედ. გ. კაჯანიძე. გვ. 12, ფასი 16 კაბ.
- ანატოლ ფრანსი — კრეკებილი. თარგ. ი. როდიონ ქავთარაძისა. რედ. მ. ამბუცელი. ლ. გიგელია. გვ. 423, ფასი 28 კაბ.
- ლავრენტი კიბიანე — ცანცარა. რედ. ნ. ბეზარაშვილი. გვ. 15, ფასი 2 კაბ.
- ნ. ნეკრასოვი — ბაბუა მამაი და კერძალები. თარგ. მურმან ლებანიძისა. რედ. მ. კაჯანიძე. გვ. 14, ფასი 10 კაბ.

0 7

ԳՅԵԸ 80 333.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“